

ჩოსებ ბებოქიანი

სუსტველმედიანე



„საბოთა საქართველო“. თბილისი. 1970

წიგნში დახასიათებული არიან რუსთველოლოგიურ პრობლემათა და საკითხების შეკვლევარნი, შოთა რუსთაველის ცხოვრების, შემოქმედებისა და ეპოქის ქართული კულტურის პოპულარიზატორები. აქვე განხილულია რუსთველოლოგიის განვითარების ძირითადი ეტაპები.

წინასიტყვაობა

სწორადაა თქმული: რაც მეტს ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“, მით უფრო ვიმსჭვალებით საკვირველების გრძნობით ავტორის „გენიალობისა და იშვიათი პოეტური შემოქმედებისადმი, მისი დაუღვეველი სიბრძნისადმი“; როგორც პომეროსი, ისევე შოთა რუსთაველი ყველას, — ახალგაზრდას, მოწიფულსა და მოხუცს, — აძლევს იმდენს, ვის რამდენიც შეუძლია აიღოს.

რუსთაველისა და მისი უკუნობი ქმნილების შესახებ პოეტის თანამედროვეების ცნობები არ შემონახულა, მაგრამ მე-15 საუკუნიდან მოყოლებული მისადმი საერთო ინტერესი უწყვეტლივ იზრდება, საპაექრო საკითხთა წრე თანდათან ფართოვდება და ქართული ფილოლოგიის ახალი დარგი — რუსთველოლოგია იქმნება.

რუსთველოლოგიურ საკითხებზე მსჯელობებს თუ მოსაზრებების გამოთქმათა შემთხვევებს ვხვდებით: სერაპიონ საბაშვილ-კედელაურის, „იოსებზილიხანიანის“ მღვქსავის, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის, თეიმურაზ პირველის, ნოდარ ციციშვილის, სულხან თანიაშვილის, ფეშანგის, განსაკუთრებით — არჩილისა (1647 — 1713) და სხვათა ნაწერებში (ქვემოთ* 1).

ვახტანგ მეექვსის სათანადო ნაშრომი (2) სპეციალური გამოკვლევაა. რუსთაველსა და მის შემოქმედებას მეცნიერულად სწავლობდნენ აგრეთვე: თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი, პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე ცაგარელი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები.

* იგულისხმება ცალკეული სტატიის ბოლოს დასახელებული ლიტერატურის სათანადო ნომერი.

რუსთველოლოგიურ საკითხთა შესწავლას ისტორიას ძირითადად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღრევე იკვლევდნენ: ალ. ხახანაშვილი, ნ. მარა, იუსტ. აბულაძე, ს. კაკაბაძე, ვ. ბერაძე და შემდეგ — ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე, გ. იმედაშვილი, ლ. მენაბდე და სხვები. ყველა სხვა ნაშრომზე უფრო განმარტავადებული და საფუძვლანაა ალ. ბარამიძის მონაგრავა „რუსთველი და მისი პოემა“ (3). მასში, რაღა თქმა უნდა, რუსთველოლოგებიც არიან დახასიათებულნი, მაგრამ ავტორის კვლევის ძირითადი საგანი არა ისინი, არამედ რუსთველი და „ვეფხისტყაოსანი“. ჩვენ კი — პირიქით, სპეციალურად რუსთველოლოგებზე ვლაპარაკობთ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წარსულში რუსთველოლოგიური პრობლემებისა და საკითხებიდან უმთავრესი ყურადღება რუსთველს ბოგრაფიასა და „ვეფხისტყაოსნის“, თითქმის, იზოლირებულად შესწავლას ექცეოდა. თვით ის ავტორები, რომლებიც სათანადო საკითხებზე მუშაობდნენ, ნაკლებშესწავლა არიან.

ვინაიდან ისინი მეცნიერებას ამ დარგს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მოუვაწუბდნენ, საჭიროა, მოკლედ მიინც, მოლანი გზაც გავითვალისწინოთ.

რუსთველოლოგიის შესწავლას ისტორია რამდენიმე ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპი ამ დარგს განვითარებისა, როგორც ეს გ. იმედაშვილს უკვე აქვს აღნიშნული (4, გვ. 3 — 5) ვახტანგ მეექვსე დან დაწყებულა მ. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილას ჩათვლით, ნ. მარამდე გრძელდება.

მართალა, ამ ეტაპზე ბროსე და ჩუბინაშვილი ახალ თვალსაზრისს — ალეგორიების თეორიას (თინათინი — თამარია, ტარიელი — რუსთველი და ა. შ.) — აყალბებენ და მათ მიმდევრებიც აღმოუჩნდნენ (განსაკუთრებით: — დ. ბაქრაძე, ს. ქვარაანი, მ. ჯანაშვილი და სხვები), მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წარმოშობის საკითხში ისინი ვახტანგ მეექვსის თვალსაზრისზე იდგნენ. ასევე ალ. ხახანაშვილმა პოემის წარმოშობის საკითხზე ახალა მოსაზრება წამოაყენა, — სიუჟეტი ქართულა ზეპირსაუბრობებიდან აიღო რუსთველმაო, — მაგრამ მეთოდოლოგიით ისიც ბროსე-ჩუბინაშვილას რაგში დგას.

მეორე ეტაპი რუსთველოლოგიის განვითარებასა ნიკო მარის ნაშრომებით იწყება. 90-იანი წლებიდან რუსთველოლოგიურ საკითხთა „კვლევა-ძიება არსებობად მარას მიერ წამოწყებულ

მეთოდოლოგიურ დებულებათა ნიშნით და მისი გავლენით მიმდინარეობს და შეიცავს რუსთველოლოგიურ მუშაობას მის მიერ დასახული პერსპექტივებით“. ეს ახალი ეტაპი მით განსხვავდება პირველისაგან, რომ აღრიხედელს ზუსტი მეცნიერული მეთოდი და ისტორიული პერსპექტივა არ ჰქონდა; რუსთველოლოგიურ საკითხებს საერთო ლიტერატურული პროცესებისაგან მოწყვეტლად განიხილავდნენ, ცნობებს უკრიტიკოდ იყენებდნენ; მეორე ეტაპს კი — რუსთველოლოგიის პრობლემების მეცნიერულად, — წარსულის კრიტიკულად შესწავლა, რუსთაველის ცხოვრებისა და „ვეფხისტყაოსნის“ საკითხების წინა ეპოქის ქართულ და მსოფლიო ლიტერატურის ძეგლებთან კავშირში განხილვა, საფუძვლიანი ტექსტოლოგიური და ლექსიკოლოგიური ძიებანი ახასიათებს (შდრ. ციტ. 4, გვ. 4 — 5).

ნ. მარი რუსთველოლოგიურ საკვანძო საკითხებს აშუქებს არა მარტო საკუთრივ რუსთველოლოგიურ შრომებში, არამედ ქართული მწერლობის ძეგლებზე შესწავლის, ტექსტებისა და სათანადო გამოკვლევების (90-იანი წლები), განსაკუთრებით, ჩვენი მეხოტბეების — შავთელისა და ჩახრუხაძის ოდების (1900 — 1902) კვლევა-ძიებასთან დაკავშირებით.

ნ. მარის მიერ უმნიშვნელოვანესი რუსთველოლოგიური ნაშრომის 1910 წელს გამოცემისა (5) და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების აღწერა-კლასიფიკაციის (6) შემდეგ, სწორედ ნ. მარის მოწაფეები — იუსტ. აბულაძე და ს. კაკაბაძე — ორ-ორგზის (7 და 8) აქვეყნებენ „ვეფხისტყაოსანს“ ვრცელი გამოკვლევებით, შენიშვნებითა და ლექსიკონებით.

მ ე ს ა მ ე ე ტ ა პ ი რუსთველოლოგიის განვითარებისა იწყება ამ საუკუნის 30-იანი წლებიდან. იგი ხასიათდება გაუმჯობესებული მეთოდის მომარჩევებითა და ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგთა ახალი მიღწევების გათვალისწინებით. ამ დროს დაიწყო მზადება „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავის იუბილესათვის. მაშინ (საიუბილეო 1937 წ.) და მომდევნო წლებში მრავალი საყურადღებო ნაშრომი გამოქვეყნდა.

მ ე ო თ ხ ე ე ტ ა პ ი რუსთველოლოგიისა 1960 წლიდან რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს სამზადისთან დაკავშირებული ღონისძიებებით იწყება.

რუსთველოლოგიის განვითარების ე ტ ა პ ე ბ ა დ დ ა ყ ო ფ ა, რა თქმა უნდა, პ ი რ ო ბ ი თ ი ა; მაგალითად, თვით ნ. მარი თავის მუშაობას ამ დარგში ორ პერიოდად ჰყოფს:

1. როცა ის პოემის სიუჟეტის წარმოშობის საკითხით იყო უმთავრესად დაინტერესებული, და

2. როცა ეს მუშაობა მანვე ავტორის პოემის შინაარსული და მხატვრული მხარეების ანალიზით განაგრძო.

რუსთაველოლოგიის განვითარების ეტაპები, რამდენადმე მაინც, დაკავშირებულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გამოცემებთან. ამათვანძირათად გამოცემებად ითვლებიან: „ვეფხისტყაოსნის“ 1712, 1841, 1937 და 1966 წლების პუბლიკაციები. მეტ-ნაკლებად ასეთებია, მაგრამ თავისებურებია, ე. წ. ქართველთაშვილს 1888 წლას (1841 წლის გამოცემაზე უფრო ემყარება ხელნაწერებს), დ. კარიჭაშვილის, ს. კაკაბაძის, იუსტ. აბულაძის და პ. ინგოროყვას (1953) გამოცემები. პროლოგისა და სხვა მრავალ სტროფთა ანალი დალაგებითა და სტრიქონთა თუ სიტყვათა წაკითხვებით რიგ სიახლეს შეიცავს იუსტ. აბულაძის გამოცემები, ხოლო მთელი პოემის ტექსტის სივრცით ყველას ს. კაკაბაძის პირველი და კ. ჭიჭინაძის გამოცემები აჭარბებენ.

*

აქვე დაისმის კითხვა: ვის ვთვლით ჩვენ რუსთაველოლოგად?

ვისაც სათანადო განათლება მიუღია, რუსთაველოლოგიის რომელამე პრობლემას ან ამავე პრობლემის საკითხებს აშუქებს, ვისაც ამ დარგისათვის რაიმე შეუმატებია ან კმატებს, ის რუსთაველოლოგია. ის კი, ვინც, თუნდაც სხვა დარგის დიდი სპეციალისტი (როგორც, მაგ., აკად. ვ. ფ. შიშმარიოვი, აკად. ი. ი. მეზინინოვი, აკად. ი. კ. ლუპოლა დ სხვა), და მით უფრო საერთოდ არასპეციალისტი, „ვეფხისტყაოსნით“ აღტაცების ან სხვა ვითარების გამო, თუნდაც საყურადღებო ნაშრომის დამწერია, ის არ არის რუსთაველოლოგი, არამედ მხოლოდ რუსთაველოლოგიური ნაშრომის ავტორია. კომპილტორები სხვათა იდეების პოპულარაზაცუას ეწევიან და ესეც სასარგებლოა, მაგრამ პირველ ორზე დაბლა დგანან.

ქვემოთ ჩვენ უმთავრესად პირველი ორი სახის ავტორებს ვლაპარაკობთ და, ტერმინის სოგადი მნიშვნელობით, ორივეს ერთა სათაურის ქვეშ ვათავსებთ. კრებულის უფრო ზუსტი სათაური იქნებოდა „რუსთაველოლოგები და

რუსთველოლოგიურ ნაშრომთა ავტორები“, მაგრამ ჩვენ, სათაურის სიმოკლისათვის, პირველი ვამჯობინეთ. თანაც აქ წერილებს მხოლოდ გარდაცვლილ უფრო მნიშვნელოვან ავტორებზე ვათავსებთ. ასეთთაგანაც რუსთველოლოგიის საკითხთა ზოგი პოპულარიაზატორი და საზღვარგარეთ გარდაცვლილი ორი ქართველი რუსთველოლოგიც ვერა გვყავს წარმოდგენილი.

ისტორიზმის პრინციპის დაცვითაა, ნაწილობრივ მაინც, გამოწვეულა, რომ აქვე ცოცხალ რუსთველოლოგებზე წერილებს არ ვათავსებთ. ჯერ ერთი, ამის საშუალებას წიგნის გამომცემლობის გეგმით განსაზღვრული მოცულობა* არ იძლევა, და მეორეც, რაც უფრო არსებითია, ცოცხლები კვლევა-ძიებას განაგრძობენ და მათი ღვაწლის ამ დარგში დაჯამება, უმრავლეს შემთხვევაში, ნადრევიც შეიძლება აღმოჩნდეს.

გარდაცვლილ ღვაწლის შესახებაც უმთავრესად სიახლეებსა თუ ცნობილ დებულებებს რაიმე მხრავ გაღრმავებასა და ახალ დასაბუთებაზე გვაქვს ლაპარაკი, — იდეების განვითარების ხაზს მივსდევთ, — თორემ ყოველ წერილმანს რომ გამოვდევნებოდით, აქ მოხსენიებულ არაერთ ავტორზე მონოგრაფიის დაწერაც კი შეიძლებოდა.

მეორე მხრივ, ზოგჯერ რუსთველოლოგებსაც ვცილდებით, — ვლაპარაკობთ, მაგ., იოანე ბაგრატიონისა და გიორგი ავალიშვილის მოღვაწეობასა და ზოგ სხვა საკითხებზეც, მაგრამ, რაც წიგნის უშუალო თემისათვის ზედმეტად შეიძლება მოგვეჩვენოს, ისიც საერთოდ სასარგებლო და ცნობად მოსატანია.

შევნიშნავთ იმის შესახებაც, რომ წარმოდგენილ ავტორთაგან, ვინც რუსთველოლოგიის გარეშე მოღვაწეობით უფრო ცნობილია (მაგ., ილია, აკაკი, ვაჟა...), მის ბიოგრაფიაზე სრულიად არაფერს ან ძლიერ ცოტას ვწერთ. საკუთრივ რუსთველოლოგების ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა საერთოდ. მწერლებთან შედარებით, მაინც ნაკლებპოპულარულია და ასეთებზე ჩვენ შედარებით ვრცლად ვჩერდებით

* ამჟამ მიზეზის გამო წიგნიდან ამოვიღეთ: რამდენიმე წერილი რუსთველოლოგიურ საკითხთა რიგი მკვლევრისა და პოპულარიაზატორის შესახებ, და მატება — „ნიბლიოგრაფია რუსთველოლოგიური უახლესი ლიტერატურისა“ და ილუსტრაციები (რუსთველოლოგთა ფოტოსურათები). ვიმედოვნებთ, დაიბეჭდება მეორე წიგნში.

(მაგ., მარი ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ალ. ხახანაშვილი, იუსტ. აბულაძე და სხვა).

რუსთაველის მკვლევრის დასახასიათებლად არაა საკმარისი მხოლოდ მისი რუსთველოლოგიური ნაშრომის განხილვა. უმჯობესია ითქვას მის საერთო დამსახურებაზეც.

ავტორებს წარმოვადგენთ არა გვართა ანბანურ რიგზე, არამედ ძირითადად მათი დაბადებიდან და რუსთველოლოგიური ნაშრომთა გამოცემის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ამ რიგით საკითხებზე შეხედულებათა განვითარების ისტორია უკეთ ვლინდება.

ზოგჯერ ჩვენ ვახსენებთ ავტორს, აღვნიშნავთ მისი ნაშრომის გამოცემის წელს და თვით ნაშრომის ან პერიოდული გამოცემის სახელწოდებას, რომელშიც ასეთი ნაშრომი ან წერილია დაბეჭდილი, აღარ ვსახელებთ. ასეთები უფრო ცნობილია ან მკითხველი (გვარისა და აღნიშნული თარიღის მიხედვით) ადვილად იპოვნის გ. იმედაშვილის წიგნში — „რუსთველოლოგიური ლიტერატურა“ (თბ., 1957). აუცილებლად მიეუთითებთ ისეთ წყაროებზე, რომლებიც ხსენებულ ბიბლიოგრაფიაში არ იხსენიება.

ავტორი გრძნობს, რომ წიგნის სხვადასხვა დროსა და პირობებში დაწერილი სტატიები ერთნაირი სირთულით არაა წარმოდგენილი ნაშრომში.

ზოგიერთი მეორეხარისხოვანი საკითხებიცაა წამოჭრილი, მაგრამ თუ ყველაფერი არა გვაქვს თქმული, ესეც მომავალში შეიძლება გაკეთდეს, რადგან რუსთველოლოგია შედარებით ახალი, მზარდი მეცნიერებაა. მისი საკითხების კვლევა-ძიება გუშინ არ დაწყებულა და დღეს და ხვალ ვერ დამთავრდება.

1. კ რ ე ზ ლ ი „ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს“, I გამოცემა—თბ., 1937, II გამოც.— თბ., 1966.
2. იხ. ქვემოთ—ვახტანგ VI. 3. ალ. ბარაშიძე. შოთა რუსთაველი, თბ., 1958; მისივე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966.
4. გ. იმედაშვილი. რუსთველოლოგია. ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა, თბ., 1941.
5. იხ. ქვემოთ—ნ. მარო.
6. იხ. ქვემოთ—ე. თაყაიშვილი.
7. „ვეფხისტყაოსნის“ იუსტ. აბულაძისეული გამოცემები, თბ., 1914 და 1926 წ. 8. „ვეფხისტყაოსნის“ სარგის კავაბაძისეული გამოცემები, თბ., 1913 და 1927 წ.; შტრ. ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966.

მახტანგ მენაქსე

მშობელი ერის მიერ სჯულმდებლად წოდებული ვახტანგ მეექვსე (1675 — 1737) ქართლის მეფე (1703 — 1711) თავისი დროის უდიდესი ქართველი მეცნიერი იყო. ჩვენი მწერლობის სახელგანთქმული ისტორიკოსი კორნელი კეკელიძე მას შემდეგი სიტყვებით ახსიათებს: „როდესაც ვახტანგი ქართლის გამგე შეიქმნა, ის ჩვენ გვევლინება როგორც ჭკვიანი, ენერგიული, განათლებით აღჭურვილი და ახოვანი ადამიანი. მის განათლებას ორმაგი ხასიათი ჰქონდა: სასულიერო და საერო; ზედმიწევნით იცოდა საეკლესიო ლიტერატურა და აგრეთვე საერო მწერლობა, ქართული და სპარსული. ამავე დროს ის იყო ნამდვილი მეცნიერი და მოტრფიალე მეცნიერებისა“ (3, გვ. 593).

ვახტანგ მეექვსე წერდა ლექსებს, რომლებშიც ასახულია ავტორის ძნელი და რთული, ღრმაშინაარსიანი და ბოზოქარი ცხოვრების სულიერი მხარეები. ალ. ბარამიძემ მის პოეზიას მ ე ლ ა ნ ქ ო ლ ი უ რ ი ლ ი რ ი კ ა უწოდა, ხოლო ვახტანგის კარს კი — თავისებური მ ც ი რ ე ა კ . ა დ ე მ ი ა, სადაც თავს იყრიდა მაშინდელი ყველა განათლებული ქართველი და ყოველი მათგანი საკუთარი მოწოდების საქმეს პოულობდა (2).

ცნობილია, რომ ვახტანგ VI საქართველოს რუსეთთან დაახლოებას ცდილობდა და ამ მხრივაც ბევრი გააკეთა.

სტამბურად გამოცემული პირველი ქართული წიგნი (შეიძლება ასეც ეწოდოს) იყო სტეფანე ჰაოლინის მიერ შედგენილი „Dictionario Georgiana e Italiano — ქ ა რ თ უ ლ - ი ტ ა ლ ი უ რ ი ლ ე ქ -

სიკონი“. იგი ქართული მხედრული და ლათინური (ენა — იტალიური) ასოებით გამოიცა 1629 წელს რომში.

ასეთივე ნარევი შრიფტით გამოიცა ფრანცისკო-მარია მაჯიოს „ქართული ენის გრამატიკა“ (რომი, 1670).

თუ თავფურცლის რუსულ ტექსტს გამოვრიცხავთ, ქართული პირველი ე. წ. ხუცური ასოებით აწყობილი წიგნია „დავითნი“ (მოსკოვი, 1705).

პირველი სტამბა საერთოდ კავკასიაში და კერძოდ — თბილისში ვახტანგ მეექვსემ დააარსა 1709 წელს.

ვახტანგმა ირგვლივ შემოიკრიბა ქართველი მეცნიერები და ამ სწავლულ კაცთა დახმარებით გამოიმუშავა ჩვენი უდიდესი მათიანის — „ქართლის ცხოვრების“ — ახალი XIV საუკუნიდან მოყოლებული რედაქცია. მისი ძველი ნაწილიც დალუპვის კარზე იყო მიმდგარი. ისიც ვახტანგმა გადაგვირჩინა და ჩვენი ეროვნული სიამაყე „ვეფხისტყაოსანიც“ დიდადაა მისგანვე დავალებული.

სწავლულ კაცთა კომისიის უდიდეს ტექსტოლოგიურ მუშაობას ვახტანგი მეთაურობდა. უკანასკნელის რედაქტორობითვე გამოიცა ქართული წიგნები. მათ შორის — „სახარებე“ (თბ., 1709, 302+2 გვ., 29 X 30 მოცულობისა, ე. წ. ხუცური ასოებით). მას თავფურცელზე აწერია კიდევ: „...ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა“. აქვე მხედრული ასოებით გამოიცა „კონდაკი“ (თბ., 1710), „ჟამნი“ (1722) და სხვა (7; შდრ. „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, 1629—1920 ტ. I“, თბ., 1941).

*

საქართველოს XVIII საუკუნის კულტურის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ვახტანგის რედაქციით გამოსული წიგნი: „შოთა რუსთველი. ვეფხისტყაოსანი. აწახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლისა ვახტანგისსა: შრომითა და წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა (თბ., 1712, 4+351 გვ. 29 X 22 სმ.). იგი შეიცავს ცნობას: „...ქემან დიდად პათიოსნის ლევანისამან, მპყრობელმა საქართველოსმან ვახტანგ მოვიყვანე მესტანზე ვლახეთით და გავაქეთე სტამბა საჯსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა

მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის. სალხინე-
ბელად სულასა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა, ჩერქეზის ბატონის ასუ-
ლისა, დედოფლის რუსუდანისა და ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრ-
დელად“.

ვახტანგის ეს გამოცემა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა ჯერ
კიდევ მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში*. იგი აღადგინა ა. შა-
ნიძემ 1937 წელს, „ვეფხისტყაოსნის“ დაწერას 750 წლისთავისადმი
მიძღვნილ იუბილესთან დაკავშირებით. ამ წიგნის თავფურცელზე და-
ბეჭდილია:

„შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, ვახტან-
გისეული გამოცემა 1712 წლასა, აღდგენილი აკაკი შანიძის
მიერ, თბილისს 1937“.

ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენილ გამოცემას ახლავს
ა. შანიძის წინასიტყვაობა, ერთვის ძველ გამოცემაში გაპარულ „შეც-
დომათა გასწორება“ (გვ. 343 — 349) და „კორექტურულა შეცდომების
სია“ (349 — 366), „ვახტანგისეული ლექსიკონა“ ანუ კომენტარებში
ახსნილი სიტყვები (გვ. 367 — 387), გამოკვლევა „ვახტანგის დედანი
ვეფხისტყაოსნისა“ (388 — 393), ვახტანგის გამოცემის „გამოტოვე-
ბული შაირები“ (7 სტროფი, გვ. 393 — 394) ჩვენამდე მოღწეული
ვახტანგისეული გამოცემის 18 ეგზემპლარის ვრცელი ბიბლიოგრა-
ფიული აღწერილობა (გვ. 395 — 403) და სხვა ცნობები.

ეს დამატებები და თვით ვახტანგისეული გამოცემის მთლიანი განა-
ხლება არის ჭეშმარიტად ღირსეული დაფასება დიდი ვახტანგის უკვდა-
ვი ამაგისა და რუსთველოლოგიის ერთი საუკეთესო მონაპოვართაგანია.

დიდმნიშვნელოვანია კითხვა: როგორია ვახტანგის გამოცემის ტექს-
ტი, იგი „ვეფხისტყაოსნის“ რომელიმე ძველი ხელნაწერის ნაბეჭდი
პირია, თუ ხელნაწერთა შედარებითი, კრიტიკულად შესწავლის შედე-
გად დადგენილი ტექსტია?

* ა. შანიძის ვარაუდით, გამოცემის ტირაჟი 400-ზე ნაკლები არ უნდა ყოფი-
ლიყო. მათგან ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ 19 ეგზემპლარი, — 18 აღწერა ა.
შანიძემ (რუსთაველის პოემის 1712 წლის პუბლიკაციის 1937 წელს აღდგენილი
გამოცემა) და მე-19 კი—ანდრ. აბრამიშვილმა (იხ. „თბილისის“ უნივერსი-
ტეტი შოთა რუსთაველს, საიუბილეო კრებული“, თბ., 1966, გვ. 277
—292).

ე. თაყაიშვილმა პირველმა აღნიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა გ ა ც ხ რ ი ლ უ ლ ი (ა ნ უ კ რ ი ტ ი კ უ ლ ი) ტექსტის შემცველიაო (იხ. ქვემოთ — ე. თაყაიშვილი). იუსტ. აბულაძე და განსაკუთრებით კი პ. ინგოროყვა მას ხელნაწერის პირად აღიარებდნენ. პ. ინგოროყვა წერდა: „ვახტანგს დაუბეჭდავს ერთ-ერთი ძველი ვარიანტი ვეფხის ტყაოსნისა...“ (1, გვ. 390 — 393).

ა. შანიძე, უმთავრესად ვახტანგის „კომენტარების“ საფუძვლიანი შესწავლითა და სხვა მხარეების გათვალისწინებით, ასეთ დასკვნამდე მივიდა: ვახტანგ VI დროს არსებული „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე (57 თავიანი) და ვრცელი (67 თავიანი) რედაქციები (იქვე, გვ. 338). „ ვ ა ხ ტ ა ნ გ ს , — წერს ა. შანიძე, — გაუცხრილავს ვეფხის ტყაოსნის ტექსტი. პირველი გამოცემა ვეფხის ტყაოსნისა არის ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი და არა უცვლელად დაბეჭდილი რომელიღაც ძველი ხელნაწერი, ვახტანგისეული ვეფხის ტყაოსანი არის შეძლებისამებრ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი“ (1, გვ. 393).

ამავე აზრამდე მივიდა პოეტი - რუსთველოლოგი კ. ჭიჭინაძე, რომელიც ა. შანიძის საპასუხოდ წერს: „მთელს ჩემს მუშაობას „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო წითელი ზოლივით გასდევს იმის მტკიცება, რომ ამ რედაქციაში მოცემულია კრიტიკული, ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი პოემისა“ (8, გვ. 149).

ეს მართალია, ასეთი აზრი აღრევე ჩანს კ. ჭიჭინაძის ნარკვევებში, მაგრამ მან მაშინ მას მყარი საფუძველი ვერ მოუძებნა და ვერც თვით ეს დებულება გამოთქვა ნათლად. ა. შანიძემ კი ვახტანგის „თარგმანებში“ გამოავლინა „ვეფხისტყაოსნის“ ისეთ სტროფთა კომენტარები და შეცვლილი ფორმები (გვ. 391 — 393), რომლებიც 1712 წლის გამოცემის ტექსტში არ მოიპოვება. ნათელი გახდა, რომ ვახტანგს კომენტარების გაკეთება, ვრცელი რედაქციის ტექსტის მიხედვით დაუწყია, გამოუცია კი მოკლე რედაქცია (ამბავი ტარიელის გამეფებამდე).

ალ. ბარამიძის აზრითაც, „ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი სიუჟეტურად წარმოადგენს პოემის მოკლე რედაქციას. ხელნაწერებით ნაანდერძევი ტექსტი ვრცელ რედაქციას გვაძლევს“ (9, გვ. 5).

ახლა შევეხოთ უმთავრეს საკითხს: რას წარმოადგენს ვახტანგის კომენტარები და რა არის მათში ახალი.

შ. რუსთაველის პოემის 1712 წლის გამოცემის ტექსტს ახლავს „თ ა რ გ მ ა ნ ი“, ანუ კომენტარები, „წ ი გ ნ ი ს ა ა მ ი ს ე ფ ე“

წესტყაოსნისა: თქმული ბატონის შვილის გამგებელს პატრონის ვახტანგისა“ (გვ. ს 3 ვ).

ამ თავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ VI „ვეფხისტყაოსნის“ პირველი კომენტატორი არაა. იგი თვითონვე აცხადებს: ჩემამდეო წიგნსა ამას „უუღუნარობა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდნენ...“ (გვ. ს 3 ვ). ის შემდეგაც იმეორებს: აღრევე „მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. ს 3 ზ), მაგრამ, ჩანს, ვახტანგს არ აკმაყოფილებდა ის თარგმანები და მას არსებულა და პოემისავე მანამდე განუმარტავი აზრები, სტრიქონები და სიტყვები თავისებურად განუმარტავს, ანუ უთარგმნია. ეს კომენტატორი შენაშნავს: „ერთი შე ასე მივხვდი და მითქუამს“, თქვენ როგორც გინდათ, გაიგეთ, ოღონდ რუსთაველს ნურაფერს მიაწერთო.

მართლაც, როგორც ეს დაე. ბრეგაძემ უკვე აღნიშნა, — „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე დანართი სტროფები:

„პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად....

თუ უყურა მონაზონმან, შეიქმნების გაპარსულად“,

ან კიდევ:

„საერთა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად“ (10, გვ. 1) და სხვა, კომენტარებია, რომლებიც ვახტანგამდელ ავტორებს ეკუთვნით. დ. ბრეგაძე იმასაც დასძენს, რომ რიგი აღრინდელა „თარგმანები“, რომელთა ავტორებს ვახტანგ VI აგრე სასტიკი პოლემიკური სტილით პასუხობს, შეიძლება აღარც მოღწეულა ჩვენამდე, მაგრამ ვახტანგს კი ხელთ ჰქონდაო.

რუსთაველის გარშემო XV—XVIII საუკუნეების პოლემიკაშიც ბევრი შემთხვევა შეიმჩნევა „ვეფხისტყაოსნის“ აზრთა თავისებური კომენტირებისა.

პირველი და უმთავრესი, რაც ვახტანგ მეექვსემ ახალი თქვა და რუსთაველოლოგიაში საბოლოოდ დამკვიდრდა, ეს ისაა, რომ მან „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ორიგინალობა აღიარა.

„ვეფხისტყაოსნის“ სტროფი:

„მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკილისა...“ ვახტანგ მეექვსემ ასე განმარტა: თამარ მეფემ „უბრძანა მის მდივანს — რუსთაველს“ სპარსეთში რომ კარგი მელექსეობა იციან, კარგი ქმნი-

ლებები რატომ მხოლოდ იქ „იყოსო, რომე ქართლშიაც არ იყოსო“ (გვ. ს. 4 ე.) აბა, შენ „ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო“, და რუსთაველი ამიტომ ამბობს: მიბრძანესო და გვიხსნის სპარსული ლექსის მიბაძვით ვთქვიო, — „სპარსთაგან ვსთარგმნეო, თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება, ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც“ მანვე თქვა (გვ. ს. 4 ე.). ამასვე ავტორი იმეორებს: „ლ ე ქ ს ი ც ი მ ა ს (რუსთაველს) გ ა უ კ ე თ ე ბ ი ა და ა მ ბ ა ვ ი ც ა“ (გვ. ს. 4 ა; ხაზი ჩვენია, ი. მ.), ე ს, „ა მ ბ ა ვ ი ს პ ა რ ს შ ი ა რ ა რ ი ს“ (გვ. ს. 4 ე, ხაზი ჩვენია; ი. მ.).

მ ე ო რ ე, რაც აგრეთვე დამკვიდრდა რუსთაველოლოგიაში, ეს ისაა, რომ ვახტანგ მეექვსემ პირველმა თქვა: რ უ ს თ ა ვ ე ლ ი თ ა ვ ის ი ე პ ო ქ ის ქ რ ი ს ტ ი ა ნ ი ი ყ ო ლ ო.

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, საქართველო არ ყოფილა რელიგიური მწვალებლობის ქვეყანა, მაგრამ აქაც იცოდნენ, რომ საღვთო სიტყვის, ანუ სასულიერო პოეზიის მთავარი ობიექტი — ღმერთი — ზეცაშია; რუსთაველი კი წერს ქ ვ ე ც ი უ რ — ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, ადამიანსა და მის გრძნობებზე. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ ჩვენი პოეტის ქმნილება ანტისასულიერო ხასიათისაა და, ცხადია, მას რეაქციულ-კლერიკალურ წრეებში იმაზე მეტი მოწინააღმდეგე ეყოლებოდა, ვიდრე ეს მწერლობაშია ასახული.

ჩანს ისიც, რომ პოემა „ვეფხისტყაოსანი“ XVII საუკუნეში კიდევ უფრო პოპულარული გამხდარა, ვიდრე წინა საუკუნეებში ყოფილა. თვით ვახტანგის სიტყვებიდან გამოსჰქვივის, რომ რუსთაველს ბრალს სდებდნენ: მის წიგნს კითხულობენ და საეკლესიოს აღარაო. ვახტანგ მეექვსემ პოემის ამბის დასაწყისს „ი ყ ო ა რ ა ბ ე თ ს რ ო ს ტ ე ვ ა ნ . . .“ ასეთი კომენტარი გაუკეთა. ს ა ე რ ო წ ი გ ნ ი რ უ ს თ ა ვ ე ლ მ ა ი მ ი ტ ო მ შ ე ქ მ ნ ა, რომ მან „ნახა საღმთო (წიგნს) არაეინ კითხულობდა (,) სოფლიოს ზღაპარს [ამბავს ი. მ.] უფრო წაიკითხვედენ“.

ასეთი ზღაპარი [ამბავი, — „ვეფხისტყაოსანი“] მოიგონაო [შეთხზა] („თარგმანი“, გვ. ტბ., მუხლი ლბ.).

უფრო ადრეც, თეიმურაზ პირველის (1589—1663) მოწმობით—

„არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“,

ან კიდევ —

„სამღვთო წიგნი ბევრი წახდა უყლოთა და უბუღობით, საშიაროს ინახედენ სტავრის ბუღით ან ნახლობით“.

რუსთაველის, ჩახრუხაძისა და შავთელის დროის საქართველოში რომ მართლაც ძალიან მაღალი საზოგადოებრივი გემოვნება არსებობდა, ამის უტყუარი ფაქტები ხსენებულ პოეტთა ნაწერები და ჩვენი ხელოვნების იმდროინდელი ძეგლებია, მაგრამ XV—XVII საუკუნეებშიც კი, საეკლესიო წიგნებს აღარაფერ კითხულობდაო, არაა სწორი; ეს არც ვახტანგის ეპოქას შეეფერება.

მაშასადამე, გადაჭარბებულია ზოგიერთთა მტკიცება, რომ XIII—XIV საუკუნეების საქართველოშიც ისევე სდევნიდნენ „ვეფხისტყაოსანს“, როგორც XVII—XVIII საუკუნეებშიო. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ეს პოემა რუსთაველის ეპოქაშივე მოისპობოდა და მით უფრო იგი მონგოლების ჩვენში თვითნებობის ათეულ წლებს ვერ გადაურჩებოდა.

ქართული ლიტერატურის აღორძინების პერიოდში რუსთაველის მიმართ მის მოწინააღმდეგეთა მხრივ ძირითადი ბრალდება ის იყო, რომ ღმერთსა და ქრისტეს არ აღიღებსო და საეკლესიო კლერიკალთა ზოგიერთი წარმომადგენელი, და არა ყველა, მას გზას უხშავდა. სწორია ალ. ბარამიძე, როდესაც ამ მოწინააღმდეგეთა წრეს ავიწროებს და ასე აზუსტებს: „როცა ჩვენ ვლაპარაკობთ საეკლესიო-კლერიკალურ საზოგადოებაზე, მხედველობიდან არ ვუშვებთ იმ გარემოებას, რომ ამ საზოგადოების გავლენის ქვეშ ექცეოდა საერო წრის ზოგიერთი წარმომადგენელიც. მეორე მხრით, არა ერთსა და ორ სასულიერო პირს გულწრფელი სამსახური გაუწევია ვეფხისტყაოსნისათვის. რუსთაველის დიდი მოყვარული და მისი პოემის გადამწერ-გამავრცელებელი ყოფილა, როგორც ვიცით, XVII საუკუნის მეორე ნახევრის დიდი საეკლესიო მოღვაწე მიტროპოლიტი იოსებ თბილელი (სააკაძე). რუსთაველის პოეზიის თაყვანისმცემელი იყო მღვდელი იესე ტლაშაძე და სხვა“ (6, გვ. 377—507).

ვახტანგ მეექვსემ იცოდა „ვეფხისტყაოსნის“ ფასი; მას კარგად ესმოდა ამ პოემის უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა, და როგორც მეფემ და მბრძანებელმა, განიზრახა დაეცვა ეს წიგნი, გადაწყვიტა რუსთაველის სახელის სრული რეაბილიტაცია და „ვეფხისტყაოსანში“ ასახული ადამიანური სიყვარული საღვთო სიყვარულად გამოაცხადა. სტროფი, რომელიც იწყება სიტყვებით, „ხამს მიჯნური ხანიერი....“ მან ასე განმარტა:

„ზ ა მ ს მ ი ჯ ნ უ რ ი ხანიერი: ეს გასინჯეთ (,) თუ ქალის მიჯნუ-
რობაზედ ეთქვას, ხანიერად რომ იმიჯნურონ (,) ქალი დაბერდება და
კაცი; მერმე ბერიკაცისა და დედაბრის შეყრას რა ქელი ეყრება....
მაგრამ საეროდ და სამღუდელოდ ამბობს“ (გვ. ს 17 გ, მუხლი ი).

და ასე შემდეგ, სადაც კი ამის საბაბი აქვს, მეფე-კომენტატორი
ყველგან ამბობს, რომ რუსთაველი ღეთის მუდმივ სიყვარულზე
ლაპარაკობს და არა ცოლ-ქმრისაო,

„სასუფეველსათვის სულაქმა და უში გქონდესთ“.

მაგალითად, სტროფის „ მ ი ჯ ნ უ რ ო ბ ა არის ტურფა, საცოდ-
ნელად ძნელი გვარი...“ კომენტარში ვახტანგი ამბობს: „აქა აჩენს (,) ქალის მიჯნურობა რა ძნელი გვარია. [ასეთი მიჯნურობა] ლოთებმაც
იციან(,) რა საძნელო დასაწერია. მაგრამე მიჯნურობას საღმთოს მიჯ-
ნურობისათვის ამბობს: ძნელი გვარი არისო(;) აქ აჩენს (:) მიჯნურო-
ბასა და სიძვაში დიდი ზღვარი ძესო“ (გვ. ს 17 ბ, მუხლი თ).

ვახტანგ VI ყოველნაირად ცდილობს „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულის,
ე. ი. იმ უმათვრესი. მოტივის (რომელშიც რუსთაველს ყველა სხვა მო-
ტივზე უფრო აკრიტიკებდნენ) ასეთი გაგება დაამკვიდროს, რომ ეს
საღეთო სიყვარულიაო. ამიტომ თავის აზრს ამ საკითხზე რომ მეტი
ძალა მიანიჭოს, ის ამ აზრს უმძღვარებს სიტყვებს: ამას მეფე ელაპარა-
კობ: —

„მ ე ვ ს წ ე რ ძმის წული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა(,) გამგებელი ქართლისა(,) ვახტანგ წიგნსა ამას ამისათვის [, რომ] უცო-
დინარობითა და სოფლას ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდ-
ენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა (რუსთაველისა) კეთილად ნა-
მუშაყვეისა სამუშაყოსა, მსგავსად თვალთა (,) რომელთა ვერა სცნობენ
მცნობელნი, და ჭიქასა ქვად პატიოსნად სახელ სდებენ და მარგალიტ-
თა მძივად პატრე სცემენ.... აწ მე ამისათვის დაეშვერ (,) ეს ხომ ყო-
ველთა მეცნიერთაგან საცნაურ არს (,) რომ ესე ვითარი მეცნიერი კა-
ცი არცა დაშვებოდა წარსაწყმედელად, და რადგან ქრისტიანი იყო(,) არცა აღუდგებოდა ესე ოდენსა ხანსა....“ (გვ. ს 3 ვ, ს 3 ზ).

ავტორი დასძენს: „რომელნი არიან მეცნიერ(,) სცნობენ ესრეთ
(,) ვითარ (მე) განმიმარტვის....“ მე თვითონ „ასე მიგხვდი, რაც რუს-
თაველისაა (,) იმას გარდა არა მითქვამს რა“.... ამის შემდეგ, რაც მე
ვერ მოვასწარი, თქვენცაო, — მიმართავს ვახტანგი სხვებს, — „ამ
გზით თარგმნიდეთ!“ (გვ. ს 3 ზ).

პოემის ასეთ გაგებას იგი ამგვარადაც ასაბუთებს: „თავით რუსთველის დროს ქალი ბატონობდა“ და მეძაობის სიყვარულზე „სიტყუა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და [მეფე ქალი] როგორ არ უწყენდა“. ამის გარდა, — განაგრძობს ვახტანგი, — რუსთაველის დროს „ორი კათალიკოზი (,) რამთონი წმინდა კაცნი იყუნენ და ამთონი უღაბნო აშენებულ იყო, ისინი (,) თუცა რუსთველს მოენდომებინა (,) როდის აქნევიანებდენ და ნათქუამს დაუხვეველს როდის გაუშვებდენ“ (გვ. ს 3 ო).

ბ. მარმა ვახტანგის აზრებს რუსთაველის პოემის სიუჟეტის ორიგინალობისა და პოეტის ქრისტიანობის თაობაზე, მთლიანად მის კონცეფციას, ერთ დროს «великая царственная ложь» უწოდა, ხოლო საკუთრივ მეორე საკითხზე მისივე მსჯელობა «детски-наивная мот-твировка»-დ გამოაცხადა*.

უმათვრესად ვახტანგის მეორე აზრის გამო იყო, რომ „არქიეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი ვახტანგს . არ მოერიდა, უდიერად დაჰგმო მისი განმარტება“ (ალ. ბარამიძე) და რუსთაველს „მთქმელი ლექსთა ბოროტთა“ უწოდა.

ასევე მიიჩნია ვახტანგის „თარგმანება“ და რუსთაველის ლექსს ასეთივე თვალთ შეხედა ანტონ პირველმა და ზოგიერთმა სხვამაც (11). რუსთაველის წინააღმდეგ ამხედრების მიზეზი მხოლოდ ის არ იყო, რომ პოეტმა თავისი პოემის სიუჟეტს სპარსული უწოდა და უცხო მეფეებზე ვწერო, რომ თქვა; არც მხოლოდ ის, რომ ამ საკითხზე ვახტანგის კონცეფცია იყო ზოგიერთთათვის მიუღებელი.

ვახტანგ მეექვსე ძალიან წინდახედული კაცი ყოფილა. მას უგრძენია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულის ღვთიურ სიყვარულად გამოც-

* Н. Я. Марр. Об истоках творчества Руставели и его поэме, тб., 1964 წ., გვ. 162.

ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე ვ ვახტანგის ზოგიერთ კომენტარს ბევრჯერ ახსნას უწოდებს, იხ. მისი, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955.

* ბ. მარმის ხსენებული წიგნი მიძღვნილია ავტორის დაბადების 100 წლისთავსადმი და აწერია ე ძ ღ ე ნ ე ბ ა. შ ი ძ ე ნ ი ლ ი ს (посвящается) მაიერ ჩვენ ვაჭობინეთ ფორმა ე ძ ღ ე ნ ე ბ ა (1963, 1964, 1965 და შემდეგი წლები). პირველად ზოგიერთებს ეხამუშა ეს ფორმა, — სრული ასპექტის ფორმა — შ ი ძ ე ნ ე ბ ა — მაინც დაგეწერათო. შემდეგ რამდენიმე კრებული გამოიცა ე ძ ღ ე ნ ე ბ ა-ს აღნიშვნით. გამონაკლისს ა. შ ა ნ ი ძ ი ს ა დ შ ი მიძღვნილი კრებული „ო რ ი თ ი“ (თბ., 1967). წარმოადგენს

ხადების გამო მას გამოედავებოდნენ და მოდავეთა მიმართ პასუხი წინასწარ მოუმზადებია: მე რომ აგრე ვამბობო, — აცხადებს ვახტანგი, — ვთქვათ, ასეც არ იყოს და სხვაგვარად იყოს, შეფასება — „თარგმანი, ხომ ასე სჯობს... ქვეყნის უფროსი ავის დამწლეული ჯამს და ამაღლავშვერ“ (გვ. ს პ 5).

ამას ამბობს კაცი, რომელსაც ბევრი უსიამოვნება შეხვდა იმის გამო, რომ ის შაჰის კარზე იყო მანამ, სანამ გამეფდებოდა, მისგან დაეინებით მოითხოვდნენ გამაჰმადიანებას, მაგრამ ეს „მამა-პაპათა სარწმუნოების დაცვას პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მას, თვითონ სჯულმდებელს, ეკუთვნის, როგორც ვიცით, სამეფო ხელისუფლების ასეთი განსაზღვრა: „თუ მეფეს მეფობა შეეძლოს, ქნას: თუ არა — მეფობის უქონლობა სჯობს და ხელი აიღოს“ (ვ. დონდუას კომენტარით იხ. კრებ. „მიმომხილველი“, III, თბ., 1953, გვ. 32—33).

ამას ამბობს დიდი ქართველი მოღვაწე და ის თავის სახელოვანი თანამემამულე რუსთაველის ქმნილების თუნდაც მხოლოდ სიუჟეტს სპარსულიდან ნასესხებად ჩათვლიდა და ან პოეტის შეხედულებას სიყვარულზე აღიარებდა სჯულის მაგნებლად? ამიტომ ის ყოველი შესაძლებლობით ცდილობს პოემის დაცვას და მის ჰოპულარიზაციას.

შევნიშნეთ, რომ პოემას მისი მტრები არა მარტო სიუჟეტის საკითხის გამო სდევნიდნენ, არამედ მასში ღვთიურ სიყვარულს არ ხედავდნენ. არსებობს ცნობა, რომ ზოგიერთები რუსთაველის პოემის 1712 წლის გამოცემის ცალკების ფიზიკურად მოსპობას, განადგურებასაც კი არ მოერიდნენ. ამის უმთავრეს მიზეზად იდეოლოგიურ ბრძოლას თვლიან, მაგრამ ზოგი მის ერთ-ერთ მიზეზად მაინც მატერიალურ დაინტერესებასაც აღიარებს, — პოემის ტექსტის გადაწერაში კარგ ხელფასს იღებდნენ და ამიტომ კალიგრაფები სპობდნენ ნაბეჭდ ცალკებსო. შეიძლება, ასეთი ვინმეც იყო ქვეყანაზე, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს მთავარი მიზეზი. ზოგიერთი სხვა მკვლევარი და კერძოდ სოლ. ყუბანეიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ მიზეზად ხსენებულ წიგნში მოთავსებულ ვახტანგის კომენტარებს („თარგმანები“) თვლის („ლიტ. ძიებანი“, I, თბ., 1949, გვ. 107, 109, 123).

თუ ერთადერთი არა, სარწმუნოა, რომ პოემის გამოცემის ცალკების ფიზიკური განადგურების ერთ-ერთი მიზეზი ეს იყო (მეორე მიზეზი

1895 წელს თბილისის დაწვება (იხ. „ვეფხისტყაოსნის“ II გამოცემის პროგრამა, გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1965 № 34).

აქედან ისიც ცხადია, რომ არ არიან მართლები, რომლებსაც სურთ დაამტკიცონ, „ვეფხისტყაოსნის“ არაფერ არ სდევნიდაო (მაგ., მ. გუგუშვილი, იხ. მისი „პოლემიკა რუსთაველის გარშემო“, თბ., 1966).

ტრ. რუხაძეს ამ დევნის სოციალ-იდეური მოტივებიც აქვს აღნიშნული (11) და ალ. ბარამიძე ნაშრომში „ბრძოლა რუსთაველის გარშემო XV—XVIII სს. ქართულ მწერლობაში“ (11) კიდევ უფრო ნათელყოფს, რომ ეს იყო სწორედ ბ რ ძ ო ლ ა.

ჩვენი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ აღნიშნულ საუკუნეებში წარმოებდა ბ რ ძ ო ლ ა ც და პ ო ლ ე მ ი კ ა ც, მაგრამ ამას ეწეოდა თითო-ოროლა პიროვნება. უმრავლესობა კი იცავდა რუსთაველის სახელსა და მის ქმნილებას.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გულწრფელი პატივისმცემელნი სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შორისაც იყვნენ. მართალია სოლ. ყუბანეიშვილი, როდესაც წერს: „ზოგიერთმა მკვლევარმა სამღვდელოებას, გარდა „ვეფხისტყაოსნის“ განადგურებისა, ისეთი რამეც კი დასწამა, რაც მას არათუ ჩაუდენია, აზრადაც არ მოსვლია. მაგ., გ. იმედაშვილი 1940 წელს წერდა, რომ „კლასიკური“ ხანის შემდეგ, საეკლესიო ფენა „იდეოლოგიური ბრძოლიდან გადავიდა ფიზიკურ ბრძოლაზე“, რომელიც, მისი აზრით, „გამოიხატა კულტურული ძეგლების განადგურებაში (sic!), რასაც ეკლესიის მსახურნი სარწმუნოების სახელით ანხორციელებდნენო“ (ყურნ. „მებრძოლი ათეისტი“, 1940, № 10, გვ. 115).

ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების ანტირელიგიური პროპაგანდის დროს ჩვენში კულტის მსახურებს ბევრი ბრალი დაედოთ, მაგრამ ისინი კულტურის ძეგლებს ანადგურებდნენო, სწორი არაა.

•

„ვეფხისტყაოსნის“ „ინახავდა და იცავდა ხალხი და მისი საუკეთესო მოაზროვნე ნაწილი“, ქართული მწერლობის მოწინავე მოამაგენი, რომელთა რიცხვში იყვნენ ჩვენი საზოგადოებრიობის ყოველი ფენის წარმომადგენელი, და მათ შორის მეფეებიც (თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგი) და მოწინავე სასულიერო პირები.

„ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულის თემის ინტერპრეტაციაში ვახტანგ VI მართალი არ იყო, მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვით, პოემის ავტორის რუსთაველის რელიგიური-ქრისტიანული მიმართულების თაობაზე, ვახტანგი მართალი გამოდგა; ნ. მარი ცდებოდა, როდესაც მან რუსთაველი მაჰმადიანად გამოაცხადა.

ვახტანგ მეექვსის მიერ გამოთქმული „ვეფხისტყაოსნის“ სტროფთა და სტრიქონთა კომენტარების დიდი უმრავლესობა და ბევრ აფორიზმთა მისი გაგებაც დამკვიდრდა რუსთველოლოგიაში.

ამავე მეცნიერის ლექსიკონი „ვეფხისტყაოსნისა“ დიდი განძია რუსთველოლოგთათვის. ვახტანგმა იმუშავა არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონზე, არამედ თვითონვე იყო საბა ორბელიანის (1658—1725) სალექსიკოლოგია მუშაობის სულისჩამდგმელი და დიდი მფარველი. ცნობილია, რომ ს. ორბელიანის აღზრდილმა ვახტანგ მეექვსემ აღმზრდელის ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს მხატვრული „სიტყვის კონა“ უწოდა, მანაც იღვაწა ამავე ლექსიკონის განმარტებების დაწესებასა და სიტყვებით გამდიდრებაზე, ანუ ლექსიკონის სრულყოფაზე.

ისიც ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვათა განმარტებაში ვახტანგ მეექვსე ზოგჯერ ს. ორბელიანის განმარტებას იმეორებს (დ. კარიჭაშვილი, იუსტ. აბულაძე, ს. კაკაბაძე, ა. შანიძე, ილ. აბულაძე, ს. ცაიშვილი).

თვით ვახტანგ მეექვსეს „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკურ ძიებებში ისეთი დიდი რუსთველოლოგები გაუჩნდნენ მიმდევრებად, როგორც იყვნენ: თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი და სხვებიც და მათგანვე პირველას კონცეფციაც იქნა გაზიარებული.

რუსთაველის პოემის შედევრად აღიარებაში ვახტანგ მეექვსეს პოეზიაშიც ჰყავდა წინამორბედები და გამგრძელებლებიც, „იოსებ-ზილახანიანის“ მე-16 საუკუნის ავტორი მიმართავდა პოეტებს:

„მელექსენო, ნუ გგონიათ თავი რუსთველის დასადარი....“

თეიმურაზ პირველი (1589—1663) რუსთაველს „სიბრძნეს მინდობილს“ უწოდებს. ნოდარ ციციშვილი (მე-17 ს.) კი ამბობს: „რუსთველს არ დარჩა უთქმელი“ ლექსით.

ორივე ამას იმეორებს ისევ მე-17 ს. პოეტი ფეშანგი; იგი რუსთველს „სიბრძნით სავსეს“ უწოდებს და მის პოეტურ ხელოვნებაზე ამბობს: „თქმა რუსთველს დარჩა ლექსისა....“

აგრეთვე უტოლოდ თვლიდა რუსთაველს არჩილი (1647—1713). ამავე ტრადიციას აგრძელებენ პოეზიაში ვახტანგ მეექვსე, როცა ის წერს:

„რუსთველის ლექსი მეფეა ტახტზედ გვირგვინით მჯდომელი,....“

თეიმურაზ მეორე (1700—1761), დავით გურამიშვილი (1705—1792) და სხვები.



ვახტანგ VI არის რუსთველოლოგიის პიონერი, — მისი საფუძვლების ჩამყრელი და ქართველოლოგიის ამ დარგის დამწყები. ესაა ვახტანგის ისეთი დამსახურება, რომელიც მას პირველი მეცნიერი რუსთველოლოგის საპატიო სახელს სდებს და დიდ რუსთველოლოგთა რიცხვში ათავსებს.

საერთოდ, ვახტანგის „დაულალავი მოღვაწეობა, — ამბობს ივ. ჯავახიშვილი, — საქართველოს საკეთილდღეოდ ქართული ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო ფურცელს შეადგენს“, ვახტანგ მეექვსე იყო საქართველოსა და მშობელი ერის ერთ-ერთი უდიდესი პატრიოტი, მან დიდი ამაგი დასდო ჩვენს ხალხს, ჩვენს ეროვნულ აღორძინებას. მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი კულტურის ისტორიაში.

1. შოთა რუსთაველი. ვეფხის ტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, თბ., 1937 (შდრ. სარგ. ცაიშვილი. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბ., 1957). 2. ვახტანგ VI. თხზულებათა კრებული, აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1947. 3. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1958, გვ. 593—605. 4. სოლ. ყუბანციშვილი. ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 9—20. 5. აღ. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1952, გვ. 7—25. 6. აღ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1958; მისივე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966. 7. ა. შანიძე. ქართული სტამბის ისტორიისათვის. — კრებ. „ლიტერატ. მემკვიდრეობა“, I, თბ., 1935, გვ. 156—176. 8. კ. ჭიჭინაძე. რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1960 (შდრ. სარგ. ცაიშვილი. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის საკითხისათვის. — კრებ. „ლიტერატურული ძიება-

ნა^ა, IX. თბ., 1955. გვ. 313—324; მისივე, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ., 1953); 9. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1964. 10. „ვეფხისტყაოსანი“ ჩანართი და დანართი ტექსტებით, სოლ. ყუბანეიშვილის გამოცემა, თბ., 1956; 11. ტ. გაბაშვილი. მიმოსვლა, თბ., 1956 წ. უფრო დაწვრილებით იხ. ალ. ბარამიძე. ბრძოლა რუსთაველის გარშემო XV—XVIII სს. ქართულ მწერლობაში, თბ., 1952; ტრ. რუხაძე. ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ-იდეური მოტივები. — ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1941, გვ. 79—88; შდრ. ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კვრები, I, 1, თბ., 1962, გვ. 59—64.

იოანე ბაგრატიონი

თავისი დროის ერთი უგანათლებლესი ქართველთაგანი იოანე (იონა) ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი (1772—1829 ან 1830) იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგის (1798—1800) შვილი და ამიტომ იოანე ბატონიშვილის სახელითაა ცნობილი. მას განათლება მიუღია ჯერ მამის ოჯახში (საქართველოში) და შემდეგ რუსეთში.

ლექსებსა და მხატვრულ თარგმანებს გარდა, მას დაუწერია ენციკლოპედიური ნაშრომები, რომელთაგან ერთს ეწოდება „ს ხ ვ ა თ ა და ს ხ ვ ა თ ა ს წ ა ე ლ ა თ ა შ ე კ რ ე ბ ი ლ ე ბ ა ნ ი“, ანუ ენციკლოპედია, „სასწავლებლად ყრმათათვის“ (ავტორგრაფი გადაწერილია პეტროგრადში 1829 წელს); მეორეა — საბუნებისმეტყველო ენციკლოპედია (1814 წ.); შეუდგენია რუსულ-ქართული ლექსიკონი და, რაც მთავარია, დაუწერია „კ ა ლ მ ა ს ო ბ ა“, რომელზეც ავტორს 15 წლის განმავლობაში უშრომია (1813 — 1828). ესაა „დაბადებისოდენა“ ხელნაწერი. იგი შეიცავს მაშინდელი საქართველოს ბუნების, ზნე-ჩვეულების, სხვადასხვა კუთხის მეტყველების, მე-18 საუკუნის გასულის და მე-19 საუკ. დამდეგის საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის აღწერა-დახასიათებას და აუცილებელ ცნობებს მაშინდელი ევროპული მეცნიერების დონის მიხედვით თითქმის ყოველი დარგიდან. მაგ. „ფილოსოფიის, ფილოლოგიის, ისტორიის (საქართველოსა და მსოფლოსა), ტექნიკის, მედიცინის და თეოლოგიისა“ (კ. კეკელიძე, აღ. ბარამიძე).

ავტორი იუმორის დიდი გრძნობათ წარმოგვიდგენს კ ა ლ მ ა ს ო ბ ა ს, ანუ რ ო ჭ ი კ ი ს, მონასტრის სასარგებლოდ პურისა და ღვინის შემ-

გროვებელი მოგზაურის, თითქოსდა, დღიურებს. მეროქიკედ ავტორს გამოყვანილი ჰყავს ქიზიყელი დიაკონი იონა ხელაშვილი, რომელსაც ატარებს ჯერ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, ხოლო შემდეგ კი — სომხეთსა და რუსეთში. მოგზაურობის დროს სტუმარსა და მასპინძლებს შორის იმართება საინტერესო სჯა-ბაასი.... დილოგებში გამოთქმულია აზრები ცხოვრებისა და მეცნიერების უამრავ საკითხზე.

ი. ბაგრატიონის კალმასობა მთლიანად არაა გამოქვეყნებული. გამოცემულია მხოლოდ კუპირებული ნაწილები ორ ტომად (1) და ამისივე კვლავ კუპირებული ვ. დონდუასეული რუსული თარგმანი (2).

*

იონანე ბაგრატიონი რუსთველოლოგი არაა, მაგრამ მისი „კალმასობა“ შეიცავს ქართველი მოღვაწეების მოკლე ბიოგრაფიებს, რომელთა საერთო სათაურია:

„ღირსნი კაცნი და მეცნიერნი ქართველთა შორის (მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის)“ (1, ტ. II, გვ. 162—214; შდრ. 3 და 4).

ამ თავში ლაპარაკია რუსთაველსა და მისი ეპოქის მწერლებზე. „კალმასობის“ ავტორი კარგად იცნობს მწერალთა წერილობით ბიოგრაფიულ წყაროებს, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის გარემოებაც, რომ მან შესანიშნავად იცის ზეპირი გადმოცემები ამა თუ იმ მოღვაწეზე.

ნაშრომის სწორედ ამ მხარეს მიაქცია ყურადღება „მცირე უწყების“... პირველმა გამომცემელმა ექვთ. თაყაიშვილმა, როდესაც წერდა: ამ დოკუმენტში სწორი, წყაროებზე დამყარებული და „ხალხისაგან გაგონილი“ ცნობებიც არის შეტანილი; ზოგი ავტორს „ეკუთვნის და მის მიერ შეკრებილს, ნახულს და გაგონილს ცნობებზეა დამყარებული“. მათში ლეგენდებიც შეიმჩნევა, მაგრამ ისინიც „კარგად ახასიათებენ მოღვაწეებს და (გვაცნობენ) ხალხის შეხედულებასა და აზრს მათზე“. ამ „უწყებაში“ რიგი „თვალსაჩინო შეცდომებიც მოიპოვება და მრავალი საექვო ცნობებიც“... მაგრამ მთლიანად ეს წყარო „მრავალ ახალ ცნობებს გვაძლევს ქართველი ერის მოღვაწეებზე...“

ასეთ მნიშვნელოვან ძეგლთან დაკავშირებით გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის სტროფი (1669):

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ — სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა“.

აქ მოხსენიებული არიან: მოსე ხონელი, შავთელი, სარგის თმოგველი და რუსთაველი; არ იხსენიება მათი თანამედროვე ჩახრუხაძე.

ყველა ამათ შესახებ „კალწასობაში“ სტატიებია მოთავსებული, რომლებსაც ჩვენ აქვე გავიმეორებთ.

თვის მამისა იოანე შავთლისა

მამა იოანე იყო ადგილით შავთელი საქართველოდსა, კაცი კეთილ-შობილი და მწერალი თამარ მეფისა. ესე იყო ფილოსოფოს-ღვთისმეტყველი. ამან შეთხზნა შაირნი წერილნი, „დილარიანად“ წოდებული ისტორია, და თამარ მეფისა შესხმანიცა იამბიკოდ. რომელსა შოთა, მესტიხე დიდი ქართველთა შორის, უმჯობესად რაცხდა თვის ზედა ამა-შავთელის მიერ ნათქვამთა შაირთა, და აქებს თვისსა ქმნილსა ისტორიასა შინა „ვეფხისტყაოსნად წოდებულსა“. გარნა ქართველთა დაუკარგავთ ამ შავთელისა მიერ თქმულნი წერილნი და აღარსადა სჩანან. ხოლო უკანასკნელ ეს იოანე შავთელი იქმნა მონოზონ და კეთილისა ღვაწლითა დაასრულა ცხოვრება თვისი (1, ტ. II, გვ. 178).

შოთა რუსთაველისათვის და სხვათა ერისკაცთა

პიიტკოსათვის.

შოთა რუსთაველი, მწერალთა უხუცესი დროსა თამარ მეფისასა, იყო ფილოსოფოს-ღვთისმეტყველი, საღმრთოთა და საეროთა წერილთა შინა გამოცდილი. ენათა სპარსულსა და სომხურისა მცოდნე, უცხო ვარსკვლავთმრიცხველი და ბუნების ისტორიითა მეცნავე, პირველი მწერალი და დამთხზველი მაღალსა ენათა ზედა წერილთა, მეშაირეობასა და პიიტკიასა შინა ყოველთა ზედა პირველი და უღამატებულესი. ამან ქმნა წიგნი „ვეფხისტყაოსნად“ წოდებული შაირად, რომელ ჯერეთ არავის ქართველთაგანსა უმჯობეს მისა უთქვამსთ ვისმე შაირნი. და ესრეთ სიბრძნის-მოყვარებასა შინა გარდაეღწო წელნი თვისნი.

სარგის თმოგველისათვის

ესეცა იყო მწერალი თამარ მეფისა, მსგავსი მეცნიერებით შოთასი, და პირველი რიტორი, მშვენიერი პიიტეოსი, რომელიცა ქებულ არს თვით შოთასაგანცა მოშაირეთა შორის. ამან ქმნა წიგნი ისტორია, „ვის-რამიანად“ წოდებული, და ამანვე აქო დილარგეთ მეცნიერებითა და პიიტეოსობითა სხვათა ზედა უმეტეს, და ამანაც ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი.

დილარგეთისთვის

დილარგეთ იყო კაცი მეცნიერი, ქართულსა ზედა მწერლობითა გამოცდილი, რომელსა სხვათა ზედა ამისგან თქმულთა შაირთა უმჯობეს სდებენ. ამან ქმნა ისტორია „დილარიანი“, საამოდ სასმენელი ყოველთაგან, და ამანაც დაასრულა ცხოვრება თვისი.

ჩახრუხისძისათვის

ჩახრუხ ჩახრუხისძე, კაცი მეცნიერი და ცერემონმეისტარი თამარ მეფისა, მეცნიერებით სრული და რიტორ-მჭევრ-მოუბარი. ამან სხვაგვარად დათხზნა შაირნი, სასმენად საამონი. და ესე იყო შესხმათა თამარ მეფისათა მომხსენებელი და სხვათა ესევეთართა წიგნებთა გამკეთებელი, რომელსა უწოდდენ ქართველნი მესტიხეთ გვირგვინად, და ამანაც ესრეთ გარდავლნო წელნი თვისნი (1, ტ. II, გვ. 184—185).

•

რუსთაველის ეპოქის მწერლები რომ რუსთველოლოგიის ობიექტია, ეს უდავოა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ყოველ მათგანის ქმნილებას არ მოუღწევია ჩვენამდე, მაგ., — დილარგეთიანსა. გასარკვევია, მოსე ზონელისაა, თუ ის მხოლოდ მთარგმნელია იმ „ამირანდარეჯანიანისა“, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, თუ მოსე ამავე სახელწოდების სხვა ნაწარმოების ავტორია? (ცნობილის შესახებ დაწვრილებით იხ. 2, გვ. 60—87).

„კალმასობაშივე“ წერია, რომ თამარ მეფემ რუსთაველი „უცხოთა მხარეთა მდივნად ყო“, ე. ი. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა (იხ. აგრეთვე ჩვენი „რუსთაველი და ფოლკლორი“, 1960, გვ. 76).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნობის დამადასტურებელი სხვა პირდაპირი ცნობა არ გაგვაჩნია, რუსთაველის „საგარეო საქმეთა მინისტრობა“, პალესტინაში ყოფნისას მაინც, შეუძლებელი არაა.

ვთქვათ, რომ ეს ასე არ იყო: ამისა და სხვა ამგვარი აზრების გარეშეც, საქართველოს ისტორიის, მწერლობის, ზეპირსიტყვიერებისა და მთლიანად კულტურის ისტორიის ღრმა მცოდნის იოანე ბაგრატიონის ცნობებსა და აზრებს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის. მათ, მართალია, პასპორტები არ 'ანლავეთ, ე. ი. იოანე არ უთითებს წყაროებზე: — საღ წერია, თუ ვისგან გაიგონა ის, რასაც წერს, — მაგრამ, ჭერ ერთი, ჩვენთვის „პასპორტია“ თვით იოანე ბაგრატიონი, და, მეორეც, მით უფრო უნდა მივაქციოთ მათ ყურადღება, უნდა დაიძებნოს ის პირველ წყაროები, რომლებითაც ის სარგებლობდა. მთლიანად აღებულ ამ ცნობებს და აზრებს მეტად აღვილა უნდა დაეთმოს რუსთაველოლოგიაში, ვიდრე მას აქამდე ეთმობოდა.

1. იოანე ბატონიშვილი. კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1936, 308 გვ., და ტომი—II, 1948, 256 გვ. 2. Царевич Иоанн. Калмасоба или хождение по сбору, перевод с грузинского, введение и комментарии Варлама Дондуа, თბ., 1945, 236 გვ. 3. კრებ. „ძველი საქართველო“, I, თბ., 1913—1914, განყ. III, ანტონ I (ბაგრატიონი). წყობილსიტყვაობა, პლ. იოსელიანის რედ., თბ., 1853. 4. კ. კეკელიძე. ქართ. მწერლობის ისტორია, II, გვ. 281—282.

ალექსანდრე ხოძკო

ალექსანდრე ხოძკო (Ходзько) ეკუთვნის თავისი დროის პოლონელ პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდათა ჯგუფს. მაშინდელი საიდუმლო საზოგადოებების („სარმატა ტომი“, „ზირიანელები“ და სხვა) რიგი წევრები ისევე, როგორც დეკაბრისტები, კავკასიაში გადმოუსახლებიათ. თბილისში მოხვედრილ ა. ხოძკოს აქ 11 წელი უცხოვრია. ეს ევროპული კლასიკური ლიტერატურის მკოდნე კაცი ქართული ლიტერატურითა და ფოლკლორითაც დაინტერესებულა. მას ლეგენდები, თქმულებები და ფოლკლორული სხვა მასალებიც შეუგროვებია და გამოუცია (1, გვ. 223—227).

პოლონურ ენაზე გამოქვეყნებული მისი წერილის რუსული პ. დუბროვსკისეული თარგმანი ჟურნალ «Телескоп»-ში (მოსკოვი, 1833, № 5, 61—70) დაიბეჭდა (3).

წერილში ავტორი ეხება თამარ მეფისა და მისი ეპოქის საქართველოს, შოთა რუსთაველის დაბადების თარიღს, მისივე ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

აქვე ვრცლადაა გამოყენებული მაშინ ცნობილი თქმულებები რუსთაველზე, ლაპარაკია „ვეფხისტყაოსნის“ მოცულობასა და ადგილზეც მსოფლიო ლიტერატურაში. ავტორი ამ პოემას არიოსტოს განხლებულ როლანდს ადარებს და სხვა. თვით მთარგმნელი (პ. დუბროვსკი) მკითხველს მოუწოდებს მიჰბადონ ხოძკოს, — შეისწავლონ ქართული ენა და „ვეფხისტყაოსანი“ სხვებსაც გააცნონ (1).

„ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის კაზიმირ ლაფჩინსკისეულ*

* კაზიმირ ლაფჩინსკი პოლონელი ინჟინერი ყოფილა, რომელსაც კავკასიაში უმსახურია და საქართველოსა და ქართულ მწერლობასაც გასცნობია. მას რუსთაველის პოემის თარგმანში დრამატურგი გიორგი ერისთავი (1811—1864) დახმარებია. იხ. სოლ. იორდანიშვილი. ნარკვევები, თბ., 1964, გვ. 187. შდრ. ლა ან დ ლ უ ლ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის რევიზულიამდელი რუსი მთარგმნელები—კრებული „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, III, თბ., 1968, გვ. 104—188.

თარგმანს პოლონურ ენაზე (ვარშავა, 1863) ახლავს ალექსანდრე ხოძკოს წინასიტყვაობა. ეს უქანასკნელი ქართულადაც დაიბეჭდა მთარგმნელის წერილითურთ (2, გვ. 256—286).

აღსანიშნავია, რომ კავკასიის შესახებ რამდენიმე წერილის ავტორი ა. ხოძკო, დასახელებულ ნარკვევში წერს: „თამარის მეფობაში განითქვენნ პროზაიკოსები: მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, — პოეტები: შავთელი, ჩახრუხაძე და უმეტესად შოთა რუსთაველი, ავტორი ვეფხისტყაოსნისა...“ (2, გვ. 272).

„რუსთაველი არის ღერძი, რომლის გარშემო ტრიალებს იმისი ჩინებული პოემა. მაგრამ ზოგიერთს ალავს საშუალ ნაზის, პარმონიულის ლექსებისა, უცებ, მოულოდნელად, ისერის გულის ჩამთხრობს და ლაკონიკურს აზრებს, როგორც წინასწარმეტყველისას. ეს სწრაფად გაქრობილი მეტეორი არის წინამგრძნობელი მომავლისა...“ (გვ. 276).

რუსთაველი თამარ მეფის დროს დაიბადა „ახალციხის მახლობლად რუისთავის სოფელში“. იგი ორმოც ყმაწვილთა შორის გაგზავნეს ათონში. იქიდან დიდი განათლებით დაბრუნებულა საქართველოში და აქ „ვეფხისტყაოსანი“ დაუწერია. ამისათვის (მას) თამარმა მისცა მოლარეთუხუცესობა. ბოლოს რუსთაველი „შედგა ბერად, წავიდა იერუსალიმში და დაიმარხა ქართული ჯვარის ეკლესიაში“ (იქვე).

„ვეფხისტყაოსანი“, — წერს ხოძკო, — მელოდიური ოთხსტრიქონიანი და სტრიქონში 16-მარცვლიანი ლექსია.

მოქმედება პოემაში ინდოეთ-სპარსეთ-არაბეთში, ე. ი. უცხოეთშია გაშლილი, მაგრამ „ეს ცხადი სურათი ადგილობრივი არის“ და იგი იმგვარია, ისეთი ფენომენია, რომლის „მსგავსი არსად გვინახავს“ (2, გვ. 278).

ჩანს, ა. ხოძკოს გადმოცემებიც უამბებს ჩვენში. ამას ადასტურებს შემდეგი სტრიქონები: „რუსთაველს ძლიერ უყვარდა ჩინებული მეფე თამარ“, თუმცა ამაზე პოემის პირველი გამომცემელი ვახტანგ VI და შემდეგ ბროსე და ჩუბინაშვილი არაფერს ამბობენ; ამ სიყვარულზე „თქმულება არის საქართველოში“, ეს რუსთაველის პოემაშიც ჩანს, ე. ი. „რუსთაველი აღიარებს ამას“ (2, გვ. 280—281).

შემდეგ ა. ხოძკო განიხილავს მ. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილის აზრებს „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე, მსჯელობს უმთავრესად ამავე პოემის 1841 წლის გამოცემის მიხედვით და შესაძლებლად მიაჩნია, რომ ნესტან-დარეჯანი თამარ მეფეს ასახიერებდეს.

პოემის სალექსო ზომა, — ამბობს იგი, — ძირითადად ქორეისა და დაქტილისებურია.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ა. ხოძკო პოემის მოცულობასაც აქცევს ყურადღებას; 1841 წლის გამოცემა, — აღნიშნავს იგი, — 1637 სტროფს შეიცავს, მაგრამ ამ პოემის მრავალი ხელნაწერი არსებობს და ისინი სხვადასხვა მოცულობის არიან. თანაც შენიშნავს: გადაწერის დროს ამ პოემას აკლებენ ან უმატებენ კიდევ; მაგ., მას „ერთმა ციცი-შვილმა 1500 სტრიქონი თავისი დაუმატა“ (2, გვ. 278).

ცხადია, მსგავსი ცნობები მისთვის სხვების მიერაა მიწოდებული.

1. ი. ენაქოლოფოვი. შოთა რუსთაველი და მისი პოემის შეფასება ჟურნალ „ტელესკოპ“-ში 1833 წელს.—ჟურნ. „მნათობი“, 1937, № 12, გვ. 223—227.
2. ჟურნ. „ცისკარი“, 1870, № 6, გვ. 256.
3. რუსულ პრესაში აღმოჩნდა აღრიხტდორსპეციალური წერილიც რუსთაველზე. იხ. В. Шадурн. Что знала о Руставелии Россия пушкинского времени? თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს, საიუბილეო კრებული, თბ., 1966, გვ. 415—434; მისივე, პირველი რუსული სტატია რუსთაველზე.— გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, № 13, გვ. 2.

თეიმურაზ ბაგრატიონი

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის უგანათლებულესი ქართველი თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1846) უფრო თეიმურაზ ბატონიშვილის სახელითაა ცნობილი. იგი თავის ვინაობასა და სამეცნიერო წოდებებს ერთ-ერთი საუკეთესო შრომის სათაურის ქვეშ ასე აყალიბებს:

„გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა პ ო ე მ ა ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ა, ქ მ ნ უ ლ ი მეფის გიორგი მეცამეტის ძის თეიმურაზის მიერ, კვალერისა და ს[რულია]დ როსიის ს[ანკტ-]პეტერბურგის აკადემია ნაუკისა, პირველთა ჩლენთა შორის აღრიცხულისა პოჩეტნი ჩლენისა და დანიის საკოროლოს კოპენჰაღანის სამეფოს საანტიკვაროსა შეკრებულებასა შინა, პირველთა ჩლენთა შორის დაწესებულისა და პარიჟის სოსიეტე აზიატიკის ჩლენისა“.

ხსენებული გიორგი XIII ახლა ჩვენს ისტორიოგრაფიაში გიორგი XII-დ აღინიშნება. თეიმურაზი, მეცნიერებათა აკადემიის მხოლოდ საპატიო წევრად იხსენიება, მაგრამ ფაქტობრივად ნამდვილი წევრი იყო და ამდენად ის არის პირველი ქართველი აკადემიკოსი სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში (აირჩიეს 1837 წელს). ფიქრობენ, რომ ამავდროს აირჩიეს იგი კოპენჰაგენის ანტიკვარული საზოგადოების, პარიზის საზოგადოების და საფრანგეთის თავისუფალი ხელოვნების აკადემიის წევრად (4, გვ. 48).

თეიმურაზის ფართო და ღრმა განათლებას საფუძველი საქართველოში ჩაეყარა, მას თელავის სემინარიაში ასწავლდა ცნობილი დავით რეპტორი.

თეიმურაზი „ცამეტი წლისა იყო, როცა მომსწრე და მონაწილე გახდა 1795 წლის კრწანისის ტრაგედიისა, რომელიც მან შემდეგ კიდევ აღწერა. ახალგაზრდა თეიმურაზი ვერ გაერკვა 1801 წლის ამბების პოლიტი-

კურ მნიშვნელობაში“ და ზოგიერთ ბატონიშვილთან ერთად ის 1803 წელს სპარსეთში გარდაიხვეწა.

სამშობლოს პატრიოტი დარწმუნდა, რომ იქ არ იყო მისი ადგილი. თავის მეგობარ პოეტ პეტრე ლარაძესთან ერთად ის იქიდან გამოიპარა 1810 წელს, დაბრუნდა თბილისში, აქედან კი წავიდა და პეტერბურგში ცხოვრობდა.

მან პეტერბურგში გააფართოვა თავისი საერთო განათლება, ქართული, სპარსული, რუსული, ფრანგული, სომხური და ბერძნული ენების ცოდნა და არაბულ ენის კანონების ცოდნაც გამოიყენა.

შეენიშნავთ, რომ ენებისადმი მიდრეკილების შედეგი იყო, რომ თეიმურაზმა „აღძრა საკითხი საქართველოში ლიცეუმის—უცხო ენათა უმაღლესი სკოლის — დაარსებისა“ (7).

თეიმურაზმა ლიტერატურული მოღვაწეობა პოეზიით დაიწყო. საკუთარი „ს ა მ ო ც ე უ ლ ი“ — ლექსების პირველი ალბომი—შედგენილია „სპარსეთის სამპყრობელოსა შინა მყოფი თეიმურაზის“ მიერ.

ჩვენი ამ სახელოვანი წინაპრის სადოქტორო ნაშრომი შეიცავს ათონ-მთაწმინდის ივერიის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენლების იოანეს, ექვთიმეს, გიორგისა და საერთოდ ამ ქართული კულტურის კერის შესწავლა-დახასიათებას. გამოქვეყნებულია იმავე ავტორის საისტორიო ნაშრომები: „დავით ბატონიშვილის ბიოგრაფია — ისტორიით“ (პარიზი, 1833), „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელი არს ისტორია სრულიად საქართველოსა“ (პეტერბურგი, 1848) და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მისივე გამოუქვეყნებელი არსებითი მნიშვნელობის მეცნიერული აზრები შესულია აკად. მ. ბროსეს ნაშრომებში.

თეიმურაზი იმდენად გულუხვი იყო ამ მხრივ, რომ 1833 წელს წერდა კიდეც მ. ბროსეს: ჩემი ესა და ეს ხელნაწერი ნაშრომი რაკი ფრანგულად გითარგმნიათ, გემუდარებით, ჩემი სახელის გარეშე გამოეცით, მასზე ჩემი სახელი არ იყოს და არც ჩემ მიერ შეთხზვა მაგ წიგნისა“ (3, გვ. 22—23).

თეიმურაზი „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის მონაწილე და წინასიტყვაობის თანაავტორია, მაგრამ მ. ბროსეს მან არც აქ მოახსენებინა თავისი სახელი.

თეიმურაზის კალამს ეკუთვნის ლიტერატურული და მეცნიერული ნაშრომები: „ყაჯართა დინასტიის სპარსელ შახთა მოკლე გენეალოგია“, „არმაზის კერპის მოკლე ისტორია“, „როდის და როგორ დაიპყრეს თურქებმა სამცხე-საათაბაგო“, „იბერთა ათონის მონასტრის დაარსება და თავგადასავალი“, „განსჯანი არისტოტელისანი კეთილისათვის და ბოროტისათვის“ (თარგმანი რუსული ენიდან), „წიგნი ათნი გვირგვინი“ (თარგმანი სპარსული ენიდან), „მხედრობის დარიგება ნაპალეონისა“ (თარგმანი ფრანგულიდან) და სხვა. აგრეთვე მასვე ეკუთვნის თეორიული ნაშრომი „გვარნი, ანუ საზომნი, ქართულისა ენისა სტიხთა“. მან პირველმა თარგმნა ა. პუშკინის ლექსი „ანგელოსი“, ის „რუსი და ევროპელი მწერლების ერთ-ერთი უძველესი მთარგმნელთაგანია“, იგივე, როგორც მრავალმხრივი მოღვაწე, ზრუნავდა ჩვენში „სკოლების მოწყობაზე, ქმნიდა სახელმძღვანელოებს ისტორიისა და ლიტერატურის თეორიაში, ადგენდა პიესებს („სამსახეობა რაინდისა“ და ვოლტერის „ალათოკვეს“ თარგმანი) და სხვა (8).

თეიმურაზმა გვიანდერძა აგრეთვე რ. უ ს თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი უ რ ი კარგი ნ ა შ რ ო მ ი (იხ. ქვემოთ); მეცნიერმა 1836 წელს იმოგზაურა პოლონეთში, პრაღასა და ბერლინში. ამის შედეგად დაწერა „მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“. ეს წიგნი სათანადო წერილითა და შენიშვნებით გამოსცა სოლომონ იორდანიშვილმა (თბ., 1945).

თეიმურაზ ბაგრატიონი გახლავთ აგრეთვე თავისი დროის ერთი უდიდესი ქართველი ბიბლიოფილი. მის მიერვე შედგენილი საუკეთესო წიგნებისა და ხელნაწერების სიის ფრანგული თარგმანი მ. ბროსემ გამოაქვეყნა (1838); ქართულად კი — პირველად ალ. ცაგარელმა (1844—1929) და ბოლოს (უფრო სრული სახით) ის კატალოგი ს. იორდანიშვილმა გამოსცა (8).

თვით წიგნების ნაწილი ამჟამად საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაშია დაცული. მისივე სხვა წიგნები და ხელნაწერები კი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ისტორიის (ყოფ. აღმოსავლეთ-მცოდნეობის) ლენინგრადის განყოფილების ბიბლიოთეკასა და ხელნაწერების განყოფილებაშია დაცული. ესეც მისი ერთი დამსახურებათაგანია ქართული კულტურის წინაშე.

თეიმურაზ ბაგრატიონი დაკრძალულია ლენინგრადის ალექსანდრე ნეველის სახელობის ლავრის სასაფლაოზე. ამ ლავრის შესავლის სასახლეში

ამჟამად არსებობს «Музей городской скульптуры». ამაშია თეიმურაზის საფლავიდან გადმოტანილი «Доска - надгробие Грузин царевича Теймураза» (I пол. XIX в., бронза, золот. чеканной работы...»)*.

ჩვენი კოლეგა ტრ. რუხაძე აღნიშნავს: თეიმურაზი დაკრძალულია „ლენინგრადს, ალექსანდრე ნეველის სახელობის ლავრის სასაფლაოზე, სადაც თეიმურაზმა ააგო ქართველ ბაგრატიონთა საგვარეულო ტაძარი“ (7).

ამ ცნობის მეორე ნაწილი არაა სწორი. პეტერბურგის ქართული ეკლესია ახლაც დგას ალექსანდრე ნეველის ლავრიდან შორსა და საწინააღმდეგო მხარეს, — ვასილის კუნძულის მეოთხე ხაზზე (წმ. ანდრია, ე. წ. ანდრეევის ტაძართან; იქვე ამავე სახელწოდების ბაზარიცაა ცნობილი), რომლის მახლობლადაც (მეცხრე ხაზი, № 8),** მდინარე ნევის ნაპირზე, საკუთარ სახლში ცხოვრობდა თეიმურაზ ბაგრატიონი ოჯახითურთ.

*

თეიმურაზ ბაგრატიონი ძირითადად ისტორიკოსი იყო. იგი, როგორც რუსთველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხში აგრძელებს ვახტანგ მეექვსის ხაზს და ტექსტის კომენტარებსაც თითქმის ვახტანგის მსგავსად წერს, — მის ანალოგიურ ნაშრომს ქმნის, ოღონდ ვახტანგისეულ სათანა-

* ახლა იქვეა წარმოდგენილი მისი საყვარელი დის საფლავის დაფაც: — „ადგილსა ამას მღებარებს გუამი მათის უმაღლესობის, საქართველოს მეფის გიორგი მეცამეტის ასულისა და მეგრელთ მთავრინასი ნინოსი“... (1772—1847). იგივე წარწერა მეორედება რუსულ ენაზეც და იქვეა ზოგიერთ მაშინდელ პეტერბურგელ ქართველ მოღვაწეთა საფლავის დაფებიც. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთები აქ, სხვა არარუსი მიცვალებულების დაფებთან შედარებით, რიცხვითაც ბევრია და ხარისხითაც საუკეთესოებია, რის გამოც ისინი ამ მუზეუმის დამფუძნებელთა საერთო ყურადღებას იმსახურებენ.

** თეიმურაზის ბროზის აღმნიშვნელი ბარათების ს. ყუბანეიშვილისეულ გამოცემაში აქ № 81 წერია (თბ., 1964, გვ. 9). ეს კორექტურული შეცდომა უნდა იყოს, რადგან ნომრები ნევის სანაპიროდან იწყება. მაგ., თეიმურაზის ყოფილი სახლის გვერდიდან მესამე სახლი № 12 ახლაც მეცნიერებათა აკადემიის სტამბას უკირავს.

ლო კომენტარებს „თ ა რ გ მ ა ნ ი“ ეწოდება, თეიმურაზისას კი — „გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა“... ფაქტობრივად ო რ ი ვ ე „ვეფხისტყაოსნის“ განხილულ სტროფთა კ ო მ ე ნ ტ ა რ ი ე ბ ი ა. ამიტომ ნაშრომის შინაარსის მიხედვით უფრო ზუსტია ამ „გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი ს“ ექვ. თაყაიშვილისეული რუსული თარგმანი **Комментарии**, ვიდრე გ. იმედაშვილისა, რომელმაც იგივე სიტყვა ამავე სათაურში **Толкование**-დ თარგმნა.

გამოთქმულია აზრი, რომ თეიმურაზს საისტორიო ნაშრომები 1810—1831 წლებში უნდა დაეწერა, რადგან შემდეგი ი. მ. ბროსეს უკავშირდება და ამისათვის აღარ ეცალაო (4, გვ. 35). ეს შეიძლება სწორი იყოს საისტორიო ნაშრომთა მიმართ, ოღონდ თეიმურაზის რუსთველოლოგიური ნაშრომი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ და პირად წერილებში გამოთქმული სათანადო აზრები 1831 წლის შემდეგაა დაწერილი.

„განმარტების“.... თეიმურაზისეული ხელნაწერი არ შემონახულა, მაგრამ გვაქვს 1843 წლის სექტემბერში გადაწერილი (აღბათ, დედანიც ამ წელს დასრულდა) ერთადერთი პირი, რომელსაც ავტორის—თეიმურაზის ხელში ვაუვლით. ამიტომ მისი ვრცლად აღმწერელი და რუსთაველის ბიოგრაფიული ნაწილის თითქმის სრულად გამოქვეყნებელი ექვთიმე თაყაიშვილი ამ ხელნაწერს ავტოგრაფის მნიშვნელობას ანიჭებდა და თეიმურაზ ბაგრატიონის ნაწერებს შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომად აღიარებდა; ავტორს საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის საუკეთესო მცოდნეს უწოდებდა. **გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა**, — **Комментарии**,—წერდა ე. თაყაიშვილი, — это одно из лучших произведений царевича Теймураза. Он здесь дает объяснение слов («Вепхисткаосани»), указывает како-го происхождения данное слово, грузинского или иностранного, объясняет смысл фраз и выражений и т. д.... Он был [лучший знаток грузинской истории и литературы] (2, გვ. 583).

დასახელებული „განმარტების“ მთლიანი ტექსტის იმედაშვილისეული პუბლიკაცია (1), სამწუხაროდ, ვერაა სათანადოდ გამართული. მასში რიგი ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური უზუსტობები გვხვდება იმის გამო, რომ ასეთები ხელნაწერიდან გამოცემაში უცვლელადაა გადატანილი. სათანადო მაგალითები დასახელებულია ჩვენს ერთ-ერთ ნაშრომში (5. გვ. 234—235), მათ აქ აღარ გავიმეორებთ.

შეგჩერდებით კი გ. იმედაშვილას ზოგიერთ ისეთ დებულებაზე, რომელსაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ. მაგ., გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ძველა თაობის არც ერთ მოღვაწეს ვეფხისტყაოსანზე იმდენი ამაგი არა აქვს გაწეული, რამდენიც თეიმურაზს“ (1, გვ. 07).

საერთოდ არცაა საჭირო ასეთი შედარებები, მაგრამ თუ მას მივმართავთ, მაშინ უდავოა, რომ თეიმურაზზე ბევრად მეტი ამაგი აქვს „ვეფხისტყაოსანზე“ გაწეულა მის პირველ გამომცემელს ვახტანგ მეექვსეს (იხ. ზემოთ). ეს ისეთი კემშარიტებაა, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელებაც არ ღირს.

ჩვენ ზემოთ თეიმურაზის „განმარტებას“ ვახტანგის „თარგმანის“ ან ა ლ ო გ ი უ რ ი ნ ა შ რ ო მ ი შემთხვევით არ ვუწოდებთ, — აქ თეიმურაზი ვახტანგის ანდერძს ასრულებს.

ვახტანგ VI წერდა: მთლანად ვერ მოვასწარი „ვეფხისტყაოსნის“ კომენტირება, „მე თარგმანი მრავალა დამირჩა“ უთქმელა „მოუცლელაობისათვის“ [უღრობის გამო]. „ვისცა თარგმანი გინდათ, ასეა ამისი თარგმანი და აწ თქუენ ამ გზით თარგმნიდეთ და ამის ბასობაზედ შეექცეოდეთ. თუცა სულ მეთარგმნა, სხვა რას იქმოდა“ („ვეფხისტყაოსანი“, 1712 წ. გამოც., გვ. ს პ ზ.).

აი ეს ანდერძი რომ შეასრულა თეიმურაზ ბაგრატიონმა, ამის მიხედვრა ძნელი არაა.

გ. იმედაშვილის წინასიტყვაობის მეორე აბზაცში ვკითხულობთ: „ბროსე და თეიმურაზი ერთმანეთის მასწავლებლებიც იყენენ და მოწაფეებიც“.

არც ეს მოსაზრება მართლდება. მოვუსმინოთ თვით მარი ბროსესა და თეიმურაზ ბაგრატიონს. უკვე აკადემიკოსი მარი ბროსე წერს: თეიმურაზ ბატონიშვილში „მაღალა ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონებასა და დიდ ცოდნასთან, ... რომლის მიზანია—თავისი შრომით უკვდავჰყოს ხსენება თავისი ერისა. ამ ადამიანის მდებალ მოწაფედ, —სინდისის ქვეშ უნდა ვთქვა, — ვაღიარებ ჩემს თავს“ (1838 წ.).

მ. ბროსე არაერთხელ აცხადებს თავის მასწავლებლად თეიმურაზს და თავის თავს კი მის მდებალ მოწაფედ ასახელებს. იგი თ. ბაგრატიონის ნეკროლოგში წერს: «Я не могу произнести без уважения, без удивления, имя князя, соединяющих с отличными качествами сердца самые обширные знания и самый обработанный ум... Я (его) смело могу назвать моим учителем» (Журнал Министерства народного просвещения, 1846, დამატ. გვ. 40).

თავის მხრივ თეიმურაზიც მოწაფეს (შაგირდს) უწოდებს ბროსეს. ის მასალების ბეჭდვის გამო, მ. ბროსეს აფრთხილებს:

„ეცადე, ყოველს წერილებში, ყოველთვის კარგათ წაითხვას, რომ სწორეთ გამოიცნა და მიხვდე. რომელსაც ვერ მიხვდე, მკითხე, რომ ტყუილები არ ჩაგვიწერო, თორემ სირცხვილი იქნება, მერმე ქართველები მე დამცინებენ, აი ამისთანა შაგირდი გყავსო“ (1834, 3, გვ. 31).

მართალია, მეცნიერული მუშაობის, მეთოდისა და რიგ საკითხებშიც ბევრი რამ კარგი შეითვისა თეიმურაზმა ბროსესაგან, მაგრამ ქართველოლოგიურ ძიებებში ბროსეს საქმიანობის ტონის მიმოცემით თეიმურაზია. ჩვენი ეროვნული თვალსაზრისითაც რომ ამ სიმართლის დაცვა უმჯობესი, ესეც უდავოა.

თეიმურაზის წიგნის — „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ — დასახელებული გამომცემელი წერს: „თეიმურაზის ამ განმარტებებმა საფუძველი ჩაუყარეს „ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ ლექსიკოლოგიას“ (1, გვ. 031).

ეს პატივიც, უპირველეს ყოვლისა, ვახტანგ მეექვსეს ეკუთვნის, თუმცა შოთას ლექსიკას ს. ორბელიანმაც მიაქცია ყურადღება (იხ. ზემოთ, ვახტანგ VI). მით უფრო საოცარია ზემოთქმული, რომ ჩვენი დიდი ენათმეცნიერი აკაკი შანიძე ადრე წერდა: ვახტანგის „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი „კარგია და თავის დროისათვის ჩინებულიც“ (1712 წ. „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენილი გამოცემა, 1937, გვ. 367).

თეიმურაზია დამოკიდებული ვახტანგის ამ ლექსიკონიდან და არა პირიქით.

თეიმურაზის „განმარტებაში“ ახსნილ სიტყვებს ისევე სჭირდებოდა გამოტანა და ახსნა-განმარტებით დაბეჭდვა, როგორც ეს აკაკი შანიძემ გაუკეთა ვახტანგ მეექვსის „თარგმანებს“ (და ჩვენ—ნ. მარის „ვეფხისტყაოსნისეულ ლექსიკონს. იხ. Н. Марр. Об истоках творчества Руставели и его поэме, 1964, გვ. 214—229).

თეიმურაზის „განმარტების“ გ. იმედაშვილსეული გამოცემის სხვა ავ-კარგზე აქ ვერ შევჩერდებით; მივუთითებთ მხოლოდ ჩვენს სათანადო ნაშრომზე (5, გვ. 234—237). დავსძენთ კი, რომ აღნიშნული „განმარტებანი“ დღესაც სასარგებლოა რუსთველოლოგთათვისა და უფრო ფართოდაც — ძველი ქართული მწერლობის საკითხების მკვლევართათვის.

თეიმურაზის „განმარტება“ ავტორის რუსთველოლოგიური მოსაზრებების შემაჯამებელი ნაშრომია, მის აღრინდელ პირად წერილებში მინც ვხვდებით ცალკეულ ისეთ შენიშვნებს, რომლებიც „განმარტებაში“ აღარაა შეტანილა. მაგ., როგორც ეს შ. მესხიამაც შენიშნა, თეიმურაზის ბროსესადმი 1833 წელს მიწერილ ბარათში ახსნილა, თუ საიდან უნდა იყოს წარმომდგარა სახელა შოთა, შოტთა, შოტტა; მოცემულაა შედარებაც რუსთაველას ეპოქის მწერლებთან და ზოგი სხვა მომენტაც, რომლებაც თეიმურაზის „განმარტებაში“ აღარ მეორდება და, მასადაამე, „იძლევა წარმოდგენას თეიმურაზის აღრინდელ შეხედულებებზე „ვეფხისტყაოსნის შესახებ“ (4, გვ. 48).

ს. ყუბანეიშვილაც აღარებს თეიმურაზის 1833 წლის ბარათს „განმარტების“ ტექსტს და ასკვნის: „ამ ორ ტექსტს შორის არის მეტნაკლებობა: „აბდულ-მესიას“ და თმოგველას შესახებ თეიმურაზი „წერილში უფრო მეტ ცნობას იძლევა, ხოლო რუსთველასა და მისი ვეფხისტყაოსნის შესახებ „განმარტებაში“ უფრო მეტი ცნობებია დაცული, ვინეჲ „წერილში“ (3, გვ. 109 — წერილი № 10, გვ. 32—38).

მოვიტანოთ თეიმურაზის 1833 წლას 9 ოქტომბრის ამ ბარათის ის ადგილა, რომელიც უშუალოდ რუსთაველს ეხება.

„რუსთველა, ესე იგი რუსთაველა. რუსთავი ქალაქი ყოფილა კახეთის მამულში, გარე-კახეთში, მდინარისა მტკვრის პირზედ (რომელიც შორავს ტფილას ექვისის მილითა). ამ ქალაქს უძველესს დროში ბოსტან-ქალაქი რქმევი; მერმეს რუსთავი დაურქმევიათ და მესამე სახელი ნაგებებე ჰქვიან. ერთს მხარეს მტკვრის მდინარე აქვს და მეორე მხარეს დიდი მინდორი ყარაიისა (აქ ეპისკოპოსიცა მჯდარა რუსთველ-არხიეპისკოპოსი და როდისაც ეს ქალაქი მოშლილა, მუნებური არხიეპისკოპოსი მარტყოფს გარდაუყვანიათ, მაგრამ ისევე რუსთველობითევე სახელსდებდენ მუნებურს არხიეპისკოპოსს ამ მახლობელს ჟამებამდინ), თუმცა რუსთავში ქალაქი კი აღარ ყოფილა, მაგრამ მეფეებს იქ სასახლე ჰქონიათ საზამთროდ დასადგომად, რადგანაც ზამთარს კეთილი ჰაერი აქვს და გარშემო მრავალი უცხო სანადირო არის, ნადირითა და ჭირნველათ საესე და მუნ ზამთარი ასეთი იქმნება, რომ ვაზაფხულსა ჰგავს. ზაფხულა კი, დიახ, ცხელა არის. ამა რუსთავისა სამეფო სასახლეები კვალად განახლა და აღაშენა სრულიად ქართლისა და კახე-

თის მეფემან ირაკლი პირველმან. და ქალაქსაც უპირობდა აშენებასა, მაგრამ შემდგომად გარდაცვალებისა მისისა, დაშთა კვალად უშენი. და აწცა უშენ არს ძველად სახელოვანი იგი ადგილი ყოველითურთ.

რუსთაველი მას ცხელს ადგილში იყო შობილი, სახელად შოთა ერქვა (შოთა სახელი ქართველებსა ისევ ძველათვე, კერპთმსახურებაში. ჰქონდათ და ქრისტიანობაშიაც არქმევდენ. ეს სახელი არ მოშალეს. შოთთა (ანუ შოტტა) არმაზ-კერპის სახელი არის, რომელიც კერპმსახურებაში ქართველებისა ერთი უპირველესი ღმერთთაგანი იყო, რომელაცა უწმიდესისა ნათლისა არსება იყო. ეს შოთა სახელი მე ჭრანციცულს პარნოელის მიჭოლოლიურს ლექსიკონშიცა ვნახე. იმაშიაც აცხადებს, რომ შოტტა არმაზის სახელი არის, არმაზ ანუ ორმუზად შოტტა).

შოთა რუსთაველი თამარ მეფისა მოლარეთუხუცესი იყო (ესე იგი მინისტრი ჭინანსისა) და დიდად წარჩინებული კაცი იყო წინაშე თამარ მეფისა და პატივცემული.... მელექსეობაში იყო უპირველესი, ეგრეთვე სხვას ყოველს მეცნიერებასა და ზნეობაში საღმრთოსა, სამხედროსა და სამოქალაქოს საქმეში. ყოველივე მის ქამის კაცთა ყველაზედ უმჯობესი და უპირველესი ყოფილა და სახითაც, თვალად და ტანად საკვრველი მშვენიერი. თუმცა მის ქამშიაცა, უწინაც და შემდგომშიაც მრავალნი სწავლულნი და მეცნიერნი მთხველნი იყვნენ სამეცხეთოშიაც, ქართლსა, კახეთსა და იმერეთშიაც ქართულს ენაზედა და პეტრიწისა და იოანე შავთელის ლექსებსაც ამჯობინებენ რუსთაველის ლექსებსა, მაგრამ მე ჩემის მოკლის განსჯით, ამას ვიტყვი: საზოგადოდ ერისათვის და ქართული ენის ხარაკტირით, როგორათაც შოთა რუსთაველს ვეფხის-ტყალსანი შეუთხზავს, არც ერთი არ არის იმისი ამხანაგი. იქნება, რომ, რომელნიც უფრო ღრმად სწავლულნი არიან, იმათ წინა თქმულთა მათ თხზულება უფრო მოიწონონ და ყოველთავე ხომ არ ესმისთ ღრმა თხზულებები.

შოთა რუსთაველი, როგორათაც ყოველს ზნეობასა და სწავლაში სრული იყო, აგრეთვე უკანასკნელსაცა ქამსა აღსასრულიცა ეგრეთივე შეუყენა, ეს ამაო სოფელი დაუტევა და თავისი ქვეყნიდამაც უცხოებაში წავიდა, წმიდას იერუსალიმს მივიდა და იქ ჭუარის მონა სტერი არის და ის მონასტერი ქართველთა არის, დადი და მშვენიერი მონასტერი არის. იმისი საფუძველი დიდის კონსტანტინე ბერძენთა და რომთა იმპერატორას დროს მირიან მეფეს, ყოვლას საქართველოს მპყრობელსა,

გვართ ხოსროვის, დაუღვია. რადგანაც პირველად ქრისტიანობის სარწმუნოებაზედ მირიან მეფე მოიქცა კერპთმსახურებისაგანა, ამის-თვის დიდმა კონსტანტინემ, პირველის მსოფლიოს კრების განჩინებითა, მრავალი შეწევნა მოსცა ქრისტიანობის განსამტკიცებლად საქართველოს და იერუსალიმშიაც ადგილები მოსცეს. და მის ჟამითგან საქართველოს მეფეთ უმეტესად გაამშვენიერეს ჭჳარის მონასტერი და იერუსალიმში და იმის გარეშამოში სხვა მონასტრებიც აღაშენეს და საქართველოს განუ-საკუთრეს. ყმა და მამული მრავალი შესწირეს საქართველოში, რომე-ლისაც შემოსავალი წლითი-წლად მას მონასტრებს ეხმარებოდათ. და რომელნიც წმიდანი მამანი ჩვენნი ქართველნი და საღმრთოს წერილთ მთარგმნელნი გამოვიდნენ, იგინი ჟამითი-ჟამად იერუსალიმს იყოფოდეს, სთარგმნიდეს წიგნთა და იმ მონასტრებში ყოველშივე ქართველი ბერები და სამღვდელონი ცხოვრობდენ. ჭჳარის მონასტერი წიგნთ-საცავთ გააკეთეს და დიდი ბიბლიოთეკა შეკრიბეს ქართულს ენაზედა და დღე-საც მრავალი წიგნები არის ქართული იმ მონასტერში უძველესნი და გაურყვნელნი.

შოთა რუსთაველი იმ ჭვარის მონასტერში დაემკვიდრა, მრავალი შესწირა იმ მონასტერსა და დიდის სათნოებით მუნ აღესრულა (ერის კაცობაშივე) და მუნვე დაეფლა. იმისი სახე იქ იერუსალიმსა, იმ ჭჳარის მონასტერში, ეკლესიაში კედელზედ არის დახატული და აქამომდე კიდევ დარჩა იმისი სახე მუნ. (თუმცა მცირეს კითხვაზე განვიგრძე სი-ტყვა, მაგრამ მომიტევე, რადგანაც მაიძულებს შენი [გულსმ]ოღვი-ნება, [ყოველს გამოძიებაში მსურს გაქვენდეს გამოწვლილვით ზედმი-წვენილება“ (გვ. 36—38).

ბარათის წარმოდგენილი ნაწილი გვაძლევს საშუალებას, ზოგი რამ „განმარტებიდან“ აღარ გავიმეოროთ. მაგალითად, რუსთაველის ჰერე-თიდან წარმოშობის აზრს თეიმურაზი განმარტებაშიც იცავს (გვ. 291), მაგრამ ცოტაოდენ სხვა რედაქციით: რუსთაველი, —წერს თეიმურაზი, — იყო „მთავარი რუსთავისა. რ უ ს თ ა ვ ი ძველად სამთავრო ქა-ლაქი იყო და საზამთროდ სადგური მეფეთა... ქალაქსა ამას ძველად ეწოდებოდა ბოსტან-ქალაქი, ესე არს ჰერეთისა, ესე იგი გარე-ქახეთისა მამული“ (1, გვ. 291).

თეიმურაზ ბაგრატიონს სხვა გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ის რუსთველს ჰერეთლად თვლიდა (1, გვ. 291—292).

თეიმურაზი, რომელიც მულამ ეროვნული პრინციპით ხელმძღვანე-ლობდა ისტორიული საკითხების გადაწყვეტაში, არ ისურვებდა, რომ

დიდი რუსთაველი იმ მესხეთიდან წარმოშობილად ელიარებინა, რომელიც მის დროს აოხრებული იყო თურქებისაგან და ქართული მოსახლეობისაგან, თითქმის, დაცლილი იყო. თეიმურაზმა ჩვენზე უკეთ იცოდა, რომ მის დრომდე ორი საუკუნის განმავლობაში მესხეთი თურქ-ოსმალოების მიერ იყო მიტაცებული, იგი მხოლოდ რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ცნობილი ადრეანოპოლის ზავის თანახმად, დაუბრუნდა საქართველოს 1829 წელს. თეიმურაზმა ერის სასახელო პოეტი ჰერეთლად გამოაცხადა.

საერთო აზრის გაბათილებას — რუსთაველი მესხი იყო — თეიმურაზი „ვეწერ ვინმე მესხი მელექსე“.... ტაეპის კომენტართაც ცდილობს: — „ართუ რუსთველი თვით იყო ესე მესხი მელექსე, არამედ იგი იყო მდივან-მწიგნობარი რუსთველისა“.... შოთას მდივნად ყავდა მესხიო — „ახლდა მდივნად თვისად მესხი ვინმე“, ამან გადაუწერა რუსთაველს პოემაო. (1, გვ. 287).

როგორადაც უნდა იყოს, თეიმურაზის აზრს შოთას ჰერეთში დაბადების შესახებ მხარის დამჭერები და განმავითარებლები აღმოუჩნდნენ, მაგრამ, როგორც ითქვა, ეს ნაკლებსარწმუნოა, ვიდრე ის დიდი ტრადიცია, რომლითაც რუსთაველი ტომით მესხია...

მეორე საკითხი, რომელშიც თეიმურაზი მისი სახელოვანი წინაპრის ვახტანგ მეექვსის აზრს არ აგრძელებს, ესაა რუსთაველის პოემის ღვთიური, არადადამიანური სიყვარულის შესახებ. ეს იმის შედეგია, რომ ვახტანგის ზემოხსენებულმა აზრმა მწვავე რეაქცია გამოიწვია. საქმე იქამდე მისულა, რომ ზოგიერთი პიროვნება „ვეფხისტყაოსნის“ იმ ცალკე ბის მოსპობასაც კი ლამობდა, რომლის კომენტარები ვახტანგის ამ აზრს შეიცავდა (იხ. ზემოთ).

სხვა მხრივ თეიმურაზის რუსთველოლოგიური კონცეფცია ვახტანგის თვალსაზრისის განვითარებაა. როგორც ვახტანგ მეექვსე, ისე თეიმურაზიც ამბობს: რუსთაველმა შესთხა „ვეფხისტყაოსანი“, რომლითაც ავტორმა „მინიჭა უყვადევა საუკუნო თავსა თვისსა“ (1, გვ. 290); მას ქართული ხასიათი აქვს [„ქართულსა ხარაქტირსა ზედა არს შეწყობილი“], იგი ქართულ სინამდვილეს გადმოგვცემს და ქართულ ლექსად არის გამართულიო. აი, ავტორის სიტყვები: „მოლექსეობასა შინა რუსთაველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ

ლექსთა თვისთა შეთხზვისათვის საკუთარი ქართული ხარაქტერი და ჩვეულება, გინა ზნეობა“ (1, გვ. 290—291).

რუსთაველის ქმნილებათ, — დასძენს თეიმურაზი, — „შეიცავს თვისს შორის თუმცადა ზღაპარსიტყვაობასა, მაგრამ ფ რ ი ა დ ის ა ქ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი თ ა შე წ ყ ო ბ ი ლ ა რ ს ე ს ე ს რ უ ლ ი ა დ ქ ე ვ ლ ს ა ქ ა რ თ ე ე ლ თ ა ზ ნ ე ო ბ ა თ ა, ჩ ე ვ ე უ ლ ე ბ ა თ ა და ხ ა რ ა კ ტ ე რ ს ა ზ ე დ ა ე ნ ის ა ჩ ე ე ნ ის ა ს ა“ (იქვე, გვ. 292—293; ხაზი ჩვენი; ი. მ.).

მეჭურჭლეთ-უხუცესმა, ესე იგი მოლარეთ-უხუცესმა (რომელ არს ფინანცის მინისტრა)“, (1, გვ. 291—292). შოთამ შეთხზა „ვეფხისტყაოსანი“ „დიდისა მის თვითმპყრობელსა მეფასა და პატრონისა თვისის ათამარისათვის, ბრძანებითა მისითა“. თეიმურაზი აგრეთვე ამბობს: სხვა ქმნილებაცქონია ჩვენს მგოსანს, მაგრამ ჭერ ვერ მიპოვიაო; იგი მოგვითხრობს ამბავს პალესტინის ქართული ჭვარის მონასტრის ქართველი მეფეების მირიან და ვახტანგის მიერ აგებისა, ამავე მონასტრის რუსთაველის მიერ განახლების, მასშივე პოეტის ერისკაცად ცხოვრების, იქვე გარდაცვალების, დაკრძალვის, ამავე ტაძრის სვეტზე პოეტის სახის გამოსახულებისა და სხვათა შესახებ (1, ვ. 294—295).

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ თეიმურაზი გვაუწყებს: ვწერ იმას, რაც წ ი გ ნ ე ბ შ ი წ ა მ ი კ ი თ ხ ა ვ ს და ზ ე პ ი რ ა დ ა ც მ ს მ ე ნ ი ა ო, — „წერილთა შინა რომელთამე მებილვა და სიტყვითაცა მსმენოდა“.

თეიმურაზი „ვეფხისტყაოსნის“ ქართული ხასიათის შესახებ ისეთ აზრსაც კი გამოთქვამს, რომლითაც იგი მაშინ დელი ენათმეცნიერების დიდ თეორეტიკოსად გვევლინება. მსგავს აზრს მხოლოდ გვიან თუ ვიპოვით. აი, როგორ აყალიბებებს თეიმურაზი სიტყვათა „ნასესხობის თეორიას“: „საოცარიოა, — წერს იგი, — რა სიღრმით ფლობს რუსთაველი ქართულ ენასაო (ესე საკვირველ არს, რუსთაველმან, თუ ვითარ ესრეთ ენა ზედმიწევნით უწყოდა“), მაგრამ ის სიტყვებიც კი, რომლებიც მას უხმარია და სპარსულ ან არაბულს გვანან, ისინიც „ფრიალდ გამოცდილება უნდა კაცსა“, რომ აგრე გამოიყენოს, და სხვისნი არც ისინი არიან, „არამედ ნამდვილნი ქართულნი არიან... იგინი არიან აღრიდგანვე მრავალთა საუკუნეთა უწინარეს ქართულსა ენასა შინა შემოტანილნი და ეგრეთ ვხმარობთ მათ, ვითარცა საკუთართა ლექსთა (სიტყვებს—ი. მ.), ვინაჲდ-

გან ჩვეულებაა სხვათაცა ყოველთა ენათა, რომელ მეზობლობისა ძლით, ანუ ხშირად ერთისა, რომლასამე ენისა მსმენისა ძლით, ურთიერთისა ლექსთა [სიტყვებს] მიიღებენ და იხმარებენ თვისთა შინა ენათა“ (1, გვ. 294).

რუსთაველას ბიოგრაფიას თეიმურაზის „განმარტებაში“ შედარებით მცირე ადგილი უჭირავს. მთავარია „ვეფხისტყაოსნის“ ის ქართულობის თვალსაზრისი, რომლის თეიმურაზისეული ძირითადი არგუმენტაცია ზემოთ წარმოვადგინეთ. უ მ თ ა ვ რ ე ს ი და უ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ვ ა ნ ე ს ი ა ამ პოემის სტროფთა ის კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი, რომლებიც ავტორმა გვიანდერძა.

აი, მაგალითად, როგორ განმარტავს იგი პოემის 51 სტროფის პირველ სტრიქონს:

„თ ი ნ ა თ ი ნ მ ზ ე ს ა ს წ უ ნ ო ბ დ ა, მ ა გ რ ა მ მ ზ ე თ ი ნ ა თ ი ნ ო ბ დ ა“ — თინათინ მზისა ნათელსა, სარკისა მიერ, ანუ ესე ვითართა განწმენდულთა ნივთთა გარდამოცემულსა კედელსა ზედან, ანუ, რასაცა ზედან მას ეწოდება და უკეთუ შუქი იგი უელვარო მზისა სარკისა მიერ გარდამოცემული თვალთა კაცისათა, თვალს ძნელად გაუმართავს მას კაცი და მითომ თინათინის მშვენიერებაც ისეთი იყო, რომ კაცის თვალი ძნელად გაუმართავდა მას თვალსა. მზესა სწუნობდა—მე ესე ვგონებ, ყოველნი მშვენიერნი ქალნი პირს არიდებენ მზესა, რომ პირის სახედ მზე არ მოეკიდოს და პირის კანი არ ასწვას. ამისთვის თინათინ მზის დამაწუნებლად უთქვამს მელექსესა. მ ზ ე თ ი ნ ა თ ი ნ ო ბ დ ა — მ ა გ რ ა მ მ ზ ე თ ი ნ ა თ ი ნ ო ბ დ ა — ამას ნიშნავს, რომელ მრავალნი ტრფიალნი და მიჯნურნი მშვენიერთა კეკლუტანი სიშორისა ჟამსა საყვარელისა თვისისასა შეხედვენ რა მზესა, იტყვიან: „აი ჩვენი საყვარელიო“. ამა მიზეზისა გამო თქმულ არს, რომელ მზე თინათინობდა. კვალად ესრეთცა განიმარტების: რომელ თინათინ ოდეს აღიყვანა მამამან თვისმან ტახტსა სამეფოსა, მაშინ ყოვლოთა სიუხვითა თინათინ მოჰფენდა კეთილ ნაწლევობითა თვისითა ერთა თვისთა ზედა ურიცხვსა წყალობასა, ვითარცა მზე აღსრული ხარისხსა ზედა თვისსა მოჰფენს ნათელსა კეთილის მოქმედებისასა ქვეყანასა სასარგებლოდ და აღსაორძინებლად ყოველთა კეთილნაყოფიერებათა. ამისთვის რუსთაველი თინათინის კეთილმოქმედებასა და მზისასა შეასწორებს და ჰყოფს მათ მბაძველად ურთიერთისა“ (1, გვ. 18).

„ვეფხისტყაოსნის“ 84-ე სტროფის 2,3 და 4 სტრიქონების სიტყვებს, ფრაზებს თუ წინადადებას, თეიმურაზი ასე გვიხსნის:

2. „შ ა ვ ი ც ხ ე ნ ი ს ა დ ა ვ ი თ ა — ს ა დ ა ვ ი თ ა — ს ა დ ა ვ ი თ ა რ . ს ა დ ა ვ ი თ ა ს ა დ ა ვ ე ა რ ის , ც ხ ე ნ ის ა ლ ვ ი რ ზ ე დ რ ო მ ო რ ის ა ვ მ ს რ ი თ ბ რ ტ ყ ე ლ ი თ ა ს მ ე ბ ი ე ს ხ მ ის , რ ო მ ლ ი თ ა ც ა მ ვ ე დ ა რ ნ ი ხ მ ა რ ო ბ ე ნ ც ხ ე ნ თ ა .

3. ლ ა გ ა მ ი — ც ხ ე ნ თ ა ა ლ ვ ი რ ი . ა ღ ვ ი რ ი ის ა რ ის , რ ო მ ე ლ ს ა ც ს პ ა რ ს ნ ი ა ხ მ ა რ ე ბ ე ნ ც ხ ე ნ თ ა . ხ ო ლ ო ლ ა გ ა მ ნ ი ი გ ი ა რ ი ა ნ , რ ო მ ე ლ ს ა ც ა ა ხ მ ა რ ე ბ ე ნ ო ს მ ა ლ ნ ი ც ხ ე ნ თ ა და ე ვ რ ო პ ი ე ლ ნ ი ე გ რ ე თ ე ვ ე . ა ბ ჯ ა რ ი — ი ა რ ა ლ ი ს ა ბ რ ძ ო ლ ვ ე ლ ი მ ხ ე დ ა რ თ ა .

4. ც რ ე მ ლ ს ა ვ ა რ დ ი დ ა ე თ რ თ ვ ი ლ ა — ვ ა რ დ ი ლ ა წ ე ნ ი ა რ ი ა ნ , რ ო მ ე ლ ზ ე დ ა ც ც რ ე მ ლ ნ ი დ ა ა ჩ ნ დ ე ბ ი ა ნ , დ ა თ რ თ ვ ი ლ ვ ა ს მ ა ს უ წ ო ლ დ ე ბ ე ნ მ ო ლ ე ქ ს ე ნ ი , რ ო გ ო რ ა თ ა ც რ ო მ თ რ თ ვ ი ლ ი ყ ვ ა ვ ი ლ თ ა და ვ ა რ დ თ ა და ზ რ ა ვ ს , ე გ რ ე თ ე ვ ე მ შ ვ ე ნ ი ე რ ის ა ლ ა წ ე თ ა ც რ ე მ ლ ი“ (1, გვ. 23).

თ. ბაგრატიონი ზოგჯერ ს ც ი ლ დ ე ბ ა ს ი ტ ყ ვ ა თ ა მ ხ ო ლ ო დ გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ს და ქართული ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს პ ა რ ა ლ ე ლ ე ბ ს , ე თ ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ა დ ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო ც ნ ო ბ ე ბ ს ა ც მ ო ი შ ვ ე ლ ი ე ბ ს ხ ო ლ მ ე . მაგ., ავილოთ პოემის 142-ე სტროფის ე ჟ ი ბ — ს ი ტ ყ ვ ის თ ე ი მ უ რ ა ზ ის ე უ ლ ი გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა :

„ე ჟ ი ბ ი — ძ ჭ უ ლ ა დ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ე ფ ე თ მ ო მ ხ ს ე ნ ე ბ ე ლ თ ა გ ა ნ ი მ ო ხ ე ლ ე ი ყ ო , რ ო მ ე ლ ი ც ა წ ი ნ ა შ ე მ დ გ ო მ ე ლ ი მ ე ფ ის ა ი ქ მ ნ ე ბ ო და რ ა მ ც ა ვ ის მ ო ს ა ხ ს ე ნ ე ბ ე ლ ი ა ქ ე ნ და , მ ა ს ე ტ ყ ო ლ ვ ს და წ ი გ ნ ი თ გ ა მ ო უ ც ხ ა დ ე ბ დ ე ს და ი გ ი მ ე ფ ე ს ა ა უ წ ყ ე ბ და და მ ო ა ხ ს ე ნ ე ბ და , ა გ რ ე თ ე ვ ე მ ფ ის ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ა თ ა ე რ თ ა გ ა მ ო უ ც ხ ა დ ე ბ და . ე ჟ ი ბ ი ა წ ც ა ი ც ი ა ნ ჩ ე ვ ე ნ ს ქ ე ვ ყ ა ნ ა შ ი . ქ ო რ წ ი ლ ე ბ შ ი ე ჟ ი ბ ი ს ხ ვ ა ს მ ა ყ რ ე ბ ზ ე დ უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ი ა რ ის და რ ო მ ე ლ ი ც ქ ო რ წ ი ლ ის მ ე ფ ე ი ქ მ ნ ე ბ ა და წ ყ ე ბ ი დ ა მ ქ ო რ წ ი ლ ის ა , მ ა ნ ა მ ჯ ვ ა რ ის წ ე რ ა და ქ ო რ წ ი ლ ი ს რ უ ლ ი ა დ ა რ გ ა თ ა ვ ე ბ ა . ეს ე ჟ ი ბ ი , რ ო მ ე ლ ს ა ც ქ ო რ წ ი ლ ს უ ზ მ ე ნ , ი მ მ ე ფ ე ს ა ხ ლ ა ვ ს გ ვ ე რ დ ი თ და მ ა ს თ ა ნ ა ვ ე გ ვ ე რ თ და უ ჯ დ ე ბ ა . ს ხ ე ა ნ ი მ ა ყ რ ე ბ ი კ ი თ ა ვ ს უ ნ და ა დ გ ნ ე ნ და რ ა ც მ ე ფ ე ს ნ ე ბ ა ვ ს , მ ა ს უ ბ რ ძ ა ნ ე ბ ს ჩ უ მ ა თ და ი გ ი ს ხ ვ ა თ გ ა მ ო უ ც ხ ა დ ე ბ ს და , რ ა ს ა ც უ ბ რ ძ ა ნ ე ბ ს , მ ა ს ა ლ ა ს რ უ ლ ე ბ ს . ჩ ე ვ ე ნ ს ზ ნ ე ო ბ ა შ ი დ ი დ ი ს ი რ ც ხ ე ი ლ ი ა რ ის , თ უ ს ა ქ ო რ წ ი ლ ო მ ე ფ ე მ ი ლ ა პ ა რ ა ყ ა ; მ ა ნ ა მ ქ ო რ წ ი ლ ი შ ე ს რ უ ლ დ ე ბ ა , ე ჟ ი ბ ის პ ი რ ი თ უ ნ და ი ლ ა პ ა რ ა ყ ო ს . ე გ რ ე თ ე ვ ე ქ ა ლ ს ა დ ე დ ა თ ა გ ა ნ ი ვ ი ნ მ ე მ დ ა დ ი ე ყ ო ლ ე ბ ა , მ ს გ ა ვ ს ა დ მ ის ს ა , რ ო გ ო რ ა თ ა ც მ ე ფ ე ს ე ჟ ი ბ ი . ა რ ც ე რ თ ს წ ა მ ს ა რ ც ე ჟ ი ბ ი და ა რ ც მ დ ა დ ი მ ო ს ც ი ლ დ ე ბ ი ა ნ მ ე ფ ე ს ა და დ ე ლ ო ფ ა ლ ს ა ქ ო რ წ ი ლ ე ბ ის შ ე ს რ უ ლ ე

ბამდის: ეჭიბი სპარსულად მეფეთა მომხსენებელი იყო ძველად და ახლა კი აღარა ჰყავსთ, დავიწყებულა იმათში ეს სახელო“ (1, გვ.30—31).

კიდევ ერთი მაგალითი. იგივე ავტორი რუსთაველის პოემის 710-ე სტროფის პირველ სტრიქონს შემდეგ კომენტარს უკეთებს:

„ყმა ტკბილი და ტკბილ ქართული სიკეთისა ჯელის მხდელი — ყმა ტკბილი — ყრმა, ესე იგი ავთანდილ ტკბილი გულითა. ტკბილ ქართული ენითა და საუბრითა ტკბილი, თუმცა ავთანდილ ქართულად არა ლაპარაკობდა, მაგრამ სტიხის მოქმედნი ჩვენნი მარადის ტკბილს ენასა და ტკბილ საუბარს ტკბილს ქართულს უწოდებენ ამისთვის, რადგანაც ქართული ენა ბუნებით ტკბილი ლაპარაკი არს და ტკბილი სასმენელი, ვინცა ენამჭერვი იქნება. სიკეთისა ჯელის მხდელი — სიკეთისა ჯელოვანებისა ჯელმყოფელი, ანუ მოქმედი მისი“ (1, გვ. 88).

აი, ამგვარად განიხილავს ნაშრომის — „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ — ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ ძალაან ბევრ სტროფს, განმარტავს მათ ძნელად გასაგებ წინადადებებს, აფორიზმებს, მეტაფორებს, ალეგორიებს და სხვა მხატვრულ თქმებს.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ის, რაც თეიმურაზს დაუწერია, სწორი და უდავო არაა. მათში არის მიუღებელი განმარტებები, სადავო ადგილები და ზედმეტი მსჯელობანიც, მაგრამ მთლიანად ალებული ეს ნაშრომი ძვირფასი წყაროა რუსთველოლოგთა და საერთოდ ქართული კულტურის ისტორიის საკითხთა მკვლევართათვის.

ჩერ კიდევ გამოუქვეყნებელია თეიმურაზ ბაგრატიონის ზოგიერთი რუსთველოლოგიური წერილი და შენიშვნა (6), რომლებიც, ზემოთ აღინიშნა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაშია დაცული, მაგრამ მათ გარეშეც, გამოცემულ ნაშრომთა მიხედვითაც ცხადია, თუ რაოდენ დიდია იგი არა მხოლოდ როგორც ისტორიკოსი ჩვენი ერისა, არამედ აგრეთვე როგორც რუსთველოლოგიც.

მან ფასდაუდებელი როლი შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ მეორე—1841 წლის გამოცემის განხორციელებაში; ამ გამოცემისათვის სპეციალური პროგრამის (იხ. მ. ბროსე), თვით პოემის ტექსტის, წინასიტყვაობის და გამოცემაზე დართული ლექსიკონის შედგენაში უშუალო მონა-

წილებით. იგი ამ და ასეთ ქართულ საქმეებს არა მარტო მისი ცოდნით და გამოცდილებით უწყობდა ხელს, არამედ თავისი დიდი ავტორიტეტითაც.

თეიმურაზ ბაგრატიონი რუსთაველს მელექსეთაგმირშოთას უწოდებდა. თვითონ თეიმურაზი იყო ამ გმირისა და მშობელი ერის დიდი გულით მოსიყვარულე რაინდი. მან დაიმსახურა საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის კარგი მკვლევარის სახელი.

1. თეიმურაზ ბაგრატიონი. ვანმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედ-აშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლებით, თბ., 1960. 2. ექვთაყაიშვილი. Описание рукописей..., ტ. II, ნაწ. III, თბ., 1908, 3. თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1964. 4. შ. შესხია. თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1939, ნაკვ. I, გვ. 48. 5. ი. მეგრელიძე. თეიმურაზ ბაგრატიონი, როგორც რუსთველოლოგი. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისადმი მიძღვნილი კრებული „ორიონი“, თბ., 1967, გვ. 231—243. 6. ამათგან ზოგიერთი რამ წინამდებარე გამოკვლევის პირველად გამოცემის შემდეგ გ. შარაძემ გამოაქვეყნა. მაგ., იხ. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966; „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს, საიუბილეო კრებული“, თბ., 1966; ეურნ. „მაცნე“ 1966 № 4. 7. ტრ. რუხაძე. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ქართველი აკადემიკოსი. — „სახალხო განათლება“, 1956 № 47. 8. იხ. „ქატალოგი წიგნთსაცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა, დაამზადა გამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს. იორდანიშვილმა, თბ., 1948 (შდრ. P. P. Орбели. Грузинские рукописи и нстията востоковедения, I, მოსკოვ-ლენინგრადი, 1956, გვ. 174).

მარი ბროსე

გამოჩენილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი მარი-ფელისიტე-ქსავიე ბროსე — Marie-Félicité Brosset (1802 — 1880) იყო ისტორიკოსი, მაგრამ ფილოლოგიაშიც მუშაობდა.

მისი მასწავლებელი და კავკასიოლოგიისადმი ინტერესის აღმძვრელი აკადემიკოსი სენ-მარტენი (Saint-Martin, 1891—1833), მაშინ ცნობილი არმენისტი, ზოგადად იცნობდა საქართველოს ისტორიასაც და საჭიროდ დაინახა, ფრანგ ორიენტალისტთა შორის ქართველოლოგიც ყოფილიყო.

საისტორიო პირველწყაროებით უშუალოდ სარგებლობის მიზნით, მ. ბროსემ ქართული ენა შეისწავლა. ამ საოცრად პროდუქტიული მეცნიერის სხვადასხვა დარგში მოღვაწეობასა და უამრავ ნაშრომზე აქ ვერ ვილაპარაკებთ. არსებობს მისი შრომების სანიმუშო „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ — „Bibliographie analytique“ (ს. - პეტერბურგი, 1887). მისი ავტორია მ. ბროსეს შვილი — ლავრენტი ბროსე. ეს ბიბლიოგრაფია მოზრდილი ფორმატის 704 გვერდიანი წიგნია. მასში ანოტირებულია მ. ბროსეს მიერ 1824—1880 წლებში გამოქვეყნებული 271 და მისივე რეკომენდაციით (რედაქტორობით) გამოცემული 15 ნაშრომი. წინასიტყვაობის გარდა, აქვე შესავალში დაბეჭდილია მეცნიერის ბიოგრაფია და ზოგიერთი დოკუმენტი. წიგნს დართული აქვს საძიებლები (1, გვ. 532—704).

თუ გავიხსენებთ, რომ მ. ბროსეს ნაშრომებსა და პუბლიკაციებში მრავალი მსხვილტანიანი წიგნია, მათ შორის—კარგად ცნობილი „საქართველოს ისტორიის“ („ქართლის ცხოვრების“), ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიისა“ და სხვა პუბლიკაციების ქართული ტექსტი ფრანგული თარგ-

მ ა ნ ე ბ ი თ უ რ თ, მისივე „ა რ ქ ე ო ლ ო გ ი უ რ ი მ ო გ -
ზ ა უ რ ო ბ ა ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა და ს ო მ ხ ე თ შ ი“ (მათ შორის
12 რვეული საქართველოში მოგზაურობისა) და მისი გამოკვლევები
ქართველოლოგიაშივე, მაშინ გასაგები იქნება ინდოლოგ აკად. ბეტლინ-
გის ცნობილი ჰიპერბოლა: „ბროსემ ხელთ აიღო ქართული ხელნაწერებით
აღსაესე ტომარა, გადმოატრიალა და დასცალა ისე, რომ არაფერი და-
ტოვა შიგ რაიმე ინტერესის შემცველი“.

ქართველოლოგია ბროსეზე არ შეწყვეტილა. მ. ბროსეს შემდეგ
მოღვაწეობდნენ ამ დარგის უბრწყინვალესი მკვლევარნი: მრავალშხრიე
ნ. მარი, ისტორიკოსები: ივ. ჯავახიშვილი და ე. თაყაიშვილი, ფილო-
ლოგიაში კ. კეკელიძე, ქართული ხელოვნების ისტორიაში გ. ჩუბინა-
შვილი და შ. ამირანაშვილი, ქართული ენისა და მისი ისტორიის შეს-
წავლაში ა. შანიძე და სხვები, — მაგრამ სწორია ის, რომ ბ რ ო ს ე მ
ძ ა ლ ი ა ნ ბ ე ვ რ ი გ ა ა კ ე თ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ა შ ი.

ზოგმა არასპეციალისტმა და ცალკეულმა სპეციალისტმაც კი გადა-
აქარბეს განცხადებით: „მეცნიერული ქართველოლოგიის მამამთავრად
ითვლება ფრანგი მეცნიერი აკადემიკოსი და პროფესორი მარი-ფელი-
სიტე ბროსე“ (1965). არა, მ ა რ ი ბ რ ო ს ე პ ი რ ვ ე ლ ი უ ც ხ ო -
ე ლ ი დ ი დ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ა; ამავე აზრით უნდა გავიგოთ უკვდავი
ილია ჭავჭავაძის სიტყვებიც: მ. ბროსემ „პ ი რ ვ ე ლ მ ა აიღო ჩვენი
ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა სამეცნიერო შესწავლის სპეციალურ
საგნად და მიიპყრო მთელის განათლებული ქვეყნების მეცნიერთა ყურად-
ღება“. ძველ ისტორიას რომ თავი დავანებოთ, ახალი ქართველოლო-
გიის ფუძემდებელია ვახტანგ მეექვსე და მის ირგვლივ შეკრებილნი
სწავლულნი, კერძოდ, სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი
და სხვები (იხ. ქვემოთ).

მ. ბროსეს ქართველოლოგიური მუშაობის მიმართულების მიმცემი
თეიმურაზ ბაგრატიონი იყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პირველი პარიზ-
ში იმყოფებოდა და მეორე — პეტერბურგში. შემდეგ კი, როდესაც
ბროსეც პეტერბურგში გადმოსახლდა, მის მოღვაწეობას ისევ თეიმუ-
რაზ ბაგრატიონი და იქვე მყოფი მოწინავე ქართველები ასულდგმულე-
ბდნენ. რუსეთში მაშინ უკვე შეეძლო ევროპულად განსწავლულ მეც-
ნიერს ემუშავნა ამავე იმპერიაში შესული ახალი ხალხების (კავკა-
სიელების) ყოფისა და ისტორიის შესასწავლად.

ყოველივე ამის შესახებ სრული საფუძველი ჰქონდა დიდი ინტუიციის მეცნიერს — ნიკო მარს, განეცხადებინა: «Никогда грузиноведение и арменистика не пользовались таким вниманием в России, как в этот момент» (როდესაც ბროსე აქ გადმოსახლდა) (2, გვ. 074). ეს მეცნიერი იყო ლინგვისტი და ლიტერატურის ისტორიკოსი, მაგრამ რამდენადაც ამ დროს ისტორიულ კვლევა-ძიებას მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ფილოლოგიურს, მ. ბროსეც ისტორია-არქეოლოგიას დაეწაფა. აქ მას დახვდა მოწინავე ქართველთა მთელი კოლონია, რომელთა ხსოვნაში ჯერ კიდევ ძლიერი იყო საქართველოს სამეფოს არსებობის აზრი. «Это миропонимание, основанное на работах грузинских ученых XVII—XVIII веков, частью на живых преданиях, представляло готовое историческое построение о Грузии.... Оно окончательно определило направление и характер деятельности Броссе, как грузиноведа.

«Броссе отвернулся от лингвистических и литературных тем и, сосредоточившись на истории, явился в роли истолкователя исторического самопонимания грузин в европейской науке» (იქვე).

საფუძვლიანია ნ. მარის შემდეგი განმარტებაც: რუსეთში ქართველოლოგია მაშინ მხოლოდ ისახებოდა და ზემოაღნიშნული მე-17—18 საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა აზრების გადმოცემა აკმაყოფილებდა მაშინდელ რუსულ აღმოსავლეთმცოდნეობას. მკვლევარის ამ ფარგლებში მოქცევას იმანაც შეუწყო ხელი, რომ საერთოდაც «склад ума Броссе был не синтетического порядка: занимаясь с увлечением наблюдателя-энтузиаста отдельными фактами и явлениями, прослеживая до последней возможности их подробности, он избегал обобщений»*.

ნ. მარი ასკვნის: «все толкало Броссе на то, чтобы в главу угла своего научного направления он положил теорию грузинских ученых XVII—XVIII веков» (2, გვ. 075).

* გამოკვეყნდა წიგნი — „შ. ხანთაძე. მარი ბროსე“, თბ., 1966, მასზე დაიბეჭდა ნინო მახათაძის რეც. გაზ. „კომუნისტში“, 1967 № 178; შტრ. არჩ. ბარამიძე. წერილი (გაზ. „კომუნისტი“, 1963 № 12) და ცალკე წერილი „მაცნეში“ (1964 № 4). უკანასკნელი ორი ავტორი არ იზიარებს აზრს, რომ ბროსე უფრო ფაქტოლოგი იყო, ვიდრე ფაქტთა მონაცემების განმზოგადებელი, რაც სწორი არაა.

ამითვე ხსნის ნ. მარი იმ გარემოებას, რომ ბროსემ სათანადოდ ვერ დააინტერესა ევროპა ქართველოლოგიით და იქ კი არ გაუჩნდნენ მას მიმდევრები, არამედ საქართველოში დ. ბაქრაძე, თ. ყორღანიძე, ე. თაყაიშვილი (2, გვ. 077).

ვიმეორებთ, მაინც დიდი მ. ბროსეს დამსახურება ქართველოლოგიაში, — ის მეცნიერების ამ დარგის პიონერია ევროპაში, იგივე ქართულ-სომხური ფილოლოგიის პიონერია რუსეთში (შდრ. იქვე, გვ. 077). მან შემოიკრიბა ქართველი მეცნიერები პეტერბურგში და მუშაობდნენ ერთად.

ნ. მარის ამავე თვალსაზრისს იზიარებს სარგის კაკაბაძე. იგი წერს: ბროსე დაუკავშირდა თეიმურაზ ბაგრატიონს, რომელიც «в последствии являлся деятельным пособником Броссе в его научной деятельности» (3, გვ. 121).

ამიტომ უწოდებენ ბროსეს თ. ბაგრატიონის მოწაფეს. თვითონ თეიმურაზი იყო «в полной идеологической зависимости от известного грузинского историка серед. 18 века ц-ча Вахушта. Вахушт — крупнейший грузинский историк и географ нового времени — создал фермен грузинской исторической мысли» (3, გვ. 122).

ამგვარადვე აფასებს მ. ბროსეს ქართველოლოგიურ მოღვაწეობას ივ. ჯავახიშვილი. ბროსემ, — წერს ქართველი ისტორიკოსი, — „ჩერკიდევ საფრანგეთში ყოფნის დროს ქართულის შეთვისება მოახერხა და ქართული ენის გრამატიკის საისტორიო ნაშრომის დაწერაცა და გამოქვეყნებაც შესძლო“. როცა მან ეს მოღვაწეობა 1837 წლიდან პეტერბურგში განაგრძო, აქ მან „ადგილობრივი ქართველებიც შემოიკრიბა და მეტად ინტენსიური სამეცნიერო მუშაობაც გააჩაღა. მისი მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო: შესაძლებელია გადაუჭარბებლივ ითქვას, რომ ქართული კულტურის ისტორიის თითქმის არც ერთი სფერო არ დარჩენილა, რომლითაც ის ცოტად თუ ბევრად დაინტერესებული არ ყოფილიყო, მაგრამ მისი მოღვაწეობის მთავარ საზრუნავს მაინც ქართული საისტორიო და სალიტერატურო ძეგლებისა და ნივთიერი კულტურის შესახები ცნობების შეგროვება-გამოქვეყნება შეადგენდა. ამ მხრივ მისი დამსახურება უდიდესია“. მან ერთსა და იმავე დროს ქართველებს საშუალება მისცა, გამოეყენებინა გამოქვეყნებული ქართული წყაროები, ხოლო იმავე ძეგლების ფრანგული თარგმანებით აგრე-

თვე მანვე უცხოელ მეცნიერებს მისცა საშუალება, გამოეყენებინათ ქართული წყაროები (ზღრ. 4, გვ. 6).

ამას ისიც შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ბროსე ქართულ-სომხური ფილოლოგიის პიონერია (ნ. მარი), მაგრამ არაა სწორი პროფ. ჰანს ფოგტი, რომელმაც მ.ბროსეს ამ დარგის დამაარსებელი და ნ. მარს მხოლოდ მისი საქმის გამგრძელებელი, ახალ ეტაპზე ამყვანი უწოდა. ეს შეცდომა გაიმეორა აგრეთვე პროფ. ვასილ აბაევმა და რუსუდან დოდა შვილმაც. უკანასკნელმა თავის წიგნში „მ ა რ ი ბ რ ო ს ე — ქართული მწერლობის მკვლევარი“ (თბ., 1962) სხვა უხეში შეცდომებიც დაუშვა. მაგ., იგი აცხადებდა, მ. ბროსე ქართველოლოგიის დამაარსებელიაო. ეს მაშინ, როდესაც თვითონ ბროსე თავის თავს თეიმურაზ ბაგრატიონის „მოკრძალებულ შევირდს“ უწოდებდა და, ამის გარდა, ორივე ამათ წინ უსწრებდნენ ვახტანგ მეექვსე, ვახუშტი ბაგრატიონი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვები. რ.დოდაშვილის წიგნის სხვა შეცდომებზე აქ აღარ შეეჩერდებით; მასზე არსებობს ჩვენი რეცენზია სათაურით — „ერთი წიგნის ავ-კარგი“ (გაზ. „კომუნისტი“, 1963 წ., 15 იანვარი) და საკითხით დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ის წაიკითხოს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბროსე, როგორც ისტორიკოსი, დახასიათებულია შოთა ხანთაძის ზემოდასახელებულ მონოგრაფიაში (იხ. ქვემოთაჲ, — 5), ოღონდ მ. ბროსე, როგორც ქართული ლიტერატურის მკვლევარი, არც ამ ნაშრომშია სრულად წარმოდგენილი.



აკად. მარი ბროსეს დამსახურების თაობაზე ქართულ ფილოლოგია-სა და განსაკუთრებით რუსთველოლოგიაში, ერთ-ერთი სათანადო ნაშრომი გვაუწყებს: „ბ რ ო ს ე ს შ რ ო მ ე ბ ი ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ა და კ ე რ ძ ო დ „გ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს“ დ ა რ გ შ ი მ თ ე ლ ი ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა ა“ (1938 წ., ხაზი ჩვენია; ი. მ.).

აქ ნაშრომთა მოცულობა გაზვიადებულია, მაგრამ მათი ხ ა რ ი ს ხ ი დ ა ს ა ე რ თ ო მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა უ ე ქ ე ე ლ ა დ დიდია იმ დროისათვის.

მ. ბროსემ ჯერ გამოაქვეყნა ორი წერილი ქართული ენის შესახებ „Nouveau Journal asiatique“-ში (1827, ივნისი და დეკემბერი), ხოლო მალე იგი ქართულ ლიტერატურის საკითხებსაც შეეხო. მან „პარიზის

„ამოსავლეთის საზოგადოების“ საერთო სხდომაზე 1828 წლის 29 აპრილს წაიკითხა მოხსენება თემაზე „État actuel de la littérature géorgienne“ („ქართული მწერლების დღევანდელი ვითარება“) და იგი გამოაქვეყნა „Nouveau Journal asiatique-ს“ იენისის ნომერში.

მასში ავტორი მოკლედ ეხება საქართველოს ისტორიისა და ლატერატურის საკითხებს, ვრცლად ლაპარაკობს „ვეფხისტყაოსანზე“, მოკლედ გადმოსცემს პოემის თემას, აღნიშნავს, რომ მასში უმაღლესი სიყვარულია დახატული და ფრიად საინტერესო და მაღალფარდოვანი სტალოთ. მთლიანად „ყოველივე იმით, რაც ქმნის ამ ნაშრომების მუდმივ სიახლეს“, დაწერილი რომანიაო.

მე იმედი მაქვს, — აცხადებს მ. ბროსე, — უახლოეს დროში მკითხველს „მივაწოდებ პოემის სრულ თარგმანს“, ქართულ ლატერატურაში „არის ისეთი ქმნილებები, რომლებიც ღირსნი არიან შესწავლისა“ (შტრ. საჯარო ბიბლიოთეკის „შრომები“, ტ. IV, 1938, გვ. 126).

მ. ბროსე მალე ასრულებს დაპირებას, — იმავე წელს თარგმნის „ვეფხისტყაოსნიდან“ როსტევიან არაბთა მეფის ამბავს („Première histoire de Rostéwan...), და შემდეგ სხვა ნაწყვეტებს. მათ აქვეყნებს ზემოხსენებული ჟურნალის 1830 წლის V, VI და 1831 წლის VII ტომებში, რომელსაც ახლავს ტექსტოლოგიური ნაშრომი პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ორა რედაქციის მიხედვით; ავტორი ეხება აგრეთვე რუსთაველის ბიოგრაფიის, მისი ლექსის ვერსიფიკაციის, პოემის სტალოს, მოქმედების განვითარების გეოგრაფიულა არის, მოქმედ პირთა სახელებას, პოემისავე ფრანგულად თარგმნის და სხვა საკითხებს (თარგმნის კიდევ ტარაიელს ამბავს), იყენებს თეიმურაზ პაგრატიონის მიერ მიწოდებულ ცნობებსაც და სხვა.

აღნიშნულის გამო თეიმურაზ ბაგრატიონი ბროსესადმი გაგზავნილ ბარათში (იხ. ზემო ციტ. წერილებს ს. ყუბანეიშვილას პუბლიკაცია, 1964, გვ. 12) წერს: „მე ვიხილე ჟურნალსა თქვენ მიერ წარმოდგენილსა ღიღისა მის და სახელოვანისა ჩვენისა მელექსეთა გმირისა შოთა რუსთაველისა რჩეულნი ლექსნი და შენ მიერ ლამაზად თარგმანება მისი ფრანციტულს ენაზედ. ვაშა, ვაშა!“

თარგმანის შესახებ მ. ბროსე შენიშნავს: ტარიელის ამბის („ვეფხისტყაოსნის“, — ი. მ.) „ლათინური თარგმანი მეცნიერთა გემოვნებას უფრო უპასუხებდა; ფრანგ მკითხველს ჩვენ მივეცემდით ზუსტ წარმო-

დგენას ტარიელზე. ლათინური თარგმანი ნაკლებად მონური და თავისუფალი იქნებოდა, ვიდრე ფრანგულად გადაღებული“ (ჩვენი საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, ტ. VI, გვ. 366).

მას ლათინური თარგმანი არ მიუტია, თუმცა ამაზე კვლავაც წერდა (იქვე, ტ. VII, გვ. 329). 1837 წელს მ. ბროსე ერთგან აცხადებს: „ვეფხისტყაოსანი მთლიანად გადაეთარგმნე და ტექსტის ნაწილი მზად მაქვს გამოსაცემად“.

მ. ბროსესათვის უკვე ექვს არ იწვევს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარის ეპოქაშია შეთხზული.

„მე რუსთველი ხელობითა“.... „ვის მორჩილობს ჯარი სპათა“, — მ. ბროსეს ვერ გაუგია სწორად და თარგმნის „მე ჯარის გენერალმა რუსთაველმა“....

თარგმნის ცდისა და მასზე დიდი ჯაფის გაწევის გარდა, მ. ბროსეს მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დიდი მოწონების მაუწყებელია მისივე სიტყვებით: „სტილის მხრივ ტარიელი ყველა სხვა ქვეყნისათვის შესანიშნავ ნაწარმოებად ჩაითვლება“.

მეორეგან იგი სწორად განსაზღვრავს, რომ ენობრივ-სტილისტურად „ვეფხისტყაოსანი“ დიდად განსხვავდება „ბიბლიური“ წიგნების ქართული თარგმანების სტილისაგან, მაგრამ მ. ბროსე ვერაა ზუსტი, როდესაც აცხადებს: „ფილოლოგის თუ გრამატიკოსის თვალსაზრისით რომ წარმოვიდგინოთ ტარიელის სტილი, იგი მეორეხარისხოვანი ნაწარმოებია, მაგრამ პირველი კლასისაა მდაბიო (იგულისხმება საერო; ი. მ.) სტილის ნაწარმოებთა შორის“. ამით ბროსე ასხვავებს ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ენას, რაც არსებითად სწორია.

მ. ბროსე დაწვრილებით ახსიათებს რუსთაველის რიგ მეტაფორებს („მაგ., მტრედის კერცხისოდენა ცხრა მარგალიტი....“), აფორიზმების („მტერი კაცსა ვერას აენებს, რომელ კაცი თავსა იენებს“) და სხვას.

ზემოდასახელებულ სამ წერილთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მეორე წერილი („ტარიელის ესკიზი“). აქ არა მარტო მოქმედი პირები არიან დახასიათებული (მაგ., ტარიელის ისტორია), არამედ პოემის შინაარსიც თითქმის მთლიანადაა გადმოცემული და მისი ორიგინალობაც აღიარებულია.

ავტორის მოკლე დასკვნა ასეთია: „მე ვფიქრობ, რომ ტარიელი ინდური ამბავია გარეგნულად, ხოლო სახელებით სპარსული და ყველად ან ა რ ჩ ე ნ ი კ ი ქ ა რ თ უ ლ ი ა“ (ხაზი ჩვენი; ი. მ.).

რუსთველოლოგიურ ზოგად საკითხებში მ. ბროსეს ნაშრომთა შორის უმნიშვნელოვანესია ის მოკლე წინასიტყვაობა, რომელიც პოემის 1841 წლის გამოცემას ახლავს. თვით გამოცემას აწერა:

„ვეფხისტყაოსანი“

რუსულად

Барсова кожа

პოემა დაწერილა შოთთა რუსთველის მიერ, ახლად დაბეჭდილია შეერთებულათა დეაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა. სანკტ-პეტერბურლს, სტანბაში საჯელმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა 1841“.

წიგნის V გვერდზე მიძღვნაა თეიმურაზ ბაგრატიონისადმი სამივე გამოცემლის ხელმოწერით.

მ. ბროსე წინასიტყვაობაში წერს: „რამთონჯერაც ზედ იხედ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს, იმდენად უფრო და უფრო მოგვწონს“ (გვ. VII). ამის მიზეზად ავტორი აცხადებს: ეს ზღაპრული ტურფა თხზულებაა, კეთილზმოვანი ლექსებითაა შესრულებული, ავტორი ენამკვივრია, იცის „პაზრების მშვენიერად დაწმახვნა და ჭეშმარიტების მაღალ ფილოსოფიური მხატვრობა; ეს პოემა მითაც გვიტაცებს, რომ მასში „რუსთველას მიერ ზნეთა და შინაგანთა ცხოვრებათა ქართველთა“ აღწერა; მე „ვამტკიცებ, რომ წიგნი ესე ქართულს ენაზე უებრო და უამხანაგოა, და თვით ევროპაშიც მისი უმჯობესი მრავალი არ იპოვება“.

„პირველი პირობა თხრობისა, — განაგრძობს მ. ბროსე, — რომ დასაბამი შედეგს ეთანხმებოდეს და ორავე ბოლოს, „ვეფხისტყაოსანში“ ბრწყინვალედაა დაცული. მეტაც, — ყოველა გვერდი და სტრიქონიც კი გვიძლიერებს სურვილს, მომდევნო გვერდები და სტრიქონებიც წავიკითხოთ, ამ პოემაში მრავალი მოქმედი პირია და ერთმანეთზე ისე არიან დამოკიდებულნი, როგორც თინათინ ავთანდილზე, ტარიელ ნესტან-დარეჯანზე, ავთანდოლ, ფრადონ და ასმათ ტარაელზე და მის საყვარელზე“ (გვ. VII).

ყოველა ეს მოქმედი პირი გმირია; ტარიელსა და ნესტან-დარეჯანზე ყველა „იტყვის, რომ ესენი მიჯნურთა უმიჯნურესნი და გმირთა უგმირესნი არიანო“ (გვ. VIII).

მ. ბროსეს აზრით, რუსთაველი შორსაა მიმბაძველობისაგან. ამ პოეტში „შეერთებულია ყოველი ღირსება მწერლისა“ (იქვე).

აგტორი ტარიელას პირით სხარტად გადმოგვცემს ამბებს, თუმცა დასძენს, სიუჟეტი სპარსულიაო, მაგრამ ნამდვილად კი, — განაგრძობს მ. ბროსე, — „ნათლად ჰსჩანს, რომ თვით შეუთხზავს ზღაპარი ესე უფრო თამარ მეფის ქებისათვის, და დაუწერია შეთანხმობითა საქართველოს მოთხრობისათა“, ამიტომ წერსო: „თამარს ვაქებდეთ მეფესა“ „...მიბრძანეს მათდა საქებად“...და სხვა.“

თამარზე ხვარაზმშას გამიჯნურებისა და მისი თბილისიდან განდევნის ამბავი ისეა მოთხრობილი, როგორც ეს ვახტანგ მეფის „ქართლის ცხოვრებაში“ წერიაო.

„და უსაცილოდ სხვანაცა მოქმედნი პირნი ვეფხის-ტყაოსნისა თვით ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვითო მათგანი საქმეთა თამარ მეფის დროს მომხდართა“, ქაჭეთის ციხეც კი იმერეთში ყოფილა; „გმირების ზნეობა, ყოფა-ქცევა, გულოვნობა, ძმური მეგობრობა, უთუოდ ქართველთ გულს, ზნეობას, ერთის სიტყვით ვსთქვათ, სრულს მათს ხარაქტერს გამოგვიხატავენ“.

აგტორი რუსთაველის დიდ ღირსებად თვლის, რომ ამოდენა პოემაში „არც ერთი უშვერი სიტყვა“ არ იპოვება (გვ. IX).

მ. ბროსე აკრიტიკებს ანტონ კათალიკოსსა და ტიმოთე მიტროპოლიტს: რუსთაველმა სიბოროტე და სიბილწე კი არ ასწავლა ქართველ დედაკაცებს, არამედ სიწმინდეო. ამდენად რუსთაველს გამჭიქებელნი „სრულიად უმიზეზოდ“ სდებენ ასეთ ბრალსაო.

„რუსთაველი იყო ისეთი მცოდნე ქართულის ენისა, რომ მისი სწორი აქომამდე არ გამოჩენილა.“ იცოდა არაბულიც, აგრეთვე ბერძნულიც; შეუძლებელია, რომ მას „საბერძნეთში სწავლა არ მიეღოს;“ რაც ბერძნულ ენაზე „პოემანი, თუ ფილოსოფიურნი წიგნი“ (იყო), უთუოდ, სულ წაუკითხავს და შემდეგ დაუწერია მას თავისი პოემაო (გვ. X).

ვახტანგის განმარტება „ფრიად შეუსაბამო და უხამსია“ (გვ. XII); ყველამ იცის, ეს ადამიანური სამიჯნურო პოემაა და ამიტომ ჩვენ არ ვიმეორებთ ვახტანგის განმარტებას, „მის მაგივრად დავბეჭდეთ მცირე ლექსიკონი უხმართა მდებიურს ლაპარაკში და ძველთა სიტყვათა, რომელნიც ვეფხის-ტყაოსანში იპოვნებთან“ (536 სიტყვა; გვ. XIII).

„ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში მ. ბროსე წერს:

„ამ წიგნის დაბეჭდვაზე და საკუთარდ წინასიტყვობის დაწერაზე უფ. ჩუბინოვმა გულითადი შემწეობა მიჩვენა“ (გვ. XIV). მ. ბროსე რუსთველოლოგიის საკითხებს ეხება აგრეთვე წერილში „De la littérature romanesque géorgienne“, რომელიც დაიბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნ. „Mélanges asiatique“, ტ. VIII-ში (1881, გვ. 417 — 442).

ავტორი აქაც არჩევს „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელ სტროფს — „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“, ეხება ამ სტროფში მოხსენიებული ოთხივე პოეტის ბიოგრაფიის საკითხებს, იმეორებს შოთა რუსთაველის ახალციხელობას (გვ. 427), რომ პოეტი იყო თამარ მეფის მეჭურჭლეთ-უხუცესი, ანუ ფინანსთა მინისტრი, ამბობენო, რომ ეს პოეტი 1215 წელს გარდაიცვალა იერუსალიმში (გვ. 431). აქვე ავტორი ასახელებს „ვეფხისტყაოსნის“ 1841, 1846, 1860 (გამოცემულს, — მისი სიტყვებით, — დაუღლეო ჩუბინაშვილის მიერ), 1867 და 1875 გამოცემებს და საინტერესო ცნობებს იძლევა 1841 წლის გამოცემის შესახებ.

„ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემა იმიტომ განვახორციელეთ, — აღნიშნავს მ. ბროსე, — რომ პოემის ცალეგმა ზღაპრულ ფასს მიღწია, ხელახლა დაბეჭდეთ ვახტანგ მეექვსის 1637 სტროფიანი გამოცემა, დამატებით 48 სტროფისა, რომელიც ჩვენ პ. ქებაძემ გვაცნობა მის მიერ მოპოვებულ კარგი ხელნაწერიდანო.

მ. ბროსე იძლევა პირდაპირ ცნობებს: „ჩვენი გამოცემა [1200 ცალიდან] დართული აქვს 1846 წელს ჩუბინაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ქრესტომათიას“, რომელშიც აგრეთვე დაბეჭდილია პოეტური თარგმანი პოემის 142 ტაეპისა (568 სტრიქონი), შესრულებული პოეტ ბარტდინსკის მიერ. იგი პირველად გამოქვეყნდა «Младоруссия»-ში (1845, № 6 — 7). მათი პუკარედი ეკუთვნის მრავალ ქართველსაო (გვ. 431).

მ. ბროსეს სხვა წერილებიც აქვს გამოქვეყნებული ქართული მწერლობისა და „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე (1, გვ. 574 — 575). მაგრამ ყველაფრის გამოცემა მაინც ვერ მოასწრო; ასეთები დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში (ყოფ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი).

„ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდებისა თუ სტროფების ფრანგული თარგმანების: წერილებისა და შენიშვნების, ჩანაწერებისა და საკუთარ

წიგნებზე მინაწერების სახით (მაგ., ფონდები: K 21; H 22; E 22; M 24; E 105; 106 და სხვა. იხ. აგრეთვე რ. ორბელის ქართული ხელნაწერების აღმწერლობის ტ. I, ლენინგრადი, 1956; რუსულ ენაზე).

*

ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი, აკად. მარი-ფელისიტე ბროსე იყო გამოჩენილი ისტორიკოსი, მაგრამ ამევე დროს ფილოლოგიაშიც მუშაობდა. მის ნაშრომებში ქართველოლოგიას ერთი უმთავრესი ადგილთაგანი უჭირავს. მ. ბროსე იკვლევდა ძველი ქართული მწერლობის საკითხებსაც. ის ყველაზე მეტ ყურადღებას „ვეფხისტყაოსანს“ აქცევდა: მას სწავლობდა როგორც ფილოლოგი და როგორც ისტორიკოსი.

„ვეფხისტყაოსანში“ ქართული სინამდვილის ასახვა ჯერ კიდევ ვახტანგ მეექვსემ და თეიმურაზ ბაგრატიონმა აღნიშნეს. მარი ბროსემ (დ. ჩუბინაშვილთან ერთად) XII საუკუნის საქართველოს სინამდვილესა და „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდთა შორის მონახა პარალელები და გააღრმავა პოემის ისტორიულ-ეროვნული ინტერპრეტაცია.

მარი ბროსე სწორად აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ენობრივ-სტილისტიკურად დიდად განსხვავდება ბიბლიური წიგნების ქართული ენისაგან. მან პირველმა შეამჩნია მსგავსება ჩახრუხაძისა და რუსთველის ცალკეულ აფორიზმებსა და მხატვრულ ლექსიკას შორის, წამოაყენა ამ ორი პოეტის იგივეობის ჰიპოთეზა, რაც არ გამართლდა.

თეიმურაზ ბაგრატიონთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის ხელმძღვანელობის გარდა, მ. ბროსემ თავის ნაშრომში დააყენა საკითხები: რუსთაველის ბიოგრაფიის, ეპოქის ისტორიის, „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის, აღნაგობისა და სხვა მხარეებისა. გაველო პარალელები რუსთველის პოემასა და მსოფლიოს სხვა უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ ძეგლებს შორის.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მ. ბროსემ თარგმნა შემოკლებულად ფრანგულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“, გამოაქვეყნა მასზე რამდენიმე ნარკვევი, რითაც ხელი შეუწყო პოეტის უკვდავი ქმნილების და საერთოდ, ქართული კულტურის მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციას.

ყოველივე ამას თუ იმასაც დაუვმატებთ, რომ მ. ბროსე საერთოდ იყო თავისი დროის დიდი ქართველოლოგი, — ისტორიკოსი,

არქეოლოგი, ფილოლოგი და ტექსტოლოგი, ქართველ ხალხს და მის კულტურას დიდად აფასებდა (შდრ. 6), მაშინ გასაგებია: შემთხვევითი არაა, რომ ბროსე საქართველოში უფრო პოპულარული მეცნიერია, ვიდრე მის სამშობლო საფრანგეთში. ესაა მ. ბროსეს ღვაწლის მალაერი ქართველი ერის მიერ უღაღესი დაფასება.

1. (Laurent Brosset). *Bibliographie analytique de ouvrages de Monsieur Marie-Félicité Brosset, 1824—1879*, ს.-პეტერბურგი, 1887 წ. 2. Н. М а р р. К столетию дня рождения М. И. Броссе. — *Записки Восточного отделения Русского археологического общества XIV*, ს. - პეტერბურგი, 1902; 3. С. Н. К а к а б а д з е. Акад. М. Броссе и его значение в грузинской историографии. — „საისტორიო მოამბე“, II, 1925. 4. ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937; 5. შ. ხ ა ნ თ ა ძ ე. მარი ბროსე (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1966. 6. ნ. ო რ ლ ო ე ს კ ა ი ა. მარი ბროსე და გაზეთი თბილისის უწყებანი. — *ქურნ. „მნათობი“*, 1968 № 12.

დავით ჩუბინაშვილი

პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველ პროფესორი, ფილოლოგი და ისტორიკოსი, დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი, 1814 — 1891) დამსახურებული რუსთველოლოგთაგანია. დ. ჩუბინაშვილი დაიბადა თბილისში. მალე დაობლდა; მამის მაგიერობა მას ბიძამ — ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა გაუწია.

ნიკო ჩუბინაშვილი ერეკლე მეორის კართან დაახლოებული მწიგნობრის ოჯახიდან იყო. იგი 1825 წლამდე ცხოვრობდა თბილისში. აქ ის უმთავრესად სასკოლო სახელმძღვანელოებსა და დამხმარე წიგნებს ადგენდა; 1825 — 1837 წლებში საგარეო სამინისტროს დეპარტამენტის თარჯიმნად მსახურობდა პეტერბურგში, იქვე მუშაობდა „ქართულ ლექსიკოგრაფიასა და გრამატიკაში, ხოლო 1842 — 1845 წლებში საქართველოსა და პალესტანაში არქეოლოგიურ ძიებას ეწეოდა“ (1);

ცნობილია, ნიკო ჩუბინაშვილმა პირველმა გადმოხატა პალესტინის ქართული ჯვრის მონასტრის სვეტზე არსებული მოხუცი შოთა რუსთაველის პორტრეტი. ის შემონახული აღმოჩნდა ნიკოს არქივში და გამოაქვეყნა ბ. კანდელაკმა (ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1958 № 8, გვ. 9 — 11).

ჩვენ ყველაფერში ვერ დავეთანხმებით იმათ, რომელთაც ამ პუბლიკაციის გამო უკმაყოფილება გამოთქვეს (გაზ. „კომუნისტი“, 1958 წ. 1. 12). მაშინ საჭირო იყო ხსენებული ასლის გამოქვეყნება, რადგან ჯერ კიდევ არავინ იცოდა, შოთას გამოსახულების ადგილზე აღდგენა შესაძლებელი გახდებოდა, თუ არა. და რომ ის დედანი არ აღმოჩენილიყო გადარჩენილი, მაშინ ხომ მხოლოდ ნ. ჩუბინაშვილის მიერ გადმოხატული ასლის ამარა ვრჩებოდით. ის გვაძლევდა დედანზე თუნდაც უოგად წარმოდგენას.

აღნიშნული კედლის მხატვრობის ფოტოსურათი და მხატვრის მიერ გადაღებული პირიცი მოიტანა სპეციალურმა ექსპედიციამ ი. აბაშიძის, ა. შანიძისა და გ. წერეთლის შემადგენლობით, რომელიც 1960 წელს იყო პალესტინაში.

ნ. ჩუბინაშვილმა იცოდა ქართული, რუსული, ბერძნული და ლათინური ენები; ის ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. იგი ძირითადად 1812—1825 წლებში ადგენს იმ „ქართულ ლექსიკონს“, რომელიც, მისი დაწერიდან საუკუნეზე მეტი დროს გასვლის შემდეგ, ალ. ლონტმა გამოაქვეყნა (1961). ნ. ჩუბინაშვილი არის აგრეთვე შემდგენელი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი „რუსულ-ქართული ლექსიკონისა“ და ავტორი რიგი არქეოლოგიური აღწერების, სხვადასხვა შინაარსის წერილებისა თუ ჩანაწერებისა.

განათლებულმა და უაღრესად შრომისმოყვარე ბიძამ — ნ. ჩუბინაშვილმა წაიყვანა ახალგაზრდა დავითი პეტერბურგში, უნივერსიტეტში მოაწყო და უმაღლესი განათლება მიაღებინა.

ვინც იცის ლექსიკოლოგიური მუშაობის შრომატევადობა და გაითვალისწინებს, რომ ნ. ჩუბინაშვილი ერთპიროვნულად ორი დიდი ლექსიკონის შემდგენელია, მისთვის გასაგებია, რომ ბიძასთან ცხოვრებამ თავისი კეთილი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა დ. ჩუბინაშვილის მომავალ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

*

დავით ჩუბინაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოთხრობილია ალ. ცაგარლის ზემოდსახელებულ ნაშრომში. ამავე საკითხებსა და დ. ჩუბინაშვილზე, როგორც რუსთველოლოგზე, გამოქვეყნებულია პროფ. ვუკ. ბერიძის სპეციალური წერილი (3, გვ. 17).

დ. ჩუბინაშვილი 1835 წელს შევიდა და 1839 წელს დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი; 1840 წელს მან ნ. ჩუბინაშვილის ადგილი დაიკავა ზემოხსენებულ დეპარტამენტში. 1844 წელს დანიშნეს პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტად. შემდეგ დამსახურებული პროფესორის წოდებაც მიენიჭა. ცხოვრობდა ისევ პეტერბურგში.

დ. ჩუბინაშვილი გარდაიცვალა 1891 წლის 5 ივნისს. დაკრძალულია ლენინგრადში, ალექსანდრე ნეველის სასაფლაოზე.

ვუკ. ბერიძე აღნიშნავს: ქართველთაგან ჩუბინაშვილი პირველი ქართველოლოგია „ევროპულის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყაიდისა“. იგი თავისი ეპოქის სტილის მეცნიერია, — ენციკლოპედისტი იყო. ერთ-

სა და იმავე დროს „ჰუმანიტარული ქარაულმეტყველების თითქმის ყველა დარგში მუშაობდა“ (3, გვ. 17).

ქართული განმარტებითა ლექსიკონი შეადგინა სულხან-საბა ორბელიანმა, რომელზეც ავტორს 30 წელი უმუშავია, და ამბობს კიდევ: მთელი ჩემი ცხოვრება ამ ლექსიკონს მოვანდომეო („ჩემი ვიწრომე სულ ხანა“). საბა ორბელიანს ეს ლექსიკონი 1716 წელს დაუსრულებია.

შემდეგია ნიკო ჩუბინაშვილის ზემოხსენებული „ქართული ლექსიკონი რუსულ-თარგმანითურთ“ და მისივე „რუსულ-ქართული ლექსიკონი“. ამ ლექსიკონზე მუშაობის დროს ავტორს, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, უეჭველად, შეელოდა მასთან მცხოვრები ძმისშვილი და ამ გზით გაიარა დავით ჩუბინაშვილმა სალექსიკონო მუშაობის პრაქტიკა. ბიძამ თავისი ლექსიკონის გამოცემა ვერ მოახერხა, და რადგანაც მასზე ნამუშევარი იყო დავით ჩუბინაშვილიც, ამიტომ დავითმა იგი შედარებით უცერემონიოდ გამოიყენა.

ამის გარეშე დ. ჩუბინაშვილი, ჯერ კიდევ სტუდენტა 1837 წელს, ვერ შეძლებდა წარედგინა „ქ ა რ თ უ ლ-რ უ ს უ ლ-ფ რ ა ნ გ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი“ გამოსაცემად. ცნობილია, ეს ლექსიკონი მაშინ მოიწონა მ. ბროსემ, რომელთანაც, დ. ჩუბინაშვილი — სტუდენტა — უკვე თანამშრომლობდა.

მიუხედავად ნ. ჩუბინაშვილის ამ შუთკაცობისა, ქართული ლექსიკონის შედგენის საქმეში საბა ორბელიანსა და დავ. ჩუბინაშვილს შორის, პირველის შემდეგ ჩვენ დრომდე ყველაზე მეტი ღვაწლი დავით ჩუბინაშვილს მიუძღვის. ამდენად მთლად ზუსტი ვერაა აკად. ა. ჩიქობავას მიერ გამოთქმული შემდეგი აზრი: „საბას ლექსიკონს ემყარება დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (4, გვ. 014).

იგი უპირატესად ნ. ჩუბინაშვილის მდიდარ სალექსიკონო მასალას ემყარება. არნ. ჩიქობავა სწორად აღნიშნავს, რომ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი (1887 წ. გამოცემა) საბას ლექსიკონზე „უფრო ვრცელია (და ნაკლებ ზუსტია), იძლევა სინონიმებს, შიგადაშიგ — საილუსტრაციო გამოთქმებსაც“.

ჩვენთვის ახლა აქ ისაა საყურადღებო, რომ დ. ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში ვრცლად იყენებს „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკას. მის მიერვეა შედგენილი პოემის 1841 წლის გამოცემაზე დართული ლექსიკონიც. ლექსიკოლოგიის გარდა დ. ჩუბინაშვილი მუშაობდა ისტორიაშიც, აქვეყნებს პირველწყაროებს.

დ. ჩუბინაშვილმა საყურადღებო ღვაწლი დასდო ქართულ ფილოლოგიას, უპირველეს ყოვლისა, შემკრებლობითი და ტექსტოლოგიური მუშაობით. პირველმა მან გამოაქვეყნა „ქართული ქრისტიანობა, ან გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან, დავით ჩუბინაშვილის მიერ“ (I და II ნაწ. ს. - პეტერბურგი, 1846, მეორე გამოცემა — 1863 იხ. 5).

მასში მოთავსებულია „სასულიერო და საერო ლიტერატურის, სამართლის ძეგლებისა და ისტორიული საბუთების, თარგმნილი ბიბლიური წიგნებისა და ხალხური სიტყვიერების ნიმუშები“. მათი უმრავლესობა პირველად აქ გამოქვეყნდა. როდესაც ახლა ამ ქრესტომათიას ეუკვირდებით, გაცუბას იწვევს მისი ახალგაზრდა შემდგენლის მიერ გამოვლენილი ორიენტირება ქართულ მწერლობაში, მასალის შერჩევის თანმიმდევრული პედაგოგიური პრინციპი და განათლება.

ეს ქრესტომათია დიდხანს იყო სამაგიდო წიგნი ქართველოლოგთათვის. იგი, როგორც სახელმძღვანელო, ხანგრძლივ ემსახურებოდა ჩვენს ახალგაზრდობას, პოპულარიზაციას უწევდა ქართველ მწერლებსა და საერთოდ ქართულ ლიტერატურას. ამ ქრესტომათიაში ახლაც ხშირად ვიხედებით, მის გარეშე ვერც ერთი მასში გამოცემული ძეგლი ისტორიულ ასპექტში ვერ განიხილება.

დ. ჩუბინაშვილი სხედასხვა მხრივ განიხილავს „ვეფხისტყაოსანს“, იგი მას სწავლობს ფილოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით.

ფილოლოგიურის მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მისი ტექსტოლოგიური საქმიანობა. ახალგაზრდა დ. ჩუბინაშვილი მონაწილეა „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წ. გამოცემისა. იგი განხორციელდა მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილისა და ზ. ფალავანდიშვილის მიერ. მათ შრომას საერთო მიმართულებას თეიმურაზ ბაგრატიონი აძლევდა; გამოცემის რედაქტორი იყო მ. ბროსე. ზ. ფალავანდიშვილი დამოუკიდებელივ ვერ იმუშავებდა ტექსტზე და ბოლომდე ვერც გამოცემის ბეჭდვას უხელმძღვანელებდა, რადგან 1841 წელს დაბრუნდა თბილისში და გამოცემაზე ხელის მომწერლებს ეძებდა. ყოველივე ამის გამო, ცხადია, ტექსტზე ძირითადი, თუნდაც ტექნიკური სამუშაო და ბეჭდვის ხელმძღვანელობის სიმძიმე უმთავრესად დ. ჩუბინაშვილს დააწევებოდა. აქედან გასაგები ხდება ისიც, თუ რატომ აგრე თავისად ეპყრობოდა დ. ჩუბინაშვილი ამ გამოცემის ტექსტს და ტირაჟსაც კი.

გავიხსენოთ საკითხის ისტორია. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, 1844 წლის 24 ივლისის დადგენილებით, ქართული და სომხური ენის სწავლებაც იქნა შემოღებული. „ქართული ქრესტომათიის შედგენა დავით ჩუბინაშვილს დაევალა“. მან, სხვა მასალებთან ერთად, მეორე ტომში შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემის ტექსტი მთლიანად. ამის თაობაზე აკად. მარი ბროსე წერს: „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის ჩვენი გამოცემა (იგულისხმება დაბეჭდილი 1200 ეგზემპლარიდან 1845 წელს ჯერ კიდევ გაუყიდველი ცალები, ი. შ.) დართული აქვს 1846 წელს ჩუბინაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ქრესტომათიას („Notre édition adjointe en 1846 à la Chrestomathie de M. Tchoubinof“.... იხ. მისი წერილი „Mélanges asiatiques“—ში, ს.—პეტერბურგი, 1877, ტ. VII, გვ. 431).

ამ ცნობის გარეშეც, აღნიშნული „ქრესტომათიის“ შესწავლით მივიდა ს. ყუბანეიშვილი დასკვნამდე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის ტირაჟის 600-ზე მეტი ცალი 1845 წელს ჯერ კიდევ გაუსაღებელი ყოფილა. „დ. ჩუბინაშვილმა ისარგებლა ამ შემთხვევით და დარჩენილი ცალები გამოიყენა ქრესტომათიისათვის“ (6, გვ. 209—212).

1846 წელს გამოსულ დ. ჩუბინაშვილის „ქრესტომათიის“ მეორე წიგნში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“, ს. ყუბანეიშვილის დასკვნით, „უკანასკნელი ორი სტროფის გამოკლებით, ახალს არაფერს შეიცავს. ის 1841 წლის გამოცემის ტირაჟიდანაა შესული (ამ ქრესტომათიაში“ (იქვე, გვ. 212).

დ. ჩუბინაშვილმა მაინც გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ თავისი ტექსტი. ამ წიგნს აწერია: „ვეფხისტყაოსანი. თქმული შოთთა რუსთველისა-გან, თამარ მეფის დროს. ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისა-გან განმარტებითურთ. სანკტ-პეტერბურღს სამეცნიერო აკადემიის სტამბასა შინა 1860 წელსა“ (ზემოხსენებული „ქრესტომათიის“ მეორე ტომად ითვლება).

თავისი ტექსტი გამოსცაო, ვამბობთ იმიტომ, რომ დ. ჩუბინაშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ 1860 წლის გამოცემაში, შედარებით 1841 და, მაშასადამე, 1846 წლის გამოცემასთანაც, ტექსტოლოგიური ცვლილებანი შეიტანა. ცვლილებათა ხასიათსა და მოცულობაზე აქ ვეღარ ვილაპარაკებთ. არსებობს წიგნი „ვეფხისტყაოსნის ძირითად გამოცემათა ვარიანტები“ (თბ., 1964), რომლის უბრა-

ლო გადახედვითაც კი ნათელი ხდება, რომ დ. ჩუბინაშვილს „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემა მექანიკურად არ გადაუბეჭდავს 1860 წლის გამოცემაში.

დ. ჩუბინაშვილის ამ გამოცემას ახლავს იმდროისათვის საყურადღებო „განმარტება რომელთაზე სიტყვათა და ფრაზათა, ხმარებულთა „ვეფხისტყაოსნის ლექსთა შინა“ (გვ. 207—243), იქვე დაბეჭდილია ლექსები, რომლებიც მიეწერებოდა რუსთაველს (გვ. 243—244) და სხვა.

ჩვენ აქ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დ. ჩუბინაშვილი მონაწილეა აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის პ რ ო გ რ ა მ ი ს ა (7) და პირველთაგანმა რუსულ ენაზე თარგმნა პროზაულად „ვეფხისტყაოსნის“ რიგი სტროფები. ამით მან ხელი შეუწყო იმავე სტროფების ლექსად მთარგმნელს, „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეს საქართველოს გარეთ და სხვა. ჩვენ აქ მხოლოდ იმაზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დ. ჩუბინაშვილის 1860 წლის გამოცემაზე დართული „ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი“ (ანუ განმარტება სიტყვათა და ფრაზათა) მეტ-ნაკლებად გამოყენებულია იმავე პოემის შემდგომ სხვათა რიგ გამოცემებშიც.

დ. ჩუბინაშვილის მუშაობა „ვეფხისტყაოსანზე“ საყურადღებოა აგრეთვე როგორც ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა თ მ ც ო დ ნ ი ს, ისე ის ტ ო რ ი კ ო ს ი ს თვალსაზრისით კვლევითაც.

დ. ჩუბინაშვილი ჩვენს უდიდეს მგოსანს ტომით მესხად თვლიდა. მისი აზრით, შოთა ახალციხის რუსთავეში დაიბადა (5, ტ. II, 1846, გვ. III). საყურადღებოა ის გარემოება, რომ დ. ჩუბინაშვილი და მ. ბ რ ო ს ე ა მ ა ს მ ა შ ი ნ ა მ ბ ო ბ ე ნ, როდესაც თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ჭ ე რ კ ი დ ე ვ ც ო ც ხ ა ლ ი ა, რომლისაგანაც ორივენი დიდად-დევალებულად თვლიან თავს და ისედაც მოკრძალებით ეპყრობოდნენ. თეიმურაზი კი ჰერეთლად აცხადებდა რუსთაველს. მაშასადამე, მ. ბროსე და დ. ჩუბინაშვილი ღრმად იყენენ დარწმუნებულნი მასწავლებლის საწინააღმდეგო აზრის სისწორეში.

იმავე 1846 წლის გამოცემაში, ხალხის ისტორიისა და ლიტერატურის ურთიერთ მჭიდრო კავშირის თაობაზე, დ. ჩუბინაშვილი წერს: ხალხის ბედს მიჰყვება ლიტერატურის ბედით («Судьба литературы следует за судьбой народа»).

მკვლევარი დ. ჩუბინაშვილი ამით ხსნის საქართველოს აღმავლობის — თამარის ეპოქაში დიადი რუსთაველს წარმოშობას, ხოლო მონგოლების — საქართველოს დაცემის — პერიოდში ქართული ლიტერატურის განვითარების შეფერხებას. ის გარკვევით ლაპარაკობს ქართული კულტურის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურასთან ისტორიულ კავშირებზე, აღნიშნავს, რომ მეთვრამეტე საუკუნის შუა (ის ამბობს — დასაწყისში; ი.მ.) წლებში ტომოთე გაბაშვილმა იმოგზაურა იერუსალიმში, მის დროს რუსთაველის პორტრეტი იყო ჯვრის მონასტერში დაცული («в его время в этом монастыре хранился портрет Руставели» 5, გვ. III—IV); ეს ცნობები გამოიყენა თავის წიგნში ა. ნ. მურავიოვმაო.

„ვეფხისტყაოსნის“ მოქმედ პირთა სახელების შესახებ ის აღნიშნავს რამაზ, სარიდან, ფატმან, ფარსადან სპარსულ-არაბულია, ხოლო ტარიელ, ავთანდილ, თინათინ — ქართული (გვ. VI).

ავთანდილზე ვადაჭრით ვერაფერს ვიტყვით; ჩვენ არა გვაქვს უტყუარი საბუთი, რომ ასეთი სახელი გვხვდებოდა საქართველოში რუსთაველამდე, მაგრამ თინათინი რომ ქართული სახელია, ეს ექვს არ იწვევს. ახლა ისიც მისაღებია ჩვენთვის, რომ სახელი ტარიელი არსებობდა საქართველოსა და სომხეთში „ვეფხისტყაოსნის“ დაწერამდეც (8, გვ. 192—193), თუმცა შეიძლება ოდესღაც იგი ნასესხები სახელიც იყოს.

აქ ჩვენ, ბუნებრივია, გვაგონდება თეიმურაზ ბაგრატიონის აზრი: ის უცხოური სიტყვები, რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდებიან, „ადრიდგანვე, მრავალთა საუკუნეთა უწინარეს ქართულსა ენასა შემოტანილნი არიან, და აგრეთვე ვხმარობთ მათ, ვითარცა საკუთარსა“ ქართულ სიტყვათა (8, გვ. 78).

დ. ჩუბინაშვილი სახელ ტარიელს, ალბათ ინტუიციით, — ჩვენში გავრცელების მიხედვით, — თვლის ძველ ქართულ სახელად, და მისი ეს ვარაუდი გამართლდა, — შემდეგ გახდა ცნობილი 1225 წლის სომხური წარწერა, რომელშიც ნ. მარმა ეს სახელი ამოიკითხა და „ვეფხისტყაოსნის“ გმირის — ტარიელის სახელიც იქვე გაიხსენა (იქვე, გვ. 193)!

მთავარი და ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიული მნიშვნელობისა დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოთქმული შემდეგი აზრები: მართალია „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედება ინდოეთშია გადატანილი, მაგრამ ეს პოეტმა განგებ დაუშვა, პოემა რუსთაველის მიერაა შექმნილი თამა-

რის გახსნადიდებლად. მასში ამ მეფის ცხოვრების ანალოგიური ამბავია მოთხრობილი, — „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის თამარის ცხოვრებასთან შედარება საოცარ მსგავსებას შეიცავს (5, გვ. VII).

საამისოდ ავტორი ასახელებს მართლაც დამაფიქრებელ პარალელებს.

დ. ჩუბინაშვილი ამბობს: პოემის მთავარ მოქმედ პირ ნესტან-დარეჯანში იმალება თვითონ თამარ მეფე. მაგ.,

1. ნესტან-დარეჯანი ზუსტად ისევე იყო ინდოეთის მეფის ფარსადანის ერთადერთი ასული, როგორც თამარი იყო ერთადერთი ასული მეფე გიორგი მესამისა.

2. ნესტან-დარეჯანის აღზრდა ასევე მიანდო ფარსადანმა თავის დას დავარს, როგორც გიორგი მესამემ მიანდო თამარის აღზრდა თავის დას რუსუდანს;

3. თამარი და დავით სოსლანი ისევე ერთად იზრდებოდნენ, როგორც ნესტანი და ტარიელი;

4. ერთნაირად შეუყვარდნენ მათ ერთმანეთი;

5. ხვარაზმში ეძიებდა თამარის ხელს, ხვარაზმშას შვილი მოიყვანეს ნესტანის საქმროდ;

6. ინდოეთი „ვეფხისტყაოსანში“ ისევეა დაყოფილი შვიდ სამეფოდ, როგორც საქართველო შედგებოდა შვიდ სამთავროსაგან და თვით ჩვენი მაშინდელი მეფეები უწოდებენ თავიანთ თავს შვიდთა სამთავროთა პატრონს (ქართველი მეფეები «величают себя царями семи царств», გვ. 7).

7. ქაჯეთის ციხე საქართველოშია და არა ინდოეთში და სხვა.

მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ ქარგის ისტორიულ-ქართულ ნაცითონალური ინტერპრეტაციას საერთო სათავე მ. ბროსემ დაუდო (უფრო მკრთალად — ჯერ კიდევ ვახტანგ VI და თ. ბაგრატიონმა). ე. ი. „ისტორიული ანალოგიები და დანერგვის პირველი სერიოზული ცდა დავით ჩუბინაშვილს“ ეკუთვნის.

უკანასკნელი ციტატის ავტორს ალ. ბარამიძეს საკითხი ვრცლად აქვს მიმოხილული და ადგენს, რომ „დ. ჩუბინაშვილის ინტერპრეტაციას ბევრმა დაუჭირა მხარი“, მათ შორის ისტორიკოსებმა და მწერლებმაც; მაგ.: დ. ბაქრაძემ, ს. ქვარიანმა, მ. ჯანაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ, პრინციპში ნ. მარმაც, პ. ინგოროყვამ და სხვებმაც. ამასთანავე ალ. ბარამიძე შენიშნავს: საქმეს ის ართულებს, რომ „ვეფხისტყაოსან-

ში“ აღწერილია ორი ამბავი — არაბეთის ამბავი და ინდოეთის ამბავი. ანალოგიების ეს მიმართულება ისე გაფართოვდა, რომ ერთნი ამტკიცებდნენ: პოემაში „საქართველოს ისტორიული ცხოვრება აირეკლა მხოლოდ არაბეთის ამბავში“, მეორენი ასეთ ანარეკლს ინდოეთის ამბავშიც ხედავენ. მესამენი თვლიან რომ ორივეშია ის ჩაქსოვილი.

მაგალითად, ზემოთ შევნიშნეთ, რომ დ. ჩუბინაშვილი თვლიდა ნესტან-დარეჯანის ისტორიაში თამარ მეფის ცხოვრების რიგი მომენტებასასხული, ხოლო ტარიელისაში კი — დავით სოსლანისო: ეს თვალსაზრისი განავითარა ს. ქვარიანმა. უკანასკნელის აზრით პოემაში „ასახულია თამარის ორი სიყვარულის ისტორია“. ვითომც „პირველი ძლიერი, მწვავე და ქვეშაობი სიყვარული“ თამარს ჰქონდა „თავის ნათესავთან, ტახტის მემკვიდრე მშვენიერ ტარიელთან“, ეს ტარიელი ყოფილა დემნა ბატონიშვილი. თამარის მეორე — უფრო დინჯი და მოსაზრებული სიყვარულის საგანი გამხდარა დავით სოსლანი (პოემით—ავთანდილი). ფრიდონი კი დემნა ბატონიშვილის მომხრე სპასალარი ივანე ორბელიანიო. ნესტანი და თინათინი ასახიერებენ თამარს (ალ. ბარამიძე. „შოთა რუსთაველი“, 1938, გვ. 53).

ეს აზრი უფრო ვრცელადაა განვითარებული ს. ქვარიანის ნაშრომში „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ (ქუთაისი, 1914). თავის მხრივ, ალ. ბარამიძე წერს: „ნესტანისა და თინათინის (განსაკუთრებით თინათინის) მხატვრულ სახეებში გადატანილია თამარის სახის რეალურ-ისტორიული ნიშნები“ (იქვე, გვ. 54).

ნ. მარი, შემდეგ ივ. ჯავახიშვილი და ი. ორბელი უმთავრესად ავთანდილის მხატვრულ სახეში ხედავენ რუსთაველის ზოგიერთ თვისებებს (სიბრძნე, სიღინჯე). პ. ინგოროყვა ტარიელს თვლის რუსთაველის ორეულად, ზოგიც ფიქრობს, რომ რუსთაველმა თავისი პირადი თვისებები ზოგი ტარიელსა და ზოგი ავთანდილს მიაწერა.

ამ ალევორიებისა და პარალელების თეორიას თავისი მოწინააღმდეგენიც ჰყავს. მაგ., ალ. ბარამიძე შენიშნავს: „ჩვენ ვერ ვიზიარებთ „ვეფხისტყაოსნის“ ალევორიული ინტერპრეტაციის თვალსაზრისს. ვეფხისტყაოსნის ამბისა და პერსონაჟების მოხმობილი ანალოგიები და პარალელები საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან ზოგჯერ შემთხვევით ხასიათს ატარებენ და ნებისმიერია. ამისდა მიუხედავად, ჩვენთვის უდა-

ვოა, რომ რუსთაველის პოემაში გარკვეული ასოციაციებით ნამდვილად აღბეჭდილია XII საუკუნის საქართველოს სწორედ კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის ნიშანდობლივი მოვლენები და ცალკეული ფაქტებიც“ (იქვე, გვ. 54).

შეიძლება დავასკვნათ: თამარის ცხოვრებასა და „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდებს შორის პარალელების აღნიშვნისა და იმის გამოც, რომ დ. ჩუბინაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ორგზის გამომცემელია, მასზე დართული ლექსიკონის შემდგენელი და რუსთველოლოგიური სხვა საკითხების მკვლევარიცაა, აგრეთვე რომ მან პროზაულად თარგმნა ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ეპიზოდი, „ქრესტომათიის“ 1846 წლის გამოცემაში პირველად დაიბეჭდა ი. ბარტდინსკის* მიერ რუსულ ენაზე ლექსად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ 142 სტროფი, მისი პუკრედის მონაწილე დაეთითცაა**, მას რუსთველოლოგიის განვითარების ისტორიაში თავისი ადგილი უჭირავს.

* ა. ლ. ბარტდინსკის აქცენს ჩვენს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ბარტდინსკის სახელი სხვადასხვანაირად აღნიშნულა რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში. მართლაც, ა. ლ. ხახანაშვილს ბარტდინსკი 'კ. უწერია („Очерки по истории грузинской словесности“, II, მასკო, 1897, გვ. 269), გ. იმედოშვილს კი—გ. ბარტდინსკი („რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712—1956 წლები, 1957, გვ. 93 და იქვე დასახელებული გვერდები; აქ—господин—ისაგანა წარმოშობილი!). ადრინდელ მითითებებში ბარტდინსკი სწორად ი(пполит); ასევეა კ. კიკინაძის მიერ 1934 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე“ დართულ ბიბლიოგრაფიას (გვ. 683), პ. ნ. ბერკოვის („Известия АН СССР, Отд. обществ. наук, 1938 № 3 გვ. 61) და სხვათა ნაწერებში და უანასენლად ლ. ანდელუაძის წერილში (გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966 № 113, გვ. 3).

** ჩვეულებრივ ამ პუკრედს მხოლოდ გრიგოლ ლევანის ძე დადიანს (1814—1902) — კოლხიდელის ფსევდონიმით ცნობილ პოეტს — მიაწერენ. მაგალითად, დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო ცნობა:

„პეტერბურგიდან დაბრუნებისას 1843 წ., გრიგოლ დადიანმა რუსი პოეტი ი. ბარტდინკი ჩამოიყვანა ზუგდიდს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნა დაეწყო. გრ. დადიანი წვდებოდა რუსთაველის სტრიქონების სიღრმეს, და იგი რუსულ ენაზე აწვდიდა ბარტდინსკისა პუკრედს. „ეს უანასენლო კი შესაფერო პექშამეტრაციით ლექსავდა მას“ (იხ. ი. იმედუნარგია. ქართველი მწერლები, სოლ. ცაიშვილის შენიშვნებით, ტ. II, თბ., 1957, გვ. 310; უფრო ვრცლად იხ. სოლ. ცაიშვილი. ლიტ. ნარკვევები, თბ. 1965, გვ. 217—239. შტრ. ზუგდიდის მუხეუმის შრომები თბ., 1947 გვ. 109—130).

დ. ჩუბინაშვილის ეს ღვაწლი მით უფრო საყურადღებოა, რომ სხვა მხრივაც აქვს დამსახურება ქართველოლოგიის განვითარებაში. ის იყო ქართველი საზოგადო მოღვაწე. მართალია, დ. ჩუბინაშვილი ცხოვრობდა პეტერბურგში, მაგრამ თვალყურს ადევნებდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებას და მას შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. დ. ჩუბინაშვილი, როგორც რუსეთის არქეოლოგიურ, გეოგრაფიულ და ფილოლოგიურ საზოგადოებათა წევრი, აქ იცავდა ქართული კულტურის პრესტიჟს; იგი გახლდათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრი და მასაც ეხმარებოდა. მან ამაგი დასდო ჩვენ კულტურას იმითაც, რომ შეკრიბა მდიდარი საბიბლიოთეკო და ხელნაწერების კოლექციები (1, გვ. 102—148), ხელი შეუწყო მოწინავე ქართველების აღზრდას და სხვა.

შემთხვევითი არ იყო, რომ 1881 წელს თბილისში გამართულ ერთ-ერთ ბანკეტზე აკაკი წერეთელმა დავით ჩუბინაშვილს „საქართველოს გარეთ მოღვაწეთათვის კარგი მაგალითის მიმცემი და მამამთავარი“ უწოდა. მანვე გულმხურვალე სიტყვა წარმოთქვა დ. ჩუბინაშვილის ნეშტთან პეტერბურგში. დ. ჩუბინაშვილის გარდაცვალებას დიდი ილიაც გამოეხმაურა თბილისიდან, — გამოთქვა მწუხარება მშობელი ერის მოამაგე შვილის დაკარგვის გამო.

დავით ჩუბინაშვილის ღვაწლს ქართველოლოგიაში ახლაც დიდად აფასებენ ქართველი მეცნიერები.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული თარგმანის პუბლიკაციის შემქმნაში სხვათადაც მიუღიათ მონაწილეობა, და მათ შორის — დ. ჩუბინაშვილსაც. მარი ბროსე წერს: პოეტ ბარტოინსკის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ 142 სტროფის (568 სტრიქონი, გურნ. «Иллюстрация», 1845, № 5—6) „პუბლიკაციის გეოგრაფიის მრავალ ქართველს“ („...exécutee a l' avance pour lui par plusieurs géorgiens. იხ. „Mélanges asiatiques“, ს. -პეტერბურგი, 1877, ტ. VIII, გვ. 431). დ. ჩუბინაშვილი თვითონაც ასახელებს თავის თავს ბარტოინსკის თარგმანის მონაწილედ («Перевод его отрывка, в котором я был участником...» იხ. „ქართული ქრისტიანობა...“, ნაწ. II, 1846, გვ. IX).

1. ალ. ცაგარელი. Сведения о памятниках грузинской письменности, ტ. I, ნაწ. III, ს. — პეტერბურგი, 1894. 2. ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. ალ. დლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961. 3. ვუკ. ბერიძე. რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961, გვ. 17. 4. ქართული ენის განმარტებითი

ლექსიკონი, I, თბ., 1950. 5. Грузинская хрестоматия, составлена Д. Чубиным... Санкт-Петербург, 1846. 6. სოლ. ყუბანეიშვილი. ვეფხისტყაოსნის ჩუბინაშვილისეული პირველი გამოცემა. — კრებული „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, II, თბ. 1964, გვ. 209 — 212. 7. ი. მ. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. ე. „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემის პროგრამა. — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965 № 34; აგრეთვე მისივე წერილი, უერნ. «Лит. Грузия»-ს 1964 № 12-ში. 8. И. Мегрелидзе. Руставели и фольклор, თბ., 1960. 9. მისივე, დავა ჩუბინაშვილი მეცნიერი და რუსთველოლოგი.—უერნ. „მაცნე“, 1966 № 5.

ზაქარია ფალავანდიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის ერთი გამომცემელთაგანი ზაქარია შიხელიძის ძე ფალავანდიშვილი (1817—1945) ხშირად იხსენიება რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში. მის შესახებ კი ძალიან მცირე ცნობა მოიპოვება.

ზ. ფალავანდიშვილი მეცხრამეტე საუკუნის ორმოციანი წლების მოღვაწეთაგანია. იგი დაიბადა თბილისში. კეთილშობილთა სასწავლებლისა და გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა მოსკოვში, ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ გადავიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მ. ბროსემ ზ. ფალავანდიშვილს თანამშრომლობა შესთავაზა, რაც იმის დადასტურებაა, რომ მ. ბროსე იკრებდა ირგვლივ ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდობას.

ზ. ფალავანდიშვილი ცნობილი მოღვაწის — გიორგი ავალიშვილის ნათლული ყოფილა. ნათლია მას განათლების მიღებაშიც დაეხმარებოდა.

ზ. ფალავანდიშვილი საქართველოს ისტორიითა და ქართული ლიტერატურით ყოფილა დაინტერესებული. მას დამოუკიდებელი რუსთველოლოგიური ნაშრომი არ დარჩენია. მაშასადამე, რუსთველოლოგად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ფაქტია, რომ უნივერსიტეტის ახალკურსდამთავრებული ახალგაზრდა მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემის თანამონაწილედ მიიწვიეს.

ზ. ფალავანდიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამომცემას უმთავრესად ტექნიკური საქმიანობით შეუწყო ხელი. მან მიიღო გიორგი ავალიშვილისაგან პოემის ის ხელნაწერი, რომელიც გამომცემას დაედვა საფუძვლად, ძირითადად თვითონვე უძღვებოდა წიგნის ბეჭდვას. ის ჯერ მიმოწერის საშუალებით და შემდეგ, როდესაც წიგ-

ნის ბეჭდვა მთავრდებოდა წამოვიდა საქართველოში და ამ გამოცემაზე ხელისმომწერლებს აგროვებდა.

აქედანვე იგი „სისტემატურად აწვდიდა მ. ბროსეს საჭირო ცნობებს ქართული კულტურის ყველა დარგდან“ (1, გვ. 46).

თბილისშივე იგი ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო ბიბლიოთეკის დაარსების ერთი ინიციატორთაგანი, მსახურობდა გაზეთების რედაქციაში მთარგმნელად და სხვ.

ზ. ფალავანდიშვილს, ქართულისა და რუსული ენების გარდა, სცოდნია ფრანგული ენაც. იგი „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნას აპირებდა, მაგრამ გარდაცვალების გამო, ეს მან ვერ განახორციელა. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

1. სოლ. ყუბანეიშვილი. ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966; გვ. 46.

გიორგი ავალიშვილი

ერეკლე მეფის მიერ განათლების მისაღებად რუსეთში წარგზავნილ ახალგაზრდათა ჯგუფის წევრი გიორგი ივანეს ძე ავალიშვილი (ავალოვი, 1769—1850) იყო გარსევან ჭავჭავაძის ცოლისძმა და საქართველოს რუსეთთან შეერთების ერთი მონაწილეთაგანი.

გ. ავალიშვილი ცნობილია, როგორც პოეტი, მემუარების ავტორი და საზოგადო მოღვაწე. დაკრძალულია ვსესვიატოვსკოეში (2, გვ. 693—695; 3. გვ. 46—47).

გ. ავალიშვილი მეტყველებდა ქართულ, ოუსულ, სოძხურ და თათრულ ენებზე, ალბათ — ფრანგულზეც და კარგად იცნობდა ქართულსა და რუსულ ლიტერატურას, იყო დიპლომატი, ქართული თეატრის ორგანიზატორი, დრამატურგი მთარგმნელი (თარგმნა სუმაროკოვის ზოგი კომედია, კრილოვის არაკები და სხვა) და ბიბლიოფილი.

საყურადღებოა მისი აღწერილობა: — „მგზავრობაჲ თბილისით იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა და უკუნქცევაჲ იერუსალიმით თბილისადმივე, კიპრიის ჭალაკისა, მცირისა-აზიისა და ანატოლიისა ძლით“², რომელიც შედგება 1819—1820 წლებში ე. წ. აღმოსავლეთის წმინდა ადგილთა მიმოსვლის (1).

გ. ავალიშვილმა დაათვალიერა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ხელნაწერები და სხვა სიძველეები, მას „შეიძლო წამოეღო ქართულ ხელნაწერთა მთელი კოლექცია საქართველოს ეკლესიებისათვის ან პირად საკუთრებად“, მაგრამ მან ეს შორეული გზის მძიმე ტვირთად ჩათვალა და წამოიღო მხოლოდ 9 ქართული, 2 უცხოური ხელნაწერი და 4 ძველნაბეჭდი წიგნი. „თამამად შეიძლება ითქვას, — წერს ელ. მეტრეველი, — რომ გ. ავალიშვილის მიერ გადაარჩეული 9 ქართული

ხელნაწერა იერუსალიმური კოლექციის საუკეთესო და უძველესი ნუსხებია. ხელნაწერების ასეთი ოსტატური შერჩევა კი შეეძლო ქართული კულტურის ისტორიის საკითხებში მხოლოდ ფართოდ გაცნობიერებულ პირს, რომელსაც ამავე დროს, ხელნაწერებზე მუშაობის გამოცდილება ექნებოდა“ (4, გვ. 252—253).

მის მიერ პეტერბურგში ჩამოტანილი ხელნაწერები ქართული კულტურის დიდი განძია. მაშინ იერუსალიმში 200-ზე მეტი ასეთი ხელნაწერი ყოფილა დაცული; გ. ავალიშვილს ეუბნებოდნენ: ყველა წაიღეო, და ვინ იცის, იქნებ ის სჯობდა, რომ მართლაც ყველა წამოეღო!.. მეორეს მხრივ, რომ გზაში დაჰკარგოდა, კიდევ უარესი იქნებოდა.

კ. კეკელიძისა და ელ. მეტრეველის გარდა, ჩამოტანილ ხელნაწერებსა და თვით გ. ავალიშვილზე უწერიათ: ალ. ცაგარელს, ალ. ხახანაშვილს, ნ. მარს, ივ. ჯავახიშვილს, ალ. ბარამიძეს, ტრ. რუხაძეს, რ. ორბელსა და სხვებს (5, გვ. 240).

გ. ავალიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის პროგრამას ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა და გამომცემლებს ფულითაც დაეხმარა. იგი ზ. ფალავანდიშვილს წერდა: მივიღე და მიძღვნია ასიგნაციით „შვიდი რუბლი ვეფხისტყაოსნის პროგრამისათვის“. რა თქმა უნდა, ორფურცლიანი პროგრამა 7 მან. არ შეიძლებოდა ღირებულებით, ეს იყო სწორედ დახმარება.

გ. ავალიშვილმა, როგორც ზემოთ ითქვა, რუსთაველის პოემის მეორედ გამომცემლებს ათხოვა „ვეფხისტყაოსნის“ ის ხელნაწერი, რომლითაც მათ ტექსტის გამართვა გაიადვილეს და გამოცემას დაუდვეს საფუძვლად.

მთავარი მაინც ისაა, რომ გ. ავალიშვილმა გამომცემლებს გაუზიარა თავისი თვალსაზრისი ტექსტის გამოცემის თაობაზე. იგი მათ წერს: ხელნაწერში მე თვით გავასწორე, „ვითარცა შემეძლო, — ასო ანუ სად მეტი ჰქონდა ანუ ნაკლები, ანუ ასო თავქუშ მჯდომი, ანუ ვინისა და წილ უნი. ანუ ანისა და წილ ინი და ესევეითარნი, ეჰმალე და შესაბამნი ასონი დაეუსხი, რომელისაცა შაირნი, ანუ ლექსნი არიან პყრობილი იზ რვეულთა და ერთსა გვერდსა შინა“ (4, გვ. 249).

თუ ჩემს კუთვნილ ხელნაწერს გამოიყენებ, — წერს ის ზ. ფალავანდიშვილს, — ნებას გაძლევ, იგი „დაშალო, ანუ დაჰყო რვეულებად და მიჰსცე დასაბეჭდავად.“

გ. ავალიშვილი საფუძვლიანად ურჩევს ტექსტის გამომცემლებს, რომ სტროფთა მეოთხე სტრიქონის წინ „მაკავშირებელ“ დ-ს ნუ წეროთ, ვინაიდან მას „უსწავლელნი, ანუ გამოუცდელნი, მკითხველნი კითხვასა შინა კითხულობენ ა მ დ ო ნ- ა ნ თ ა ც ა და მით უკარგავენ ლექსთა მშვენიერებასა. ამისათვის მე წავშალე იგინი ყველგან, რადგანაც არა რაჲსა ჰნიშნავენ იგინი, ვითარ ოდენ ყოვლისა ლექსისა განსხვავებასა, დაბოლოებასა და მეორისა სხვსა დაწყებასა, და ესრეთ უმჯობეს არს, უკეთუ თქვენცა ამჯობინებთ, ყოვლისა ლექსისა ესრედ დაბეჭდვასა, ვითარცა არს აქა შემდგომი:

რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყუნა ზეცით მონაბერთა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოელი ქელმწიფე სახითა მის მიერთა.

მ. ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ და სხვანი...

აი, აქა პირველის შაირისა მეოთხე სტრიქონს არ უზის ეს და, და მეორეს შაირისა — მ, ღმერთო, ერთო... დაკლებული ადგილი პირველისა ამის სტრიქონისა იჩვენების მეორისა ლექსისა დაწყებასა. თუ ამჯობინოთ, ასე ინებეთ; თუ არა, ვითარცა გნებავთ, ჰქმენით. ესეც მოიჭსენიეთ, უკეთუ გაქვსთ თქვენ ვეფხისტყაოსანი, რომელსაცა სრულიად ეპყრას თვს შორის განმარტოებაჲ თვისი, ნუცა თავთა თვსთა ენდობით მათ შორის პოვნილთა ძნელთა სიტყვათა და ჰაზრთა განმარტებისათვს მათთა, და ნუცა სხვათა არწმუნებთ. თუ გინდათ დაბეჭდვაჲ მათი, ვითარცა არს, ისე დაბეჭდეთ, და თუ არა გაქვსთ სრულისა განმარტებითა, მაშინ გირჩევთ მხოლოდ შაირთა და ლექსთა დაბეჭდვასა, გარნა ამისთვისცა ჰყავით ესრეთ, ვითარცა ინებოთ“ (4, გვ. 249—250).

აქედან სრულიად ნათელია, რომ ამ „წერილის ავტორმა კომისიას შესთავაზა არა მარტო ხელნაწერი თავისი პირადი კოლექციიდან, არამედ თავისი შეხედულებებიც იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაიმართოს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მართლწერის თვალსაზრისით და რა სახით უნდა გამოქვეყნდეს „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული „კომენტარები“.

ეს წერილი გზის გამკვლევით ტექსტოლოგიური ტრაქტატია; მას რუსთველოლოგიის ისტორია ვერ დაივიწყ-

ყებს. იმ დროისათვის ეს პროგრესული და მეცნიერულად ახლაც გამართლებული პრინციპები გამოყენებული იქნა რუსთაველის პოემის გამომცემლების მიერ და მეტიც, — ამ მითითებით შემდეგაც, — სხვა ტექსტთა გამომცემის დროსაც კი სარგებლობდნენ მ.ბროსე და დ. ჩუბინაშვილი.

ემიგრანტულ პირობებში მცხოვრები, სამშობლოს მიწას მონატრებული გიორგი ავალიშვილი ჩვენი კულტურის ისტორიის მრავალმხრივი მოღვაწეა.

1. გიორგი ავალიშვილი. მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1967. 2. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, 3. სოლ. ყუბანაიშვილი. ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966. 4. ელ. მეტრეველის წერილი, „საიუბილეო კრებულში კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთაზე“, თბ., 1959. 5. ტრ. რუხაძე. ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1948.

პლატონ იოსელიანი

ისტორიკოსი, არქეოლოგი, „ბიბლიის“ ქართული რეაქციისა და ქართული ეკლესიის ისტორიის მკვლევარი პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი (1809—1875) ძველი ქართული ლიტერატურისა და რუსთველოლოგიის საკითხებზეც პროფესიულად წერდა. ფართო განათლების, შესანიშნავი ნაშრომების, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და საერთოდ დიდი ავტორიტეტის გამო იქნა იგი არჩეული ოდესის ისტორიისა და სიძველეების საიმპერატორო საზოგადოების წევრად, პეტერბურგის არქეოლოგიურ-ნუმისმატიკური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად, ათონის სიძველეთა საზოგადოებისა და პარიზის სააზიო საზოგადოების წევრად. მის შრომებს ფართოდ იყენებდნენ აკად. მარი ბროსე და სხვები.

პლ. იოსელიანი უმთავრესად რუსულ ენაზე წერდა. ენობრივი მისი ამადლებული სტილი შეეშურდა მაშინდელ არაერთ რუს ჟურნალისტს და მეცნიერს. ქართულ ენაზე მან გამოაქვეყნა მონოგრაფია „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ (როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს იყო გიორგი მეოთხეტე) და რამდენიმე წერილი. დასახელებული წიგნი გამოცემულია (თბ., 1936) და მასშივე გამოცემული რედაქტორის აკაკი გაწერელის მიერ ვრცლადაა მიმოხილული პლ. იოსელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა; იქვეა დაბეჭდილი პლ. იოსელიანის წიგნებისა და წერილების ბიბლიოგრაფია (1, გვ. 302—304). უკანასკნელთა სახელწოდებებს აქ აღარ გავიმეორებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მათი უმრავლესობა შეიცავს ქართული ეკლესია-მონასტრების აღწერილობებს. ორგზისაა გამოქვეყნებული ავტორის ნაშრომი „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია“ (პეტერბურგი, 1841, და 1843, რუსულ ენაზე), ერთგზის — „ისტორიული შეხედულება ძველი საქართველოს მდგომარეო-

ბაზე“ (1843) და სხვა. მათში ავტორი მიმოიხილავს არა მხოლოდ სიძველეებს, არამედ ძველ ქართულ კულტურასაც. სხვა ნაშრომებში, კვლევის პირდაპირი ობიექტების გარდა, იგი ეხება მაშინდელ ისეთ აქტუალურ საკითხსაც, როგორც იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების მიზეზები, შედეგები და სხვა.

პლ. იოსელიანი ზრუნავდა მშობელი ერის განათლებისათვის, მან თარგმნა ერთ-ერთი გრამატიკა და უშუალოდ შეადგინა „პირუელდაწყებითნი კანონნი ქართულისა გრამატიკისანი“ (გამოიცა სამგზის: თბილისი—1840, 1851, 1863).

პლ. იოსელიანმა დიდი ამაგი დასდო ქართული კლასიკური ლიტერატურის შესწავლასა და მისი პოპულარიზაციის საქმეს ისეთი ძეგლების გამოცემებით, როგორცაა: ჩახრუხაძის „თამარიანი“ და შავთელის „აბდულმესია“ (1838), იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ (1851), ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობის ტიმოთე გაბაშვილის „მოხილუა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა“ (1852), ანტონ კათალიკოსის (ბაგრატიონის) „წყობილსიტყვაობა“ (თბ., 1853) და სხვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პლ. იოსელიანის ე. წ. საგზაო ჩანაწერები და სიძველეთა აღწერილობანი, არქეოლოგიურ-ისტორიული ცნობების გარდაც, შეიცავენ საქართველოს ტოპონიმიკისა და ეთნოგრაფიის მდიდარ მასალას; ამავე დროს ისინი გვაწვდიან რიგ ცნობებს ჩვენი ლიტერატურის ისტორიიდანაც.

მაგ., პლ. იოსელიანის „ქალაქ დუშეთის აღწერა“ (1860, ქვემოთ —2) მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომია. მისთვის ავტორს შემთხვევით არ წარუმძღვარებია არისტოტელეს სიტყვები:

„ამ ნაშრომს შე ბევრი დრო და ენერგია მოეახმარე“.

აქ დუშეთის მთელი მაშინდელი მაზრაა აღწერილი გეოგრაფიულად და კლიმატურად, დახასიათებულია მისი მოსახლეობა და ეკონომიკა, ისტორიული ძეგლები და ხალხის ჩვეულებები. მასში ავტორი ეხება ლიტერატურულ საკითხებს და იყენებს როგორც ლიტერატურულ, ისე ფოლკლორულ ლექსებს. აქვე იგი თავის აზრს გამოთქვამს ზოგიერთი პოეტისა და ლექსთა საზომების შესახებაც. მაგ., ის ამბობს: ხევი დუშეთ-

თის მაზრას ეკუთვნის; მისი მცხოვრებლები — მოხვევებია. პოეტ ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე ს მოხვევის ძეს უწოდებენ. მაშასადამე, იგი ამ ხვეიდან იყო, ჩახრუხაძე ხეველიაო (2, გვ. 61).

ამავე ხევში, არაგვზე, დუშეთიდან 35 ვერსზე, — წერს პლ. იოსელიანი, — მდებარეობს ძაღნაკორა. — მაშასადამე, აქაური იყო, — დასძენს იგი, — დავით აღმაშენებლის დროინდელი პოეტი თუ მომღერალი ძ ა გ ნ ა კ ო რ ე ლ ი, მისი ლექსით დამკვიდრდა ლექსის ზომა ძ ა გ ნ ა კ ო რ უ ლ ი (2, გვ. 65).

ასეთივე ცნობებს პლ. იოსელიანი უფრო ვრცლად იძლევა ნაშრომში „საგზაო ჩანაწერები. თბილისიდან მცხეთამდე“ (თბ., 1871, რუსულ ენაზე, იხ. ქვემოთ — 3).

ავტორი სწორად თვლის ჩახრუხაძესა და შავთელს რუსთაველის თანამედროვედ (3, გვ. 28), ჩახრუხაძის გამო შეერქვა ლექსს ჩ ა ხ რ უ ხ ა უ ლ ი ო. ქართულ ლექსს იგი სილაბურსა და მარცვლოვანს უწოდებს, ახასიათებს ი ა მ ბ ი კ ო ნ ს, შ ა ი რ ს, ეხება მ ა ჯ ა მ ა ს, მ უ ხ ა მ ბ ა ზ ს და პოეტის ზოგიერთ სხვა საკითხსაც.

ჩვენთვის აქ მთავარი ისაა, რომ პლ. იოსელიანი არის ანტონ პირველის, ანუ ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობის“ გამომცემელი. აქაცა და ქვემოდასახელებულ სპეციალურ ნაშრომში ის იძიებს რუსთაველის პიროვნებისა და შემოქმედების საკითხებს.

„წყობილსიტყვაობაში“ 802 ლექსი ასეთია:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნისმოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენისა,
თუ რამ სწადოდა, ღვთისმეტყველიცა მაღალ,
უცხო საკვირველ, პიიტოკოს-მესტიხე,
მაგრამ ამაოდ დამურა, საწუხარ არს ესე“.

ამას პლ. იოსელიანი უკეთებს კომენტარს: თამარ მეფის დროს ცხოვრობდა რუსთაველი. ბოლოს მონაზნად აღიკვეცა და გარდაიცვალა იერუსალიმსა 1215 წელსა.

შრომა მისი, რომლითაცა ადიდა ენა ქართული, არის „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 284, შნშ. 161; შდრ. ქვემოთ—5).

თვით რუსთაველი, — ამბობდა იგი, — იყო ჟინეანის მფლობელი, ვეარად ჭიაბერიო.

განსაკუთრებით საყურადღებოა პლ. იოსელიანის ნაშრომი „შოთა რუსთაველი“ (ქვემოთ—4).

მასში ავტორი ეხება რუსთაველის იდეოლოგიის, რელიგიის, პოემის წარმოშობის, ლიტერატურული წყაროების, მხატვრული კონსტრუქციის, მისი მსოფლო მნიშვნელობის, პოეტის ბიოგრაფიისა და სხვა საკითხებს.

პლ. იოსელიანი, თავისი მაღალი გემოვნების სტილით ნაწერში, რუსთაველს მსოფლიო მასშტაბის ერთ უდიდეს მგოსნად და მოაზროვნედ აღიარებს. ავტორი ამბობს, რომ ჰუმანური საკითხისა და ესთეტიკური იდეალების გამოსახვაში «Руставели выше мрачного Байрона, чище Тасса, светлее Петрарки и нравственнее Милтона и Данте. Он плавал по океану мира и миров, не имевших пристани». დანტე, ტასო და მილტონი ერთმანეთს ბაძვენ, წინაპრებს იმეორებენ. «Руставели раньше их запел свою песнь и был ея творцом». შემდეგ პლ. იოსელიანი აცხადებს: არ მეშინია, თუ ვიტყვი, რომ რუსთაველის ენა მაღლა დგას ჯანტეს, ტასოსა და მილტონის ენაზე, მან იგი ასახელა და «обесмертил для потомства». მისი სიტყვის მნიშვნელობამ «произвело то, что имя Руставели в грузинской литературе есть не имя поэта, а имя поэзии».

პლ. იოსელიანი ავითარებს თვალსაზრისს, რომლითაც „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ორიგინალური ნაწარმოებია და ავტორი იყო ქართველი ქრისტიანი (1845). „ვეფხისტყაოსანში“, — ამბობს იგი, — შეიძლება დაცულად არ გვეჩვენოს ადგილისა და მოქმედების განვითარების მთლიანობა, მაგრამ აქ დაცულია უმთავრესი, — პოემის იდეისა და ინტერესის მთლიანობა.

პლ. იოსელიანი ვახტანგ მეექვსის კონცეფციის გამგრძელებელია; რუსთაველს იოსელიანი ქართული ლიტერატურული ტრადიციების ბუნებრივ განმავითარებლად, უმაღლეს მწვერვალად თვლის. ის სვამს კითხვას: საიდან გაჩნდა ეს მნათობი, — რუსთაველი? და თვითონვე პასუხობს: «Руставели не мог быть Минервой, родившимся из головы Юпитера, как символ ума божия». იგი ქართულმა სინამდვილემ წარმოშვაო.

პლ. იოსელიანი ერთი პირველთაგანია, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ ლიტერატურული და ესთეტიკური თვალსაზრისით განიხილა, ეს პოემა მსოფლიოს უღადეს პოეტთა შედეგებს შეუდარა, გაავლო პარალელები და იგი საერთაშორისო მნიშვნელობის ქმნილებად აღიარა, თქვა, რომ რუსთაველა ქართულ ლიტერატურაში არის არა სახელი პოეტისა, არამედ სახელა პოეზიისა. მანვე აღნიშნა, რომ რუსთაველი ნეპოლატონიკოსიაო და სხვა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პლ. იოსელიანმა შემოგვიანა ტყაუზე ნაწერა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ძალაან მნიშვნელოვანი შემდეგი ცნობა:

„აქა ტფილასს მეფის ირაკლას ასულს თეკლას აქვნდა ძველად ნაწერა ვეფხის ტყაოსანი, სახით ანუ პორტრეტოთურთ თვით რუსთაველასა, ერასკაცისა სამოსით, უფრო ყიზლბაშთა წესით. ესე წიგნი და პორტრეტი წარუღვინე კნაიხს მ. ს. ვორონცოვს, და ამან წარგზავნა სახე ესე, ხელითა აქა ყოფილას ფრანცუზის მოგზაურის ძელესისა, საფრანგეთისა ქალაქა პარეისა, რათა გადაბეჭდონ იგი მრავალ-რიცხვედ ეგზემპლიარებად ხრომოლიტოლრაფით“.

ხსენებული სურათის—გაგარინის გადმოღებული ორიგინალი აღმოჩენილია, მაგრამ თვით ეს უნიკალური ხელნაწერა საძებარია და იგი რომ აღმოჩნდეს, რუსთაველოლოგიის დღესასწაული იქნება.

1. პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაცი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1936, 2. პლ. იოსელიანი. Описание города Душета, თბ., 60. 3. მისივე, Путевые записки от Тифлиса до Мухета.—გზ. «Кавказ» 1871 №№ 19, 24, 40, 45, 48. 4. მისივე, «Шота Руставели» (1174—1212)“.—გზ. «Кавказ», 1870, № 13; ნაშრომი იმავე წელს ცალკე წიგნადაც ამოაბეჭდა; შდრ. ნ. მახათაძე. პლატონ იოსელიანი და ძველი ქართული მწერლობის საკითხები. — კრებული „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, II, თბ., 1964, გვ. 197—206. 5. ივ. ლოლაშვილი. რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, თბ., 1961.

ნიკოლოზ გულაკი

ნიკოლოზ ივანეს ძე გულაკი (1822—1899) ტარას შევჩენკოს მეგობარი, უკრაინელი რევოლუციონერი დემოკრატი, მეცნიერი, მწერალი და პედაგოგი იყო.

იგი პოლტავის აზნაურთა წრიდან გამოსულა. მას 1843 წელს დაუსრულებია იურიევ-დნეპროპეტროვსკის (შემდეგ—ტარტუ) უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1848 წლიდან კიევის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში უმსახურია.

ნ. ი. გულაკს, ნ. ი. კოსტომაროვსა და ვ. მ. ბელოზერსკის დაუარსებიათ მაშინდელი რეჟიმის საწინააღმდეგო კირილე-მეთოდის საზოგადოება. მისი წევრები ბრძოლის რევოლუციურ ხერხებს მიმართავდნენ და ბატონყმობის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ.

საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად, ნ. გულაკი 1847 წლის მარტში დააპატიმრეს და მისის ბოლოს შლისელბურგის ციხეში ჩასვეს 3 წლით. 1850 წელს კი პერმში გადაასახლეს, სადაც პოლიციის თვალყურის დევნების ქვეშ იმყოფებოდა. აქ მან 8 წელი დაჰყო. ნ. გულაკი 1859 წლიდან ოდესის მეორე სკოლაში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას, გიმნაზიაში — მათემატიკას, ქერჩის ქალთა ინსტიტუტში ისტორიაც უსწავლებია და სხვა.

ნ. გულაკი ნოვოროსიისკიდან ქუთაისში ჩამოსულა და აქედან კი თბილისში, აქაც პედაგოგობა განუგრძია. იგი ასწავლიდა I-ლ გიმნაზიაში, მიაღწია ინსპექტორობამდე, მიიღო დამსახურებული მასწავლებლის წოდება, პენსიაში გავიდა, ელისავეტპოლში ცხოვრობდა და იქვე გარდაცვლილა (2).

ეს ფართო განათლების კაცი ფლობდა ევროპულ ძველ და ახალ ენებს, მას უმთავრესად იცნობდნენ, როგორც მათემატიკოსს, მაგრამ კლასიკური ლიტერატურის მცოდნეც ყოფილა, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ნაშრომი გამოაქვეყნა და ცდილობდა, რომ ქართული კულტურა სხვებისათვის გაეცნო.

ეს ნაშრომი გამოიჩინა მისი დროის ნარკვევებსა და წერილებში არა მხოლოდ მოცულობით, არამედ სიღრმითაც, თუმცა ისიც უმთავრესად კომპილაციურია. ნ. გულაკი, ბროსე-ჩუბინაშვილის შემდეგ, სხვებზე უფრო საფუძვლიანად ლაპარაკობდა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობაზე. „ყოველი არაბი ან ინდოელი „ვეფხისტყაოსანში“, — ამბობს გულაკი, — არსებითად ქეშმარიტი ქართველია“. ამ პოემის ყოველ ნაწილში ისე იგრძნობა საქართველო, როგორც „ბაღში ვარდის სუნი“.

ავტორი ერთი პირველთაგანი იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის საგულისხმო ანალიზს რუსულ ენაზე; რუსთაველის მხრივ პოემის სიუჟეტის უცხოობაზე შენიშვნა, — ამბობს ნ. გულაკი, — მხოლოდ მხატვრული „ხერხია თანამედროვეთა თვალის ასახვევად გამოყენებული“.

ნ. გულაკმა მხარი დაუჭირა ალეგორიების თეორიას, რომ თინათინი თამარია და სხვა (2. შდრ. ალ. ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია, 1919, გვ. 289).

„ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით ნ. გულაკი ლაპარაკობს „ილიადასა“ და „ოდისეაზეც“. მისი დასკვნით, რუსთაველი უფრო არიოსტოსა და ბოარდოს (Боярдо) გვაგონებს.

ნ. გულაკის მსჯელობას რუსთაველზე ჩვენ იმიტომაც არ ვტოვებთ უყურადღებოდ, რომ ავტორი მასთან ნიშამი განჯელსაც იხსენიებს და ქართული ენის ადგილზეც წერდა ინდოევროპულ ენებს შორის.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამავე ნაშრომის თაობაზე კრიტიკული წერილიც გამოქვეყნდა, რომელსაც რუსული ასო უ აწერია ბოლოში, ქართული უ-თი წერილებს ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი (1838—1904) აქვეყნებდა. ზემოხსენებული რეცენზიის ავტორიც იგივე უმიკაშვილი უნდა იყოს.

გასაგებია, რომ ის ცოდნით წერს საკითხზე და ნ. გულაკს მოსაწონს უწონებს, სადაო აზრებში — კი ეკამათება. კერძოდ, ავტორი უსაყვედურებს გულაკს: „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ მხარეს ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ეს ნაწარმოები კი სწორედ ამ მხრივია უტოლო. ამავე პოემის ზომა გვაგონებს ვირგოლაუსის და ჰომეროსის პეგზამეტრსაო. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ რუსთაველს პოემას ნაციონალური და მსოფლიო მნიშვნელობაც აქვს. სხვათა შორის, რუსთაველის ტრუბადურებთან შედარების თაობაზე რეცენზენტი წერს: „რუსთაველი იყო ტრუბადურების თანამედროვე და. როგორც მოწაფე ათინური სკოლისა, მაშასადამე, ევროპაში ნაცხოვრები, მას ადვილად შეეძლო სკოდნოდა ევროპის სულაერი ატმოსფერო“. ჯვაროსნულმა ომებმა დაუპირისპირა ერთმანეთს დასავლეთი და აღმოსავლეთი, ამ ვითარებამ დააწერინაო ტასოს „იერუსალიმის განთავისუფლება“ („Кавказ“, 1884, № 248).

„ვეფხისტყაოსნის“, ქართული ენისა და კულტურის ისტორიის საკითხებს გულაკი ეხება წერილშიც, რომელიც მან არტ. ლაისტის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილ „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე გამოაქვეყნა („ივერია“, 1891, № 93, გვ. 2—3, შიკრ. 3).

ნ. ნ. პავლიუკი აღნიშნავს და მას მხარს შ. ლოლობერიძე უჭერს, რომ ნ. გულაკმა გაუკეთა „ვეფხისტყაოსნის“ პწკარედი უკრაინელ პოეტ ა. ნავროცკის (1832—1892), რომელსაც უკრაინელთაგან პირველს უცდია ამ პოემის მშობლიურ ენაზე თარგმნა. არსებობს ასეთი ცნობაც, რომ ეს პწკარედი ალ. სარაჯიშვილს (იხ.) ეკუთვნის.

ნ. გულაკი 23 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში, კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოების კორესპონდენტი იყო და სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს კავკასიის ხალხების კულტურის საკითხებზე გაზ. „Кавказ-ის“ სამეცნიერო ქრონიკაში.

მისი დამსახურების ეს მხარე დასახელებულია ნეკროლოგში და კიდევ უფრო ვრცლად დახასიათებულია იგი ოთ. ბაქანიძის ახალ ნაშრომში (3). ნ. გულაკის ღვაწლი ქართველი, უკრაინელი და რუსი ხალხების კულტურულ კავშირების გაძლიერებაში საყურადღებოა. აკაკი წერეთლის თქმით, — ნიკოლოზ გულაკმა ამავე ხალხებში პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

1. О Барсовой коже Руставели. Две речи, произнесенные в Тифлисском Кружке 13 и 20 марта 1884 г. Сверх-штатного учителя Тифлисской 1-ой гимназии Н. Гулака. — СМОМГ К, т. IV, 1884, განყოფილება—II, გვ. 129—187 (არსებობს ცალკე ამონაბეჭდიც, 59 გვ.). 2. ნეკროლოგი ნ. ი. გულაჩუგაზ. «Кавказ» 1899 წ., 24 აგვისტო, № 24, გვ. 4. 3. ო. ბ ა ქ ა ნ ი ძ ე. ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1968.

ქულ მუკიე

ქულ მუკიე გასულა საუკუნის 70-იანი წლების კავკასიის მეფისნაცვლის შვილას — მიხეილ ნიკოლოზის ძის აღმზრდელად მუშაობდა თბილისში. მან გამოიყენა მთავრობასთან ეს სიახლოვე და 80-იან წლებში თბილისში ფრანგული გაზეთი — „Caucase Illustré“ — დააარსა. ის თვითონ რედაქტორობდა ამ გაზეთს, ბეჭდავდა წერილებს და ცალკეც მოზრდილ შრომებს აქვეყნებდა. მაგ., ცნობილია მისი წიგნი სამეგრელოს შესახებ (J. Mourier. La Mingrélie (ancienne Colchide, ოდესა, 1884) და სხვა.

ქ. მუკიეს მიერ რუსთაველზე დაწერილი ერთ-ერთი ნაშრომის ფრანგული დედნის გამოქვეყნებამდე უთარგმნიათ იგი ქართულ ენაზე; ჯერ ეს და შემდეგ დედანიც გამოქვეყნებულა (1). წერილი რომ ი, მეუნარგიას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანის გამოა დაწერილა, ეს პუბლიკაციის ქვესათაურშია აღნიშნული.

ტექსტში მოხსენებული მეცენატა გ. ქარაველიშვილია.

მუკიე უარყოფს მაშინ მიღებულ თეორიას „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულობის შესახებ (თინათინი და ნესტანი თამარის განსახიერება არაა). საინტერესოა წერილში გამოყენებული გადმოცემები რუსთაველზე. ისინი ადასტურებენ, რომ ზოგი უპასპორტო ჩანაწერი მუკიეს დროსაც ყოფილა ცნობილი (2).

ქ. მუკიეს წერილი მთავრდება შენიშვნით: „ვეფხისტყაოსნის“ გარჩევას ჩვენ კვლავ დაეუბრუნდებით“. ასეთ წერილს კი შემდეგ ვეღარ ვხვდებით.

ფრანგულ ენაზე ეს წერილი დაბეჭდილა 1886 წელს თბილისში და პეტერბურგშიც აკადემიურ „უერნალ აზიატიკში“ (ტ. IX, 1887; შდრ. 1). წერილს კრიტიკული რეცენზიით შეხვედრიან, — მის მიერ წარმოღ-

გენილ პოეტის ბიოგრაფიას ფანტასტიკურს უწოდებენ. შენიშნავენ: ავტორი ვერც „ვეფხისტყაოსნის“ ღირსებას გრძნობსო კარგად და მასვე ფაქტობრივი შეცდომებიც მოეპოვებაო.

საოცარია ის გარემოება, რომ ე. მურიე საქართველოს წარსულს იცნობდა, მას ს. ბარათაშვილს „საქართველოს ისტორია, XI ს-მდე“ უთარგმნია ფრანგულად და ცალკე წიგნად გამოუქვეყნებია (1888), მაგრამ მას სათანადოდ ვერ აფასებდა. არტემ ახნაზაროვი წერს, რომ მურიემ ქართული კულტურის უპატივცემლობა გამოაქვინაო (3).

დაახლოებით ამასვე ამბობს მურიეზე ალ. ნანეიშვილაც (4). არ უწონებდნენ მას, რომ თამარ მეფეს თინათინისა და ნესტან-დარეჯანის პოეტურ სახეებში არ ხედავდა და სხვა.

აღნიშნულის მიუხედავად, დასაფასებელია, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტი, რომ ეულ მურიემ თბილისში ფრანგული გაზეთის დაარსება შეძლო. მასში ბევრა ისეთი წერილი და ცნობა გამოქვეყნდა, რომლებსაც სხვაგან ვერ ვხვდებით. თვით ეულ მურიემ ფრანგულადვე გამოაქვეყნა წიგნაკები: „საეკლესიო ხელოვნება კავკასიაში“ (5), ზემოხსენებული წიგნი სამეგრელოზე, „ზღაპრები და ლეგენდები კავკასიელთა“ (6) და რიგი სხვა წერილი, თარგმნა ს. ბარათაშვილს ზემოხსენებული ისტორია.

აქ ჩვენთვის მთავარი მაინც ე. მურიეს ნაშრომია რუსთაველზე, რომელიც ჩვენი წარსულსა და რუსთაველს სახელას პოპულარიზაციას უწყობდა ხელს ისეთი დიდი მასშტაბით, როგორც შეეძლო თბილისში, პეტერბურგსა და პარიზში ნაშრომის გამოქვეყნებას. ყოველივე ეს ჩვენ გვაძალავს ე. მურიეს მოღვაწეობის დადებით-უარყოფითი მხარეების სათანადოდ შეფასებას.

1. ჭერ არღაბექდილი ხელნაწერი... „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე, ნათარგმნი იონა მეფე ნარგისისი. — გაზ. „დროება“, 1884 № 256, გვ. 1—3 — J. Mourier. Chota Roustavéli—poète géorgien du XII-ème siècle, თბ., 1886, 16 გვ.; ეურნ. „Journal asiatique“, 1887, ტ. IX, გვ. 520—530 (შდრ. გ. იმედაშვილი. რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, N 215, 278, 297). 2 И. Мегрелидзе. Руставели и фольклор, 1962. 3. გაზ. „ივერია“, 1888 № 21, გვ. 3. 4. „ივერია“, № 6, გვ. 12; № 8, გვ. 1—2. 5. რეც. იბ. „ივერია“, 1887 № 89, გვ. 2. 6. „ივერია“, 1888 № 8, გვ. 2.

ალექსანდრე ცაგარელი

ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, ძველი ქართული ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიული ძეგლების გამოცემელი და მკვლევარი, პროფესორი ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი (1844—1929) წევრი იყო რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოებისა და პალესტინის საზოგადოებისა.

მისი წინაპრები ლეჩხუმიდან ჩამოსახლებულან დილომში. ალექსანდრეს მამა, ანტონი, მღვდელი ყოფილა. მან შეიღს კარგი განათლება მიაღებინა, — ალექსანდრემ დაასრულა თბილისის სასულიერო სასწავლებელი (1859), სასულიერო სემინარია (1865) და თბილისის კლასიკური გიმნაზია. მისთვის დანიელ ჭონქაძეს ოსური ენა უსწავლებია. ალექსანდრე ცაგარელი ორი წელი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი. აქედან მიუნხენის უნივერსიტეტში გადასულა, ტუბინგენშიც ყოფილა და ვენაში ფრ. მიულერის ლექციებიც მოუსმენია; ის უმაღლესი განათლებით ისევ პეტერბურგის უნივერსიტეტს დაბრუნებია. აქ მან აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე მეცნიერების კანდიდატის ხარისხი მოიპოვა და პრივატ-დოცენტის წოდებაც მიიღო იმის შედეგად, რომ 1871 წ. პენსიაში გასული დ. ჩუბინაშვილის ადგილი დაიკავა.

ალ. ცაგარელი ავტორია ენათმეცნიერული შრომებისა:

«Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков»*, «О грамматической литературе грузинского языка.

* ეს არის ალ. ცაგარელის საუკეთესო ნაშრომთაგანი. იგი პირველად პეტერბურგში გამოიცა 1872 წელს ლითოგრაფიულად (47 ცალი); მეორედ ა. შანიძემ გამოაქვეყნა თბილისში 1957 (ტირაჟი 1500; ამობეჭდილა ჩვენი უნივერსიტეტის შრომების 67 ტომიდან).

Критический очерк» (ს. - პეტერბურგი, 1873, სამაგისტრო დისერტაცია), «Мингрельские этюды» (I, II, ს.-პეტერბურგი, 1880; სალოქტორო დისერტაცია).

უკანასკნელი სამაგალითო ნაშრომი სამეგრელოში სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს მუშაობის შედეგია. იმავე მეცნიერმა ჩაიწერა სვანური და ქანური ტექსტები, რომლებიც ლინგვისტიკურის გარდა, ფოლკლორულადაცაა მნიშვნელოვანი. ალ. ცაგარელს არქეოლოგიური ინტერესებიც ჰქონდა, — სიძველეების დათვალიერება-შესწავლის მიზნით მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

მან, როგორც ისტორიკოსმა, განოცხადებდა პირველ წყაროები: «Сношения России с Кавказом в XVI—XVIII столетиях» (ს. პეტერბურგი, 1891) და «Г р а м о т ы и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии», ტ. I—1768—1774 (1891); ტ. II, ნაწ. I—1768—1801 (1898); ტ. II, ნაწ. II—1768—1801 (1902). იგივე იბრძოდა ქართული ელცის ავტოკრატიისთვის, გამოსცა წიგნი «Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу» (ს.-პეტერბურგი, 1912) და სხვა; იბრძოდა საქართველოს ისტორიულ საზღვრებს («Неспроектированные Грүзии на признание её независимости и на восстановление её государственных границ», თბ., 1919).

ალ. ცაგარელი შეჰხებია აგრეთვე ალ. ქავჭავაძის, გ. ერისთავის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის და ილ. ქავჭავაძის შემოქმედების რიგ მხარეებს, უთანამშრომლია ქართულ პერიოდიკაში.

ალ. ცაგარლის საერთო დასახურების შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: „ქ ა რ თ ვ ე ლ მ ც ო დ ნ ე ო ბ ი ს წ მ ი ნ დ ა ს ა ე ნ ა თ - მ ე ც ნ ი ე რ ო დ ა რ გ ი ს თ ა ო ს ნ ო ბ ა პ რ ო ფ. ა ლ. ც ა - გ ა რ ლ ი ს ღ ვ ა წ ლ ს შ ე ა დ გ ე ნ ს“, მსგე, — აღნიშნავს იგივე ავტორი, — „დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წარსულს შესწავლაში“.

ალ. ცაგარელი სასულიერო მწერლობას აქცევდა მეტ ყურადღებას, მაგრამ იგივე საერო მწერლობის საკითხებსაც ეხებოდა. მის ლიტერატურათმცოდნეობით შრომების შესახებ კ. კეკელიძე წერს: „ნათელი მოჰფინა ჩვენი მწერლობის უძველეს ხანას. მან გამოამჟღავნა ქართულთა ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება მასლობელი აღ-“

მოსავლეთის სხვადასხვა პუნქტებსა და ცენტრებში. დაამყარა ცნობები, რომლებიც საფუძვლად დაედო შემდეგი დროის მუშაკთა გამოკვლევებს, მოკლე შენიშვნებს და მონოგრაფიებს“.

აღ. ცაგარელს საკუთრივ რუსთველოლოგიური ნაშრომი არ დარჩენია, მაგრამ, ჯერ ერთი, ზემოაღნიშნულ ცნობებსა და საერთოდ მის ნაშრომებს აქვთ მნიშვნელობა რუსთაველის შემოქმედების სათავეებისა და ჩვენი პოეტის ეპოქის შესასწავლად; მეორეც, მასვე აქვს ნარკვევები და პუბლიკაციები (მაგ., ნიკო ჩუბინაშვილას მოგზაურობისა იერუსალიმში 1845 წელს), რომლებშიც იგი გვაწვდის ცნობებს რუსთაველზე, — ეხება მისი ბიოგრაფიასა და შემოქმედებას რაც საკითხებს. ამ მხრეზე აქ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია აღ. ცაგარელს წიგნები: «Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае» და «Сведения о памятниках грузинской письменности». უკანასკნელი სამ წაგნადაა გამოცემული (I. პეტერბურგა, 1835; II—1837; III—1894).

ამ მეორე ნაშრომის I ნაკვეთზე ვაზ. „ივერია“ წერდა: „ჩვენმა თანამემამულემ, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, აღ. ცაგარელმა ცალკე წაგნად დაბეჭდა ყოველი მხრით შესანიშნავი ცნობანი ჩვენს მწერლობაზე...“ (ეურნ. „ცისკარი“, 1965 № 3, გვ. 137).

ზემოთ აღნიშნა, რომ აღ. ცაგარელმა 1883 წელს იყო იერუსალიმში, გადმოიღო და გამოაქვეყნა იქაური ჯვარის მონასტრის სვეტზე არსებული რუსთაველას პორტრეტის წარწერა. ამას აქ დაეუმატებოთ, რომ ამავე მეცნიერმა რუსთაველას პორტრეტის შესახებ არსებითი მნიშვნელობის დამატებითი ცნობები გვიანდერქდა. წინათ ტომოთე გაბაშელას „მოხალთუდან“ ვიცოდით: მეჭურჭლეთუხუცესი რუსთაველა ჯვარას მონასტერში „ხატა მოხუცებულა“. ამასვე იმეორებდა ა. ნ. მურავიოვი (2, გვ. 345—346, 351).

ტ. გაბაშვილასავე ცნობას თ. ბაგრატიონი ასე ავრცობდა: რუსთაველა აღესრულა ჯვარას მონასტერში „სახითა ერის კაცისათა“. იგივე პორტრეტი ნახა 1845 წ. ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა, ესეიგი გადმოიღო და სიტყვიერა ცნობებით მხატვარს რუსთაველა დაახატვინა.

აღ. ცაგარელმა ნ. ჩუბინაშვილას მასალათა და პირადი შთაბეჭდილებებით დაასაბუთა, რომ ჩვენი პოეტი ერის კაცად გარდაიცვალა და არა ბერად. იგი წერს: «...Поэт нарисован в одеянии грузинского вельможи средних веков, а не духовного лица, следовательно, рассказ о том, что поэт постригся, не находит подтверждения» (1, გვ. 95).

აღ. ცაგარელი ნ. ჩუბინაშვილის ჩანაწერის გამოყენებით, პორტრეტს ასე აგვიწერს: ეკლესიის მთავარიკარადან მარჯვნივ მეორე სვეტზე სურათია; აქ რუსთაველი «стоит на коленях между св. муч. Максимом и св. Иоанном Дамаскином, автором высокопоэтических духовных песнопений, руки подняты вверх и лицо поэта обращено к Иоанну Дамаскину, а над изображением имеется грузинская надпись» (1, გვ. 94).

ქართულ მეცნიერთა 1960 წლის ექსპედიციამ იერუსალიმში ნათელიყო, რომ ნ. ჩუბინაშვილასა და აღ. ცაგარელის 'ეს ცნობები უზუსტესია. ჩვენი მეცნიერი იქვე შენიშნავდა: «Изображение это, правда, 1643 года, но весьма вероятно, что оно было и до 1643 года, так как монастырь был и до этого времени расписан» (1, გვ. 95).

აზრა სურათის რესტავრატულუბის შესახებ პირველად აღ. ცაგარელმა გამოთქვა. ამ აზრს შემდეგ ელ. მეტრეველი და სხვებიც იზიარებენ. ზემოხსენებულ ექსპედიციის წევრები ი. აბაშიძე, ა. შანიძე და გ. წერეთელი წერდნენ: „ჯვარის მონასტერი განაახლა XVII საუკუნეში ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა და გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ეს პორტრეტაც იმ ეპოქას ეკუთვნოდეს. მაგრამ წარწერის შინაარსი * ასეთ ვარაუდს საეჭოდ ხდის“ („ლიტ. გაზეთი“, 1960 № 48, გვ. 1).

საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს. ერთი მინც ცხადია, შოთას აქ მეჩვიდმეტე საუკუნეში აღარავინ დახატავდა; ალბათ, იყო ძველი პორტრეტი და ის განაახლეს.

* ამ წარწერის ტექსტს აღ. ცაგარელი ასე აქვეყნებს: „ამისა დამხატვასა შოთას(ს) შეუნდოს ღმერთმან, ამინ. რუსთაველი“.

ა. შანიძე „შეუნდოს“ მაგიერ ბეჭდავს „შეუნდენეს“ (იგულისხმება ცოდვანი). ჩვენი წიგნაკი — „შოთა რუსთაველი და ზეპირსიტყვიერება“ (თბ. 1965, გვ. 8) — დედანში „შეუნდოს“ გვეწერა. რედაქტორმა იგი კორექტურაში შეცვალა „შეუნდენეს“ ფორმით და ასევე დაიბეჭდა. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებში (ნ. მარისა და შემდეგ — ელ. მეტრეველის გამოცემები) უმრავლეს შემთხვევაში გვაქვს „შეუნდენეს ღმერთმან“, მაგრამ გვხვდება შეთანხმება „შეუნდოს ღმერთმან“ (მაგ., 101, 245; ქალმასრულეებლნი აკურთხოს ღმერთმან“, 91, 128; მარისს შეუნდოს ღმერთმან“, 98, 209; შდრ. 101, 245 და სხვა). ჩვენ რუსთაველის ეპოქისათვის იმ მეორე ფორმას ვამჯობინებდით და შოთას აღაპის ტექსტს (ფოტოსურათის მიხედვით) ვკითხულობთ: „ამისა დამხატვასა შოთას(ს) შეუნდოს ღმერთმან, ამინ“ აქ იკითხება აღ და გვექნება: „ამისა დამხატვასა შოთას(ს) შეუნდოს ღმერთმან, ამინ!“

მეორე ნაშრომი—«Сведения о памятниках грузинской письменности» (ტ. I, ნაწ. III)—შეიცავს, უმთავრესად, ბიზლიოგრაფიულ ცნობებს. აქალ. ცაგარელი აქვეყნებს ჯვარის მონასტრის ნ. ჩუბინაშვილისეულ აღწერილობას და ბექდავს რუსთაველის ფრესკის იმ აღწერას, რომელიც [რუსულად] ზემოთ წარმოვადგინეთ. ნ. ჩუბინაშვილს ქართულად უწერია: რუსთაველის ფრესკაზე „ქვემოდამ დახატული არიან: წმ. მაქსიმე და ი[ოან] ე დამასკელი. ამთ შუა მუხლზედ მდგარი მოხუცი, თეთრი, სქელი და გრძელი წვერითაა; თავზედ ხურავს მალალი თეთრი არაღჩინი; შავ ძალაშემოდებული მწვანე კაბა, წითელი სარტყელი და ზეილამ ასხია ჯიგრის ფერი ხირლა საერისკაცო თეთრის სამხრითა“... (გვ. 45).

ალ. ცაგარელი, როგორც თავისი სამშობლოს პატრიოტი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეროვნულ ღირებებს. ის დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიის (1860) შესახებ აქვეყნებს იმავე მეცნიერის არქივში დაცულ პროფ. ბროკგაუზის რეცენზიას, რომელშიც ნათქვამია: «Из мнѣства разнѣрсдныхъ народнѣстей, населяющихъ Кавказъ и его долины, Грузины единственный народ, который выработалъ стройную государственную жизнь, имеетъ свою исторію и возделанную литературу...»

«В Западной Европе того времени (12 в.) нельзя указать ни на одно поэтическое произведение, которое бы могло поспорить с поэмой Руставели в искусстве стихосложения и благозвучия рифмы» (იქვე, გვ. LXXVIII—LXXIX). წიგნში უფრო ადრე «О грамматической литературе грузинского языка» (ს.-პეტერბურგი, 1873), ალ. ცაგარელი ასახელებს რამდენიმე ნაშრომს და მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემასაც. ვახტანგის კომენტარებზე ჩვენი მეცნიერი საგსებით სწორად შენიშნავს, რომ კომენტატორი არ იყო მართალი, როდესაც მან „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული ღვთიურ სიყვარულად ჩათვალა, ხოლო აღმზრდელი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ჰქონდა და აქვს რუსთაველის პოემასო.

აქვე ავტორი ასახელებს „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ (1830, 1831), რუსულ და პოლონურ თარგმანებს (გვ. 103—104); ეხება პოემის სათაურის თარგმნის საკითხსაც და ასკვნის „ვეფხისტყაოსნი — барсова кожа, в е ф х и с тყ а о с а н и — н о с я щ и й б а р с о в у ю к о ж у, покрытый барсовой кожей, человек (или юноша) в бар-

სოფლის კანი... Перевести же ვეფხისტყაოსანი безцветными и прозаическими словами «Барсова кожа» (не говоря уже о том, что грамматически не верно), значит лишить это заглавие загадочности и образности, так удачно выраженной поэтом в названии своей поэмы, даже одним заглавием вызывающей любопытство у читателя» (გვ. 104).

აღ. ცაგარელი რუსთაველას ლექსის ზომასაც ეხება. მისი აზრით, რუსთაველას წყალობათა ჩვენში შ ა ი რ ი გავრცელებულა.

იგივე ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ სხვა საკითხზეც მსჯელობს.

აღ. ცაგარელს დამახატრებაზე ლაპარაკისას უნდა შევნიშნოთ, რომ ის არ მოექცა კარგად ჯერ სტუდენტა და შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერს ნ. მარს, — აიძულა იგი მთელა პირველა ათი წლის განმავლობაში ხელა აეღო ქართულთაგანაზე და ემუშაე არმენისტყაში; აღ. ცაგარელი შესანიშნავ პირობებში ცხოვრობდა პეტერბურგში, მისი ძმა, ჩვენი დრამატურგი აექსენტი ცაგარელი (1857 — 1902) და რძალი — დღა მსახიობი ნატო ვაბუნი (1859 — 1910) ხელმოკლედ იყვნენ საქართველოში. ის მათ არ ეხმარებოდა და არც ოჯახი შეუქმნია... მაგრამ აღ. ცაგარელი, როგორც მეცნიერი, კარგ მაგალითს აძლევდა მის ყოფალ სტუდენტებს: ნიკო მარს, ექვთიმე თაყაიშვილს, ივ. ჯავახიშვილსა და სხვებს, ასწავლიდა სიზუსტის დაცვას კვლევა-ძიებაში. მეორე მხრივ, მას გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო ენათმეცნიერებაში, მაგრამ მეგრულს შესახებ გამოქვეყნებული მისი ნაშრომებან ჩვენი ეროვნულა ინტერესებას საზიანოდ გამოყენება სცადეს. მეფის რუსეთის ქართველთა გამართლებელა პოლიტიკის გამტარებლებმა მოითხოვეს: რაკი მეგრულა დამოუკიდებელა ენა ყოფალა, სამეგრელოს სკოლებში მეგრულა და რუსულა სწავლება შემოვიღოთ, ქართული ენა გავდევნოთ ამ სკოლებიდანაო (შდრ. 3).

ამიტომ წერდა ნ. მარი: „ალექსანდრე ცაგარელს საუკეთესო მეცნიერულა მოღვაწეობა შესწყვიტეს და ქართული ენის მეცნიერული შესწავლა შეჩერდა“ (4, გვ. 307).

ექვთიმე თაყაიშვილმა აღ. ცაგარელი აგრე დააფასა: „ის უნდა დარჩეს ჩვენს ხსოვნაში როგორც ერთი საუკეთესო, უნგარო მამულიშვილა, რომელაც შრომობდა თავისი ქვეყნის აღორძინებისათვის და რომელ-

მაც მოგვცა შესანიშნავი შრომანი მეცნიერების დარგში, საქართველოს შესწავლაში... თავის სიცოცხლეში მას ნაკლებად სმენია გამამხნევებელი სიტყვა, ამიტომ ახლა მაინც მადლობით მოვიხსენიოთ მისი ღვაწლი.“

ალ. ცაგარელი გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

1. А. А. Ц а г а р е л и. Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае. — ნაწ. IV-ს, — პეტერბურგი, 1888; 2. А. Н. Муравьев. Путешествие по святым местам. ნაწ. II, ს.—პეტერბურგი, 1848; 3. ვაზ. „ღროება“, 1870 № 20; აგრეთვე — ბ რ ო კ გ ა უ ზ ი ს ა და ე ფ რ ო ნ ა ს ენციკლოპედია, ტ. IXა, 1893, გვ. 795 — 801; გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი ს „ბიბლიოგრაფია“..., გვ. 176; 4. ნ. მ ა რ ი. ქართული ენათმეცნიერებაში. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. V, თბ., 1937. 5. ა. შ ა ნ ი ძ ე. პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი. — თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. X თბ., 1930, შდრ. კ. კ ი ნ წ უ რ ა შ ვ ი ლ ი ს წერილი ალ. ცაგარელზე, ეურნ. „ციცქარი“, 1965 № 3.

ილია ჰავჭავაძე

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარი იდეოლოგი, წარჩინებული მწერალი და პუბლიცისტი ილია გრიგოლის ძე ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე (1837—1907), პლ. იოსელიანის შემდეგ, პირველია, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით განიხილა და ავტორს ადგილი მსოფლიოს გენიოსთა შორის მიუჩინა.

ილია ჯერ კიდევ 1861 წელს წერდა: „ვეფხისტყაოსანი თუ არის უკუდავი, (ეს არის) არა მარტო თავისი ფორმით, არამედ თავის შინაგან ღირსებებით“. იგი იცავს რუსთაველსა და მთლიანად ქართულ კულტურას ი. ჯაბადარისა (1889) და სხვათა ნიპილიზმისაგან.

ეს ის ჯაბადარია, რომელმაც საქართველოს გარეთ დაიწყო ქართული კულტურის სახელის შებლაღვა (იხ. ქვემოთ, — ნ. ნიკოლაძე), ხოლო ი. ქავჭავაძემ „ივერიის“ ფურცელზე „შეაჩვენა“ ის „აი ისტორიას“ ფელეტონებით, რის შედეგადაც, როგორც ეს თავის დროზე იაკობ გოგებაშვილმა აღნიშნა, — ი. ჯაბადარი „სრულიად მორჯულდა, მაგრამ მისმა ველურმა აზრებმა მაინც მაგნე კვალი დასტოვა“.

ილიამ ასევე დაიცვა ქართული კულტურის ინტერესები სხვათა მიმართაც („ქვათა ლაღადი“); ის ებრძოდა ნ. მარის ჰიპოთეზას რუსთაველის პოემის სიუჟეტის ნასესხებობის შესახებ და სამართლიანად აღნიშნავდა: ასეთი მტკიცებინათვის „სათანადო საბუთებია საჭირო, ზეპირად ამის დადგენა არ შეიძლება“, ეს პოემა ქართული ორიგინალური ქმნილებააო და ა. შ.

ი. ქავჭავაძის რუსთაველოლოგიურ ნაშრომებს შორის უმნიშვნელოვანესია მისი კრიტიკული წერილი „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“ (1887). აქ ის წერს: ყველამ იცის, რომ „ვეფხისტყაოსნით თავს

ვიწონებთ, ესახელობთ, ვქადულობთ“, მაგრამ ყველამ, განსაკუთრებით უცხოელებმა, არ იციან, „რა გვაძლევს უტყუარ საბუთს ამ თავმომწონებისას, სახელასას, ქადილასას“ (1, გვ. 166). ა. წერეთელმა კი დაიწახა პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის ქართველი (1, გვ. 167). ილია განმარტავდა: ამ ლატერატურულ სახეების უბრალო ეთნოგრაფიის საგნად გახდომა არ შეიძლება, რუსთაველი ზოგადსაკაცობრიო ტიპებს ხატავსო. „ჩვენ რუსთაველას სახელი, — ასევის ილია, — მეტის-მეტად დად სახელად მიგვაჩნია და მოგვიტევონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დაუთმობთ“ (1, გვ. 178)*.

თუ წინათ ილიამდე უმათავრესად „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობის საკითხს იკვლევდნენ, ილია ერთი პირველთაგანი იძლევა ამ პოემის მხატვრულ ანალოზს, ტიპების ფსიქოლოგიურ დახასიათებას“, მას ჰომეროსის, შექსპირის და ასეთების გვერდში აყენებს (ალ. ბარამიძე).

არავის ისე კარგად და ვრცლად შოთას აფორიზმები არ გამოუყენებია თავის მხატვრულ ქმნილებებში, პუბლიცისტურ წერილებსა და ზეპირ გამოსვლებში, როგორც ეს ილიამ შეძლო. რუსთაველის აფორიზმებში ნახულობდა იგი „ცხოვრებისათვის გამოსადეგადგილებს და ცნობილია, რამდენად მეტია ამა თუ იმ ნაწარმოებში ცხოვრებისათვის გამოყენებულობა, გამოსადეგობა, იმდენად ძლიერია იგი და ფასდაუდებელია სოციალურად“ (5).

დადმა ილიამ რუსთაველას პოემის მნიშვნელობა საქართველოსათვის ასე ბრწყინვალედ განმარტა: „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ეროვნული ღირსებისა, და ვინაობის სახსოვარია, რომელსაც „მთელმა ერმავე შიგ

* აბ. მახარაძე აღნიშნავს: „შოთა რუსთაველისადმი განსაკუთრებული გულთბილი დამოკიდებულება საერთოა ყველა დროის ქართული მწერლობისათვის“ (იხ. მისი „ქართული რომანტიზმი“, თბ., 1967, გვ. 473). ეგ არსებითად სწორია, მაგრამ რუსთაველს განსაკუთრებული ყურადღება ი. ჯაკეაძისა და მისი თანამებრძოლების მიერ მიეძევა. ეს განპიროვნებულია იმ ეროვნულ-განმათავისუფლებული ბრძოლის პრინციპებით, რომელსაც ჩვენი სამოციანელები ეწეოდნენ. შდრ. აბბ. გაჩეჩილაძე. მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლები და შოთა რუსთაველი.—საქ. სსრ მეცნ. აკად. რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ისტ. ინსტიტუტის კრებული „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 212—232. ჯ. ჯუმბურაძე. აკაკი—ლიტერატურის კრიტიკოსი. — თბ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 114, 1965, გვ. 114—227. Саргис Ц а и ш в и л и. Витязь в тигровой шкуре Шота Руставели, Мосკოვი, 1966.

ჩატანა თავისი ცრემლი. და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწია თავისი უყუთესი ფაქრნი, ზრახვეანი, გრძნობანი!... (ი. ჭავჭავაძე, ტ. VIII, თბ., 1957, გვ. 123).

ეს პოემა არას „ქართულებს ეროვნული ღირსებისა და ვინაობის სახსოვარა“ (იქვე, გვ. 124), ნაწარმოებია, რომელიც ისე პოპულარულია საქართველოში, რომ მას, როგორც „ჩვენ სულსა და გულს მოძრახობის“, დიდებას, „დიდი და პატარა, სრა-სასახლე და ქოხი, ასე ერთნაირად, ერთპირად შეჰხაროდა უწინ და შეჰხარის დღესაც, როგორც დიდ რასმე საუნჯესა, საშვილაშვილოჲ საპატროსა და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არ დაქნობილსა, არ გაბათილებულსა, არ დაეიწყებულსა“ (1, გვ. 166).

ილია ჭავჭავაძეს „ვეფხისტყაოსნის“ უდიდესი შეფასება აქვს მოცემული მოთხრობა „გ ლ ა ხ ი ს ნ ა ა მ ბ ო ბ შ ი“. აქ მოძღვარი ეუბნება ახალგაზრდას: „შენ, ჩემო გაბრიელ, ერთი კაი წიგნი მინდა გაჩუქო!.. აი, ძმაო, ეს წიგნი არის ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს გ უ ლ ი ს სა უ ნ ჯ ე . რ ა ც კ ი რ ა მ გ ვ ა ქ ე ს ჩ ე ვ ე ნ ს ე ნ ა ზ ე დ , ამას ჯერ არა სჯობია-რა“ (2, გვ. 61—62. ხაზი ჩვენია, ი. შ.).

ამასთანავე ი. ჭავჭავაძე რუსთაველას პოემას არა მხოლოდ ქართველთა დიდებად თვლის, არამედ, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებად აღიარებს. ამიტომაც წერს: „მწერალმა, თუ სხვა ვინმე ხელოვანმა, რაც უნდა ზედმიწევნით და მშვენიერად გამოხატოს ერთი რომელამე ცალკე სახელ-წოდებული კაცი—ივანე, თუ პეტრე, ყოველთვის უპირატესობა უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადი გამოხატვის შემძლებელია. ამიტომაც პორტრეტების მხატვარა, დიდად სახელგანთქმულაც და გამოჩინებული, ყოველთვის უმდაბლესია, უმდარესია მასზედ, ვინც ზოგადის კაცის, ტიპის შემომქმედი, თუნდაც ხელნაკემოპოთ, ტენიკით ამისა თანასწორი იყოს. ამიტომაც თითონ პორტრეტების წერას, ესე იგი ცალკე კაცის ხატვას, მხატვრობაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს და თათქმის ხელოვნებადაც არ არის ცნობილი, რადგანაც ეგ უფრო ოსტატობაა, ვიდრე ხელოვნება“ (1, გვ. 174—175).

როგორც შექსპირის ტიპებს ფართო პორიზონტიდან სჭირდება ცქერა, ისევე რუსთაველისას: მათ, — განაგრძობს ილია, — „იმ პაწია ჭუჭრუტანიდამ სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მართო ქართველი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელ-წოდებული კაცი დაინახება, არამედ

იმ უშველებელ სარკმლიდამ, რომ მთელს კაცადკაცობას თვალი გადევლებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლე-ზედ“ (იქვე).

ვიმეორებთ, ილია ამტკიცებდა: რუსთაველი „ზოგადის ტიპის კაცის შემოქმედი“... ჩვენი პოეტის გმირები „ტარიელი, ავთანდილი, ფრადონი და სხვანი კაცად-კაცი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი“ (1, გვ. 176).

ილიას აზრითვე, ზოგადსაკაცობრიო იდეებს შეიცავს შოთას აფორიზმების უმრავლესობა და ზოგადკაცურ კაცზე ამბობს რუსთაველი:

„უნდა კაცი კაცისათვის სიცოცხლისა არ დამრიდოდ.
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული — გზად და ხიდად.“
(2, გვ. 63).

აქ ილია ცოტათი ცვლის პოეტის სიტყვებს, მაგრამ მათვე უცვლელადაც იმეორებს:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ქირსა არ დამრიდოდ...“
(2, გვ. 87).

ასევე ზოგადსაკაცობრიო აზრად რაცხს ის აფორიზმებს:

„ვერ დაიჭირავს სიყვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“

და ა. შ.

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიყვდილი სახელოვანი...“
(2, გვ. 69)

და სხვა.

ი. ჭავჭავაძე რუსთაველის გენიის ნაციონალურ და ზოგადსაკაცობრიო ინტერპრეტაციის გარდა, იმითაც იპყრობს ყურადღებას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შექმნას, ვახტანგ მეექვსეს კვალობაზე, ქართულ სინამდვილეს უკავშირებს. „ვეფხისტყაოსანი“ იმ დროსაა შედგენილი, — გვეუბნება ილია, „გლახის ნაამბობის“ მოქმედი პირით. — როცა თამარი მეფობდა, ეს წიგნი ამის კარისკაცს — შოთა რუსთაველს დაუწერია... თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა, — ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა; მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია — იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩინია, გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე — ეგ მაშინ მომხდარა... ქალი მეფობდა და ამიტომ თქვა რუსთაველმაო:

„ლევო ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.“

(2, გვ. 63).

ილია ითვალისწინებდა თამარის ეპოქის მესხეთის ძლიერებას, მან იცოდა, რომ ჩვენი რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწე მესხეთიდან იყო და წარმოშობით რუსთაველსაც აქაურად თვლიდა (ტ. IV, გვ. 11).

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ილია „გლაზის ნაამბობში“ გაბრიელს ალაპარაკებს: „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა რომ დავიწყე, მაშინ მე „ვიქნებოდრი ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა“ (2, გვ. 63), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, ამ პოემის გაგება-დაძლევას ამ ასაკში თვლიდა ილია შესაძლებლად; უფრო ახალგაზრდისათვის ძნელი ასათვისებელი იქნებოდა.

ამასთანავე ილია გარკვეულ პედაგოგიურ ხერხსაც იყენებს; ამ პოემის უფრო ადვილად გაგებისათვის ის იქვე გაბრიელს ათქმევინებს: მოძღვარმა „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა დამაწყებინა თავით „ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა“.

მას მე ვუთხარი, — ამბობს გაბრიელი, — „რატომ თავიდან არ მაწყებინებ?“

მან მიპასუხაო: „ნუ აჩქარდები, ყველაფერი თავის დროზე უნდა. თავი უფრო ძნელია, მგონი, შენთვისაც და ჩემთვისაც; თუნდ ეგ არ იყოს, ამბავი აქედამ იწყება. მერე, როცა მე და შენ კარგად მიხვდებით, მაშინაც მოვესწრებით მაგის გადაკითხვასა“ (2, 63).

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ეს მეთოდიკური მხარეც გასათვალისწინებელია, რასაც სპეციალურად მიაქცია ყურადღება დოც. შოთა ქურდაძემ.

უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ილიამ ერთმა პირველთაგანმა გაუხსნა გზა პრესაში ხალხურ გადმოცემებს, — ფრიად მნიშვნელოვანი თქმულება „ლეგენდა რუსთაველის სამშობლოს შესახებ“ დაიბეჭდა ი. ქავჭავაძის გაზ. „ივერიაში“ (1894, № 21).

მარად მოუცლელი ილია შოულობდა დროს, ხელი შეეწყო მ. უორდროპისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე თარგმნაში და მ. ზიჩისათვის პოემის დასურათებაში. ილიას დროს იმართებოდა „ცოცხალი სურათები ვეფხისტყაოსნიდან“ (მაგ., იხ. გაზ. „დროება“, 1882, №№ 39, 115), ილია ნაწარმოების პოპულარიზაციისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თვალსაჩინოებას, აფასებდა ეპიზოდთა სანახაობით მხარეს (10), ოცნებობდა, „ვეფხისტყაოსანი“ გასცენიერებულყო.

იბადება კითხვა: რამ განაპირობა ილიას მხრივ რუსთაველის პოემის ასე ღრმად ცოდნა?

უეჭველად იმან, რომ ი. ჭავჭავაძე შესანიშნავად იცნობდა მაშინ არსებულ გამოცემებს ძველი ქართული ლატერატურის ძეგლებისა და ის რუსთაველის საფუძვლებს ამ ლატერატურაში ხედავდა. მან ბრწყინვალედ იცოდა საქართველოს ისტორია და რუსთაველის ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში. შემთხვევითი არაა, რომ „ვისრამაანის“ ქართული რედაქციის პირველი გამოცემა (1884) ი. ჭავჭავაძემ განახორციელა ალ. სარაჯივილსა და პ. უმიკაშვილთან ერთად; ილია იყო „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის ფაქტობრივი სულსჩამდგმელი და ტექსტის ხელნაწერების მიხედვით დამდგენი კომისიის სხდომათა უმრავლესობის თავმჯდომარე.

მოსე ჯანაშვილი იგონებს: 1876 წელს ქართველ „მწერალთა შორის ვეფხისტყაოსნის მთლიანად მცოდნეთა რაცხვი იმდენად მცირე იყო, რომ ხუთი თითი საკმაო იყო მათ ჩამოსათვლელად“.

1880 წელს, — განაგრძობს მ. ჯანაშვილი, — გ. ქართველთა შორის წვეულება გამართა და მწერლებს უთხრა: თუ „ვეფხისტყაოსანს“ კარგად გამოცემთ, ხარჯს მე ვკისრულობო... ილიამ ბრძანა: „ბეკრს თავი მოაქვს შოთას თხზულების ცოდნით, მაგრამ ვეჭვ, თუ ვისმე მათგანს წაეკითხოს თავიდან ბოლომდე და შეეძლოს მისი შინაარსის გადმოცემა“ (8, გვ. 5).

ამ მეჯლისზე ეს განცხადება ბეკრს ეუცხოვა, მაგრამ შემდეგ დაიწყო თუ არა კომისიამ ტექსტზე მუშაობა, ილას ეს სიტყვები დადასტურდა.

ამ სპეციალურმა კომისიამ ეს მუშაობა 1881 წლის თებერვალში დაიწყო გრ. ორბელიანის თავმჯდომარეობით.

საქმეს სწორი მიმართულება ისევ ილ. ჭავჭავაძის ტექსტოლოგიურმა პრინციპმა მისცა.

ცნობილია, რომ გრ. ორბელიანი მოითხოვდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტა: ვახტანგ მეექვსის 1712 წლას, ბროსეს რედაქციით 1841 წლის და დ. ჩუბინაშვილას 1860 წლას გამოცემების ხელნაწერებთან შედარების მიხედვით დაედგინათ. უპირატესობა კი ვახტანგის გამოცემასათვის მიეცათ, რადგან შესაძლებელი იყო, რომ ვახტანგს უკეთესი ხელნაწერები ჰქონდა.

ერთადერთი სწორი გზა კი ის იყო, რომელსაც კომისიას ილა ჭავჭავაძე უსახვდა: „პირდაპირ კითხვას შევუდგეთ და თვითონ კითხვა დავანახებ, თუ რა ფასი რომელ გამოცემას ექნებაო“.

დაიწყო ტექსტზე მუშაობა. შოთას პოემის საერთოსა და წვრილ-მანების ცოდნაში ილიას ტოლი არ აღმოუჩნდა, — აქაც გამოჩნდა ილიას ბუმბერაზობა, „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს რომ ტექსტის საერთო აზრის მიხედვით განიხილავდა და სიტყვათა და ფორმათა შერჩევასას რომ მარგალიტებს ალაგებდა ხოლმე.

აქ ჩვენ არ განვიხილეთ, თუ ი. ჭავჭავაძეს რა საკითხზე რამდენჯერ უხსენებია რუსთაველი, მაგრამ ილია რომ „ვეფხისტყაოსნის“ ღიდი მცოდნე და სწორი შემფასებელია, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს; ამაში იგულისხმება ისიც, რომ მან სწორად გაიგო შოთას საკაცობრიო მნიშვნელობა. აგრეთვე უდავოა ისიც, რომ „ღიდი მხატვარი ილია იმავე დროს ღიდი კრიტიკოსიცაა“.

1. ი. ჭავჭავაძე. აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“. — თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, თბ., 1954, გვ. 166—178. 2. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. II, 1950. 3. პ. ინგოროყვა. ილია ჭავჭავაძე, ნაკვეთები, თბ., 1957. 4. გ. ჯიბლაძე. ილია ჭავჭავაძე. მონოგრაფია, 1966, 5. ვუკ. ბერიძე. ილია ჭავჭავაძე და „ვეფხისტყაოსანი“. — „რუსთველოლოგიური ეტიუდები“, 1961, გვ. 168—188. 6. ალ. ბარამიძე. ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები. — კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1957. 7. ლ. შენაბდე. ი. ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები. — თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 69, თბ., 1958. 8. გაზ. „ტრიბუნა“, 1923 № 469, გვ. 2—3. აგრეთვე იხ. ი. მერელიძე. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი გამოცემის გამო. — ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966 № 9, გვ. 5; მისივე წერილი ი. ჭავჭავაძე რუსთველის შესახებ იხ. ეურნ. „მნათობი“, 1966 № 7; გვ. 135—136; გაზ. «Заря Востока», 1966 № 216 (12760). 9. ამ კომისიის სხდომათა ოქმები იხ. გაზ. „დროება“, 1880 №№ 245, 250, 271; 1881 № 31 და სხვა. 10. დიმიტრი ჭანელიძე. რუსთაველი და სახიობა, თბ., 1967.

აპაკი წარმთელი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცის დასაწყისის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლას იდეოლოგ-თავანი, ერას მიერ სახალხო პოეტად აღიარებულა მგოსანი, ჩვენი დიდი პუბლიცისტი აკაკი როსტომის ძე წერეთელი (1840 — 1915) რუსთაველით ჯერ კიდევ ბავშვობაში დაინტერესებულა (2 და 3).

ყოველგვარი სათამაშოთი ვიყავი გარაულა, — იგონებს პოეტი, — შემთხვევით „ვეფხისტყაოსანი“ წავეკითხე „თავიდან ბოლომდე და თუმცა ზღაპრულა მხარას მეტა არა გამიგია რა, მაგრამ ძალაან“ გამიტაცა; შემდეგ თამაშობას გვერდს ვუქცევდი და წიგნებს ვკითხულობდი (თხზულებანი, ტ VII, გვ. 57).

ცნობილია, რომ აკაკიმ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი დაამთავრა (1862) და მაშინვე საკანდიდატო (სადიპლომო) ნაშრომად წარადგინა «Несколько слов в пользу оригинальности «Барсовы кожи». მასში ავტორი ლაპარაკობს „ვეფხისტყაოსნის“ უღადეს პოპულარობაზე საქართველოში მთელა შვიდასი წლის განმავლობაში და საყვედურს გამოთქვამს, რომ ეს პოემა არაა შესწავლალა კრიტიკულად, ახლანდელა თაობა, — წერს იგი, — «клеветает на нее, называя мистической, азиатской, фантастической поэмой...», «она написана в духе грузин и легко задевает за струны грузинского сердца...» (ტ. XV, 1963, გვ. 583).

აქ ახალგაზრდა ავტორი პოემის ისტორიის კარგ ცოდნას ამტკიცებს, ლაპარაკობს „ვეფხისტყაოსანში“ აღწერალ სახელმწიფოებზე და ასკვნის: მათში «должны разуместь тогдашних семь царств Грузии и пять княжеств». იგი განიხილავს პერსონაჟების თავისებურებას, მათ ხასიათებს და იმეორებს ნაშრომის დასაწყისშივე გამოთქმულ აზრს. პოემის ორიგინალობის შესახებ (4 და 6).

აკაკი 1875 წელსაც წერდა: „ვეფხისტყაოსანი რომ გავარჩიოთ, იქ ზევინს ქვეყანას დაინახავთ მისის კუთხეებით და მცხოვრებლებით“.

ა. წერეთლის მთავარი რუსთველოლოგიური ნაშრომია „ს ა მ ი ლ ე ქ- ც ი ა „ ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ზ ე“ (1881). ავტორი პოემას ისევ საქართველოს ისტორიის ფონზე განიხილავს და სპეციალურად ჩერდება „ვეფხისტყაოსნის“ ტიპების ხასიათებზე. პოემაში „გამოხატულა ტიპები, — ამბობს აკაკი, — როგორც კაცები, ისე ქალები, ნამდვილი ქართველები არიან, [საქართველოს] სხვადასხვა კუთხიდან აღებული. მართო ეს მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანს“, აქ ჩვენ ვხედავთ დიდ წინასწარმეტყველებას ჩვენი სამშობლოს შესახებ: ნესტან-დარეჯანი არის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა“ (ტ. XII, 1960, ვვ. 111; შდრ. 6).

აკაკი ეხმაურება თეიმურაზ პირველის სიტყვებს—

„არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“,

და არჩილის თქმას:—

„სამღეთო წიგნი ბევრი წახდა უყლოთა და უბუღობით.

საშაიროს ინახედნენ სტავრის ბუღით ან ნახლობით“.

თავის მხრივ ის წერს: ტყუილად კი არ სჩიოდა ძველად სამღვდლოება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სახარებაზე უფრო გაუტება ქვეყანასაო. „საუკუნეების განმავლობაში დიდი და პატარა ყველა იმას ეწაფებოდა: კაცები ტარიელ-ავთანდილს ჰბაძავდნენ, ქალები ნესტან-თინათინობას სცილობდნენ, მეფე და კარისკაცები როსტევან-სოგრატობაზე სდებდნენ თავს, მსახურნი შერმაღინობდნენ და მოახლე-გამღლები კი ასმათობას სჩემობდნენ“ (5).

აკაკის სურს, — წერს ს. იორდანაშვილი, — რომ „თანამედროვეებსაც ასე გაუტებეს „ვეფხისტყაოსანი“. საყმაწვილო მოთხრობაში „პატარა ტარიელი“, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის გამოყენებითა და ტიპილი იუმორით არის დაწერილი, აკაკი იდეალური მასწავლებლის პირით მოუწოდებს ახალგაზრდებს, რომ „ტარიელი და ავთანდილები ყოველთვის და ყველგან ყოფილან და არიან კიდევ საჭირო. ის ხალხი, რომელაც ტარიელ-ავთანდილებს ვერ წარმოშობს და ვერ გაზრდის, ხალხადაც აღარ იხსენება, უბედურია და გაპქრება დედამიწის ზურგზე“... „ჩვენში, როგორც ერისთავის, ისე ცალქალამანძის ქალებიც, ყველა ერთგვარად თინათინ-ნესტანებად არიან გაჩენილი...“

აკაკი აქვე მოუწოდებს ახალგაზრდებს, ერთად იყვნენ, ძალა ერთობაშია, — უნდა გახსოვდეთ, — დასძენს მოძღვარი, — ტარიელი ვერას განდა მარტო, სხვების დაუხმარებლად, ისე ვერც არას თქვენ განდებით. ჩვენი ქვეყნის მზე და მთვარე მარტო ქართლ-კახეთში კი არ ამოდის: მრავალკუთხოვანია საქართველო“, ყველგან ავთანდილ-ფრიდონები უნდა გამოჩნხეთ, „დაიმეგობროთ და შეთანხმებული სურვილით, შეერთებული ძალით იმოქმედოთ...“

ამ ერთიანობისათვის იყენებდა აკაკი „ვეფხისტყაოსნის“ გარჩევის შემთხვევასაც, როდესაც ამბობდა: ტარიელი და ნესტანი ქართლელებია, ავთანდილი და თინათინი — იმერლები, ფრიდონ-ფატმანი კი სამეგრელოაო.

„ვეფხისტყაოსანის“ გმირების საქართველოს ეს ეთნოგრაფიული კუთხეებით შემოფარგვლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდმა ილიამ გააკრიტიკა.

აკაკიმ მას მეცნიერული პასუხი გასცა: — არაა შეუძლებელი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები „ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყვნენ და საზოგადოდ, საყოველთაო ტიპებიც“ განდენენო. იგი საილუსტრაციოდ ასახელებს: „იულოოს კეისარი, ანუ კოროლანოსი მართლა მსოფლიო ტიპები არიან, მაგრამ იმავე დროს, ყველაზე უმაღლესი ტიპებიც არიან“ და ეს მათ ზოგადობას ხელს არ უშლის, ასევე რუსთაველის პოემის გმირები ქართველები არიან, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მსოფლიო ტიპები იყვნენ: მე რომ ამ გმირებში ქართველები დავინახე, ეს „საქართველოს შემოქმედების ძალას“ კი არ ამცირებს, არამედ ზრდისო.

სპეციალურ წერილში აკაკი ეხება ნ. მარის მიერ გამოცემულ შავთელისა და ჩახრუხადის ოდებს (იხ. ზემოთ — ნ. მარი) და შენიშნავს: „ჩახრუხაულის სახელით დაწერილი თამარის ქება რუსთაველის დაწერილია და ჩახრუხს ეძახის თავის თავს [რომ ანბოზს ნ. მარი], ვეთანხმებით — კი არა, კიდევ უფრო შორსაც მივდივართ. არა თუ მარტო თამარის ქება, ჩახრუხაულით დაწერილი დავითის ქებაც, ის, რომელსაც ბატონი მარი შავთელს აწერს — რუსთაველისავე დაწერილია და სამივე ერთად ვეფხისტყაოსნის ავტორს ეკუთვნის“ (1, ტ. XIV, გვ. 133)*.

* აქვე აკაკი სხვა მხარეებსაც აქცევს ყურადღებას, მაგრამ მათზე ვერ შევჩერდებით. საკითხის ისტორია მიმოხილულია ივ. ლოლაშვილის გამოცემაში, „ძველი ქართული მხატვრობა“, ტ. I — ჩახრუხადე, თბ., 1957, ტ. II — იოანე შავთელი, თბ., 1964.

აკაკი სისტემატურად ადევნებდა თვალს რუსთველოლოგიურ ლიტერატურას, იგი ახალგაზრდა ს. კაკაბაძის სათანადო ლექციასაც კი გამოეხმაურა, მას მოწინავე პოზიციებიდან შეხედა, სიახლეზე თავისი პროგრესული აზრი თქვა: — ახალი აზრი რომ არავის ვათქმევინოთ, „ქვეყნიერების წინსვლა შეფერხდებოდა“, დიდი საქმეა მკვლევარობა, ჩვენ „სამუშაოდ გამოსულ ქართველობას ყოველთვის ვსთხოვდით და ვთხოვთ არა კაჟკაჟურად სხვების ნათქვამის განმეორებას...“ არამედ სიახლის ძებნასო „ღიას, ჩვენ წარსულს ეჭირვება გამტკიცვა და საჭირო არიან მკვლევარები. ბ. აკადემიკოსმა მარმა გვიჩვენა მაგალითი და მას სხვებიც მიჰყვნენ“ (1, ტ. XIV, გვ. 539).

იქვე ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დროსა და სხვა საკითხსაც ეხება.

როგორც ილია, ისე აკაკი დიდ ყურადღებას აქცევს და ხშირად იყენებს შოთას აფორიზმებს, კერძოდ, აფორიზმის — „ღეგვი ღომისა სწორია“... შესახებ აკაკი ამბობს: რუსთაველის მაღალი იდეებისა — დედაკაც-მამაკაცთა თანსწორობის ღაღადღილო და სხვა, მაგრამ აკაკი მის დროს არის სრულიად უტოლო იმ მხრივ, რომ მან იცის არა მხოლოდ წერილობითი, არამედ ზეპირსიტყვიერი მასალებიც. ის იმ დროის უდიდესი მცოდნეა ქართული სიტყვიერი მასისა. მან იცის როგორც ის თქმულება, რომლის მიხედვითაც მ. ზიჩიმ შოთას მიერ თამარისათვის „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევის სურათი დახატა, ისევე თქმულება გოცირიძესა და ბულა ხარზე და სხვა მრავალი (7).

აკაკის რუსთაველი სიცოცხლის ნთელ მანძილზე ასულდგმულეს, ის ხანდაზმულიც კი ფრადონსა და აცთანდრეს უხმობდა და თავი ტარიელ მგონიო, — ამბობდა; მისი ცხოვრების დევიზი იყო შოთას სიტყვები — „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვეტირსა“, — და მოუწოდებდა მშობელ ხალხს, ისიც უდრეკი ყოფილიყო, იმედს აძლევდა: ნესტან-დარეჯანი — საქართველო — ქაჯებს ჩავარდნია ხელში, მაგრამ ტარიელი, აცთანდრე და ფრადონი მას დიხსნიანო. აკაკი ოპტიმიზმს უნერგავს ხალხს — „ის ნიადგი, რომელმაც წარმოშვა ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, დიდი მოურავი, მთაწმინდელები, პეტრიწი, რუსთაველი და სხვები — მსოფლიო გმირები — კიდევ წარმოშობს იმისთანა გმირებს“.

„ვეფხისტყაოსნის“ საკაცობრიო ტიპების საქართველოს ეთნოგრაფიული არეთი შეზღუდვის ჰიპოთეზა, ისევე როგორც ამავე პოემის ხალხური სიტყვიერებიდან წარმოშობის ჰიპოთეზა (იხ. ალ. ხახანაშვილი), თავის დროზე ეროვნული ინტერესების გამოც ვრცელდებოდა. იგი მაშინ აბათილებდა პოემის სიუჟეტის ნასესხებობის მცდარ დებულებას. აკაკიმ იმიტომაც წამოაყენა „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ქართველობის ჰიპოთეზა.

აქვე რამდენიმე ცნობა გვინდა წარმოვადგინოთ იმ საჯარო ლექციების შესახებ, რომლებსაც, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, აკაკი წერეთელი კითხულობდა.

მართალია, ამ ლექციების ტექსტი და ლექციებთან დაკავშირებული ძირითადი ამბებიც 1887 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ აკაკი ის სახელია, რომლის შესახებ ყოველ ცნობას თავისი მნიშვნელობა აქვს და ასეთის ზოგჯერ გამეორებაც და მით უფრო მათი სისტემაში მოყვანა, სასარგებლოა.

გაზეთი „დროება“ 1881წ. 27 მარტისა (№ 65, პირველი გვერდის 1 სვეტის დასაწყისშივე) იუწყებოდა:

„თბილისი 1881 წელი

„ა რ წ რ უ ნ ი ს თ ე ა ტ რ შ ი

29 მარტს, 2 და 5 აპრილს

ა კ . წ ე რ ე თ ე ლ ი

წაიკითხავს სამს საზოგადო ლექციას ვეფხისტყაოსნის შესახებ.

პ რ ო გ რ ა მ ა

I

შ ე ს ა ვ ა ლ ი

- ა) საქართველოს მოუხსენებლობა საქვეყნო ისტორიაში.
- ბ) საქართველოს ბედის შედარება პრომეთეოსის ბედთან.
- გ) ქართველთა ენა, იმის სიმდიდრე და ქართულში შემოსული უცხო ენების სიტყვები.
- დ) ჩვენი უმეცრება საქართველოს ტომთა შესახებ.

II

ხ ა ს ი ა თ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ხ ა ლ ხ ი ს ა

- ა) ქართველი
- ბ) იმერელი
- გ) გურული
- დ) მეგრელი და
- ე) მთიული.

ე ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

კ ა ო ც ე ბ ი :

- ა) ტარიელი
- ბ) ავთანდილი და
- გ) ფრიდონი
- დ) ამათი განსხვავება ხასიათებით.

ქ ა ლ ე ბ ი :

- ა) ნესტან-დარეჯანი
- გ) თინათინ და
- კ) ფატმან-ხათუნ.

ი დ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს ა ს ა ქ ა რ ა ვ ე ლ ო ს ბ ე დ ის წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ე ვ ე ლ ე ბ ა შ ი .

ბ ი ლ ე თ ე ბ ი ი ყ ი ღ ე ბ ა ა რ წ რ უ ნ ი ს თ ე ა ტ რ ი ს კ ა ს ს ა შ ი .
დასაწყისი ცხრის ნახევარზედ“.

შემდეგ განცხადებებში, იმის მიხედვით, თუ ლექციაში რომელ დღეს პროგრამის რომელ მონაკვეთზე იყო საუბარი, განცხადების ტექსტი მოკლდებოდა. მაგალითად, 28 მარტს № 66 (გვ. 1, სვეტი — 1) ლექციის თემა პროგრამის შ ე ს ა ვ ა ლ ი ა (მეორდება შინაარსი). გაზეთის № 68 (31 მარტი) იუწყება მეორე ლექციის შესახებ — „ე ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს კ ა ო ც ე ბ ი“. იგივე განმეორებულაა გაზეთის 1 აპრილის № 69-სა და 2 აპრილის № 70-ში. გაზეთისავე 4 აპრილის № 72-ის მიხედვით კი ლექციის თემაა „ე ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ქ ა ლ ე ბ ი“, ეს მეორდება 5 აპრილის № 73 გაზეთშიც.

აკაკის ლექციებს მისწყდომია ხალხი და ამიტომ იყო, რომ ისინი მეორდებოდნენ. მაგრამ ზოგიერთს ყველაფერა სწორად ვერ გაუგია. მაგალითად, იმავე „დროების“ 1881 წ. 1 აპრილის № 69-ში დაბეჭდილა ა. მოჩხუბარიძის (ფსევდონიმი) ვრცელა (3 სვეტზე მეტი) წერილი: „ლექციები ქარაუულს ენაზედ“ (გვ. 2 — 3). კორესპონდენტი გადმოსცემს მოსმენილ ლექციის შინაარსს.

აკაკი მეორე დღესვე აქვეყნებს „წერილს რედაქტორთან“. მოჩხუბარიძის უწოდებს მ ა ჩ ხ უ ბ ა რ ი ძ ე ს და წერს: „ბ-ნი მაჩხუბარიძის სტატია, ჩემი ლექციების შესახებ, თავიდან ბოლომდე ცილისწამება არის“ (გაზ. № 70, 2 აპრილი).

გაზ. „დროების“ 1884 წ. ოქტომბრის № 221 (გვ. 1) იუწყებოდა, რომ ილია ჭავჭავაძე ამზადებს ლექციას „ვეფხისტყაოსანზე“, იგი თითქმის მზადაა.

ალბათ, ეს ის წერილია, რომელიც აკაკი წერეთლის ლექციის გამო გამოქვეყნდა გვიან.

*

მართალია, აკაკის ზოგიერთი შეხედულება რუსთაველზე არ გამართლდა (მაგ., ტიპების კუთხურობა, შავთელისა და ჩახრუხადისაც რუსთაველობა, რუსთაველის თამარის დროინდელობაში ერთგან დაეჭვება...), მაგრამ მას მაინც საყურადღებო დამსახურება მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ დროის შესაფერისად შესწავლის, პოპულარიზაციისა და სათანადო ორგანიზაციულ საქმეში, მაგ., პოემის 1888 წ. გამოცემაში (6).

აკაკის სპეციალური — ფილოლოგიური განათლება აქონდა მიღებული და ეს ვლინდება მის რუსთაველოლოგიურ აზრებშიც. აკაკი წერეთელი იყო თავისი დროის უდიდესი პატრიოტთაგანი (ი. ჭავჭავაძესთან) და მწერლებს შორის საუკეთესო რუსთაველოლოგი; მან უწოდა საქართველოს:

„ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო“

და რუსთაველზე თქვა:

„შენ ნიშნად უკვდავებისა
ერს მოვლენიხარ განგებით“...

სწორედ აკაკიმ უწოდა შოთა რუსთაველს სულმნათი.

1. ა. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1950 (და ამავე გამოცემის ზემოდასახელებული სხვა ტომები). 2. ლ. ასათიანი. ცხოვრება ა. წერეთლისა, თბ., 1953; 3. პ. ინგოროყვა. თხზულებათა კრებული, I, 1963; 4. ა. წერეთლის ე. წ. საკანდიდატო თხზულება გამოავლინეს ლენინგრადში და გამოაქვეყნეს ალ. ლონტმა და ან. აბრამიშვილმა. — „მნათობი“, 1956, № 10; შესულია ა. წერეთლის XV ტომში. 5. ლ. მენაბდე. „ვეფხისტყაოსანის“ და საქართველოს ეროვნულ-გამანათიფლებელი მოძრაობის მოღვაწენი (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1967. 6. ი. მეგრელიძე, ა. წერეთელი რუსთაველის შესახებ. — უერნ. „მნათობი“, 1966 № 7, გვ. 136—138, გაზ. «Заря Востока», 1966 № 217 (12761), გვ. 3. 7. დიმიტრი ჭანდიაძე, რუსთაველი და სახიობა, თბ., 1967.

იაკობ გოგებაშვილი

ილა ჭეჭეჭეძისა და აკაკი წერეთლის თანამებრძოლა, უდიდესი ქართველ პედაგოგი, საბავშვო მწერალი, ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი (1840 — 1912) რუსთაველას სახელას წარჩინებული პოპულარიზატორია.

ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები, საბავშვო მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები გვარწმუნებენ, რომ მათი ავტორი თავისი დროის ლატერატურათმცოდნეობის სიმალღებე იდგა, იცნობდა ამ მწერლობის ძველსა და ახალ ძეგლებს, მათ ავტორებსა და საქართველოს ისტორიას. საყურადღებოა მისი გამოთქმა: ჩვენი ხალხი ჩვენმა ლატერატურამ „კულტურული ერების სიმალღემდე“ აიყვანაო.

ამიტომ ქართველ მწერლებს ი. გოგებაშვილი დიდ ადგილს უთმობს თავის სახელმძღვანელოებში, ს. ხუცაშვილმა სპეციალური წერილიც კი გამოაქვეყნა: „მხატვრული ლატერატურა „ბუნების კარში“.

ეს უბაღლო პედაგოგი „ვეფხისტყაოსნის“ ღრმა მცოდნე იყო. იმ მიზნით, რომ ჩვენი მგონი და მისი ქმნილება მოსწავლეთათვის გაეცნო და შეეფარებინა, მან სათანადო ნარკვევი დაწერა, სასკოლო სახელმძღვანელოსა და საერთოდ საკითხავ წიგნ „ბუნების კარში“ შეიტანა, მის მიერვე შედგენილ რამე სახელმძღვანელოებსა და წიგნებშიც არა ერთხელ გამოიყენა რუსთაველას აფორიზმები.

„ბუნების კარის“ — მესამე გამოცემაში (თბ., 1876) შემდგენელმა შეიტანა თავები „ვეფხისტყაოსნიდან“: „როსტევიანის ამბავი“, მისი „სანადიროდ წასვლა“, „წყლის პარს უცხო მოყმის პოვნა“ და სხვა.

ი. გოგებაშვილი რუსთაველას ბოჰრათფასა და შემოქმედების მნიშვნელობაზეც ლაპარაკობს. სახელდობრ, იმავე „ბუნების კარის“ მეხუ-

თე გამოცემაში (თბ., 1885) ათავსებს შენიშვნებს: „ორიოდე სიტყვა მეხუთე გამოცემის შესახებ.“ მასში ვკითხულობთ: ამ გამოცემაში „ცოტათი შევიამოკლეთ პირველი განყოფილება (ბუნებისმეტყველება), ჩავურთეთ ახალი სურათები, ლექსები, ქრესტომატია გავადიდეთ და წიგნი შევეავსეთ ახალი—ისტორიული განყოფილებით, რომელშიაც მოვაქციეთ მონოგრაფიები საქართველოს ისტორიის უმთავრესი პირებისა“.

ხსენებულ ისტორიულ განყოფილებაში პირველადაა შეტანილი „მოთხრობები საქართველოს ისტორიიდან“ და „შოთა რუსთაველი“ (1, 679—682).

ი. გოგებაშვილი „ბუნების კარში“ ჩამოთვლის საქართველოს კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პირებს და შოთა რუსთაველზე წერს: „იგია წარმომადგენელი და გამომხატველი ქართველთა ერის გონების ძალისა, შემოქმედებისა, გენიოსობისა“. იაკობი აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსანს“ შეუღარებელი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩვენს ლიტერატურაში“, განვლო საუკუნეებმა, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ დღემდის „შეადგენს უძვირფასესსა და უკეთეს საუნჯეს ქართველს გონებისა და გულისათვის. ამგვარი დაუმკნარი მნიშვნელობა ყოველთვის ყოფილა მხოლოდ გენიოსის ხვედრი და რუსთაველიც ყველგან აღიარებულია გენიოსად“.

ი. გოგებაშვილის თქმით, ჩვენი პოეტი დაბადებულა მესხეთის რუსთავეში და ამიტომ ეწოდა მას რუსთაველი. იგი ადრე დაობლებულა, აღუზრდია მწიგნობარ ბიძას, უსწავლებია ტბეთისა და იყალთოს სასწავლებელში, გაუგზავნიათ ათინაში, „სადაც შეუსწავლია: ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, პოეზია, მკვერ-მეტყველება, ვარსკვლავთ-მრიცხველობა, შეუთვისებია ბერძნული და ლათინური ენები“; ის სამშობლოში დაბრუნებულა „თამარის შუა მეფობაში“; მეფეს შოთა დაუნიშნავს მოლარეთ-უხუცესად, ეს თანამდებობა დიდი იყო, მაგრამ „სრულიად არ შეუჩყვედა პოეტს მყუდრო ცხოვრებასა და მწერლობაში ხელს არ შეუშლიდა“.

რუსთაველმა დაწერა პოემა, რომელშიც გამოხატა „თამარი თავისი მშვენიერებით, სათნოებით და სიბრძნით, საქართველოს წარჩინებულნი პირნი და აგრეთვე ღირსებანი და თვისებანი ქართველთა ერისა. რადგანაც თანამედროვე პირების პირდაპირ დასახელება მოუხერხებელი იყო, ამიტომ პოემას მისცა არაკის ფორმა, მოქმედება გადაიტანა არაბეთში და სხვა უცხო ქვეყნებში, მოქმედნი პირნიც“ ამავე ქვეყნებიდან

დასახა. ტარიელს ვეფხის ტყავი აცვია და ამიტომ ავტორმა პოემას „ვეფხისტყაოსანი“ უწოდა.

აქვე ი. გოგებაშვილი რუსთაველის ბიოგრაფიას ამდიდრებს ხალხური ვადმოცემებითაც; კერძოდ იყენებს იმ თქმულებას, რომლითაც „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხულ იქნა თამარ მეფის მიერ გამართულ სპეციალურ ნადიმზე, „პოემა ყველამ ფრიად საუცხოვო ნაწარმოებად ჩათვალა“. თამარმა წაიძრო ხელიდან ძვირფასი ბეჭედი და უბოძა ავტორს ნიშნად მადლობისა და წყალობისა; მისმა მეუღლემ დაეითმა მოიხსნა ხმალი და თავის ხელით შემოარტყა (პოეტს), დამსწრე საზოგადოებამ (მასვე) საჩუქრად მიართვა ძვირფასს ქვებში ჩასმული კალამი...

საყურადღებოა ი. გოგებაშვილის ეს თქმაც: „მაღე მოიფინა ქება რუსთაველისა და იმისის „ვეფხის-ტყაოსნისა“. საუბრისა და ბაასის დროს, დასამტკიცებლად თავისის აზრისა, ქართველებმა იწყეს მოყვანა „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყვებისა... ამის გამო ბევრი ნათქვამი რუსთაველისა მშვენიერ ანდაზად გადაიქცა“.

პოემის დიდებასა და ხალხში გავრცელებას იმანაც შეუწყო ხელი, — ამბობს ი. გოგებაშვილი, — რომ „ისტორიკოსის ბარათაშვილის გამოკვლევით, რუსთაველი იყო უმშვენიერესი ვაჟაკი, ფრიად ზრდილი, დარბაისელი, საგვე ჰკუთნა და მიმტაცებლობით, და ამასთან ისეთი სწავლული, რომ ტოლი არა ჰყავდა მთელს სამეფოში“.

„ვეფხის-ტყაოსანი“, — ამბობს ი. გოგებაშვილი, — „ამტკიცებს, რომ რუსთაველი იყო არა მარტო უნიჭიერესი პოეტი, არამედ ბრძენი, რომელიც აზროვნებით ბევრად წინ უსწრებდა თავის დროსა“ (შდრ. ქვემოთ — ს. იორდანიშვილი).

ყოველივე ამისა და მსგავსთა შემდეგ, ი. გოგებაშვილი წარმოადგენს რუსთაველის რამდენიმე აფორიზმს განმარტებებით.

იმავე „ბუნების კარში“ შემდგენელმა დაბეჭდა ხალხურად ცნობილი „ლ ე ქ ს ი ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ს ა“ (ავთანდილ გადინადირა...), რითაც მან დიდად შეუწყო ხელი ამ ლექსისა და „ვეფხისტყაოსნის“ ხალხში კიდევ უფრო გავრცელებას.

თუ გავიხსენებთ, რომ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე იზრდება ქართველი ახალგაზრდების თაობები, 1863—1925 წლებში, თითოეული ამ სახელმძღვანელოთაგანი ათეულჯერ გამოცემულა, კერძოდ „დედაენა“ 1925 წლამდე 45-ჯერ და „ბუნების კარი“ კი 1918 წლამდე 27-ჯერ გამოიცა, გასაგები იქნება, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანი იყო მათში რომელიმე პოეტის შესახებ ცნობების შეტანა.

როგორც ზემოთაც ითქვა, ი. გოგებაშვილი „ბუნების კარის“ გარდაც, წიგნებსა და წერილებშიც ლაპარაკობს რუსთაველზე. ეროვნულსა და მსოფლიო ლიტერატურის დიდებაზე, როგორც ქართული სინამდვილის ანარეკლზე, რომ ამ პოემის გმირები ბუნებით არიან ქართველები (მაგ., მისი „ბურჯი ეროვნებისა“, მისივე თხზულებანი II, III და სხვ.).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ი. გოგებაშვილი არაეის არ ზოგადად რუსთაველის დიდების დასაცავად. ის ქართველთ სიამაყედ თვლიდა ნიკო მარის ნიქს, ეს მეცნიერი ჩვენი გლეხი ქალის შვილია, იგი იმდენად ნიჭიერია, რომ მას „ზოგიერთი რუსის სწავლული აღმომავალ ვარსკვლავს ეძახის“, მაგრამ როდესაც ნ. მარმა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსულობაზე დაძრა სიტყვა, ი. გოგებაშვილმა არც ის არ დაინდო და გააკრიტიკა. ნ. მარს აქ მისი ახალგაზრდა მოწაფე ივ. ჯავახიშვილი გამოესარჩლა; ჩვენმა პედაგოგმა არც ის დაზოგა. მანვე გააკრიტიკა ქართული კულტურის ნიპალასტი ნ. ჯაბადარი.

ი. გოგებაშვილი ამბობდა, რომ აღმოსავლეთისა და კერძოდ სპარსული ლიტერატურის დიდი მცოდნე გულაკი, გერმანელი მეცნიერი სუტნერი და სხვები ამტკიცებენ: რუსთაველს აზრები ღირსია მსოფლიოს მოეფინოსო და შინაურება კი ვერ აფასებენ ჩვენს პოეტსაო.

პროფ. გ. თავზაშვილმა უკვე აღნიშნა, რომ ხსენებული კრიტიკის მიზეზი ზოგიერთი გაუგებრობაც იყო (4), მაგრამ ჩვენ დავძენთ, რომ მას მაინც ჰქონდა მნიშვნელობა, როგორც ფხიზელ აზრს და ნ. მარმაც გაითვალისწინა ის თავის შემდეგ მუშაობაში.

ი. გოგებაშვილი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიისა.

ი. გოგებაშვილს აწუხებდა ის გარემოება, რომ რუსთაველის პოემის თარგმანები არ არსებობდა და იგი ყოველმხრივ უწყობდა ხელს მასთან დაახლოებულ გერმანელ არტურ ლაისტს, ეს პოემა გერმანულ ენაზე ეთარგმნა.

ი. გოგებაშვილმა დაწერა წიგნი „ბურჯი ეროვნებისა“ (II შეესებულნი გამოცემა — 1903). ავტორი თვით იყო ჩვენი განათლების საქმის ბურჯი, იცავდა ჩვენი ეროვნული სიდიადის ბურჯს — შოთა რუსთაველს და მის სახელს დიდების გვირგვინით ამკობდა.

1. ი. გოგებაშვილი. ბუნების კარი. თხზულებანი, ტ. 6. ვ. ქაჯაიას რედაქციით, თბ., 1958, გვ. 221, 679—683 (შდრ. მისივე, ტ. II, 1940, გვ. 389, შნშ. 1). 2. ს. ი. ბრ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. იაკობ გოგებაშვილი და „ვეფხისტყაოსანი“.

— ნარკვევები ქართულ ლატერატურას ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 128—133.
2. ივ. ჭავჭავაძის შვილი ი. მამულიშვილობა და მეცნიერება, თბ., 1904. 4. გ.
თავის შვილი ი. გოგებაშვილი, თბ., 1952; მისივე, Яков Гогобашвили,
თბ., 1957; დ. ლორთქიფანიძე. დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი.
თბ., 1960. ი. მეგრელიძე. ნ. შარი და ქართველი პედაგოგები. — უერს. „სკო-
ლა და ცხოვრება“, 1965, № 3, გვ. 78—83; მისივე, ი. გოგებაშვილი და ახალი
ქართული სალტერატურო ქართული ენა, ცხინვალი, 1932, ან „სტალინის პედი ნს-
ტიტუტის შრომები“, ტ. I, 1952, გვ. 53—120. 5. ლ. მენაბდე. „ვეფხისტყაო-
სანი“ და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი (მე-
19 საუკუნე. მეორე ნახევარი), თბ., 1967; ი. მეგრელიძე. ი. გოგებაშვილი რუსთა-
ველის შესახებ. — „მნათობი“, 1966 № 7, გვ. 138—139; „Заря Востока“ 1966,
№ 220 (12761), გვ. 3.

ნიკო ნიკოლაძე

ცნობილი პუბლიცისტი, პროგრესულად მოაზროვნე, ეროვნული მოღვაწე ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძე (1843—1928) დაინტერესებული იყო ლიტერატურის, კერძოდ რუსთაველის აზროვნებისა და „ვეფხისტყაოსნის“, საკითხებითაც. „ვეფხისტყაოსანს“ იგი განიხილავდა ქართულ ეროვნულ და მსოფლიო მნიშვნელობის ქმნილებად.

ცნობილია, ივანე ჯავახიშვილი რომ ნარ-დონის ფსევდონიმით «Северный Вестник»-ში ქართული კულტურის შეურაცხმყოფელი წერილები გამოაქვეყნა, სათაურით «Письма о Грузии», ილია ჭავჭავაძის შემდეგ მას ყველაზე გამანადგურებელი პასუხი ნ. ნიკოლაძემ გასცა გაზ. «Новое сѡозрѣние»-ში (1889). საყურადღებოა, რომ ნ. ნიკოლაძე ამხელს მოწინააღმდეგის უვცობას საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურულ საკითხებში. თვითონ კი წარმოგვიდგება, როგორც ისტორიკოსი, მაღალი ლიტერატურული გემოვნების მკვლევარი, დიდი მოაზროვნე და მახვილი პუბლიცისტი.

როცა ი. ჯავახიშვილი წერდა, საქართველოს კულტურა სპარსულის კულტურის გავლენით განვითარდაო, ნ. ნიკოლაძე პასუხობდა: მაშინ, რატომ ებრძოდა სასიკვდილოდ ქართველთა თაობები იმ ხალხს, რომლის თითქოს-და, კულტურით სულდგმულობდა, თავისი საკუთარი „მე“-ს გარეშე განა შეეძლო საქართველოს ასე ხანგრძლივ ეარსება?!.. დაგვეთანხმეთ, რომ არ შეეძლო, «сами исторические факты уже безусловно бесспорные, вопият против авторской мысли».

ნ. ნიკოლაძე წერილში ასე მსჯელობს: „არა აქვს არავითარი მნიშვნელობა იმას, თუ საიდან აიღო შოთამ სიუჟეტი“... მთავარია ის, რომ, თუ „ვეფხისტყაოსანი“ „ეკვსი საუკუნის განმავლობაში საოცნებო წიგნი იყო საქართველოს ყველა კუთხისათვის, то книга становится

документом для суждения о народе, ее присвоившем и ею проникшемся».

სწორედ ამ სიტყვას, ამ დოკუმენტს, — წერს ვუკ. ბერიძე, — ეკვეთა ილია: ნუთუ „ვეფხისტყაოსანი“ მარტო დოკუმენტია, მარტო მშრალი პროტოკოლია და სხვა არა რაო“ (3).

ნ. ნიკოლაძემ ჯაბადარს უპასუხა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მან უარყო ნასესხობის თეორია. „ფაუსტის“, „რომეო და ჯულიეტას“, „ვენეციელი ვაჟის“, „პამლეტის“, „მეფე ლირისა“ და სხვა მაგალითებზე, ნ. ნიკოლაძე საკითხს განიხილავს „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის მდიდარი მასალის“ მოშველიებით. აქ ავტორი გვაოცებს თავისი ერუდიციით მხატვრული ლიტერატურის დარგშიც (1).

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მთავარი იდეის — მიჯნურობის შესახებ ნ. ნიკოლაძე ასე კონკრეტულად მსჯელობს: ნარ-დონი ბევრს ლაპარაკობს ამის სპარსულიდან ნასესხობაზეო, და ნ. ნიკოლაძე სვამს მართებულ საკითხს, სად შეიძლებოდა მიჯნურობის ასეთი კულტი შექმნილიყო, სპარსეთში, — სადაც პარამხანები არსებობდა და არსებობს, სადაც ქალს არაადამიანურად ეპყრობოდნენ, თუ საქართველოში, «Неужто Руставели, живя в стране, поклонявшейся св. Нине и возвеличенной Тамарсю, не вокруг себя, а в гаремной Персии должен был искать идеалов женского культа?»

ამგვარად, ნ. ნიკოლაძე ქალის კულტს პოემისა რეალურ-ისტორიულ საფუძვლებს უძებნის თვით საქართველოში.

ნ. ნიკოლაძე, როგორც სხვა, ისე რუსთაველოლოგიურ ნაშრომებშიც უღარესად თანმიმდევრული, ლოგიკურია; იგი მხოლოდ ზემოაღნიშნულის შემდეგ განიხილავს „ვეფხისტყაოსანს“, როგორც „მხატვრული აზროვნების ფაქტს“, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ერთ უმესანინშნავეს მხატვრულ ქმნილებას და თვით რუსთაველს აღიარებს გენიოს პოეტად, თავისი ეპოქის მსოფლიო მასშტაბის მოაზროვნედ. იგივე ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ყოფასა და ქართულ ფოლკლორთან კავშირის საკითხს.

ნ. ნიკოლაძე მართალია, როდესაც რუსთაველის აზროვნების, ესთეტიკისა და მხატვრული სტილის განხილვას ეპოქის შესაფერისად მოითხოვს; აქ იგი ეკამათება ილია ჭავჭავაძეს, რომ რუსთაველის დებულებების გათანაბრება არ შეიძლება „მესამოციანელთა სოციალურ იდეებთან“. ნ. ნიკოლაძის მსჯელობებში რუსთაველის შესახებ „საქმე ვგაქვს მწყობრს კრიტიკულ მოსაზრებათა სისტემასთან, რომელიც მა-

დალ თეორიულ დონეზე დგას“. იგი ქალის კულტს, რუსთაველის ჰუმანიზმისა და სხვა საკითხების ქართულ კონკრეტულ სინამდვილით ხსნის, სწორად აღნიშნავს, რომ რუსთაველის ენა ბრწყინვალეა, თვით პოემამ უდიდესი როლი ითამაშა „ქართველი ხალხის ფართო ფენების ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაში“, მართებულად იგებს პოემის პოპულარობის საკითხს. ნ. ნიკოლაძის სათანადო შეხედულებებს „მჭიდრო კავშირი აქვს რუსთაველოლოგიურ პრობლემატიკის იმ პროგრესულდემოკრატიულ გაგებასთან, რომელიც ქართველი მესამოციანელების კრიტიკულ ნააზრევს ახასიათებს“ (2).

ნ. ნიკოლაძის აზრებს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ საკითხზე დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა, ავტორმა მოიპოვა უფლება, რომ იგი რუსთაველოლოგიის ისტორიაში იხსენიებოდეს.

1. Н. Николадзе. Византийские споры.—«Новое обозрение», 1889 г. 2 номер бері, № 2022, გვ. 1—2; მისივე, На праздники, იქვე, 12 номер бері, № 2048, გვ. 1—3 და სხვა. 2. გ. აბზიანიძე. რუსთაველოლოგიური პრობლემატიკა ქართველ მესამოციანელთა ნააზრევში. 1. ნიკო ნიკოლაძე ვეფხისტყაოსნის შესახებ. — კრებული „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XI, თბ., 1958, გვ. 331—340; 3. ვუჯ. ბერიძე. რუსთაველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961, გვ. 185. 4. ლ. მენაბდის ციტ. წიგნი, გვ. 114—138.

ვაჟა-ფშაველა

ჩენი პოეზიის დიდება, პუბლიცისტი, ეთნოგრაფი და მოქალაქეობრივი შეგნებით უპირველესთაგანი ვაჟა-ფშაველა (იგივე—ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი, 1861—1915) — წერს, რომ ვიზრდებოდი ქართულ წიგნებზე, „ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“ და „რუსულანიანი“ ჯერ კიდევ 8 წლისას გადამიკითხავს არაერთხელ, მუდამ საგმირო ამბები მიტაცებდაო.

რუსთაველის საკითხებს ვაჟა-ფშაველამ უძღვნა სპეციალური ნაკვეთები: „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (ორიოდე სიტყვა პასუხად ბნ ა. ხახანაშვილს)“ (1890), „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“ (ორ ნაკვეთად; 1911), რომლის ნაწილსაც წარმოადგენს იმავე ავტორის წერილი „ჩემი პოემების შესახებ“, „მცირე რამე კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ (1903), და ნაწილობრივ „კრიტიკა ბ. იპოლიტე ვართაგავას“ (1914).

ამათ გარდა, ვაჟა-ფშაველა სხვა ნაწერებშიც ახსენებს რუსთაველს, კერძოდ ძალიან ხშირად იყენებს რუსთაველის აფორიზმებს; ალ. ბარამიძის დაკვირვებით, ეს აფორიზმები ვაჟამ ზეპირად იცის და წიგნში არ იხედება; ამიტომ მათში ზოგიერთი სიტყვის ფორმის ცვლებების შემთხვევასაც ვამჩნევთ.

ვაჟა იცავს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის აზრს, აქ იგი ეწინააღმდეგება ნ. მარს და მის თანამოაზრეებს; აღნიშნავს, სპარსეთში რომ ისეთი არაკი (სიუჟეტი) არსებულობდა, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ აქვს, მაშინ „ამისთანა შინაარსიანს არაკს გამლექსავი, დამწერი, თვით სპარსეთშიაც ბევრი აღმოუჩნდებოდა“ (2 და 3).

მეორეს მხრივ, ვაჟა-ფშაველა არ იზიარებს ალ. ხახანაშვილის მტკიცებას „ვეფხისტყაოსნის“ ხალხური თქმულებებისა და ლექსებიდან

წარმოშობის თაობაზე; უკანასკნელს ის სიყალბეს უწოდებს: „ვეფხისტყაოსანი“, — ამბობს ვაჟა, — „წინათ ყოფილა გავრცელებული ხალხში, ხალხს შეჰყვარება პოემა“ და რაც დავაწყება, თავისი სიტყვებით შეუესია, — „ხალხს ეს ზნე სჭირს“, აქედან გაჩნდა პოემის ხალხური ვერსიები (1890).

ვაჟას მოსაზრებით, ტყუილია ექვები, რუსთაველას დადებული პოემა „მარტო ერთის კაცის ტვინისა და გულის ნაყოფი, როგორ უნდა იყოს...“

თავის მხრე ვაჟა-ფშაველა ამტკიცებს: როგორაც დადებული არ უნდა იყოს „ზღაპარი, თუ მან არ გაიარა პოეტის ფანტაზიის და გონებას მანქანაში, თუ მას პოეტმა არ ჩაჰბერა უკვდავი სულა,... იგი ზღაპარი, თუ ლეგენდა, არ შეუქანებლობდა საკუთარ სულსა და გულსა, არაფერი გამოვა, — თავის დღეში „ვეფხისტყაოსნისათნა“ თხზულება არ დაიწერება“ (1).

ღიმილი ვაჟა ეხება პოემის კომპოზიციის საკითხსაც: — შეუქანებობას პოემის წინასიტყვაობასა და თვით პოემას შორის „ჩვენ ვერაფერს ვხედავთ, როგორც ზოგიერთები ხედავენ. მთლიანად კლასიკური ფორმა დაცული წინასიტყვაობაში“, და ამ საფუძველზეა გაშლილი ტარაელის ამბავი.

მისივე მტკიცებით, პოემა უეჭველად თამარას დროსაა დაწერილი, ხოლო სტრიქონი:

„ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი“,

სხვისაა ან თამარას საკვდილას შემდეგაა შეტანილი პოემაში თვით რუსთაველის მიერ, რადგან ის ამას თამარ მეფის სიტყვებში ვერ იტყოდო.

ვაჟამ დააყენა საკითხი პოემის ტექსტის მთლიანობისაც, იგი ამბობდა: უკეთესია „ჩვენმა მკვლევარებმა პოემის განხილვა პოეტებს მიანდონ, თორემ ერთმა მათგანმა წინასიტყვაობის 32 სტროფიდან 29 ყალბად აღიარაო. ასახელებს სტროფს: „მიჯნური შმაგსა მიქვიან...“ და ასკვნის: „განა ჰკვამყოფელი ადამიანი ამ ტაეპს ან შეუსაბამოდ იცნობს და ან არ იფიქრებდა, რუსთაველს გარდა, ასე ლამაზად, ასე მკვეთრად სხვა ვერაფერს იტყოდა...“ „ჩვენს მკვლევარებს რომ შეეძლოთ პოეტური ნაწარმოების ღირსეულად დაფასება, განა ასე გაკადნიერდებოდნენ და რუსთაველს ინტერპოლიატორობასა ჰკადრებდნენ“ (1911).

მეორეს მხრივ, თვით ვაჟაც ამჩნევს, რომ პოემის ტექსტში გადაშვრთა ხელაღ ურევი...

ვაჟა-ფშაველამ სწორად დააყენა რუსთაველის დიდი ქართველობის საკითხი. „ამისთანა თხზულებას, როგორც „ვეფხისტყაოსანი“, —ლაპარაკობს იგი, — ვერ დასწერდა გადაგვარებული, ეროვნულ, პატრიოტულ გრძნობას მოკლებული პოეტი, რადგან დიდებული ნაწარმოების ავტორნი მსოფლიო გენიოსები, დიდი პატრიოტები იყვნენ“.

ვაჟას მტყაყებთ, რუსთაველი გვიხატავს თავის „ეპოქას, ოქროს საუკუნეს, რომელაც იალბუზივით ქედმოღერებული სდგას მთელს საქართველოს ისტორიაში“, პასუხობს იმ საუკუნის უმთავრეს კითხვაზე, „არავითარი ეჭვი არ გვქონდეს იმაში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არაკი ნამდვილი ამბავია, მომხდარა საქართველოში, ტარიელა, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი და სხვა და სხვა ისტორიული პირები არიან გადასხვაფერებულის სახით. მეტიც, — შოთას „ტარიელად თავისი თავი ჰყავს წარმოდგენილი“ ან კიდევ მას „თავის მდგომარეობას ამსგავსებს“. აქ იგი იზიარებს დ. ჩუბინაშვილის კონცეფციას, უკიდურესი ანალოგიების თეორიას მოუწონებს ს. ქვარიანს (1903), თანაც ისევე შენიშნავს პოემის შექმნის დროს საკითხზე: — „დიდებულ ეპოქებს მაინც ზნე და ჩვეულება სჭირთ გენიოსების დაბადებისა“, მაგრამ „დიდებულ ეპოქას ადამიანები ჰქმნიან“, „გმირობისა და გატაცებული სიყვარულის მაგალათები მის [რუსთაველს] თვალწინ ხდებოდა და თამარისა და მის ტარიელს — დემნას ამბავიც ხომ საკმარისია პოემის საგნად, როგორც ეს დაგვანახვა და დაგვიმტკიცა შოთა რუსთაველმა“.

ჩვენი მთის შვილი აქაც ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და მათ თანამებრძოლთა მსგავსად, იცავს ქართულ ეროვნულ პრესტიჟს, — მისი სიტყვებით: „შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“.

ღირსეული მემკვიდრე დიდი და სწორი წარმოდგენის იყო ბუმბერაზ წინაპარზე.

1. ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1961—ბიოგრაფიისა და შემოქმედების საკითხები — ნარკვევი გ. ქ ი ბ ლ ა ძ ი - ს ა, გვ. 9—36; იმავე გამოცემის ტ. V, თბ., 1961, გვ. 98—102; 268—290; 314—315; 410—412. აგრეთვე 1964 წლის გამოცემა, ტ. IX, გვ. 114—120; 303—331; 361—362; 407—408. 2. ა ლ. ბ ა რ ა შ ი ძ ე. ვაჟა-ფშაველა—რუსთაველილოგი.—ვაჟა-ფშაველას საიუბილეო კრებული, 1861—1961, თბ., 1961, გვ. 29—39; 3. იმავე კრებულში იბ. ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე. ნიკო მარი ვაჟა-ფშაველას შესახებ, გვ. 231—243. მ ი ს ი ვ ე. ვაჟა რუსთაველის შესახებ.—„მნათობი“, 1956 № 7, გვ. 139—140. ლ. მ ე ნ ა ბ დ ის ც ი ტ- წ ი გ ნ ი, გვ. 150—177.

ევეგენი სტალინსკი

ევეგენი სტეფანეს ძე სტალინსკი გაზეთ „Кавказ“-ს რედაქტორობდა 1872—1877 წლებში. გაზეთში თანაწმრობდნენ: დ. ბერძენიშვილი, პლ. იოსელიანი, ერცოვი და სხვები (1).

ე. სტალინსკიმ პირველად 1885 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ნარკვევი „შოთა რუსთაველი — ქართველი სახალხო პოეტი“ (2, გვ. 124), რომლის გადამუშავებული ვარიანტი 1888 წელსაც გამოიცა. რუსთაველის ბიოგრაფიისა და „ვეფხისტყაოსნის“ დახასიათება-გარჩევის გარდა, სტალინსკის ნარკვევის ორივე გამოცემა „შეიცავს ვეფხისტყაოსნის პროლოგის ნაწყვეტის თარგმანს, თავისებური გარდათქმით, რომელშიაც ამოკრეფილია სხვადასხვა სტროფები“.

ე. სტალინსკიმ „ვეფხისტყაოსნის“ ის თარგმანი, გაზ. „Нс все оцозрение“-ს 1887 წ. 25 სექტემბრის ნომერშიც გამოაქვეყნა. მას გაზეთის რედაქციის მოწონებითი შენიშვნაც ახლდა (2).

ქართული პრესაც გულთბილად გამოეხმაურა ე. სტალინსკის საქმიანობას, და აღნიშნა, რომ იგი ბეჭდავს „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტებს ქართულ, რუსულ, სომხურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

ე. სტალინსკის წიგნის ხსენებულ მეორე გამოცემას აწერია: «Е. С. Сталинский. Барсова-кожа. Грузинская поэма Шота Руставели (выпуск второй). На русском, французском, немецком, грузинском и армянском языках, Тифлис, 1888. Типография Г. В. Чарквани, с портретами царицы Тамары и Руставели».

გასაგებია, რომ 124 გვერდიან წიგნში ნარკვევებთან (რუსთაველსა და მის პოეზიაზე) ერთად მოთავსებულ თარგმანთა რამდენიმე ენოვანი ტექსტი შინაარსით ვრცელი არ შეიძლება იყოს (თარგმანი რამდენიმე პირს ეკუთვნის).

რუსთველოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესო მაინც წიგნის ნარკვევია (63—89).

ე. სტალინსკი მას იწყებს სათაურით „შოთა რუსთაველი — ქართველი სახალხო პოეტი“, გადმოგვცემს თბილისში 1709 წელს ვახტანგ მეექვსის მიერ წიგნთა ბეჭდვის დაწყებას და აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწერების საშუალებით მანამდეც პოპულარული იყო, ხოლო შემდეგ ბეჭდვითი გზით კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდაო. ეხება ვახტანგ მეექვსის მიერ ამ პოემის გამოცემასა და მასზე დართულ ვახტანგისავე კომენტარების რაობას. მისმა ავტორმა მეორე უკიდურესობა გამოავლინა პოემის დაცვაში და ამან მისსა და რუსთაველის წინააღმდეგ აამოძრავა ზოგიერთი სასულიერო პირი, რასაც გამოცემის ფიზიკურად მოსპობის ცდაც მოჰყვა.

რუსთაველის ბიოგრაფიას ე. სტალინსკი ტრადიციული ცნობების მიხედვით გადმოგვცემს. ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ევროპელთათვის გაცნობის მნიშვნელობას, საინტერესო ცნობებს გეაწვდის პოემის სხვადასხვა ენებზე თარგმნის ისტორიიდან, ლაპარაკობს დ. ჩუბინაშვილის და მინგრელსკის (დღდიანც) როლზე ბარტლენსკის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თავების თარგმნაში (3), ახსიითებს რუსთაველის ეპოქის საქართველოს და განაღლებს საქმის მაშინდელ მალალ დონეს ჩვენში, ავლებს პარალელებს პოემის ეპიზოდებსა და თამარ მეფის ცხოვრებას შორის, აღნიშნავს ქართველი ქალის საპატიო მდგომარეობაზე და პოემას მხატვრული მხრივაც არჩევს, ჩერდება მისი ლექსის ზომის საკითხზეც (4).

ამ წიგნს თუ როდენ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა რუსთაველის სახელისა და „ვეფხისტყაოსნის“ ფართო მასშტაბით პოპულარიზაციისათვის, ვფიქრობ, ვასაგებია და ამაზე აღარ ვილაპარაკებთ.

გავიხსენებთ იმას, რომ ე. ს. სტალინსკიმ შეკრიბა მნიშვნელოვანი მასალები და მათი რუსული თარგმანები, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, გამოაქვეყნა სათაურით „პოეტური კავკასია მისი ლეგენდებში, სიმღერებსა და რელიგიურ რწმენებში“. ეს მან გამოაქვეყნა წიგნად «Приложение к газете «Кавказ». 1801 — 1901. Юбилейный сборник к столетию присоединения Грузии к России. Материалы собрал Е. С. Сталинский. Издание под редакцией К. Н. Бегичева, Тифлис, 1901».

უ. სტალინსკი, როდესაც ქართულ ენაზე რაიმეს აქვეყნებდა, ყველგან ლაპარაკობდა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“, საქართველოსა და ქართველებზე, მას ჩვენი კულტურის საკითხებზე წერა სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნდა. ეს მას ჩვენმა ინტელიგენციამ დაუფასა კიდევ, — როდესაც მოხუცი ე. სტალინსკი ცხოვრებას გამოესალმა, ჩვენი გაზეთები „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“ (1904 წ. 31 იანვარი) ერთდროულად იუწყებოდა: ა. წ. 28 იანვარს თბილისში გარდაიცვალა გაზ. „კავკაზას“ ყოფილი რედაქტორი ევგენი სტეფანეს ძე სტალინსკი, რომელიც 30 იანვარს კუკიაზე დაკრძალეს, და შემდეგაც მას თუ ვინმე მოიხსენიებს, ეს უმთავრესად ისევ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ხდება.

1. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904, 31 იანვარი, გვ. 4. 2. გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი . რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 104. 119—120, 130, 131. ვ. ნ. მ ა ხ ა თ ა - ძ ე . ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, თბ., 1967, 4. შდრ. გ. ქ ი ბ ლ ა - ძ ე . რუსთაველის ესთეტიკური სამყარო, თბ., 1966, გვ. 163—184; მ. დ უ დ უ ჩ ა - ვ ა . შოთა რუსთაველის ესთეტიკური ნაზრევი, თბ., 1966.

გიორგი იოსელიანი

გიორგი ნიკოლოზის ძე იოსელიანი (1847—1919) წარმოშობით წყალტუბოდან ყოფილა. მას ი. გოგებაშვილასა და ნიკო ცხვედაძის თანამებრძოლად, შესანაშნავ პედაგოგად და საზოგადო მოღვაწედ იხსენიებენ. გ. იოსელიანს თბილისის სასულაერო სასწავლებელი დაუშთავრებია 1865 წელს. იგი, ნ. ცხვედაძესთან ერთად, როგორც წარჩინებული მასწავლელე, გაუგზავნიათ მოსკოვის სასულაერო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯზე (1870), მაგრამ არასაიმედოდ ჩაუთვლათ და მოსკოვიდან თბილისის დაუბრუნებიათ 1873 წელს. აქ გ. იოსელიანს სამასწავლებლო ინსტიტუტში დაუწყია სამსახური და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აქტიურად ჩაბმულა. ბოლოს იგი ხაშურის გიმნაზიაში მასწავლებლობდა; გარდაიცვალა იქვე 1919 წელს (1,531—535).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ გ. იოსელიანს შემთხვევით არ დაუწერია ეს თუნდაც, კომპილაციური ნარკვევი, რომელიც 1875 წელს გაზეთ «Кавказ»-ის (№№ 31, 33 და 78) სამ ნომერში დაიბეჭდა. ავტორი, როგორც ამ ნარკვევიდან ჩანს, წინადაც და, როგორც სხვა ფაქტები მეტყველებენ, შემდეგაც რუსთაველით ყოფილა გატაცებული, იცნობს მაშინდელ ლიტერატურას და თვალსაზრისებს ამ პოეტზე. გ. იოსელიანის ყოფილი მოწაფე ს. მამალაძე იგონებს: გიმნაზიაში ქართულა არ ისწავლებოდა. 1883 წელს მაღალა კლასის მოწაფეებმა ვთხოვეთ გ. იოსელიანს, ჩვენთვის ქართული ენა ესწავლებინა და „ვეფხისტყაოსანი“ აეხსნა მეექვსე გაკვეთილზე ან სხვა დროს. „იმავე დღესვე გავმართეთ გაკვეთილი და შევეუდექით „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას...“ (2, გვ. 190).

გ. იოსელიანს ეკუთვნის პირველი ცდა რუსთაველის პოემის მოზრდილათვის პროზად გადაკეთებისა. მან „ვეფხისტყაოსანი“

ნ ა ა მ ბ ო ბ ი მ ო ზ რ დ ი ლ ყ მ ა წ ვ ი ლ გ ბ ი ს ა თ ვ ი ს “ მოათავსა ჯერ ჟურნალ „ჭეჭილში“ (1892 №№ 1—6) და შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოსცა (3). გამოცდილი პედაგოგის მზრუნველი ხელი და ამავე წიგნის რეცენზიაზე გაცემულ პასუხში ავტორის განათლება კარგად ჩანს (4).

გ. იოსელიანი თანამშრომლობდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში („მნათობი“, „სასოფლო გაზეთი“, „ჭეჭილი“, „კველი“, „მოამბე“, „ივერია“, „ნობათი“, „დროება“, „განახლება“ და სხვა). ერთ-ერთ მათგანში თამარის პირველ ქმარზეც გამოუქვეყნებია წერილი („მნათობი“, 1871 № 2), როგორც პედაგოგი, სახელმძღვანელოს ავტორცაა.

გ. იოსელიანი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი და მისივე გამგეობის წევრიც იყო. ამ ორგანიზაციის დავალებით მან და ილია ჭყონიამ განჯიდან თბილისში ჩამოსასვენეს ნ. ბარათაშვილის ნეშტი.

გ. იოსელიანს „ვეფხისტყაოსანზე“ არსებითი მნიშვნელობის ახალი თვალსაზრისი არ შეუქმუშავებია. იგი მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილისა და სხვათა ნაშრომების მიხედვით წერს ძირითადად კომპლაციურ ნარკვევს და აქვეყნებს რუსულ ენაზე, რასაც იმ დროს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. მას პირველს ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ მოზრდილთათვის პროზად გარდაქმნის ცდა, იგი როგორც პედაგოგი, ხელს უწყობდა რუსთაველის პოემის პოპულარიზაციას.

1. ჟურნ. „განათლება“, 1916 № 8—9. 2. კრებ. „სახალხო მასწავლებლები“, I, თბ., 1953. 3. „ვეფხისტყაოსანი“, ნაამბობი მოზრდილის ყმაწვილებისათვის გ. იოსელიანის მიერ, თბ., 1898. 4. ჟურნ. „კველი“, 1898 № 11.

არტურ სუტნერი

ჩვენში უფრო ბარონ ზუტნერის ან სუტნერას სახელით ცნობილი ავსტრიელი არტურ ფონ-გუნდაკარს სუტნერი (A. Gundaccar von Suttner; 1850—1902) და ამისი მეუღლე ავსტრიელი გრაფის იოსებ კინსკის ასულა, ცნობილი მწერალა და მშვიდობისათვის დაუღალავი მებრძოლი (რისთვისაც მან 1905 წ. ნობელის პრემია დაიმსახურა), — ბერტა ზოფია ფელიციტა კინსკი (1843—1914) 1876—1885 წლებში ცხოვრობდნენ საქართველოში (1 და 2).

ბერტა სუტნერის გარეგნობასა და დიდ განათლებას პარიზისა და პრადის არაერთი წარჩინებული პირი მოუხიბლავს. იგი ჯერ კიდევ სამოციან წლებში ყოფილა მიღებული ნაპოლეონ III კარზეც; მოსწონებია მეფე ერეკლე მეორის შვილაშვილს — ირაკლა ბაგრატიონს, სამეგრელოს მთავრის ძეს ნიკოლოზ დადიანს და სხვებს, მაგრამ ბერტას არტურ სუტნერი უსურვებია ქმრად. მამამისს — გრაფ იოსებ კინსკის მათი შეუღლება არ უსურვებია. ახალგაზრდებს ჯვარი მშობლებისაგან ფარულად დაუწერიათ და საქართველოში წამოსულან. ისინი იცნობდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ მათ სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე და ამისი ასულა სალომე (ბერტას პარიზელი მეგობარი) შეიფარებდნენ და ასეც მოხდა.

სუტნერები ხუთ წელაწადს ცხოვრობდნენ ზუგდიდში, არტური და დანის მამულების მმართველად მუშაობდა სამეგრელო-ლეჩხუმში და ხალხსაც დაახლოებია, გაუცნია ჩვენი ზნე-ჩვეულება, მეგრული და ქართულაც სალაპარაკოდ შეუსწავლა. იმავე წლებში ბერტა ფრანგულს, გერმანულსა და მუსიკას ასწავლავდა წარჩინებულთა შვილებს და ლატერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა.

1882 წელს ეკატერინე დადიანის გარდაცვალების შემდეგ, სუტნერები თბილისში გადმოვიდნენ და აქვე მსახურობდნენ. „ვეფხისტყაოს-

ნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ ი. მეუნარგიას რუსთაველის პოემის ფრანგულად თარგმნა დაავალა. თარგმანის დასახვეწად მეუნარგიამ სუტნერები და თბილისშივე მცხოვრები ე. მურიე გამოიყენა. ეს თარგმანი ზიჩისათვისაც იყო საჭირო, რათა მას ტექსტი დაესურათებინა. მეუნარგიას სუტნერები სამი თვით ცაისში წაუყვანია და, როგორც ის აქედან ნ. ნიკოლაძეს წერს, პეტერბურგში, პოემის „თარგმნას უფრო უმეტესის დაკვირვებით და სინდისით“ შედგომიან. მეუნარგია მასვე აცნობებს: „ჯერ უკანასკნელ რედაქციას ვადგენთ ფრანგულად და მერე იქვე გერმანულად ვთარგმნით წიგნსა“ (2).

თავის მხრივ სუტნერი „მემუარებში“ იუწყება, რომ მან და მისმა მეუღლე ბერტა კინსკიმ 1884 წელს ჯერ კიდევ არ იცოდნენ ქართული ენა იმდენად, რათა უშუალოდ დედნიდან ეთარგმნათ ქართული ეროვნული პოემა—„ვეფხისტყაოსანი“, რომელიც საქართველოში გლეხებმაც კი ზეპირად იცნაო. მის შინაარსს იონა მეუნარგია ფრანგულ ენაზე გვითარგმნიდა სიტყვა-სიტყვით და ჩვენ მას მხატვრულად ვმართავდით გერმანულ და ფრანგულ ენაზეო.

მართალია, ეს თარგმანები არ გამოქვეყნებულა და ხელნაწერიც აღარ ჩანს, მაგრამ რომ არსებულა, ეს ფაქტია.

თარგმანზე მუშაობის გარდა, სუტნერმა ფრანგულ ენაზე დაწერა თავის დროისათვის ძალიან სასარგებლო და რუსთველოლოგიის ისტორიკოსისათვის ახლაც საყურადღებო ნაშრომი, რომლის თარგმანებიც სათაურით „უცხოელის აზრი ვეფხისტყაოსანზე“ 1884 წელს გამოქვეყნდა გაზ. „Кавказ“-ში, ჟურნ. „ივერიასა“ და გაზ. „დროებაში“ (3, გვ. 90).

აეტორი ამბობს, რომ რუსთაველის მალალი იდელები იმდროინდელი საქართველოს ანარეკლია. ამ დიდი იდეებისა და გრძნობათა კეთილშობილების გამოხატვაში ეს ქართველი პოეტი „არ ბძავეს ჰომიროსსა და ვირგილიუსს“, მან გმირთა ბუნების გადმოცემაში იხმარა ისეთი ხერხები, რომელიც ტორკვატო ტასომ მხოლოდ 400 წლის შემდეგ გამოიყენა.

უცხოელი აეტორი იხილავს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ მხარეს, ეხება ცალკეულ ეპიზოდებსაც, ზოგ რაიმეს უწუნებს კიდევ პოეტს,—მაგ., გადაქარბებით ხმარობსო: მნათობთა ეპათეტებს, პოემაში ბევრი ცრემლიაო (4) და სხვა, მაგრამ ასკენის: „მიუღგომლობა გვიძულებს გენიოსი ვუწოდოთ რუსთაველს, რადგან შეადგინა რომანი იმ დროს, რო-

ცა ეს უნარი ეპიკურის პოეზიისა ჯერ არ არსებობდა ევროპაში“ (3, გვ. 9).

სუტნერი რუსთაველს მესამე ადგილს აკუთვნებს მსოფლიო გენიოს პოეტებს შორის.

•

1885 წელს პრადაში გარდაცვლილა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ფელდმარშალი გრაფი კინსკი. მისი ასული ბერტა და სიძე სუტნერი სამშობლოს დაუბრუნდნენ, საქართველოს სიყვარული იქაც შერჩათ. მაგ., არტურ გუნდაკარ სუტნერი ცნობდა ავსტრიელ ქართველოლოგს ჰიუგო შუხარტს დაახლოებითა და ის მას ენობრივ მასალებსაც აწვდიდა, მასვე აფასებდა არტურ ლაისტიც.

ცოლ-ქმარს წიგნები აქვთ ცალ-ცალკე გამოცემული. მაგ., ფართოდაა ცნობილი წიგნი — „Berta von Suttner. Mémoires“ — ბერტა ზუტნერის „მოგონება“ საქართველოზე (1909).

ა. სუტნერისაა რომანი „Daredjan. Mingrelisches Sittenbild“ (დარეჯანი. მეგრულ ზნე-ჩვეულებათა სურათი, დრეზდენი, 1896), „Kinder des Kaukasus“ („კავკასიის შვილები“, ორ წიგნად), რომანი „Schamyl“ („შამილი“, 1890) და სხვა. ორივე ავტორი განსაკუთრებით ქართველ ქალებს აქებს.

რუსთველოლოგიური დეაწლის გარეშეც, არტურ სუტნერი და ბერტა კინსკი დასახელებული წიგნებითაც საყურადღებონი არიან.

1. სოლ. ცაიშვილის სპეციალური წერილი — ეურნალ „მნათობში“, 1957, № 7, გვ. 157 და შემდეგი; მისივე „ლიტერატურული ნარკვევები“, თბ., 1957, გვ. 328. 2. ნ. კაკაბაძე, ნ. რუხაძე. კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში, თბ., 1963. 3. გ. იშვილი. რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712—1956 წლები, თბ., 1957, გვ. 90—91, № 220. 4. შდრ. ა. ზურაბაშვილი. შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია, თბ., 1966; მისივე, Шота Руставели и персоналогия сегодня, თბ., 1960. 5. მ. დუდუჩაია. შოთა რუსთაველის ესთეტიკური ნაზრევი, თბ., 66.

არტურ ლაისტი

საქართველოს დიდი მოსიყვარულე და მოამაგე, გერმანელი მწერალი და ჟურნალისტი არტურ ლაისტი — Arthur Leist (1852—1927) გიმნაზიის დამთავრებისა და უნივერსიტეტში იურისპრუდენციის კურსის მოსმენის შემდეგ, ცხოვრობდა კრაკოვსა და ვარშავაში. ვოლინის გუბერნიის ერთი პოლონელის ოჯახის შინაური მასწავლებელიც იყო ნ წლის განმავლობაში. აქ წიგნების საშუალებით, კერძოდ საქართველოში ნაცხოვრები გერმანელი პოეტის ფრიდრიხ ბოდენშტეტის მასალებით, გაეცნო საქართველოს, დაინტერესდა ჩვენი ხალხით, დრამატურგ დავით ერისთავის მეშვეობით დებულობდა ლიტერატურას საქართველზე, შეისწავლა ქართული ენა და 1882 წელს, ლაიპციგის ერთ-ერთ ჟურნალში ჩვენს ლიტერატურაზე დაბეჭდა წერილი „დავიწყებული ლიტერატურა“. როგორც წერს ლევან ასათიანი, — ა. ლაისტი მაშინვე იქცევს მკითხველთა ყურადღებას, ილია ჭავჭავაძისაგან დებულობს წერილს, საქართველოში გირჩევთ ჩამოსვლასაო (1884)...

არტური ორი წლის განმავლობაში აქვეყნებდა კიდევ წერილებს გერმანიაში, შემდეგ იგი ჩამოვიდა თბილისში, იყო ილიასთან საგურამოში. ლაისტი სამშობლოში დაბრუნდა და გამოაქვეყნა წიგნი „საქართველო“.

ა. ლაისტი 1885 წელს კვლავ საქართველოშია, ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნას იღრმავებს, თარგმნის ილ. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, მამია გურიელის და ბაჩანას ლექსებს. გერმანულ ენაზე აქვეყნებს კრებულს „ქართველი პოეტები“ (ლაიპციგი, 1887).

1889 წელს ა. ლაისტი საზღვარგარეთ გაემგზავრა (პოლონეთი, ავსტრია, გერმანია, იტალია); 1892 წელს იგი ისევ საქართველოში დაბრუნ-

და და აქვე დამკვიდრდა. დრეზდენში დაიბეჭდა მისი წიგნი „ქართ-ველი ხალხი“ (1904), საქართველოში ორ წიგნად გამოიცა მისივე „საქართველოს გული“ (1923, 1927). სამწუხაროდ, ამ წიგნის უკანასკნელი — 1963 წლის გამოცემა თ. ფირალიშვილის რედაქციით შეკვეცილი, ტექსტოლოგიურად გაუმართავი და შენიშვნებში ფაქტობრივი შეცდომის შემცველია.

ა. ლასტი 1927 წელს გარდაიცვალა და არა 1922 წელს, როგორც ეს უკანასკნელ გამოცემაში წერია. ა. ლასტი დიდუბის პანთეონშია დაკრძალული. საფლავის ქვაზე ყველა ის ცნობაა, რომელიც წიგნის გამოცემელს არ სტონდია (იქვეა დაკრძალული ალ. ხახანაშვილი, რომლის ქვაზედაც გარდაცვალების წელი 1912-ია, და არა დასახელებულ გამოცემაში აღნიშნული 1918, გვ. 311, და სხვა მრავალი).

•

არტურ ლასტი ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დახმარებით 1887 წელს იწყებს „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე ლექსად თარგმნას, რასაც ის სამ წელიწადს ანდომებს... შედეგი — „Der Mann im Tigerfelle von Schota Rustaveli. Aus dem georgischen übersetzt von Arthur Leist, Dresden und Leipzig; E. Piersons verlag, — გამოქვეყნდა 1889 წელს, გამოიცა 1903 და 1938 წლებშიაც. ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი, შედარებით სრული პოეტური თარგმანი მთელ დასავლეთ ევროპაში.

„ლასტის თარგმანი, — აღნიშნავს ალ. ბარამიძე, — სრული არ არის. კერძოდ მას აკლია პროლოგი და ეპილოგი. თარგმანი ვერ იცავს სიზუსტეს“ და სხვა ნაკლიც გააჩნია (4, გვ. 364).

სოლ. იორდანიშვილი შენიშნავს: პოემა ლასტის მიერ არაა თარგმნილი ერთი მეტრით, მასში თეთრი ლექსიც (იამბი) ურევია, ზოგჯერ ფრაზირებას ან სტროფის გამოტოვების ფაქტსაც ვაწყუდებით (5, გვ. 191—192).

მიუხედავად ყოველივე ამისა, დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ეს თარგმანი. მან პირველმა, ბროსეს შემდეგ, და ყველა სხვაზე (სუტნერი, კ. ლაფჩინსკი, ნ. გულაქი) უფრო ვრცლად გააცნო უცხოელებს „ვეფხისტყაოსანი“. მისი თარგმანი და წერილები საკმარისია იმისათვის, რომ ევროპელმა მკითხველმა ზოგადი წარმოდგენა იქონიოს რუსთაველსა და მის პოემაზე.

ჩვენს პოეტს ლაისტი სწორად „თვლიდა მე-12 საუკუნის უდიდეს მორალისტად, ჰუმანიზმისა და სიყვარულის მქადაგებლად“. ლაისტის ამ თარგმანშიც კი „ვეფხისტყაოსანს“ შენარჩუნებული აქვს თავისი მნიშვნელობა როგორც აღმოსავლეთის, კერძოდ საქართველოს უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ ძეგლს“ (ს. იორდანიშვილი).

„ვეფხისტყაოსნის“ კულტურულ მნიშვნელობაზე სპეციალურ წერილში ა. ლაისტი წერს: ეს პოემა „იცოცხლებს მარად, როგორც უკვდავი ძეგლი საქართველოს ცხოვრებისა, როგორც სარკე რუსთაველის დროინდელი ქართველების მსოფლმხედველობისა და ზნეობისა, როგორც კულტურულ მისწრაფებათა შთაგონების წყარო“ („საქართველოს გული“, 1963, გვ. 81).

•

არტურ ლაისტი 1892—1927 წლებში ცხოვრობდა საქართველოში. მან მნიშვნელოვანი წიგნები დაწერა საქართველოზე და პირველმა თარგმანა „ვეფხისტყაოსანი“ ლექსად, მრავალი სწორი აზრი გამოთქვა პოემა-სა და მის ავტორზე; ა. ლაისტის დამსახურებაა ისიც, რომ მან ხელი შეუწყო ქართული კულტურისა და განსაკუთრებით რუსთაველის პოპულარიზაციას დასავლეთ ევროპაში.

საქართველოს კეთილისმყოფელი არტურ ლაისტი პატივცემული იყო საქართველოში, მას მეგობრობდნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. ღვაწლის დაფასებაა, რომ არტურ ლაისტს თბილისში გადაუხადეს იუბილე 1923 წელს, გარდაიცვალა და იგი დიდუბის პანთეონში იქნა დაკრძალული.

1. ა. ლაისტი. საქართველოს გული, თ. ფირალიშვილის ბოლოსიტყვაობითა და შენიშვნებით, თბ., 1963 (ადრინდელი გამოცემა, ტ. 1, თბ., 1923; ტ. II, 1927). 2. ს. მგალობლიშვილი. მოგონებები, ლევან ასათიანის შენიშვნებით (გვ. 260—161), თბ., 1938, 3. ალ. ბარამიძე. შოთა რუსთაველი, თბ., 1966. 4. ს. იორდანიშვილი. ნაიკვევები, თბ., 1964. 5. სოლ. ხუცი-შვილი. ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, თბ., 1961, გვ. 63—64.

ალექსანდრე სარაჯიშვილი

მკვლევარი, მწერალი და კრიტიკოსი ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი (1851—1914) თავისი დროის ცნობილი საზოგადო მოღვაწეა, იგია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამფუძნებელი წევრთაგანი, ამ საზოგადოების პირველი ხაზინადარი და მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგე.

ალ. სარაჯიშვილმა დაამთავრა თბილისის გიმნაზია (1868), პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოეწყო, მაგრამ 1869 წელს სტუდენტთა გაფიცვაში მონაწილეობის გამო, აქედან გარიცხეს. შემდეგ ამ უნივერსიტეტში აღადგინეს, ჯერ ყაზანისა და ერთ დროს კიევის უნივერსიტეტშიც სწავლობდა, ბოლოს ჟენევის უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტი დაამთავრა (1876) და სოციალურ მეცნიერებათა ლიცენციატის დიპლომი მიიღო.

სამშობლოში დაბრუნებული ალ. სარაჯიშვილი, სამსახურის გარდა, ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ი. ჭავჭავაძესა და პ. უმიკაშვილთან ერთად მან „ვისრამიანი“ გამოაქვეყნა, შემდეგ კი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ჩანართებისაგან გაწმენდაზე მუშაობდა (იხ. ქვემოთ—3).

ალ. სარაჯიშვილმა 1895—1901 წლებში წერილების სახით გამოაქვეყნა მონოგრაფია — „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“, რომელიც 94 თავადაა დაყოფილი და 600-მდე ნაბეჭდ გვერდს შეიცავს (1),

ავტორი თავის ამ კვლევა-ძიებაში ემყარება პოემის ტექსტის აზრთა თანამიმდევრობას, ენობრივ სტილს, საკუთარ გემოვნებასა და პოემის მოქ-

მედ პირთა ფსიქოლოგიას (6). იგი, ერთის მხრივ, მადლიერია პოემის ტექსტის 1888 წლის გამომცემლებისა, მეორეს მხრივ, უსაყვედურებს მათ: კომისიამ მთლიანად ვერ განახორციელა თავისი მიზანი, — პოემის ტექსტი ვერ გაათავისუფლა ჩანარებისაგან, რომელიც „აზრის მიმდინარეობას უშლის ხელს“ და დატოვა „მხოლოდ იმიტომ, რომ ხელნაწერებშია“ ასეთებიო.

აღ. სარაჯიშვილმა გადააქარბა ტექსტის გაწმენდაში. მას უსაყვედურებდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გაანახევრაო (მესამედს მაინც აკლებდა), მაგრამ იგივე ერთი პირველთაგანია, რომელიც რუსთაველის ტექსტის ანალიზს აწარმოებდა და რუსთაველის თხზულების პროლოგსა და პოემას შორის ორგანული კავშირი დაინახა („მომბე“ 1895 № XI, გვ. 8).

აღ. სარაჯიშვილის ამ ნაშრომს ივ. ჯავახიშვილმა „სერიოზული და საყურადღებო გამოკვლევა“ უწოდა, მაგრამო, სწორადვე შენიშნა: „ის თვალსაჩინო ნაკლი აქვს, რომ კრიტიკა ყველა ხელნაწერზე დაფუძნებულ ტექსტს კი არა, არამედ არსებულ გამომცემას ემყარება. ამ გარემოების გამო ნაშრომს არ შეიძლება ის ღირებულება ჰქონოდა, რა ღირებულებაც მას უცილობლად ექნებოდა, კრიტიკულად აღდგენილ ხელნაწერების მიხედვით ტექსტზე რომ ყოფილიყო დამყარებული“ (2, გვ. 9).

ტექსტის საკითხთანავე დაკავშირებული და აქვე აღნიშნავეთ: აღ. სარაჯიშვილმა საფუძვლიანად განიხილა ე. წ. არტანუჯული ვარიანტი (ხელნაწერი) „ვეფხისტყაოსნისა“ და სწორად დაასკვნა, რომ ის გადაწერილია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში; საფიქრებელია, რომ ლეგენდა ვარიანტის არტანუჯულობისა პ. ლარაძის მიერაა შექმნილი („ეს ხომ სამცხეა, რუსთაველის სამშობლო“), იგი „გადაწერილია გ. თუმანიშვილის მიერ“, ეს არაა ის ძველი ხელნაწერი, რომელადაც მას ზოგიერთი თვლისო.

დაობდნენ, „ვეფხისტყაოსანი“ და მისი წინასიტყვაობა ორივე რუსთაველს ეკუთვნის, თუ არაო და ასეც ამტკიცებდნენ, რომ წინასიტყვაობა რიგ ავტორთა აზრების კრებულთაო.

აღ. სარაჯიშვილმა ერთმა პირველთაგანმა გამოთქვა აზრი და იგი თავისებურად დაასაბუთა კიდევ, რომ აღნიშნული პოემა და წინასიტყვაობა ორივე ერთი დიდი პოეტას ქმნილებაა. „ვეფხისტყაოსნის“

წინასიტყვაობა, — წერდა ალ. სარაჯიშვილი, — „ერთის პოეტის თხზულებად მიმაჩნია და არა მრავალ მწერალთა აზრების კრებულად. მას ატყუვია ერთობა, პლანი და აზრის ლოგიკური მიმდინარეობა“, თუმცა „მართალია, ეგ ერთობა დარღვეულია მრავალ ჩამატებებითა“.

ეს წინასიტყვაობაო, — ამტკიცებდა იგი, — ჰემმარიტი „პოეტური აღსარებაა, ცხადად სჩანს, რომ რუსთაველს სწაღდა ამ წინასიტყვაობით გამოეთქვა პოემის დასაბამი და დედააზრი, თვისის სულის ვითარება და მდგომარეობა პოემის შეთხზვის ყამსა, თავისი შეხედულება და ურთიერთობა პოემის გმირებთან, სწაღდა გამოეხატა თავისი იდეალი, რომელიც ყოველს პოეტს ასულდგმულებს და მის უძვირფასეს განცხს შეადგენს მიჯნურობა და პოეზია“.

ყოველივე ამას ავტორი შემდეგი დასკვნისებრი სიტყვებით ამთავრებს: „წინასიტყვაობა“ პოემაზე სხვის მიერ „მიყვრებული აპოკრიფი კი არ არის, არამედ პოემის მოუწყვეტელი ნაწილია, მისი აღსნაა და კლიტე-გასაღები; მათ შორის იგივე უხილაგი ერთობა და კავშირია, რაც მხატვრის იდეასა და მის დახატულ სურათს შორის დევს“, აქ ამ ორ ნაწილს შორის „სულიერს კავშირს და მონათესობას უღარესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ვინემც მათის ენის გრამატიკულ განსხვავებას ან მსგავსებას“ * (6).

ალ. სარაჯიშვილი შეეხო რუსთაველის გამოსახვითი ხერხების ნოვატორობის საკითხსაც. მან აღნიშნა: „წარბ-წამწამთა“ ქება შეთელეებისა და ჩახრუხაძეების ხელობაა. თავის თაყვანისცემის გამოსათქმელად რუსთაველმა სხვა ღონე იხმარა: თამარ მეფის სადიდებლად და სასარგებლოდ მან ააგო ხელთუქმნელი და უხარწნელი ძეგლი, — შექმნა „ვეფხისტყაოსანი“. დიდმა დანტემ ასის წლის შემდეგ იგივე ღონე იხმარა თავისის ბეატრიჩეს საქებრად, რომელიც მისმა სულიერმა ნათესავმა შოთამ ჰპოვა თამარის სადიდებლად“ (1 №, XI, გვ. 12).

ავტორი რუსთაველის გამოსახვითი ხერხის თავისებურებისა და ძალის დასახასიათებლად შემდეგ შედარებას მიმართავს: „რუსთაველის ქება ისევე ჰგავს ჩახრუხაძეების შესხმას, როგორც რაინდის გმირობა მიჯნურის სასახლოდ — რომლისამე ტრუბადურის სააშიყო ჰიკტიკსა. ერთი მსმენელს ლახვარსავით გულს დაესვის და მეორე „ჰგავს მშვილდსა ბედიდსა ყმაწვილთ მონადირეთა“ (იქვე).

* ურნ. „მოამბე“, 1895 № XI, გვ. 8—9; ამავე აზრს იცავდა ნ. მარო (იხ. ქვემოთ), საწინააღმდეგო აზრისა იყო დ. კარიკაშვილი (იხ. ქვემოთ).

აღ. სარაჯიშვილმა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედ პირთა შესახებაც გამოაქვეა მოსაზრებები. მაგ., ის ჩვენი პოეტის რელიგიური მრწამსის შესახებაც წერდა. აქ იგი არსებითად ვახტანგ მეექვსის თვალსაზრისზე დგას, მაგრამ მას ახალ დასაბუთებას უძებნის და წინამორბედი ჩვენი იმ თანამედროვე მკვლევარებისა, რომლებიც კვლავ ამ თვალსაზრისს ავითარებენ. აღ. სარაჯიშვილის ერთ-ერთ სწორ დებულებად უნდა ჩაითვალოს, რომ ამტკიცებდა: „ტარიელი ყორანზე ფიცულობდა“ და ამიტომ ფიქრობენ იგი მაჰმადიანი იყო, მაგრამ, სინამდვილეში, — განმარტავს მკვლევარი, — რუსთაველი „განგებ არ აცხადებს, სახელღობრ, რა სარწმუნეობისა ან რა ტომის კაცნი არიან მისნი გმირნი და მის პოემაში სარწმუნეობის კულტსა და გეოგრაფიულს ან ეთნოგრაფიულს სახელს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სახელის გარდა, არაბული რა ამჩნევია ავთანდილს, ან ინდოელს რაში ჰგავს ტარიელი?...“ (4, გვ. 4).

რუსთაველის ქრისტიანობა, — ამბობს აღ. სარაჯიშვილი, — იმით მტკიცდება, რომ „მისს სარწმუნეობას ქრისტიანობის უკულოზელი ბექელი აზის“. ეს სახარების სიტყვების დამოწმებითა და ქრისტიან მოღვაწეთა სახელების დაფიცებით კი არ ჩანს პოემაში, არამედ გამოსახულია „გრძნობათა იდეალობით, აზრთა ზნეობით და ზნეთა სიწმინდით. ამ ის საბუთად, მაგალითი რომ არ გავამრავლო, ავთანდილის ანდერძი და მისი ლოცვაც საკმარისია.“ რუსთაველის სარწმუნეობა, — განაგრძობს ავტორი, — „განხორციელდა მისს სულიერ შვილებში, მისგან შექმნილს სიმპატიურ ტიპებში; ავთანდილ და ფრიდონ, თინათინ და ასმათ ჩვენი მოყვასნი ქრისტიანები არიან, რადგან მათს სულს აჩნევია ქრისტიანული მაღალი თვისებანი: თავგამწირავი სიყვარული, ღვთის განგების მორჩილება, თავმდაბლობა, გულშემატკივრობა, კაცთმოყვარეობა, მოთმინება და სხვა მრავალი სულის სიკეთე“ (4, გვ. 2—3).

ასმათი, — აღნიშნავს აღ. სარაჯიშვილი, — ეუბნება ავთანდილს: „ქვემარტი სამართალი იმას კი არა ჰქვიან, კაცი რომ მოვალეობისა და პირიანობის პრინციპზე შესდგეს და გასწორ-გასწორ სჯიდეს, არამედ დანაშაულის ყოფაში ჩადგეს და მის ვითარების მიხედვით დანაშაულობაც გაბრჭოს“....

ავტორი ასკვნის: „ასეთია ასმათის სიტყვა, რომელშიც იხატება არა მხოლოდ ლმობიერი და ჩვილი გული, არამედ უზენაესი ქრისტიანული სამართალი მოწყალე და კაცთმოყვარული. და ამისთანა ადგილები,

სხვათა შორის, უკვე ჰმოწმობენ რუსთაველის ქრისტიანულს გრძნობას, ვინემც მოციქულთა და წინასწარმეტყველთა სიტყვანი და დოგმატიური სქოლასტიკა პოემის ტექსტში განზრახ ჩართულნი“ („მომამბე“, 1897 № X, გვ. 3—4).

აღ. სარაჯიშვილი „ვეფხისტყაოსანში“ ჩანართთა გაჩენის ერთ-ერთ მიზეზად იმას თვლის, რომ სურდათ ეჩვენებინათ, რუსთაველი ანტიქრისტიე არაა. შესაძლებელია, რუსთაველს „ვახტანგ მეფის წინადაც გამოსჩენოდა (მოსარჩლე), რომელიც პოეტის აზრით „თარგმანს“ არ იკმარებდა, არამედ მის შევსებასაც მოინდომებდა, რათა უკეთ დაემტკიცებინა, რომ პოემა საღრმთოდ არის გასაგები. ასეთი შევესების შემდეგ, მის გუნებაში, პოემა დევნისაგან დაცული იქნებოდა....“ (იქვე). გმირის ფსიქოლოგიას აღ. სარაჯიშვილი არა მხოლოდ სარწმუნოების საკითხის, არამედ საერთო დანასიათებისთვისაც იყენებს. მისი დაკვირვებით, რუსთაველი გმირთა სახის გამოსახვაში „უმთავრესად მათს სულის მდგომარეობას აქცევს თავის ყურადღებას, ხორციელს შექირავებას კი სხვათა შორის და გაკვრით იხსენიებს“ („მომამბე“, 1898 № 1, გვ. 56).

ავტორი მოგვაგონებს: „ბევრჯერ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, რომ რუსთაველის პოეზიის სფერა მისი გმირების ფსიქოლოგია არის, მისი გონების თვალი მუდამ გმირთა სულსა და გულზეა მიპყრობილი, მათს გულის მოძრაობასა და სულის განვითარებას გვიხსნის. ხოლო რუსთაველისეულის მოთხრობის ძალი და მშვენიერება იმაში მდგომარეობს, რომ გმირების სულის ვითარებას მათის საუბრითა და მოქმედებით გვიხატავს“ („მომამბე“, 1900 № VII, გვ. 15—16).

აღ. სარაჯიშვილი ასეთად გვიხასიათებს ავთანდილს. „ვეფხისტყაოსანი“, — ამბობს იგი, — საესეა ავთანდილის საუბრით, „მის სიტყვას თავისებური ბეჭედი ასვია. ავთანდილის სიტყვა ყოველთვის გონიერია და ბინიანი, ლოგიკური და დამარწმუნებელი, მოჭრილი და მოსწრებული, მოელვარე და ტკბილი, მხატვრობითი და ძლიერი; პოემის არც ერთ გმირს არა აქვს მისი დასადარი სიტყვიერების ნიჭი და მის უნამუშეობაზე სთქვა თვით რუსთაველმა: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ („მომამბე“, 1897 № IV, გვ. 14).

ცნობილია, რომ უკრაინელმა შესანიშნავმა პოეტმა და „ილიადასა“ და „ოდისეის“, „იგორის ლაშქრობის“, ბაირონის, შელის, პუშკინის, ლერმონტოვისა და სხვა პოეტების რიგ წაწარმოებთა მთარგმნელმა—

ოლექსანდრე ოლექსანდრეს ძე ნავროცკიმ (1823—1892) თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი, რამდენიმე ეპიზოდი და სხვა სტროფები. თვლიდნენ, რომ მას პწკარედი ნ. გულაკმა (იხ. ზემოთ) გაუყეთა. ანლა ლ. ანდლულაძე ამტკიცებს, რომ ო. ნავროცკი ალ. სარაჯიშვილის პწკარედით თუ პწკარედითაც სარგებლობდა. მაშინვე ალ. სარაჯიშვილთან ყოფილა აგრეთვე დაკავშირებული იური რომენსკი. პირველი მეორეს რუსთაველის გარდაც, საერთოდაც აცნობდა საქართველოს კულტურას და იმდენად დაახლოებულან, რომ მათვე ინდური ეპოსის „რამაიანას“ ერთად თარგმნაც დაუწყეთ. პწკარედს გარდა, თავის მხრივ, ალ. სარაჯიშვილს დამოუკიდებლადაც უცდია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა. აღნიშნავენ, რომ მის არქივში დაცულია პოემის პირველი თავის თარგმანი. ყველა ამ დამსახურებასთან ერთად, როგორც ზემოთ ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით აღინიშნა და მათ ადასტურებს აკადემიური ხასიათის ტექსტოლოგიური მუშაობა „ვეფხისტყაოსანზე“, ალ. სარაჯიშვილს რიგი ნამდვილად რუსთველური სტროფები აქვს მიჩნეული ყალბად. ამასთანავე იგი არაიშვიათად ცდებოდა აგრეთვე ზოგიერთ ლექსიკურ საკითხშიც. მაგ., რუსთაველის „გრდემლი ტყვიისა ლბილისა“.... მან პირველმა დააყენა ეპეის ქვეშ, („მოამბე“, 1895 № IX, გვ. 11), მაგრამ გამოირკვა, რომ ასეთი რამ მართლაც არსებობდა (იხ. ჩვენი წერილი ჟურნ. „ციცკარში“, 1958 № 8, გვ. 181—182).

ალ. სარაჯიშვილი არ იყო მართალი არც მაშინ, როდესაც წერდა: „ბერძნული მითოლოგია რუსთველს თავის პოემაში არსად მოუხსენებია, — და საგონებელია, რომ არც იცოდა ეს მითოლოგია“ („მოამბე“, 1897 № IX, გვ. 65) და სხვა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მას აქვს ისეთი დაკვირვებებიც, რომლებსაც შემდგომი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის; მისი არა ერთი მსჯელობა და დასკვნაა გასათვალისწინებელი „ვეფხისტყაოსნის“ როგორც ტექსტის, ისე შინაარსის ანალიზის დროს. ალ. სარაჯიშვილი უთუოდ რუსთველს და არა მხოლოდ რუსთველოლოგიური ნაშრომის ავტორი.

1. ალ. სარაჯიშვილი. „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები. — ჟურნ. „მოამბე“, 1895 (№ XI)—1901 (№ VI).
2. ივ. ჯავახიშვილი. ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, თბ., 1956.
3. კრებული „ძველი საქართველო“, ეპე. თავ. 1.
4. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, ტ. IV, თბ., 1915.
5. ჟურნ. „მოამბე“, 1895 № XI.
6. ა. ზურაბაშვილი. შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია, თბ., 1966; А. З у р а б а ш в и л и. Шота Руставели и персоналогия сегодня, თბ., 1966.
7. გ. ჭიბლაძე. რუსთაველის ესთეტიკური სამყარო, თბ., 1966.
8. ვლ. ნორაკიძე. ადამიანობის იდეა ვეფხისტყაოსანში, თბ., 1966.

მოსე ჯანაშვილი

სამოქალაქო და საეკლესიო ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ძველი ქართული მწერლობა, გრამატიკა, დიალექტოლოგია და ლექსიკოლოგია არის ის დარგები, რომლებშიც მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი (1855—1934).

ქართული მწერლობის სხვა ძეგლებთან შედარებით მ. ჯანაშვილი ყველაზე მეტ ყურადღებას „ვეფხისტყაოსანს“ აქცევდა. ზემოთ უკვე ითქვა, გ. ქართველიშვილის სახლში რომ რუსთაველის პოემის საგანძმ-ცემლო კომისია ჩამოყალიბდა, მ. ჯანაშვილმა მას გადასცა ამ პოემის ეგზემპლარი (კ. კეკელიძის სიტყვით—ხელნაწერი), რომელიც დაედო საფუძვლად გ. ქართველიშვილის გამოცემას. ამის გამო მ. ჯანაშვილმა საპატიო ადგილი მოიპოვა კომიტეტში. „ამიერიდან, — წერს კ. კეკელიძე, — იწყება საგანგებო დანტერესება პოემით ჩვენი მკვლევარისა, რომელიც მის შესახებ აქვეყნებს გამოკვლევებს სხვადასხვა პერიოდულ ორგანოში თუ ცალკე წიგნაკებად. 1896 წელს მან გამოსცა ნარკვევი „შოთა რუსთაველი“, რომელშიც შეჯამებულია სხვადასხვა მკვლევარის შეხედულებანი ვეფხისტყაოსანზე. 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№№ 3, 47) ათავსებს სტატიას „რუსთაველის გამქიქებელნი“, რომელშიც მოითხოვს მკვლევართაგან, პირველ ყოვლისა, პოემის ენის საფუძვლიან ცოდნას. 1900 წელს „ნაშრომის“ მესამე წიგნში დაბეჭდა წერილი „რუსთაველის გარშემო“, რომელიც გაგრძელებაა „ქართულ მწერლობაში“ მოთავსებული შენიშვნებისა, დასასრულ, 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ მან მოათავსა მთელი სერია წერილებისა „თამარ მეფის მეხოტბენი“—ს სათაურით, რომელშიც შეჯამებულია მისი შეხედულებანი ამ პოემის შესახებ“ (2).

რუსთველოლოგიურ საკითხებს მ. ჯანაშვილი არა ერთხელ ეხება და მასალებსაც აქვეყნებს აგრეთვე წიგნებში «Царица Тамара» (თბ., 1900), „თამარ მეფე“ (თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამოცემა, თბ., 1917; ამ წიგნში ავტორს ასეთი პარაგრაფიცი კი შეაქვს „შოთა რუსთაველის მონაწილეობა თამარის ომებში“, გვ. 69—70), «Грузинские обитатели вне Грузии» (თბ., 1899), და წერილებსა თუ პუბლიკაციებში სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

უფრო ხშირად ავტორი, მაგ., აქვე დასახელებულ 1899 წელსა და 1900 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ წიგნებში, ეყრდნობა უმთავრესად მ. ბროსეს, პლ. იოსელიანის, ალ. ცაგარლის, ნ. მარის და სხვათა გამოკვლევებს, მაგრამ ზოგჯერ სრულიად ახალ ცნობებსაც ავლენს ძველი ქართული საისტორიო და სალიტერატურო წყაროებიდან, იგივე აგრეთვე ვრცლად იყენებს ზეპირგადმოცემებს და საერთოდ ხალხური სიტყვიერების მასალებს.

ამათ გარდა, მ. ჯანაშვილს გამოუქვეყნებელი დარჩა „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი“ (7.000 სიტყვა), რომელიც ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტშია დაცული, და „შოთა რუსთაველი“ — მოზრდილი ნაშრომი, რომელიც 1935 წელს მის მემკვიდრეებს რუსთაველის 1937 წლის საიუბილეო კომიტეტისათვის გადაუციათ ჩვენს უნივერსიტეტში (ეს ხელნაწერი ჩვენ ვერ ვნახეთ, ხელშეკრულება კი მის გამოცემაზე არსებობს).

რუსთველოლოგიური პრობლემები, რომლებსაც მ. ჯანაშვილი განიხილავს, ესაა: პოემის ავტორის ვინაობა, დაწერის თარიღი, ორიგინალობა, პერსონაჟები პოემისა. კ. კეკელიძე სწორად შენიშნავს: მ. ჯანაშვილის შეხედულებანი ამ საკითხებზე უცვლელი არ ყოფილა, მაგრამ საბოლოოდ მათზე შეჩერდა, რომ: „1) ავტორი პოემისა არის მესხი შოთა თორელი ართავაჩოსძე, თანამედროვე თამარისა, დავით სოსლანისა, რომელსაც თავის სიცოცხლეში (1155—1226 წწ.), „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, დაუწერია აგრეთვე „თამარიანი“. 2) პოემა დაწერილია თამარის სიკვდილის წინა წლებში, 1215 წლის მახლობლად. 3) ის უაღრესად ორიგინალური ნაწარმოებია, რადგანაც მასში ასახულია ზუსტი ისტორია თამარის დროის საქართველოსი და მაშინდელი მუსულმანური აღმოსავლეთის ქვეყნებისა. მის შეხედულებებში განსაკუთრე-

ბით საინტერესოა ისტორიულ-გეოგრაფიული ინტერპრეტაცია პოემისა, რომელიც პირდაპირ უკიდურესობამდეა დაყვანილი“.

მეტ-ნაკლებად თითქმის ყოველი მესამოციანელი, და განსაკუთრებით მათი ადებტთაგანი მ. ჯავახიშვილი, იცავს ორიგინალობის თეორიას, რიგ აშკარად ნათარგმნ ნაწარმოებსაც კი ქართულ ორიგინალურ ქმნილებად აცხადებს, ზოგჯერ უსაფუძვლოდაც კი ებრძვის საწინააღმდეგო აზრის ავტორებს....

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, იმ ღვაწლმოსილი და ნაყოფიერი ავტორის ნაშრომების გარკვეული ნაწილი დღესაც გასათვალისწინებელია. მაგ., არაერთი საყურადღებო მომენტია მის მიერ გამოვლენილ პარალელებში „ვეფხისტყაოსანსა“ და ძველ ქართულ წერილობით წყაროებს შორის, სხვა ცნობებსა და განსაკუთრებით ლექსიკოლოგიურ ძიებებში, კერძოდ „კლარჯულ-ინგილოური გლოსებისა და არაბიზმების“ საკითხებზე, გინდ „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვათა განმარტებებში.

1. თბილისის უნივერსიტეტის მიერ. ს. ქ დ ე ნ ტ ი ს რედაქტორობით გამოცემული კრებული „მოსე ჯანაშვილი“ (თბ., 1956). 2. კ. კ ე ე ლ ი ძ ე. ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები. I. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. — იგივე 1 კრებული (გვ. 41 — 60 = კ. კ ე ე ლ ი ძ ე. ეტიუდები..., ტ. VIII, თბ., 1962, სპეციალურად—გვ. 280—282). 3. კ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი. მ. ჯანაშვილი როგორც რუსთველოლოგი. — კრებული „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, I, თბ., 1962, გვ. 223—234.

სილოვან ხუნდაძე

ცნობილი პედაგოგი, ქართული ენის დიდხანს მოქმედი ისეთი სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი, როგორც იყო: „ქართული ზმნები“ (1891), „სალიტერატურო ქართული“ (1901), „ქართული გრამატიკა“ (1904) „ქართული მართლწერა“ (1913, 1927) და სხვა, მწერალი და საზოგადო მოღვაწე სილოვან თომას ძე ხუნდაძე (1860—1928) იყო აგრეთვე ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი.

მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი (1884); მაშასადამე, დიდი ფილოლოგიური სკოლა გაიარა, მაგრამ ძირითადი დრო და ენერგია პედაგოგობას მოახმარა. რასაც წერდა, ისიც უძთავრესად სახელმძღვანელოებად არის გამიზნული. გამოქვეყნებულია მისი წიგნაკები: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (1914), „ვახტ. ორბელიანი“ (1914) „გრ. ორბელიანი“, „აკაკი წერეთელი“ (1917), „ილია ჭავჭავაძე“ (1919), „რაფიელ ერისთავი“ (1918—19), ლიტერატურული მიმოხილვა ჩვენს მწერლებზე (2) და სხვა (5).

ს. ხუნდაძე რუსთველოლოგიური პრობლემატიკითაც იყო დაინტერესებული.

ადრეცა (1889) და შედარებით უფრო არსებითად წიგნში „სალიტერატურო ქართული“ ს. ხუნდაძე ეხება რუსთაველის ენისა და შაირის ორი სახეობის საკითხებს (3): აქვეყნებს წერილს „რუსთაველი თუ რუსთველი“ (გაზ. „იმერეთი“, 1913), გამოთქვამს აზრს რუსთველი უნდა ეწეროთ და რაც უფრო არსებითია, ეს ისაა, რომ მაშინვე იბეჭდება იმავე ავტორის ფელეტონები — „სალიტერატურო შენიშვნები. მცდარი აზრები „ვეფხისტყაოსნის შესახებ“ (4). აქ ს. ხუნდაძე მიმოიხილავს რუსთველოლოგიურ შრომებს, აკრიტიკებს პოემის სიუჟეტის ნასესხებობის მომხრეებს, რუსთაველის პოემასა და თამარის ცხოვრებას შორის

პარალელებს ავლებს, ეხება პოემის პროლოგისა და მთლიანად თხზუ-
ლების ზოგიერთ ტექსტოლოგიურ საკითხს და სხვა. ახალი ქართული
ენის მარალწერის საკითხების განხილვასთან დაკავშირებით ს. ხუნდა-
ძე კვლავ ჩერდება რუსთაველის ენის საკითხებზე.

ეს წინანდელი აზრები და ზოგიერთი ახალი შენიშვნებიც დაბეჭდი-
ლია მის სპეციალურ წიგნში (1)•

ავტორი რუსთაველის გავრცელებული ბიოგრაფიის კონსპექტის
(იყენებს ზეპირგადმოცემებსაც, გვ. 11—12) გარდა, ეხება პოემის
ხელნაწერებსაც, წარმოდგენილია სხვადასხვა მკვლევარის აზრი შოთა
რუსთაველსა და მისი ვეფხისტყაოსნის შესახებ (დ. ჩუბინაშვილი,
ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, ნ. მარი, ა. ხახანაშვილი, ი. აბულაძე და
ს. კაკაბაძე), ეხება როგორც პოემის ორიგინალობას, ისევე რუსთაველ-
ფორმის მარალწერას და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტების შემოკლებით
წარმოდგენის შემდეგ, დაბეჭდილია ავტორის შენიშვნები და განმარტე-
ბანი, სენტენციები, ომონიმრითმიანი სტროფები, საერთო დასკვნა
და ლექსიკონი.

ეს წიგნიც ძირითადად სასკოლო დამხმარე სახელმძღვანელოა და
იმდენად იგი უფრო მიმოხილვითი ხასიათისაა, ვიდრე დამოუკიდებელი
მეცნიერული გამოკვლევა.

თავისი კონცეფციით ს. ხუნდაძეც სამოციანელების ადვოკატია.

1. სილ. ხუნდაძე. შოთა რუსთაველი (ქართული ლატერატურის სახელმძ-
ღვანელო), ქუთაისი, 1922. 2. სილ. ხუნდაძე. თხზულებათა პირველი კრებული
ლექსებით, 1914. 3. ს. ხუნდაძე. ქართული ენის გრამატიკა, 1904 (შდრ. შ.
ლ. ო. ნ. ი. ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკაციის პრობლემა, სო-
ხუმი, 1961; ი. ი. მ. ნ. ა. ი. ვ. ი. ქართული პოეტური ენის საკითხები). 4. გაზ.
„იმერეთი“, 1913. №№ 94, 102, 116. 5. „ხუნდაძე სილოვან“.— ეურნ. „განათლების
შუშაკი“, 1928 № 17, გვ. 27; ვ. ქ. ა. ი. ა. ი. სილოვან ხუნდაძე:— კრებული „სახალხო
განათლების ქართული მოღვაწეები“, I, თბ., 1953, გვ. 251—254; „ლიტ. გაზეთი“. 1960
წ. 29 აპრილი.

ალექსანდრე ხახანაშვილი

ქართული მწერლობისა და ზეპირსიტყვიერების, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ნაყოფიერი მკვლევარი, ქართული კულტურის პოპულარიზატორი ალექსანდრე სოლომონის ძე ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი (1864* —1912) დაიბადა ქ. გორში. თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის ოქროს მედლით (1884), ხოლო მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის კანდიდატის ხარისხით (1888) დამთავრების შემდეგ, პროფ. ილია ოქრომჭედლიშვილის რეკომენდაციით, იგი მიიღეს მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში. იქვე მან შედარებით მოკლე დროში მიაღწია პროფესორობას და გარდაცვალებამდე აქ მსახურობდა.

იმავე დროს დიდი სიძნელეების გადალახვით, ალ. ხახანაშვილმა მოახერხა მოსკოვის უნივერსიტეტის ქართული ისტორიისა და სიტყვიერების კათედრის დაარსება 1900 წელს. აქ შემდეგ იგი ქართული სიტყვიერებისა და საქართველოს ისტორიის კურსებს კითხულობდა უხელფასოდ მთელი 12 წლის განმავლობაში.

იმ მიზნით, რომ ეს კათედრა შემქმნელის გარდაცვალების შემდეგაც არსებულყო, ალ. ხახანაშვილმა ამ უნივერსიტეტს უანდერძა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა, ხოლო მშობლიურ გორს კი — მაშინ 20 ათასი მანეთის ღირებულების საკუთარი სახლი; მანვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 45 ათასი მანეთი დაუტოვა. ყოველივე ეს იყო ხელფასისა და პონორარის თანხების დანაზოგი. ტუ-

* პირველი თარიღი:—1864 მაგიერ 1866-რც გეხედება. ს. მ გა ლ ო ბ ლ ი - შ ვ ი ლ მ ა დადგინა, რომ სწორია 1864.

ბერკულოზით შეპყრობილი კაცი თავს აკლებდა და ცდილობდა, სამშობლოს მატერიალურადაც დახმარებოდა.

აღ. ხახანაშვილის მაღალ მოქალაქეობრივ თვისებასა და მისწრაფებებზე მეტყველებს 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის გამო ნასესხები შემდეგი სიტყვებიც: „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს“, „საქართველოს ერი მოწინავე რაზმია განმათავისუფლებელ მოძრაობაში“, „იგი იბრძვის საერთო კეთილდღეობის დასამყარებლად“, „გამარჯვებული ის დარჩება, ვინც ერის გულისცემას თანაუგრძნობს და მასთან ერთად ააფრიალებს წითელს დროშას“.... („ივერია“, 1906 № 25).

აღ. ხახანაშვილმა 200-მდე ცალკე წიგნის, მრავალი სხვა ნაშრომისა და წერილების გამოქვეყნება მოასწრო ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

იგი 48 წლის ასაკში გარდაიცვალა სამშობლოს გარეთ. მადლიერმა ერმა ჩამოასვენა და დიღუბის პანთეონში დაკრძალა.

აღ. ხახანაშვილის ნაშრომების დადებითი მხარეა, რომ ასეთები პირველ წყაროებზეა დამყარებული. ავტორი, გარდა იმისა, რომ მოგზაურობდა საქართველოს კუთხეებში, აგროვებდა და სწავლობდა ზეპირსიტყვიერებისა და ისტორიულ-არქეოლოგიურ ნივთებს, მუშაობდა თბილისისა და მოსკოვის არქივებში, საზღვარგარეთაც ეძებდა მასალას. მან 1900 წლის ზაფხულს რომსა და ვატიკანში საქართველოს ისტორიის ძვირფასი მასალები გამოავლინა.

ბეჭდური ნაშრომებით და გამოსვლებითაც უთქვამს იგი სახელს ქართველ ერს. მაგ., 1894 წ. 23 აგვისტოს ის ქენევაში მონაწილეობს ორიენტალისტთა მეათე საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში და ფრანგულ ენაზე კითხულობს მოხსენებას ქართული კულტურის უცხოურ ცივილიზაციასთან ურთიერთობის საკითხზე; 1897 წლის აგვისტოში პარიზში ორიენტალისტთა კონგრესზეც გამოვიდა მოხსენებით და სხვა.

აღ. ხახანაშვილს ნაშრომისათვის «Византийское общество и греческая церковь в эпоху Комненов» ვერცხლის მედალი მიანიჭეს, ხოლო «Очерки по истории грузинской словесности»-სათვის კიოქროს მედალი და დაამტკიცეს პროფესორად („საქართველოს კალენდარი“, 1903 გვ. 436—449).

კარგი გამოხმაურება ჰპოვა აღ. ხახანაშვილის ნაშრომმა „საქართველოს ისტორია 1900 წლამდე“ (ფრანგულ ენაზე), რომელიც სპე-

ციალური გამოფენისათვის მდიდრულად გაფორმებული გამოქვეყნდა პარიზში რაფიელ ისარლიშვილის მიერ. გამომცემელს ამ წიგნის 800 ცალი უფასოდ დაურიგებია საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში და მას მადლობის 160 წერილი მიუღია. ამ ნაშრომის გამო პარიზის გაზეთი „ლა რეფორმ“ წერდა: ალ. ხახანაშვილის გამოკვლევა ქართულ ლიტერატურაზე „გვამცნობს ისეთ რამეებს, რის არსებობასაც ამიერკავკასიის პროვინციაში სრულიად არ მოველოდით“ („მოგზაური“, 1901 № 6 — 7, გვ. 722 — 723).

•

ალ. ხახანაშვილს სპეციალური ქართველოლოგიური სკოლა არ გაუვლია, არც აღმოსავლური ენები იცოდა, და ძველ ქართულ ხელნაწერებსაც სუსტად კითხულობდა (მხედველობაც უშლიდა ხელს). ნ. მარი, ექვთ. თაყაიშვილი (პირველისადმი პირად წერილებში), ზოგჯერ ივ. ჯავახიშვილი და სხვებიც ალ. ხახანაშვილის ზოგიერთ ნაშრომში მიუთითებენ შეცდომებზეც, მაგრამ მან მაინც ბევრი რამ გააკეთა ქართული მითოლოგიის, მთლიანად ფოლკლორისა და ძველი ქართული ლიტერატურის რიგი მასალების თავმოყრით, სისტემატიზაციითა და ბევრი საკითხის სწორად გადაჭრით, ისიც საოცარია, როგორ მოასწრო მან ყოველივე ეს რაღაც ორი ათეული წლის განმავლობაში, მით უფრო, რომ ეს სამუშაო შესრულებულია რუსულ ენაზე. მაშინ დიდ სიძნელეს წარმოადგენდა იმდენი პირველწყაროსა და ლექსთა სტროფების თარგმნა, რამდენიც ალ. ხახანაშვილის შრომებშია შესული. მეორეს მხრივ, სწორედ ესაა ფასეული, რომ მან რუსული ენის საშუალებით, დიდ არენაზე გაიტანა ქართული კულტურის საკითხები.

ალ. ხახანაშვილი ძალიან მოკრძალებული პიროვნება ყოფილა. თვითონვე აღუნიშნავს, რომ მის ნაშრომებს ხარვეზებიცა და ნაკლოვანებებიც გააჩნდა და შენიშნავს: ჩემს კვლევასა და ისტორიულ-სამეცნიერო ანალიზს სასურველი სიღრმე არა აქვს, მაგრამ ჩვენი ისტორიოგრაფია ჭერჭერობით ისეთ მდგომარეობაშია, რომ შემკრებლობითი მუშაობაც დიდი საქმეაო.

ამ სიტყვებს იგონებს გრ. ყიფშიძე და თავის მხრივ დასძენს, ნ. მარი ამბობდა ამას წინათ: „მხოლოდ მცირედი რაიმე ვიცი იმ გონებრივი ავლა-დიდებისა, რომელიც ქართველებმა უანდერძეს კულტურ-

რას; მისი მზეზე ამოტანა არც ეგრე ადვილი საქმე არისო“ (ყურნ. „განათლება“ 1912 № 37, გვ. 550).

ალ. ხახანაშვილმა იმდენი მაინც შეძლო, რომ რუს-მეცნიერებსა და დაინტერესებულ სხვა პირებს, რუსულ ენაზე გამოცემული წიგნებით, და ამავე გზით მთელ რუსეთის იმპერიასა და მის გარეთაც სხვა ასეთსავე პირებსაც, ძირითადად მთლიანად და საერთო ხაზებში სწორად გააცნო ქართული ზეპირსიტყვიერებისა და მწერლობის ისტორია და მათთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული საკითხები. მის მიერ გამოცემული პირველწყაროები და გამოკვლევებია: „გუჯრები“ (თბ., 1910), „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ (1910), „იმერეთის მეფე სოლომონ მე-2“ (1910), „«Древнейшие пределы расселения Грузии по Малой Азии» (Москва, 1890), «Тушины. (Этнографический очерк)» და სხვა მრავალი.

მისი უმნიშვნელოვანესი კაპიტალური ნაშრომია ოთხტომიანი კურსი ქართული ლიტერატურის ისტორიისა (1). მათგან — პირველია „ხალხური ეპოსი და აპოკრიფები“ (368 გვ., მოსკოვი, 1895);

2. „ძველი ქართული სიტყვიერება XII ს. ბოლომდის“ (358 გვ., 1897),

3. „ქართული სიტყვიერების ისტორია XIII — XVIII ს. ბოლომდის“ (358, გვ. 1901),

4. „ქართული სიტყვიერების ისტორია. XIX ს.“ (570, გვ. 1906).

არსებობს ამ ნაშრომის შემოკლებული და ნაწილობრივ გადამუშავებული ქართული თარგმანი ორ ტომად: ქართული სიტყვიერების ისტორია (ძველი დროიდან მე-18 საუკ. გასელამდე) (1904, 1913 და 1919 წლები), ხოლო XIX საუკ. ქართული მწერლობის ისტორია ცალკე გამოქვეყნდა 1913 წელს. დიდხანს ეს წიგნები სასწავლო სახელმძღვანელოებს წარმოადგენდა.



რუსთველოლოგიური თემატიკით ალ. ხახანაშვილი განსაკუთრებით 1890 წლიდანაა დაკავებული. 1895 წელს იგი ეხება უვრცეს ვარიანტს რუსთაველის პოემისა და შენიშნავს, რომ გაგრძელებები პოემისა რუსთაველს არ ეკუთვნის; აქვეყნებს „ვეფხისტყაოსნის“ ვრცე-

ლი ვარიანტის საინტერესო აღწერას — „Грузинская рукописная поэма «Барсовая кожа» из Московского главного архива Министрства иностранных дел (მოსკოვი, 1895), «Грузинский поэт XII века Шота Руставели и его поэма «Барсова Кожа». წერილში «Грузинские рукописи Румянцевского музея»“ ზიგო შენიშნავს: № 338 პერგამენტულ ფურცლის მინაწერში მოხსენებულია ვინმე სარგისის მეუღლე „თინათინ“. ეს სახელი ისევე ყოფილა გავრცელებული საქართველოში, როგორც ნესტანი (დარეჯანი, იქვე, გვ. 194).

აღ. ხახანაშვილმა აღწერა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, რომელშიც დასახელებულია იქ დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და ვახტანგ VI გამოცემა. აქვეყნებს შენიშვნებს ერევნის გუბერნიაში აღმოჩენილ ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანზე“, ეხება „ვეფხისტყაოსნის“ გმირების პარალელებს ევროპულ პოეზიაში და განსაზღვრავს რუსთაველის გმირების ეროვნულ თავისებურებებს. ბროკაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში ათავსებს წერილს „რუსთაველი“ (1899; ტ. XXVII); 1903 წელს წერს რეცენზიას თ. სახოკიას მიერ ფრანგულად გამოქვეყნებულ ანდაზებზე, რომლებშიც რუსთაველის აფორიზმებიცაა შესული; 1908 წელს ბეკდავს მიმოხილვით ნარკვევს რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე, 1910 წელს აქვეყნებს ხალხურ ვარიანტს „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვა.

ჩვენი მეცნიერი „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებს ყველა ზემოდასახელებულ წერილზე უფრო ვრცლად განიხილავს „ქართული სიტყვიერების“ მეორე წიგნში (მოსკოვი, 1897, გვ. 243 — 295).

*

აღ. ხახანაშვილმა შოთა რუსთაველის ბიოგრაფია ქართული ისტორიული წყაროების და ხალხური გადმოცემების მიხედვით დაადგინა. იგი წერს, რომ შოთა 1172 წელს დაიბადა, სწავლობდა ახალციხის რუსთავეში, შემდეგ გაგზავნეს გრემს მეცნიერ ორთელაშვილთან და იყალთოს (კახეთი) სასწავლებლებში, სადაც მან წიგნს გარდა, „ბავშვობიდან შეისწავლა სხვადასხვა ვარჯიშობა: — სროლა, ცხენზე ჯდომა, ნადირობა. ოცი წლისა რომ შეიქნა, — 1192 წ., წავიდა ათინაში სახელმწიფო ხარჯით“, იქ მან შეისწავლა „ისტორია, ფილოსოფია, გალობა და მუსიკა. 1212 წლამდის, დაბრუნების შემდეგ ასრულებდა მოლარეთუხუცესის თანამდებობას. დასასრულ წავიდა იერუსალიმს“ (2, გვ. 261 — 262).

ჩვენი მკვლევარი სწორად შენიშნავს, რომ ეს ცნობები ძალიან პირობითია, მაგრამ ზემოთქმულში მაინც შესასწორებელია: XII ს. ქართველი ყმაწვილები ათინაში კი არა, არამედ ათონის მთაზე იგზავნებოდნენ, სადაც „აყვავდა“ ქართული მწერლობა ივერიის მონასტერში“. ავტორი მკითხველს ხალხური გადმოცემების ცნობებსაც აწვდის.

აღ. ხახანაშვილი ლაპარაკობს, რომ XVII ს. მეორე ნახევარზე აღრინდელი ხელნაწერი არა გვაქვს, აჭ ა მ ე ბ ს ა რ ს ე ბ უ ლ პ ი პ ო თ ე ზ ე ბ ს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წარმოშობის თაობაზე და ასკვნის: „აქამდის ჩვენს მწერლობაში გაუთავებელი სჯაა იმის შესახებ, თუ საიდან აიღო რუსთაველმა სიუჟეტი (არაკი)“ პოემისა: ერთნი ეყრდნობიან პოეტის სიუჟეტს და ამბობენ, თარგმნილიაო; მეორენი ამტკიცებენ: „სიუჟეტი შექმნა თვით პოეტმა და მიმართა იგი შესხმად თამარ მეფეს. მ ე ს ა მ ე ა ზ რ ი, — წერს აღ. ხახანაშვილი, — მეკუთვნის მე. ამ რამდენიმე წლის წინათ ჯერ ქართულად და შემდეგ რუსულად, შე ვ ა დ ა რ ე ტ ა რ ი ე ლ ზ ე ხ ა ლ ხ შ ი დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ი ლ ე ქ ს ე ბ ი და შ ო თ ა ს მ ი ე რ და წ ე რ ი ლ ი პ ო ე მ ა და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ხელოვნური ქმნილება და მყარებულია სახალხო ლექსებზე იმ გვარადვე, როგორც გოეთეს ფაუსტს და შექსპირის ჰამლეტს ფესვები საშუალო საუკუნეების გადმოცემაში მოეპოვებათ“ (2, გვ. 264; ხაზი ყველგან ჩემია; ი. მ.).

შემდეგ ავტორი არჩევს ამ სამ შეხედულებას, ასახელებს 1897 წლამდე გამოცემულ ხალხურ 10 ვარიანტს რუსთაველის პოემისა (2, გვ. 266) და ცდილობს თავისი შეხედულება, რომელიც პირველად 1890 წელს გამოუთქვამს ვაზ. „ივერიის“ № 25-ში, დაასაბუთოს ისე, რომ სარწმუნო გახდეს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი რუსთაველმა ქართული ხალხური სიტყვიერებიდან ისესხაო. მკვლევარი წერს: „ვრცელს და ნაწყვეტ (ხალხურ) ვარიანტებს შორის დიდი მსგავსება და კავშირი არსებობს. მოგეხსენებათ, რომ ლექსს უფრო ადვილად და დიდხანს იხსომებს ხალხი შეუტკვლელად, ვიდრე ამბად ნათქვამს, ანუ პროზას“ და ეს აქაც ასე მოხდა.

ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ უმნიშვნელოვანესი ვარიანტები იწყება სიტყვებით:

„ტარიელ დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე.
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რატომ არ შემატყობინე“!..

წიგნურ „ვეფხისტყაოსანში“, — წერს ალ. ხახანაშვილი, — „თუ ჩემი ქალი გინდოდა“, გადაკეთებულია შემდეგნაირად:

„გიყვარდა ნესტან-დარეჯან“....

უკანასკნელი სტრიქონი, — „რატომ არ შემატყობინე“, — შეეცვლილია: „რად არა შემაგებინე...“ (2, გვ. 266).

ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ვარიანტი მოკლედ გვაუწყებს:

„ტარიელ დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე,
გიყვარდა ნესტან-დარეჯან

(ვარიანტში ლერწამ-დარეჯან),

რატომ არ შემატყობინე?“

ეს ლექსი, — ალ. ხახანაშვილის აზრით, — ასე გაუეცრცია რუს-თაველს:

„ხვარაზშშის სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე ?
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე ?
მე, ბერსა შენსა გამზრდელსა, სიციცხლე მაარმებინე,
ღღედ სიკედლიამდე შენიცა თავი არ მიახლებინე!

(2, გვ. 268).

ფშავში ჩაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტში ნათქვამია:

„ერთი კაცი ზღვისა პირსა
ნამტირალსა ჰგავდა გმირსა.
დაეთრთვილა დიდ მინდორი
იმის თვალთა ნადენ ცრემლსა;
გვერდით ება თავის რაშო,
ისიცა ჩნდა ნიავ-ქარსა,
წერილად ესხა მარგალიტი
იმისა ტახტ-უნაგირსა“.

უკანასკნელი ორი სტრიქონის ვარიანტია:

„ტურფად ესხა მარგალიტი
იმის აბჯარ-უნაგირსა,
საყვარელი დაჰკარგოდა,
დანა არ უხსნიდა პირსა“.

(2, გვ. 269).

ეს სტრიქონი, — ფიქრობს ალ. ხახანაშვილი, — რუსთაველს ასე აქვს შეცვლილი:

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შაეი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა“.

(სტროფი—84).

ხალხურ „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის გარეგნული აღწერილობა მოკლეა: — „ნამტირალი ჰგავდა გმირსა“ და ის „სრულიად არ იხსენიებს, თუ „მას ტანსა კაბა ემოსა, — გარე თმა ვეფხის ტყავისა“.

ეს ვეფხისტყავის კაბა, — განაგრძობს ალ. ხახანაშვილი, — „რუსთაველის მიერაა მიმატებული“ და, შესაძლოა, აქ ჰომეროსის გავლენა მოსჩანდეს: ილიადაში პარისი გამოდის ბერძენთა გმირებთან საბრძოლველად „ვეფხისტყავ-წამოსხმული“ (2, გვ. 270).

აქაც ალ. ხახანაშვილი იწერს სტროფს „ვეფხისტყაოსნიდან“ და ა. შ. შემდეგ ვრცლად განაგრძობს ხალხური და წიგნური „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების შედარებას (2, გვ. 271, 274 — 284).

მეცნიერის დასკვნით, რუსთაველმა აიღო ხალხური თქმულების სტრიქონები და შეაკეთა. ამოსავლად მას ის მიაჩნია, რომ საერო (ხალხური, ი. მ.) და სალიტერატურო „ვეფხისტყაოსანი“ შინაარსით ერთი და იგივეა... საყურადღებოა ის გარემოება, — წერს ალ. ხახანაშვილი, — რომ ტარიელზე ლექსები დარჩენილია ფშავ-ხევსურეთში მეტის სისრულით, ვიდრე ბარად. მთაში ლიტერატურის გავლენა ყოველთვის ნაკლები იყო, ვიდრე ქართლ-კახეთში; ტარიელის ამბავი აღმოჩნდა სვანეთშიც*. მაშასადამე, შოთას აუღია იგი ხალხისაგან, ოღონდ „გა-

* ეს ზოგადი აზრი ცნობილი იყო მხოლოდ ერთი მკრთალი ჩანაწერით; იგი დადასტურა შემდეგდროინდელმა უფრო მნიშვნელოვანმა ჩანაწერებმა ს. ჟ. ე. ნ. ტ. ო. ს. ა. — „ვეფხისტყაოსნის“ სვანური ვარიანტი. — სსკე მცნეიერებთა აკადემიის საქართველოს ფოლიალის აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის „მოაზებე“, ზ. III (თბ., 1938), გვ. 157—158.

უმშვენიერებია ხალხური პოემა ფილოსოფიური მოსაზრებით, მეტყველის ენით, პოეტურის აღქაფრენით...“ (2. გვ. 270).

ალ. ხახანაშვილი თავის თეორიას ამაგრებდა შემდეგი სიტყვებითაც: „ერს იმიტომ უყვარს და აღიდებს შოთას ნაწარმოებს, რომ შინაარსი იმის პოემისა (უძველესი ჩონჩხი, ი. მ.) ხალხის გულიდგან არის ამოღებული“ (იქვე, გვ. 287).

მისი საბოლოო დასკვნა ასეთია: რუსთაველმა ხალხური თქმულების საერთო სქემა გამოაყენა, მას „მისცა თვითშემოქმედებითი ნიჭით დრამატიული სისრულე და ფსიქოლოგიური სინამდვილე, ჩაუმატა ფატმანის და შერმადანის სახელები, უფრო მწყობრად ააგო გმირების დამოკიდებულება, ავთანდილ, ტარიელ და ფრიდონ ნათესაური კავშირით განაცალკევა და შეაერთა თანხმობითი ინტერესებით და მეგობრული სიყვარულით. უფრო ღრმად ჩაიხედა კაცის გულში და იქიდან ამოზიდა თვითცნობიერების მარგალიტი. სახალხო მოთხრობის საეროვნებო, ნაციონალური მოტივის სალიტერატურო ქმნილებად გადაქცევა ამალლებს ჩვენს თვალში შოთა რუსთაველს. იგი უყურებს ხალხურს პოეზიას მონაზონივით კი არა, რომელიც საერთო ნაწარმოებს უკუ-აგდებს და ხელს ჰკიდებს სასულიერო ისტორიის შემუშავებას. არა, შოთა ბევრად მაღლა დგას იმდროინდელ საზოგადოებაზედ, იგი დამდერს საერთო ჰანგს, ნაციონალურს მოტივს, გაღვივებულს ისტორიული ძლევა-მოსილებით თამარის მეფობის დროს“ (2, გვ. 285).

ავტორს არ გვინდა დავუკარგოთ არც ის აზრი, რომლითაც იგი აღიარებს, რომ ხ ა ლ ხ უ რ თ ქ მ უ ლ ე ბ ა თ ა ჩ ო ნ ჩ ხ ი დ ა ნ შ ე ქ მ ნ ი ლ მ ა პ ო ე ტ უ რ მ ა ნ ა წ ა რ მ ო ე ბ მ ა შ ე მ დ ე გ ი მ ო ქ მ ე ღ ა ე რ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა - გ ო ნ ე ბ ა ზ ე*, იმის საგულისხმიერო ფილოსოფიური აზრები ვრცელდებოდა ხალხში და ანდაზების ხასიათს იღებდა. აქ „ო რ ი პ რ ო ც ე ს ი შ ე ხ ვ დ ა ე რ თ მ ა ნ ე თ ს — (ჯერ) ზ ე პ ი რ - თ ქ მ უ ლ ე ბ ა მ მ ი ს ც ა ს ი უ უ ე ტ ი პ ო ე ტ ს

* ეს აზრი არის საფუძველი მის. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი ს წ ი ვ ნ ის ა — „ხალხური ვეფხის-ტყაოსანი“ (თბ., 1936, მეორე გამოც. — 1937). ჩვენ კი პირაქით — ვფიქრობთ, საბოლოოდ ნათელეყავით, რომ ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის პოემის გაუღენითაა შექმნილი (1940, 1954, 1960 წ. ჩვენი ნაშრომები). უკანასკნელად მის. ჩ ი ქ ო ვ ა ნ მ ა დ ა ი ხ ი ა უ ა ნ (იხ. მისი „შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი“, თბ., 1966; წიგნის სხვა მხარეზე აქ აღარაფერს ვამბობთ), მაგრამ ძველს მტკიცებას მთლიანად მაინც ვერ შეველა.

და (შემდეგ) პოეტის ქმნილებაში ზემოქმედება იქონია ხალხის შეხედულებაზე“ (2, გვ. 287, ხაზი ჩვენია. ი. შ.).

შვენიშნავთ: მაშინ ამ თეორიას მხარს უმაგრებდა ეროვნული მოტივი, საწინააღმდეგოდ სანუკვარი პოემის უცხოური წარმოშობის ჰიპოთეზისა. ახლა ამის საჭიროება არ არსებობს, — აღარაა სადავო, რომ პოემა ქართულ სინამდვილეს ასახავს.

ალ. ხახანაშვილის ჰიპოთეზის დამცველი და განმავითარებელი პროფ. მიხ. ჩიქოვანი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხალხური ვარიანტები, რომლებიც „ტარიელიანისა“ და „ავთანდილიანის“ სახელწოდებითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, წინ უსწრებდა წიგნურ „ვეფხისტყაოსანს“, რომ რუსთაველმა ხალხური თქმულება გადაამუშავა და გაამდიდრა.

მ. ჩიქოვანიც უშვებს შესაძლებლობას, რუსთაველმა შექმნა „ვეფხისტყაოსანი“ ხალხური თქმულების საფუძველზე და შემდეგ თვით წიგნურმა პოემამ მოახდინა გავლენა ხალხურ „ტარიელიანზე“, — დაიმსგავსა, დაიხლოვა იგი და მას პირვანდელი სახე დაუკარგა, მისი აღდგენა უკვე შეუძლებელიაო.

ჩვენ ნაშრომში „Шота Руставели и грузинский фольклор“ (ლენინგრადი, 1940), რომელიც არსებითად განმეორებულია ჩვენივე წიგნში „Руставели и фольклор“ (თბ., 1960), დავასაბუთეთ, რომ ეს თეორია არ არის სწორი. როგორც ტარიელი და ავთანდილია ერთი წიგნური პოემის ორი გმირი, ისევე დასახელებული ფოლკლორული „ტარიელიანი“ და „ავთანდილიანი“ ვარიანტებია ერთი თქმულებისა და ორივე თქმულება შექმნილია „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირსიტყვიერებაში გადასვლისა და გავრცელების გზით, ე. ი. აქ წიგნური ნაწარმოების გახალხურებასთან გვაქვს საქმე. ასეა იმიტომ, რომ თქმულებების მთავარი და პირველადი, გამჟღავნებელი აზრი „ვეფხისტყაოსნის“ ამბავია.

მთლიანად აღებული „ტარიელიანის“ სტილი წიგნური პოემის ისეთ უდავო ნიშნებს შეიცავს, რომლებიც არ შეიძლება ხალხური წარმოშობის იყოს. ხალხური თქმულების სტრიქონი:

„ნახეს მოყმე წყლისა პირსა, ნამტირალი ჰგაედა გმირსა“, რომ წიგნური სტროფის —

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა“-ს ხალხური გადაეკეთება, ეს ექვს არ იწვევს.

ასეთივეა წინადადებაც. „ნეკა თითზე მათრახ ეცვა“.... ამისი წიგნური პირველი წყაროა: „ხელში ეჭირა მათრახი“...

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამავე სტროფის სიტყვებში „ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა....“ ხალხს აბჯარი უადგილოდ ჩაუთვლია, რადგანაც უნაგირსა და ლაგამს ა ე შ ა რ ა ახლავს და არა აბჯარი, და ლექსი აგრე შეუცვლია: —

„ხშირად ესხა მარგალიტი აღვირ-ავშარ-უნაგირსა“.

სტრიქონი: „დაეთრთვილა ვარდი ვარდსა“ არაა ხალხური გამოთქმა. ესეც წიგნური სტროფის — „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილას“ სახეცვლილებაა. ასევე —

„თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შე მ ა გ ე ბ ი ნ ე“, — უდავოდ წიგნური წარმოშობისაა და ამიტომ შემაგებინე — ფორმა შე მ ა ტ ყ ო ბ ი ნ ე სიტყვითაა შეცვლილი.

ასეთ ანალიზს რომ გავყვეთ, სრულიად უდავო გახდება, რომ ხალხური „ტარიელიანი“ და „ავთანდილიანი“ რუსთველური წარმოშობისაა.

„ვეფხისტყოსნის“ სიტყვები, წიგნური ფრაზები და ზოგჯერ მთელი წინადადებები მხოლოდ ოდნავი ცვლილებებით, ზოგჯერ სიტყვათა მექანიკური გადასმა-გადმოსმით გვხვდება „ტარიელიანში“.

„ტარიელიანშივე“ გვხვდება ისეთი სტროფებიც, რომლებიც „ვეფხისტყოსანში“ არაა, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ ისინი რუსთაველის წიგნური პოემის ლექსის მიბაძვას, იმიტაციას წარმოადგენს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხალხური „ტარიელიანი“ მთლიანად ლექსად არ გვხვდება. მასში პროზაული ნაწილები ენაცვლება ლექსურ სტროფებს. მთელ ვერსიაში მთქმელების მიერ შეტანილი ელემენტები უმთავრესად სწორედ პროზაულ ნაწილებში გვხვდება. ლექსებში უკეთესად შემოინახეს რუსთაველის ლაკონიური სტრიქონები, მაგრამ „ტარიელიანის“ პროზაული წინადადებებიც კი ხშირად რუსთაველის პოემის სტრიქონების აშკარა ნიშნებს ატარებენ.

საკითხი რომ სხვა ნიშნითაც გავსინჯოთ, დავინახავთ, რომ „ტარიელიანიში“ ი გ ი ვ ე გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი და ა დ ა მ ი ა ნ თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი გ ვ ხ ვ დ ე ბ ა, რ ო მ ლ ე ბ ი ც „ ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ შ ი “ გ ვ ა ქ ვ ს. „ტარიელიანი“ რომ რუსთაველის პოემაში იყოს შეთხზული, თქმულების გეოგრაფიული მხარე ძირითადად

მინც საქართველო ან კავკასია იქნებოდა. მაგრამ ასე როდია. „ტარიელიანის“ გმირთა სამოქმედო ასპარეზი შორეული ინდოეთი, არაბეთი, გულანშარო და ქაჯეთია. ეს „ტარიელიანის“ მეორადობის ერთი ისეთი აგრეთვე ეტაგანია, რომ მისი საწინააღმდეგო ამავ ეძალის საბუთი არ მოიპოვებდა.

სხვა მხრივაც თვალსაჩინო და უდავო ხდება, რომ „ტარიელიანი“ მეორადი მოვლენაა. მაგალითად, ხალხურ ვერსიაში ლერწამ-დარეჯანი იხსენიება. აქ ლერწამი ხალხისათვის უცნობი სახელის — ნესტანის სახეცვლილებათაა.

ესა და ამგვარი ნიშნები უდავოს ხდიან, რომ რუსთაველმა თვითონ შექმნა თავისი პოემის სიუჟეტი, რომელიც პოემიდან გადავიდა ხალხურ სიტყვიერებაში და არა პირიქით. „ვეფხისტყაოსნის“ ხალხური ვარიანტების სიუჟეტის მთლიანობა და აზრის ლოგიკური განვითარება (ეს წარმოდგენილია პოემის პროლოგისა და ეპილოგის გარეშე), ეპიზოდების, ენის ზალალი მხატვრულობა და წინადადებათა სისხარტე, აფორიზმების ღრმა აზრიანობა და მათი საოცრად შესაფერის ადგილზე გამოყენება, — მთლიანად აღებული ყველა ამ კომპონენტის ანალიზი (ისე, როგორც „ოდისის“ ასეთივე ანალიზი), უეჭველს ხდის, რომ ისინი წიგნური წარმოშობისაა, ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ ზოღინარეობენ ან მათივე სათანადო ელემენტების მიბაძვით არის შექმნილი.

და მინც „ტარიელიანის“ წიგნური წარმოების ჩვენი შეხედულება არ ნიშნავს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ თითქოს არაფერი ხალხური არ იყოს. პირიქით, უდავოდ მიგვაჩნია, რომ რუსთაველი თავისი პოემის ცალკეული ეპიზოდების, თუ მისი ნაწილების დამუშავებისას ზეპირსიტყვიერებას ისევე იყენებდა, როგორც ის იყენებს მის მიერ წაკითხულ წიგნებს, რომლებსაც არაერთხელ ასახელებს. რუსთაველი, როგორც ქართველი, ქართულ დემონოლოგიას უფრო ეყრდნობოდა, მაგრამ მან შუა საუკუნეების მითოლოგია და საერთოდ ზეპირსიტყვიერებაც ბრწყინვალედ იცოდა. „ვეფხისტყაოსანში“ არის ჩვეულებრივი ზღაპრული ელემენტები, რომლებიც შერწყმულთაა არაზღაპრულთან. ასეთებზე ამბობდა ვაჟა-ფშაველა: ისიც პოეტის შემოქმედებით ქურაშია გატარებული.

ჰომეროსის მსგავსად, რუსთაველი ეკუთვნის ისეთ მცირერიცხოვან გენიოსთა რიცხვს, რომელთა ჩამოსათვლელად, როგორც ამაზე მოსე გოგიბერიძე შენიშნავდა, ხელის თითებიც კი ბევრია.

ასეთი გენიოსები ფოლკლორიდან თუ რამეს (სიუჟეტს, რომელიმე აქმულეების ეპიზოდს, ხალხურ აფორიზმებს და გამოთქმებს) აიღებენ, ისინი მათ მხოლოდ ნედლ მასალად იყენებენ, გარდაქმნიან, გადაამუშავენ, მხატვრულად ისე აამაღლებენ, რომ მარგალიტებს ჰქმნიან და, ცხადა, ეს უკვე ის აღარაა, რაც მწერალმა ხალხისაგან ისესხა.

„ვეფხისტყაოსანი“ თამარის ეპოქის სინამდვილის მხატვრულ, ამოღლებულ სახეებში წარმოდგენა და თამარ მეფემდე თამარის შესახებ თქმულებანი არ შეიძლებოდა არსებულებოდა.

მამასადამე, ჯერ რუსთაველის პოემაში იმოქმედა ზეპირსიტყვაობაზე, შემდეგ კი არამც თუ ზეპირლექსებში, არამედ ხელნაწერებშიც კი ჩანს ზეპირსიტყვიერების გავლენა. რუსთაველმა, როგორც გენიოსმა პოეტმა, უფრო მეტად, ვიდრე სხვა მწერლებმა, იმოქმედა მისი შემდგომი ქართული მწერლობისა და ზეპირსიტყვიერების განვითარებაზე. ეს გავლენა ჩანს არა მარტო ქართულ ორიგინალურ, არამედ ქართულში შემოსულ (ნასესხებ) რუსთაველის შემდეგდროინდელ ძეგლებზე და ლიტერატურულად ისეთ ჩამოყალიბებულ ნაწარმოებებზეც კი, როგორიცაა „შაჰნამეს“ ქართული ვერსიები, და „როსტომიანის“ ქართული ხალხური ვარიანტები.

ჩვენმა უდიდესმა პოეტმა გაამდიდრა და აამაღლა არა მხოლოდ ქართული მწერლობა, არამედ ქართული ზეპირსიტყვიერება და ქართული ენაც. მან ზეასწია ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა და მთელი ჩვენი ეროვნული კულტურა.

ვუბრუნდებით ისევ ალ. ხახანაშვილის ნაშრომს. ავტორი მართალია, როდესაც ამბობს: „ჩვენ ნაძალადევად მიგვაჩნია „ვეფხისტყაოსანში“ ისტორიული ეპოქის სრული სურათის აღმოჩენა“, მაგრამ პოეტურ სახეებში ეპოქის წარმოდგენა მასაც შესაძლებლად მიაჩნია. ამიტომ იგი წერს: „რუსთაველი ცხოვრობდა დიდებული თამარ მეფის დროს, როცა საქართველოს პოლიტიკურმა და კულტურულმა გაძლიერებამ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია. პოეტი გვერდს ვერ უქცევდა თანამედროვე საზოგადოების გატაცებას, იმ პოემისათვის ბეჭედი უნდა დაესვა გმირულ ხანას და საქართველოს აყვავების მიზეზს“. ამიტომ, — განაგრ-

ძობს ავტორი, — „საკვირველი არ არის, რომ პოეტი ქებით იხსენიებს თამარს და მოწიწებით თავს იხრის მის წინაშე“ (2, გვ. 293).

აღა. თვით თამარზე წერს და მის დროს ასახავს. მაშასადამე, ალ. ხახანაშვილი არაა მართალი, რომ ქართული ხალხური თქმულება, რომლითაც პოეტმა ისარგებლაო, „ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი დ ა ნ ი ყ ო ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი შ ე მ ო ტ ა ნ ი ლ ი“ (იქვე, ხაზი ჩვენია; ი. მ.).

არსებითად ამ აზრს ერთ დროს ივ. ჯავახიშვილიც მიემხრო. იგი წერდა: «Сюжетом для поэмы взята персидская повесть, которая ему была знакома в грузинском переводе, сделанном, видимо, задолго до него» («Энциклопедический словарь» Граната, — Г р у з ი я, გვ. 248).

აღ. ხახანაშვილის ეს აზრი უფრო ზუსტად გაიმეორა და ერთ დროს განავითარა კიდევ იუსტ. აბულაძემ, მაგრამ არც ეს ჰიპოთეზაა სწორი, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, თ ა მ ა რ მ ე ფ ე მ დ ე მ ის შ ე ს ა ხ ე ბ ხ ა ლ ხ შ ი თ ქ მ უ ლ ე ბ ა ვ ე რ ი ქ ნ ე ბ ო დ ა და ს ხ ვ ა თ ქ მ უ ლ ე ბ ა თ ა მ ა რ ის ის ტ ო რ ი ა ს ის ე ვ ე რ მ ო ე რ გ ე ბ ო დ ა , რ ო გ ო რ ც რ უ ს თ ა ვ ე ლ ის პ ო ე მ ის ც ა ლ კ ე უ ლ ი მ ო ტ ი ვ ე ბ ი.

კერძო საკითხთაგან საყურადღებოა ალ. ხახანაშვილის ალლო და ორი-ენტირებულება ქართულ ფოლკლორში. იგი ეხება მაისურთვის (მაისურ-რაძის) ნაწარმოებს — „ვარდციხეს“ და აღნიშნავს, რომ თამარისა და რუსთაველის ვარდციხეში ერთად ყოფნის, პოემის დაწერისა და რუსთაველის სიკვდილის, იქ აღწერილი ამბები მაისურთვის ფანტაზიის ნა-ყოფია.

პოემის ენის შესახებ ალ. ხახანაშვილი ამბობს, რომ ახლა ზოგი რამ გაუგებარია, რაც თავის დროზე გასაგები იყო. მაშასადამე, იმ ეპოქის ძეგლების ენას უნდა შესწავლაო („ივერია“, 1893, № 275, გვ. 2—3).

*

რუსთველოლოგიურ ძიებებს გარდა, მნიშვნელოვანი იყო ალ. ხახანაშვილის სამეცნიერო-კვლევითი, სისტემატური პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მის ნაწარმოებს დღესაც უფრო ხშირად იყენებენ რუსი მკვლევარები, ვიდრე სხვებისას. მას დიდად აფასებდნენ იმდროინდელი მოწინავე თანამემამულენი.

აღ. ხახანაშვილის გარდაცვალების ამბავი აკაკი წერეთელმა რაჭა-
ლეჩხუმში მოგზაურობის დროს გაიგო; მაშინვე თბილისში ჩამოვიდა
და მიცვალებულს სიტყვა უთხრა.

აღ. ხახანაშვილი ის სამაგალითო მოღვაწე იყო, — აღნიშნა ა. წერე-
თელმა, — რომელიც საქართველოს გარეთ ცხოვრობდა, მაგრამ ის მუ-
დამ სამშობლოს საქმეს აკეთებდა, იქაც და აქაც ემსახურებოდა მას,
„სდნებოდა სანთელივით მისი გულისათვის და იმ შორიდან უნათებდა,
და მარტო ეს რომ არ დააჯერა, შეზღუდა თავისი პირადი ცხოვრება იმ
განზრახვით, რომ თავის ოფლითა და შრომით მონაგარი რამე დაეტოვე-
ბია ქართველობისათვის საშვილიშვილოდ“ (თხზულებანი, ტ. XIV,
1961, გვ. 484).

ნ. მარი უმკაცრესი იყო თავისი თავისადმი და სხვისაგანაც სიზუსტეს
მოითხოვდა; ასწორებდა აღ. ხახანაშვილის ზოგიერთ შეცდომას და მას-
ვე წერდა: ჯ ა მ ი ს ნათესაობითი ბრუნვით ფორმა მიგილიათ ჯ ა მ ი
— სახელობითის მაგიერ, „მე მიკვირს, თქვენ შენიშვნებში თავის წყა-
როები არ დაასახელებთ ცხადად.... თქვენ იმდენად საიმედო თანამშ-
რომლად მიმაჩნიხართ კავკასიის შესწავლაში“, რომ ვერ მოგიწონებთ
ამასო და სხვა (1899 წ. ნოემბერი).

ცნობილია, რომ აღ. ხახანაშვილსა და ნ. მარს შორის გართულებული
ურთიერთობა იყო, მაგრამ ამ წერილიდან ჩანს, რომ ნ. მარიც კი სა ი-
მ ე დ ო თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ა დ აღიარებს აღ. ხახანაშვილს.

გიორგი წერეთელი აღ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ის-
ტორიის“ მესამე წიგნის გამოსვლის (1897) გამო წერდა: „გაბედვით შე-
მიძლიან ვთქვა, რომ არც ერთს ქართველ მეცნიერს და მოღვაწეს იმდენ-
ი დამსახურება არ მიუძღვის თავის ერის წინაშე, როგორც აღ-
ხახანაშვილს“. ამან შეისწავლა მთელი ჩვენი გონების საუნჯე, და, მისი
უცხოელებისათვის გაცნობის მიზნით, რუსულად გამოაქვეყნა, „მთე-
ლი ორი ათასი წლის კულტურული მოძრაობა საქართველოს ერისა და
მისი დამსახურება კაცობრიობის წინაშე“. მისი საშუალებით უცხოელ-
მა მეცნიერებმა შეიტყვეს, რომ ქართველი „ერი მართლაც ღირსშესა-
ნიშნავი ყოფილა თავისი წარსულით, თავისი მდიდარი ლიტერატუ-
რით, ხუროთმოძღვრებით, საერო პოეზიის ნიმუშებით“ („კვალი“
1895, № 45, გვ. 479).

აქ გადაჭარბებულია მხოლოდ ის, რომ პირველად აღ. ხახანაშვილის
წყალობით გაიცნო ევროპამ ქართველი ერის სულიერი სიმდიდრეო. მას

ზოგადად მანამდეც იცნობდნენ თუნდაც მ. ბროსეს ნაშრომების წყალობით. ხსენებული წიგნის გამოსვლის შემდეგ კი, ნ. მარის ნაშრომებმა ხომ სრულიად ახალი ერა შექმნეს ქართველოლოგიაში და სწორედ ნ. მარმა და მისმა ავტორიტეტმა მოუპოვა დიდება ქართულ კულტურას მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ უეჭველად სწორია ის აზრი, რომ პროფ. ალ. ხახანაშვილის «ქართული სიტყვიერების ისტორიამ» და იმავე ავტორის სხვა ნაშრომებმა უდაოდ ხელი შეუწვევს ქართველოლოგიის განვითარებას.

ალ. ხახანაშვილმა პირველმა გაართვა თავი ქართული მითოლოგიის, საერთოდ ქართული ზეპირსიტყვიერებისა და მწერლობის ზღვა მასალას, მოიყვანა ის სისტემაში და შექმნა «ქართული სიტყვიერების ისტორიის» გაბმული, სისტემატიკური კურსი ოთხ ტომად, რომელთაგან პირველი ტომი ახლაც ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა. ამდენად ჩვენ სწორად მიგვაჩნია ქს. სიხარულიძე, რომელმაც ალ. ხახანაშვილს ქართული ფოლკლორის ტიკის ფუძემდებელი უწოდა (3). ალ. ხახანაშვილის ნაშრომებმა შეუწყო ხელი აგრეთვე ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეს ფართო მასშტაბით. ყოველივე ამასთან ერთად, ალ. ხახანაშვილის ნაშრომების გამოყენებით გაიშალა შემდგომი სისტემატიკური და უფრო თანმიმდევრული კვლევა-ძიება ქართველოლოგიაში; მუდამ უკვდავ და პირველ წყაროებად დარჩება მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლების ბიოგრაფიების ის მასალები, რომლებიც მან შეკრიბა და გამოაქვეყნა. მის წიგნებზე აღიზარდნენ თაობები რუსეთსა და საქართველოში, მათ იყენებდნენ და იყენებენ საზღვარგარეთაც.

ალექსანდრე ხახანაშვილის დამსახურება რუსთველოლოგიასა და ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში უეჭველად მნიშვნელოვანია.

1 А. С. Хаханов [Хаханашвили]. Очерки по истории грузинской словесности. Выпуск первый — народный эпос и апокрифы. Тбилиси, 1895, ნაწილი მესამე — «Груз. древняя литература XIII—XVII в.», მოსკოვი, 1901. 2. ალექსანდრე ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია (უძველესი დროიდან მე-XVIII საუკ. ვასელამდე), გამოცემა მესამე, თბ.,

1919. ვ.ალ. ხახანაშვილზე რამდენიმე ნეკროლოგი, მოგონება და წერილი გამოქვეყნდა. მაგ., 1912 წელსავე: გაზ. „თემი“ № 82, „ქართლი“ № 6, «Тифлис», № 171, «Кавказ», №171, უკურს: „განათლება“ № 7, «Исторический вестник», С ХХІХ, т. 9, «Этнографическое обозрение» 1—IV (ნეკროლოგი) და ბიბლიოგრაფიანაშრომებისა, «Русская мысль» 1. წიგნი IX და სხვ.; ს. მგალობლიშვილი. მოგონებები, თბ., 1938. კს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. ქართული ფოლკლორისტიკის ფუძემდებელი (ალ. ხახანაშვილი).— „ლიტ. საქართველო“, 1941 № 3; შ. გოზალობლიშვილი. ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი.— „მნათობი“, 1964 № 1; „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 № 32. И. К. Э н а к о л о п а ш в и л и (Ениколопов). Дидубийский пантеон (თბ., 1957, გვ. 203—205) და სხვა.

დავით კარიჭაშვილი

პედაგოგი, ისტორიკოსი და გრამატიკოსი დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი (1862—1927) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავდადებული მუშაკი იყო.

თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, დ. კარიჭაშვილმა რამდენიმე წელი დაჰყო საფრანგეთში, ხოლო შემდეგ კი ფრანგულ ენას ასწავლიდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

ის არ იყო მეცნიერების რომელიმე კონკრეტული დარგის მკვლევარი, მაგრამ, — წერს იპ. ვართაგავა, — „მშვენიერად იცოდა საქართველოს ისტორია,.... ერკვეოდა ლიტერატურის საკითხებში“. არც ენათმეცნიერი იყო, მაგრამ შეადგინა ქართული გრამატიკა და სალექსიკონო მასალებს ამუშავებდა. ის საერთოდ განათლებული „მომზადებული, კულტურული მოღვაწე იყო“ (3).

დ. კარიჭაშვილი წერს ზოგიერთი გამოცემის შესახებ (მაგ., ნ. მარის წიგნზე „ძველი ქართველი მეხოტბეები“, 1902). საგაზეთო წერილშივე მიმოიხილავს მარი ბროსეს მოღვაწეობას ქართველოლოგიაში (1902), ადგენს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში დაცულ ხელნაწერთა კატალოგს (1905) და აღწერს ამ ბიბლიოთეკაში არსებულ ხელნაწერ „ვეფხისტყაოსნის“ ცალებს, მაგრამ არც ერთი მათგანი კვლევითი ხასიათის არაა.

•

დ. კარიჭაშვილის ძირითადი დამსახურებაა რუსთველოლოგიაში, რომ მან ორგზის გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსანი“ ვრცელი წინასიტყვაობით (გამოკვლევით, ი. შ.) შენიშვნებით და ლექსიკონით (1) და ცალკე წერილიც დაიბეჭდა (2).

მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა იმის შედეგია, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას დაუდგენია, გამოეცა „ვეფხისტყაოსანი“ სახალხოდ გასავრცელებლად“ 1888 წელს გამოქვეყნებული ტექსტის დაცვით. მას ეს საქმე დ. კარიჭაშვილისათვის მიუზღვია. უკანასკნელს, — როგორც თვითონ წერს, — ველარ მოუთმენია და მის მიერ წიგნში შემჩნეული კორექტურული შეცდომები მაინც გაუსწორებია (1, 1903, გვ. XXVIII), მასვე უსარგებლია არსებული ლექსიკონებით, ისინი შეუქსია და ლექსიკონიც შეუდგენია. ტექსტში ჩანართებიც შეუმჩნევია, მაგრამ არ გამოუტოვებია, რადგან, — თვლიდა იგი, — საამისოდ საჭიროა ხელნაწერების შესწავლა, რომელიც ჯერ არ განხორციელებულაო. ამგვარად, მან თავის გამოცემაში ძირითადად მაინც „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის ტექსტი გადაბეჭდა.

წინასიტყვაობაში დ. კარიჭაშვილი მოკლედ ჩერდება რუსთაველის ვინაობისა და მისი ქმნილების შედგენილობის, პროლოგისა და ეპილოგის ძირითად ტექსტთან ურთიერთობის, უკანასკნელის სიუჟეტისა და რიგ სხვა საკითხებზე.

პოეტის ვინაობაზე ის იმეორებს ტრადიციულ გადმოცემებს, რომ იგი თამარ მეფის მოლარეთუხუცესია, გვარი რუსთაველი ნაწარმოებია რუსთავის ქალაქითგან, პოეტი „სიბერეში წასულა იერუსალიმში“, იქვე გარდაცვლილა და სხვა.

ის არ იზიარებს მხოლოდ ტრადიციულ იმ აზრს, თითქოს, რუსთაველი ბერად შემდგარიყოს. ამ საკითხზე დ. კარიჭაშვილი წერს: „იერუსალიმის ჯვარის მონასტერში ყოფილა დახატული შოთა რუსთაველის პორტრეტი.... ჩვენ გვგონია, რომ თქმულება რუსთაველის ბერად შედგომის შესახებ გაჩნდა ამ პორტრეტის წყალობით“. ეს პორტრეტი შეიძლება იყოს გამოხატულება რომელიმე რუსთავის ეპისკოპოსისა, რომელიც სიბერეში მართლაც ყოფილა იერუსალიმში და „იქ მიცვლილი იქვე დამარხულა“ (1, გვ. XXVI—XXVII).

„ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობის თაობაზე დ. კარიჭაშვილი აღნიშნავს: რუსთაველის პოემა შედგება „სამის უსწორმასწორო ნაწილისაგან“ (წინასიტყვაობა, თხზულება და უკანასიტყვაობა). აქ აღ. სარაჯიშვილისა და მის თანამოაზრეთა წინააღმდეგ, დ. კარიჭაშვილი წერს: „ბევრს სამივე ეს ნაწილი ერთს მთლიანს თხზულებად და ერთის ავტორის ნაწარმოებად მიაჩნია“. ჩვენ კი ფიქრობთ, რომ „წინასიტყვაობას

და უკანასიტიყვაობას არამც თუ არაფერი საერთო არა აქვთ: რა თვით თხზულების მოთხრობასთან, არამედ თვითონ ეს ნაწილები ცალკე არაფერს ერთიანს არ წარმოადგენენ და როგორც წინასიტიყვაობის, ისე უკანასიტიყვაობის ტაქეები სხვადასხვა პირთაგან და სხვადასხვა დროს უნდა იყვნენ დაწერილინი“ (1, გვ. VII—VIII).

მეტცი, ზემოთ რბილად თქმული „უნდა იყვნენ დაწერილინი“ ავტორს ასე კატეგორიულადაც აქვს განცხადებული: „წინასიტიყვაობის განხილვამ ცხადად დაგვეჩვენა, რომ მასში არ არის არავითარი საერთო აზრი, რომელიც ვადიოდეს თავიდან ბოლომდე. იგი შესდგება სხვადასხვა ნაკუწებისაგან სხვადასხვა საგნების შესახებ, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ერთმანეთში“ (1, გვ. XIII).

ეს მცდარი აზრი გააკრიტიკა ნ. მარმა, მაგრამ ამის შემდეგაც პროლოგ-ეპილოგის ანარქუსთველურობის მტკიცებას მხარი დაუჭირეს ალ: სვანიძემ და ერთ დროს კ. კეკელიძემაც, მით უფრო, იმავე აზრს იცავდა დ. კარიჭაშვილი (2, შდრ. 4, გვ. 23).

დ. კარიჭაშვილის შეხედულებით, „ვეფხისტყაოსანი“ უნდა მთავრდებოდეს ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის შეუღლებითა და მათი სამშობლოში დაბრუნებით. ნამდვილი „ვეფხისტყაოსანი“, — ამბობს იგი, — არის ის, რაც მოთავსებულია 32—1571 სტროფებს შორის — „იყო არაბეთს როსტევან“... „ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს...“ (1957 გამოც. 32—1664) სტროფები.

სიუჟეტის საკითხში დ. კარიჭაშვილი იცავს პოემის ორიგინალობის თვალსაზრისს. იგი აღნიშნავს, „უსაფუძვლოდ მიგვაჩნია... აზრი, — ვითომ ვეფხისტყაოსანი იყვეს თარგმანი სპარსულითგან“ (1, გვ. XXII)*.

დ. კარიჭაშვილი განმარტავს: „ადამიანის სული და ბუნება ქართულ ენას პოეტს საქართველოში ჰქონდა შესწავლილი ქართველთ სხვადასხვა ტიპების დაკვირვებით“ და ამიტომაც, — შენიშნავს ავტორი, — „ჩვენ სრულებით ვეთანხმებით ბ-ნს აკაკი წერეთელს“, რომ რუსთაველი ქართველ ტიპებს გვიხატავსო (1, გვ. XXV, 4, გვ. 104—105).

* ამ საკითხზე გ. იმედაშვილის წიგნ „რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში“ უზუსტობაა შეპარული: დ. კარიჭაშვილი ამტკიცებს, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არის რუსთაველი; გ. იმედაშვილის ანოტაციაში კი ვკითხულობთ: დ. კარიჭაშვილი „ეხება ვეფხისტყაოსნის ავტორობის საკითხს და დაასკვნის, რომ რუსთაველი არ არის პოემის ავტორი“ (გვ. 237).

დ. კარიჭაშვილი მთლიანად არ იზიარებს აკაკი წერეთლის თვალსაზრისს „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედ პირთა ქართულ კუთხურობაზე. ამ პირთაგან, — წერს იგი, — თინათინი, მართალია, მოგვაგონებს თამარ მეფეს, მაგრამ ის არაა პოემის მთავარი გმირი. „პოემის ნამდვილი სული და გული არიან ნესტან-დარეჯანი და ტარიელი, პოეტის ყურადღება მათზეა მიქცეული და თხზულებაც ამათ გულისათვის არის დაწერილი“, მაგრამ თამარს არ ჰგავს ნესტან-დარეჯანი, მათ შორის მხოლოდ ის მსგავსებაა, რომ „ერთიც და მეორეც არიან ერთადერთი შვილები მამცხა“ (1, გვ. XX—XXI).

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც დ. კარიჭაშვილი ეხება, ესაა, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგ მეექვსისეული გამოცემის წყაროების საკითხი. მას მიაჩნია, რომ პოემის გამოცემაში ტექსტი (სხეული პოემისა) კარგადაა დაცული, თუმცა ზოგიერთი ჩანართი მასშიც შეიმჩნევა. დ. კარიჭაშვილი არ იზიარებდა მაშინ ე. თაყაიშვილის მიერ გამოთქმულ სწორ დებულებას, რომ პოემის ვახტანგისეული გამოცემა შეიცავს გაცხრილულს (კრიტიკულ) ტექსტს. მისი მტკიცებით (1913), ვახტანგს პოემის რომელიღაც ხელნაწერი უცვლელად გამოუქვეყნებია. ჩვენო, — შენიშნავდა დ. კარიჭაშვილი, — რუსთაველის პოემის „ვახტანგის გამოცემის დედანი მიგვაჩნია უძველესად თავის შედგენილობით“ (2, გვ. 4—5; 4, გვ. 398—400).

როგორც ზემოთ ითქვა, ნ. მარი არ იზიარებდა აზრს — „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ამავე პოემის პროლოგ-ეპილოგი თითქოსდა არ ეკუთვნოდეს, მაგრამ დ. კარიჭაშვილს მაინც ხელს უწყობდა.

„დ. კარიჭაშვილისაგან მსმენია, — წერს იპ. ვართაგავა, — ის ამბავი, თუ როგორ ეხმარებოდა, რა რჩევასა და მითითებებს აძლევდა ნ. მარი მას 1903 წელს, როდესაც მისი რედაქციით გამოდიოდა „ვეფხისტყაოსანი“. ბევრი მასალა მას მარის დახმარებით შეუმოწმებია და სადავო ტექსტების დადგენაც მისთვის შეუთანხმებია“ (გაზ. „სახალხო განათლება“, 1965 № 5).

ჩვენც გვსმენია ნ. მარისაგან: ის წახემარა დ. კარიჭაშვილს ტექსტის ორთოგრაფია-პუნქტუაციის მოგვარებასა და ლექსიკონის რიგი ერთეულის მნიშვნელობის დაზუსტებაში.

თვით დ. კარიჭაშვილი წერს: როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ „ხმარებულა ზმნა, რომელსაც წინმატი აქვს წა, გა, მო, და, შე და სხვა, ეს წინამატი ბოლოში იხმარებიან კიდევ. ამ მოვლენას ჩვენ ვუწოდეთ

შემოკლებით(ი) ზმნის განმეორება“. ეს ნ. მარს აღმოაჩინდა ჩვენზე ადრე შენიშნული (1, გვ. XXIX).

დ. კარიჭაშვილს თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში ზოგიერთი საკუთარი აზრი და მტკიცებაც აქვს, ლექსიკონშიც რიგი ახალი მასალა შეტანილი, თვით 1903 წლის გამოცემა, მასში ორთოგრაფიულ-პუნქტუაციით თუნდაც ნაწილობრივ უკეთ მოწესრიგებით და მ. ზიჩის სურათების დაბეჭდვით, სჯობს წინანდელ გამოცემებს. ამდენად იგი ერთერთი საყურადღებო გამოცემაა.

პოემის ორიგინალობის საკითხში დ. კარიჭაშვილი სამოციანების განმეორებელია; ტექსტის დადგენის საკითხი კი ნ. მარის თვალსაზრისს ემხრობა. დ. კარიჭაშვილის ნაშრომით, წერილებითა და პოემის ტექსტის ორგზის გამოცემით დამსახურება აქვს რუსთველოლოგიაში.

1. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. 4 პორტრეტი და 21 სურათით, მეცხრამეტე გამოცემა, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით, თბ., 1903, იგივე — 1920.
2. დ. კარიჭაშვილი. ვეფხისტყაოსნის შედგენილობა. — ქურონ. „განათლება“, 1913 № VI, გვ. 412—424.
3. იპ. ვართაგავა. მოგონებები, ტ. III. თბ., 1962, გვ. 249 (შდრ. გაზ. „კომუნისტი“, 1927 № 169, გვ. 3. „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. III, 1927; ს. ხუციშვილი. ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, თბ., 1961, გვ. 59, ი. მეგრელიძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი ფილოლოგიური საქმიანობა. — ქურონ. „მნათობი“ 1959 № 7, გვ. 108—113).
4. ალ. ბარამიძე. შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966.

ნიკო მარი

დიდი მეცნიერის ნიკო მარის (1864—1934) ბიოგრაფიასა და მეცნიერებაში მრავალმხრივ დამსახურებაზე, უბაღლო ქართველოლოგსა და დიდ არმენისტზე, აქ ვერ ვილაპარაკებთ; შეეჩერდებით მხოლოდ მის რუსთველოლოგიურ შრომებზე (1—6), ოღონდ ამას წინ წავუძღვარებთ რამდენიმე სიტყვას, თუ როგორი მომხადებით, მეთოდით და ტექსტოლოგიური ხერხებით მუშაობდნენ ქართველოლოგები, როდესაც ნ. მარმა დაიწყო თავისი კვლევა-ძიება და როგორი აზრი იყო დამკვიდრებული ქართულ-უცხოურ ლიტერატურათა ურთიერთობის საკითხზე. ეს იმიტომაცა საჭირო, რომ მეცნიერული მუშაობის უპირველესი და უმკვიდრესი საფუძველი ფილოლოგიაში არის სათანადო თეორიული განათლება, შესასწავლი ხალხის ისტორიის ზოგადად მაინც და ენისა და ლიტერატურის ღრმა და მრავალმხრივი ცოდნა.

ნიკო მარი ფილოლოგიური მომხადებით მთელი თავით მალლა იდგა თავის წინამორბედებსა და თანამედროვეებზე, ჯერ კიდევ არ გამოჩენილა მისი ტოლი ამ დარგში.

ქართული ლიტერატურის კვლევის საქმეში ხელისშემშლელი იყო სათანადო ხელნაწერთა კატალოგიზაციისა და კრიტიკულად გამოცემული ტექსტების უქონლობა. მხოლოდ საარქივო მასალების მოწესრიგებისა და მეცნიერულად გამოცემული ტექსტების საფუძველზე შეიძლება იწარმოოს სხვადასხვა ხალხების ლიტერატურათა შორის ურთიერთობის განსაზღვრა და განხილვა და სწორი დასკვნების გაკეთება.

5. მარმა ეს მუშაობა სწორედ კატალოგიზაციით დაიწყო და ტექსტების კრიტიკულად გამოცემე-

ბ ი თ გ ა ნ ა გ რ ძ ო . მისი წინამორბედები: აკად. მარი ბროსე, პროფ. დავით ჩუბინაშვილი და უშუალო მასწავლებელი ქართველოლოგიაში ალექსანდრე ცაგარელი ისტორიული შინაარსისა და მხატვრულ ნაწარმოებთა ხელნაწერებს მექანიკურად აქვეყნებდნენ. ივ. ჯავახიშვილის განსაზღვრით, განსაკუთრებით ზემოხსენებული პირველი ორი მეცნიერის გამოცემები სათანადო „ხელნაწერების გადმონაბეჭდს წარმოადგენდა ხოლმე“. მაშინ ჩვენში,—განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, — „ძეგლის ენის ფილოლოგიურ-ლინგვისტიკული ანალიზი არ სწარმოებდა. ბროსესა და ჩუბინაშვილის გამოცემათა წესი დაკანონდა ქართული და სომხური ტექსტების შემდეგდროინდელ გამოცემლობაშიც. პროფ. ნ. მარის დიდ ღვაწლს სწორედ ის შეადგენს, რომ, ქართული და სომხური ტექსტების გამოცემის დროს პირველად მან შემოიღო გამოსაცემი ძეგლების, როგორც ხელნაწერების, ისე ევთვიოთ ტექსტის ის წინასწარი კრიტიკული ფილოლოგიურ-ლინგვისტიკური მეთოდი, რომელიც ბერძნული და ლათინური ძეგლების გამოცემის დროს დასავლეთ ევროპის ფილოლოგიურმა მეცნიერებამ შექმნა და დააკანონა. თავის სამაგალითო ენერგიით, დაუღალავი შრომის უნარითა და აღფრთოვანებული მუშაობის სიფაქიზით, პროფ. ნ. მარმა ქართული და სომხური ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლეზე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა“ (იხ. მისი ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 10).

ნ. მარის ასეთი დამსახურება ჩვენმა მეორე სახელოვანმა მეცნიერმა, ქართული მწერლობის ისტორიკოსმა კ. კეკელიძემ შემდეგი სიტყვებით გამოთქვა: „ქართული მწერლობის ისტორიის კვლევა-ძიებან. მარმა ტექსტების გამოცემით მყარ ნიადაგზე დააყენა“... „გაარკვია ბევრი საცილობელი და საკამათო საკითხი, წამოაყენა ახალი საკითხები და სულ სხვანაირად გააშუქა უკვე მიღებული და დამყარებული დებულებანი“ („ქართ. ლიტ. ისტორია,“ I, 1960, გვ. 24).

ნ. მარის ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიანი, სისტემატური, ე. წ. გაბმული კურსი, არ გამოუქვეყნებია, მაგრამ სათანადო კვლე-

ვაძიება წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე მან დაამყარა“ (კ. კეკელიძე, „მეტიუდები“, VIII, 1962, გვ. 285). საჭირო იყო, — განაგრძობს კ. კეკელიძე, — „ნიჭი, მომზადება, ერთუზიანში, ენერგია და კანდიერება განსვენებულის აკადემიკოს ნ. მარისა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტზე შექმნილიყო, ისიც უმთავრესად 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, ქართველოლოგიის ის სკოლა, რომელმაც შესაძლებელი გახადა დასაწყისი ნამდვილი მეცნიერული მუშაობისა ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც“ (იქვე, გვ. 259).

ნ. მარის პიროვნება და საერთოდ დიდი დამსახურება, კერძოდ მისი დეაწლი რუსთველოლოგიაში, ჩვენმა სახალხო პოეტმა და მკვლევარმა აკად. გიორგი ლეონიძემ ასე კოლორიტულად დაახასიათა: ნიკო მარი იყო „ჩვენი დროის უდიდესი მეცნიერი, რომელსაც უთვალსაჩინოესი დამსახურება მიუძღვის კავკასიოლოგიისა და, კერძოდ ქართველოლოგიის განვითარებაში“. მეტიც, „შეიძლება გადაჭრით ითქვას, — განაგრძობს გ. ლეონიძე, — რომ ნიკო მარი და მისი დაუღალავი, მრავალმხრივი და ღრმა მეცნიერული საქმიანობა რომ არ ყოფილაყო, დღეს ჩვენში აღმოსავლეთმცოდნეობა, კავკასიოლოგია, ქართველოლოგია, მთელი ძველი ქართული მწერლობის და განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემების კვლევა ისეთ მაღალ მეცნიერულ დონეზე არ იქნებოდა აყვანილი. ნიკო მარი იყო დიდი ერუდიტი — ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, ღრმა და ორიგინალური მოაზროვნე. ამასთან, იგი იყო პოეზიის გატაცებული მოყვარული და ნატიფი ლიტერატურული გემოვნების ადამიანი. ყოველივე ეს, შეერთებული დიდ მეცნიერულ ინტუიციასთან, არის მიზეზი მეცნიერულ კვლევაში იმ დიდი მიღწევებისა, რომელაც აკადემიკოსმა ნიკო მარმა მემკვიდრეობად დაგვიტოვა“ („ლიტ. საქართველო“, 1965 № 13).

*

ზემოწამოჭრილ მეორე საკითხზეც მოკლედ ვუპასუხებთ. ვინც საქართველოს ისტორიას საშუალოდ მაინც იცნობდა, მისთვის გასაგები იყო, რომ ძველი ქართველები დაკავშირებულნი იყვნენ ძველი აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ხალხებთან პოლიტიკურად და კულტურულადაც. ჩვენს წინაპრებს ქართული მწერლობის დაწყებიდან, — V—XIII საუკუნეებში თავიანთი კულტურის ცენტრები ჰქონდათ საზღვარგარეთაც: პალესტინაში — საბას ლავრა და ჯვარის მონასტერი (V—

VIII ს.), სინას მთასა და ანტიოქიის მახლობლად — შვე მთაზე (IX—XII ს.), საბერძნეთში—ათონის ივერიის მონასტერი (X ს.), ბულგარეთში—პეტრიწონის მონასტერი (XI ს. ბოლოსა და XII დასაწყისიდან), ხოლო საქართველოში: ოპიზა, შატბერდი, ხანძთა, იშხანი, ოჟი, ხახული, პარხალი, დავით გარეჯის ლავრა და სხვა მრავალი. ჩვენს წინაპრებს გზა ხსნილი ჰქონდათ აღმოსავლეთ ალბანეთის (ახლანდელი აზერბაიჯანის) გინდ სომხეთის გავლით მესოპოტამიასა და სირიაში ან მტკვრისა და კოროხის. ხეობებით ჩვენგან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქვეყნებისაკენ და, მაშასადამე, სათანადო ხალხების კულტურასაც იცნობდნენ. მით უფრო იცნობდნენ უშუალო მეზობლებსა და მათ კულტურას.

I—IV სს. ჩვენი წინაპრები სამხრეთ და დასავლეთ საქართველოდან უფრო ბერძნულ-ელინურ კულტურას უახლოვდებოდნენ, ხოლო აღმოსავლეთიდან (სადაც პიტიაზშები მმართველობდნენ) უფრო მაშინდელ სპარსულს, არაბულს (სირია, მესოპოტამია), ძველ ებრაულსა და მათთან დაკავშირებულ კულტურულ ნაკადებს ცნობდნენ.

VII—VIII საუკუნეების არაბეთ-სპარსეთში მაჰმადიანობის დამკვიდრების შემდეგ სათანადო ხალხებისაგან რელიგიურად განსხვავებული ქართველები ბიზანტიურ-ბერძნულ კულტურას კიდევ უფრო ეწაფებოდნენ.

ამის შესაბამისად, ნ. მარამდე ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ძველი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, კერძოდ არაბულ-სპარსულისა და ბიზანტიურ-სირიულისა და ბერძნულის გავლენებზე მსჯელობებში ძალიან ცალმხრივობას იჩენდნენ, — აღნიშნავდნენ პირველთა მეტ გ ა ვ ლ ე ნ ა ს მეორეზე, ვიდრე ამას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ნ. მარიც ისე იქცეოდა, მაგრამ შემდეგ, ქართულ-სომხური ფილოლოგიის უფრო ღრმად შესწავლის წყალობით, პირველმა სწორედ ნ. მარმა ნათელყო, რომ საქართველოც ახდენდა გავლენას მასთან დაკავშირებული ხალხების კულტურულ განვითარებაზე.

ნ. მარმა მსოფლიოს გააცნო არა მარტო ჩვენი ორიგინალური და სხვა ენებიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლები, არამედ ლიტერატურული ისეთი წყაროებიც, რომლებიც ქართულის გზით შესულა ბიზანტიურ მწერლობაში ან კიდევ ისეთები, რომელთა დედნები აღარ შენახულა და მათი აღდგენა ქართული მწერლობის საშუალებით ხერხდება. სათანადო მაგალითები ცნობილია. ამიტომ მათ-

ზე აქ აღარ შევჩერდებით. დაინტერესებულ პირთ მოვაგონებთ, რომ ამ საკითხზე არსებობს აკად. კ. კეკელიძის სპეციალური გამოკვლევა „ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში“ („ეტიუდები“, III, 1955). აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ექვთიმე მთაწმიდელი არა მარტო ქართულად თარგმნიდა ბერძნულიდან, არამედ ქართულიდანაც თარგმნიდა ბერძნულად, მაგ., „რამოდენიმე წერილი“ და მათ შორის „ბალაპვარი“ და „აბუკურა“. მასთან ერთად ზოგიერთი სხვა ქართველიც, როგორც ეს ნაჩვენებია აქვს კ. კეკელიძეს, ბერძნულ ენაზე წერდა ორიგინალურ თხზულებებს. ამით ისინი ამდიდრებდნენ ბერძნულ მწერლობას. მათგან ცნობილი არიან „პეტრე იბერიელი, ანტონი სელევკიელი, თეოფილე ტარსელი, იოანე პეტრიწი, პატრიარქი გერმანე მესამე, წარმოშობით ლაზი, ანთიმოზ იბერიელი და სხვანი და სხვანი“ (კ. კეკელიძე. იქვე, გვ. 11).

ქართულ „მრავალთავს“ (864 წ.) შემოუნახავს ხუთი ავტორი: ტიმოთე იერუსალიმელი, პეტრე იერუსალიმელი, ივლიანე ტაბიელი, თეოდულე და ალექსანდრე კვიპრელი, რომელთა „კვალი ბიზანტიურ მწერლობაში უკვე აღარ ჩანს“. ცნობილი „ცხოვრება ტიმოთე ანტიოქიელისა“, რომელიც არაბულად დაწერილა და ბერძნულადაც უთარგმნიათ, მხოლოდ ქართულ თარგმანშია შემონახული, და „დიდ ინტერესს იწვევს როგორც არაბული, ისე ბიზანტიური მწერლობის თვალსაზრისით“.

ნ. მარმა 1888 წელს თბილისში აღმოაჩინა უძველეს ქართულ თარგმანში იპოლიტე რომაელის (III ს.) — ანტიპაპად წოდებულის ნაშრომი, რომელიც შვიდი ნაწილისაგან შედგება. მის ერთ ნაწილზე — „თარგმანებაჲ ქებათა ქებათაჲსაჲ“ — ზე (30 გვ. X ს. ქართულ 433 გვერდიან ხელნაწერიდან) მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (1901). „ამ თხზულების აღმოჩენამ, — წერს კ. კეკელიძე, — ყუმბარასავით იფეთქა სამეცნიერო წრეებში, რადგანაც ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში ეს იყო მოულოდნელი აღმოჩენა, ნაძვრელი სიურპრიზი, რომელიც იპოლიტეს შრომათა ნამდვილ რიცხვს ხუთი ნაწარმოებით აღიღებდა“ („ეტიუდები“, III, გვ. 3).

დიდი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე ქართულად თარგმნილი ძეგლების ნ. მარისეულ გამოცემებს, მაგ., იოსებ არიმათიელის ნაწარმოებთა X—XI საუკუნეების ქართული ტექსტისა (1909) და სხვა პუბლიკაციებს. ბრწყინვალე თარგმანებით, გამოკვლევებითა და შენიშვნებითურთ.

რომლებიც მის მიერვე დაარსებულ სერიაში — „ტექსტები და ძიებანი სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში“ — გამოქვეყნდა (1900—1913 წლებში გამოიცა ამ სერიის 13 წიგნი, რომელთაგან 11 თვით ნ. მარს ეკუთვნის)*.

თარგმნითი და ქართული კლასიკური ლიტერატურის ორიგინალური ძეგლების გამოცემებით გაუთქვა სახელი ნ. მარმა ქართულ მწერლობას. მან მისაბაძად გამოაქვეყნა თარგმანებითურთ ამ ლიტერატურის ისეთი ორიგინალური ნაწარმოებები, როგორცაა გიორგი მერჩულის „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, შავთელისა და ჩახრუხადის „ოღები“ ალიარებულთა, რომ სწორედ ნ. მარის უდიდესი ნიჭის, უბადლო ტექსტოლოგობის წყალობითა და უძნელესი ტექსტების დაშიფვრით აღიმართნენ მთელი სიმაღლით ჩვენს ლიტერატურაში შავთელი და ჩახრუხადე, მათი „ოღები“ ხომ ნ. მარამდე ჭეროვნად წაკითხულიც კი ვერ იყო.

ამ გარემოებას ივ. ჯავახიშვილი ასე გამოთქვამს:

„ჩახრუხადის შესხმა ძალიან დამახინჯებული იყო ვადამწერთაგან და მხოლოდ მას შემდგომ, რაც პროფ. ნ. მარმა დიდის ვონებამახვილობით მათი პირვანდელი სახე აღადგინა და თვით ნაწარმოებს ვრცელი ახსნა და გამოკვლევა დაურთო, მარტო ამის შემდგომ ჩახრუხადის საგულისხმეორო ქმნილების დიდი ღირსება და მნიშვნელობა ჩვენთვის ცხადი გახდა. ნ. მარმა დაამტკიცა, რომ ჩახრუხადის თხზულებაში ერთი მთლიანი პოემა კი არ არის შენახული, არამედ რამდენიმე, საქართველოს სხვადასხვა დროს გამარჯვებისა და დღესასწაულის გამო დაწერილი შესხმა“.

მანვე დაამტკიცა, რომ „თამარიანი“ სხვადასხვა ამბების მიხედვით სხვადასხვა დროს დაწერილი 12 ოდისაგან (ქებისაგან) შედგება.

ამავე „ოღების“ ნ. მარისეულ გამოცემის თაობაზე დავით კარიჭაშვილი „ივერიაში“ წერდა: „რაც ვერ ქნა ვერაინ მეცხრამეტე საუკუნეში, ის გააკეთა ბ-ნმა მარმა მეოცე საუკუნის დამდგეს...“ რეცენზიას გასცნობია და გამოცემით დანტერესებულა აკაკი წერეთელი. მასაც წა-

* აგრეთვე ნ. მარისაა სამეცნიერო სერიები: „Bibliotheca Armeno-Georgica“ (1911—1915 წლებში გამოვიდა 5 წიგნი), ურნალი «Христианский Восток» (1912—1917 წლებში გამოვიდა 6 ტომი, თითოეულში 3 წიგნია, სულ 17 წიგნი; VI ტომის შესაბამე წიგნი 1922. წ. გამოვიდა) და სხვა (იხ. 4, გვ. 223 და 12, გვ. 291—306).

უკითხავს მარის ეს ნაშრომი და დაწერა: ნ. მარის „ეს უკანასკნელი შრომა მართლა რომ მოსაწონია; რვა საუკუნის განმავლობაში გადაძვერ-ლებისაგან დაბურდული და დახლართული ტექსტი ორივე პოემისა ბა-ტონ მარს“ წესიერად აღუდგენია და შესაფერისი ლექსიკონიც ჩაურ-თავს“ (ტ. XIV, 1961, გვ. 129).

ამ და სხვა გამოცემებმა და გამოკვლევებმა საერთო მოწონება დაიმსახურეს და ნ. მარს სახელი გაუთქვეს.

აი, ასეთი მომზადების, გაქანებისა და საოცრად შრომისმოყვარე მკვლევარმა ნიკო მარმა დიდი დრო და ენერგია მოახმარა რუსთველო-ლოგიის პრობლემებისა და საკითხების კვლევა-ძიებას, ბევრი საკითხი თვითონ მან დააყენა პირველად და გააშუქა კიდევ.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ქართულსა და უმთავ-რესად რუსულ პრესაში (ივ. ჯაბადარი, ნ. ნიკოლაძე) გამწვავდა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სადაურობის თაობაზე. ალ. ხახანაშვილი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეს სიუჟეტი ქართული ხალხური სი-ტყვიერებიდან აიღო რუსთაველმა. მეორენი მას ორიგინალურად აღი-არებდნენ. მსჯელობდნენ პოემის სპარსულიდან ნათარგმანების შესა-ხებაც.

ნ. მარი გამოეხმაურა ამას; მან გამოაქვეყნა „წერილი ვეფხისტყა-ოსნის გამო“ (უქრნ. „თეატრი“, 1890, წ., 18 მარტი, № 12).

ნ. მარი წერდა: ვინ დაამტკიცა რომ ეს პოემა სპარსულიდან არ არის გადმოთარგმნილი ან შინაარსით იგი „ქართული ქმნილება არის“, ის მარტო რუსთაველის თუ „მთელი ქართველი ერის“ შექმნილია?..

ახალგაზრდა მკვლევარი განაგრძობდა: ის არაა მთავარი, რომ ხალ-ხში „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი თქმულებები და ლექსები არსებობს. ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში „შაჰნამეს“ ვარიანტებიც ბლომად მოი-პოვება, მაგრამ ისინი სპარსული ლიტერატურული ძეგლის ქართული თარგმანებიდან გავრცელდაო.

იქვე ნ. მარი აცხადებდა: „... მე სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია რუსთაველისავე სიტყვები, რომ მას სპარსულიდგან ნათარგმნი ამბავი უნდა გაელექსოს“. რამდენად შეცვალა პოეტმა დედანი, ამაზე შემდეგ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როცა „სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის

იძედს ჭერ კიდევ არ ვკარგავ“ . ველი ცნობებს ერთსპარსულ ხელნაწერ – ზე, რომელიც „ბრიტანიულ მუზეუმში ინახება ლონდონში“, მის კატალოგში მოხსენიებულია „შაჰრიან-ნამე“, ე. ი. წიგნი შაჰრიარზე (ტარიელზე), რომლის ამბავიც სწორედ ინდოეთში მომხდარა. ეს შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ დედანი აღმოჩნდეს. თუ იგი ეს არ გამოდგა, მაშინ სხვა ასეთი წყარო იქნება საძებარიო.

შემოწმდა ხელნაწერი „შაჰრიარ-ნამე“, მაგრამ „ვეფხისტყაოსანთან“ არაფერი საერთო არ აღმოჩნდა...

6. მარი შემდეგაც ცდილობდა დამტკიცებინა, რომ რუსთაველის პოემა თუ სათანადო სპარსული პროზაული ნაწარმოების პირდაპირ თარგმანს არ წარმოადგენს, მისი სიუჟეტი მაინც სპარსული სიტყვიერებიდან არის აღებულიო. ამავე დროს მკვლევარი, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, იცავდა და აღრმავებდა საერთაოდაც ქართულ ლიტერატურაზე კლასიკური სპარსული ლიტერატურის გადაჭარბებული გავლენის აზრს. ასეთებია მისი სპეციალური გამოკვლევები:

1. ორიოდ სიტყვა „შაჰნამეს“ ქართული თარგმანის შესახებ („ივერია“, 1891 №№ 132, 133, 135).

2. Персидская национальная тенденция в грузинском романе «Амир андареджаниани» («Журнал Министерства народного просвещения», 1895, июнь, гв. 352—365).

3. К вопросу о влиянии персидской литературы на грузинскую (უმთავრესად „ვისრამიანის“ შესახებ, იგივე ჟურნალი, 1897 წ., მარტი, გვ. 233—237).

4. Возникновение и расцвет древнегруз. светской литературы (იგივე ჟურნალი, 1899 წ. დეკემბერი, 223 — 252) და ზოგიერთი სხვაც. მაგ., გამოკვლევები ისევ „ამირანდარეჯანიანის“ შესახებ («Известия Российской акад. наук, 1899 № 2, გვ. 233 — 246, «Из грузино-персидских литературных связей». — «Записки Коллегии востоковедов», 1925, ტ. I, გვ. 111—138) და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორის ამ და ასეთ ნაშრომებში გავლენების გადაჭარბებული, მცდარი თვალსაზრისია წინ წამოწეული, ისინიც, ფილოლოგიურ-ტიქსტოლოგიური კვლევა-ძიების მხრივ, კვლავ ანგარიშგასაწევი გამოკვლევებია, მათშიც „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის, მთავარი მოტივებისა და მხატვრული სტილის შესახებაც არა ერთი სა-

გულისხმობს აზრია გამოთქმული, პოემის ამა თუ იმ აზრის მრავალი პარალელია წარმოდგენილი.

ნ. მარის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი რუსთველოლოგიური ნაშრომის (1) ობიექტია „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი და დასასრული (პროლოგი და ეპილოგი); პირველად აქაა კრიტიკულად დადგენილი სათანადო სტროფების ტექსტი და განხილულია მათი თანმიმდევრობის საკითხი, წარმოდგენილია ქართული ტექსტი რუსული თარგმანით, ვრცელი კომენტარებითა და შენიშვნებით. ამასთანავე, ავტორი ეხება ბევრ სხვა ზოგადსა და კონკრეტულ საკითხსაც. კერძოდ იგი აქაც იცავს თვალსაზრისს, რომლითაც რუსთაველის ზოგადსაკაცობრიო იდეები ქრისტიანული დასავლეთისა და მუსულმანური აღმოსავლეთის შემოქმედებითი გადამუშავებაა ქართულ ნიადაგზე, ეს იდეები ქართულ ფილოსოფიურ ნეოპლატონიკურ (პეტრიწი) იდეებს უკავშირდებათ და სხვა.

ნ. მარი თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ დაბულას აქაც (1) ნასესხებად თვლის, მაგრამ ნაწარმოებს მთავარ მოტივებად აღიარებს ისეთ ძმადნაფიცობისა და ქალის კულტის ინსტიტუტებს, რომლებიც XII საუკუნის საქართველოში არსებობდა. ავტორი ამითვე ამართლებს ქალის — თამარის მეფედ აღზევებას, პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ხედავს მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური იდეების ანარქულს. მკვლევარი საოცარ ინტუიციას ავლენს პარალელების მოძებნაში „ვეფხისტყაოსანსა“ და ქართული პოეზიის სასულიერო და საერო ძეგლებს შორის, პირველსა და ქართულ ზეპირსიტყვიერებას შორის, რუსთაველის აფორიზმებსა და მსოფლიო პოეზიის ძეგლების აფორიზმებს შორის. აქვე განხილულია პოემის ტექსტის, ლექსის ზომის, მოქმედ პირთა სახელების შედგენილობისა და მნიშვნელობის, ლექსიკისა და სხვა საკითხები, გამოჩენილი ტექსტოლოგი დამაჯერებლად აცხადებდა, რომ «в этой романтической поэме... не только много вставок и искажений, но есть, по всей вероятности, и пропуски» (1, გვ VI), და ასეთი ცვლილებები ყველაზე უფრო პროლოგშია საგრძნობი.

შემთხვევითი არაა, რომ ნ. მარის ამ გამოკვლევამაც საერთო მოწონება დაიმსახურა. ივ. ჯავახიშვილი მას ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს: „ვეფხისტყაოსნის გენიოსი ავტორის მსოფლმხედველობისა, მიზნისა და პოეტური მრწამსის შესახებ პირველი მშვენიერად დაწერილი მონოგრაფია“

ფია აკად. ნ. მარის კალამს ეკუთვნის. მისმა ამ გამოკვლევამ „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ახალი ხანა შექმნა, ხოლო მსოფლიო ლიტერატურასთან პარალელუბის წამოყენებამ შოთა რუსთაველის მნიშვნელობის წინანდელი ვიწრო, მხოლოდ საქართველოთი შემოფარგლული, საზღვრები გადაულახა და ცხადპყის ადგილი, რომელიც შესაძლებელია ქართველი მგონის უკედ დე ქმნილებას კაცობრიობის პოეტური და გონებრივი კულტურის ისტორიაში მიეკუთვნოს“ (9, გვ. 10).

უფრო ადრე ნ. მარის ამავე ნაშრომის შესახებ ქართული ლიტერატურის კრიტიკოსი კიტა აბაშიძე წერდა, რომ ეს წიგნი ნამდვილად სადღესასწაულო მოვლენაა. ასეთი დასაბუთებული და ღრმა გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნისა“, რასაკვირველია, პირველიაო. კრიტიკოსი ასკვნიდა, რომ „ვისაც სურს არა თუ შესწავლა, არამედ უბრალო წაკითხვა „ვეფხისტყაოსნისა“, ამ შრომას გვერდს ვერ აუხვევს“ („სახალხო გაზეთი“, 1910 №№ 66, 68).

სხვებმაც მოიწონეს ეს ნაშრომი. ქართველოლოგების გარდა, მასვე საქმიანად გამოეხმაურა რომანული ენებისა და ლიტერატურათა ცნობილი სპეციალისტი ვლ. ფ. შიშმარიოვი. როგორც ქვემოთაა ნაჩვენები, ამ რეცენზიამ დიდად შეუწყო ხელი ნ. მარის წიგნის ევროპელი მეცნიერებისათვის გაცნობას და ამითვე რუსთაველი გააცნო ბევრს ან, ვინც მას ზოგადად მაინც ვერ იცნობდა, მათ „ვეფხისტყაოსნისადმი“ გაუზარდა ინტერესი.

მართლაც, ნ. მარის ზემოხსენებულმა გამოკვლევამ ახალი ხანა შექმნა რუსთაველის პოემის შესწავლის ისტორიაში.

ნ. მარმა 1902 წელს იმოგზაურა სინას მთაზე და პალესტინაში, აღწერა აქ დაცული ქართული ხელნაწერები. მან მაშინ იერუსალიმში აღმოაჩინა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ხელნაწერი „სვინაქსარი“ აღაპებით, რომელიც 1914 წელს გამოაქვეყნა კიდევ სათაურით «Синодик Крестного монастыря в Иерусалиме» — „აღაპნი ჭუარის მონასტრისანი“.

ერთ-ერთ აღაპში ნ. მარმა ამოიკითხა შოთა მეჭურჭლეთუხუცესი (გვ. 78, აღაპი № 312). ეს იყო მნიშვნელოვანი აღმოჩენა. მართალია ჩვენს პოეტს ასე უწოდებდნენ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ტიმოთე გაბაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი და სხვები, მაგრამ რის საფუძველზე, ეს არ იყო ცნობილი.

ბ. მარმა იცოდა, რომ რუსთაველის გამოხატულება დაცულია ქართული ჯვარის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე, და შესაძლებელი გახდამტკიცება, რომ იერუსალიმის აღაპებში მოხსენებული შოთა და იქვე, ჯვარის მონასტრის სვეტზე გამოსახული რუსთაველი ერთი და იგივე პირი, ე. ი. შოთა რუსთაველია. როგორც ზემოთაც ითქვა, სხვა ძველი საბუთი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებულ რუსთაველს ერქვა შოთა, ჩვენ არ გავაჩნია. ამიტომ რუსთაველოლოგები მადლიერების გრძნობით იყენებენ ნ. მარის ამ აღმოჩენას, მსჯელობენ შოთას თანამდებობა მეჭურჭლეთუხუცესობაზე და სათანადო დასკვნებსაც აკეთებენ.

ნ. მარი შემდეგაც განაგრძობდა მუშაობას რუსთაველოლოგიაში. მან უკვე 1914 წელს გამოთქვა მის მიერვე აღრე შემუშავებული აზრი: «Ни в Ани, ни в Грузии ирано-мусульманская культура, [конечно, не созидательница памятников местного искусства или местной литературы]».

ბ. მარს 1915—1916 წლებში აქვს გაწეული ის დიდი ტექსტოლოგიური მუშაობა „ვეფხისტყაოსანზე“, რომლის შედეგი 1965 წელს გამოქვეყნდა (5).

ავტორს ამავე შრომის პროცესში 1916 წელს გაუფორმებია ნაშრომი, რომელსაც მან საბოლოო სახე 1917 წლის იანვარში მისცა და გამოაქვეყნა კიდეც (2).

ტექსტოლოგიური მუშაობით—„ვეფხისტყაოსნის“ რიგი ეპიზოდების ანალიზით, აფორიზმებისა და სენტენციების ახსნა-განმარტებით, მათი პარალელების მსოფლიო ლიტერატურაში დაძებნით და პოეტის ენის ხალხურობის მტკიცებით ეს ნაშრომიც ძალიან საყურადღებოა. მაგრამ აქვე ნ. მარმა, რომელიც წინათ მუდამ რუსთაველს თამარ მეფის თანამედროვედ (XII ს.) თვლიდა, მოულოდნელად (ს. კაკაბაძის ერთი გაჩინების შემდეგ) დაბეჭდა: „ვეფხისტყაოსანი“ მე-14 ს. ხომ არ დაიწერაო?! ავტორი—რუსთაველი მაშინდელი ქართველი (მესხი) მაჰმადიანი შეიძლება იყოსო!

„სხვაგვარად რომ ვთქვათ,— წერს ე. ბერიძე, — თუ წინათ იმ გარემოებას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ორი მსოფლიო—მუსულმანური და ქრისტიანულია შერწყმული, ნ. მარი ხსნიდა როგორც საქართველოში, ქართულ ნიადაგზე წარმოშობილ მოვლენად, და უკანასკნელს საქართველოშივე გამტკიცებულ ფილოსოფიურ მიმდინარეობას უკავ-

შირებდა, — ამ ახალ ნაშრომში ეგვევ გარემოება (მან) დაუკავშირა სამხრეთ საქართველოში შექმნილ სიტუაციას, ე. ი. მუსულმანური კულტურის გავრცელებას, და რადგან ეს სიტუაცია, ყოველ შემთხვევაში, მე-13 საუკ. შემდგომ იკიდებს ფეხს, ბუნებრივია, „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობაც დაპშორდა „ოქროს ხანას“, თამარის ეპოქას და ჩვენთვის უფრო ახალ დროში გადმოინაცვლა“ (10, გვ. 82).

ნ. მარმა ეს ახალი „კონცეფცია“ უაღრესად პირობითად გამოთქვა; ნაშრომის დასასრულს თვითონ ავტორი აცხადებს: «И тем не менее наша теза вовсе не та, что Шота из Рустава не есть современник царицы Тамары, и он безусловно мусулманин» (გვ. 506). მიუხედავად ამისა, მაინც დებულებები იყო წარმოდგენილი, რომლებიც არ შეიძლებოდა გამართლებულიყო, და მასზე შემდეგ თვითონვე აიღო ხელი.

ნ. მარის სიცოცხლეშივე გამოიცა მისივე რეცენზია. პ. ინგოროყვას ნაშრომზე „რუსთაველიანა“ (3, გვ. 361—368).

აქ ნ. მარი ზოგჯერ სცილდება რუსთველოლოგიის ფარგლებს, მაგრამ ძირითადად მაინც პრინციპულ რუსთველოლოგიურ საკითხებს განიხილავს. მაგ., მოკლედ გადმოგვცემს, თუ როგორ იზრდება ინტერესი „ვეფხისტყაოსნისადმი“ საქართველოსა და მის გარეთ, აღნიშნავს, რომ ეს პოემა პალიმფსესტის ფრაგმენტი არაა, რომ მისი ფორმალური ანალიზით დავკმაყოფილდეთო (3, გვ. 363); პოემის ტექსტის კრიტიკულ გამოცემაზე საჭიროა თვით ტექსტის კრიტიკული შესწავლა და სხვა. ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ სტროფებს და ამავე პოემის იუსტ. აბულაძისა და ს. კაკაბაძის გამოცემებს...

აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. მარს თავისი წვლილი უძევეს „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი მ. უორდროპისეულ ინგლისურ თარგმანში (ლონდონი, 1912) ადგილების დაზუსტებით, წინასიტყვაობის რედაქტირებითა და გამოცემის კომენტარებსა და შენიშვნების შედგენაში მონაწილეობით. ეს აღნიშნულია ამ წიგნში და ახლა ნ. მარის ეს როლი კიდევ უფრო ნათელია ჩვენთვის, როდესაც ვეცნობით ამ მეცნიერის არქივს და ვკითხულობთ ლეილა თაქთაქიშვილ-ურუშაძის შესანიშნავ წიგნს „მარჯორი უორდროპი“ (თბილისი, 1965).

აღნიშნულ ბეჭდური ლიტერატურის გარდა, ნ. მარს სათანადო ბეჭერი ნაშრომი დარჩა გამოუქვეყნებელი. ასეთთაგან ჩვენ მიერ შედგენილი პირველი კრებული „ნიკო მარის რუსთაველის შე-

შოქმედების სათავეებისა და პოემის შესახებ“ (თბილისი, 1964; იხ. 4) შეიცავს სხვადასხვა მოცულობისა და მნიშვნელობის 11 ნაშრომს, რომლებიც 1899—1931 წლებშია დაწერილი. მათშიც ეხება ავტორი რუსთაველის პიროვნების, ენის, აზროვნების, შემოქმედებისა და ეპოქის კულტურის საკითხებს. რუსთაველის შემოქმედების სათავეებს ის ხედავს მთლიან, — წარმართულ და ქრისტიანულ, — ქართულ კულტურასა და მის ისტორიულ კავშირში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხალხების კულტურებთან. პირველადვე აქ ქვეყნდება „ვეფხისტყაოსნის“ რიგ სტროფთა ნ. მარისეული რუსული თარგმანი (4, გვ. 193—213) კომენტარებითა და შენიშვნებით და იმავე მკვლევარის მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე ქართულ-რუსული ლექსიკონი (4, გვ. 214—229).

ავტორი ამ კრებულში მოთავსებულ ნარკვევებშიც განსაკუთრებულ ყურადღებას ტექსტოლოგიურ საკითხებს აქცევს. ის წინათაც არა ერთხელ და აქ 1928 წელს ქართულად წარმოთქმულ სიტყვაში კიდევ უფრო კატეგორიულად აცხადებს: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი გვიანდელი გადამწერლების მიერ იმდენად დამახინჯებულია, რომ „შოთა გაცოცხლებულიყოს და ხელში ჩავარდნოდეს მისი შექმნილი ვეფხისტყაოსანი ჩვენამდე მოწევნილი სახით, ღიდათ ეუცხოებოდა“ (4, გვ. 190 — 191).

ამავე დროს, მაშინდელ ერთ-ერთ რეცენზიაში იმათ მიმართ, რომლებიც ამტკიცებდნენ ან ფიქრობდნენ, რომ ამ პოემის პროლოგის რუსთაველს არ ეკუთვნის, ის უფრო გვიანაა დაწერილი და მიმატებული „ვეფხისტყაოსნისადმიო“, ნ. მარმა ნამდვილად სწორად განსაზღვრა: რუსთაველის პოემის მთავარ ნაწილსა და წინასიტყვაობას შორის ისეთი მტკიცე კავშირია, რომ საითაც ეს წინასიტყვაობა წავა, პოემის ტანიც მას მიჰყვებაო — „куда будет вынесено введение, туда неминуемо дорога всей поэме в подлинной ей, так наз. основной части...“ (4, გვ. 160).

ამას ავტორი წერს 1927 წელს; იგივე უფრო ადრეც იცავდა პროლოგის რუსთაველისეულობას. იგი 1910 წელს ამბობდა: დ. კარიჭაშვილმა მთლიანად უარყო პოემის შესავალი («скепсис свой довел до крайности»), როგორც არა „ვეფხისტყაოსნისეული“ იმ დროს, როდესაც პროლოგში «и по музыкальности, и по сжатости слога и образности мысли мы находим лучшее, что только вышло из под пера Шота», რიგ მათგანში

«Руставский поэт мастерски пользуется случаем, чтобы показать недостижимую высоту своей виртуозности в стихосложении».

და აქვე ავტორი აყენებს კითხვას: აბა, თამარის ეპოქის შემდეგ, როდის დაწერეს პროლოგის ეს თითქოს სადავო სტროფები? თამარის ეპოქა არ განმეორებულა საქართველოს ისტორიაში, არც მეორე შოთა ჩანს, თუმცა მიმბაძველები კი ბევრი ჰყავდაო (1, გვ. V).

ნიკო მარი საესებით მართალი იყო პროლოგის ასე დაბეჯითებით დაცვაში, თუმცა არც თვითონ ეპყრობოდა ერთნაირი ნდობით პროლოგისა და ეპილოგის ყოველ სტროფს; თვითონაც აყენებდა ეპეის ქვეშ ზოგიერთ მათგანს და ასეთები მას თავისი გამოცემული ტექსტის ძირითად წყებაში არც შეუტანია, ისინი სქოლიოებში ჩაიტანა. ახლა აღარავისათვის არაა სადავო, რომ პროლოგისა და ეპილოგის სტროფების უმრავლესობა რუსთაველისეულია.

ჩვენ მიერ 1964 წელს გამოცემულ კრებულში (4) გამოქვეყნებულია შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებსა და თარგმანებზე. როგორც ითქვა, ნ. მარმა თვითონ დიდი ჯაფა გასწია ამ პოემის მოზრდილი ნაკვეთების, სტროფებისა და სტრიქონების რუსულად თარგმნაზე, მაგრამ იგი არც თავის თავს ინდობს და შენიშვნებს ასათაურებს: «27 изданий» никудышних и 11 «переводов» негодных или частичных» (4, გვ. 172 — 173, შდრ. იქვე, გვ. 257, § 7).

ამას წინათ გამოქვეყნდა ნ. მარის საარქივო მასალების მეორე წიგნიც — „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები“ (5).

მასში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ 600-მდე სტროფი. ბევრ მათგანს ახლავს ვარიანტები წინანდელი გამოცემებისა და ცალკეული ხელნაწერებიდან, კომენტარები, თვით სტროფთა და ან ცალკეულ სტრიქონთა განხილვა და მათში არსებული ლექსიკის (გაუგებარი სიტყვების) განმარტებები და სტროფთა მარისეული წაკითხვები. წიგნის პირველ ნაწილში წარმოდგენილია ის სტროფები, რომლებსაც ნ. მარი ნ ა მ დ ვ ი ლ ს (ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ე უ ლ ს) უწოდებს, ხოლო მეორეში კი ჩ ა ნ ა რ თ ი ს ტ რ ო ფ ე ბ ი ა (S p u r i a) განხილული.

გამოიცა საარქივო მასალების მეხამე კრებულის (6), რომელშიც შესულია ავტორის 1887 — 1919 წლების მასალები.

აქ მთავარი ადგილი აქვს დათმობილი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სტილის (შედარებები, სახეები, რითმები, განსაკუთრებული

მნიშვნელობის ტერმინები), ლექსის ტექნიკის (ზომის) და ამ პოემის „ვისრამიანთა“ ურთიერთობის საკითხებს. მათ დართული აქვთ ვრცელი ლექსიკონი ისეთი სიტყვებისა, რომლებიც ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება, მაგრამ არსებულ ქართულ ლექსიკონებში არაა ასახული ან არასწორადაა განმარტებული.

და მაინც ყოველივე ამითაც არა მოიწურა. მარის არქივი, — მასში კიდევ არის რუსთველოლოგიური მასალები. კერძოდ ჭერ კიდევ გამოუქვეყნებულა ნ. მარის ლექციები ძველი ქართული ლიტერატურის კურსისა, რომლებშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი რუსთაველს, მის შემოქმედებას და მისი ეპოქის კულტურის საკითხებს.

ზემოდასახელებულ საარქივო მასალათა გამოცემულ კრებულებს (სამივეს ცალ-ცალკე) დართული აქვს მათ გამოსაცემად მომზადებულთა შენიშვნები და კომენტარები და რედაქტორთა თუ გამომცემელთა წინასიტყვაობები, რომლებშიც კრიტიკულადაა განხილული მოძველებული შეხედულებები, მაგრამ მოწონებულია ავტორის სწორი დებულებები. მთავარი ისაა, რომ მათ, როგორც მასალებს, ძირითადად მეცნიერული მნიშვნელობა კვლავ შეჩაბთ, ისინი ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას რუსთველოლოგიაში.

*

ავტორის სიცოცხლეში და შემდეგ გამოქვეყნებული ზემოთდასახელებული ნაშრომების გარდა, ნ. მარი რუსთველოლოგიის საკითხებს ეხება აგრეთვე თავის რიგ ძირითადად არარუსთველოლოგიურ გამოკვლევებშიც. ორივეში ერთად სხვადასხვა დროს გამოთქმული აზრების მიხედვით, რუსთაველის რელიგიური კონცეფციებია: „ქრისტიანული, ქრისტიანულ-მუსლიმანური, ნეოპლატონიური (1), წარმართული“ (11, გვ. 59).

ახლა ის აზრია დამკვიდრებული, რომ რუსთაველი XII საუკუნის ქრისტიანი ქართველი იყო (საკითხს ვრცელი ისტორია აქვს; ამაზე სპეციალური მონოგრაფია არსებობს).

ერთ-ერთ არარუსთველოლოგიურ ნაშრომში 1927 — 1928 წლებისა ნ. მარმა რუსთაველი მეტეორს შეადარა. ეს მხატვრული თქმა ზოგიერთმა სერიოზულმა მკვლევარმაც კი ისე შეაფასა, რომ ნ. მარი, თითქოს, „ეფეხისტყაოსანს“ ქართულ კულტურასა და

საერთოდ ქართულ სინამდვილეს აცილებსო, ის უარყოფს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის წინადროინდელი ქართული კულტურის გვირგვინიაო!..

ეს კი ეწინააღმდეგება ნიკო მარის კონცეფციას ქართული კულტურის ისტორიული მთლიანობისა და მასთან „ვეფხისტყაოსნის“ განუყოფელი კავშირის შესახებ.

მაშ, რაშია საქმე?

აქ ავტორი ქრისტიაწული ეპოქის ქართული კულტურის სგარდა, ასახელებს ძველი წარმართული დროის ქართულ კულტურასაც და სრულიად გასაგებად წერს, რომ რუსთაველის შემოქმედება არის არა მარტო ქრისტიაწული საქართველოს, არამედ წარმართობის დროინდელი ქართული კულტურის ელემენტების შემცველიცაო.

მეტი სიზუსტისათვის ნ. მარის სიტყვები მოვიტანოთ: «Шота...строит свою поэму на грузинской народной основе, на доисторическом обычае псбратимства... имеются и более глубокие источники, — светские, языческие. Иначе происхождение поэмы «Витязь в барсовой шкуре» осталось бы такой же загадкой, как и происхождение грузинской светской и церковной литературы, и целый ряд других вопросов грузинской письменности и вообще грузинской культуры».

თუმცა ავტორი დასახელებული პოემის სიუჟეტის რაღაც სახით სპარსულთან კავშირის აკვიტებული აზრისაგან მთლიანად ვერ განთავისუფლდა, მაგრამ იგი საბოლოო ჯამში ურყევად ამტკიცებს „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი „იდეური შინაარსის სრულ ორიგინალობას, მის ქართულ-ნაციონალურსა და ხალხურ ხასიათს“ (ალ. ბარამიძე), ის აღიარებს, რომ მისი საფუძველია ქართული სინამდვილე, აქ ცნობილი „წინაისტორიული ინსტიტუტი ძმადნაფიცობისა“, ხალხთა ძმობისა (1928)... და განა ამავე პიროვნებას — ნ. მარს სიტყვა მეტეორი შეიძლებოდა პირდაპირი მნიშვნელობით ეხმარა რუსთაველისადმი, ის მეტეორივით უცხოა და მოულოდნელია საქართველოსათვის? არა, არავეთარ შემთხვევაში ეს არ შეეძლო. ნ. მარს წერდა: რუსთაველის შემოქმედების კავშირი «с грузинской культурной почвой не только формальная, языковая, но и идейная» (? , 427)

და ცხადია, რაკი რუსთაველის შემოქმედების კავშირი ქართულ კულტურასთან არა მხოლოდ ფორმალურია, ენობრივია (ე. ი. პოემა რომ ქართულადაა დაწერილი), არამედ იდეურიცააო, ე. ი. შინაარსულადაც საქართველოსთანაა დაკავშირებულიო, ეს ნიშნავს, რომ ი გ ი ქ ა რ თ უ ლ ი ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა. ამის სხვაგვარად გაგება არ შეიძლება, და მაინც, თუნდაც სიტყვა მეტეორის ხმარებაშიც რომ სცდებოდეს ნ. მარი, ჩვენთვის ახლა ის კი აღარაა მთავარი, რომელი მისი აზრის არგამართლდა ან რომელი თვითონ უარყო (ასეთები უფრო ფართოდაა ცნობილი, ვიდრე მისი მიღწევები), არამედ ისაა მთავარი და უფრო მნიშვნელოვანი, თუ რომელ აზრს იცავდა იგი საბოლოოდ და რა გვიანდერძამანსასარგებლო, რომელი მისი აზრებია მისაღები და გასავითარებელი.

დიდ ძიებათა პროცესში, მრავალ მერყეობათა და ერთიმეორის გამომრიცხველი აზრების გამოთქმის შემდეგ, ნ. მარიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის რუსთაველის ქართული ორიგინალური ქმნილება.

1920 წ. ნ. მარი აცხადებს: „რუსთაველი თავის პოემის სიუჟეტით დაკავშირებულია მისსავე თანამედროვესა და წინანდელ მშობლიურ მწერლობასთან. „ვეფხისტყაოსნის“ ბგერა, რიტმი და სულის პულსი შეხმატკბილებულად ჟღერს ქართულ ხალხურ მუსიკასა და ხალხურ მეტყველებასთან, კავკასიურ ყოფასთან, ქართველ ფეოდალთა რაინდულ იდელებთან“. მეტი სიზუსტისათვის თვით ავტორის სიტყვები გავიმეორროთ: „...сюжетом Шота связан с письменной литературой родной и пришлой, звук, ритм, пульс души его поэмы бьет в унисон с народной музыкой и с народной речью грузинской. И с ними сливается в поэму кавказская бытовая оформленность, материальная народность рыцарских идеалов грузинских феодалов» (4, გვ. 40).

აქ კავკასიურ ყოფით ნორმებზე შემთხვევით არაა ლაბარაკი. ავტორს ღრმად სწამდა, რომ «история Грузии не может быть понятна, если она не воспринимается в аспекте истории всего Кавказа» (7, გვ. 35). ამის კვლობაზე ნ. მარს მიაჩნდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ კავკასიის ხალხების ყოფისა და მთელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურის ფონზე უნდა განიხილებოდეს, მაგრამ მის საფუძველად მაინც საქართველო მიაჩნია და ამიტომ მკვლევარი წერს: „რუსთაველი—ესაა ზენიტი

ძველი ქართული კულტურისა“, «не будь грузинского народа и его сложной истории, не было бы Руставели» — შემოქმედი მსოფლიო მნიშვნელობის პოემისა.

*

რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ იყო ერთი იმ თემათაგანი, რომლებზეც ეს დიდი მეცნიერი თითქმის განუწყვეტლივ მუშაობდა მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე. პირველ ხანებში ნ. მარი პოემის სიუჟეტით იყო უფრო დაინტერესებული, ვიდრე მისივე შინაარსით, ენითა და მხატვრული მხარეებით. შემდეგ შებრუნდა ეს ვითარება და მეორე მხარეები მოექცა მკვლევარის ყურადღების ცენტრში. სწორედ აქ აქვს მას საყურადღებო მიღწევები და გვერდუვლელი ნაშრომები.

„ნ. მარი დამსახურებულად ითვლება გამოჩენილ რუსთველოლოგად“ (ალ. ბარამიძის წინასიტყვაობა, 4, გვ. 10), „მის ნაშრომებს თავიანთი მნიშვნელობა არ დაუკარგავთ“, მათი კრიტიკულად ათვისება სასარგებლოა (4, გვ. 11).

ჩვენ ნ. მარის სათანადო ნაშრომებიდან თუ გამოვრიცხავთ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის, რელიგიისა და ზოგიერთ სხვა საკითხზეც გამოთქმულ მცდარ მოსაზრებებს, მართებულად მიგვაჩნია დებულება, რომ არც ერთ მკვლევარს (არც წინათ და არც ამჟამად) არ გაუეჭებია რუსთველოლოგიაში იმდენი, რამდენიც გააკეთა ნ. მარმა“ (შდრ. 12).

სწორი იყო ივ. ჯავახიშვილი, რომელიც რუსთველოლოგიის ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებას ნ. მარს უმადლოდა. უდავოა ისიც, რომ ერთმა პირველთაგანმა ნიკო მარის ბრწყინვალე ფილოლოგიურმა გამოკვლევებმა დააინტერესა მსოფლიო მეცნიერება და ლიტერატურული საზოგადოებრიობა მთლიანად ქართული ლიტერატურითა და, კერძოდ, რუსთაველითა და მისი შემოქმედებით; მშობელი ვრის უდიდესმა მეცნიერმა ნიკო მარმა თავის თანამემამულე უდიდეს პოეტსა და მოაზროვნეს — შოთა რუსთაველს დიდი ამაგი დასდო, ქართული კულტურის დიდმა პატრიოტმა თავისი ვალი აქაც ბრწყინვალედ მოიხადა.

1. Н. Я. Марр. Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава... — Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. წიგნი XII. ს.—პეტერბურგი, 1910. 2. შისიეე, Витязь в барсовой шкуре Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема პეტროგრადი, 1917. 3. შისიეე, Rusthaveliana. — Известия Академии наук СССР, 1927. 4. შისიეე, Об истоках творчества Руставели и его поэме, თბ., 1954. 5. ნიკო მარო. ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, თბ., 1965. 6. შისიეე. Вопросы Вепхисткаосани и Висрамиани, თბ., 1966. 7. კრებული «Язык и история» I, ლენინგრადი, 1936. 8. Ал. Б а р а м и д з ე. Н. Марр как Руствелолог.—ეურნ. «Литературная Грузия», 1955 № 3. 9. ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1966. 10. ეუკ. ბ ე რ ი ძ ე. რუსთაველოლოგურა ეტაუღებუ, თბ., 1951. 11. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი. ნიკო მარო — ქართული კულტურის მკვლევარი, თბ., 1965. 12. ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე. ნიკო მარის ცხოვრება და მოღვაწეობა.—ეურნ. „მაცნე“, 1965 № 6; შისიეე. Н. Я. Марр — руствелолог. — ეურნ. «Лит. Грузия», 1966 № 9—10.

ეპითიმე თაყაიშვილი

მშობლიური კულტურის ერთი უდიდესი პატრიოტთაგანი, ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი (1863 — 1953) ჯერ ოზურგეთის სამკლასიან სასწავლებელში, შემდეგ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიასა და ბოლოს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა.

ექვთიმემ 1887 წელს დაასრულა ხსენებული უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი კანდიდატის ხარისხით. შემდეგ იგი თბილისსა და პარიზში (1921 — 1945) ცხოვრობდა. მას სწავლისა და სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ნ. მართან. ეს ორი დიდი მეცნიერი საქმით განუყრელი დარჩა. იშვიათია მეორე ისეთი მეგობრული ურთიერთობა, როგორც ჰქონდათ ნ. მარსა და ე. თაყაიშვილს. ეს უკანასკნელი იგონებდა: ზოგიერთ წარწერის ჩემს წაკითხვაში ნ. მარს შესწორებები შეჰქონდა, ზოგჯერ ის არ იყო მართალი, მაგრამ უფრო ხშირად „ნ. მარის შენიშვნები საესებით სამართლიანი იყო და ხელს უწყობდა ჩემი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებას“ (2, გვ. 310).

ეს საერთოდ შეიძლება გავავრცელოთ ექვთიმეს კვლევა-ძიებაზე და ნაწილობრივ პირიქითაც შეიძლება ითქვას.

ე. თაყაიშვილი გვაოცებს გამოქვეყნებული ნაშრომებით, მოგზაურობითა და სისტემატური საზოგადოებრივი მოღვაწეობით. გვაოცებს იმიტომ, რომ ის ადრევე დაკოჭლებულა. 3 — 4 წლის ყოფილა, მას ხიდან ჩამოვარდნის გამო, მარჯვენა წვივის მეორე ძვალი გასტეხა; ის ეჭიმბაშს ამოუცლია. მიუხედავად ამ ფიზიკური ნაკლისა, იგი ჯობით

ხელში, ცხენით თუ სხვა საშუალებით მუდმივად მოგზაურობდა და შიდა და გარე საქართველო შეისწავლა არქეოლოგიურად.

თბილისში ე. თაყაიშვილი 1887 წლიდანვე ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილთან ერთად მოღვაწეობდა. მათ შემდეგ კი აქვე თვითონ ჩაუდგა სათავეში ან უაქტიურესი მონაწილეა საზოგადოებრივ-კულტურულად მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებისა 1921 წლამდე.

თავიდან იგი თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურს (1887 — 1894), კერძოსა (1894 — 1904, იგივე იყო მისი დირექტორი), ქალთა მეორე (1904 — 1916) და მეექვსე გიმნაზიებში ასწავლიდა ისტორიას, გეოგრაფიას, ლათინურსა და ბერძნულ ენებს (მშობლიურ ქართულს გარდა, იგი კარგად ფლობდა რუსულსა და ფრანგულ ენებს, კითხულობდა გერმანულ და ინგლისურ ენებზეც), მშობელთა უნივერსიტეტში (1907—1910) კითხულობდა ლექციებს ისტორიასა და არქეოლოგიაში, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღიდან, როგორც პროფესორი, განაგებდა არქეოლოგიის კათედრას და უძღვებოდა არქეოლოგიის კურსს (1918 — 1921).

აღსანიშნავია, რომ ე. თაყაიშვილი იყო ამ უნივერსიტეტის დაარსების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სათანადო პირველი კრებაც მის ბინაზე ჩატარდა. უფრო ადრე კი ის იმ შენობის აგების ინიციატორთაგანია, რომელშიც შემდეგ ეს უნივერსიტეტი მოთავსდა (4 № 1).

1917 — 1921 წლებში ე. თაყაიშვილი მუშაობდა ნ. მარის მიერ დაარსებულ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ თბილისში, და ვინაიდან მაშინ პეტროგრადთან (სადაც ხელმძღვანელი ცხოვრობდა) კავშირი გაწყვეტილი იყო, ინსტიტუტს ე. თაყაიშვილი უძღვებოდა.

ე. თაყაიშვილი 1888 წელს აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად. ის იყო მისი ერთ-ერთი უაქტიურესი მუშაკთაგანი, იგივეა წევრი ქართული დრამატული საზოგადოებისა (1888—1921), რომელსაც ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა.

ისტორიკოს დ. ბაქრაძეს და ე. თაყაიშვილს მოუხერხებიათ მიეღოთ და მცხეთიდან თბილისში ჩამოეტანათ 58 ძველი ხელნაწერი და 50 სიგელ-გუჯარი. ამით დააარსეს მათ საქართველოს საეკლესიო სიძველეთა საცავი (მუზეუმი), რომელიც შემდეგ გაფართოვდა. ე. თაყაიშვილმა

აქვე შექმნა მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკა. იგივე ჩვენი მოღვაწე იყო პ. ს. უვაროვას მიერ 1901 წელს თბილისში დაარსებული მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილი წევრი და მისი მდივანი 1905—1918 წლებში. გახლდათ რუსეთის (პეტერბურგი-მოსკოვის) „Société asiatique“-ს, საფრანგეთისა და ევროპის ზოგიერთი სხვა სამეცნიერო საზოგადოებების წევრიც.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და მისი მუზეუმი შექმნა ე. თაყაიშვილმა. ის უძღვებოდა მას და რედაქტორობდა საზოგადოების გამოცემებს, აწყობდა სამეცნიერო ექსპედიციებსა და აგროვებდა ქართულ სიძველეებს, ეთნოგრაფიულ კოლექციებსა და ზეპირსიტყვიერების მასალებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ე. თაყაიშვილის ღვაწლი ქართული უმნიშვნელოვანესი სიძველეების დაცვასა და უკან დაბრუნების საქმეში, რომლებიც 1921 წელს პარიზში იქნა გატანილი*.

ამ საკითხთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი წერს: „მე იძულებული გავხდი საფრანგეთში წავსულიყავი ჩვენი მუზეუმების განძეულობის დასაცავად, რომელიც მენშევიკებმა წაიღეს საფრანგეთში და იქ დავრჩი აპრილის დამლევაზღვის 1945 წლისა“. აღარ ვჩერდები მასზე, „თუ რა დავიდარაბა ვადაამწყდა ოცდახუთი წლის განმავლობაში რომ ვადამერჩინა ჩვენი განძეულობა გაყიდვისაგან“ ან „გერმანელების ცდისაგან, რომ ხელში ჩაეგდოთ ეს განძეულობა და სხვა. ეს ვრცელი ისტორია...“

ამ განძეულობის სამშობლოში დაბრუნების თაობაზე ე. თაყაიშვილი ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში აწარმოებდა მიმოწერას ქართველ მეცნიერებთან.... დაბოლოს,—წერს თვით ე. თაყაიშვილი,—ჩვენი განძეულობის სამშობლოში დაბრუნების საშუალება მოგვეცა საბჭოეთის „უმაგალითო გამარჯვებამ ფაშისტურ გერმანიაზე“, საბჭოთა მთავრობის საფრანგეთის მთავრობასთან შეთანხმებამ.

* სხენებული სიძველეების უკან დაბრუნების ინიციატივა სხვას მიეწერა. მაგალითად, დაიბეჭდა: «как подлинный патриот спосей Родины, Георгий Гегелия не мог вернуться (из Парижа) в Грузию раньше, чем сделать все от него зависящее, чтобы вернуть народу его достояние. Речь идёт о величайших культурных ценностях грузинского народа, похищенных е: меньшевиками...» (გაზ. «Вечерний Тбилиси», 1965 წ. 21 აპრილი, № 93 (3623), გვ. 3). ცხადია, ეს სწორი არაა.

მეცნიერებაში საერთო დამსახურებისა და განსაკუთრებით ძველი ქართული ხელნაწერების აღწერილობის I ტომის მთლიანად გამოსვლისას (1904, იხ. ქვემოთ) ნ. მარის რეცენზიითა და წარდგინებით, ე. თაყაიშვილს ჯერ კიდევ 1907 წელს მიენიჭა სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს დიდი მედალი, ხოლო არქეოლოგიური ნაშრომებისათვის — მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ოქროს მედალი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ღვაწლმოსილ მეცნიერს 1918 წელს „მონორის კაუზად“ მიანიჭა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და აირჩია პროფესორად.

არსებობს ე. თაყაიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია (1). ჩვენ აქ მას ვერ გავიმეორებთ, მხოლოდ ავტორის საკუთარსა და მისივე რედაქტორობით გამოცემულ წიგნთა სერიებსა და უმნიშვნელოვანეს ცალკეულ ნაშრომებს დავასახელებთ.

1. საქართველოს ისტორიის პირველწყყაროების პუბლიკაციები და გამოკვლევები „სამი ისტორიული ქრონიკა“ (1890), მოქცევაჲ ქართლისაჲს ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა...“ (1891), «Материалы для истории Грузии» (1895), „ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი“ (1906), „ქელმწიფის კარის გარიგება“ (1920), „სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ“ (1949) და სხვა.

2. არქეოლოგია: «Археологические экскурсии (წიგნი—I—II, თბ., 1905; III—1907; IV—1919; V—1915); არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები (I—1907; II—1914); „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ (პარიზი, 1937). „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩარგალში 1907 წელს“ (პარიზი, 1938), «Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии» (თბ., 1952), იგივე ქართულად—„1917 წლის ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში (თბ., 1960) და სხვა.

3. ქართული ლიტერატურის ძეგლები: „სიბრძნე ბალავარისა“ (1895), „მელის წიგნი“ (1899), „თიმსარიანი“ (1903), „სახისმეტყველი, ანუ ფიზიოლოგი“ (1904), ტექსტი „მცირე უწყება

ქართველთა მწერალთათვის“ (1909), აგრეთვე მნიშვნელოვანი მოგონებანი და წერილები ჩვენს მწერლებსა და მწერლობის საკითხებზე.

4. ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ა ნ ი: «Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения», ტომი I (ოთხ ნაკვეთად, 1902—1904), ტომი—II (ოთხ ნაკვეთად, 1906—1912), „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში“ (პარიზი, 1933). და სხვა.

ე. თაყაიშვილის ნაშრომებითა და რედაქტორობით გამოქვეყნდა კრებულები: 5. „ძველი საქართველო“ (ოთხ ტომად, 1909—1915) და 6. „საქართველოს სიძველენი“ სამ ტომად (1899—1910).

ექვთ. თაყაიშვილის დანარჩენი გამოკვლევები, ლიტერატურული და ისტორიული ხასიათის ხელნაწერების, სიგელ-გუჯრების, კინკლა-სების, მინაწერებისა და წარწერების (ქართული ეპიგრაფიკის), ხელოვნებისა და პალეოგრაფიული აღბრძოლებისა და სხვათა გამოკვლევები ზემოხსენებულ ბიბლიოგრაფიაში 278 ერთეულადაა დასახელებული.

ამათ შემდეგ თ. ბარნაველის მიერ გამოქვეყნდა ე. თაყაიშვილის ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წლებში“ (თბ., 1963) და მისივე წერილი „აკაკის ფონდი“ დაბეჭდა პროფ. მიხ. ჩიქოვანმა წიგნ „ქართულ ფოლკლორში“ (I—II, თბ., 1964, გვ. 373—380).

მასასაღამე, ამათი ჩათვლითაც ჯერჯერობით გამოქვეყნებულია ე. თაყაიშვილის 280 ნაშრომი. მაგრამ თუ გვიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ექვთიმე თაყაიშვილის ზოგიერთი წიგნიც კი კრებულის ტიპისაა და შიგრამდენიმე ნაშრომია დაბეჭდილი, მშინ, გასაგება იქნება, ჭაღნიშნული 230 ერთეული ორჯერ გაიზრდება.

გამოქვეყნებული ნაშრომების გარდა, მან გვიანდერა მდიდარი არქივი და ბიბლიოთეკა, რომელიც დატულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტისა და აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ხსენებული „ბიბლიოგრაფია“ 1890 წლით იწყება. ე. თაყაიშვილს მანამდე უცდია კალამი. მაგ., მის ეკუთვნის წერილი: „ქუთაისიდან უწერამდე“, — მოგზაურობის, სიძველეებისა და ზოგიერთი ეთნოგრაფიული რიტუალის აღწერილობა (იხ. ქუთაისის გიმნაზისტთა ორგანო

„ბელი“, 1880—1881 №№ 1, 2, 6, 8; ჟურნალის ცალეები ინახება ნ. მარის არქივში). მასვე სხვა წერილიც აქვს „ბედში“ მოთავსებული.

ამისდა მიხედვით არა 1890 წელს, არამედ ე. თაყაიშვილის ის სამეცნიერო მოღვაწეობა 1880 წელს იწყება.



ნ. მარს ე. თაყაიშვილი შემთხვევით არ დაუსახელებია მ. ბროსეს ქართულ მიმდევრებს შორის. მართლაც ის, როგორც მ. ბროსე, უმათვრესად, სინთეტიკური ტიპის მკვლევარია, — პირველ წყაროებსა და აღწერითი ხასიათის სამუშაოებს ეტანებოდა უფრო, მაგრამ რიგ სახელ-მძღვანელო პრინციპში იგი ნ. მართან ერთად არის.

ნ. მარი ამბობდა: „საფუძველი ყოველგვარ სერიოზული მუშაობისა ლიტერატურის დარგში არის კატალოგიზაცია ხელნაწერებისა“. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნ. მარმა სწორედ ხელნაწერების კატალოგიზაციით დაიწყო. ე. თაყაიშვილიც ასეთ სამუშაოებს აქცევს უმათვრეს ყურადღებას: ის აგროვებს ხელნაწერებს თუ წარწერებს, აღწერს მათ, ახდენს მათ კატალოგიზაციას, სწავლობს და ძირითადად ნაკლებსადავო დასკვნებით იფარგლება. ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონია ექვთიმესაგან: „ჩემი საქმე პირველწყაროებია. მათი განზოგადება ნიკოს (მარი) და ვანოს (ჯავახიშვილი) ეხერხებათ უფრო და მათდავეუთმე“...

დიდი ღვაწლი, უპირველეს ყოვლისა, ე. თაყაიშვილმა რუსთაველოლოგიას მით დასდო, რომ მან შეაგროვა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები (რითაც ზოგიერთი მათგანი უეჭველ დალუპვასაც გადაარჩინა) და მათ კატალოგიზაცია უყო, ისინი აღწერა და შოგვეცა მათი ზუსტი კლასიფიკაცია. ამას თვით ე. თაყაიშვილის შემდეგი სიტყვებიც ადასტურებს: „სხვა ძეგლთა შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერების აღმოჩენას და ლიტერატურაში უკვე ცნობილ ხელნაწერთა შექმნას მფლობელთაგან“. ავტორი ამბობს: ზუსტი რიცხვი არ მახსოვსო, მაგრამ, შეეძელი, რომ სხვადასხვა გზით, შემეგროვებინა 16 თუ 17 ხელნაწერი, რომელთა შორის ზოგი ფრიადსაყურადღებო გამოდგა როგორც ვარიანტებით, ისე საუცხოო მხატვრობითა და აშიათა შემკულობით. საერთოდ კი მოვკრიბე ცნობა 24

ხელნაწერის შესახებ (უფრო ზუსტად — 28), ზოგი“ მათვანის შეძენა, — განაგრძობს ე. თაყაიშვილი, — პირდაპირ საარაყო თავგადასავალად იქცა თვით ხელნაწერათვისაც, მათი პატრონებისათვისაც და ჩემთვისაც“. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკასო, — იგონებს ის, — „ვინმე კორინთელისაგან ვაყიდეინე თარიღიანთა შორის უძველესი ხელნაწერი—1646 წლისა“ (2. გვ. 311).

ესაა ახლა ცნობილი E, —H 599 ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია იმერეთის მეფის მდივნის მამუკა თავაქალაშვილის მიერ და რუსთველოლოგთა საერთო ყურადღებას იმსახურებს.

თუ რა დიდი მონდომებითა და თავგანწირვითაც კი ახდენდა ე. თაყაიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების მოპოვებას, ამისათვის უნდა წავიკითხოთ მისი სათანადო მოგონებები; მათში ბევრი რამაა მისაბაძი და საგულისხმო; აქვე ჩანს მისი ღვაწლი რუსთველოლოგიაში და საერთოდ ქართული კულტურის წინაშე. ამიტომ ნებას მივცემთ თავს, მათზე შედარებით ვრცლად შევჩერდეთ.

მაგ., „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი H 54 ერთი უმნიშვნელოვანეს-თავანია ოთხ-ხუთ ხელნაწერს შორის. იგი გიორგი მეთერთმეტეს გადაუწერინებია რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში უკვე კარგად ცნობილ ბეგთაბეგისათვის 1860 წელს. ამ ხელნაწერს უმოგზაურია მოსკოვ-თბილის-კახეთს შორის; ბოლოს ე. თაყაიშვილს გაუგია, თუ სად არის ის, და მის მფლობელს მანამ არ მოსუებია, სანამ ეს ხელნაწერი არ მიუღია (1909). 150 მანეთი (ერთგან 100 მან. წერია შეცდომით) დაჯდომიათ მისი შეძენა და ამის გამო ე. თაყაიშვილი წერს: ეს იყო უდიდესი საფასური, რომელიც კი ოდესმე მიმიცია ქართულ ხელნაწერ-შიო.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ყოფილ მეპატრონეებს კვლავ დაუპირებიათ ხელნაწერის უკან დაბრუნება; ახლაც ე. თაყაიშვილს დაუნარჩუნებია იგი მუზეუმისათვის.

თუმცა უსრული, მაგრამ შემორჩენილი ტექსტით ძალიან მნიშვნელოვანი „ვეფხისტყაოსნისავე“ ხელნაწერია K 205 (XVII ს.). იგი ექვთაყაიშვილის საშუალებით მოხვდა ქუთაისის მუზეუმში.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი S 5006 (XVIII საუკ.) ე. თაყაიშვილმა იხსნა საზღვარგარეთ გატანისაგან. ის შემოქმედელ (გურია) ქაიხოსრო გურიელს მზითვებში მიუცია თავის ასულ პელაგიასათვის, რო-

შელიც საჩხერელ ნესტორ წერეთელს მისთხოვდა. ხელნაწერი 1880 წლიდან თბილისშიც ყოფილა; იგი ერთ ნდობით აღჭურვილ პირს ეტლში დარჩენია. ამ გზით ხელნაწერი დ. სარაჯიშვილს სამ თუმნად შეუძენია და მისი ბარონ დე ბაისათვის ჩუქება გადაუწყვეტია, მაგრამ ეთაყაიშვილს ისე მოუხერხებია, და ეს ბევრი ცდისა და უხერხულობის გადალახვით, რომ ნივთი შემსყიდველისათვის არ დაუნებებია და სამშობლოში დაუტოვებია (2, გვ. 313).

ამის შემდეგ, თურმე, იმავე ხელნაწერის 36 სურათიდან (აღბათ, ადრევე, ამოჭრილი) 16 სურათი პარიზში იყიდებოდა. ისინი, საბედნიეროდ, მარჯორი უორდროპისათვისაც შეუთავაზებიათ. შ. უორდროპს ეს ამბავი ე. თაყაიშვილისათვის უცნობებია. ამას უორდროპისათვის უდევქეშია: სურათები დააკავეთო...

არ გასულა დიდი ხანი და ამ 16 სურათიდან 5—6 ცალი ორი სომხისაგან შეუძენია ერთ ებრაელ მიხაკას. მისგან წინათაც იძენდა ე. თაყაიშვილი ხელნაწერებს. ახლაც მას ამისათვის შეუთავაზებია ეს სურათები, მოგყიდითო.

რაც შემდეგ მოხდა, ე. თაყაიშვილი ასე იკონებს: „დაეიტოვე მიხაკას მიერ მოტანილი სურათები და ვუთხარი: „უნდა თქვა, ვინ მოგცა, თორემ შენ დაგიჭერენ და ჩაგაგდებენ საპყრობილეში-მეთქი!“ შეშინდა. თან თბილისის გუბერნატორს მივწერე მოხსენება, ასე და ასეა საქმე, ნაქურდალი სურათები მომიტანა ამან და მომტაცებლების დაჭერაა საჭირო-მეთქი. გუბერნატორმაც ბრძანა, საქმის გამოძიება. დაიბარეს ის სომხები და დაჰკითხეს. იმათ უთხრეს, „ბატონო, ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ, საერთოდ მაგეებით ვვაჭრობთ და რას გვემართლებით? წერეთლებმა მოგყიდეს ის სურათები და 600 მანეთი გადაგვანდევინესო“. მერე ის დამფრთხალი ვაჭრები ჩემთან მოვიდნენ და მითხრეს: „ხელნაწერის პატრონები თვითონ ვერ ამოჭრიდნენ შეუმჩნეველად სურათებს, მოგვცეს და ჩვენ ამოვჭერით (მართლაც, როგორც აღვნიშნე, სრულიად არაფერი დანაკლისი არ ეტყობოდა ხელნაწერს) და ისე ვიყიდეთო; ახლა ჩვენი ფული დაგვიბრუნეთ და ყველა სურათი უკან ინებეთო! თუ არა გჯერათ, თვითონ წერეთლებს ჰკითხეთო!“

მე ვუთხარი: „ახლა ჩვენ მაგის გამოძიებას ვერ შევუდგებით და ვერც ვერაფერს მოგცემთ; წერა-კითხვის საზოგადოება მაგ თანხას ვერ აგინაზღაურებთ, მაგრამ, რაკი დაზარალებულხართ, ვიშუამდგომლებ, რომ 200 მანეთი მაინც მოგცენ-მეთქი“.

ასე ვამჯობინე, რაკი მათ, ბოლოს და ბოლოს, მართლაც ნაყიდი ჰქონდათ ის სურათები და არა მოპარული; მივწერე საზოგადოების გამგეობას და მართლაც მისცეს 200 მანეთი. საერთოდ, ისე იყო დაწესებული, მე თუ კი მივწერდი, აღარც კი კითხულობდნენ, რატომ და ვის აძლევდნენ, ულაპარაკოდ მისცემდნენ ხოლმე ფულს. იმ მიხაკამ ხომ ვქვსი ცალი მომიტანა და დავიტოვე, დანარჩენი ათიც თვით სომხებმა მომიტანეს და მხოლოდ მას შემდეგ მივაცემინე ფული“ (2, 317)*.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი საყურადღებო ხელნაწერის ე. თაყაიშვილისეული აღწერილობა პარიზში გამოქვეყნდა (1 № 240) და ჩვენ თბილისშიც გამოვაქვეყნეთ (2, გვ. 43—48).

ე. თაყაიშვილი წერს: „ეს ხელნაწერი ელენე ერისთავის ასულს თარხან-მოურავისას თბილისში შეეძინა პ. კარბელაშვილის თაოსნობით. შემდეგ ელენე თბილისიდან ყირიმში გადასახლდა. იქ, თავის მამულში, ქუჩუქ-ლამბათში ცხოვრობდა იალტის მახლობლად. 1912 წელს მე მივედი ელენესთან... ამ წიგნების გამოსათხოვად და სხვა ნივთების სანახავად, მაგრამ ეს ხელნაწერი სხვა ნივთებთან ერთად სევასტოპოლის ბანკში შეენახა შოშიანობის გამო და ამიტომ ვერ ვნახე“. სამაგიეროდ ის მე დამპირდა, რომ ხელნაწერს თბილისში გამომიგზავნიდა და თანაც ანდერძს დატოვებდა, რათა მისი ვერცხლეულობა, სურათები, ნოხები, ხატები და ჯვრები, მისი სიკვდილის შემდეგ, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისათვის გადაეცათ!

გადიოდა ხანი, — წერს ე. თაყაიშვილი, — ხელნაწერი არ ჩანდა და ვწუხდი. დაბოლოს, როცა პარიზში აღმოვჩნდი, — დაწვრილებით ყვება ის, — ვესტუმრე ე. თარხან-მოურავის სიძე იოსებ დადიანს. სხვადასხვა საკითხზე კარგა ხნის საუბრის შემდეგ, იოსები „გავიდა მეორე ოთახში და რალაც ყდიანი ხელნაწერი გამომიტანა. დავხედე—„ვეფხისტყაოსანი“ იყო, სურათებიანი!

* ამავე ხელნაწერის შესახებ რ. მეტრეველი და ქ. შ. ბაღრიძე, — მონოგრაფიაში „ექვთიმე თაყაიშვილი“ (თბ., 1962), — წერენ: „ამ ხელნაწერის მიხედვით ექვთიმე თაყაიშვილმა „ვეფხისტყაოსანი“ გამოცა კრეცლო (გვ. 41).

ეს არაა სწორი; ე. თაყაიშვილის რუსთაველის პოემა არ გამოცა; იწერით კი საფუძვლიანად აღწერა. შემდეგ იგივე და მათდავარი სხვა ხელნაწერები აღწერეს სოლ. ყუბანეიშვილმა — „ვეფხისტყაოსნის სტრუქტურული შედგენილობა“, თბ., 1959, გვ. 301—321 და სარგის ცაიშვილმა (იხ. მისი „ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები“, თბ., 1963).

მამბო: ეს ის ხელნაწერია, რომელიც შენთვის გადმოსაცემად მაძლია სიდედრმა ქუჩუქ-ლამბათში, მაგრამ, როგორც გითხარი, მაშინ ვერ წამოვიღეო და ხომ გახსოვს, რა დავიღარაბა ამიტეხე ამის გამოო. ემიგრაციაში რომ წამოვედით, ერთხანს კონსტანტინეპოლში ვცხოვრობდით და, ვნახოთ, იქ მომიტანა ერთმა ქართველმა ეს ხელნაწერი და მეუბნება, სევასტოპოლის ბაზარში ვიყიდე და ახლა ვყიდო. მე ვუთხარი, ეგ ხელნაწერი ჩვენი ოჯახისა იყო, ქუჩუქ-ლამბათში ინახებოდა, სევასტოპოლის ბაზარზე რა უნდოდა-მეთქი? ცხადი იყო, რომ ტყუილს ამბობდა. რევოლუციის დროს ქუჩუქ-ლამბათი აეკლოთ, ჩემი სიდედრი იქ გარდაცვლილიყო და მისი ნივთებიდან ჩვენ აღარაფერი გვინახავს; მაინც დავიწყეთ მე და ხელნაწერის მომტანმა ვაჭრობა და ბევრი დავის შემდეგ 1000 ლირად მომყიდაო“.

მე ვუთხარი: „ახია შენზე, რომ ეგრე ძვირად დაჯდომია ეგ ხელნაწერი შენი დაუდევრობის წყალობით; ახლავე გამიხვიე ქალაქში-მეთქი!“ — „მიგაქვსო?“ — მკითხა. — „მაშ შენ დაგიტოვებ? ეგ ხომ შენი სიდედრის შემოწირულია-მეთქი!“ ხმა აღარ ამოუღია, გამიხვია ქალაქში და გამომატანა.

მას შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში, ოც წელიწადს, იყო ჩემთან ის ხელნაწერი. რა თქმა უნდა, აღვწერე. ყველა ცნობილ ხელნაწერს შევადარე, მის შესახებ მოკლე ცნობები გამოვაქვეყნე, აღწერილობა თბილისის უნივერსიტეტსაც გამოუგზავნე, მაგრამ გამოცემით კი, აბა, რას გამოვემდი, სადა მქონდა ამის თავი? ხელნაწერში კარგი მინიატურები იყო — ზოგი უფრო ძველი, ვიდრე—სხვა ცნობილ ხელნაწერებში. სამი თუ ოთხი მათგანი იმჟამად პარიზს მყოფმა მხატვარმა დავით კაკაბაძემ გადმოიღო ფოტოგრაფიულად და გამოუგზავნა თავის ძმას სარგის კაკაბაძეს, რომელმაც ისინი დაბეჭდა თავის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“.

ბოლო ხანებში, — განაგრძობს თაყაიშვილი, — იოსებ დადიანის ოჯახი ერთობ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა უსახსრობის გამო. მოვიდა ჩემთან იოსები და დიდი მორიდებითა და დარცხვენით მითხრა: „შინ ქალებმა ლამის შემკამონ (ცოლსა და ცოლისდას გულისხმობდა), დედაჩვენის ხელნაწერი რომ თაყაიშვილს გადაეცი, იმის შეწირვას, მართალია, დაპირებია დედაჩვენი, მაგრამ მან ხომ ვერ შეასრულა დაპირება და მერე ხომ შენ შენი ფულით იყიდე, ახლა ჩვენია და რომ გავყიდოთ, კარგ ფასსაც მოგვეცემნო; ამიტომ უთხარი თაყაიშვილს, დაგვიბრუნო-

სო!“ ერთნახს არ ვაძლევდი, მაგრამ მერე თვითონ ქალებმაც მომაკითხეს; ვნახე, რომ მართლაც ძალიან უჭირდათ, შემებრალნენ და ვუბრუნე ხელნაწერი. იმათ ჯერ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკას შესთავაზეს და მეც კი მინდოდა, რომ პარიზშივე დარჩენილიყო, რათა მაინც მისაწვდომი ყოფილიყო“.

აგრეთვე ე. თაყაიშვილი წერს: „ბიბლიოთეკის გამგე მიცნობდა და მომწერა, მაცნობეთ, თუ რას წარმოადგენს შემოთავაზებული ხელნაწერი, რა ღირსებისააო. მეც მივწერე: მართალია, ხელნაწერს თავშიცა და ბოლოშიც აკლია, მაგრამ, საწერი მასალისა და ხელის მიხედვით, იგი მე-17 საუკუნეს მიეკუთვნება, ტექსტი მრავალ ვარიანტს შეიცავს სხვა ამგვარ ხელნაწერებთან შედარებით, თან საყურადღებო მხატვრული მინიატურებითაა დასურათებული და სასურველია, რომ შეიძინოთ ეს ძვირფასი ხელნაწერი-მეთქი. მაგრამ ბიბლიოთეკის გამგე ვერ მოურიგდა და დიანებს: მგონი 10.000 ფრანკზე მეტი ვერ შეაძლია. დადიანებს აღმოაჩინდათ ერთი კარგი ნაცნობი მდიდარი ინგლისელი, რომელსაც, ეტყობა, ცოტა რამ გაეგებოდა ძველი ხელნაწერებისა, და აჩვენეს მას. ინგლისელს დიდად მოსწონებოდა ხელნაწერი და ეკითხა: თუ გაქვთ ცნობა, რომელი საუკუნისაა? ეპასუხათ: ხელნაწერს თარიღი არ უწერია, მაგრამ პროფ. თაყაიშვილი მე-XVII საუკუნეს აკუთვნებსო. ინგლისელს ეთქვა, ბევრი ძველი ხელნაწერი მინახავს, ვერკვევი მათში და ეს ხელნაწერი, მასალის მიხედვით, მე-XVII საუკუნეზე უფრო ძველი უნდა იყოსო (ქალაქი კია, მაგრამ სქელია და ტყავსა ჰკავს!). რალა ბევრი გავაგრძელო, იმ ინგლისელმა, რომლის არც ვინაობა ვიცი და არც ხელობა, ... იყიდა დადიანებისაგან ხელნაწერი 25.000 ფრანკად, ამ ფულმა მისცა საშუალება იოსების ცოლისდას, გრაფის ქვრივს, თავის შვილთან წასულიყო მაროკოში (თავისი წილი 15.000 ფრანკი წილო) და დადიანებმა ცოტა ხანს სული. მოითქვეს. იოსებს ექვსი ქალიშვილი ჰყავდა, ერთიმეორეზე ლამაზები. ერთი მათგანი შეირთო გიორგი ამილახერის ვაჟმა, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს მოკლეს სირიაში და დე გოლი 5 საათს უამბობდა მის გმირობას ტელეფონით იქიდან პარიზში თავის მომხრეებს. იმ ინგლისელმა კი ბოლოს ბრიტანეთის მუზეუმს შესწირა ელენე თარხან-მოურავის ნაქონი „ვეფხისტყაოსანი“ და ამით გათავდა ამ ხელნაწერის ამბავი“ (2, გვ. 321—323).

დ. მ. ლანგიც ადასტურებს, რომ ეს ხელნაწერი ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპისეულ კოლექციაში (№ 27) ინახება („ცისკარი“, 1957 № 4, გვ. 151).

ცალკეულ ხელნაწერზე ლაპარაკი, ვფიქრობთ, კმარა. ექვ. თაყაიშვილი ამბობდა: „განზრახული მაქვს დაწვრილებით აღვწერო „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენ მიერ მოგროვილი ყველა ხელნაწერის თავგადასავალი, სათითაოდ, და გამოვაქვეყნო“ (2, გვ. 323)

აეტორმა ეს ველარ მოასწრო, ... მაგრამ ზემოაღნიშნული და სხვა მის მიერვე ნაანდერძევი ცნობებიც ძალიან ბევრის მოქმელია.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების მოპოვებისა და დაცვის გარდა, ექვ. თაყაიშვილის დამსახურებაა არუსთაველოლოგიაში იმავე ხელნაწერების აღწერა, კლასიფიკაცია, „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ და მოკლე ვარიანტებს შორის არსებული ურთიერთობის გარკვევა და რიგი საგულისხმო აზრების გამოთქმა.

ექვ. თაყაიშვილმა პირველმა შენიშნა, რომ ვახტანგ VI მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ (1712) ხელოვნურად შემოკლებული, ე. ი. რედაქტირებული, ტექსტია და არა რომელიმე ძველი ხელნაწერის განმეორება. მის აზრს ავითარებენ ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ს. ცაიშვილი და სხვებიც.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ვრცელი და მოკლე რედაქციების ურთიერთობის საკითხის კვლევა, როგორც ზემოთ ითქვა, მკვიდრ ნიდაგზე მხოლოდ მაშინ დამყარდა, როდესაც „ე. თაყაიშვილმა 1908 წელს დაბეჭდა ვრცელი აღწერილობა პოემის 24 ხელნაწერისა, რომელთა შორისაც ერია ცხრა ხელნაწერი, მე-XVII საუკუნისა და ერთი ძველი ნაწყვეტი, ისიც XVII საუკუნისა“.

ზემოთვე შევნიშნეთ, ე. თაყაიშვილმა შემდეგაც განაგრძო მუშაობა ამ მიმართულებით. ხსენებული 24 ხელნაწერის გარდა, მანვე გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ სამი ხელნაწერი ნუსხის აღწერილობა.

აღნიშნული 27 ხელნაწერიდან ოთხი ისეთი ნუსხაა, რომლებზეც ჩვენ ყოველთვის და ადვილად ხელი არ მიგვიწვდებოდა. ახლა უკვე

თითოეული მათგანის ფოტოპირიც გვაქვს თბილისში, მაგრამ ე. თაყაიშვილისეულ აღწერილობას მაინც თავისი მნიშვნელობა აქვს.

პირველად ე. თაყაიშვილის მიერ აღწერილი რუსთაველის პოემის ხელნაწერი ნუსხების კითხვასხვაობათა მეცნიერული მნიშვნელობის გათვალისწინების გამო, იმავე მეცნიერმა წამოკრა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ხელნაწერ ნუსხათა ვარიანტებით ურთ. გამოცემისა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს 1913 წლის ერთ-ერთ ოქმში ვკითხულობთ: საზოგადოების საბჭომ „დაადგინა შეერთებულის ძალით გამოსცეს „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი ყველა ვარიანტების ჩვენებით“ (ყურნ. „კლდე“, 1914 № 23, გვ. 7—8).

მართალია, ეს ღონისძიება მაშინ ვერ განხორციელდა, მაგრამ არჩეული გზა სწორი იყო და იგი ჩვენს დროში გაკეთდა.

იმ დროს, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ წყაროდ „ბარამგულიჯანიანს“ თვლიდნენ ჯერ ეგრი (თ. უორდანი) და შემდეგ იუსტ. აბულაძე, ე. თაყაიშვილმა პირველმა აღნიშნა, რომ ეს წყარო არ ჩანს სპარსულში, მეორეს პირველთან არავითარი საერთო არა აქვს და გამართლდა.

დიდი ისტორია აქვს ცნობილ ლექსს — „როს ნაქარმაგვეს მეფენი.“ მას „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ან თამარ მეფეს მიაწერდნენ, ან თვლიდნენ ხალხურად, ან კიდევ მიაჩნდათ, რომ იგი ერთ დროს დავით აღმაშენებლის ან თამარ მეფის ეპიტაფიას წარმოადგენდა, ან თვით თამარ მეფის მიერ იყო დაწერილი.

ე. თაყაიშვილის მიერ „ხელმწიფის კარის გარიგების“ აღმოჩენის, შესწავლისა და გამოქვეყნების შემდეგ უდავო გახდა, რომ ეს ლექსი ეკუთვნის არა რუსთაველს ან თამარ მეფეს, ან ფოლკლორს, არამედ მისი ავტორია არსენ იყალთოელი. არც ერთი ხსენებული მეფის ეპიტაფიას ეს ლექსი არ წარმოადგენს.

იმავე დროს ექვ. თაყაიშვილმა დააზუსტა ამ ლექსის ტექსტიც, დაამტკიცა:

„როს ნაქარმაგვეს მეფენი შეიღნი მე პურად დამესხნეს...“ კი არაა სწორი, არამედ,—

„ვეინ (sic!) ნაქარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად ჩაესხნეს...“ იქვე შენიშნა, რომ ტექსტით 13 მეფეც კი გამოდის, მაგრამ თორმეტია სწორი*.

აქვე საგულისხმოა ე. თაყაიშვილის შემდეგი დებულებები: „ქართული ხალხური სიტყვიერება დაუშრეტელი ზღვა არის...“, ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ „იქონია გავლენა ჩვენს საუკეთესო პოეტებზე და მწერლებზე, მაგრამ იმავე დროს ყველა საუკეთესო ნაწარმოები ჩვენი ლიტერატურისა გადავიდა ხალხში“. ავტორი მაგალითისათვის ასახელებს „ვეფხისტყაოსანს“, „როსტომიანს“, „ბეჟანიანს“, „ამირან-დარეჯანიანს“ და ასევე: „კარგათ რომ გამოვიკვლიოთ და სრულიად შევკრიბოთ ხალხური პოეზიის ნაშთები, შეიძლება აღმოჩნდეს ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომელიც ერთ დროს ავტორის ყოფილა, ავტორის ვინაობაც სცოდნიათ, მაგრამ ჩვენამდის არ მოუღწევია და ავტორის სახელი გამქრალა, ხოლო მისი ნაწარმოები, თუ არა სრულიად, ნაწყვეტებად მინც ხალხურ პოეზიას დაუცავს. ამის უტყუარ საბუთს გვაძლევს ჩვენ მიერ პოვნილი „ხელმწიფის კარის გარიგება...“ („ქართული ფოლკლორი“, I—II, თბ., 1964, გვ. 375).

პირდაპირ სახელმძღვანელო პროგრამაა არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გამომცემელთათვის, არამედ საერთოდ ფოლკლორულ მასალათა შემკრებთა და მათ გამომქვეყნებელთათვის ე. თაყაიშვილის შემდეგი სიტყვები: „ხალხური პოეზია იმასვე განიცდის, რაც არქეოლოგიურ ნაშთებს მოსდის, — ერთიც და მეორეც ისპობა, და თუ საჭიროა არქეოლოგიური ნაშთების შეკრება და შესწავლა, აგრეთვე საჭიროა ხალხური სიტყვიერების შეკრება, გამოქვეყნება და შესწავლა. როგორც არქეოლოგიურ ნაშთების შეკრებას და შესწავლას ესაჭიროება მომზადებული პირები, ისე სახალხო პოეზიის შეკრებასაც ესაჭიროება სპეციალურად მომზადებული ადამიანი“ („ქართული ფოლკლორი“, I—II, გვ. 377).

ილია ჭავჭავაძის მეგობარმა, ე. თაყაიშვილის სიმაძრმე ივ. ეგნ. პოლტორაკიმ რამდენიმე ქართული თხზულება და მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა რუსულ ენაზე. ამ საქმეში, უეჭველია, სიმაძრმე სიძე შეველოდა.

* გამოქვეყნებულია ამ ლექსის ვარიანტებიც, იხ. И. Мегрелидзе. Руставели и фольклор, თბ., 1960, გვ. 247—253.

ე. თაყაიშვილი წერდა: ამ თარგმანს გამოვცემთო. მართალია, ის აღარ გამოქვეყნებულა, მაგრამ ე. თაყაიშვილის მეშვეობით იგი ჩვენს ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

ე. თაყაიშვილის კვლევა-ძიება „მოიცავდა საქართველოს ისტორიულ-კულტურული წარსულის თითქმის ყველა დარგს. ის იყო ისტორიკოსი, მკვლევარი — არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო მკოდნე“. თვით ე. თაყაიშვილი წერს: პედაგოგიურსა და საერთოდ საზოგადო მოღვაწეობის გარდა, მე „მიზნად დავისახე საბუთების და ძეგლების შეკრება, მათი წესრიგში მოყვანა, აღწერა, გამოქვეყნება და, რაც მთავარია, დაცვა“.

მან ეს ბრწყინვალედ შეასრულა. როგორც დიდი პატრიოტი, იგი აღნიშნავდა: „ქართული სულიერი, გონებრივი და მატერიალური კულტურა რთულია, მრავალმხრივია და ბევრ რამეში მეტად თავისებურია. იშვიათია პატარა ერი, რომელსაც ისეთი ძველი კულტურა ჰქონდეს; ამ კულტურამ გადაარჩინა ქართველი ერი მოსპობას უამთა ვითარების აბოზოქრებული ქართველისაგან, მისცა უნარი სიმტკიცისა, გამძლეობისა და ყოველი ჭირის გადატანისა“ („ლიტ. საქართველო“, 1963 № 3).

ჩვენ დაუშვებლად პირიქითაც, — კულტურულობამ დააცვეინა ქართველ ხალხს ეროვნული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები. ექვთიმე თაყაიშვილი იყო ერთი იმ დიდ ქართველთაგანი, რომლებმაც დაიცვეს ეს ეროვნული განძეულობა, იგი იყო ჩვენი ისტორიის პირველწყაროების უდიდესი შემკრები, მისი უტოლო დამცველი და მრავალმხრივი მკვლევარი, მოქალაქეობრივი გრძნობითა და პატიოსნებით აღჭურვილი, საქართველოს ჭეშმარიტი მეჭურჭლეთუხუცესი.

1. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია, თბ., 1963. 2. ექვ. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968 (ნაწ. I — მასალები ქართული მწერლობის ისტორიიდან; ნაწ. II — ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი), თბ., 1968. 3. რ. მეტრეველი, შ. ბაღრიძე. ექვთიმე თაყაიშვილი, პროფ. შ. მეხსიას რედაქციით, თბ., 1962. 4. ი. მეგრელიძე. დიდი მეცნიერი მამულოშვილი (ექვ. თაყაიშვილი). — გაზ. „სამშობლოს ხმა“, თბ., 1969 №№ 1, 2, 3, 4. მისივე, «О жизни и эпитафических работах Е. С. Такашвили. — ჟურნ. «Эпиграфика Востока», გვ. 3 — 10, მოსკოვი, 1960. გ. ლომთაძე. წერილი ეურნალში: «Советская археология» მოსკოვი, 1964 № 3.

იუსტინე აბულაძე

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე (1874—1962) თავისი დროის ჩვენი საუკეთესო ირანისტი და რუსთველოლოგთაგანი იყო.

ივანე ჯავახიშვილი მის შესახებ წერს: რუსთაველის პოემის „ორიგონალობისა და ირანული მწერლობითგან პარალელების საკითხზე, აკად. ნ. მარის შემდგომ, ყველაზე მეტად იუსტ. აბულაძეს აქვს დაწერილი“ (1935). აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ნაშრომების არა მხოლოდ რიცხვი, არამედ მათი მაღალი ხარისხიც. ასევე კარგ შეფასებას აძლევენ იუსტ. აბულაძის გამოკვლევებს ნიკო მარი და საგნის სხვა სპეციალისტებიც.

იუსტინე აბულაძის პირადი საქმე (დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივში) არის საფუძველი ამავე მეცნიერის ყველა იმ ბიოგრაფიისა, რომელიც ჭერჭერობით კი დაიბეჭდა (1).

ქუთაისის გიმნაზიაში საშუალო განათლების მიღების შემდეგ, იუსტ. აბულაძემ 1900 წელს დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-სპარსული ენისა და ლიტერატურის განყოფილება პირველი ხარისხის დიპლომით. აღ. ცაგარელის, ნ. მარისა და ვ. ეუკოვსკის რეკომენდაციით, მას იქვე ტოვებდნენ სამუშაოდ, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაბრუნდა თბილისში და აქ შეუდგა პედაგოგიურსა და სამეცნიერო მოღვაწეობას.

1902 წელს, მეცნიერული მიზნით, მან იმოგზაურა ჯერ სპარსეთში (ერთი თვე დაჰყო თაერისში) და შემდეგ შუა აზიაში (ტაშკენტი, ბუხარა; სამარყანდი), ხოლო 1903 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე

მუშაობდა ვენის, ბერლინისა და პარიზის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში. თბილისში ი. აბულაძე ასწავლიდა სპეციალურ სასწავლებლებსა და გიმნაზიაში ქართულ ენასა და ლიტერატურას.

1906 წლის 4 ივლისს პოლიციელებმა ქართული გიმნაზია დაარბიეს, შიო ჩიტაძე მოკლეს და ი. აბულაძეს 3 ტყვია მოახვედრეს ფეხებში; არც ეს აკმარეს,—თავში თოფის კონდახი ჩაჰკრეს, რამაც დიდად იმოქმედა მის შემდგომ ჯანმრთელობაზე.

ი. აბულაძეს დამსახურება მიუძღვის აგრეთვე ქართული ლექსიკოლოგიის განვითარებაში. გარდა ამისა, რომ მან ლექსიკონები შეუდგინა „ვეფხისტყაოსნის“ ქვემოდასახელებულ გამოცემებს. მანვე დაურთო მეცნიერულად გამართული ლექსიკონები „შაჰნამეს ქართულ ვერსიებს“, „ვისრამიანის“ 1938 წლის გამოცემას და ექიმ ლ. კოტეტიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებს (მაგ., „წიგნი სააქიმო“, 1936, „უსწორო კარაბადინი“, 1940) დაურთო არაბულ-სპარსული ტერმინების ლექსიკონი; მანვე შეადგინა ორტომიანი „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (ტ. I, 1928), ვრცელი სპარსულ-ქართული ლექსიკონი (დაუბეჭდავია) და გამოაქვეყნა ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების რიგ სახელთა ეტიმოლოგიები, გამოეხმურა ქართული ენის სასკოლო გრამატიკის გამოცემებს და სხვა.

ი. აბულაძე ბეჭდავდა აგრეთვე წერილებსა და ნარკვევებს ომარ ხაიმის, საადი შირაზელის, ჰაფიზის, აბდურ რაჰმან ჯამის, ნიზამი განჯელის, რუდაქისა და ირანის სხვა მწერლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, თარგმნა სპარსული პოეზიის ნიმუშები (მაგ., ომარ ხაიმის „რუბაიები“, 1924), რითაც ხელი შეუწყო აღმოსავლური პოეზიის პოპულარიზაციას საქართველოში.

ი. აბულაძემ, პირველ ხანებში, როგორც საშუალო და სპეციალური სასწავლებლების პედაგოგმა, შემდეგ კი— ჩვენი უნივერსიტეტის ლექტორმა და პროფესორმა, ამაგი დასდო ჩვენს ახალგაზრდობას. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებას ჩვენს უნივერსიტეტში. მან გამოაქვეყნა „ირანული ენის გრამატიკა ქრესტომატიითურთ“ და დაწერა „სპარსული ლიტერატურის ისტორიის“ კურსის სახელმძღვანელო (25 საავტ. თაბახი, ჯერ გამოუცემელი).

ძალიან მნიშვნელოვანია ი. აბულაძის რუსთველოლოგიური ნაწერები. მათ შორის „მე-12 საუკუნის საერო მწერლობის ხასიათი

და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (პირველად დაიბეჭდა 1909 წ., გადამუშავებული სახით 1922 წელსაც გამოიცა) ის წიგნია, რომელშიც განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის, ლექსიკისა და მხატვრული ენის საკითხები. მისი მაღალი მეცნიერული დონის თაობაზე ნ. მარი წერდა: საკითხის შესახებ „ქართულ ენაზე არსებულ ლიტერატურაში ი. აბულაძის ნაშრომი არის პირველი წინ გადადგმული ნაბიჯი. საკმარისია ითქვას, რომ ავტორმა იცის სპარსული ენა და ამ მხრივ უფლებამოსილია იმსჯელოს ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა თაობაზე, და საერთოდაც ცდილობს იმუშაოს ფართო მეცნიერული პორიზონტით“ (1910).

რა თქმა უნდა, აქ საქმე ი. აბულაძის მხრივ მარტო სპარსული ენის ცოდნაში არაა. მისი წინამორბედები, გარდა ნ. მარისა, არ იყვნენ დაინტერესებულნი საკითხების ისეთი ფართო წრით, რომელსაც ი. აბულაძე იძიებდა და ვერც იმ ისტორიულ შედარებითს მეთოდსა და კვლევის ხერხებს იყენებდნენ, რომელ მეთოდსა და კვლევის ხერხებსაც ის ფლობდა.

ი. აბულაძე თავის ტექსტოლოგიური მუშაობის თაობაზე ამბობს: „ვეფხისტყაოსნის“ „ჩვენი 22-ე გამოცემით ჩვენ წავდგით ნაბიჯი წინ ტექსტის გაწმენდაში“ (1, გვ. 131).

„ვეფხისტყაოსანი“ დღემდის წარმოადგენს ქართული მწერლობის ისტორიაში მეტისმეტად რთულსა და ძნელ მოვლენას. 20 წლის განმავლობაში დამისტამბავს რამდენიმე ნაშრომი და, რა თქმა უნდა, ჩვენ მივალწიეთ სასურველ შედეგებს ენის შესწავლის მხრივაც. ტექსტის ბევრი ჩვენამდე სრულიად გაუგებარი ადგილი, — სიტყვები თუ ტერმინები, — დღეს ზედმიწევნით შესწორებული, ახსნილი და განმარტებული გვაქვს როგორც ამ საგნის შესახებ გამოკვლევებში, ისე ლექსიკონში“ (1, გვ. 126).

ნაწარმოების ენის შესწავლის ნიადაგზე, — სხვა ნაშრომში წერს იუსტ. აბულაძე, — შესაძლებელი შეიქმნა პოემის ტექსტის, „ნამეტურ მისი საუკუნოების განმავლობაში წარყვნილი ადგილების—აღდგენა, და ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ჩვენ მიერ, რამდენადმე მაინც, კრიტიკული ტექსტის გამომუშავებას“ (1, გვ. 127).

„... ახალი 26-ე გამოცემით, ერთი მხრით, ჩვენ ხელახლა შევასწორეთ 22-ე გამოცემის ტექსტი არსებულ ვარიანტებზე შემოწმების საშუალებით და სათანადო ორთოგრაფიის შეტანით, ხოლო, მეორე მხრით“, კვლავ გაეწმინდეთ პოემის ტექსტიო.

ადრინდელი სათანადო ნაშრომებისა და „ვეფხისტყაოსნის“ 1914 წლის გამოცემის გამო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საკვალციფიკაციო კომისიამ, ნ. მარის რეკომენდაციით, იუსტ. აბულაძეს მიანიჭა ფულადი პრემია. მკვლევარი ამითაც აღიარებული იქნა, როგორც ერთი წამყვან რუსთველოლოგთაგანი.

ლიტერატურული ძეგლის თეორიული კვლევისა და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაწმენდის გარდა, იუსტ. აბულაძე, ერთი მხრივ, დაწვრილებით ა ვ ლ ე ნ ს ა ე რ თ ო მ ო მ ე ნ ტ ე ბ ს, განსაკუთრებით აფორიზმებს „ ვ ი ს რ ა მ ი ა ნ ს ა“ და „ ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ს“ შ ო რ ი ს, და მეორეს მხრივ, ის ამავე ნ ა წ ა რ მ ო ე ბ თ ა თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ე ბ ზ ე ამახვილებს ყურადღებას. როცა იგი მსჯელობს ისეთ კარდინალურ საკითხებზე, თუ როგორი სიყვარულია ასახული „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“, ასკვნის: „რუსთაველი ცდილობს დახატოს „ვისრამიანში“ გამოყვანილი სიყვარულსაგან განსხვავებული სიყვარული“. ალ. ბარამიძე საფუძვლიანად აღიარებს ამ აზრს და აგრე ავითარებს: „საერთოდ და მთლიანად, გორგანელი და რუსთაველი ერთსა და იმავე თემას (სიყვარულის თემას) პრინციპულად განსხვავებულ იდეურ-მორალურ დახასიათებას აძლევენ და დიამეტრალურად განსხვავებული თვალსაზრისით განიხილავენ“*.

ი. აბულაძე რუსთველოლოგიაში ნ. მარის შეთოდს იმარჯებს; იგი მასწავლებლის ქეშმარტი მოწაფეა, თუმცა არაა მისი განმმეორებელი. მაგ., ნ. მარი ცაავდა რუსთაველის მესხური წარმოშობის აზრს, ხოლო ი. აბულაძე პირველი მიემხრო თ. ბაგრატიონს და პოეტის ჰერეთიდან წარმოშობის აზრის დამტკიცებას ლამობდა. ნ. მარი ერთ დროს პოემას ნათარგმნად თვლიდა, ი. აბულაძე ერთხანს სიუჟეტს ნასესხებად აღიარებდა, ნაწარმოებს კი მუდამ ორიგინალურს უწოდებდა.

* რუსთველური მიჯნურობის ამ თავისებურებას (იხ. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. შოთა. რუსთაველი, 1958, გვ. 186; მ ი ს ი ე ე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 245—246) სხვა მხრივაც აქვეყნს ყურადღებას ნ. ნ ა თ ა ძ ე (იხ. მ ი ს ი, რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი, 1966).

ავტორი წინათაც და განსაკუთრებით ბოლონდელ ნარკვევებში „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობას ხედავს პოეტის უზადლო ოსტატობაში. არა მარტო ძმადნაფიცობა და რაინდული სიყვარული, — განმარტავს იგი, — არამედ პოემის ყოველი ეპიზოდი, ან ესა თუ ის ცალკეული ავანტიურა, ისეთი ღრმა ინტერესის გამომწვევი თანდათანობით არის დალაგებული და აკინძული ერთ მთლიან თაიგულივით, რომ ყველა ეს საკმაო ხდება, პოეტის უზომო აღმაფრენასთან და მის ჯადოსნურ რითმასთან ერთად, რომ „გაიფანტოს ყოველი ეჭვი ჩვენი ძეგლის ორიგინალობის შესახებ“.

ავტორი აქედანვე გამოსული ამტკიცებს, რომ პოემის „საქრისტიანო ცხოვრების მიუხედავად, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ნამდვილი ქრისტიანის და არა მაჰმადიანის ზემოქმედებასთან გვაქვს საქმე“.

რუსთაველის რელიგიას, მიუხედავად მრავალი ახალი კონიუნქტურის ტის მტკიცებისა, რომ ეს პოეტი თითქოს ათეისტია, ამჩნევია ყველა ნიშანი, რომ ის ქართული ცხოვრებისა და ქრისტიანული რწმენის კაცია. ამავე აზრის არიან სხვა რუსთაველოლოგებიც.

იუსტ. აბულაძე რიგ კერძო საკითხებში დამოუკიდებელ აზრებს ავითარებდა.

მაგ., რუსთაველის კ ა ე ნ და ს ა ლ ა მ ა ნ ი. აბულაძის აზრით ბიბლიური (ძმისმკვლელი) კაენია; ს ა ლ ა მ ა ნ ი კ ი — სალი კლდე, კნინობითი ფორმისაგან ს ა ლ ა.

ნ. მარის აზრით კი „ვეფხისტყაოსნის“ კაენი ნ ი ზ ა მ ი ს „ლეილ-მაჯნუნთან“ გმირის ყ ა ი ს ი ს სახელის ფორმაა, ხოლო ს ა ლ ა მ ა ნ ი სპარსული რომანის „ს ა ლ ა მ ა ნ და ა ბ ს ა ლ ი ს“ გმირს წარმოადგენს*.

„ვეფხისტყაოსნის“ ორი გამოცემის გარდა, იუსტინე აბულაძემ დაბეჭდა ტექსტოლოგიური ხასიათის შრომები „შ ე ს წ ო რ ე ბ ა ნ ი და შ ე ნ ი შ ე ნ ა ნ ი ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს 22-ე გ ა მ ო ც ე მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ კ რ ი ტ ი კ უ ლ ი ტ ე ქ ს ტ ი ს რ ა მ დ ე ნ ი მ ე ნ ი მ უ შ ი თ“ (1914), „ვ ა ხ ტ ა ნ გ VI გ ა მ ო ც ე მ უ ლ ი ვ ე“

* დ. კ ო ბ ი ძ ი ს აზრით ნ. მ ა რ ი ს გაგებაა სწორი. იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108 (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV), თბ., 1964, გვ. 143, 151.

ფხისტყაოსნის რედაქცია... პოემის შესავალი
კრიტიკული ტექსტი“ (1920) და სხვა.

ყველა ეს ნაშრომი წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების
ხანგრძლივი და ბეჯითი მუშაობის შედეგს. ამავე გზით მან დაადგინა
„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სტროფულ რედაგენი-
ლობა და თანმიმდევრობა, გამართა რიგი მცდარად წაი-
თხული და გადამწერთაგან დამახინჯებული ტაეპები, მოგვეცა საყურა-
დღებო დაკვირვებანი ამა თუ იმ ადგილის გაგებისათვის და სცადა ქარ-
თული საერო ლიტერატურის თავისებურებათა გამოჩვენება.

მართალია, მკვლევარის მოსაზრებანი პოემის სიუჟეტის, შინაარსობ-
რივი გაშიფვრის ზოგიერთი ცდანი, შეხედულება ქართული კლასიკუ-
რი საერთო მწერლობის წარმოშობა-განვითარების ცალკეულ საკითხ-
ზე და სხვა უკვე მოძველებულია, მაგრამ ი. აბულაძის რუსთვე-
ლოლოგიური შრომები ძირითადად ახლაც ყურადღებას იპყრობენ.
მაგ., ი. აბულაძის მიერ დადგენილი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი მც-
იროდენი შესწორებით შევიდა 1937 წლის საიუბილეო, 1951 და 1957
წ. გამოცემებშიც, ხოლო მის მიერ შედგენილი ლექსიკონი (1909) სა-
თანადო დაზუსტებებით დაერთო „ვეფხისტყაოსნის“ 1914, 1926, 1937
და 1951 წლების გამოცემებს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არავის იმდენი
სიახლე არ შეუტანია „ვეფხისტყაოსნის“ ლექ-
სიკონის საკითხების გარკვევასა და თვით პოემის
ლექსიკონის დადგენაში, რამდენიც შეიტანა
ი. აბულაძემ.

მან „ვეფხისტყაოსნის“. ლექსიკონს დაურთო:

- 1) არაბულ სიტყვათა საძიებელი,
- 2) სპარსულ სიტყვათა საძიებელი,
- 3) თურქულ-ოსმალურ-ქართულის სიტყვები,
- 4) ბერძნულ-ქართულ სიტყვათა საძიებელი,
- 5) ლათინურ-ქართული სიტყვები და

6) საკუთარ სახელთა საძიებელი, რომლებშიც ყოველ სიტყვას მი-
წერილი აქვს იმ პირველწყაროს დამწერლობაც (და მნიშვნელობაც),
რომლიდანაც ი. აბულაძე მას თვლის ქართულ ენაში შემოსულად
(1,342—354).

ამ რთულ ლინგვისტურ ნამუშევარში შეიმჩნევა ცალკეული უზუსტობა, მაგრამ ეს ვერ ამცირებს გაწეული შრომის დიდ მნიშვნელობას.

იუსტ. აბულაძე რუსთაველის ენას საერთოდაც ახასიათებდა და მისი გრამატიკის საკითხებსაც იკვლევდა*. ცნობილია მისი წერილი „მცანაწილაკის შესახებ ვეფხისტყაოსანში“, სადაც ავტორი წერს: ეს ნაწილაკი რუსთაველმა შემოგვინახა სწორედ ნატვრითი კილოს ფორმებში, რომელიც „ახასიათებს ოქროს ხანის კლასიკურ ენას“.

იუსტ. აბულაძის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსახურება ისაა, რომ მან ექვთ. თაყაიშვილის შემდეგ, პირველმა აღწერა და დაახასიათა „ვეფხისტყაოსნის“ უმნიშვნელოვანესი ხელნაწერები** „შეძლო მათი კლასიფიკაცია, დაადგინა ზოგიერთი მათგანის წარმომავლობა და აღნიშნა, რომ „შესაძლებელი ხდება, ხელნაწერების... განსხვავებათა მიხედვით, გავყოთ მათი გადამწერლები და რედაქტორები ორ კატეგორიად...“

•

აქ ჩვენ ვერ ჩამოვთვლით იმ ცვლილებებსა და დაზუსტებებს, რომლებიც ი. აბულაძემ შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში. „ვეფხისტყაოსნის“ 26-ე გამოცემაზე დართული „ვარიანტები“ (გვ. 189—240) დალადებენ, თუ რა დიდი დრო და ენერგია მოუხმარებია ი. აბულაძეს ხელნაწერების შესწავლისათვის.

სრულიად ბუნებრივია, ი. აბულაძის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებმა ამ მხრივაც მიიქციეს ყურადღება და შემთხვევითი არაა, რომ 1937 წლის საიუბილეო გამოცემამდე უმთავრესად ი. აბულაძის მეორე (26-ე) გამოცემით სარგებლობდნენ. მასვე განსაკუთრებულ ანგარიშს უწევდნენ ის რუსთაველოლოგებიც, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ უშუალოდ ხელნაწერებზე მუშაობის საშუალებას.

* ამავე საკითხს სხვადასხვა მხრივ ეხებიან თავიანთ სათანადო ნაშრომებში: ნ. მარკი, ა. შანიძე, არნ. ჩიქოვავა, ს. კაკაბაძე, „ვეფხისტყაოსნის ფარმაკოტექსტების“ ავტორი, ივ. იმნაიშვილი, შ. ძიძიგური, ი. მერელიძე და სხვები.

** იხ. 1, გვ. 131—154. ამავე მიმართულებითვე განაგრძო კვლევა სარგის ცაიშვილმა იხ. მისი „ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები“. — „რუსთაველოლოგიური ძიებანი“, წიგნი 5, თბ., 1963.

შევეხბოთ კიდევ ზოგიერთ ცალკეულ საკითხს.

რუსთაველის სიტყვებს (77,4) „ჰგავსო ალვას, ედემის ხეს“... იუსტ. აბულაძე ასწორებს: „ჰგავსო ალვას, ედემის ხეს“ (40,4), ე. ი. პოეტს უნდა თქვასო: „სწორედ ედემს რომ ალვის ხე არის, იმას ჰგავსო“, და მიუთითებს თითქმის მსგავსივე კონსტრუქციის სტროფზე „ვეფხისტყაოსანში“ (26-ე გამოც., გვ. 327).

ავტორი ამას არც მხოლოდ პოემის გამოცემების ტექსტზე დაყრდნობით სჩადის, არამედ ხელნაწერებს ეყრდნობა. მართლაც „ვეფხისტყაოსნის“ უვრცეს ხელნაწერსა* და ზოგიერთ სხვაშიც (S 4527) ეს ადგილი ასეც იკითხება.

ასეთი წაკითხვით „მაჯამა“, — ამბობს ი. აბულაძე, — საცხებით აღწევს იმ პოეტურ მიზანს, რომელიც მას აქვს“, ამგვარი კითხვა „პოეტისათვის პირდაპირ ზედგამოჭრილია“ (იქვე).

საართმოდ ფორმების შეფარდება ასეთია:

ი. აბულაძის წაკითხვით:

შემოისხეს,
შეარისხეს,
სისხლი ისხეს,
ედემს ის ხეს.

საიუბულ. გამოცემით:

შემოისხეს,
შეარისხეს,
სისხლი ისხეს
ედემის ხეს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შესწორება არ იქნა გაზიარებული პოემის ტექსტის 1937 და შემდეგი წლების გამოცემების კომისიის მიერ, იგი უაზრო და უსაფუძვლო არაა, რაც მიუთითებს ისევე ი. აბულაძის დაკვირვებულებაზე, ტექსტოლოგიურსა და ფილოლოგიური ძიების უნარზე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ აღნიშნული სტრიქონის გარჩევისას, იუსტ. აბულაძე იძლევა სტრიქონის კომენტარს. ასევე მას „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპების აურაცხელი კომენტარი აქვს გამოცემული. მაგ., 477, 3:

„ადრე დაებრუნდით, ვიარეთ არ ეჯი გზისა შორისა“

* იგი გამოცემულია; იხ. „ვეფხისტყაოსნის ჩანართი და დანართი ტექსტებით“, სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ე ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1956, გვ. 18, სტროფი—108.

ტაეპიდან „არ ეჯი გზისა შორისა“ ასე აქვს მას განმარტებული: „მალე დაებრუნდით, ბევრი აღარ გვიარია“, ან უფრო ზუსტად: „აღრე დაებრუნდით, ფარაგნიც არ გვიარია“.

იუსტ. აბულაძის ყოველი გასწორება არც ჩანს მისივე გამოცემაში, მაგრამ ავტორი ასეთებზეც საფუძვლიან აზრს გამოთქვამს: მაგ., 442,2:

„ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყოლე ჩემთვის ნუ შუქნია“

№№ 2829, 4499, 4988 და 461 ხელნაწერებში ასევე წაუკითხავს, მაგრამ №№ 757 და 1117. ხელნაწერებში ასეთი წაკითხვისათვისაც მიუგნია:

„ცამცა მრისხავს, მზისა შუქნი ყულა ჩემთვის ნაშუქნია“

(იხ. 26-ე გამოც., გვ. 209—210).

გამოცემაში ი. აბულაძეს დაბეჭდილი აქვს „ნუ შუქნია“ (442,2) და შენიშნავს, რომ ეს შეცდომით დაიბეჭდა ვახტანგ VI გამოცემის მიხედვით (იქვე).

სხვა ხელნაწერებშიც იკითხება „ნაშუქნია“, მაგრამ 1937 წლისა და შემდგომ გამოცემებში მინც „ნუ შუქნია“ არის დაბეჭდილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შესწორება დასაშვებია და აწინდელ გამოცემებში „ნ ა შ უ ქ ნ ი ა“ შეიძლება დაიბეჭდოს.



იუსტინე აბულაძის რუსთველოლოგიურ ნაშრომებს, მრავალ დირსებასთან ერთად, ემჩნევა ზოგი ნაკლიცა და მათშივე რიგი სადავო და ცალკეული სრულიად მიუღებელი მოსაზრებებიც გვხვდება.

ჯერ უნდა შევნიშნოთ მეთოლოლოგიური ხასიათის საკითხზე. ნაწარმოების შესწავლისა და მისი იდეური შინაარსის გარჩევისათვის, უპირველეს ყოვლისა, უდავოა, რომ ტექსტი უნდა დადგინდეს ისეთი მრავალცვლილებიანი ტექსტის დადგენისათვის, როგორც „ვეფხისტყაოსანია“, ხელნაწერებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ, ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა ამის თაობაზე შეგვენიშნა („ლიტ. საქართველო“, 1964 № 14), რომ ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ა რ ა ვ ი თ ა რ და ს ა ყ რ დ ე ნ ს ა რ წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს ტ ე ქ ს ტ უ ა ლ უ რ კ რ ი ტ ი კ ა შ ი, მათი სათანადო მეცნიერული გამოყენების გარეშე (ნ. მარი). უდავოა, რომ ტექსტის მეცნიერული დადგენა ისევე არ შეიძ-

ლება მისი შინაგანი კრიტიკის გარეშე, როგორც არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ გრამატიკული ძიებებითა და ვარიანტების შედარებებით. „ტექსტოლოგიური მუშაობის ცენტრალური ადგილი მსოფლმხედველობის პრობლემას უნდა დაეთმოს“.

იუსტ. აბულაძის ტექსტოლოგიურ ნაშრომებს უეჭველად ემჩნევა გარეგანი კრიტიკისადმი მეტი ყურადღება, ვიდრე შინაგანისადმი, ნაწარმოების მსოფლმხედველობის პრობლემა არა ყოველთვის წინ წამოწეული.

იუსტ. აბულაძე, ნ. მარის მიხედვით, არა ერთგზის იმეორებს ნეოპლატონიზმის გავლენას რუსთაველზე. „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულსაც ამით ხსნის და წერს: „გამოვლინებულია განუსაზღვრელობის გრძნობის ნეოპლატონური სიყვარული“, რომელიც „სამარის იქითაც ეძებს უსაზღვრო სიტკბოება-ნეტარებას სატრფოსთან შეერთებისაკენ მისწრაფებაში“.

ჯერ ერთი, ამაში არაფერი სპეციფიკური ნეოპლატონური არაა, ეს ჩვეულებრივი ქრისტიანული წარმოდგენაა. მეორეც და, ნეოპლატონიზმის საერთოდაც რუსთაველზე გავლენის საკითხში ამ თეორიის ავტორს ნ. მარს მოსე გოგიბერიძე გამოედავა; შ. ნუცუბიძე და შ. ხიდაშელი კი ისევ ნ. მარის აზრს იცავენ და ზოგიერთ საკითხში სარწმუნოდაც.

ქართული კულტურის საერთოდ უეჭველად დიდი პატრიოტი იუსტინე აბულაძე ზოგად კულტურულ-ისტორიულ საკითხთა გადაჭრისას ზოგჯერ ცდება კიდევ. ერთის მხრივ, იგი ამტკიცებდა ქართული კულტურის თვითმყოფადობას და შოთა რუსთაველის იდეების ქართული სინამდვილისაგან წარმოქმნას; მეორეს მხრივ, წერდა, რომ ჩვენი პოეტი „იმდროინდელი სპარსული მიმართულების აშკარა გავლენის ქვეშ იყო“ („ვეფხისტყაოსანი“ 26-ე გამოც., გვ. XCIX; ან კიდევ იხ. 22-ე გამოც. გვ. XXXV).

რუსთაველის სადაურობის შესახებ, როგორც ზემოთ შეინიშნა, იუსტ. აბულაძე პირველად მიემხრო თეიმურაზ ბაგრატიონის თვალსაზრისს, რომლითაც „რუსთაველი იყო შობილივე რუსთავესა შინა... ჰერეთით ქალაქით... მთავარი რუსთავეისა“. ი. აბულაძე წერს: რუსთავი სამცხესა და ჰერეთშია; თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჰერეთის

რუსთავი XII საუკუნეზე ადრეა ცნობილი „ქართლის ცხოვრებაში“, მაშინ, როგორც ამას თეიმურაზ ბატონიშვილიც ადასტურებს; რუსთაველი წარმოშობილი უნდა „იყოს იმ რუსთავისაგან, რომელსაც მეტი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა“ და ამგვარი კი „თბილისის მაზრაში მდებარე ძველი ჰერეთის ქალაქი რუსთავია“, მისი „მთავარი გამგე ან მესაკუთრე იყო პოეტი“ (22-ე გამოც. შესავალი, გვ. VI და VIII).

შემდეგ კი იუსტ. აბულაძე დაეკვდა ამაში და აცხადებს: „შოთას სახელწოდება რუსთველი პირობითად უნდა ჩაითვალოს; „რუსთველი წარმომდგარია არა ჰერეთის რუსთავისაგან... როგორც ამას ჩვენ ვფიქრობდით, არამედ „ვინმე მესხი მელექსე რუსთველის მიერ არის შეტანილი როგორც პოემის დასასრულში, ისე მის შესავალში“ *.

ჩვენმა ისტორიკოსებმა, ვფიქრობთ, საბოლოოდ ნათელყვეს, რომ ჰერეთის რუსთავი რუსთაველის ეპოქაში შედიოდა არა ჰერეთში, არამედ კუხეთში (კახეთი), და, მაშასადამე, რუსთაველი ჰერეთის მმართველი ვერ იქნებოდა; ეს ჰიპოთეზა საბოლოოდ მოხსნილად უნდა ჩაითვალოს. რუსთაველი რჩება იმ მესხად, რომლაც მას ზოგიერთი წყარო და უმთავრესად ხალხური ტრადიციები თვლიან.

„ვეფხისტყაოსნის“ იუსტ. აბულაძისეულ მეორე გამოცემის 719, 1 ტაეპის (1957 წ. გამოც. 836):

„იტყვის «ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვეს მ ზ ი ა ნ ი ს ა ლ ა მ ი ს ა ლ», თაობაზე კი კ. კეკელიძე მსპეციალური წერილი გამოაქვეყნა 1957 წელს (გადაიბეჭდა „ეტიუდებში“, ტ. VIII, თბ., 1962, გვ. 163—168).

საკითხს უფრო ადრე შეეხო ცნობილი წიგნის „ვეფხისტყაოსნის საკითხების“ (პარიზი, 1931, გვ. 18) ავტორი. მან გამოთქმა „მზიანი ღამე“ ჩათვალა მხატვრულ სახედ, სიმბოლოდ ხატის ღვთისა. კ. კეკელიძე წაკითხვას „მზიანი ღამე“, თანახმად S 2829 ხელნაწერისა, ასე ცვლის: „მზიანისა ღარისად“ ** (გვ. 164). იქვე კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ ამ

* იუსტ. აბულაძის ნაშრომი „XII ს. ქართული მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1922, შემოკლებითაა შეტანილი ავტორის ქვემოციტირებულ კრებულ 1-ში. ამიტომ იხ: 1922 წ. გამოც., გვ. 222.

** კ. კეკელიძე ასახელებს აგრეთვე ერთი ავტორის წაკითხვას, — „მზია (რისად) — ამისად“ (გვ. 167). ამის თაობაზე უკვე შენიშნეს, რომ ხსენებული აზრი სწორად არ არის გადმოცემული (იმ ავტორის გასწორებაა „მ ზ ი ა რ ი ს ა ს ა მ ი ს ა“ „ვეფხისტყაოსანი“, პარიზი, 1963, გვ. 238). ეს შენიშვნა სწორია. კ. კეკელიძის ალბათ, პირველწყარო არ ჰქონდა ხელთ.

ფრაზას ვახტანგ მეექვსისიდან მოყოლებული ყველანი ეხებიან, „მე მათ განხილვას არ შევუდგები, რადგან მათი ავკარგიანობა ნაჩვენებია გ. იმედაშვილის მიერ (კრებ. „ლიტ. ძიებანი“. ტ. VIII, გვ. 141—152). ვერ ვიტყვი, რომ თვით გ. იმედაშვილის ინტერპრეტაცია ნათელ-პყოფდეს საკითხს. მისი წარმოდგენით „მზიანი ღამე“ იგივეა, რაც „ჩრდილოეთის ნათება“, ან „ოთხთვიანი ღღე“, „ნათელი დაუღამებელი“, „მუღმივი ნათელი“. ყველაფერი ეს ერთი და იგივე არ არის“ („ეტიუდები“; VIII, გვ. 165).

გ. ნადირაძე აღნიშნულ „მზიან ღამეში“ ხედავს ბიბლიურ კოსმოგონიას, — „მნათობის ანთებას წყვედიადში“ („რუსთაველის ესთეტიკა“, თბ., 1958, გვ. 390—391).

ამაზე კ. კეკელიძე შენიშნავს: „აქ არეულია ბიბლიური კოსმოგონის სხვადასხვა მომენტი“ (გვ. 65). საბოლოოდ კ. კეკელიძე უპირატესობას აძლევს წაკითხვას: „... ვინ ხატად გთქვას მზიანისა სამისად“, — ლაპარაკია მზეებზე ბრწყინვალე სამებაზე (გვ. 166). ერთი ავტორი „მზიან ღამეში“ ქრისტიანულ სამებას ხედავს.

შევეჩხოთ ცალკეულ საკითხებსაც.

იუსტ. აბულაძე ჩვენი პოეტის ზედწოდებად ხმარობს ხან შ ე კ უ მ-შ უ ლ ფ ო რ მ ე ბ ს: რ უ ს თ ვ ე ლ ი, რ უ ს თ ვ ე ლ ს (რ უ ს-თ ვ ე ლ ის და რ უ ს თ ვ ე ლ ის ა ც კ ი) და ხ ა ნ ს რ უ ლ ს — რ უ ს თ ა ვ ე ლ ს (რ უ ს თ ა ვ ე ლ ის).

ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ ახალ ქართულს უკუ მ შ-ვ ა დ ო ბ ის ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს: — რ უ ს თ ა ვ ე-ლ ი, რ უ ს თ ა ვ ე ლ ის (იხ. „ლიტ. გაზეთი“, 1962, 25 მაისი, № 22, შდრ. თ ე ლ ა ვ ი — თ ე ლ ა ვ ე ლ ი და ა რ ა თ ე ლ ვ ე ლ - ი . ც უ რ ტ ა ვ ე ლ - ი, — ც უ რ ტ ა ვ ე ლ - ის და ა რ ა ც უ რ ტ ა ვ ე ლ - ის და ს ს გ ა *).

რუსთაველის სტროფზე (26-ე გამოც. 296¹) — „ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ მეკრძალოდა“, — იუსტ. აბულაძე ხელს იღებს, — ენობრივად არ შეეფერება პოემასაო.

* ამავე საკითხის თავისებური ინტერპრეტაცია სცადა მ. ა ლ ა ვ ი ძ ე მ (ქუთაისის პედინსტიტუტის შ რ ო მ ე ბ ი, ტ. XXX, 1967, გვ. 267—273), მაგრამ მან სხვის მიერ წაღმა წარმართული მსჯელობა უკუღმა წარმოაჩინა. თუ მ. ა ლ ა ვ ი ძ ე მ არ-თალია და მის მიერ დასახელებული ფუძის კუშუმის სახეობა ნორშა, მაშინ როგორც რ უ ს თ ა ვ ე ლ - რ უ ს თ ვ ე ლ ი და ა რ ა თ ე ლ ვ ე ლ - ი ს შეიძლება ვაწარმოთ გვარი რ უ ს თ ვ ე-ლ ი ძ ე, ასევე უნდა იწარმოებოდეს გვარ ა ლ ა ვ ი ძ - ი და ა ლ ვ ი ძ ე, მაგრამ თვითონ მ. ა ლ ა ვ ი ძ ე დაგვეთანხმება, რომ ა ლ ვ ი ძ ე არ ითქმის.

აქვე, სათანადო დასაბუთების გარეშე, ალ. სარაჯიშვილის კვალობაზე, ი. აბულაძე ამბობს „გრდემლი ტყვისისა“ სად გაგონილად და ფრაზას ცვლის „გრდემლი ს ი ტ ყ ვ ი ს ა“-დ. ამაში საფუძვლიანად შეიტანა ეპი საზღვარგარეთ მომუშავე ქართველმა რუსთველოლოგმა და შემდეგ ჩვენ დამატებით დავასაბუთეთ, რომ სწორია პირველი წაკითხვა (ეურნ. „ცისკარი“, 1958 № 9, გვ. 131—132).

„ამილახვარო, მოასსი რემა, ჯოგი და ცხენა“-ს

(54,2)

მაგიერ ი. აბულაძე ბეჭდავს, რემა, ჯოგი და ცხენა“.

ი. აბულაძის მიერ გამოტყმულ სხვა მცდარ, თუ სადავო, აზრზე აქ მეტს აღარ შეეჩერდებით; მით უფრო, რომ ზოგიერთ მათგანს უკვე შევეხებთ სხვაგანაც.

ჩვენთვის მთავარი და განსაკუთრებული მნიშვნელობის ამ მეცნიერის ნარკვევებში ისაა, რომ მ ა ნ ს წ ო რ ა დ გ ა ი გ ო კ ლ ა ს ი კ უ რ ი პ ე რ ი ო დ ი ს ს პ ა რ ს უ ლ - ქ ა რ თ უ ლ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ - ე კ ო ნ ო მ ი უ რ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა თ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ; მას კარგად ესმოდა, რომ ეს კავშირი შემდეგ გადაიზარდა ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობებშიც, რამაც ქართველობა, უმთავრესად ორიგინალურ მწერლობას რომ ავითარებდა, დაინტერესა აგრეთვე, სპარსული ლიტერატურის საუკეთესო ძეგლებიც ეთარგმნა. ამ საქმიანობას ჩვენში განსაკუთრებული გასაქანი მე-11-12 საუკუნეებში მიეცა.

ს პ ა რ ს უ ლ ე ნ ო ვ ა ნ ი თ ა რ გ მ ნ ი თ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, რომელიც ნ. მარმა პეტერბურგში დაიწყო ფართო მასშტაბით, საქართველოში პირველი ა გ რ ძ ე ლ ე ბ ს ი უ ს ტ . ა ბ უ ლ ა ძ ე . მან გაარკვია ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა არა ერთი საკითხი. უპირველეს ყოვლისა, აქ გვიანდერძა მან საყურადღებო ნაშრომები და მანვე დიდი დრო და ენერგია მოახმარა ქართული ორიგინალური ლიტერატურის უბრწყინვალესი ძეგლის „გეფხისტყაოსნის“ შესწავლას.

იუსტ. აბულაძემ წინ წასწია რუსთველოლოგია.

1. იუსტ. აბულაძე. რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967. 2. კ. ფადავა. პროფესორი იუსტინე აბულაძე (დაბადებიდან 80 წლისთავის შესრულებს გამო). — ჩვენი „უნივერსიტეტის გაზეთი“, 1954 წ. 24 აპრილი, № 16, (77), გვ. 4;

აღ. ბ ა რ ა შ ი ძ ე, ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე. ქართული ლიტერატურის სახელოვანი მკვლევარი. — „ლიტერატურული გაზეთი“ 1962 წ. 8 ივნისი, № 22 (1296), გვ. 3 (წერილის არსებით ნაწილს აქვე — შემოთავ ეიყენებთ), გამოქვეყნდა იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გარდაცვალების გამო. მაშინვე დაიბეჭდა ნეკროლოგებიც: 1962 წ. 7 ივნისის გაზ. „კომუნისტი“, «Взрря Востока», გაზ. „თბილისი“ (6 ივნისი, 132) და სხვ. ნეკროლოგი „იუსტ. აბულაძე (1874—1962)“ — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეურნალი «Народы Азии и Африки», მოსკოვი, 1963, №1, გვ. 255—256. დ. კობიძე. იუსტინე აბულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108 (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 1V), თბ., 1964, გვ. 11—21. ტომი მიძღვნილია პროფესორ იუსტინე ა ბ უ ლ ა ძ ი ს სსოვნისადმი. ვ. იხ. «Съезд труженников по армяно-грузинской филологии в Тифлисе 1910», თბ., 1909, გვ. 4, არსებობს აგრეთვე ანაბეჭდი «Первый перечень вопросов, которые могут быть предметом обсуждения на съезде».

ივანე ჯავახიშვილი

ჩვენი ეპოქის უდიდესი ქართველი ისტორიკოსი აკად. ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი (1867 — 1940) ფილოლოგი, ენათმეცნიერი და ძველი ქართული მწერლობის მკვლევარიც იყო.

თავის ეს ლირსეული მოწაფე ნ. მარმა, პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გაგზავნა გერმანიაში, სადაც იგი მუშაობდა ცნობილ პროფ. ა. ჰარნაკთან საეკლესიო ისტორიაში.

გერმანიიდან დაბრუნებისას ივ. ჯავახიშვილი ნ. მარმა წაიყვანა* 1902 წ. სინას მთაზე ქართულ ხელნაწერებზე სამუშაოდ. მოწაფის ამ პერიოდის შრომას მაღალი შეფასება მისცა მასწავლებელმა სინას მთაზე მუშაობის წინასწარ ანგარიშში, რომელიც 1903 წელს გამოქვეყნდა (7). ი. ჯავახიშვილმა 1905 წელს წარმატებით დაიკვა სამაგისტრო დისერტაცია ნაშრომით: «Государственный строй древней Грузии и древней Армении».

ნ. მართან ერთად ი. ჯავახიშვილს ღვაწლი მიუძღვის ისეთი ქართველოლოგებისა და არმენისტების აღზრდაში, როგორიც იყვნენ — პროფ.

* უკანასკნელ ხანს გახშირდა წერა: სინას მთაზე ექსპედიცია 1902 წელს ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა მოაწყვესო. ერთი ავტორი მას ერთობლივ ექსპედიციას უწოდებს! არა. იგი ნ. მარმა მოაწყო, როგორც ეს საერთოდაც ცნობილი და დაბეჭდილია ივ. ჯავახიშვილის წიგნის წინასიტყვაობაშიც: — ეს ექსპედიცია შედგა „აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით“ (ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. V). ნ. მარცი წერს: «на Синае И. А. Джавахишвили думал прежде всего практиковаться в чтении рукописей (грузинского церковного письма)» (ნ. მარცი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მოსკოვი-ლენინგრადი, 1940 წ., გვ. V). მით უფრო სასახელა ივ. ჯავახიშვილისათვის, რომ მან სათანადო ხელნაწერთა თითქმის ნახევრის კარგად აღწერა შესძლო (7).

ნ. ადონცი, პროფ. ი. ყიფშიძე, აკად. ი. ორბელი, და არიან — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, საქართველოს სსრ აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფ. ა. შანიძე და სხვები. ივ. ჯავახიშვილი მონაწილეობდა ნ. მარის ცნობილ მეცნიერულ სერიებში, ბუკლავდა საკუთარ ნაშრომებს და ემზადებოდა მოღვაწეობის იმ მეორე დიდი ეტაპისათვის, რომელიც საქართველოში მისი გადმოსვლისა და თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან იწყება.

ნ. მარის მუშაობის პრინციპს, რომ ქართველოლოგია საქართველოს ფარგლებს უნდა გაჰშორდეს და მისი ძირითადი პრობლემები მეზობელი ხალხების სათანადო საშუალებებით უნდა იქნებოდეს, ი. ჯავახიშვილი ბრწყინვალედ ახორციელებდა. მისი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის რომელი დარგიც არ უნდა აიღოთ: — ისტორია, არქეოლოგია, ნუმიზმატიკა, ფილოლოგია, ფოლკლორისტიკა, კერძოდ — მითოლოგია, ეთნოგრაფია თუ სხვა, — იგი ყველგან ქართველოლოგიის პრობლემებს აკავშირებდა მეზობელ ხალხთმცოდნეობის სათანადო პრობლემებთან და ისე იკვლევდა. ივ. ჯავახიშვილმა არა ერთი კავკასიოლოგიური და აღმოსავლეთმცოდნეობითი საკითხი გააშუქა ახლებურად და ამიტომ იყო, რომ ჩვენ მას „კულტურის დიდი ისტორიკოსი“ ვუწოდეთ*.

სრულიად შეუწყნარებლად მიგვაჩნია მარისა და ივ. ჯავახიშვილის ის დაპირისპირება, რომელიც ერთ წერილში აღმოჩნდა. აქ თვით ჯავახიშვილის აზრია დამახინჯებული. მით უფრო უადგილოა ნ. მარის შესახებ მოკრილნილაბზე ლაპარაკი. („ქართული ისტორიოგრაფია, I, 1938, გვ. 281).

* ვაზ. „კომუნისტი“, 1940 წ., 22 ნოემბერი, № 271, გვ. 2. პირველად იქვე გამოვაქვეყნეთ ფოტოსურათი „ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი სინას მთაზე (1902)“, რომელიც შემდეგ სხვათა მიერაც რამდენიმეჯერ დაიბეჭდა, მათ შორის — გერტიშვილის მიერაც. უკანასკნელის მონოგრაფია „ივანე ჯავახიშვილი“ (თბ., 1968) შევნიშობის მოღვაწეობის პეტერბურგის პერიოდს სუსტად და თბილისისა კი ნ. მარის მიმართ ტენდენციურად წარმოგიდგენს (1950—1960 წლებში ჩვენ ამას კონიუნქტურით ვხსნიდით, მაგრამ კიდევ რომ გრძელდება?!). სხვა მხრივ ეს საჭირო წიგნია.

ამჟამად აქ ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობის ერთ-ერთ მხარეზე შევჩერდებით.

საკუთრივ რუსთველოლოგიაში ივ. ჯავახიშვილს ერთი ნაშრომიც რომ არ გაჩნდეს, მას რუსთველოლოგები მაინც ვერ აუვლიან გვერდს, როგორც საქართველოს დიდ ისტორიკოსსა და კერძოდ, რუსთველის ეპოქის შემსწავლელსა და გამშუქებელს. ის მით უფრო საყურადღებოა, რომ მან გვიანდერძა სპეციალური რუსთველოლოგიური შრომებიც, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა, უმთავრესად „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ეს გამოკვლევები თავმოყრილია სპეციალურ კრებულში (1).

მასში შესული არის რუსთველოლოგიური წერილები:

1. შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლასთავის ზეიმის გამო (1935),
2. პიროვნება და მსოფლმხედველობა (იგულისხმება რუსთაველისა, 1937 წ.; რუსულ ენაზე).
3. რუსთაველას ეპოქის სოციალურა კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (1937),
4. „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ირგვლივ (ლაპარაკია კ. კიკელიძისეულ გამოცემაზე 1934 წლისა).
5. „ვეფხისტყაოსანი“ (ზოგადი განხილვა),
6. „ამირანდარეჯანიანის“ ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“,
7. შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა (1937).

ყოველივე ამათ გარდა, ავიღებთ ჩვენ ამ უკვდავი ქართველი ისტორიკოსის „ქართველი ერის ისტორიის“ 5 ტომს, მისივე ქართული სამართლის ისტორიის წიგნებს, საქართველოს ეკონომიური ისტორიის, ქართული მუსიკის ისტორიის თუ სხვა ნაშრომს, მათში ყველგან ვხვდებით „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობას და ზოგჯერ ისეთ მნიშვნელოვან შენიშვნებს, რომ მათ მსგავსს ზოგიერთი მონოგრაფიაც ვერ მოგვეცემს.

ყველა ზემოაღნიშნულ ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი შედარებით ვრცლად „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკას იკვლევს, მაგრამ ავტორი რუსთაველის ვინაობის, მისი ქმნილების რაობისა და ეპოქის თავისებურების საკითხებსაც არსებითად განიხილავს.

იგი, როგორც ისტორიკოსი, ირკვევს საქართველოს ისტორიას, რუსთაველის ეპოქას მრავალმხრივ ახასიათებს, გვიჩვენებს, რომ რუსთაველის გენიის გამოვლენა ქართულ სინამდვილეში სრულიად ბუნებრივიაო. თამარ მეფის ცნობილ ისტორიკოსებს ვერ მოუციათ ისეთი ისტორიული დახასიათება თამარისა, როგორსაც, წყაროთა და ეპოქის დამახასიათებელი რეალიების შესწავლით, იძლევა ჩვენი დროის ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი.

რუსთაველის ეპოქაში, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — საქართველოს „სახელმწიფოს“ ტერიტორია შეიცავდა მთელ კავკასიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც, როგორც ვასალური სამფლობელო, საქართველოს ფარგლებში შედიოდა. გარდა ამისა, მთელი ჩრდილოეთი სპარსეთი ყაზვინამდე და რამტურამდე იმყოფებოდა ვასალურ დამოკიდებულებაში და დასავლეთითაც — არზრუმში საქართველოს სახელმწიფო დროშა ფრიალებდა“ (1, გვ. 17).

საქართველო მაშინ იბრძოდა საერთაშორისო ურთიერთობაში პოლიტიკური სამართლიანობის აღდგენისათვის:

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ივ. ჯავახიშვილი 1913 — 1914 წლებში „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებში ცალკეულ მიუღებელ აზრსაც უჭერდა მხარს. ასეთები არაა შეტანილი დასახელებულ ახალ კრებულსა და არც „რუსთველოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაში“, რაც არასწორად მიგვაჩნია.

ისეთი დიდი მეცნიერი, როგორც ივ. ჯავახიშვილია, არავითარ შელავათებს არ საჭიროებს; მისი აზრები თანდათან ყალიბდებოდა, მაგრამ მისთვის ისიც სასახლოა, რომ მაშინაც კი მტკიცედ ამბობდა: „ვეფხისტყაოსანი“ დიდებულ „თამარ მეფის ხანას ეკუთვნის, მხოლოდ ამ დროს შესაძლებელი იყო, რომ წარმოშობილიყო ეგოდენ მაღალის აზრებითა და გრძნობით გამსჭვალული, ხელოვნების უმწვერვალესი განვითარების გამომხატველი და უკვდავი პოეტური ქმნილება. ვისაც თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება გულდასმით გადაუკითხავს, ის, უეჭველია, შეამჩნევდა, რომ თვით ეს საისტორიო თხზულებაც კი გამსჭვალულია იმ აზრებით სიყვარულზე და ქაბულობაზე, რომლის უებრო მგონსადაც შოთა ყოფილა“ (4, გვ. 666).

უფრო არსებითი ჩვენთვის აქ ივ. ჯავახიშვილის უკანასკნელი დროის აზრებია. ჩვენი ისტორიკოსი სრულიად სამართლიანად თვლის, რომ

რუსთაველმა თავისი ეპოქა წარმოადგინა მხატვრულ სახეებში, „ვეფხისტყაოსანში“ აისახა „ის პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც იმ დროს საქართველოში არსებობდა“ (1, გვ. 38).

ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, როგორც დაკვირვებული მკვლევარი, განმარტავს: „რასაკვირველია, „ვეფხისტყაოსანი“ ისტორიული რომანი არ არის“ (1, გვ. 39) და არც რუსთაველს ჰქონია განზრახული ისტორია დაეწერა, მაგრამ ნაწარმოებში მინც ქართული სინამდვილეა ასახული. საგულისხმოა, — ამბობს ისტორიკოსი, — რუსთაველმა ინდოეთში გადაიტანა მოქმედება, „ინდოეთის სამეფო და მისი მბრძანებელი მაჰმადიანებად არიან გამოყვანილნი, ინდოეთში კი მაჰმადიანობა შედარებით გვიან გავრცელდა“ (1, გვ. 32).

შემთხვევით არ არის, — წერს ავტორი, — რომ „ვეფხისტყაოსანში“ ქალები აქტიურ პიროვნებებად და მტკიცე ნებისყოფის პატრონებად არიან გამოყვანილნი“ (1, გვ. 28).

შოთამ ეს დახატა იმიტომ, რომ „ქალის მეფობის პრობლემა შოთას დროს სრულებითაც დრომოკმული საკითხი არ ყოფილა“. ამასთან კავშირში ივ. ჭავჭავაძის მიხედვით აღნიშნავს: ცნობილია, თუ „რაოდენი მსხვერპლის განწირვა დასჭირდა გიორგი მესამესაც და მის დას რუსულდანს ქალის გამეფების უფლებისათვის სახელმწიფო დარბაზისგან თანხმობისა და დასტურის მისაღებად“ (1, გვ. 27). გენიოს მგოსანს თავისი პოემით ქალისადმი რაინდული სიყვარულისა და ძმადნაფიცობის იდეა სურდა განემტკიცებინა.

ქალის პოლიტიკური უფლებების საკითხის გარდა, ივ. ჭავჭავაძის მიხედვით თავის რუსთაველოლოგიურ ძიებებში არსებითად ჩერდება მეგობრობისა და სიყვარულის პრობლემაზე „ვეფხისტყაოსანში“, მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენის აუცილებლობაზე, პოემის მოქმედ პირთა სახეებსა და სხვა საკითხებზეც.

ივ. ჭავჭავაძის მიხედვით აღგენს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ 1196 წლის შემდეგაა შექმნილი (1, გვ. 46).

დასასრულის შესახებ ის ამბობდა: პოემა „ავთანდილისა და თინათინის ქორწილის თავის იმ ტაეპზე უნდა წყდებოდეს, სადაც ნესტანდარეჯანის თინათინთან გამოთხოვებისა და სამშობლოში გამგზავრების ამბავია აღნიშნული:

„კვლა აკოცეს ერთმანერთსა, გაიყარნეს იგი ქალნი;
ქვე დამღგომან წამავალსა ვერ მოსწყვიდნა ყოლა თვალნი.“

იგი იქვრეტს უკუღმავე, ედებოდეს ამით აღნი.
რომე მწაღდეს, ვერ ღაწერენ მე სიტყვანი ნათალნი“.

(1, 25; „ვეფხისტყაოსანი,“ 1957, სტროფი 1573).

„ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული; უფრო ვრცლად მას ეხებიან: ალ. სარაჯიშვილი, იუსტინე აბულაძე, ვუკ. ბერიძე, კ. ჭიჭინაძე, ს. კაკაბაძე, მ. გოგიბერიძე და სხვები. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ კრიტიკულ ტექსტს აბოლოებს 1664-ე („ვეფხისტყაოსნის“ პარიზული, 1961 — 3 წ. გამოცემა, გვ. 232, 1664 სტროფი): —

„ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოაოვდეს“
და ა. შ.

რა თქმა უნდა, პოემის დაბოლოების საკითხი არც ერთ მათგანს არ გადაუწყვეტია, მაგრამ საკითხის ისტორიისათვის თვითეულ შეხედულებას აქვს მნიშვნელობა.

ერთ დროს ნ. მარი, მის მიხედვით ივ. ჯავახიშვილი და ი. ორბელიცი ფიქრობდნენ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირი ავთანდილიაო. ბოლოს ასეთად ივ. ჯავახიშვილმა ტარიელი აღიარა. რუსთაველის მთავარი გმირი ტარიელია და არა ავთანდილი (1, გვ.18).

•

ივ. ჯავახიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საკითხზე შენიშნავს, რომ აქ „მარტო გრამატიკულ თვისებებზე კი არ უნდა იყოს დამყარებული მსჯელობა, რადგან ამ მხრით ცვლილება და მსგავსება შესაძლებელია ზოგჯერ ძნელი გასარჩევით აღმოჩნდეს, არამედ ლექსიკაზე, ტერმინებზე და რეალიების განსხვავებაზე“ (1, გვ. 23).

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ვახტანგ მეექვსის შემდეგ ამ ტექსტზე მუშაობდა მწერალ-მოღვაწეთა კომისია ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, მაგრამ მასში მეცნიერი სპეციალისტები არ ყოფილან მიწვეულნი თუნდაც პეტერბურგიდან. დიდი მეცნიერი ასეთ სამუშაოს უყენებს სათანადო მოთხოვნილებას. ის ამბობს: რუსთაველის პოემის „ტექსტის აღდგენისათვის დიდი კრიტიკული მუშაობა იყო და არის ეხლაც საჭირო როგორც ხელნაწერებზე, ისე თვით ტექსტზეც. ამავე დროს, აღმოსავლური, უმთავრესად ირანული მწერლობის, საფუძვლიანი ცოდნაც არის აუცილებელი“ (1, გვ. 8).

ივ. ჯავახიშვილი დიდ ადგილს უთმობს საერთოდ ტერმინების და კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის კვლევა-ძიებას. ავტორი ქართველი ერის ისტორიაში იკვლევს ამ პოემის სახელმწიფოებრივი წყობის ტერმინებს, ეკონომიურ ისტორიაში აღებ-მიცემობასა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, მატერიალური კულტურის ისტორიაში სააღმშენებლო ტერმინებსა და სხვას.

სოციალურ ტერმინთაგან ივ. ჯავახიშვილი თავის სამაგისტრო დისერტაციაში — «Государственный строй древней Грузии и древней Армении» (პეტერბურგი, 1905) — მიუთითებს, რომ ტერმინი ყმა, რაც შემდეგ ახალ ქართულში ნიშნავს ბატონისკაცს, გლეხს, ვასალს, ძველად ამ მნიშვნელობით არ იხმარებოდა. მაშინ ის ნიშნავდა ყმაწვილს, განურჩევლად სქესისა (გვ. 73). ამას იყენებს ნ. მარი „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვაყმის დასაზუსტებლად თავის ცნობილ 1910 წელს გამოცემულ რუსთველოლოგიურ ნაშრომში (გვ. X — XI).

შემდეგ ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში“ კიდევ უფრო აზუსტებს ამ სიტყვის მნიშვნელობას და ტერმინი ყმა განხილული აქვს ბატონყმობასთან კავშირში, ხოლო ყმა (შეწირული, ნებიერი, ნასყიდი, სიგლოსანი, ნაწყალობევი, შეწყალებული, მკვიდრი, მოაჭე) განსხვავდება პირველისაგან, თუმცა ცნობს, რომ ორივე ერთი სიტყვისაგანაა წარმომდგარი (წ. II, 1, თხ., 1928, გვ. 66).

ახლა ავიღოთ ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინი, მაგ., ხანაგა. ჯერ ავტორი არკვევს, რას ნიშნავდა ტერმინები ქარავენსარაი და ფუნდუკი. შემდეგ კი ამბობს: მათგან ხანაგა განსხვავდება იმ მხრივ, რომ იგი მგზავრებისათვის იყო აგებული. ეს სიტყვა „ნახმარია ვეფხისტყაოსანში. სპარსულად... ის სულ სხვას ნიშნავს, — დევრისების თავშესაფარს ეწოდებოდა. ქართულად კი არავითარი კავშირი დევროებთან ამ ხანაგას არა აქვს, — ის მგზავრების ჩამოსახტომი ჩვეულებრივი სასტუმროა. ფაქტმანი ავთანდილს მოუთხრობს: ერთხელ სალამოს „წავდეგ წინა დარაჯაგთა, კარი მიჩნდა ხანაგისა“ და სხვა. ივ. ჯავახიშვილი ასკვნის: „ხანაგა XI—XII სს-ში გვხვდება; უნდა ვიფიქროთ XIII ს-შიც იქნებოდა, მაგრამ შემდეგ აღარაა“ (2, გვ. 62—63).

ივ. ჯავახიშვილი ვრცლად მიმოიხილავეს სარკმელსა და მის ადგილს ჩვენს ძველ ნაგებობებში, მოაქვს მრავალი კონტექსტი, გან-

შარტავს, რომ ის თავდაპირველად იყო ს ა კ უ მ ე ლ ი, ე. ი. ასეთი ადგილიდან კ უ ა მ ლ ი (ბოლი) გამოდიოდა ნაგებობიდან. ს ა კ უ მ ე ლ ი ს ა გ ა ნ წარმოდგა ს ა რ კ უ მ ე ლ ი — ს ა რ კ მ ე ლ ი, რომელიც შემდეგ ს ა კ ვ ა მ ლ ე ს გარდა, ნაგებობიდან გ ა ს ა ჭ ვ რ ე ტ ი ც იუოო. ისტორიკოსი აქაც „ვეფხისტყაოსანს“ იშველიებს. მისგან ირკვევა, — წერს იგი, — რომ „იმ დროს სარკმელი კომლის ასასვლელი კი არაა, არამედ სინათლის შემოსასვლელი და შემდგომ ვადასახედიცაა“. ფატმანი ავთანდილს უამბობს:

„უქმოვახვენ სარკმელნი და შევაქციევ პირი ზღვასა,
ვიხედვიდი, ვიქარეილი კეჟნისა ჩემგან ზრდასა,
შორს ამიჩნდა ცოტა რამე, მოუურაედა შიგან ზღვასა“

და სხვა (2, გვ. 106—107).

ივ. ჯავახიშვილი განიხილავს კულტურის ტერმინებს: კ ა ლ ა მ ს, ქ ა ლ დ ს, წერის წესსა და სხვა მრავალს. ავტორი ასახელებს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონს:

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“.

(1957 გამოცემის სტროფი—4).

ავრეთე იმავე პოემის ნესტან-დარეჯანის „უსტარის“ იმ ადგილს, რომელშიც თქმულია:

ქ ა ლ მ ა დ მ ა ქ ე ს, კ ა ლ ა მ ი ნ დ ე ლ ი ს ა ა მ ო ნ ა წ ე ბ ი

(სტროფი—1293,2)

და კალმის მთელ ისტორიას წარმოგვიდგენს (5, გვ. 43).

ქალაქის თაობაზე ივ. ჯავახიშვილა წერს: „როდეს შემოდის პირველად ქართულ მწერლობაში ტერმინი ქ ა ლ დ ს, ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ჯერჯერობით შემიძლია მხოლოდ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დავასახელო პირველ ძეგლად, სადაც ეს სიტყვა ნახ მარია“.

შემდეგ ავტორი მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის“ სტროფზე:

„მე გული შენი ქ ა ლ დ ა დ გ უ ლ ა ვ ე ჩ ე მ ა ვ ა წ ე ბ ლ ა“.

და აქაც ამ საგნის ისტორიას მოგვითხრობს (5, გვ. 39).

„როგორ წერდნენ საქართველოში? — სვამს კითხვას ივ. ჯავახიშვილი და თვითონვე გვიხსნის, — შოთა რუსთაველი ამაზე გვაპასუხებს: „დაჯდა წერად ანდერძისა“... ე. ი. დამჯდარი წერდნენო (5, გვ. 47).

ივ. ჯავახიშვილის ქართული მუსიკის ისტორიაში ისეა განხილული „ვეფხისტყაოსნის“ მუსიკალური იარაღებისა და საერთოდ ხმების აღმნიშვნელი ტერმინები, რომ თვითეული ს ი ტ ყ ვ ი ს გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ცალკე გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა ს უ დ რ ი ს. მაგალითად, ავილოთ ივ. ჯავახიშვილის საუბარი ჩანგის ისტორიასა და მის ხმარებაზე „ვეფხისტყაოსანში“.

„ქართული მწერლობის უძველეს ჯერეთ ცნობილს ძეგლებში,— წერს ავტორი, — ჩ ა ნ გ ი არ გვხვდება და, როგორც ეტყობა, ეს სახელი შედარებით გვიან, მე-10—11 ს. უნდა იყოს გაჩენილი. ქართულ ორიგინალურ თხზულებათაგან ყველაზე მეტი ცნობები შ. რ უ ს-თ ა ვ ე ლ ი ს უკვდავს ნაწარმოებშია დატული“. მაგალითებს მკვლევარი „ვისრამიანშიც“ იპოვის.

ივ. ჯავახიშვილი განაგრძობს: „აღსანიშნავია, რომ ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა-ო ს ა ნ შ ი ჩ ა ნ გ ი ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი დ ა ს ა მ ღ ე რ ე ბ ე-ლი ს ა კ რ ა ვ ი ა, რომელსაც მარტო მეჩანგე კი არა, არამედ ყოველი თავის სახელში მარტოდ მჭდომი კერძო პირიც უკრავდა ხოლმე“. მაგალითად ავტორი ასახელებს სტრიქონს:

„ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოღენ მართ პერანგი,
იმღერდა და იხარებდა, წინა ეღვა ერთი ჩ ა ნ გ ი“.

მრავალრიცხოვან წვეულთა ლხინიც ჩანგით მიმდინარეობდა. ამიტომეაო, — განაგრძობს მეცნიერი, — რომ როდესაც მეფე ნადირობითგან მხიარული თავისი მრავალრიცხოვანი ამალითურთ შინ დაბრუნდა და დროს გატარებას შეუდგა, —

„დაჭდა, დახვდეს მოკაზმულნი საჯდომნი და სრანი სრულნი
და ჳმას სცემს ჩ ა ნ გ ი ჩაღანასა, მომღერალნი იყვნეს სრულნი“.

უჩანგოდ მაშინ ლხინი ვერც კი წარმოედგინათ და ამიტომევა, რომ ავთანდილი ამბობდა:

„მოვმორდი ლხინსა ყოველსა, ჩ ა ნ გ ს ა, ბარბითსა და ნასა“-ო.

ნადიმობასაც მაშინ ჩვეულებრივ ჩანგთა ჟღერა ამშვენებდა. ეს გარემოება ხატაელებზე გამარჯვების შემდეგ ინდოთ მეფისადმი ტარიელის წერილშიც არის აღნიშნული:

„კვლა გაგრძელდა ნადიმობა, ბარბითი და ჩ ა ნ გ თ ა ჟღერა“.

თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ აღმოსავლეთის უცხო ქვეყნებია აღწერილი და დამკვრელებადაც იქაურები არიან გამოყვანილნი, მაგრამ, რაკი შოთას ყველგან ჩანგი აგონდება, ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს საკრავი მაშინდელი ქართველისათვისაც კარგად ცნობილი ყოფილა.

შოთა რუსთაველის ზემომოყვანილი ლექსითგან ჩანს, რომ ჩანგი, ჩაღანასთან ერთად, ერთი სამწყობრო საკრავთაგანი ყოფილა, რომელთა დაკვრითაც, თურმე, მომღერალთა სიმღერებს აბანებდნენ ხოლმე, მაგრამ იმავე მგოსნის ქმნილების სხვა ადგილები ცხადყოფენ, რომ ცალკე დასაკვრელ-დასამღერებელიც იყო. უკრავდნენ, თუ არა, ხმის აუყოლებლივ, ვითარცა მხოლოდ ძალებიან საკრავს, და არსებობდა, თუ არა, ჩანგისათვის განკუთვნილი უსიტყვო ჰანგები, ძეგლებითგან არა ჩანს, ჩვეულებრივი იგი ყველგან დასამღერებელ საკრავად გვევლინება. ვისრამიანშიც სწერია: „შაჰ-მოაბადმა რამინს ეგრე უთხრა:

„მეტსა ნუ უბნობ, ჩანგი აილე და ზედა იმღერდიო“ (3, 140—141).

ამის შემდეგ ავტორი განმარტავს ჩანგის აგებულება-მოყვანილობას, იმოწმებს არსებულ ცნობებს და ასკვნის: „ჩანგი ისევე, როგორც ებანი, ანუ ქნარი, სიმებებიანი საკრავი იყო“ (3, გვ. 142).

ავტორი ასეთ დეტალებსაც კი განმარტავს: ცნობებიდან ჩანს, რომ ჩანგს ძალი ჰქონდა, მაშასადამე, მისი „სიმები ლითონისა კი არა, არამედ ნაწლავისგან ყოფილა დაგრეხილი. ხოლო თუ მისი აქლერებისათვის ჩამოკვრა ყოფილა საჭირო, ცხადია, რომ ძალების ასაქლერებლად ძუის შვილდაკიკი არ უხმარიათ, არამედ უშუალოდ ხელის თითებო“. ავტორი შენიშნავს: ჩანგზე ამღერებდნენო.

დაკვრის დროს ჩანგის მღებარეობას ჩვენი ისტორიკოსი ასე განსაზღვრავს:

შ. რუსთაველის სიტყვებით: ავთანდილი თავისს საწოლში მარტოდ-მარტო „იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი“. მაშასადამე, — შენიშნავს ისტორიკოსი, — „შოთას სიტყვით, ჩანგი დამკვრელ-დამღერებელს წინა ედგა“ (3, 143).

დამახასიათებელია, რომ ივ. ჯავახიშვილი ჩანგის ისტორიაშიც სცილდება წერილობითს ძეგლებს და იყენებს ქართული ეთნოგრაფიისა და ზეპირსიტყვიერებით მასალებსაც.

„ჩანგის გაჩენაზე, — ამბობს იგი, — თქმულბეები ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ც ა რ ი ს შ ე რ ჩ ე ნ ი ლ ი“.

ავტორი შენიშნავს: „ქართულ ხალხურსიმღერებში ჩანგის ელერა. „მ წ უ ხ ა რ ე ხ მ ე ბ ი ს“ გამოძღვებულ არის ცნობილი, ხოლო XII — XVII სს. ძეგლებითგან“ ამონაწერებში კი „ჩ ა ნ გ ი პ ი რ ი ქ ი თ, ლხინისა და მხარაულების აუცილებელ საკრავად მოჩანს.

ცხადია, რომ დროთა განმავლობაში ჩ ა ნ გ ი ს დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა ც ა და მ ა ს ზ ე დასამღერი პ ა ნ გ - ლ ე ქ ს ე ბ ი ს შ ი ნ ა - ა რ ს ი ც ს რ უ ლ ე ბ ი თ შ ე ც ვ ლ ი ლ ა“ (3, გვ. 147).

ჩანგთან „ვეფხისტყაოსანში“ ჩ ა ღ ა ნ ა ც გვხვდება. მას ივ. ჯავახიშვილი ასე განმარტავს:

„მეფის ნადირობითგან დაბრუნების შემდგომ, ლხინი რომ დაიწყო, „ქ მ ა ს ს ც ე მ ს ჩ ა ნ გ ი ჩ ა ღ ა ნ ა ს ა, მომღერალნი იყვნის სრულნი“-ო. ს ა ბ ა ს თუ შევეკითხებით, „ჩ ა ღ ა ნ ა მეჩანგეთ სამღერელი“ იყო, ე. ი. ჩანგის დასაკრავად განკუთვნილი მოწყობილობა, მასასადამე, ან კბილის, ანდა ქამანჩის მსგავსი. მაგრამ ეს განმარტება სწორე არ უნდა იყოს, რათგან შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს ზემოთმოყვანილი სიტყვებითგან ჩანს, რომ [ჩ ა ღ ა ნ ა სამწყობრო საკრავთაგანი ყოფილა: ჩ ა ღ ა ნ ა ს ჩანგთან ერთად უკრავდნენ და ღორივეს შეხმობილი ეღერით („ქმას სცემდეს“) მომღერალთა შებანება სცოდნიათ“ (3, გვ. 165).

შემდეგ აქაც ჩ ა ღ ა ნ ა ყოველმხრივად შესწავლილი და დახასიათებულნი.

ავტორი განიხილავს აგრეთვე „მ ო ზ ი დ ვ ი თ ი და ძ ა ლ თ ს ა - ც ე მ ლ ი ა ნ ი ს ა ქ რ ა ვ ე ბ ი ს ჯ გ უ ფ ს“.

აქ ის ახასიათებს ე ბ ა ნ ი ს ა და ქ ნ ა რ ი ს რაობას და ასკვნის: „გ ა რ კ ვ ე უ ლ ხ ა ნ ა შ ი ე ბ ა ნ ი და ქ ნ ა რ ი ს ი ნ ო ნ • ე მ ე ბ ი ყ ო ფ ი ლ ა“ (3, გვ. 135—136).

ავტორი სამართლიანად სვამს კითხვას: თუ ეს ორი სახელი სინონიმებია, მაშინ რატომ გაჩნდა ორივე? მკვლევარი ასკვნის: „ებანი ამ საკრავის ქართული სახელი ჩანს“, ხოლო სახელი ქ ნ ა რ ი უცხოური წარმოშობისაა. „ე ბ ა ნ ი, — განმარტავს ივ. ჯავახიშვილი, — სიმღე-

რის შეზღუდვისათვის განკუთვნილი საკრავი ყოფილა, რომელიც ძალებიან საკრავთა ჯგუფს ჰკუთნებია“.

„ვეფხისტყაოსანში“, — მიუთითებს ივ. ჯავახიშვილი, — „ფატმანის სიტყვით, ქალაქ გულანშაროში ახალწლის დღეს, „დღესა მას ნავროზობასა“ წესად ჰქონდათ, რომ ათ დღემდინ ისმის ყველგან ხმა წინწილისა, — ე ბ ნ ი ს ა“. მაშასადამე, ე ბ ა ნ ი საქართველოში XII—XIII სს-შიც კ ა რ გ ა დ ც ნ ო ბ ი ლ ი ს ა კ რ ა ვ ი ყ ო ფ ი ლ ა“ (3, გვ. 138).

ასე დაწვრილებით აქვს ივ. ჯავახიშვილს შესწავლილი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავის უამრავ ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ გასამარტავი მრავალი სიტყვა. იგი, როგორც ისტორიკოსი და ენათმეცნიერი, განიხილავს თვითეულ მათგანს, მოჰყავს აუარებელი პარალელი ქართული და უცხოური ენებისა და მწერლობის ძეგლებიდან, განმარტავს ასეთ სიტყვათა წარმოშობას, ადგენს მათ ზუსტ მნიშვნელობას.

ცალკეულ საკითხებს აღარ შეეგებებით, მთავარია ის დასკვნები, რომლებსაც ივ. ჯავახიშვილი მთლიანად პოემის შესახებ აკეთებს: „შოთა რუსთაველის ნაწარმოებში ასახულია ქართველი საზოგადოების პროგრესული ფენების იდეები, საზოგადოების, რომლის უბადლო მებაირახტრეც ის იყო: ხალხთა ძმობა — განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა“. ამას მაშინ არა მარტო საერთო — საზოგადოებრივი, არამედ საქართველოს „სახელმწიფოსათვის დიდი და პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა“ (1, გვ. 18).

ჩვენმა ისტორიკოსმა გმირობა და რაინდობა მთავარ თემად იმ გამოფენაშიც კი წარმოადგინა, რომელიც 1937 წელს მოეწყო მისი ხელმძღვანელობით. „XI—XIII სს. საქართველოსათვის, — წერს ჩვენი ისტორიკოსი, — რაინდობა იყო დამახასიათებელი. ამიტომაც გამოფენაზე ამ რაინდობის გარეგნული გამოხატულებაც უნდა იყოს წარმოდგენილი შექუთრეილი რაინდის სახით მაინც“ (1, გვ. 50, შდრ. 6).

ამ გამოფენაზე არა მარტო ეს, არამედ მთელი რუსთაველის ეპოქა იყო წარმოდგენილი! ის დიდხანს არსებობდა ჩვენ სახელმწიფო მუზეუმში. მასზე აღიზარდა მთელი ის თაობა ჩვენი ისტორიკოსებისა, რომელიც მის განხორციელებაში მონაწილეობდა და იმავე გამოფენის დამ-

თვლიერებლებს მიეცათ ნათელი წარმოდგენა დიდ ეპოქაზე. ეს გამო-
ფენაც ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი ის დიდი დამსახურებაა, რომელიც
გზას უნათებს ყველა ჩვენს ისტორიკოსს რუსთაველის ეპოქის შესასწავ-
ლად.

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა გვაძლევს უფლებას აღე-
ნიშნოთ, რომ ეს მეცნიერი არა მხოლოდ დ ი დ ი ის ტ ო რ ი კ ო ს ი,
არამედ შ ე ს ა ნ ი შ ნ ა ვ ი ფ ი ლ ო ლ ო გ ი ი ყ ო და მ ა ს რ უ ს თ-
ვ ე ლ ო ლ ო გ ი ა შ ი ც ა ქ ვ ს დ ი დ ი და მ ს ა ხ უ რ ე ბ ა.

1. ივ. ჯავახიშვილი. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხე-
ბი, ილია აბულაძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით, თბ., 1956.
2. მისივე, მასალები ქართული ენის მატერიალურა კულტურის ისტორიისათვის
I, მშენებლობის ხელუწეობა ძველ საქართველოში, თბ., 1946.
3. მისივე, ქართული
მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.
4. მისივე, ქართველი ერის
ისტორია, თბ., 1913.
5. მისივე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
6. კრებუ-
ლი „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალურა კულტურა, პროფ. ივ. ჯავახიშვი-
ლის რედაქციით“, თბ., 1938.
7. Н. Марр. Предварительный отчет о
работах на Синае... — Сборник Палест. общества, т. XIV, №7. II, გვ. 1—51.

კორნელი კეკელიძე

დიდი ქართველი მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი კორნელი სამსონის ძე კეკელიძე (1879—1962) თითქმის 60 წლის განმავლობაში სწავლობდა და იკვლევდა ძველ ქართულ მწერლობასა და ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, ასწავლიდა ახალგაზრდობას და მონაწილეობდა საგანმანათლებლო საქმეებში.

კ. კეკელიძის წინა თაობა ზემო გურიის სოფ. ზოტიდან (უფრო ზუსტად ბეოლიეთიდან) წასულა და იმერეთის ს. ტობანიერში დასახლებულა. მათი მემკვიდრე მედავითნე სამსონ იესეს ძე კეკელიძე და მისი მეუღლე თებრონე უშვერიძის ასული გამარჯე და გონიერი ყოფილან, შესძენიათ ვაჟიშვილი კორნელი და არაფერი არ დაუზოგავთ, რათა მისთვის ესწავლებინათ (3).

კორნელიმ ანბანი ოჯახში შეისწავლა, შემდეგ დაასრულა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი (1893) და თბილისის სემინარიატ. როგორც წარჩინებით კურსდამთავრებული, კ. კეკელიძე სემინარიამ სახელმწიფო ხარჯზე გაგზავნა სასულიერო აკადემიაში. „უსასტიკესი საკონკურსო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, კორნელი კეკელიძე 1900 წლის შემოდგომიდან გახდა კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი“ და აქ დაასრულა ლიტერატურის ისტორიის განყოფილება. სასულიერო აკადემიაშივე მიიღო მან, ვიწრო თეოლოგიურის გარდა, ფართო ისტორიულ-ფილოლოგიური განათლება, გაეცნო ძველი ცივილიზებული ხალხების ისტორიასა და ლიტერატურას.

აკადემიის დასრულებისას, 1904 წელს მისმა სადიპლომო ნაშრომმა ქართული ლიტურგიული ძეგლების შესახებ მაღალი შეფასება დაიმსახურა, მის ავტორს იქვე ტოვებდნენ საპროფესოროდ მოსამზადებლად, მაგრამ ეს არ განხორციელდა (2, გვ. 28).

1904 წლის ზაფხული და შემოდგომა კ. კეკელიძემ გაატარა მოსკოვსა და პეტერბურგში, მუშაობდა ბიბლიოთეკებსა და არქივებში ქართულ ხელნაწერებზე. პეტერბურგშივე გაიცნო მან ნ. მარი, რომლის ნაწერებმაც ადრევე „დიდად შეუწყო ხელი კეკელიძის მომავალი მუშაობის ხასიათის გარკვევასა და განსაზღვრას“ (ალ. ბარამიძე).

კ. კეკელიძე 1905 წელს იწყებს მასწავლებლობას ქუთაისის ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელში, მომდევნო სასწავლო წლიდან იგი თბილისის ასეთსავე სასწავლებელში მუშაობს და სასწავლო ნაწილის გამგეცაა. შემდეგ მისი დირექტორიც ხდება. 1916—18 წლებში ის თბილისისავე სასულიერო სემინარიის რექტორია, 1914—18 წლებში ლექციებს კითხულობს თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღიდან კ. კეკელიძე მისი პირველი პროფესორთაგანია და გარდაცვალებამდე ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის უცვლელი გამგეა; აქვე იგი 1919—25 წლებში ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანიცაა, 1925—30 წლებში პრორექტორია სასწავლო ნაწილში. 1933—36 წლებში ის ლექციებს კითხულობს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც, 1934—37 წლებში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარეა.

1941 წელს კ. კეკელიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა პირველ შემადგენლობაში აირჩიეს, როგორც აკადემიის დამფუძნებელთაგანი; 1942—49 წლებში იგი იმავე აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორია და 1959 წლამდე ინსტიტუტისვე ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილების გამგეა. ხელმძღვანელობდა აგრეთვე ამავე აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასაც.

კ. კეკელიძე მუდამ განაგრძობდა სტუდენტობისას დაწყებულ ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას. 1904 წლიდან ის საქართველოსა და უკრაინაში (კიევიში) და 1912 წლიდან პეტერბურგში აქვეყნებს ნაშრომებს. კ. კეკელიძის სადიპლომო ნაშრომის სრულყოფილი რედაქცია ცალკე წიგნად გამოიცა სათაურით „მშობლიურ წიგნთსაცავებში დაცული ქართული ლიტურგიული ძეგლები და მათი მეცნიერული მნიშვნელობა“. მისი ავტორი 1908 წელსავე ამ ნაშრომით ბრწყინვალედ იცავს სამაგისტრო დისერტაციას, ხოლო 1935 წელს კი მას ჩვენი უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო საბჭო, როგორც დიდ მეცნიერს, დისერტაციის დაუცველად („ჰონორის კაუზა“) ანიჭებს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს.

ქ. კეკელიძე არის 350-მდე გამოქვეყნებული მეცნიერული გამოკვლევის, მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევისა და წერილის ავტორი, რომელთა შორის ორი ათეული დიდტანიანი წიგნია. ავტორის ნაშრომები გამოირჩევა მასალის სიმდიდრითა და სიახლით, მეცნიერული სიღრმითა და სიზუსტით, რომლებიც საფუძვლად დაედო მის კაპიტალურ ორტომეულს— „ქართული ლიტერატურის ისტორიას“, არსებობს ამ ფუძემდებელი ნაშრომის ოთხი გამოცემა, — I ტომის — 1923, 1941, 1951 და 1960 და II ტომის—1924, 1941, 1952 და 1958.

პირველ ტომს შესავლად უძღვის ძველი ქართული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბების და ქართული მწერლობის შესწავლის მიმოხილვა, გარკვეულია ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდები, ვრცელადაა დახასიათებული ქართული სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები საქართველოსა და მის გარეთ, შემდეგ დახასიათებულია 76 ძველი ქართველი ავტორი, ლიტერატურული დარგები სისტემატიზებული და განხილულია ასე: აპოკრიფები, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, აგიოგრაფია, ასკეტიკა და მისტიკა, პომილეტიკა, კანონიკა, ლიტურგიკა, პოეზია.

მეორე ტომში შესწავლილია ქართული კლასიკური პერიოდის ლიტერატურა: ეპოსი, ლირიკა; აღორძინების პერიოდის ლიტერატურა — საგმირო, რომანტიკული, საზღაპრო, დიდაქტიკურ-რომანტიკული, საისტორიო ეპოსი, ლირიკა და დრამა.

ხსენებული ორი ტომი არ არის ჩვეულებრივი კურსი, მხოლოდ სასწავლო მიმოხილვითი სახელმძღვანელო — იგი არის ფართო დიაპაზონისა და კვლევითი ხასიათის ქმნილება. ამიტომ პირველი ტომის წინასიტყვაობაშივე წერს ავტორი, რომ ამ წიგნში გათვალისწინებულია უმაღლესი სკოლის პროგრამა და ამდენად იგი სახელმძღვანელოცაა, მაგრამ ძირითადად მაინც „ეს კურსი არის ფართოდ წამოწყებული ისტორიულ-ლიტერატურული, უშუალოდ პირველ წყაროებზე დამყარებული კვლევა-ძიებითი ხასიათის ნაშრომი“ (1960, გვ. 6).

მით უფრო პირველ წყაროებზეა დამყარებული და ღრმა კვლევითი, ჩვენი ავტორისათვის დამახასიათებელი მაღალ მეცნიერული ხასიათისა ის მრავალმხრივ სასარგებლო და უაღრესად საინტერესო, ქართულსა და რუსულ ენებზე სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილზე გამოქვეყნებული გამოკვლევები, რომლებიც უკვე თავმოყრილია ქ. კეკელიძის

10 კრებულში — „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“.

„ეტიუდების“ პირველი ტომის წინასიტყვაობაში კ. კეკელიძე წერს, რომ მას 50 წლის განმავლობაში მრავალი გამოკვლევა გამოუქვეყნებია, „მათი მიზანი, — განაგრძობს ავტორი, — იყო შეესება, დახუტება და გაღრმავება იმ საკითხებისა და მასალასა, რომელიც მოთავსებულია ჩემს ორტომიან კურსში. ამიტომ ეს ნარკვევები ისევე საჭიროა, როგორც დასახელებული კურსი“. და მართლაც „ეტიუდებში“ შესულ ცალკეულ გამოკვლევებს შორის არის ისეთი გზამკვლევი ნაშრომები, როგორცაა, მაგალითად, კ. კეკელიძის მრავალრიცხოვანი ქართველოლოგიური ნარკვევები (ტ. IV), „ძველი ქართული წელიწადი“, „იოანე ქართველის კალენდარი (X ს.)“, „წელთაღრაცხვა ძველ საქართველოში (ძეგლთა დათარიღებისათვის)“, „ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა გამოცემისათვის“, „მთარგმნელობითი მეთოდები ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“, „ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში“, „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“, „კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში“, უბაღლო მონაგრაფია „უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში“ („ეტიუდები“ V, გვ. 5—114), „ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია“ (იქვე, გვ. 115—211), „ქსიფილინოსის კრებული“ და სხვა მრავალი.

კ. კეკელიძე დაკვირვებული ტექსტოლოგი იყო. ძეგლის „იერუსალიმის განჩინება, VII საუკუნისა, ქართული ვერსია“ (რუსულ ენაზე, 1912, გვ. XII + 346) გამოცემისათვის იგი, დიდად მომთხონი ნ. მარის წარდგინებით, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ დააჯილდოვა მ. ახმატოვის სახელობის პრემიით.

კ. კეკელიძემ ასევე სამაგალითოდ გამოაქვეყნა „ძველი ქართული არქიერატკონი“ (1912), „კიმენი“ ტ. I, (1918) და ტ. II (1946), „თარგმანებად ეკლესიასტისა ზმვირნელ მიტროპოლიტისა“ (1920), „ტიმოთე ანტიოქელი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა“ (1940), „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა“ (1935), „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღათანი“ (1941); პერაოდულ გამოკვლევებში დაბეჭდა: „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“, „მარტვილობა გულანდუხტ სპარსისა“, „თეოდოსი განგრელის მოსაქსენებლის“ ქართული ვერსია და მისი მეცნიერულა მნიშ-

ვენელობა“, „მარტივი ქართული (VI — VII ს.)...“, „ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია“, „ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტივობა“ და სხვ.

ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა გამოაქვეყნა აგრეთვე ფრიად საყურადღებო რეცენზიები, რედაქტორობდა სხვათა მონოგრაფიებს, ოპონენტი იყო და მას წერილობით აქვს გარჩეული 20-მდე სადოქტორო და უფრო მეტი საკანდიდატო დისერტაცია.

აქ ვერ განვიხილავთ კ. კეკელიძის ზემოდასახელებულ ფილოლოგიურ, ისტორიულ და ენათმეცნიერულ ნაკვევებს. სხვა საკითხია, თუ რას წარმოადგენდა ძველი ქართული ფილოლოგია კ. კეკელიძემდე და რას წარმოადგენს იგი მის შემდეგ.

ჩვენ აქ მხოლოდ შევნიშნავთ, რომ კ. კეკელიძე ე პ ო ქ ი ს შ ე მ ქ მ ნ ე ლ ი ა ქ ა რ თ უ ლ ფ ი ლ ო ლ ო გ ი ა შ ი; მან ჩამოაყალიბა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნემდე, მისმა ნაშრომებმა, ნ. მარის შემდეგ, შექმნეს ახალი ეტაპი ამ დარგში; მის გამოცელებებს გვერდს ვერ აუვლის ძველი ქართული მწერლობის ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი.

ქართული მეცნიერების გარდა, კ. კეკელიძემ „თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის არა ერთი პრობლემატური საკითხის გარკვევაში. სახელდობრ, მან გამოავლინა და შეისწავლა ბიზანტიური მწერლობის დიდმნიშვნელოვანი ძეგლები, რომელთა დედნები დაკარგულად ითვლება და რომლებიც შემონახული აღმოჩნდა მხოლოდ ქართულ ენაზე“. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ მისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომის საფუძველზე მ. თარხნიშვილმა და ი. ასფალგმა დაამუშავეს ქართული საეკლესიო ლიტერატურის „ისტორია“ (5) და გერმანულ ენაზე გამოიცა საზღვარგარეთ (1955).

კ. კეკელიძემ არა მარტო გამოცელებებით გაიტანა ქართული მწერლობის ისტორია დიდ სარბიელზე, არამედ მანვე გააცნო სპეციალისტებს მთელი რიგი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლები ქართული მწერლობისა. მაგალითად, მან ბრწყინვალედ თარგმნა რუსულ ენაზე იაკობ ცურტაველის „შუშანიკის ცხოვრება“, იოანე საბანიძის „აბოს წამება“, ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, „ისტორიანი და აზმანი შარაევანდელთანი“ და სხვა. მის თითოეულ თარგმანს აქლავს მთარგმნელისავე გამოცელება, შენიშვნები და კომენტარები.

ქ. კეკელიძე იყო სამშობლოს დიდი პატრიოტი, იგი თავის ფართო განათლებასა და საოცარ ერუდიციას ახმარდა ჩვენი კულტურის მსოფლიო არენაზე გატანის საქმესაც.

ყოველივე აღნიშნულის გარდა, განუზომელია ქ. კეკელიძის ღვაწლი, როგორც პედაგოგისა. მისი ლექციები და პაექრობა დისერტაციების დაცვაზე ბევრის მიმცემი იყო მსმენელთათვის. კორნელი კეკელიძე იყო ქართველი ერის სულიერი კულტურის შესანიშნავი მკვლევარი, ახალგაზრდობის აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე, კარგი ორგანიზატორი. ის დაფასა ჩვენმა ეპოქამ, მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოვებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენითა და მედლებით.

კორნელი კეკელიძე არის ჭეშმარიტი მამა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა.

*

ჩვენი დიდი მეცნიერი მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე იყო დანტერესებული რუსთველოლოგიის საკითხებით და სათანადო შედეგებსაც მიღწია. იგი ჯერ კიდევ 1924 წელს გამოცემულ „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“, რუსთველოლოგიის მაშინდელი მდგომარეობის მიხედვით, ვრცლად იხილავდა საკითხთა წრეს. რაც ამ დარგში ქ. კეკელიძემ გააკეთა, თითქმის ყველაფერი დაჯამებულია მის კაპიტალურ წიგნში (1).

ავტორი რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“ განიხილავს მთლიანად ქართული კულტურის ფონზე და იმ მწერალთა და პოეტთა შორის, რომლებიც მას უსწრებდნენ, მისი თანამედროვენი ან უახლოესი მემკვიდრეები არიან. აღნიშნულ ტომში „ვისრამიანისა“ და „ამირანდარეჯანიანის“ ვრცელი განხილვის შემდეგ, რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანს“ მიძღვნილი აქვს 125 გვერდი. ავტორის აზრითაც, „ვეფხისტყაოსანში“ შეზავებულია ორი ელემენტი — რაინდობა და ქალის კულტი (1, გვ. 87; შდრ. ნ. მარი).

ავტორი იქვე შენიშნავს, რომ საჭიროდ მიაჩნია გადმოსცეს ამ პოემის შინაარსი. იგი მას იძლევა, თუმცა შედარებით მოკლედ (1, გვ. 87 — 98), მაგრამ არც ერთ არსებით მომენტს უყუარდლებოდ არ ტოვებს.

ქ. კეკელიძე — რუსთველოლოგი, ეს მთელი მოხ-
გრაფიის თემაა. აქ მოკლედ ვიტყვით, რომ მან რუსთაველი
წარმოადგინა ქართული კულტურის განვითარების ძალიან ვრცელ
ფონზე და დაასვენა, რომ იგი არის მისი წინამორბედი და თანამედროვე
ქართული კულტურის გვირგვინი. მან არა მარტო რუსთველოლოგიური
და მასთან დაკავშირებული ლიტერატურა მიმოიხილა მთლიანად, არა-
მედ სწორად გაითვალისწინა მთელი ის ზეპირი ტრადიცია, რომელიც
ქართველ ხალხს გადმოუცია თაობიდან თაობამდე.

ქ. კეკელიძე ებმებოდა იმ დისკუსიებში, რომლებიც რუსთაველის
ირველივე წარმოებდა ჩვენში, პასუხობდა სათანადო გამოცემის მცდარ
თუ სადავო დებულებებს და ახალ აზრებს ასაბუთებდა ისე, რომ მო-
წინააღმდეგენი იძულებული ხდებოდნენ, ბევრ რამეში დაეთმოთ მის-
თვის.

ავტორის ვინაობის საკითხში იგი იჩენს სიფრთხილეს: ორ რუსთავს
შორის რომელი უნდა იყოს რუსთაველის სამშობლო, შენიშნავს, რომ
„თუ ძველ ელადაში იშვიდი ქალაქი ეცილებოდა ერთიმეორეს დი-
დი პომეროსის სამშობლოდ“ აღიარებაში, რა გასაკვირველია, საქარ-
თველოში არსებულ ორ პუნქტს შორის იყოს არჩევანი, რადგან სათა-
ნადო პირდაპირი მითითება ჩვენ არ მოგვეპოვება (1, გვ. 122).

მიუხედავად ამისა, ის მაინც უფრო რუსთაველის მესხობისაკენ
იხრება.

ქ. კეკელიძე თავისი ნაშრომის მეორე ნაწილში ვრცლად განიხილავს
პოემის წარმოშობის საკითხს („პოემის დაწერის დროს“). ის ძირითად-
ში დებულობს ტრადიციულ გაგებას, რომ რუსთაველი არის თამარ
მეფის თანამედროვე, მაგრამ ამას ზოგიერთ ახალ დასაბუთებასაც აძ-
ლევს. ქ. კეკელიძე არ გაურბის სიძნელეებს: ის წერს, რომ „ვეფხისტ-
ყაოსნის“ ზოგიერთი სტროფის გაუგებრობისა თუ უხერხულობის
გამო, მისი ყალბად გამოცხადება ყოვლად დაუშვებელია, საჭიროა
თვით ამ სტროფების გაგებაო.

მანვე საფუძვლიანად უარყო მის ზოგიერთ თანამედროვეთა მტკი-
ცება რუსთაველის რელიგიური რწმენის თითქოსდა მაჰმადიანურობის
შესახებ და იგი აღიარა ბიბლიური ქრისტიანიზმის მომხრედ, რომე-
ლიც არ იყო გატაცებული საეკლესიო ცერემონიალური რიტუალებით.

„რუსთაველი, — წერს ქ. კეკელიძე, — მთლიანად ემყარება ქრის-
ტიანიზმის პირველწყაროს — ბიბლიას, „საღმრთო წერილს“... მის

ციტატებში თითქმის არც არის არაბიბლიური ადგილი, ის წარმოდგენილია ე. წ. „ბიბლიური“ ქრისტიანობისა და თეოლოგიისა... მისთვის უცხოა დოგმატურ-ეკლესიური ქრისტიანობა, რომელიც აღმოცენდა მსოფლიო კრებათა და შემდეგი დროის სქოლასტიკურ-მისტიკურ გონებრივ აკრობატობაზე, მისთვის უცხოა მთელი ის ბალასტი, რომელიც ქრისტიანობას შეეზარდა შემდეგ“ (1, გვ. 204).

ნაშრომის მესამე ნაწილში, რომელსაც ავტორის (ე. ი. რუსთაველის) მსოფლმხედველობა ეწოდება, კ. კეკელიძე საფუძვლიანად აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ რუსთაველი არის მაღალი საკაცობრიო ჰუმანური იდეების მლალადებელი და „ჰუმანური ხასიათისაა ჩვენი პოეტის პოლიტიკური, სოციალური და ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულებანიც“ (1, გვ. 176).

რუსთაველი ქადაგებს ხალხთა მეგობრობას განურჩევლად ეროვნებისა. აქ საყურადღებოა ის, რომ კ. კეკელიძე ამტკიცებს: „ვეფხისტყაოსნის“ ძმობა და მეგობრობა წარმოდგენილია საკაცობრიო იდეალების სამსახურისათვის. „პოეტი გარკვეული პოლიტიკური იდეოლოგიის მატარებელია“. თვითონ რუსთაველი „ფეოდალური არისტოკრატის იმ ფენას ეკუთვნის, რომელიც პატრონჟიმურ ურთიერთობაზეა დამყარებული, მონარქიული პრინციპების, ცენტრალიზებულ სამეფო ხელისუფლების მომხრე და თაყვანისმცემელია“, მაგრამ ჰუმანურ დამოკიდებულებას მოითხოვს საზოგადოების სხვა ფენებისადმი, სწორად ასახავს მათ მდგომარეობა-მოვლევებს და ამდენად ეს მხატვრული ნაწარმოები ისტორიული წყაროცაა.

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც მხატვრული ნაწარმოები, შედარებით მოკლედ, მაგრამ არსებით ნაწილში სრულად, განხილულია ნაშრომის მეხუთე თავში, რომელსაც ეწოდება „პოეტი მხატვრული მხარე“ (1, გვ. 205 — 209).

ავტორი არ უგულვებელყოფს იმ ფაქტსაც, რომ რუსთაველმა ძლიერი გავლენა მოახდინა მის შემდეგდროინდელ ქართული ლიტერატურის განვითარებაზე. „რუსთაველი ეკუთვნის ისეთ გენიოსთა რიცხვს, რომლებიც ღლებიან შედგომი თაობების აზრთა და გრძობათა მფლობელად. ქართულ ლიტერატურაში, რომელსაც ვეფხისტყაოსნის დაწერის შემდეგ ჰქონდა დაცემისა და აღორძინების პერიოდები, რუსთაველი ნამდვილი კანონმდებელი გახდა. ამ ლიტერატურისათვის უცნობია ფსევდოკლასიკური მიმართულება იმ გაგებით, როგორც ეს

გვესმის ევროპისა და რუსეთის ლიტერატურის ისტორიაში; სამაგიეროდ მას აქვს პერიოდი თავისი ფსევდოკლასიციზმისა — რუსთაველის კლასიკური პოეზიისადმი ყოველმხრივი მიბაძვის მიმართულებით“ (1, გვ. 209).

კ. კეკელიძემ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებასაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა განუცდია არა მარტო ჩვენს ორიგინალურ ნაწარმოებებს, არამედ იგი „ემჩნება უცხო ენიდან თარგმნილ თუ გადმოკეთებულ რომანტიკულ ნაწარმოებებსაც კი; ღდება მათი გადათქმავება ჩვენი პოემის საფუძველზე და მათში ამ უკანასკნელიდან შეაქვთ ეპიზოდები და სიუჟეტურ-ფაბულური დეტალები. ამ მხრივ აღსანიშნავია პოემები: ბარამგულანდამიანი“ და „ბარამგულიჯანიანი“ (1, გვ. 211).

სხვათა შორის, ეს ის ნაწარმოებებია, რომლებიც ერთ დროს იუსტ. აბულაძემ „ვეფხისტყაოსნის“ პარატექსტად მიიჩნია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, სურათი სულ სხვაგვარი აღმოჩნდა.



კ. კეკელიძეს რუსთაველოლოგიური სხვა შრომებზე აქვს გამოქვეყნებული. მათ შორის ხუთი შესულია ავტორის ცნობილ „ეტიუდებში ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ (IV, თბ., 1957), აქაც ისევე, როგორც მის პოლემიკურ წერილებში, საკითხი დამატებითაა დასაბუთებული და ხშირად აღწევს არის გაშუქებული. კ. კეკელიძის ეს წერილებზე ნათელი აღჩნდა და მეცნიერული პოლემიკის ბრწყინვალე მაგალითებს წარმოადგენენ (შდრ. 2).

ავტორის საბოლოო დასკვნა ასეთია: „ვეფხისტყაოსანი“ ეკუთვნის წარსული დროის კაცობრიობის გენიის ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს, რომლებიც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, დღევანდლამდის ინარჩუნებენ ნორმისა და სწორუბოვარი ნიმუშის მნიშვნელობას. ამ პოემას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ლიტერატურისათვისაც... რუსთაველი არის თავისი ეპოქის დიდი შვილი, კლასიკური პერიოდის ქართული სინამდვილის ნიღაბზე მან შექმნა პოემა, რომელშიაც რამდენიმე საუკუნით ადრე აღსაზა დასავლურ-ევროპული რენესანსის ჰუმანიური იდეები და კეთილშობილური მისწრაფებანი. ამავთა პოემისა და მისი უკვდავი შემოქმედის მსოფლიო-ისტორიული, საკაცობრიო მნიშვნელობა (1, გვ. 212).

კ. კეკელიძე, როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი და რუსთველოლოგი, როგორც დიდი განათლების, ინტელიციისა და ღრმა კვლევის უნარით დაჯილდოვებული მეცნიერი, სამშობლოს პატრიოტი და მკვლევართა თაობების აღმზრდელი, ვალმოხდილია მშობელი ხალხისა და მისი უდიდესი პოეტის — რუსთაველის წინაშე.

დიდი მეცნიერის — კ. კეკელიძის რუსთველოგიური ნაშრომები, სახელმძღვანელოში შეტანილი ნარკვევითურთ, ცალკე ტომად გამოცემის ღირსია.

1. კორნელი კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958. 2. ალ. ბარამიძე. კორნელი კეკელიძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1959. 3. ი. მ. გ. რ. ე. ლ. ი. ბრწყინვალე მეცნიერის ცხოვრების გზა (კ. კეკელიძე; იხ. „ლიტ. საქართველო“, 1962 წ. 15 ივნისი, გვ. 3—4. ტექსტის ნაწილი გამოყენებულია ზემოდაც). 4. „დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კ. კეკელიძე. კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა“, თბ., 1965. აქ კ. კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა განხილულია სხვადასხვა მხრივ, წარმოდგენილია დიდძალი დოკუმენტური მასალა და კ. კეკელიძის ნაშრომების უსრულესი ბიბლიოგრაფია. 5. Geschichte der kirchlichen georgischen Literatur auf Grund des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte von K. Kekelidse. Bearbeitet von P. Michael Tarchnischvili in Verbindung mit Dr. Julius Assfalg, რომი, 1955.

მარჯორი უორდროპი

ქართული კულტურის უანგარო მოამაგეები, ინგლისელი და-ძმა უორდროპები ფართოდაა ცნობილი ჩვენში. ამ ოჯახის ასულს მარჯორი სკოტ უორდროპს (1869 — 1909) დიდი მადლიერებით ეკიდებოდა ილია ჭავჭავაძე.

მარჯორი უორდროპმა ქართულის შესწავლა ინგლისში დაიწყო და საქართველოში განაგრძო. მარჯორის უფროსი ძმა, — ცნობილი დიპლომატი ოლივერ უორდროპი (1865 — 1945) ერთხანს თბილისშიც მსახურობდა. მან გამოაქვეყნა საყურადღებო წიგნი — „საქართველოს სამეფო“ (ლონდონი, 1888). ოლივერ უორდროპის თარგმანით გაიცნეს ინგლისელებმა „ვისრამიანი“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნესიცრუისა“, „წმ. ნინოს ცხოვრება“ და სხვა. მანვე გამოსცა „ინგლისურ-სვანური ლექსიკონი“ (ოქსფორდი, 1911), ცნობილ არმენოლოგ კონიბირთან ერთად შეადგინა ოქსფორდის ბიბლიოთეკის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. მისივე „ინიციატივითა და სახსრებით დაარსდა ოქსფორდში მარჯორი უორდროპის ფონდი, სადაც მრავალი უნიკალური ხელნაწერი და დასტამბული წიგნები ინახება“; ამავე ფონდის სახსრებით დახმარება ეწევა ზოგიერთ უცხოელ ქართველოლოგსა და ბიუჯეტის ნაწილი ხმარდება ქართველოლოგიური თარგმანების ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებას.

ო. უორდროპმა 1912 წელს ცოლად შეირთო ნორვეგიელი (ოსლო) ემილ კოლეტის (Collet) ასული მარგარიტა. მათ თავიანთ პირველ შვილს, რომელიც 1916 წელს დაიბადა, საქართველოს სიყვარულის გამო, დაარქვეს ნინო. ოლივერის მსგავსად, მარგარიტაც დიდად აღფრთოვანებული იყო საქართველოთი, მზრუნველობას იჩენდა ქართული კულტურის ისტორიის ევროპელი მკვლევარებისადმი. დაუცხრომლად ილ-

ტვოდა ჩვენი კულტურის პოპულარიზაციისათვის. ასევე, მაგალითად, „ამირანდარეჯანიანის“ რ. პ. სტივენსონის ინგლისური თარგმანი მარგარიტას ჩარევით გამოიცა მარჯორი უორდროპის ფონდის ხარჯზე 1958 წელს ქ. ოქსფორდში.

როგორც ლონდონის გაზეთი „ტიმისი“ იუწყებოდა, პროფ. დ. მ. ლანგმაც ჯერ გვაცნობა და შემდეგ ევროპის უდიდეს ქართველოლოგიურ ორგანოში დაბეჭდა, რომ მარგარიტა უორდროპი გარდაიცვალა 1960 წლის 16 დეკემბერს (დაიბადა 1877 წ.) ხაინდხენში (სერეი, ინგლისი).

თვითონ მარჯორი უორდროპი დიდად განათლებული ადამიანი იყო. იგი მეტყველებდა და წერდა ექვს უცხო ენაზე, — ფრანგულს, გერმანულს, რუსულს, რუმინულს, იტალიურს, ქართულსა და მშობლიურ ინგლისურზე. მას უმგზავრია ევროპის, აფრიკისა და სხვა კონტინენტის ქვეყნებში, დაინტერესებულა სათანადო ხალხთა ცხოვრებით, ისტორიითა და ლიტერატურით, მაგრამ ყველაზე მეტად საქართველო მოსწონებია და გამოუცხადებია: „საქართველო მეორე ჩემი სამშობლოა“.

მარჯორი და ოლივერ უორდროპები პირველად ჩვენს ქვეყანას 1894 წლის 3 დეკემბერს სწვევიან; რამდენიმე თვე უმოგზაურიათ მარშრუტით: ბათუმი-თბილისი-ქუთაისი-გელათი-მოწამეთა, ნიგოეთი-ჯუმათი-სუფსა-ოზურგეთი-შემოქმედი-ბათუმი (2 და 3).

მეორედ მარჯორი 1896 წლის ზაფხულს ყოფილა საქართველოში მშობლებისა და უმცროსი ძმის თომის თანხლებით. ამჯერად მათ უმთავრესად ქართლი და კახეთი დაუთვალიერებიათ და შემდეგ ისევ დასავლეთ საქართველოში ჩასულან, კერძოდ გ. წერეთელს სტუმრებთან ს. ჭალაში; ყოფილან სავანესა და მოდინახეზე, საჩხერესა და ჭიათურაშიც და ბოლოს ისევ ილიას სწვევიან საგურამოში...

სტუმრები ძალიან დაახლოებიან მასპინძელს. აკაკი წერეთელი მარჯორი უორდროპისადმი მიძღვნილ ლექსში (1898) შემთხვევით ან წერდა:

„გვითხრა: ტყვილა გულს ნუ იტეხო,
თქვენგან მე ბევრს გამოველი.
არ მოკვდება არა ერი,
ვინც წარმოშვა რუსთაველი“.

დიდი ბრიტანეთის ამ სახელოვნომა ასულმა და საქართველოს მეგობარმა ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა „Georgian Folk Tales“ — „ქართული ხალხური ზღაპრები“, ილას „მგზავრის წერილები“, „განდევილი“ და სხვა. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თარგმანს, საკმარისია გავიხსენოთ ბრძენი ილია ჭავჭავაძის სიტყვები: ქართულიდან ინგლისურად გადაღება, (თარგმნა საერთოდ) არ არის აზრის უბრალო გადაცემა, არამედ „გადაღებაა ჩვენის გულისცემისა, ჩვენის გულითადის ნატურისა, ჩვენის ჭირისა და ლხინისა, ჩვენის გონებისა და გრძნობის ძალ-ღონისა საყოველთაო საცნობელად“.

მარჯორი უორდროპმა შესანიშნავად თარგმნა ინგლისურ ენაზე (1891—1909) ჩვენი ეროვნული სიამაყე „ვეფხისტყაოსანი“. მას ჯერ ი. ჭავჭავაძე და ივ. მაჩაბელი* შეელოდნენ, შემდეგ — სხვებიც. 18 წელი მოანდომა მან ამ დიდ საქმეს, მაგრამ, 1909 წელს ნაადრევად გარდაცვალების გამო, გამოუქვეყნებელი დარჩა. მის ამ თარგმანს საბოლოო რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა დაურთო და გამოსცა ოლივერ უორდროპმა 1912 წელს ლონდონში. მანვე „ვეფხისტყაოსანი“ გააცნო რუს პოეტს კ. ბალმონტს. „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეული თარგმანი პროზაულია, მაგრამ იგი, აზრის სიზუსტისა და მხატვრული ფრაზეოლოგიის დაცვით, ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ.

ცნობილია, რომ მარჯორი უორდროპს ამ თარგმანის განხორციელებისას და შემდეგ ოლივერს კომენტარების საქმეში კონსულტაციას უწევდა ნიკო მარი, როგორც პირადი შეხვედრებით, ისე მიმოწერითაც.

მარჯორი უორდროპზე შესანიშნავი მონოგრაფიის ავტორი ლეილა თაქთაქიშვილი-ურუშაძე უორდროპებისა და მარის ამ თანამშრომლობის სურათს აზუსტებს ამგვარად: როდესაც ო. უორდროპი დის — მარჯორის მიერ თარგმნილ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს გამოსაცემად

* ივ. მაჩაბელი იყო აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის პრაქტიკული ხელმძღვანელი. იგი წერს კიდევ: ეს წიგნი იბეჭდება და „საქმის შესრულება სულ მე დამაწვავს კისერზედ“. მ. უორდროპის გარდა, ივ. მაჩაბელი, ერთგვარი კონსულტანტი იყო აგრეთვე მხატვარ ზიჩისაც. იხ. ვახტანგ ქეღვიძლეს ივანე მაჩაბელი, თბ., 1968, გვ. 170—171.

ამზადებდა, იგი სარგებლობდა ნ. მარის კონსულტაციებით, „პოემის-ზოგიერთი სიტყვისა და ადგილის მარისეული ინტერპრეტაცია“ ოლივერს გამოუყენებია, მაგრამ თვით თარგმანში (ინგლისური ტექსტი) „არავითარი ცვლილება არ შეუტანიაო“ (2, გვ. 98).

მარჯორი უორდროპის თარგმანის ანალიზს ჩვენ ვერ ვაწარმოებთ: აქ არცაა ამის ადგილი. საკმარისია ვთქვათ, რომ იგი მოწონებული იყო თავის დროზე ნ. მარის მიერ.

თვით მარჯორის შეხედულებას „ვეფხისტყაოსანზე“ სოლ. იორდანიშვილი ასე აჯამებს: ეს პოემა „ერთი ბრწყინვალე წარსულის მქონე განათლებულ ერის სარკედ ითვლება... „ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს ქართველთა ცხოვრების სურათს. ასეთი წიგნი განძად უნდა ჩაითვალოს მთელი კაცობრიობისათვის“.

ამ თარგმანის თაობაზე ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ს. იორდანიშვილის აზრს: მ. უორდროპის „სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თარგმანი შესრულებულია დიდი კეთილსინდისიერებით და, თუ გვხვდება ალგა-ალგა არასწორი სტრიქონები და შეცდომები, ეს ნაწილობრივ აიხსნება იმიტომ, რომ იმ დროისათვის ვეფხისტყაოსნის ტექსტი არასაკმარისად იყო შესწავლილი თვით ქართველების მიერ“ (3, გვ. 193—194). ალ. ბარამიძე ამავთვით თარგმანის შესახებ წერს: დედანთან აზრობრივად ზუსტი შესატყვისობით იგი სხვა თარგმანთაგან გამოირჩევაო.

ლეილა თაქთაქიშვილი - ურუშაძე საფუძვლიანად ადარებს მ. უორდროპის თარგმანს დედანს „ვეფხისტყაოსნისა“, მიუთითებს რიგ უზუსტობაზე, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ როდესაც მის ხელახალ გამოცემას ელ. ორბელიანი და სოლ. იორდანიშვილი აზუსტებდნენ (1937), მ. უორდროპის თარგმანში ზოგიერთი შესწორებაც შეიტანეს, მაგრამ ძირითადად ამ „გასწორებებზე“ უფრო მისაღებია უორდროპისეული ვაგება.

მ. უორდროპი იცნობდა არა მხოლოდ წიგნის ქართულ ენას, არამედ ხალხურსაც. მან შესწავლა ძველი ქართული ენა, მაგრამ იგრძნო, რომ „რუსთაველის პოეზიის ენა ღრმად არის გადგმული ხალხურ შემოქმედებაში“, თარგმნა ხალხური ზღაპრებიცა და ცოცხალ ქართულ ენასაც დაეწაფა.

ამასთანავე თვითონ გრძნობდა იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელსაც ის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნით კისრულობდა. ოლივერ უორდროპი წერს გამოცემის წინასიტყვაობაში: მთარგმნელმა ამ წიგნზე,

18 წელი იმუშავა და მისი გაუმჯობესებისათვის კიდევ ათი წლის მოხმარებას აპირებდაო.

სწორია, რომ არა მარტო აზრობრივი სიზუსტეა საზომი თარგმნის მაღალი ხარისხისა, არამედ მნიშვნელოვანია აგრეთვე მხატვრული სახის გახსნა და საერთო განწყობილების გადმოცემა. ყოველივე ამ მხრივ მ. უორდროპისეული „თარგმანი დასრულებულ ნაშრომს წარმოადგენს“. თავთაქიშვილი - ურუშაძე მ. უორდროპის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის მნიშვნელობას მარტო მისი ხარისხით არ ზომავს. „მთარგმნელმა შეძლო ერთ მთლიანობაში წარმოედგინა ქართული მწერლობა — ქართული ფოლკლორის, მხატვრული ლიტერატურისა და ჰაგიოგრაფიის ნაწარმოებთა კარგად შესრულებული თარგმანებით ინგლისელი მკითხველი საზოგადოებისათვის გაეცნო ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები“ (გვ. 119). მისი მთარგმნელობითი მუშაობა „მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თარგმნის მეთოდის მხრივ, არამედ იმ მხრივაც, რომ მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ინგლისურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის (შესწავლის) საქმეს, რითაც გარკვეული წვლილი შეიტანა ინგლისელ და ქართველ ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობისა და ურთიერთგაგების დამყარებაში“.

გიორგი წერეთელმა დავით ლანგს ერთ-ერთ ბანკეტზე ასე მიმართა: ქართველი ხალხი მადლიერია თავისი უცხოელი მოამაგით. მარჯორი უორდროპი უფრო პოპულარულია საქართველოში, ვიდრე მის სამშობლო ინგლისშიო.

ჭეშმარიტად, ეს ხალხის მხრივ თავისი მოამაგის უდიდესი დაფასებაა.

მარჯორისა და ოლივერ უორდროპებს, მათ მშობლებსა და ამ ოჯახის რძალს მარგარიტას გულწრფელად უყვარდათ საქართველო, ქართველი ხალხი და ქართული კულტურა. ამ აღადმიანების ამავს ჩვენი ხალხი არ ივიწყებს, მათ მადლიერების გრძნობით იგონებს. დიდი ბრიტანეთის სათნო ასული მარჯორი უორდროპი მისაბაძად დარჩა მისივე თანამემამულეთათვის.

1. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, ინგლისურად თარგმნილი მარჯორი სკოტ უორდროპის მიერ ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობით The Man in the Panther's Skin a romantic Epic by Shota

t'ha Rust'haveli a Close Rendering from the georgian Attempted by Marjory Scott Wardrop With a Preface by Sir Oliver Wardrop. ლონდონი, 1912 წ., ახალი მხატვრული გამოცემა—თბილისი, 1966. 2. ლ ე ი ლ ა თ ა ქ - თ ა ქ ი შ ვ ი ლ ი - უ რ უ შ ა ძ ე. მარჯორი უორდროპი, თბ., 1966. 3. სოლ. ი თ რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. ნარკვევები, თბ., 1954, გვ. 176—177. 4. ი. შ ე გ რ ე ლ ი - ძ ე. მარგარიტა უორდროპი. — „ლიტ. გაზეთი“, 1961 წ. 31 მ ა რ ტ ი, № 14, გვ. 4. 5. David M. Lang. Ledi Wardrop, 1877 — 1960. — ეურნ. „Revue de karthvélogie“, ტ. XI—XII № 35—37, პარიზი, 1961, გვ. 91—93. 6. ნეკროლოგები: — „მისს მარჯორი ეორდროპი“. — ეურნ. „საქართველოს მოამბე“ 1909 № 8, გვ. 10. ვ. ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი. მარჯორი უორდროპი. — გაზ. „დროება“, 1909, № 289, გვ. 2.

კონსტანტინე ბალმონტი

დიდი რუსი პოეტი და წარჩინებული მთარგმნელი კონსტანტინე დიმიტრის ძე ბალმონტი (Бальмонт, 1867—1942) მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობის გამო გარიცხეს. მისი ლექსები 1890 წლიდან სისტემატურად იბეჭდებოდა; ეწეოდა მთარგმნელობასაც. მან სხვადასხვა ენებიდან რუსულად გადაიღო პ. შელი, უიტმანი, კალდერონი, ვერლენი, შ. ბოდლერი და სხვები.

კ. ბალმონტის პოეზიას ამჩნევია ძლიერი კვალი ლამაზ სიტყვათა ძიებისა, სტრიქონთა მუსიკალობისათვის ის აზრის ნაკლებგამჭვირვალობასაც კი არ ერიდება, მისი თარგმანებიც უმთავრესად საკუთარ ლექსთა მანერისაა.

•

„ვეფხისტყაოსანს“ კ. ბალმონტი 1912 წელს გამოცემული მარჯორი უორდროპისეული თარგმანის კორექტურებში გასცნობია ოლივერ უორდროპის საშუალებით სამხრეთ აფრიკის ოკეანის სივრცეებში, როდესაც კ. ბალმონტი ინგლისის გემ „ათინაზე“ იმყოფებოდა. ამ მომენტს პოეტი უკვე გვიანაც კი ასეთი კმაყოფილებით იგონებს: «Прикоснуться к грузинской розе в просторе океанских зорь, при благом соучастии Солнца, Моря, Звезд, дружбы и любви, и диких вихрей, и свирепой бури, это — впечатление, которого забыть нельзя» (2, გვ. XXI).

როგორც ყოველი ნიჭიერი წამყიჯხველი, ისე კ. ბალმონტიც აღფრთოვანებია „ვეფხისტყაოსანს“. მას მაშინვე გამოუთქვამს ეს აღფრ

თოვანება რუსული ეურნალის ფურცლებზე. წერილის ქართულ გადმოკეთებაში („თემი“, 1912 № 84) თქმულია, რომ კარგი იქნება რუსთაველის პოემა ვინემ რუსულ ენაზე თუნდაც პროზაულად თარგმნოს, რათა ბალმონტს საშუალება მიეცეს, იგი ლექსად გამართოსო.

უკვე 1913 წლის 15 მაისის გაზეთი „თემი“ იუწყება, რომ კ. ბალმონტს სურს თარგმნოს რუსთაველი; ამის გამო მას ესალმებიან. ბალმონტი პასუხობს: «Солнечный привет родине вдохновенного Руставели, поэтической Грузии, от юности любимой».

1914 წლის აპრილში პ. იაშვილი ამავე გაზეთის ფურცლებზე იუწყება, რომ კ. ბალმონტი ჩამოვა საქართველოში, რათა ჩვენი ენა შეისწავლოს და „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნოს; მეო, — დასძინს პ. იაშვილი, — 1913 წლის ზამთარში ვხვდებოდი: პარიზში კ. ბალმონტს და „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო ადგილებს ვუკითხავდიო. ბალმონტმა თქვაო: ბევრი ქვეყანა მინახავს, მაგრამ ჯერ ვერ ვნახე საქართველო, რომელიც „სიყრმიდან მიყვარდა და მიყვარს“. იქნებ „რაღაც ძალა განგებ მაგვიანებდა, რომ ყველა ნახული სილამაზის შემდეგ, მენახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთაველი, ტკბილი სიზმრის მშვენიერი დასასრული ყოფილიყო“.

კ. ბალმონტმა ჯერ კიდევ პარიზში თამარ ყანჩელის პწკარედით თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ 16 სტროფი. ეს თბილისში წაუკითხავთ და პოეტისათვის სახელის დღე (21 მაისი — კონსტანტინობა) მიულოცავთ. პოეტი პასუხობს:

«Святыню Грузии — Руставели,

Я, Славянин, клянусь явить в моей свирели...»

1915 წლის ოქტომბერში კ. ბალმონტი უკვე თბილისშია; მას დიდი ზემოთ ხვდებიან, იგი ქუთაისშიც მიჰყავთ (3).

კ. ბალმონტი ცდილობს შეისწავლოს ქართული ენა, მას თარგმნაში თამარ და სანდრო ყანჩელები და გიგო დიასამიძე შეეღიან. ის მარჯორი უორდროპის თარგმანსაც იყენებს, კითხულობს ლექციებს რუსთაველზე, 1916 წლის აპრილში (ვლადივოსტოკი) წერს წიგნის წინასიტყვაობას, რომელიც 1917 წელს გამოიცა მოსკოვში («Шота Руставели. Носящий барсову шкуру... Перевод К. Бальмонта»).

გამოცემა შეიცავს მთარგმნელის წინასიტყვაობას, თამარ მეფისადმი მიძღვნილი ქართული ოდის ნაწყვეტს (თამარისა და შოთას სურათებით), ნარკვევებსა და ქართულ ხალხურ გადმოცემას („რუსთაველისადმი მი-

ძღვნილი ტურნირი) და „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების თარგმანებს.

შემდეგ ავტორმა დაასრულა პოემის ვახტანგისეული რედაქციის თარგმნა, იგი პირველად შესანიშნავად გაფორმებული გამოიცა პარიზში (1), შემდეგ — თბილისში (1935) და მოსკოვში (1936, იხ. 2. არსებობს 1937 წლის გამოცემაც. საბჭოური გამოცემების რედაქტორია ალ. სვანიძე).

ესა პირველი რუსული ყველა წინანდელზე უფრო სრული თარგმანი, „ვეფხისტყაოსნისა“.

კ. ბალმონტი თარგმანის წინასიტყვაობაში უდიდეს შეფასებას აძლევს რუსთაველს; მას აღარებს უშესანიშნავეს პოეტებს და ასკვნის: რუსთაველი «Еще стих писател». იგი სიყვარულით ამარცხებს სიკვდილს, უმღერის უკვდავებას, „ვეფხისტყაოსანი“ ეს «лучшая поэма любви, какая когда-либо была создана в Европе». რუსთაველმა, მის გარდა, ის უანდერძა თავის ხალხს, რომ «озаренный белым сиянием, он живет в памяти людей и в народной мечте, в народной песне родной страны, как изысканный любовник своей пламенной мечты, любивший любовь свою во имя влюбления, без чаяния достичь любовь свою личную» (2, გვ. XXIII).

კ. ბალმონტის თარგმანში არაა ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბავი, რადგან იგი არაა ვახტანგისეულ რედაქციაში, რომელსაც კ. ბალმონტი თარგმნიდა.

ამ თარგმანის საბჭოურ გამოცემებს ახლავთ აგრეთვე ხსენებული ინდო-ხატაელთა ამბავი და ზოგიერთი სხვა სტროფიც (4—7, 14, 16, 17, 21—23, 25—31 და 48 თავის უკანასკნელი 5 სტროფიც), თარგმნილი ე. ტარლოვსკიას მიერ. ამის თაობაზე აკაკი შანიძე წერს:

„ა. ბარამიძემ გადმოძღვა, რომ კ. ჭიჭინაძეს მისთვის შემდეგი უამბნია: როდესაც აპირებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეული რუსული თარგმანის გამოცემას მოსკოვში, მალაქია ტოროშელიძემ აჩვენა ი. სტალინს ჩემი გამოცემა და უთხრა, რომ აი ეს სამი უკანასკნელი თავი აკლია ბოლოს მაგ თარგმანსო. სტალინმა შემოხაზა ეს თავები და თანახმა გახდა, ეთარგმნათ და დაემატებინათ... ამის შემდეგ ის იყო, რომ დამატებითი თავები ქართულ ტექსტშიც შეიტანეს“ („მნათობი“, 1965 № 10, გვ. 121).

კ. ბალმონტის თარგმანს „დიდ მხატვრულ ღირებულებებთან ერთად, — წერს ალ. ბარამიძე, — ახლავს სერიოზული ნაკლოვანებანი. ეს

არის მ ა ნ ე რ უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი. მთარგმნელი გამოეკიდა უპირატესად ტექსტის დამუშავების ფორმალურ მხარეს“. ეს არ არის ზუსტი თარგმანი, არამედ არის მხატვრული გადაღება, გადამღერება, მაგრამ იგი „შესრულებულაა რუსული ლექსის ბრწყინვალე ოსტატის მიერ“; ამ თარგმანზე ბალმონტი მუშაობდა დიდი სიყვარულითა და უაღრესი შთაგონებით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ თარგმანში უფრო ჩანს რუსთაველის სიღიადე, ვიდრე ზოგიერთ სხვა უფრო ზუსტ თარგმანში.

„ვეფხისტყაოსნის“ კ. ბალმონტისავე. შედარებით სრული თარგმანი გამოვიდა პარიზში (1933). ამ გამოცემასთან დაკავშირებით ალ. სვანიძემ გვიამბო: ეს გამოცემა პირველად რომ ვნახე, სტალანს ეღვა მაგიდაზე. მასპინძელმა წიგნს დაჰკრა ხელი და თქვა: ვინ მიგხავნის მე ამას? სხვა ვინმე გვაძლევს წინადადებებს რუსთაველის კათედრა გახსენით თბილისშიო, რას ვაკეთებთ ჩვენ?.. კათედრა კი არა მთელი ინსტიტუტი უნდა დაარსდეს, პოემის რუსული თარგმანები გამოაცესო...

ჩვენს უნივერსიტეტთან 1933 წელს, დაარსდა ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების (ელხი) ინსტიტუტი (4), რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა 1937 წელს რუსთაველის იუბილეს ჩატარებაში და შემდეგ გადაკეთდა ჩვენი აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტად. ცნობილია ისიც, რომ 1937—1938 წლებში რუსთაველის რუსული ოთხი სრული თარგმანი გამოქვეყნდა და მას 1941 წელს მეზუთეც დაემატა, პოემა ითარგმნა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის რიგ ხალხთა ენებზეც....

კ. ბალმონტი „ვეფხისტყაოსნის“ არა მხოლოდ მთარგმნელი, არამედ მკვლევარი და ქართული ფოლკლორული მასალების მთარგმნელი და გამომქვეყნებელიცაა. მისმა დიდმა სახელმა, ლექციებმა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“ 1916 და შემდეგ წლებში, პოემის 1917, 1933 წლებში გამოქვეყნებულმა ბალმონტისეულმა თარგმანმა უდიდესი როლი ითამაშეს არა მარტო რუსთაველის და მისი პოემის, არამედ ქართული კულტურის რუსულად მეტყველთა შორის კიდევ უფრო გაპოპულარების საქმეში. ამ მხრივ ვერც ერთი დიდი მეცნიერის ტომებიც კი ვერ გაგვიწეიდნენ იმ სამსახურს, რომელიც ცნობილმა რუსმა პოეტმა კონსტანტინე ბალმონტმა გაგვიწია. ამიტომაც ვართ მისი მად-

ლიერნი. მეორეს მხრივ, რუსთაველის სახელმაც გააბედნიერა იგი,— მის გამო ემიგრანტმა ბალმონტმა მაშინვე მიიღო რეაბილიტაცია სამშობლოში.

1. Шота Р у с т а в е л и. Носящий Барсову шкуру. Грузинская поэма XII века. Переводъ К. Д. Б а л ь м о н т а. Парижъ. Издание Д. Х е л а д з е. 1933.

2. Шота Руставели. Витязь в тигровой шкуре, поэма перевод с грузинского К. Д. Б а л ь м о н т а, а. ს. ს ვ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, „Academia“-ს გამოცემა, მოსკოვი, 1936 (არსებობს იქაური მაშინდელი სახელგამის გამოცემა და შემოკლებული თარგმანის მოსკოვური 1917 წლის გამოცემა. იგივე პარიზშიც გამოვიდა 1922 წელს). 3. ლ. ა ნ დ ლ უ ლ ა ძ ი ს წერილები იხ. საქ. მეცნ. აკად. შ. რუსთაველის სახ. ლიტ. ინსტ. საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, 1966; გაზ. «Заря Востока», 1936 № 218; ეურნ. «Литературная Грузия», 1967 № 6; ნ. ბ ა ლ მ о н т - ბ რ უ ნ ი ს წერილი «Бальмонт в Грузии». — ეურ. «Лит. Грузия». 1966 № 9—10. 5. ელხის პირველი თავმჯდომარე იყო ალ. დ უ დ უ ჩ ა ვ ა . შედარებით დაწვრილებით იხ. ჩვენი რეცენზია: „ალ. დ უ დ უ ჩ ა ვ ა ს რჩეული წერილები. — „მნათობი“ 1968 № 3, გვ. 191—192; იქვე ლაპარაკია მწერალ ალ. ტ ო ლ ს ტ ო ი ს ქართული კულტურისადმი დამოკიდებულებაზე (გვ. 192).

ბელა ვიკარი

ლიტერატორი, ფოლკლორისტი, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი მოამბე-გეთაგანი აკად. ბელა იანოშის ძე ვიკარი (1859—1945) იყო ეროვნებით მაღიარი (უნგრელი), შემოდის ოლქის ს. პეტეშიდან. მამამისი პოლიგლოტი ყოფილა. ბ. ვიკარის ეკუთვნის ცნობილი წიგნი „ხალხური პოეზიის საიდუმლოება“ (1906 წ., 600 გვ.).

პარიზის 1901 წლის მსოფლიო გამოფენაზე ბ. ვიკარი ხალხური ლექსებისა და სიმღერების ჩანაწერებისათვის დააჯილდოვეს ოქროს მედალითა და სიგელით. მას საერთოდ 7.000-ზე მეტი ხალხური ლექსი ჩაუწერია სტენოგრაფიულად. მის მიერ ფინური ენიდან უნგრულ ენაზე გადაღებული „კალევალა“, რაზეც 22 წელი უმუშავია, ვირტუოზულ თარგმანად ითვლება. უთარგმნია აგრეთვე ლაფონტენის, იბსენის, შილერის, გოეთეს და სხვათა ლექსები და პოემებიც.



ქართული ენიდან უნგრულზე ბ. ვიკარს უთარგმნია ილია ჭავჭავაძის („აკაო ყაჩაღი“), აკაკი წერეთლის („ღამურა“), ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის („მერანი“) და რაფიელ ერასთავის ლექსები.

აკად. ბელა ვიკარი მეგობრობდა ცნობილ ენათმეცნიერს, ქართული ენის მცოდნეს, გრაციის უნივერსიტეტის პროფესორ ჰუგო შუხარას და თარგმანზე მუშაობისას მასაც იშველიებდა.

მეცნიერისა და მთარგმნელის თანამემამულე პალმა ბელკენი იტყობინება: „ორმოცდაათი წლის ბელა ვიკარმა შეისწავლა ქართული ენა მხოლოდ იმისათვის, რომ თავის თანამემამულენი გაცნობოდნენ მეთორმეტე საუკუნის ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავ ქმნი-

ლებას — „ვეფხისტყაოსანს“. იგი რვა წლის განმავლობაში სწავლობდა ამ ენას და მისმა დაძაბულმა შემოქმედებითმა შრომამ სასურველი შედეგიც გამოიღო. ბ. ვიკარმა დაასრულა პოემის უნგრულ ენაზე თარგმნა (1).

გ. ჩიმაკაძე აღნიშნავს, რომ ბ. ვიკარმა მომითხრო: 1899 წელს ვეწვიე მხატვარ მიხაი ზიჩის ახლანდელი ლენინგრადის მახლობლად. მან დამთვალე რებინა შოთა რუსთაველის პოემის 1888 წლის დასურათებული გამოცემა და აღნიშნა: „ჩემი ილუსტრაციებიდან მე ამას ყველაზე კარგად ვთვლი. მე თქვენ გთხოვთ, გადათარგმნოთ ეს წიგნი უნგრულ ენაზეო“.

ბ. ვიკარი ქართულ ზნე-ჩვეულებებს გასცნობია, შეუსწავლა ახალი ქართული ენაც, მაგრამ „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნას რომ შედგომია, ტექსტი ვერ გაუგია. ძველი ქართულის შესწავლას დრო აღარ ჰქონია... მას საქართველოდან მოუწვევია ესპერანტისტი გიორგი წიკლაური, რომელიც ქართული ლიტერატურის მცოდნეც ყოფილა. (მას ნახევარი წლის განმავლობაში ყოველდღე ოთხ-ოთხი საათი უთარგმნია ესპერანტოს, ფრანგულსა და ინგლისურ ენებზე ქართული ლექსები (2).

ჩვენ (მე და წიკლაურმა), — უთქვამს ბ. ვიკარს, — ჯერ სახარება, შემდეგ ზღაპრები და ბოლოს რუსთაველის კითხვა დავიწყეთ ქართულად. რომ ვიგრძენი, „ვიცი ენა, შემდეგ შევუდექი ვეფხისტყაოსანის თარგმნასო. დასაწყისშივე დავრწმუნდი, რომ მ. ზიჩი მართალი იყო, ეს დიდი ნაწარმოებია ღირსი თარგმნისა“, რუსთაველი მსოფლიო გენიოსია, რომელსაც ბადალი არა ჰყავსო. მის ეპოქაში მხოლოდ აღმოსავლეთს შეეძლო წარმოეშვა ასეთი მაღალი კულტურის და ხელოვნების ადამიანიო.

„ვეფხისტყაოსანის“ თარგმანს ბ. ვიკარი თავის მეგობრებსა და მეცნიერულ წრეებსაც აცნობდა. 1912 წლის 5 ივნისის გაზეთი „მადიარ ჰირლაპი“ აქვეყნებს ცნობას: „აკადემიის სხდომაზე მისმა წევრ-კორესპონდენტმა ბელა ვიკარმა დამსწრეთ გააცნო აქამდე სრულიად უცნობი გეორგიელი (ქართველი) პოეტის შოთა რუსთაველის ნაწარმოები, ეპიკური რომანი“ — „ვეფხისტყაოსანი“. აქვე მოთხრობილია რუსთაველის ბიოგრაფია, ლაპარაკია „ვეფხისტყაოსანის“ შინაარსსა, ღირსებებზე და სხვა.

უნდა შევნიშნოთ: ერთ-ერთი ცნობით, ბ. ვიკარის დამხმარედ წიკლაურის მაგიერ, ჯერ შვეიცარიაში და შემდეგ აესტრია-უნგრეთში

ემიგრანტად მყოფი (1909) ესპერანტისტი კერესელიძეა დასახელებული; ისიცაა აღნიშნული, თითქოს, ბ. ვიკარმა თქვა: მე და კერესელიძე „თარგმანზე ვმუშაობდით ორ წელიწადნახევარს. თვეში გასამრჯელოს 200 კრონს ვაძლევდი“, 1912 წელს იგი მოხალისედ წავიდა ბულგარეთის ომში, 12 ფურცელი დამრჩა უთარგმნელიო... („ლიტ. მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ.665). იქვე ამ საქმის მონაწილედ გრიგოლ ილარიონის ძე წერეთელიც ასახელებს თავის თავს; სხვაგან ასეთად დავით სამსონის ძე თოლორაიაცაა გამოცხადებული („ლიტ. გაზეთი“, 1962 №20).

უნგრეთის აკადემიის აკადემიკოსს ბელა ვიკარს უთარგმნია „ვეფხისტყაოსანი“ 16 მარცვლიანი ლექსით, იგი მ. ზიჩის ილუსტრაციებით 1917 წელს გამოქვეყნებულა (1000 ც.). მას „რევოლუციამდელ თარგმანთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს“.

ბ. ვიკარი ქართულ-უნგრული კულტურული ურთიერთობის ერთ-ერთი უანგარო წარმომადგენელთაგანია.

1. R u s z t a v e l i. T a r i e l a p á r d u c b őrös lovag Torditotta Vikár Béla Zichy Mihály huszonhat képével, ბუდაპეშტი, 1917. 2. გრ. ილ. წ ე რ ე თ ე ლ ი. „ვეფხისტყაოსანი“ უნგრულ ენაზე. — კრებ. „ლიტ. მემკვიდრეობა“, I, თბ., 1935, გვ. 661—664.

ვლადიმერ შიშმარიოვი

აკადემიკოსი ვლადიმერ ფეოდორის ძე შიშმარიოვი (1857—1957) იყო რომანული ხალხების ენების, ლიტერატურისა და ისტორიის დიდი სპეციალისტი. იგი საბჭოთა რომანიისტიკის (ლიტერატურათმცოდნეობა, ლინგვისტიკა) ფუნდამენტალური აღიარებულია.

ვ. ფ. შიშმარიოვი დაიბადა პეტერბურგში, იქვე დაასრულა უნივერსიტეტთან არსებული გიმნაზია და უნივერსიტეტისავე ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის რომანულ-გერმანული განყოფილება (1897). საიმედო მომავლის მქონე ახალგაზრდა თავის კათედრასთან დატოვა აკად. ა. ნ. ვესელოვსკიმ (1838—1906); იგი ჯერ თვით უძღვებოდა მას, შემდეგ კი საფრანგეთსა და ესპანეთში მიავლინა ორი წლითა აქ ვ. შიშმარიოვს გ. პარისი და ა. თომასი აღრმავებინებდნენ ცოდნას.

ახალგაზრდა ვ. შიშმარიოვის ერთ-ერთმა რომანიისტიკულმა ნაშრომმა დაიმსახურა დადებითი რეცენზიები ისეთი დიდი სპეციალისტებისა, როგორნიც იყვნენ: ლ. ჟანრუა, ლ. იორდანი, ე. ლანგლუა და ე. პოფნერი.

ფართო იყო ვ. შიშმარიოვის მეცნიერული ინტერესები. მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივში დაცული მასალების (არსებობს იმათი აღწერა, იხ. 3) შესწავლის ობიექტებია: ევროპის შუა საუკუნეების, კერძოდ რომანული და გერმანული, ძველი სლავური, ესპანური (1547—1616), სკანდინავური და სხვა ხალხების ლიტერატურა და ისტორია; რომანულ-ლათინური, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ზალკანურ-რომანული ენები და მათი დიალექტები; რუსული ენისა და ლიტერატურის რომანულ ენებსა და ლიტერატურა-

ტ უ რ ე ბ თ ა ნ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს, ზოგადი ისტორიისა და ფილოლოგიის, მუსიკის და სხვა საკითხები.

ვ. ფ. შიშმარიოვის ნაშრომმა «Книга для чтения по истории французского языка (IX—XV вв.)» (1955, სამ წიგნად) ლ ე ნ ი ნ ის სახელობის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა (1957).

როგორც ფრანგული ლიტერატურის მკვლევარმა, ვ. ფ. შიშმარიოვმა ადრე მიიპყრო ყურადღება; ნაშრომისათვის გიომ დე მაშოს შესახებ საფრანგეთის აკადემიამ მას სენტურის პრემია მიანიჭა ჯერ კიდევ 1909 წელს. მისი სამაგისტრო დისერტაცია — „გვიანი შუა საუკუნეების ქლორიკა და ლირიკოსები“ (1911) — მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომია. მისივე «Очерки по истории языков испании» (1941) აგრეთვე კარგად მიიღეს სპეციალისტებმა. დიდმნიშვნელოვანია მისივე კრებული «Избранные статьи. Французская литература» (1969) და წიგნი «Рукописное наследие В. Ф. Шишмарева в Архиве Академии наук СССР» (3).

ეს მეცნიერი ეხება აგრეთვე რუსთველოლოგიის საკითხებსაც (იხ. ქვემოთ).

მრავალმხრივია ვლ. შიშმარიოვის პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა; როგორც დიდი მეცნიერი და სამეცნიერო მუშაობის კარგი ორგანიზატორი, 1944—1947 წლებში იგი იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრი, რიგი კათედრების გამგე და სხვა.

ვლ. შიშმარიოვი, როგორც პროფესორი პეტერბურგ-ლენინგრადის უნივერსიტეტისა და ზოგიერთი სხვა უმაღლესი სასწავლებლისა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის იაფეტური, შემდეგ — იაფეტოლოგიური და ბოლოს ენისა და აზროვნების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი (1925—1950 წლები), სტუდენტთა თაობებისა და ასპირანტების აღმზრდელია. მის ხელში გაიარა უამრავმა დისერტაციამ, აღზარდა შესანიშნავი მეცნიერები და დარჩა ღირსეული მოწაფეები.

თითქმის 10 წლის განმავლობაში ერთ ქერქვეშ მუშაობა და მის გარეთაც სიახლოვე (შემდეგ მიმოწერა) გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ვლადიმერ შიშმარიოვი საერთოდ სიმპათიური, სათნო და მისაბაძი პიროვნება იყო.

მიუხედავად სისტემატური კვლევითი და სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობისა, მან 84 ქველი იცოცხლა; ბოლოს მხედველობამ უღალატა, თორემ კიდევ საღად აზროვნებდა და მეხსიერებაც შერჩა.

ჩვენთვის განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს ფართო განათლებისა და დიდი დიპლომის მეცნიერი რუსთაველოლოგიის საკითხებითაც იყო დაინტერესებული.

ვ. შიშმარიოვი ამბობდა: აქ მე დიდმა მარმა მცხო მირონი; მე მისი მადლიერა ვარ, რომ მან გამაცნო უბადლო რუსთაველს, ძველ ქართულ მდიდარ ლიტერატურას და უდრეკი ქართველი ხალხის ბრწყინვალე ისტორიას. ვ. შიშმარიოვი მოყრძალებული კაცი იყო, — ის რუსთაველოლოგად არ თვლიდა თავის თავს და წერდა: «Мои экскурсии в эту сферу (о Руставели) — работы любителя и почитателя замечательного поэта» (წერილი ჩვენამდი 1955, V. 5-ისა). მანვე ბეჭდურადაც აღნიშნა: «თუ მე — არა რუსთაველოლოგი და არც ქართულ ლატერატურას ისტორიკოსი — ვეხმარები» ამ (1937 წლას რუსთაველს, ი.მ.) იუბილეს, ამისი გამართლება „შეიძლება ჩემი ერთგვარი თანაზიარობით ნ. მარას რუსთაველოლოგიურ შტუდიებში“ (1910 წ. გამოცემა).

მაშინ ჩვენ არაერთხელ გვისაუბრა ამ თემაზე და რუსთაველას სტროფთა თარგმანში მონაწილეობითაც, „მე პოეტისადმი ისტორიული ინტერესის გარდა, მისა შემოქმედებისადმი სიმპათიაც აღმეძრა“ (2, გვ. 229).

მიუხედავად ასეთი მოყრძალებული სიტყვებისა, ვ. შიშმარიოვმა ჯერ კიდევ 1910 წელს დაწერა ვრცელი რეცენზია ნ. მარას ნაშრომზე „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისა და ეპილოგის შესახებ და „Journal asiatique“-ში (1911 წ. მაისი - ივნისი) გამოაქვეყნა ფრანგულ ენაზე. რუსთაველას იუბილესზე (1937) თბილისში იგი გამოვიდა საგულახში სიტყვით, რომელიც სათაურით — „რამდენიმე პარალელი და ანალოგია“ გამოქვეყნდა ქართულად, რუსულად და ფრანგულად (2). აქ ავტორი ახსიათებს „ვეფხისტყაოსანს“, როგორც მსოფლიო ლატერატურას მარგალატს, ესება ამ პოემის მხატვრულ კონსტრუქციასა და იდეოლოგიას.

იგი დაინტერესებული იყო აგრეთვე ქართული ხალხური გადმოცემებით რუსთაველის შესახებ (2).

ვ. შიშმარიოვმა არა მხოლოდ რეცენზია დაწერა ნ. მარის 1910 წელს გამოცემულ უკვდავ რუსთაველოლოგიურ ნაშრომზე, არამედ მანვე რედაქცია გაუკეთა „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი და დასასრულის ტროფების ნ. მარის თარგმანს. ამის გამო ნ. მარი წერს: რათა ჩემი თარგმანი „ვეფხისტყაოსნის“ დედნის ენობრივი გავლენისაგან ყოფილიყო თავისუფალი, მე გადავწყვიტე მისი სტილისტიკური რედაქცია მიმენდო პირისათვის, რომელსაც ქართული ენა არ ეცოდინებოდა. ეს შრომა თავაზიანად იკისრა ვ. ფ. შიშმარიოვმა, და თუ თარგმანში მაინც იგრძნობა ქართულიზმები, — განაგრძობს ნ. მარი, — ეს ჩემი ბრალაა, რადგან ვ. შიშმარიოვის მიერ რედაქტირებულ ტექსტში «я сделал кой-какия поправки, чтобы и формально не слишком отделять его от грузинского текста» (გვ. VII).

თვით ვ. შიშმარიოვის რეცენზიამ (ფაქტობრივად გამოკვლევამ) დადებითი როლი ითამაშა შ. რუსთაველისა და ნ. მარის ხსენებული გამოკვლევის ევროპულ მეცნიერთათვის გაცნობისა და „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეში.

მეორეს მხრივ, ვ. შიშმარიოვმა გამოაქვეყნა გამოკვლევა «К истории любовных теорий романского средневековья» (ЖМНП, 1909, ნოემბერი, გვ. 120—167 და დეკემბერი, გვ. 314—353).

ეს ნაშრომი ნ. მარს გამოადგა თავის რუსთაველოლოგიური გამოკვლევის ფართო ფონისათვის (იხ. ნ. მარი. 1910 წ. ციტ. ნაშრომი., გვ. VIII).

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის «Известия»-ში (1917) გამოქვეყნებულ მეორე რუსთაველოლოგიურ ნარკვევში ნ. მარი ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს ვ. შიშმარიოვის რეცენზიას. «В рецензии на мою работу Вступительныя и заключительныя строфы проф. Шишмарев наметил даже направление, в котором должно было произойти это восполнение... Хотя и навеянное, бить может, новой постановкой у меня вопроса, суждение В. Ф. Шишмарева, шедшее бесспорно от иной отправной точки, представляет своего рода программу и заслуживает занесения в пункт руставелиста...» (გვ. 417).

თვითონ ვ. შიშმარიოვი მისი ამ რეცენზიის შესახებ 1937 წელს შენიშნავს: „შოთას 750 წლის დღესასწაულმა განმიახლა მე ძველი სიმპათია

პოეტისადმი და ინტერესი მასთან დაკავშირებულ პრობლემებისადმი, მაგრამ წამოაყენა ახალი პრობლემებიც, გამოწვეულნი ანალიზის ობიექტისადმი ძველი, კომპარატივისტული მიდგომის კრიზისით“ (2, გვ. 229). ნაშრომის შევსებული რედაქცია გამოქვეყნდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის «Известия»-ში (1938, № 3, გვ. 29—47).

მიუხედავად ზოგიერთი იმ შეცდომისა, რომელიც შეპარულია ნაშრომში ნ. მარის ძველი კონცეფციის გავლენით (მაგ., სპარსული ლიტერატურის ქართულზე გავლენის თაობაზე), იგი, საკითხების ფართო მასშტაბით განხილვითა და დაძებნილი საყურადღებო პარალელებით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან რუსთაველოლოგიურ ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ.

*

შთლიანად ვ. შიშმარიოვის დამსახურების თაობაზე რუსთაველოლოგიაში ჩვენ ვიზიარებთ ნ. მარის ზემოაღნიშნულსა და პროფ. კ. დონდუას მიერ ნაანდერძევ შეფასებებს. მეცნიერის დაბადების 65 წლისა და სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობის იუბილეზე 1940 წელს კ. დონდუა იუბილარ ვ. შიშმარიოვს მიმართავს: «Необходимо подчеркнуть, что Ваша заслуга перед руставеловедением огромна. Вы первый поставили правильный вопрос об изучении Руставели в масштабе сравнительном, под углом зрения так называемой всеобщей литературы. В этом отношении руставелисты должны быть Вам благодарны... Вы подняли вопрос чрезвычайно важный — вопрос об изучении Руставели не с точки зрения изучения заимствования, а с точки зрения изучения его на грузинской национальной почве, с учетом в первую очередь данных грузинского фольклора, грузинской жизни, литературы и т. д.» (3, გვ. 219).

ვ. ფ. შიშმარიოვი კარგად იცნობდა ფრანგებისა და ესპანელების ხასიათს (ბუნებას) და ზნე-ჩვეულებებს; ის 1937 წელს თბილისში ამბობდა: „მე მოკლებს მცირერიცხოვანი ქართველი ხალხის სისხლისმღვრელი ბრძოლებით შენარჩუნებული არსებობა და შემოქმედებითი პოტენცია; მე ეს ხალხი მაგონებს ფრანგების რევოლუციურ სულს, მუდამ მღელვარე ესპანელებსა და განსაკუთრებით ბასკებს“....

აკად. ვ. ფ. შიშმარიოვი აღფრთოვანებული იყო საქართველოს ისტორიით, მას მოსწონდა ჩვენი ხალხი და ქართველი მეცნიერებიც აფასებენ მის ღვაწლს, მეცნიერებაში მის მოქალაქეობრივ სისპეტაკეს.

1. Материалы к биографии ученых СССР.— Владимир Федорович Шишмарев.
2. ვ. შ ი შ მ ა რ ი ვ ი. შოთა რუსთაველი (რანდენიშე პარალელი და ანალოგია). — ენიშკის მოამბე, III, თბ., 1938, გვ. 229—250; იგივე—ფრანგულ ენაზე, იქვე, გვ. 251—274; იგივე — რუსულ ენაზე იხ. კრებული «Деятели русской культуры о Шота Руставели», თბ., 1966, გვ. 150—184. 3. «Рукописное наследие В. Ф. Шишмарева в Архиве Академии наук СССР», მოსკოვი-ლენინგრადი, 1965. 4. ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე. აკადემიკოსი ვ. შიშმარიოვი (ნეკროლოგი). — «ლიტვაზეთი», 1957 29 ნომბერი, № 48, გვ. 4.

ივანე მემჩანინოვი

თუ იმ აფორიზმით ვიხელმძღვანელებთ, რომელსაც ილია ჭავჭავაძეს მიაწერენ, რომ ზოგჯერ ხმები კი არ უნდა დაითვალოს, არამედ უნდა აიწონოსო, მაშინ ცნობილი მეცნიერის მცირე ნათქვამს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე პატარის ბევრ ნათქვამს, და უნდა მოვიგონოთ: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის ხელმძღვანელად 1937 წელს რუსთაველის იუბილეზე თბილისში აკადემიკოსი ივანე ივანეს ძე მემჩანინოვი (1883—1967) დაინიშნა. დელეგაცია იმ მემჩანინოვის, ვ. სტრუვეს, ვლ. შიშმაროვისა და ი. მეგრელიძის შემადგენლობით იუბილეზე საქმიან პრეზიდენტში იქნა შეყვანილი.

აქ წარმოთქმულ სიტყვაში დიდმა კავკასიოლოგმა აკად. ივანე მემჩანინოვმა მალაქვალიფიციურად დაახასიათა რუსთაველის ეპოქის საქართველო და ჩვენს პოეტს ამ მადლიან აკვანში აღზრდილი უწოდა: „ვეფხისტყაოსანი“, — თქვა ი. მემჩანინოვმა, — „გენიალურია არა მარტო თავისი ეპოქისათვის, იგი ეკუთვნის იმ თითო-ოროლა მსოფლიო ნაწარმოებთა რიცხვს, რომელნიც თავის უდიდეს მნიშვნელობას ინარჩუნებენ ყველა ხანაში და ყველა ხალხისათვის“ (გაზ. „კომუნისტი“, 1937 № 300, გვ. 3).

გაზ. «Заря Востока»-შიც (31. XII. 1937) ი. მემჩანინოვი წერდა, რომ რუსთაველის ახლანდელი ზეიმი თბილისში „არის მსოფლიო მნიშვნელობის დიდი ისტორიული ზეიმი“, „ვეფხისტყაოსანი“ «принадлежит к числу тех немногих мировых произведений, которые сохраняют свою выдающуюся ценность во все времена и для всех народов». (2,189).

რუსთაველის გენიალობის უდავო ნიშანი ისიცააო, — სხვა წერილში შენიშნავს მემჩანინოვი, — რომ გასულმა შვიდნახევარმა საუკუნემ

«ничуть не ослабили всей силы и всего значения его гениального творчества» (1, გვ. 7).

ავტორი საფუძვლიანად ლაპარაკობს რუსთაველის ხალხურობაზე, ქართულ სათანადო ფოლკლორზე, „ვეფხისტყაოსნის“ აღმზრდელიობის მნიშვნელობასა და ავტორის საერთო გენიალობაზე; აღნიშნავს, რომ პოემის გმირები «Автандил и Тариэль стали в народной поэзии символами бескорыстного братства и товарищеской чести» (1, გვ. 10).

ი. მეშხანიშვილი, როგორც მატერიალური კულტურის დიდი ისტორიკოსი, იმასაც აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ «нашло свое выражение то культурное состояние века, которое выявилось и в памятниках материальной культуры» (გვ. 12), ამბობს, რომ, რა თქმა უნდაო, დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტის ფილოლოგიურ ანალიზს, მაგრამ ამას ისტორიული მიდგომა და ამ მხრივაც კვლევა სჭირდება, საქმეს არა მარტო ტექსტის სწორი წაკითხვა შეეხება, «но и в правильности понимания его, как отражателя пережитой эпохи» (1, 15), ჩვენ—ფილოლოგები—აქ ისტორიკოსებიც უნდა ვიყოთ.

ი. მეშხანიშვილის მიერ თბილისში 1937 წელს წარმოთქმული ზემოდასახელებული სიტყვა რუსულ ენაზე განმეორებითაც დაიბეჭდა.

1. ი. მეშხანიშვილი. К юбилею Шота Руставели.—კრებული «Язык и мышление», IX, მოსკოვი-ლენინგრადი, 1940, გვ. 7—14. მისივე, Руставели бессмертен в веках.—კრებული—«Деятели русской культуры о Шота Руставели», თბ., 1966, გვ. 188—189. 3. ი. მეშხანიშვილზე ნეკროლოგები — ი. მეგრელიძე, გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1967 № 4, გვ. 4, მისივე — ქურჩ. „Филологические науки“, მოსკოვი, 1967 № 3, გვ. 143.

მუკოლ ბერიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვუკოლ მიხეილის ძე ბერიძე (1883—1963) იყო ლექსიკოგრაფი და ტერმინოლოგი, რუსთველოლოგი და ჩვენი კულტურის მოღვაწე. საშუალო განათლების მიღების დღიდან იგი ერთხანს მასწავლებლობდა. შემდეგ მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1912) და მოემზადა ქართულ ენაში, ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიაში, აგრეთვე სპარსულ და სომხურ ენებში. აქ ის იმენდა მარის, ბართოლდის, უუკოვსკის, ბოდუნენ დე კურტენეს, ტურაევის, მედნიკოვის, კრაჩკოვსკის, ჯავახიშვილის, აღონცისა და სხვების: ლექციებს. მთავარი მაინც ნიკო მარი იყო.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე გამოქვეყნდა მისი მნიშვნელოვანი წიგნი „სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, ნ. მარის რედაქციით («Материалы по яфетическому языкознанию, VI», ს.—პეტერბურგი, 1912). ეს იმის შედეგია, რომ ნ. მარმა ვ. ბერიძე 1911 წელს რაჭაში მიაგვლინა ადგილობრივი დიალექტის შესასწავლად. სტუდენტმა იქ საყურადღებო მასალა შეაგროვა, დაამუშავა და გამოიცა კიდევ.

უნივერსიტეტახალდამთავრებული ვ. ბერიძე ნ. მარმა ანისში წაიყვანა არქეოლოგიურ გათხრებზე სამუშაოდ (1912 წ. ზაფხული).

აღნიშნულიდან უკვე ცხადია, რომ ვუკ. ბერიძეს შეეძლო პეტერბურგშივე დარჩენილიყო მეცნიერული მუშაობის გასაღრმავებლად, მაგრამ მან სამშობლოს მოაშურა და ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მასწავლებლობდა (1912—1918). 1918 წლიდან ვ. ბერიძე თბილისში გადმოდის სამუშაოდ. 1922—1932 წლებში იგი კითხულობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კურსს ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში,

1932 წელს დამტკიცებულ იქნა პროფესორად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, სადაც კითხულობდა ჯერ ქართული ენის, ხოლო შემდეგ რუსთველოლოგიის კურსებს. 1935 წელს რუსთველოლოგიის კათედრა დაარსდა. ვ. ბერიძე განაგებდა ამ კათედრას 1937 წლამდე. მაშინ რუსთველოლოგიის კათედრა შეუერთდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. ჩვენი მეცნიერი კითხულობდა ლექციებს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც.

ვ. ბერიძე იყო სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოსა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის წევრი. საესეებით განსაკუთრებულ იამისი დამსახურება ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის საქმეში. 1926 წელს დაარსდა სახელმწიფო ტერმინოლოგიური კომიტეტი და მისი სამუშაო აპარატი — ცენტრალური სამეცნიერო ტერმინოლოგიური კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ვუკოლ ბერიძე.

1936 წლიდან ეს კომისია შევიდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების სახით. ვ. ბერიძე მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ედგა ამ საქმეს სათავეში. მისი ხელმძღვანელობით და რედაქტორობით გამოვიდა მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის რამდენიმე ათეული ტერმინოლოგია.

1948 წელს ვ. ბერიძე აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

მან გამოაქვეყნა 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი ქართული ენის, ლიტერატურისა და განსაკუთრებით რუსთველოლოგიის საკითხებზე (2). ვუკოლ ბერიძის რუსთველოლოგიური ნაშრომები და სიახლის შემცველი წერილები დაბეჭდილია ავტორის კრებულში (1).

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სხვასთან ერთად 1910 წელს გამოქვეყნებულ ერთ პატარა წერილს, რუსთველოლოგიაში დამოუკიდებლად მუშაობას ვუკ. ბერიძე საიმედოდ იწყებს. მას 1911 წელს ქუთაისში გადასცეს რაჟდენ ყარაამანის ძე დათეშიძის მიერ შექმნილი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. ახალგაზრდა ვუკ. ბერიძე დაწვრილებით აღწერს ამ ხელნაწერს, მას ათარილებს მე-17 ს. მეორე ნახევრით და წარმოადგენს სტროფებსა და ფორმებს, ან იძლევა განსხვავებულ ვარიანტებს, რომლებიც არაა ბოემის გამოკვებებში.

ვ. ბერიძე წერილის შესავალში ანბობს: რადგან სხვა ცნობები არა გვაქვს, ყველაფერი უნდა მოგვცეს თვით „ვეფხისტყაოსანის“ შინაარს-

მა, მისმა „ყოველმხრივმა შესწავლამ. გამორკვევა იმისა, თუ რა არის პოემაში ქართული ცხოვრების ანარეკლი და რა არის შიგ უცხოთაგან მონაბერი (ამ გზას ჯერჯერობით „ვეფხისტყაოსნის“ ორი მკვლევარი ადგას: პროფ. ნ. მარი და იუსტინე აბულაძე). უკანასკნელი გარემოებისათვის აუცილებლად საჭიროა ვიცნობდეთ იმ ხალხთ, რომლებთანაც იმდროინდელ საქართველოს ჰქონდა კულტურული კავშირი. „მაგრამ, — განაგრძობს ვუკ. ბერიძე, — სანამ მკვლევარი ამას შეუდგებოდეს, თავდაპირველად მიუცილებელია ტექსტის კრიტიკული გამოცემა... საუკუნეთა განმავლობაში მისი („ვეფხისტყაოსნის“, ი. მ.) ტექსტი მეტად დაზიანდა, შეიღახა... დიდი შრომა, მეცადინეობა და მასთან სათანადო ცოდნაა საჭირო, რომ ტექსტმა ძველებური, პირვანდელი სახე მიიღოს. ამისთანა შრომისათვის კი აუცილებელია მოინახოს რაც შეიძლება მეტი ხელნაწერი, რომ ყველა ვარიანტის მიხედვით ერთ კრიტიკულად გამოცემულ ტექსტს ველირსოთ“.

წერის ავტორი ასეთი მიმართებით ამთავრებს:

„დროა გამოვიღვიძოთ! ნუ ვკარგავთ ეროვნულ სიმღერებს. შევავროვოთ ქართული სიტყვიერების შესახები ყოველგვარი მასალა, გამოვსცეთ, რაც შეიძლება ვრცელი აღწერა ხელნაწერთა, შევადგინოთ სრული ბიბლიოგრაფია და სხვ. ამით დიდ დახმარებას გავუწევთ მომავალ მეცნიერთ — მკვლევართ ქართული მწერლობის ნაშთთა კრიტიკულად გამოკვლევასა და გამოცემაში“ (1, გვ. 1—2 და 6).

1911 წლის შემდეგ ვუკ. ბერიძეს მთელი 25 წლის განმავლობაში (1936 წლამდე) რ უ ს თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ი ს და რ გ შ ი აღარაფერი დაუწერია*, მაგრამ ნ. მარის რჩევით იგი 1936 წლიდან კვლავ რუსთველოლოგიას დაუბრუნდა. ეს ასე მოხდა: ვუკ. ბერიძე ნ. მარს ეწვია ლენინგრადში 1933 წელს, მან უამბო მარს იმ მზადების შესახებ, რომელიც რუსთაველის მომავალი იუბილესათვის მიმდინარეობდა და, სხვათა შორის, ისიც შენიშნა, რომ იერუსალიმის ქართული ჯვარის მონასტერში აპირებენ სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნას; თუ თქვენ შეგეკითხონ და საჭიროდ დაინახოთ, — სთხოვა ვუკოლმა მარს, — იქნებ მეც მომცეთ რეკომენდაციაო.

* ის ამ წლებში პედაგოგიური, აღმინისტრაციული და ტერმინოლოგიური სამუშაოებით იყო დატვირთული (იხ. ზემოთ).

ნ. მარმა უპასუხა ვ. ბერიძეს: კარგად, ძალიან კარგად, პოემის ხელნაწერების აღწერით დაიწყეთ, შემდეგ აღარაფერი გააკეთეთ ამ დარგში... თურმავლის პატრონი ტყეში დაეძებთ პანტასა? ახლანდელ სიტუაციაში არ გირჩევთ შორის წასვლას, მიატოვეთ ყველა სხვა საქმე, იმუშავეთ რუსთაველზე!

ვუკ. ბერიძემ მტკიცედ აღუთქვა ნ. მარს: უეჭველად ასე მოვიქცევით.

სხვათა შორის ნ. მარმა იქვე მოგვანახვინა მისი გამოუქვეყნებელი რუსთველოლოგიური მასალები (ახლა უკვე გამოქვეყნებულია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები“, თბ., 1965) და დ. კარიჭაშვილის მიერ 1903 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც აჭრელებული იყო ნ. მარის შენიშვნებით. მარმა ბერიძეს შესთავაზა: წაიღეთ ეს მასალა თბილისში, მოამზადეთ და იქნებ იქ მოახერხოთ გამოქვეყნება...

სტუმარმა მასპინძელს უპასუხა: თუ გამოცემის შესაძლებლობა გამოჩნდება, გიდეპეშებთო.

შემდეგ ის მასთან ხუთი დღე დადიოდა; მთელი დღეები ხსენებულ მასალაზე მუშაობდა და, რადგან ნ. მარი ავად იყო, მხოლოდ ზოგჯერ საუბრობდნენ, მაგრამ საუბრობდნენ უმთავრესად რუსთაველზე.

ვუკ. ბერიძემ მისგან დამოკიდებული პირველი დაპირება პირნათლად შეასრულა, ჩაუჯდა რუსთველოლოგიას. ამის შედეგია ის მნიშვნელოვანი რუსთველოლოგიური ძიებანი, რომელიც ზემოთ დავასახელეთ. ავტორმა მათი შეკრება და ერთად გამოცემა ჩვენ გვთხოვა, რაც შეეუხსრულებთ კიდევ.

ვუკ. ბერიძე ამ კრებულში აშუქებს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების, გამოცემების, ტექსტის შედგენილობის, შინაარსის, ენის, მხატვრული ლექსიკისა და საერთოდ ლექსიკის, პოეტიკის, მსოფლმხედველობისა და ხალხურობის, პოეტის ბიოგრაფიისა და მისი პოემის შესწავლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის, როგორც ქართველოლოგიის ცალკე დარგის, ჩამოყალიბება-განვითარების საკითხებს.

სხვა ავტორის ერთ-ერთი შენიშვნის გამო, რომ ასეთი და ასეთი ფორმა შოთას ენაში არაა კანონიერი, მაგრამ პოეტი ამას რითმისათვის იყენებსო, ვუკ. ბერიძე აკეთებს რიგ ანალიზებსა და ასკვნის: „ა ბ ს ო - ლ უ ტ უ რ ი ს ი ზ უ ს ტ ი თ გ ა მ ო ი რ კ ე ა, რ ო მ შ ო თ ა ს ო დ ნ ა ვ ა დ ა ც ა რ უ ჭ ი რ ს ლ ე ქ ს ი, კ ე რ ძ ო დ რ ი თ მ ა ა

უკანასკნელი სათვის ის არც აზრს დალატობს და არც ფორმას...“ (1, გვ. 13).

ვ. ბერიძე ამბობს: ფორმა უნდა განვიხილოთ კონტექსტში და ვხედვით, რომ, საცა დარღვევა ეგონათ, იქ არავითარი დარღვევა არაა. როგორც ლიტერატურული ნაწარმოების ეპიზოდის ამოგლეჯა და მისი შინაარსის სხვა გარემოში განხილვა არ შეიძლება, — შენიშნავს ავტორი, — ისე არც პოემის ენის ფორმის ამოგლეჯა და განყენებულად განხილვა შეიძლება, „ფორმა და შინაარსი იმგვარსავე ურთიერთობაშია, როგორშიც“ ყოფა და შეგნებაა, მათი განკვეთა და დაშორება შეუძლებელია“ (1, გვ. 15).

რუსთაველის ენის საკითხს ეხება აგრეთვე წერილი ო. კვიციანიძის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ გამო. ვ. ბერიძე აქ წარმოგვიდგება მთელი თავისი ენათმეცნიერული მომზადებითა და ენობრივი აღლოთი, აკეთებს რიგ ფრიად საგულისხმო ტექსტოლოგიურ შენიშვნებს, ასწორებს ტექსტის, მისი თვალსაზრისით, დამახინჯებულ ადგილებს (1, გვ. 36—39), მსჯელობს აფორიზმებზე, ლექსის მეტრსა და რიტმზე, მაჟამებზე და საქმიან შენიშვნებს აკეთებს.

საინტერესოა ავტორის პატარა წერილი „რითაა ძვირფასი რუსთაველი“ (1, გვ. 73—74). ავტორი პასუხობს, რომ იგი „მაღალი იდეალებით არის გამსჭვალული. მასში სიყვარულისა და მეგობრობის იდეა შემოსილია იმ მაღალი მორალის შარავეანდელით, რომელიც ადამიანის სიდიადეს გამოხატავს“. ძვირფასია მასში ასახული მეგობრობა არა მხოლოდ „ადამიანთა, არამედ ხალხთა შორისაც“, წარმოდგენილია პატრიოტიზმი, რომელიც „ამტკიცებს ყველა დროის ადამიანთა შეგნებაში სამშობლოს სიყვარულისა და თავდადების გრძნობას“, რუსთაველმა ქალები მოქმედ, — რაინდთა გმირობის გამომვლენელ ძალად და კაცებთან თანასწორ არსებად გამოიყვანა საშუალო საუკუნეთა შავბნელ ეპოქაში.

ვ. ბერიძე მოსაზრებას გამოთქვამს „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების შესახებ; ნაწარმოები შეიძლება ქაჭეთის ციხის აღებით — „ბოროტსა სძლია კეთილმან...“ — სიტყვებით დამთავრებულიყო, მაგრამ ამ ციხის აღების შემდეგ საჭიროა ზეიმი, ლხინი, გადაპატიჟება (1, გვ. 89) და სხვა, ესეც ინტერესით იკითხებაო.

პოემამი რომ ბევრი ტირილია, ამაში ზოგიერთები ზომიერების ვერ დაცვას ხედავენ და ამიტომ ვ. ბერიძემ სპეციალური წერილი გამოაქვეყნა „ტირილი და მისი აზრი ვეფხისტყაოსანში“ (1, გვ. 92—95).

ორი გამოკვლევა „შოთას პოეტიკისათვის“ და „რუსთაველის შაირისათვის“ მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

აქვე დაბეჭდილია ნარკვევი „სიკვდილისა და თვითმკვლელობის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, დახასიათებული არიან პოემის პერსონაჟები: როსტევეანი, ავთანდილი, ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ასმათი, შერამდინი და ნაჩვენებია, რომ ისანი ოპტიმისტები არიან (1, გვ. 166). ავტორი სვამს კითხვას: საიდან შთაუწერგა შოთამ თავის გამირებს ეს ოპტიმისტური აზრები, ამის ნიადაგს საქართველო იძლეოდა, თუ იგი ნასესხებია? თვითონვე პასუხობს: მაშინდელი საქართველო გამარჯვებათა სისტემას წარმოადგენს, პოეტს შინ ჰქონდა მაგალითი ოპტიმისტური განწყობის გამირები და ეხატაო.

ავტორი ვრცლად განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობას; მართალია, ცოტა ცალმხრივად დიალექტაზმს აქვეყნს მეტ ყურადღებას, მაგრამ ძირითადში მასაც სწორად აფასებს; აქ მრავალი მოტივია განხილული (დავალება, მოწყალების გაცემა, გლოვა და ბნელში ჯდომა, დევთა მოტივი, გაპარვა და დადევნება, გრძნეული, ქაჯი, ტირილი);

კრებულში მრავალი კერძო საკითხიცაა განხილული. მაგ., ვახტანგ მე-6 გამოცემის, ტექსტის, ენის, აზროვნების... რუსთველოლოგიის ისტორიის (დახასიათებულნი არიან: დ. ჩუბინაშვილი, ნ. მარი, ი. ჭავჭავაძე, ნაწილობრივ ნ. ნიკოლაძე) და სხვა.

ვუჯ. ბერიძის სურვილის თანახმად, ავტორას ყველა წერილი არ შესულა ხსენებულ კრებულში იმიტომ, რომ ასეთთა ძირითადი აზრი სხვა, უფრო ვრცელ გამოკვლევაშია წარმოდგენილი. ამდენად ეს კრებული მაინც სრულია. აქ მთლიანად წარმოგვიდგება ენათმეცნიერი და ლიტერატურის ისტორიკოსი ვუკოლ ბერიძე, როგორც რუსთველოლოგი. მისი დებულებები და მოაზრებები

კარგად გააზრებულ ფაქტებზეა დამყარებული და ამიტომ ავტორი
ზუსტი, ანგარიშგასაწევი რუსთველოლოგია.

1. ვუკოლ ბერიძე. წესთველოლოგიური ეტიუდები. კრებული შეადგინა
ი. მეგრელიძემ, რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი, თბ., 1961 (რეც. შ.
დღონტი — ეურნ. „მნათობი“, 1953 № 1, გვ. 133—190). 2. ვუკ. ბერიძე
ნიკო შარი. — ეურნ. „მნათობი“, 1964 № 1 და № 2; შ. ქიციგური. მეცნიერი
და მოღვაწე. — გაზ. „ლიტ. საქარველო“, 1964 № 2; ვ. წულუჯიძე. პედაგო-
გი მკვლევარი. — ეურნ. „მნათობი“, 1963 № 6. გვ. 179—181.

ალექსანდრე სვანიძე

აღმოსავლეთმცოდნე, რუსთველოლოგი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე (ალიოშა) სიმონის ძე სვანიძე (1886—1942) ახლანდელი ამბროლაურის რაიონის სოფელ ბაჯიდან იყო.

დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, 1903 წელს შევიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. მისი საქმიანობა მეფის ჟანდარმერიას არ გამოჰპარვია. ა. სვანიძე იძულებული შეიქნა გერმანიაში წასულიყო (1910). აქ ის გახდა იენის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი. იგი გერმანიიდან გზავნის წერილებს ძველი ქართველი ტომების მცირე აზიის ტომებსა და ხალხებთან ურთიერთობის შესახებ (5).

საფიქრებელია, რომ ა. სვანიძეს ქ. იენში ცხოვრება აუკრძალეს და იგი ქ. ჰალეში გადადის. ამის საფუძველს გვაძლევს 1915 წლის 29 ნოემბრის ვაზ. „სახალხო ფურკლის“ სურათებიან დამატებაში მოთავსებული ფოტოსურათი ჩოხოხანი ახალგაზრდისა, წარწერით: „ჰალეს უნივერსიტეტის სტუდენტი ალექსანდრე სვანიძე (დაკავებული)“*.

საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგ, სვანიძე მუშაობდა მებაღედ და ისმენდა ლექციებს. მას ცხოვრებას ურთულებდა ის გარემოებაც, რომ რუსეთის ქვეშევრდომი იყო. ინტერნირებულებს პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიაში აკრძალული ჰქონდათ ქალაქიდან ქალაქში გადასვლა და თავისუფალი ცხოვრება.

ნიკიერი და შრომისმოყვარე ა. სვანიძე ეუფლება გერმანულ ენას, სწავლობს ფრანგულს, ინგლისურს, მკვდარ ენებს — ხეთურს, ქალდეურს (ურარტულს) ანუ აღაროდულ ენებს; ფინანსებისა და ეკონომ-

* ამ წყაროზე მივეყრდნობო მაქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის წიგნარმა ზეზლიძეყარმა თამარ შაქავერიანმა.

მიკის საკითხებს; სპეციალობად ირჩევს ძველი აღმოსავლეთის ისტორიას.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ა. სვანიძე სამშობლოში ბრუნდება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მუშაობდა განათლების სახალხო კომისრად, ეხმარებოდა თბილისის უნივერსიტეტს, მუშაურობდა და არქივებს, ხელს უწყობდა ინტელიგენციის შემოქმედებითს მუშაობას.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა ფინანსურ დაბრკოლებებს წააწყდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად ა. სვანიძე დანიშნეს ფინანსთა სახალხო კომისრად. მან აქაც გააუმჯობესა მდგომარეობა და განაგრძო კულტურის მუშაებისადმი მზრუნველობა*.

დიდი ლენინის ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ქართველ ბოლშევიკებს შორის ა. სვანიძე იყო ერთ-ერთი დიდად განათლებული და ინიციატივიანი პიროვნება. იგი დანიშნეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად გერმანიაში. 1927 წლიდან ა. სვანიძე სამსახურებრივ მივლინებაშია დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის (ირანი, მონგოლეთი, ჩინეთი) ქვეყნებში. ოცდაათიან წლებიდან ა. სვანიძე მუშაობს საბჭოთა სახელმწიფო ბანკის მმართველის მოადგილედ (მას ოქროს ფონდის უფროსს უწოდებდნენ).

*

ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზეც ა. სვანიძე განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას თავის სპეციალობაში საბჭოთა ისტორიული მეცნიერებისა და რუსთველოლოგიის განვითარებისათვის; ორგანიზაციულად ხელს უწყობდა საბჭოთა და უცხოელ მეცნიერებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

* შემდეგაც, 30-იანი წლების დსაწერსში ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში შეიქმნა რთული ვითარება. ის მაშინაც აღ. სვანიძემ დარევა დაუმსახურებელი შევიწროებისაგან. უკანასკნელადც ყურადღებანი იყო იგი მს.დამი და საზღვარგარეთ გამოცემული ახალი ლიტერატურით ამჩაგებდა. ამრცობაც ევ. ჯავახიშვილი ბარათში ვარლამ დონდუასად მი აღწერს: „აღ. სვანიძისგან ძალიან დავალებული ვარ...“ (ეურნ. „მნათობი“, 1968, № 9, გვ. 136).

წინამდებარე სტრიქონების ავტორი მოწმობა იმისა, თუ აღ. სვანიძე როგორ დაეხმარა ე. ვ. გარეულს და კონსტ. კიკინაძეს „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების გამოქვეყნებაში, როგორ გულსხმეოდ ეპყრობოდა იგივე იუსტაბულაძეს, შ. ნუცუბიძეს, მიტ. ზანდუქელსა და სხვებს.

საეურნალო წერილებსა და რუსულად თარგმნილ „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობის გარდა, ა. სვანიძემ გამოაქვეყნა ნაშრომები: „შესავალი აღაროდელი ტომთა ისტორიისა“ (თბ. 1936) «Материалы по истории алародийских племен» (თბ., 1937) და „ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-გეოგრაფიული სარჩული“ (თბ., 1934). უკანასკნელი წიგნის ვრცელი რედაქცია გამოიცა თბილისში 1936 წელს რუსულ ენაზე.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ უშუალოდ ა. სვანიძის ან მისი აქტიური მონაწილეობით განხორციელებული სამი დიდი ღონისძიება, რომლებიც ფრად შედეგიანი გამოდგა:

1. 1936 წელს ლენინგრადიდან მოსკოვს სპეციალურად გამოძახებულ ამ სტრიქონების ავტორს ა. სვანიძემ უთხრა: მინდა დავაარსო მეცნიერული პერიოდული ორგანო ძველ ი აღმოსავლეთის საკითხებზე. ჟურნალს ყოველი ნომერი დაიბეჭდება საუკეთესო ქალაქდზე კარგი კლიშეებით, კულტურულად. მასში საბჭოთა მკვლევარების გარდა, უცხოელი მოწინავე მეცნიერებიც ითანამშრომლებნო. მოელაპარაკეთ თქვენს უფროს კოლეგებს (ლენინგრადელ აღმოსავლეთმცოდნეებს): აკად. მეშჩანინოვს, სტრუვეს, ორბელს, კრაჩკოვსკისა და სხვებს, სთხოვეთ მათ გახდნენ ჩვენი ორგანოს თანამშრომლები.

მან აქვე დასძინა: აკადემიკოსებს აქეთ ბეჭდვის საშუალება, და ამის გარდა, ისედაც, შეიძლება, რომელამე მათგანმა იუკადრისოს კიდევ ჩემთან—არაკადემიკოსთან თანამშრომლობა, ასეთებს ხვეწნა არ დაუწყოთო.

საქმე ჩინებულად წარიმართა, დაარსდა ორგანო «Вестник древней истории», ე. ი. ორგანო არა მხოლოდ ორიენტალისტიკის, არამედ, საერთოდ, ძველი კულტურული ქვეყნების შესწავლის პროფილით.

როცა პირველი წინასაორგანიზაციო თათბირი შედგა, ჟურნალის პროფილის გაფართოების ეს იდეაც ა. სვანიძემ გამოთქვა. ი. ორბელმა შენიშნა: ეს სწორია, რომსა და საბერძნეთს, საერთოდ, დასავლეთს გვერდს ვერ ავუვლით, ვერ გავმიჯნავთ ერთიმეორისაგან აღმოსავლურ და დასავლურ კულტურას, ვის შეუძლია თქვას, რომელი რომელ საზღვრებში თავსდებაო.

საერთო აზრი მაინც ის იყო, რომ ჟურნალში უპირატესობა ისეთ მასალებს მისცემოდა, რომლებიც საბჭოთა ხალხების, მათი წინაპრებისა და მათთან უშუალოდ დაკავშირებული ხალხების ისტორიისა და კულტურულ ურთიერთობათა საკითხებს გააშუქებდა.

აქვე შევნიშნავთ: როდესაც ვაიგეს, რომ ქურნალში უცხოელი ავტორებიც ითანამშრომლებდნენ, აკადემიურ წრეებშიც კი აღმოჩნდნენ ცალკეული პირები, რომლებიც ამის წინააღმდეგ წავიდნენ ან თქვეს: რა საჭიროა ახლა, ქაღალდის ნაკლებობის დროს, პერიოდული ორგანო ძველი ისტორიის საკითხებზე, ეს არააქტუალურიაო.

ა. სვანიძემ მაინც თავისი გაიტანა.

გახანგრძლივდა მხოლოდ ორგანოს პირველი წიგნის დაკომპლექტება და რედაქტირება, მაგრამ ჩაიშვა თუ არა წარმოებაში ეს რთულტექსტიანი წიგნი, საოცრად მალე გამოვიდა. ოქტომბრის რევოლუციის 1937 წლის დღესასწაულზე ნოემბერში წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა. შინაარსით და გამოცემის ტექნიკის მხრივაც საერთო მოწონება დაიმსახურა. იგი იხსნება რედაქტორის ა. ს. სვანიძის შესავლით— «Наши задачи», იქვეა მოთავსებული მისი გამოკვლევა: «Названия древневосточных богов в грузинских песнях», რეცენზია ი. მეშჩანინოვას, «Язык ванской клинописи», გამოკვლევები ი. მეშჩანინოვისა, ვ. სტრუვესი, ს. ყებელიოვისა, ა. მიშულინისა, ნ. ვ. პიგულევსკაიასი და საბჭოთა სხვა მეცნიერებისა, აგრეთვე გამოკვლევები და წერილები უცხოელებისა: გამოჩენილი ხეაოლოგის — პრადელი პროფ. ფრიდრიხ შროზნისა, დიდი ქალდოლოგის — ინსბრუკელი პროფ. გ. ფ. ლემან-ჰაუპტისა, პარიზელი პროფ. შ. ვიროლოსი და კოპენჰაგენელი სემიტოლოგის პროფ. დ. ნილსენისა. წიგნს დართული აქვს გამოკვლევების რეზუმეები ფრანგულად.

მაშინ უცხოელ მეცნიერებთან ასეთი თანამშრომლობა და უშუალო კონტაქტი არ იყო, მაგრამ დიდი განათლებისა და ფართო დიაპაზონის მქონე ა. სვანიძე წინააღმდეგი იყო კარჩაეტილოზისა. მას მეცნიერთა და ხალხთა თანამშრომლობა სასარგებლოდ მიაჩნდა და ამას პრაქტიკულადაც ახორციელებდა.

ხსენებული „Вестник“-ის ტირაჟის ძირითადი ნაწილი მოისპო და ამიტომ მისი ეგზემპლარები ახლა ბაბლოვრაფიული იშვიათობაა, მაგრამ კარგ თაოსნობას გზა ვახსნილი დაურჩა, — ეს ორგანო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ქურნალად იქცა (წელიწადში ოთხჯერ გამოდის) და 1937 წლიდან 1969-მდე მისი 106 წიგნია გამოცემული. მის ფურცლებზე საბჭოთა და სხვა ხალხების მრავალი უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-კულტურული საკითხა გაშუქებული და კულტურის ისტორიის უამრავი წყაროა გამოქვეყნებული. როგორც

დაინახეთ, ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მოთავე და პირველი ორგანიზატორი ალ. სვანიძე იყო: -

2. ა. სვანიძე პირადად იცნობდა ზემოხსენებულ საბჭოთა და უცხოელ მეცნიერებს, იყო მათდამი გულისხმიერი. 1936 წელსავე ა. სვანიძემ მოიწვია საბჭოთა კავშირში პროფესორი ლემან-ჰაუპტი, რომელმაც რამდენიმე თვე იმუშავა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და თბილისში წაიკითხა ლექციები — კურსი ქალდეოლოგიისა, და პროფ. პროზნი, რომელიც იმავე წლის 7 ნოემბრიდან 21 დეკემბრამდე საჯარო ლექციებით გამოვიდა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევიში, თბილისში, ბაქოსა და ერევანში.

3. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული სრული თარგმანი კ. ბალმონტისა (მისივე წინასიტყვაობით) 1933 წელს გამოქვეყნდა პარიზში. მანამდე, საერთოდ, არც ერთი ასეთი თარგმანი გამოცემული არ ყოფილა. ჩვენ ვიცით, რომ ა. სვანიძის მეშვეობით მოხდა საბჭოთა კავშირში ამ თარგმანის გამოცემა. აქვე უნდა გავიმეოროთ, რომ ა. სვანიძემ დიდად შეუწყო ხელი თბილისის უნივერსიტეტთან რუსთაველის ინსტიტუტის დაარსებას 1933 წელს.

ა. სვანიძე ერთი მათგანი იყო, რომელთა თაოსნობით 1937 წელს აღინიშნა რუსთაველის იუბილე, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი პოეტის სახელისა და „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომი პოპულარიზაციის საქმეში.

რუსთაველის საიუბილეო კომიტეტი შეიქმნა 1935 წელს, მაგრამ მან საქმიანობა 1936 წელს დაიწყო. კომიტეტის თავმჯდომარედ ა. სვანიძე დანიშნეს მოსკოვში. მან მოადგილედ ლენინგრადში აირჩია მასთან დაახლოებული აკადემიკოსი ი. ა. ორბელი, ხოლო მდივნად ამ სტრუქტურების ავტორი.

უკვე ითქვა, რომ ორჯერ, 1936 და 1937 წ. გამოიცა კ. ბალმონტის და მაშინ პირველად გამოქვეყნდა გ. ცაგარელის თარგმანები ა. სვანიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით (3 და 4). მათ მოჰყვა ნ. ზაბოლოცკის (1937), პ. პეტრენკოს (1938) და შ. ნუცუბიძის (1941) თარგმანები, რუსთველოლოგიური გამოკვლევები და წერილები.

კომიტეტს განზრახული ჰქონდა საიუბილეოდ გამოცემულიყო აკადემიური და პოპულარული ხასიათის რიგი ნაშრომები რუსთაველის პიროვნების, შემოქმედებისა და მისივე ეპოქის კულტურის საკითხებზე. ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის

საქართველოს ფილიალიდან პროფ. ს. ჯანაშია ესწრებოდა, თავმჯდომარემ ა. სვანიძემ დააყენა საკითხი, მთლიანად გამოქვეყნებულიყო ნიკო მარის მიერ გამოცემული და არქივში დაცული გამოუქვეყნებელი რუს-თველოლოგიური შრომები.

ა. სვანიძის მითითებით ს. ჯანაშიამ ლენინგრადის ჯგუფს გადასცა გამოსაცემად „ვეფხისტყაოსნის“ პ. პეტრენკოსეული რუსული თარგმანი,—მას ი. ორბელი უკეთესად გაუკეთებს რედაქციას და უფრო კარგად გამოსცემს, ვიდრე რუსული დიდი წიგნის თბილისში გამოცემა მოხერხდებაო, — თქვა ა. სვანიძემ.¹

მართლაც, „ვეფხისტყაოსნის“ ამ საუკეთესო გამოცემის სატიტულო ფურცელზე აღნიშნულია:

„სსრკ მეცნიერებათა აკადემია,
საქართველოს ფილიალი
მოსკოვი — 1938 — ლენინგრადი“.

მისი პასუხისმგებელი რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი ვახლდათ ი. ორბელი.

ა. სვანიძის ნაშრომები ძველი ისტორიიდან ეხებიან შორეული წარსულის პრობლემატურ საკითხებს, რომელთა გადასაწყვეტად ძალიან მცირე მასალა მოიპოვება. მაგ., ა. სვანიძე კავკასიურ ენებთან ქალღური ენის ნათესაობის ჰიპოთეზას იცავდა (როგორც ერთ დროს ნ. მარიც) და სათანადო ანგარიშს არ უწევდა პირველის უკვე აღიარებულ ინდოევროპულობას, აჭარბებდა წინა აზიის ხალხებთან ძველი ქართველი ტომების ნათესაობის საკითხშიც, რასაც ჰყავდა დამცველი და განმავითარებელი ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსისა და ენათმეცნიერის სახით. მაგრამ ა. სვანიძის მიერ ხსენებული საკითხების წამოჭრას და კვლევას დადებითი მხარეც გააჩნია. ა. სვანიძე სწავლობდა ალაროდინელი (ურარტული), ქართველი, სომეხი, ოსი და მცირე აზიის ხალხთა და ტომთა ეთნოგენეზისის საკითხებს, ადარებდა ერთმანეთს მცირე აზიისა და კავკასიის მიწა-წყალთა რიგ გეოგრაფიულ სახელებს, ეხებოდა აღმოსავლეთის ძველი ხალხებისა და ქართველი ტომების რელიგიათა საკითხებს, პირველთა ღვთაებებისა და ღმერთების სახელებს პარალელებს უძებნიდა ქართულ ხალხურ სიმღერათა მისამღერებში და ა. შ.

თავის რუსთველოლოგიურ შრომებში ა. სვანიძემ სწორად აღნიშნა:

„რუსთაველის დროის მსოფლმხედველობა მხოლოდ სამ მატერიკს ეყნობდა“ ხუთის მაგიერ (ამერიკა და ავსტრალია იმ დროს ჯერ არ იყო აღმოჩენილი), „რუსთაველის მიერ დასახელებული სახელმწიფოები და ქვეყნები — არაბეთი, ინდოეთი, ქაჯეთი, ხვარაზმი, ხატაეთი, ჩინი (ჩინეთი), მულაზანზარი, რომანია, გულანშარო, რეალური, „ისტორიულად და გეოგრაფიულად არსებული სახელმწიფოების სახელებია“ (1, გვ. 4).

სვანიძის აზრით, ზღაპრული ქაჯთა ქალაქი, ანუ ქაჯეთი, იგივე რეალური გიბრალტარია, ხოლო გულანშარო — ვენეცია (შდრ. 7, გვ. 107—112). ავტორი აღნიშნავს, რუსთაველის გეოგრაფიული ჰორიზონტი ბევრად უფრო ფართო იყო, ვიდრე ჰომიროსისო და დაასკვნის: „რუსთაველი თავის მხატვრობაში იჩენს 1) განსაკუთრებულ უნივერსალისმს და 2) კიდევ უფრო საკვირველ ინტერნაციონალისმს“. „ქვეყნების აღწერისა და გამოხატვის მხრივ რუსთაველი უნივერსალისტია“, იგი სრულიად სხვადასხვა ხალხებს ამოქმედებს და ტიპებს ინტერნაციონალური ერთნაირი სიყვარულით აგვიწერს“ (1, შდრ. 7).

ა. სვანიძის რუსთაველოლოგიური შრომები საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ ავტორი „ვეფხისტყაოსანს“ სწავლობს ქართული კულტურისა და ინდურ-ირანული, არაბულ-ბერძნულ-რომაული კულტურული ერთიერთობების ფონზე; პოემის მოქმედ პირებს ადარებს „ვისრამიანის“, „ამირანდარეჯანიანის“, „შაჰნამეს“, „ლეილმეჟნუნიაანის“, ჰომეროსის პოემების გმირებს და მათ შორის რიგ პარალელებს ავლებს.

ა. სვანიძე იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მე-13 საუკუნის დამდეგს ბიზანტია დასუსტებული იყო, რომ ტრაპიზონის იმპერია 1204—6 წლებში შეიქმნა, რომ 1206 წელსავე ინდოსტანი გამოეყო გურის სამეფოს, რომ სწორედ ამ დროს აღმოცენდა რომანია (საფრანგეთი), რომ რუსთაველი იხსენიებს კიდევ ამ უკანასკნელს („რომანულისა დედლისა“...) და ბიზანტიას კი არ ახსენებს, დაასკვნის: „ვეფხისტყაოსანი“ 1204—6 წლებზე ადრე და 1226—8 წლებზე გვიან (მონგოლების შემოსევა, რომლებსაც რუსთაველი არ ახსენებს) ვერ დაიწერებოდა. უფრო ზუსტად, ეს პოემა 1206—1219 წლებს შორისაა დაწერილი.

ჩვენ აქ ა. სვანიძის ნაშრომების სხვა საკითხებზე აღარ შეეჩერდებით, რუსთაველის საიუბილეოდ გამოსაცემი ნ. მარისა და ავტორთა კოლექტივის ნაშრომთა კრებულები, ცალკე პირთა და თვით ა. სვანიძის ნარკვევები რედაქტორ ა. სვანიძესთან დაგროვდა. იუბილე კარზე მოგვადგა, გამოსაცემი წიგნების დედნებს კი უკან ველარ ვლებულობდით. წუხდა თვითონ ა. სვანიძეც: ხელი შემეშალა, ვერ მოვასწარიო, მაგრამ გვაიმედებდა: რასაც მოვასწრებთ, სასწრაფოდ დაიბეჭდება, რასაც ვერა, ჩვენი მასალა ისეთი აკადემიური ხასიათისაა, რომ იუბილეს შემდეგაც გამოიცემათ; თანაც გვეუბნებოდა, ახლაც გამოაქვეყნეთ, თუკი რაიმე შესაფერისი გაქვთ მზად ლენინგრადშიო.

შემდეგ, ცნობილი ვითარების გამო (6, გვ. 168), ალ. სვანიძე ველარც ამ საქმეებში მონაწილეობდა.

რუსთაველის იუბილე ფართოდ და დიდი ზემოთ ჩატარდა თბილისში 1937 წლის 24—30 დეკემბერს. იგი მოსკოვსა და ლენინგრადშიც მაშინვე უნდა აღნიშნულიყო, მაგრამ გამოცემები არ იყო მზად.

დატრიალდა ი. ორბელი, რომელსაც, ჩვეულებრივ, ბეჭდვის საქმეში აჩქარება არ უყვარდა, მაგრამ რაც მაშინ რუსთაველის იუბილესათვის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ხაზით გაკეთდა, რაც მოსკოვსა და ლენინგრადში გამოიცა, უმთავრესად ი. ორბელის ენერგიული მუშაობის წყალობით გამოქვეყნდა და საზეიმო სხდომებიც ჩატარდა მოსკოვის სვეტებთან დარბაზში. ლენინგრადის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დიდ დარბაზში, სახელმწიფო ერმიტაჟის თეატრსა (6. 11. 1938) და რამდენიმე მსხვილ ფაბრიკა-ქარხნის კლუბშიც.

როგორც ითქვა, ყოველივე ამისი და საერთოდ მთელი იმ იუბილეს მოსამზადებელი წინასწარი სამუშაოები ალ. სვანიძის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. მანვე რუსთაველოლოგიას დასდო ამაგი მეცნიერული კვლევით, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიული სარჩულის ძიებითა და მისი გაშუქებით.

1. ა. ს ვ ა ნ ი ძ ე. ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-გეოგრაფიული სარჩული, თბ., 1934. А. Сванидзе]. Историко-географические основы «Варсови кожн», თბ., 1936. 2. მ ი ს ი ე ე, «Руставели и его поэма».—ქუბნ. «Новый мир», 1936 № 9, გვ. 252—272. 3. მ ი ს ი ე ე, „ვეფხისტყაოსნის“ კ. ბალმონტისეული რუსული თარგმანის 1936 და 1937 წლების გამოცემების (მოსკოვი. იბ.კ. ბალმონტი) წინასიტყვაობა. 4. ა გ რ თ ვ ე — „ვეფხისტყაოსნის“ გ. ცაგარისეული რუსული თარგმანის (მოს-

კოვი, 1937) წინასიტყვაობა (გვ. 3—7). 5. ეურნ. „განათლება“, 1912 № 12, 1913 № 2, 7, 9, 10 და შემდეგი წლების ნომრები. 6. ი. მ. გ. რ. ე. დ. ე. აღმოსავლეთმცოდნე და რუსთველოლოგი (ალ. სენიძის გარდაცვალების 20 წლისთავის გამო).— ეურნ. „მნათობი“, 1962 № 8, გვ. 163—168. 7. დ. ი. მ. ქ. უ. მ. ს. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1953. 8. ნაკო ბ. ე. დ. ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1965. 9. მ. ა. ხ. ა. თ. ა. დ. ე. რუსთველოლოგიის საკითხები, თბ., 1966.

იოსებ ორბელი

გარეგნობით წარმოსადეგი და მომხიბლავი, ნატიფი გემოვნებისა და მუსიკალური სმენის, დიდებული ორატორი, წარჩინებული ორგანიზატორი, იოსებ აბგარის ძე ო რ ბ ე ლ ი (1887—1961) ცნობილი არის უმთავრესად, როგორც დიდი მეცნიერი და ფართო მასშტაბის საზოგადო მოღვაწე.

იგი იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლენინგრაძის უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოთა რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოების წევრი, ლონდონის არქეოლოგიის საზოგადოების საპატიო წევრი, ირანის „მეცნიერების დამსახურების“ I ხარისხის ორდენოსანი და ირანისავე აკადემიის საპატიო წევრი, თეირანის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. მას უწოდებენ საბჭოთა წარჩინებულ ორიენტალისტს, კავკასიის, შუა აზიისა და ირანის ხალხების კულტურათა ღვაწლმოსილ ისტორიკოსს.

ი. ორბელი დაიბადა ქ. ქუთაისში და აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1904 წ. დაასრულა თბილისის მესამე გიმნაზია. ბაგრატის ტაძრის, გელათის, გეგუთის, რაჭა-ლეჩხუმის (აქ ის ბავშვობაშივე დაჰყავდათ პაპის ოჯახში) და მცხეთა-თბილისის არქიტექტურულ ძეგლებს აღუძრავს ყმაწვილ ი. ორბელში სურვილი, რომ იგი ხელოვნებათმცოდნე და არქეოლოგი გამხდარიყო.

გიმნაზიის დამთავრებისთანავე, ი. ორბელი ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის კლასიკურ განყოფილებაზე ანტიკურობის განხრით. აქვე, ფიზიკა-მათემატიკის სტუდენტ (შემდეგში ცნობილ ქართველ ენათმეცნიერ) ი. ყიფშიძესთან ერთად მიიზიდა ი. ორბელი აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-სპარსულ განყოფილებაზე მიმდინარე ნიკო მარის ლექციებმა.

ი. ორბელმა ორივე ეს დარგი წარჩინებით დაამთავრა 1911 წელს.

ი. ორბელს საქართველოსა და ქართველ ხალხთან მხოლოდ რუსთაველის სიყვარული და მარტო მასწავლებლის—ნიკო მარის პატივისცემა არ აკავშირებდა. ჩვენ მასთან მთელი 30 წლის განმავლობაში ვიყავით საქმეებით დაკავშირებული და ამ სიახლოვისა და მისი ყოველგვარი საქმიანობის კურსში ყოფნის გამო, თავს ნებას მივცემთ აღვნიშნოთ, რომ მას ისეთ გარემოებაში დაუცავს ჩვენი ეროვნული ინტერესები, სადაც წარმოშობითაც ქართველს ნაკლებ დაუჭერებდნენ.

მანვე „ერმიტაჟის“ კოლექციების რუსული ხელოვნების ზედმეტი ცალებიდან გაამდიდრა ჩვენი ხელოვნების მუზეუმი, ბევრ ქართველს შეუწყო ხელი დაწინაურებულყოფიერებაში და სხვა.

ჩვენ გვახსოვს, თუ ი. ორბელი, მისი ძმები — მსოფლიო სახელის ფიზიოლოგი ლეონ ორბელი (1882—1958) და წყალქვეშა არქეოლოგი რუბენ ორბელი (1880—1943) როგორი სიყვარულით იგონებდნენ ქუთაისსა და თბილისში გატარებულ ბავშვობისა და ყმაწვილობის წლებს, თბილისს, სადაც მათი დედა ბარბალე (1957—1937) ფრანგულ ენას ასწავლიდა და აქვეა დაკრძალული, თვითონ ი. ორბელი გარდაცვალების წინ როგორ ნატრობდა, ნეტავ კიდევ ერთხელ არქივის (ქუთაისში ბაგრატი) გორაზე გამატარაო.

*

მეორეს მხრივ, ი. ორბელი მუდამ დიდი სიამოვნებით იგონებდა უნივერსიტეტში ნ. მარის, ს. უბელოვის, ს. ოლდენბურგის, ი. სმირნოვისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ წაკითხულ ლექციებს, მივლინებებს სომხეთში, ყარაბაღსა (1909) და თურქეთის სომხეთში, — ერზერუმის, ბაიაზეთის, ვანის, ახთამარის არქიტექტურულ ძეგლებსა და სომხურსა და ქურთულ ენებსა და ზეპირსიტყვიერებაზე ადგილობრივ მუშაობას, მის მიერვე წარმოებულ გათსრებს ვანის თოფრახკალაზე და ხაიკაბერდში (1911), ძვირფასი არქეოლოგიური კოლექციების პეტერბურგში ჩამოტანას, ამის გამო რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების წევრად ჯერ კიდევ 1912 წელს არჩევას, 1916 წელს ვანშივე ჩვენს ერამდე VIII ს. ურარტუს მეფის სარდურ მეორის მატრიანის—2 მეტრიან კლდის ფიქალზე შესრულებულ 265 სტრიქონიანი ლურსმული წარწერის აღმოჩენას. უკანასკნელმა არა მარტო ორბელს, არამედ მთელ რუსულ არქეოლოგიას გაუთქვა სახელი.

ი. ორბელი ჯერ კიდევ სტუდენტი ავლენს საოცარ ერუდიციასა და მეცნიერული კვლევების დიდ უნარს. იგი 1906—1910 წლებში დაჰყავს ნ. მარსანის არქეოლოგიურ გათხრებზე, იქვე ნიშნავს სიძველეთა მცველად და აქვეყნებინებს ორ წიგნს, — ანისის მუზეუმის კოლექციების კატალოგსა და იმავე ნაქალაქარის მეგზურს (1910). ამავე დროს მისი გამოკვლევები იბეჭდება რუსეთის უდიდეს სამეცნიერო ორგანოებში. თანამშრომლობს ბროკგაუზისა და ეფრონის ახალ ენციკლოპედიაში, მასში აქვეყნებს წერილებს: „სომხური ხელოვნება“, „ქართული ხელოვნება“, სხვაგან ბეჭდავს გამოკვლევებს ქალაქ დიოსკურიის (1911), სომხური ეპიგრაფიკული ძეგლებისა და სხვათა შესახებ, თარგმნის ძველ სომხურ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებს.

მის მიერ უკანასკნელად ცალკე გამოქვეყნებულ წიგნთაგან, როგორც სამაგალითო, უნდა დავასახელოთ „Басни средневековой Армении“ (1956) და „Армянский героический эпос“ (1958 წ., სომხურად და რუსულად). მან გამოაქვეყნა მრავალი მეცნიერული ნაშრომი და მეცნიერულ-პოპულარული წერილები.

ამასთანავე, ი. ორბელი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, — 1914 წელს სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, იგი კითხულობდა ლექციებს პეტერბურგის, შემდეგ იმავე — ლენინგრადის უნივერსიტეტსა და ზოგ სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც, განაგებდა კათედრებს, ხელმძღვანელობდა ასპირანტებს, უძღვებოდა რიგ სამეცნიერო ორგანიზაციებს, მათ განყოფილებებსა და მუზეუმებს. ი. ორბელმა გახსნა „ერმიტაჟის“ კარები მნახველთათვის; მის დირექტორობამდე ეს დახურული მუზეუმი იყო. აგრეთვე დიდია მისი ლეაწლი მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის (ახლანდელი აზიის ხალხთა) ინსტიტუტისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის (მისი პირველი პრეზიდენტი იყო) განვითარების ისტორიაში.

ი. ორბელი მონაწილეობდა ირანის ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო მეორე ყრილობის მუშაობაში (ლონდონი, 1930 წ.), ხელმძღვანელობდა ასეთსავე მესამე კონგრესს ლენინგრადში (1934), ორიენტალისტთა XXV კონგრესის მთავარი განყოფილების მუშაობას მოსკოვში (1960 წ. აგვისტო) და სხვა.

ეს დიდი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი შესანიშნავი იუბილეებისა მოსკოვსა და ლენინგრადში: — ფირდოუსის 1000 წლისთავისა (საბჭოთა კავშირის დელეგატი იყო იგი ამავე იუბილეზე თეირანსა და მეშხედშიც, 1934 წ.), პუშკინის გარდაცვალების ასი წლისთავისა (1937), რომელზეც იგი გამოვიდა ბრწყინვალე მოხსენებით „პუშკინი და საქართველო“, რუსთაველის 750 წლისთავისა (1937), დავით სასუნცის (1938), ნიზამის, ალიშერ ნავოისა (1941) და რიგი მხატვრებისა (1).

*

ი. ა. ო რ ბ ე ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ს ა ც ე ხ ე ბ ა. იგი თავის კვლევა-ძიებაში უშუალოდ პირველწყაროებს (ბერძნული, ლათინური, სპარსული, სომხური, ქართული, ქურთული...) ეყრდნობა. მას აინტერესებს ქართული ხელოვნება, ფილოლოგია, საქართველოს ისტორია. მან ჯერ კიდევ სტუდენტმა (1911) დაადგინა ისტორიული დიოხურაის ადვილმღებარეობა და მისივე ლოკალიზაციით აღინიშნება ეს ქალაქი გეოგრაფიულ რუკებზე; დაახუტა, თუ ვინ იყვნენ და სად ცხოვრობდნენ ძველი ისტორიკოსების მიერ არა ერთგზის მოხსენებულნი ჰენიოხები; მანვე ერთმა პირველთაგანმა შესწავლა ქართული ჰელდითი ხელოვნების ძეგლები. ამის შედეგად აღინიშნა: „Грузия может гордиться своими чеканными произведениями“... მეტიც; — როგორც ქართული ხელოვნების დიდი სპეციალისტი შ. ი. ამირანაშვილა წერს, — „Первый систематический обзор древнегрузинского искусства составлен академиком И. Орбели. Он представляет полную, критически переработанную справку всей литературы о грузинском искусстве, дает много ценных замечаний во взаимоотношении грузинского и армянского искусства, главным образом в области архитектуры“ (3, გვ. 294).

ი. ორბელის ნაშრომებში ქართველოლოგიას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს (3).

*

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ხაზით მოსკოვსა და ლენინგრადში რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის — ალ. ს. სვანიძის (იხ. ზემოთ) მოადგილე 1937 წლის ოქტომბრამდე და შემდეგ კი თავმ-

ჯდომარე იყო ი. ორბელი, მან მაშინ დიდი ამაგი დასდო რუსთაველის სახელს.

ვ. ა. მიხანკოვამ და ამ სტრიქონების ავტორმა ნ. მარის საარქივო ნაშრომის ერთ-ერთი თავი მოვამზადეთ გამოსაცემად. ის ი. ორბელმა დაასათაურა «Грузинский национальный гений» და გამოგვაქვეყნებინა გაზ. «Известия»-ში (17. III. 1937 № 66). გაზეთის ამავე ნომერში მან გამოაქვეყნა წერილი «Великое наследие (о творчестве грузинского поэта Шота Руставели)» შემდეგ ი. ორბელმა შეუწყო ხელი იმავე გაზეთში დ. დანდუროვის წიგნზე — „შოთა რუსთაველი“ (რუსულ ენაზე) — კ. ღონდუას გამანადგურებელი რეცენზიის გამოქვეყნებას (იხ. ქვემოთ, — „კ. ღონდუა“).

ი. ორბელი დიდად უფრთხილდებოდა რუსთაველის სახელს. ცნობილია ასეთი ამბავი: ერთმა ვილაც განდიდების სენით შეპყრობილმა მელექსემ რუსთაველის ფსევდონიმით დაიწყო ჰაინეს ლექსების რუსული თარგმანების ბეჭდვა.

ამის გამო ამ სტრიქონების ავტორი, პროფ. კიტა (კონსტანტინე) მეგრელიძე, ვ. ღონდუა, მიხ. ჩხაიძე და ალ. კობახიძე მივედით ი. ორბელთან, მისი ჩარევით პროტესტი მე გავგზავნე მოსკოვში; რუსთაველის მშანებელი და დუმდა...

რუსთაველის იუბილეს მოსამზადებელი სამუშაოები ლენინგრადში ძირითადად 1937 წელს ჩატარდა და 1938 წლის დასაწყისშივე გამოქვეყნდა ი. ორბელის მაღალი გემოვნებით დაბეჭდილი წიგნი: „ვეფხისტყაოსნის“ პ. პეტრენკოსეული რუსული თარგმანი (კ. ჭიჭინაძის მონაწილეობით) ი. ორბელის წინასიტყვაობითა და რედაქციით. გამოცემა ილუსტრირებულია ს. ქობულაძის სურათებითა და ვ. კ. კვერფელდტის მხატვრული გაფორმებით. ორივეს კონსულტაციებს უწევდა ი. ორბელი და რუსთაველის ეპოქის ქართული ხელოვნების ძეგლების მიხედვით ასრულებინებდა ილუსტრაციებს. თვით თარგმანის გაუმჯობესებაზეც აუარებელი დრო და ენერგია დახარჯა მეცნიერმა, განსაკუთრებით — სარითმო სიტყვების დახვეწაზე.

მაშინვე ი. ორბელის რედაქციითა და წინასიტყვაობებით გამოიცა კრებული «Памятники эпохи Руставели» (მასში წინასიტყვაობის გარდა, კიდევ 7 წერილი ეკუთვნის ი. ორბელს), წიგნი «Висрамнани, грузинский роман XII века и персидская поэма XI века Вис и Рамин. В изложениях и переводах Б. Т. Руденко и М. М. Дьяконова»,

მისივე რედაქციით გამოვიდა ჩვენი წიგნაკი «Народные предания о Шота Руставели», ი. ორბელის ხელმძღვანელობით ჩვენ მიერ მომზადდა გამო-საცემად „რუსთაველის აფორიზმები“. მანვე დაამზადებინა სახელკაწარ-ქმულ მ. მ. გერასიმოვის რუსთაველას „ქ ე ტ ო ნ ი (პროფალში, ბრანჯაო, 58 X 64 მმ)“, რომელიც ავტორას ერთ-ერთ უმესანიშნავეს ქმნი-ლებად ითვლება; ი. ორბელის ხელმძღვანელობითვე განხორციელდა სახელმწიფო ერმიტაჟში შოთა რუსთაველას ეპოქის კავკასიისა და აღმოსავლეთის მატერიალურა კულტურას ძველთა გამოფენა, ეს იყო ერთი უდიდეს გამოფენათაგანი ერმიტაჟში. იგი ნ თვეს არაე-ზობდა (სხვა გამოფენები აქ 2—3 თვის შემდეგ იხურება) და აუარებელ მნახველს იზიდავდა.

ი. ორბელმა 1937 — 1938 წლებში მრავალი მოხსენება გააკეთა რუსთაველზე მოსკოვსა და ლენინგრადში და სხვებსაც ბევრი წაა-კითხა.

1937 წლის 24—30 დეკემბერს რომ თბილისში რუსთაველას იუბილე ტარდებოდა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის თავმჯდომარე ი. ორბელი უნდა ყოფილიყო. ის ვერ წამოვიდა, მაგრამ მისი ხმა ზეიშის გახსნის დღესვე გაისმა, — „ვეფხისტყაოსნის“ პეტრენკოსა და ჭიჭინა-ძის რუსული თარგმანისა და ს. ქობულაძის სათანადო ილუსტრაციების შესახებ ი. ორბელის წერალი დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტმა“ (24.XII. 1937 № 294). ამას მოჰყვა მისივე წერალი — „შოთა რუსთაველა ნ. მა-რის შრომებში“ (იქვე, 27.XII. 1937 № 295) და ამავე დღეებში დაიბე-ჭდა ი. ორბელის წერილები ლენინგრადისა და მოსკოვის გაზეთებშიც.

ი. ორბელის იშვიათი ორგანიზატორობის საშუალებით, ეს იუბილე ფართოდ და შინაარსიანად ჩატარდა მოსკოვსა და ლენინგრადში მაშინ-დელ რთულ სიტუაციასა და ძნელ პირობებშიც კი.

ორგანიზაციულ საქმიანობის გარდა, ი. ო რ ბ ე ლ ი კ ვ ლ ე ვ ი თ მ უ შ ა ო ბ ა ს ა ც ე წ ე ო დ ა რ უ ს თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ა შ ი. შემ-თხვევით არ მომხდარა, რომ ორიენტალისტთა XXV კონგრესზე მოსკოვ-ში (1960 წ. აგვისტო), როდესაც ერთ-ერთმა უცხოელმა პროფესორმა გაიმეორა სხვისი ადრინდელი ჰიპოთეზა, თითქოს, რუსთაველი XIV საუკუნეში ცხოვრობდა, მას ყველა სხვაზე უფრო დამაჯერებელი პასუ-ხი ი. ორბელმა გასცა. მან დაასკვნა: „ვეფხისტყაოსანი“ ძველი საქარ-

თველოს უბრწყინვალეს ეპოქაში — თამარ მეფის დროსაა შექმნილი და რუსთაველს ვერაინ ამ ეპოქას ვერ დააშორებსა.

საყურადღებოა აგრეთვე ი. ორბელის მიერ იქვე წარმოთქმული სიტყვები: „ოცდაათი-ორმოცი წელია, რაც რუსთაველი ჩემი კოლეგებისა და პირადად ჩემი ფიქრის მუდმივი საგანია. ბევრი რამ კიდევ ვერ დაგვიდგენია და ვერ გადაგვიწყვეტია“; თქვენო,—მიმართა უცხოელ მეცნიერს, — იოლი გზა აგირჩევიათ, დიდ რუსთაველზე მსჯელობა აგრე ადვილი არააო.

უფრო ადრე ი. ორბელმა გაზ. «Известия»-ში გაბედულად განაცხადა: „რუსთაველის წინაშე ჯერ კიდევ ვალშია ქართული, რუსული, საბჭოთა და საერთოდ მსოფლიო მეცნიერება“. ამ დარგში ნ. მარს ჯერ კიდევ არ აღმოუჩნდა ღირსეული გამგრძელებელი რუსეთში; „რუსთაველის ენა პოეტური მეტყველების უმაღლესი საფეხურია“. იგი ისევე აფორისტულია, როგორც ქართული მეტყველება... (1937 № 66).

ი. ორბელმა დაახასიათა „ვეფხისტყაოსნის“, როგორც ეპოსის არსი და მევეთრად განახსება იგი „ვისრამიანისაგან“. მეცნიერი წერდა:

«Руставели в своей поэме поучал идеализованными, освобожденными от недостатков образами — тех, в ком он мог наблюдать наличие всех этих недостатков», — არისტოკრატიული წრისათვის დამახასიათებელ რომელ წრეშიც თვით ავტორი ტრიალებდა, ხოლო ავტორი „ვის-ო-რამინისა“ ფახრ-უდინ გურგანელი «давал картину жизни не такую, какою ее хотелось бы видеть руставскому поэту, а такую, какою она была».

რუსთაველი პოეტია «при Тамары, могущественной царицы Грузии, к одному из княжеских родов которой он сам принадлежал... Он смотрел на жизнь с башни княжеского замка, с вышины которой он не мог не видеть всех тех пороков, от которых он освободил своих героев, спасающих жить лишь в его мечтах, мечтах одного из лучших и светлых мыслителей феодальной Грузии». გურგანი კი სულთანის კარის მწერალია, ის ცხოვრებას ისპაჰნის ბარის კოშკიდან დასცქერის და მას აღამაზებს (ციტ. «Висрамини», გვ. V—VI).

„ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანს“ შორის კიდევ ის განსხვავებაა, — წერს ი. ორბელი, — რომ მეორეა «Море лжи, в котором едва не захлебнулись утопавшие в блаженстве в любви Вис и Рамин, и — не произнесшие ни слова неправды Автандил и Тинатин» (გვ. IV).

შინაარსის მორალური მხარის მიხედვით რ. რ. შტაკელბერგისა და ა. ს. ხახანაშვილის მიერ უარყოფითად იყო შეფასებული რომანი „ვის-რამიანი“, ი. ორბელიმა კი ამავე რომანზე გამოთქვა სწორი თვალსაზრისი, რაც შემდეგ ი. ბრაგინსკიმ და სხვებმაც გაიზიარეს.



როგორც ზემოთაც ითქვა, ი. ორბელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსთაველის აფორიზმებს, სენტენციებსა და დამრიგებლობით თქმებს.

ჩვენი მეცნიერის ნაშრომებში არა ერთი ასეთი აფორიზმია გამოყენებული და განმარტებული. ამავე აფორიზმებზე მისი ასეთი დასკვნაა: — „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის...“ ეს დამახასიათებელია რუსთაველისათვის, «образцы таких обширных мыслей, заключенных в краткий стих, Руставели со всей силой воспетой им щедрости рассыпал по своей поэме». მისთვის პოეზია, უპირველეს ყოვლისა, „სიბრძნისაა ერთი დარგი“, „იგი სხვისთვისაც დიდი მარგია“, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ თავისუფალია «от духа назидательности, но многие сотни ее стихов глубоко поучительны, тем более поучительны, что в них поучение дается без всякого намека на назидание, и тем легче это поучение воспринимается».

ი. ორბელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებს ამავე პოემის იდეისა და რუსთაველის აზროვნების საკითხების კვლევა-ძიებაში.

ისედაც მჭევრმეტყველ ორბელს უყვარდა რუსული, ქართული, სომხური, ქურთული, ფრანგული, ლათინური და სხვა ენების ანდაზებისა და განსაკუთრებით რუსთაველის აფორიზმების სიტყვაში გამოყენება. დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს.

ლენინგრადში მყოფი ქართველების მიერ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავი აღინიშნა 1936 წლის 5 მარტს. ჩვენ ი. ორბელი დავითანხმეთ, რომ პირველ სიტყვას საზეიმო სხდომაზე ის იტყოდა. იგი ორი დღით ადრე მოსკოვში გაიწვიეს, ხუთშვიც

არ ჩანდა! ოდნავ დაგვიანებით, პირდაპირ სადგურიდან მოვიდა ის და გვითხრა: „სიტყვის მოფიქრებაც კი ვერ მოვასწარი“... შემდეგ შეგვეკითხა: „როგორ იწყება ქართულად რუსთაველის «Что отдашь, твоим пребудет?...»

მაშინვე დაიწყეთ „რასაცა გა...“, — მეტი არ მინდა, — შეგვაწყვეტინა ამ მარცვალზე და ტრიბუნაზე ავიდა. წარმოთქვა, მაგრამ რა სიტყვა წარმოთქვა! ხალხით გაჭედილი აკადემიის დიდი საკონფერენციო დარბაზი ტაშის გრილით გუგუნებდა. ვიფიქრეთ, სიტყვას ამთავრებდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ორატორმა აღნიშნა: „დღი რუსთაველი გვასწავლის და ქართულად თქვა შოთას უკვდავი სტრიქონი:

„რასაცა გააცემ წენა, რაც არა, დაჯარგულო!“.

აფორიზმი მან იქვე რუსულად თარგმნა და განაგრძო: „ეს შესანიშნავი სიტყვები, პირველ რიგში, ჩვენ, მეცნიერებს გვეხება, — ჩვენი ცოდნა ახალგაზრდებს უნდა გადავსცეთ, თორემ მოკვდებით და ჩვენიან ერთად დაიღუპება ჩვენი ცოდნაც, გამოცდილებაც და ჩვენივე ყოველი აზრი!..“

ეს მან ისე კარგად განავითარა და დასკვნაც ისე კარგად გააკეთა, რომ მსმენელთა ოვაციებს დასასრული არ უჩანდა.

ჩვენ გვახსოვს მისივე გამოსვლა რუსთაველის საიუბილეო საღამოზე მოსკოვის სვეტებიან დარბაზში (16.1.1938). აქ მან თავის სიტყვა დაიწყო რუსთაველის აფორიზმით —

„სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“.

განავითარა ჩვენივე პოეტის აფორიზმითვე —

„სჯობს სიციცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“

და სხვა. ეს იყო ოქროპირი ორბელის ერთი საუკეთესო გამოსვლათაგანი.

ასეთივე საღამო ლენინგრადში (8. II. 1938) ი. ორბელმა ისევ რუსთაველის აფორიზმებით გაამდიდრა.

გვახსოვს ისიც, რომ ქალებისადმი 8 მარტს მისალოცი ერთ-ერთი სიტყვაც ი. ორბელმა რუსთაველის აფორიზმითვე დაიწყო: —

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ზვადია...“

ასე უყვარდა მას რუსთაველის აფორიზმები, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ის მათ სიზუსტეს, როდესაც პეტრენკოს თარგმანს უკეთებდა რედაქციას და მაშინაც, როდესაც ჩვენ გვაშადლებინებდა გამოსაცემად რუსთაველის აფორიზმებს ქართულად რუსული თარგმანებითურთ.

ი. ორბელს აინტერესებდა აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები. ის ამბობდა: როდესაც მე 1910—1915 წლებში ნ. მარის ღია ლექციებს ვუსმენდი (პეტერბურგის უნივერსიტეტში) და ვმუშაობდი მისავე სათანადო სემინარებში, პროფესორი აღტაცებული იყო ავთანდილის სახით; ვმსჯელობდით, ვინაა მთავარი გმირი პოემისა: ტარიელი თუ ავთანდილი? ჩემი მასწავლებელი და მეც ავთანდილს ვაძლევდით უპირატესობას... ახლა უკვე მწამს, პოემის მთავარი მოქმედი პირი ტარიელია, მაგრამ ავთანდილი მე ისევ უფრო მომწონსო.

„ვეფხისტყაოსნის“ ფატმანის სახე ი. ორბელამდე ვერ იყო სწორად ვაგებულები. მას ვაჭარაა წრის წარმომადგენელ ორპირ, ავხორც ქალად თვლიდნენ. ი. ორბელმა პირველმა დაინახა მასში ადამიანი, რომელსაც ქმარი არ უყვარს და შეიძლება თავისთავს ეკუთვნოდეს.“ «Руставели певец верности в дружбе», — წერდა ი. ორბელი, — ხატავს ქალთა დადებით ტიპებს — თინათინს, ნესტან-დარეჯანს, მაგრამ არც ფატმანია უარყოფითი სახე, ისიც «бесконечно милая и глубоко человечная» («Памятники эпохи Руставели», გვ. 11).

ლიტერატურულ უარყოფით ტიპს რომ ეცნობი, — ამბობდა ი. ორბელი, — ავტორიც უარყოფითი წარმოდგენისაა მასზე და მკითხველსაც ზიზღს ჰგვრის. ფატმანი კი — არა; ის ნორმალური ადამიანია — «Фатман в полной мере земная, прекрасная, но не идеализованная, не свободная от человеческих слабостей и страстей» («Висрамнани...», გვ. V).

ი. ორბელმა ზეპირად იცოდა ფატმანის გარეგნობის რუსთველისეული აღწერილობა: —

„ფატმან ხათუნ თვალა მარჯვე. არკმწვილი, მაგრა მზმელი, ნაკვთალ კარგი, შავგრემანი, პირმსუქანი, არ პირხმელი“...

ი. ორბელის მსჯელობის გამო ფატმანის სახის თაობაზე ა. ბარამიძე შენიშნავს: „რუსთაველი სრულიად არ მალავს ფატმანის ხასიათის მანიკიერ მხარეებს“, მაგრამ „მაინც გარკვეული სიმპატიით ხატავს (ამ) ვაქრული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელ ქალს. თუმცა პაეტი ერთიმეორეს უპირისპირება მოყმურ-რაინდული საზოგადოებისა და ვაქრული წრის ზნეობრავე ცხოვრების ნორმებს, იგი გარკვეულად

აგუეებს და ათანხმებს ამ ორი სხვადასხვა სოციალური ფენის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იდეალებს“ (4 და 5).

დაბოლოს აღენიშნავთ, რომ მსგავსად ბარონ სუტნერასა, ი. ორბელმა რუსთაველის პოემის გმირებს ცრემლს სიჭარბე შენიშნა: «Единственное, в чем поэма нарушено чувство меры, это — слезы, слезы без удержки и без конца, слезы, разливающиеся, как океан» (მდრ. ზემოთ—ა. სუტნერი და იქვე დასახელებული ა. ზურაბაშვილის ნაშრომი).!



ი. ორბელის რუსთველოლოგიური ზოგიერთი წერილი, რამდენიმე მოხსენება, რეცენზიები ლისერტაციებზე და სხვა მასალები ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია. როცა ისინი გამოიცემიან, ი. ორბელი—რუსთველოლოგი კიდევ უფრო დიდად წარმოგვიდგება.

შოთა რუსთაველი იყო ი. ორბელისათვის ძალიან მცირერაჯიანი პოეტა შორის ერთ-ერთი უსაყვარლესი მგოსანი. ამ მეცნიერას რუსთველოლოგიური აზრები ხასიათდებიან დიდი დიპაზონით, სიღრმითა და დასკვნათა კონკრეტულობით. ი. ორბელი აღიარებულ იქნა რუსთველოლოგია და მის სათანადო მასალებსაც უნდა გაუფრთხილდეთ.

1. ბიოგრაფიკა და ნაშრომების სია იხ. «Иванъ Абрамовичъ Орбели», გამოქვეყნებულია მისი დიღანისი კრებული «Избранные труды», ერევანი, 1963; ქვეყნდება ონბტომეულიც. 2. შ. ი. ამირანაშვილი ი. История Грузинского искусства, I, მოსკოვი, 1950, გვ. 16. И. В. Мегрелидзе. Вопросы грузиноведения в работах И. А. Орбели — სოხუბოს სარ მეცნიერებათა აკადემიის ოჯახო «Историко-филологический журнал», ერევანი, 1955 № 1, გვ. 291—195. მისივე, ი. ორბელა.— რუსთველოლოგი. — შოთა რუსთაველი. ვეუკასტკოსანი (სომხური) თარგმანი გეორგ ასატურისა, ერევანი, 1955, გვ. 239 — 294. 4. იხ. ცტ. «Памятники эпохи Руставели», ლენინგრადი, 1938, ი. ორბელის «შესავალი», გვ. 1—21. 5. მდრ. Шота Руставели. Витязь в тигровой шкуре, перевод с древнегрузинского Пантелеймона Петренко, при участии и под редакцией Константины Чичинадзе, портрет и иллюстрации Сергея Кобуладзе, მოსკოვი - ლენინგრადი, 1938, ი. ორბელის წინასიტყვაობა, გვ. VII—X.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი

მეცნიერების დამსახურებელი მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ლეონ მელიქსედუგის ძე მელიქსეთ-ბეგი (1890—1963) და მისი მამა-პაპა თბილისის მკვიდრნი იყვნენ. ლეონს შესთავაზეს სხვაგან ეცხოვრა, მაგრამ მშობლიური დედაქალაქისა და ჩვენი ხალხისადმი პატივისცემის გამო, მან ეს არ ისურვა, თბილისში დარჩა, აქ მოღვაწეობდა და დიდუბის პანთეონშია დაკრძალული.

ლ. მელიქსეთ-ბეგი მრავალმხრივი და პროდუქტიული მეცნიერი იყო გამოკვეყნებული მისი ნაშრომების სია 600-მდე სახელწოდებას შეიცავს. მუშაობდა ფილოლოგიასა (ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია, ენათმეცნიერება, ლექსიკოლოგია) და ა ის ტ ო რ ი ა შ ი (არქეოლოგია, სპელეოლოგია, ეთნოგრაფია, ეპიგრაფიკა, პალეოგრაფია, წყაროთმცოდნეობა; არქეოგრაფია).

*

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ავტორია აგრეთვე სხვადასხვა სახის რუს-თველოლოგიური ნაშრომებისა.

პ ი რ ვ ე ლ ი — ხელნაწერების აღწერა-დახასიათება. ლ. მელიქსეთ-ბეგმა 1923 წელს გამოაქვეყნა წერილი „გორგიჯანიძისეული ხელნაწერი ვეფხის ტყაოსანი (ოვანეს თუმანიანის ხსოვნას)“ (2), რომელშიც აღწერილია ოვანეს თუმანიანის ნაქონი „ვეფხისტყაოსანი“. მისი მეორე ნაშრომი—„სომეხი გადამწერი ვეფხისტყაოსნისა“ შეიცავს ხუთი ხელნაწერის აღწერას (3). მათგან სამი საქართველოშია შესრულებული (1671, 1680 და 1839), ხოლო ორი მის გარეთ (1702—შემახა, 1826 — ყარაბაღი).

მეორე — „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერზე დართული ლექსიკონი. ლ. მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის“ ყარაბაღული ვარიანტი“, რომელშიც მნიშვნელოვანი ცნობების გარდა, წარმოდგენილია ხსენებულ ხელნაწერებზე დართული საყურადღებო ლექსიკონი (4). თუ ვაეხსენებთ, რომ ასეთი ლექსიკონი სულ რაღაც ოთხ-ხუთ ხელნაწერ „ვეფხისტყაოსნის“ ახლავს („ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები — Q 279; საქ. ლიტ. მუზეუმის ხელნაწერა—38; A—4732; A—855), მაშინ ამ ნაშრომის მნიშვნელობაც უკეთ იქნება გასაგები.

ლ. მელიქსეთ-ბეგი სწორედ ამას ითვალისწინებდა, როდესაც წერდა: „ყარაბაღული ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა მნიშვნელოვანია და პირდაპირ ფასდაუღებელად განსაკუთრებით იმით, რომ მას ბოლოში დართული აქვს საკმარისად ვრცელი ლექსიკონი; მართალია, ასეთი ლექსიკონი ერთ-ერთ სხვა ხელნაწერსაც აქვს, სახელდობრ, პეტრე ლარაძისეულ ვარიანტს, რომელიც დაცულაა ქ. შ. წ. - კ. გ. ს. ფანდში № 4732-ის ქვეშ. მაგრამ ორივე ლექსიკონი ერთმანეთისაგან საკმარისად განსხვავდება როგორც ამოწერილ სიტყვათა მარაგით და თანმიმდევრობით, ისე მათი ახსნა-განმარტებით ანუ „თარგმანებით“. კერძოდ ამ ხელნაწერში აღნუსხულია სულ 581 სიტყვა, რომელთაგან განმარტებულია 528, დანარჩენი 53—კი განუმარტავია“ (გვ. 205).

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ხელნაწერი ლ. მელიქსეთ-ბეგის მეშვეობით შეიძინა ჩვენმა მუზეუმმა სომეხ პოეტ ანტონ აუტროვისაგან. ამით, ჯერ ერთი, ხელნაწერი დარჩა საქართველოში, და, მეორეც, მისი მეცნიერული ღირსებების შესაფასებლად თვით ლ. მელიქსეთ-ბეგს მიეცა საშუალება, რომ ეს ხელნაწერი აეწერა და ლექსიკონიც გადაეწერა, რომელიც შემდეგ გამოაქვეყნა კიდეც.

მესამე — ბიბლიოგრაფიული ნაშრომები. ლ. მელიქსეთ-ბეგმა შეადგინა და ქართულად გამოაქვეყნა „ბიბლიოგრაფია ვეფხისტყაოსნის ლიტერატურისა სომხურ ენაზე“ (5). აქ ქართული მკითხველი ეცნობა, თუ რაა გამოქვეყნებული ამ დარგში სომხურ ენაზე.

ლ. მელიქსეთ-ბეგი, როგორც შესანიშნავი ბიბლიოგრაფი, რუსთაველოლოგიურ ცნობებს ადგილს უთმობს თავის ნაშრომშიც „მასალები ამიერკავკასიის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის“, რომელიც 3 ნაკვეთად გამოქვეყნდა (თბ., 1937—1938), და სხვა ბიბლიოგრაფიულ ცნობარებშიც.

ამგვარსავე ცნობებს შეიცავს ლ. მელიქსეთ-ბეგის ნაშრომი „რუსთაველი სომხურ ლიტერატურაში“ (6). აქ ავტორი აღნიშნავს ქართველთა და სომეხთა პოლიტიკურ-კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ტრადიციებს, ეხება ამ ურთიერთობის კვლევის ვითარებას და მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის სომხურად თარგმნის ისტორიას ბასტამიანიციდან დაწყებული. ავტორს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს მდიდარი ბიბლიოგრაფიული ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ სომხურად ბეჭდვისა და თვით რუსთაველის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის შესახებ გამომხაურების ანარეკლი სომხურ პრესასა და კრიტიკაში.

ეს თემა მანვე კიდევ უფრო გაათავსო და გამოაქვეყნა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა „შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი სომხურ ლიტერატურაში“ (7). იგი შეიცავს 1860—1937 წლების წყაროებს; მასში აღნიშნულია რუსთაველის პოემის სტროფების სომხური თარგმანების ინდექსიცა და ლაპარაკია თარგმანების ღირებულებაზეც.

ძირითადად ისევ ბიბლიოგრაფიული ხასიათისაა ცნობები რუსთაველზე, რომელიც შესულაა ლ. მელიქსეთ-ბეგის წიგნში „საქართველოს ისტორიის წერილობით წყაროების პუბლიკაციები“ (თბ., 1949), მაგრამ აქვე ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ არა მხოლოდ სომხურ თარგმანებს, არამედ რუსულსა და სხვასაც. ამასთანავე აქ ლ. მელიქსეთ-ბეგი „ვეფხისტყაოსანს“ ახასიათებს ქართულ ცხოვრებასთან მიმართებით.

მ ე ო თ ხ ე — წერილი და შენიშვნები სხვა რიგის საკითხებზე: ლ. მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნის წერილი «Крепость Каджетин» (გაზ. «Заря Востока», 1937 № 111 და 113), რომელშიც აღწერილია ჯავახეთის ისტორიული ადგილები და იქაური „ქაჯის ციხე“ („შაითან ყალა“). ავტორი უშვებს შესაძლებლობას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთის ციხე შეიძლება ეს იყოსო...

რუსთველოლოგიურ რიგ საკითხებს ეხება აგრეთვე ავტორის ნაშრომები: „სომეხები ძველ ქართულ ლიტერატურაში“ (სომხურ ენაზე, იხ. 1, გვ. 33 № 183), „ვეფხისტყაოსნის სომეხი გადამწერები“ (იქვე, გვ. 47 № 317), „ვეფხისტყაოსნის თარგმნის რედაქცია“ (იქვე, 48, № 321), „შენიშვნები რუსთაველისა და მისი ვეფხისტყაოსნის შესახებ“ (იქვე, გვ. 57, № 405. ოთხივე სომხურ ენაზე), „მეგალითური კულტურა საქართველოში და მისი გადმონაშთი რუსთაველის ეპოქაში“ (ბუშეინის ინსტ. შრომები, III, გვ. 149—164) და სხვა (8).

ყოველივე ამას გარდა, როგორც ეს აღნიშნულიყო მისი ნაშრომების ბიბლიოგრაფიაში, ლ. მელიქსეთ-ბეგი რედაქტორობდა „ვეფხისტყაოსნის“ სომხურ თარგმანებს, გამოკლევებს და ოპონენტობდა არა ერთს რუსთველოლოგიურს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციას.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი იყო საიათნოვას ტრადიციების გამგარძელებელი ხალხთა მეგობრობაში; ქართულს, სომხურსა და რუსულს იგი მშობლიურ ენებად თვლიდა (7. იცოდა ზოგიერთი სხვა ენაც). რუსთაველის პოემაში ასახულ ადამიანთა და ხალხთა მეგობრობას ლეონ მელიქსეთ-ბეგი საკუთარი მაგალითით ეხმაურებოდა. ამდენად ჩვენთვის მისი ხსოვნა ძვირფასია არა მხოლოდ როგორც მეცნიერის, არამედ როგორც მოქალაქისაც.

1. Полная библиография печатных работ Л. Меликсет-Бека за 1909—1960 (თბ., 1960). ნ ე კ რ ო ლ ო გ ი „ლეონ მელიქსეთ-ბეგი“—გაზ. „კომუნისტი“ 1963 № 209; იმავე დღის «Миря Востока» და სხვა, აგრეთვე „ლიტ. გაზეთი“, 1963 № 36; იქვე, ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ს წ ა რ ლ ე — „გამოწერილი მეცნიერი“, გვ. 3 და სხვა; უფრო ადრე პ. ლ. ლ ე ო ნ მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ს დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნდა პ. ლ. ს. წ ი ჭ ი ა ს, დ. ც. ივ. შ ი ლ ა - კ ა ძ ი ს ა და სხვათა წერალები. 2. გაზ. „კომუნისტი“, 1923 № 74. 3. კრებული „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, თბ., 1935, გვ. 665—670. 4. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 5, 1936, გვ. 201—224. 5. „ვეფხისტყაოსანი“ კ. ტ ი ჭ ი ნ ა - ძ ი ს რედაქციით, თბ., 1924, გვ. 681—682. 6. კრებული „რუსთაველი სკოლაში“ თბ., 1937, გვ. 281—191. 7. ჩვენი საჩარო ბიბლიოთეკის შრომები, ტ. 4 (1938, გვ. 159—163) და 5, 1940, გვ. 242—252. 8. შდრ. პ. მ უ რ ა დ ი ა ნ ი. ლეონ მელიქსეთ-ბეგი — რუსთველოლოგი. „ვეფხისტყაოსნის“ გ. ასატურისეული სომხური თარგმანის (1966 წ., ერევანი) გამოცემა, გვ. 294—298. 9. Меликсет-Бек. Три моих родных языка.—გაზ. «Заря Востока», 1959. VIII. 12, №186.

კონსტანტინე ჰიჭინაძე

ცნობილი პოეტი, მთარგმნელი, მკვლევარი და პოლემისტი კონსტანტინე არჩილის ძე ჰიჭინაძე (1891—1960) ამაგდარი რუსთაველოლოგია.

იგი დაიბადა რაჭაში, პირველი ლექსი 1903 წ. გამოაქვეყნა „ივერიაში“, დაასრულა თბილისის უნივერსიტეტი.

არც ერთ ჩვენს პოეტს იმდენი დრო და ენერჯია არ მოუხმარებია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის, აღნაგობის, პოეტიკის მხრივ შესწავლის, თარგმნისა და ორგანიზაციული საქმეებისათვის, რამდენიც მათ კ. ჰიჭინაძემ მოახერხა. მას, დიდ ვაჟა-ფშაველას მსავსადად, რუსთაველოლოგიის საკითხების კვლევა უმთავრესად მხატვრული სიტყვის ოსტატების საქმედ მოაჩნდა და ამას პრაქტიკულად ახორციელებდა. თბილისის უნივერსიტეტში და მისი დამთავრების შემდეგ დამოუკიდებელი მუშაობით, კ. ჰიჭინაძე დაეუფლა პოეტური სიტყვის ტექნიკას, ქართულ ენაზე თარგმნა „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, „თქმულება ნიბელუნგებზე“, „დავით სასუნელი“, დანტეს „ჯოჯობეთი“ (კ. გამსახურდიასთან ერთად), ლერმონტოვის, პუშკინის, ბლოკის, ვაგიფის, პოლონსკის და სხვათა ლექსები და „ვეფხისტყაოსანი“ ქართულიდან რუსულ ენაზე ათარგმნინა პოეტ პანტელეიმონ ანტონის ძე პეტრენკოს (5).

კ. ჰიჭინაძეს „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ მრავალმხრივი დამსახურება მიუძღვის.

პირველი და უმნიშვნელოვანესი — კ. ჰიჭინაძეს ეკუთვნის საყურადღებო რუსთაველოლოგიური მონოგრაფიები, გამოკვლევები და მრავალი პოლემიკური წერილი (1, 2, 3).

მეორე. დიდი და უაღრესად შრომატევადი საქმე, რომელიც კ. ჰიჭინაძემ შეასრულა, ესაა მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარი რედაქციით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოცემა (4).

მესამე. კ. ჭიჭინაძემ დიდი დრო და ენერგია მოახმარა „ვეფხისტყაოსნის“ პ. პეტრენკოს მიერ რუსულ ენაზე შესრულებულ თარგმანსა და შემდეგ მის გამოცემას (5).

მეოთხე. კ. ჭიჭინაძე მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში. იგი თავგამოდებით იცავდა პოემის ყოველ სადავო სტროფს. მას მიაჩნდა, რომ უკეთესია გამოცემაში ჩანართის სტროფი დარჩეს, ვიდრე, ჩანართობის საბაბით, რომელიმე ნამდვილი სტროფი აღმოჩნდეს ამოგდებულად.

კ. ჭიჭინაძის პირველი მონოგრაფია (2) ახალი სიტყვა იყო ალიტერაციის შესახებ ქართულ შაირში. ავტორი აქ რუსთაველის ქმნილებას იხილავს პოეტური მეტყველებისა და ლიტერატურული სახეების ურთიერთობის მხრივ, სტროფთა სტილის მიხედვით მსჯელობს პოემის ავტორისეულსა და ჩანართ სტროფებზე, „პოემის კომპოზიციისა და მხატვრული კონსტრუქციის ანალიზით ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსანი ორიგინალური ქართული ნაწარმოებია. იგი აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „პოეტიკასა“ და შემოქმედების ფსიქოლოგიას. რუსთაველის ლექსის ნიშანდობლივ თვისებად კ. ჭიჭინაძეს მიაჩნია „ალიტერაცია და საერთოდ ბგერების მუსიკალური შეხამება“.

იმავე მონოგრაფიის მიმართ საკმარისია აღინიშნოს, რომ ავტორმა შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ „ალიტერაციების ყველა სახეობა. მიუხედავად ზოგი ფორმალისტური ცდუნებისა, ამ გამოკვლევამ თვალწინ გადაგვიშალა რუსთაველის ლექსის საოცარი კანონზომიერება“ (6, გვ. 650—651).

ნაშრომს მაშინვე გამოეხმაურა ქართული ლექსის შესახებ ცნობილი წიგნის ავტორი ს. გორგაძე. ის, მონოგრაფიის მთავარ დადებით მხარეებთან ერთად, ნაკლსაც შეეხო და თქვა, რომ ტექსტის საკითხის გადაწყვეტაში ალიტერაცია არ შეიძლებოდა ძირითადი საზომი ყოფილიყო („მნათობი“, 1925 № 8—9, გვ. 301—302).

მოსე გოგიბერიძემ კ. ჭიჭინაძის ამავე ნაშრომის მიმართ აღნიშნა: „კონსტანტინე ჭიჭინაძეს, რომელმაც რუსთაველის ლექსის ალიტერაციების ბუნება იკვლია პირველად, უსათუოდ დამსახურება აქვს ამ ლექსის მუსიკალური ფერის დანახვით, მაგრამ, სამწუხაროდ, პატივცემულმა პოეტმა-მკვლევარმა გადააჭარბა. მან ალიტერაციას დააკისრა ისეთი საკითხების გადაჭრა, რაც ალიტერაციის შესაძლებლობებს აღემატება“ („რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები“, თბ., 1961, გვ. 76).

კ. ჭიჭინაძის მეორე მონოგრაფიაში — „რუსთაველის გარშემო“, (1928) — განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ იუსტ. აბულაძისა და ს. კაკაბაძისეული გამოცემები, პ. ინგოროყვას „რუსთაველიანა“, „ვეფხისტყაოსნისავე“ ვახტანგისეული რედაქციისა და რიგი სხვა საკითხები.

აქა და ავტორის სხვა ნარკვევებში წარმოდგენილ დასკვნათა მიხედვით 1. ვახტანგისეული რედაქცია არის ვეფხისტყაოსნის ტექსტის კრიტიკული გამოცემა, წინააღმდეგ პ. ინგოროყვას და ი. აბულაძის შეხედულებებისა, 2. ვახტანგისეულ რედაქციაში მოცემულია თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ი ტ ე ქ ს ტ ი შ ე მ ო კ ლ ე ბ ი თ და არა გაგრძელებით, როგორც ეს ს. კაკაბაძეს და კ. კეკელიძეს წარმოუდგენიათ.

კ. ჭიჭინაძე აქვე ეხება რუსთაველის ვინაობასაც (I, და 6, გვ. 414).

კ. ჭიჭინაძე კარდინალურს უწოდებდა „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხს (I). მან მას სპეციალური წერილი მიუძღვნა („ლიტ. გაზეთი“, 1934, № 29, გვ. 4) და სხვა გამოკვლევებშიც შეეხო (4).

სხვა საკითხებზე გამოქვეყნებული წერილთა უმრავლესობით კ. ჭიჭინაძემ შეადგინა კრებული (1), რომლის მასალაც, ავტორის სიტყვით, თარიღდება 24 წლით, ე. ი. 1934 წლიდან 1958 წლამდე“ (I, გვ. 3).

ამ წერილებშიც ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის, გეოგრაფიის, მოქმედ პირთა სახისა და ფსიქოლოგიის, პოეტის, პოემის შ. ნუცუბიძისა და პ. პეტრენკოსეულ რუსული თარგმანების, შ. ნუცუბიძის წიგნის „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსის“, დ. დანდუროვის მცდარი წიგნის, პოემის სიმფონიისა და სხვა საკითხებს.

რაკი კ. ჭიჭინაძის დასახელებულ ნაშრომთა კრებული არსებობს, ჩვენ ამ კრებულის შინაარსის ზემოაღნიშნული გადმოცემით დავკმაყოფილდებით.

კ. ჭიჭინაძის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარი რედაქციით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოცემა (4), როგორც ამაზე ზემოთ შევნიშნეთ, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო თუნდაც იმ აპარატის გამო, რომელიც ამ გამოცემას ახლავს. მასში წინასიტყვაობას 37 გვერდი უკავია. შენიშვნები და სიმფონია ორჯერ აღემატება თვით პოემის ტექსტს.

ამ შენიშვნებშია წარმოდგენილი „რუსთაველის სახელით ცნობილი ლექსები“, პოემის „დამახინჯებული ადგილების გასწორება“ და „საეჭვო ადგილები“, „პროლოგისა და ეპილოგის“ საკითხი, „მეტაფორები“, „აფორიზმები“, „მეტრი და რიტმი“, „მაჯამები“, „რითმები“, დაბალი და მაღალი შაირების „რითმების ინდექსი“, და, რაც დიდად

მნიშვნელოვანი იყო მაშინ, — პირველი „ს ი მ ფ ო ნ ი ა (ვეფხისტყაოსნის სრული ლექსიკა)“ (თამარ ჭიჭინაძის მონაწილეობით). გამოცემას დართული აქვს აგრეთვე მოკლე „ლექსიკონი“ და მოზრდილი „ბიბლიოგრაფია“, შედგენილი აკ. გაწერელიასა და ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ ქართულსა და სხვა ენებზე გამოცემული რუსთველოლოგიური ლიტერატურისა.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ კ. ჭიჭინაძის დამსახურება „ვეფხისტყაოსნის“ პ. პეტრენკოსეულ თარგმანზე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ შედარებით ახალგაზრდა პ. პეტრენკოს პირველად უხდებოდა საერთოდ ასეთი დიდი ტექსტის მისთვის უცნობი ენიდან თარგმნა. კ. ჭიჭინაძეს კი ასეთი მუშაობის უდიდესი გამოცდილება ჰქონდა. ამასთანავე ის იყო სათარგმნი ტექსტის — „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალე მცოდნე და რიგი რუსთველოლოგიური ნაშრომის ავტორი (5 და 6).

პ. პეტრენკოს დიდნიჭიერების დადასტურებაა, რომ მან ამ რთულ საქმეს (თუნდაც კ. ჭიჭინაძის დახმარებით) თავი კარგად გაართვა. რაც მან მოულოდნელი შემთხვევის გამო დალუპვამდე მოასწრო. სამაგალითოდ შეასრულა, თუმცა ტექსტის ბოლომდე თარგმნა და თარგმნილი ნაწილის დახვეწა, მას არ დასცალდა*.

პ. პეტრენკომ პოემის 1—1601-ე სტროფები თარგმნა. 1602—1742-ე სტროფი („ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთ მეფისაგან“ და შემდეგი ბოლომდე) თარგმნა პოეტმა ბ. ი. ბრიკმა ისევე კ. ჭიჭინაძის მონაწილეობითა და რედაქციით. ეს ნაწილი პ. პეტრენკოს თარგმანთან შედარებით, დედნიდანაც უფრო დაშორებული და პოეტურადაც მდარე აღმოჩნდა. მის გაუმჯობესებაზე მუშაობის მოწმეს გვახსოვს, თუ 1937 წელს სახელმწიფო ერმიტაჟში (ლენინგრადი) როგორ შრომო-

* კ. ჭიჭინაძისა და პ. პეტრენკოს (1908—1936) „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე ერთად მუშაობისა და კერძოდ პოეტ პეტრენკოს შესახებ იხ. ი. მ. ვ. გ. რ. ე. დ. Подлинный поэт (к 60-летию со дня рождения П. Петренко). — ეურბ. «Литературная Грузия», 1909 №1, გვ. 188 — 191; მ. ი. ს. ი. ვ. „პანტელეიმონ პეტრენკო“. — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1969 წ. 11 აპრილი № 15 (1652), გვ. 3; უკრაინული თარგმანი — გაზ. «Літературна Україна», 1969 წ., 1 მაისი, № 35 (2629), გვ. 2; შდრ. „ლიტ. საქართველო“ 1969 წ., 9 მაისი, № 19 (1656), გვ. 3. იქვე სერგო ქობულაძის „პეტრენკოს გახსენება“, ? გვ. 4. ი. მ. ვ. გ. რ. ე. დ. ტექსტი და პუბლიკაცია პ. პეტრენკოს ლექსებისა «Мать» და «Осенний сев». — გაზ. «Вечерний Тбилиси», 1969 წ. 21 ივნისი, №144, გვ. 3.

ბდა ამ ნაწილის დახვეწაზე, უპირველეს ყოვლისა, თვით კ. ჭიჭინაძე იოსებ ორბელთან ერთად. იგი მივლინებაში იმყოფებოდა ლენინგრადში, დრო მცირე ჰქონდა, გასაკეთებელი კი ბევრი იყო. არა ერთხელ გვინახავს ის აქ ქანცგამოლეული. ერმიტაჟის დირექტორი ი. ორბელი ზოგჯერ სხვა საქმეზე გავიდოდა, შემობრუნდებოდა და გადაღლილ კ. ჭიჭინაძეს ეტყოდა ხოლმე: „აბა, კოტეჯან, განვაგრძოთ“.... და ესეც განაგრძობდა მუშაობას. კ. ჭიჭინაძის თბილისში დაბრუნების შემდეგ ამ დღეში ი. ორბელს მ. მ. დიაკონოვი, კ. ვ. ტრევერი და ამ სტრიქონების ავტორი ჰყავდა.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არა მხოლოდ თარგმანის (5), არამედ მისივე გამოცემის საორგანიზაციო საქმეებიც რომ კ. ჭიჭინაძეს არ წარემართა, „ვეფხისტყაოსნის“ ეს ერთ-ერთი საუკეთესო თარგმანი და გამოცემა არ გვექნებოდა.

რუსთველოლოგიის დარგში კ. ჭიჭინაძის საერთო მუშაობის თაობაზე უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ტექსტისა და სხვა საკითხშიც ედავებოდნენ: ი. აბულაძე, ალ. ბარამიძე, ვუკ. ბერიძე, ა. დუდუჩავა, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, შ. ნუტუბიძე, ა. შანიძე და ზოგი სხვაც, მაგრამ სადავო საკითხებშიც კი, მაგ., ინდო-ხატაელთა ამბის გამოცემაში შეტანის გამო, მას მხარს უჭერდა სახელოვანი მწერალი მიხ. ჭავჭავიძე. მ. ჭავჭავიძე იღობდა, რომ ეს ამბავი ბუნებრივად ასრულებს „ვეფხისტყაოსნის“, ეგუება პოემის საერთო შინაარსს და ემახვევა ალიტერაციების მხრივაც.

კ. ჭიჭინაძე აჭარბებდა რუსთაველის პოემის შიგადაშიგ ჩანართ სტროფთა დაცვაშიც, მაგრამ მისი დამსახურებაა, რომ იმ დროს მან დაიცვა ეს ტექსტი ზედმეტად შეკვეცისაგან. იგი მუდამ ჩაბმული იყო დისკუსიებში რუსთველოლოგიურ საკითხებზე, ეხმაურებოდა ახალ გამოკვლევებსა და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, იდგა სადარაჯოზე და აღვიძებდა საზოგადოებრივ აზრს.

კ. ჭიჭინაძე საინტერესო იყო, როგორც კაცი, მეგობარი და თანამესაუბრე. გიორგი ლეონიძეს შემთხვევით არ უწოდებია მისთვის „პოეტი და მოქალაქე“ და „ქართული ლექსის გამოცდილი ოსტატი, შესანიშნავი მთარგმნელი, ცნობილი რუსთველოლოგი-მკვლევარი“ (7). ცნობილია კ. ჭიჭინაძის დახვეწილი სტილი და მაღალი პოეტური გემოვნება.

კ. ჭიჭინაძემ საპატიო ადგილი დაიმსახურა რუსთველოლოგიის ისტორიაში „ვეფხისტყაოსნის“ 1934 წლის დიდი აპარატიული გამოცე-

მით, ამავე პოემის რუსულ თარგმანში პ. პეტრენკოს ჩაბმით, სათანადო მონაწილეობითა და შედეგის გამოქვეყნების ორგანიზაციით, სრულიად ახალი საკითხების (მაგ., ალიტერაციის, მეტაფორების, საერთო მხატვრული სტილის) გაშუქებითა და თუნდაც იმ გაკვირვებულ პოლემიკითაც კი, რომელსაც ის რუსთველოლოგიურ საკითხებზე აწარმოებდა.

1. კონსტანტინე ჭიჭინაძე. რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1960. 2. მისივე, ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა, თბ., 1925. 3. მისივე, რუსთველის გარშემო, თბ., 1928. 4. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკლევით და შენიშვნებით, თბ., 1934. 5. Шота Руставели. Витязь в тигровой шкуре, перевод с древнегрузинского Пантелеймона Петренко, при участии и под редакцией Константина Чичинадзе, портрет и иллюстрации Сергея Кобуладзе, Московско-Ленинград, 1938. 6. გ. იშვიაშვილი. რუსთველოლოგიური ლიტერატურა 1712 — 1956 წლები, თბ., 1957 (მდრ. ს. ცაიშვილი „ლიტ. გაზ.“, 1960 № 26, გვ. 30). 7. გ. ლეონიძის წერილი. — „ლიტ. გაზეთი“, 1960 №26.

პარპეზ ღონღუა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. კარპეზ ღონღუა (1891—1951) ქართველოლოგი იყო. იგი დაიბადა ქუთაისში, დაამთავრა იქაური გიმნაზია და პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმის გამო, ის 1911 წელს უნივერსიტეტიდან გარიცხეს. მან მხოლოდ 1914 წელს მოახერხა თავის დარგზევე სტუდენტად აღდგენა და იმავე დროს აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზეც დაიწყო ლექციების მოსმენა, მაგრამ ის 1918 წელს პედაგოგიურ სამუშაოზე გაგზავნეს მობილიზაციათ. მან უნივერსიტეტის ხსენებული ორივე დარგი დაამთავრა 1922 წელს წარჩინებით. ამ წარმატებისა და საერთოდ კარგი მონაცემების გამო, ნ. მარმა იგი დაიტოვა უნივერსიტეტში და ქართული ენის კურსიც ანღო.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში ნ. მარის იაფეტური ინსტიტუტის დაარსების დღიდან კ. ღონღუა გარდაცვალებამდე უმთავრესად ამავე ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელია. აქ არ იყო ის 1933—1935 წლებში; მაშინ კ. ღონღუა მიავლინეს ამავე აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალში და იმავე დროს მუშაობდა ჩვენს უნივერსიტეტშიც, სადაც ის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრასაც ხელმძღვანელობდა. აგრეთვე თბილისში იყო ის დიდი სამამულო ომის წლებშიც, მსახურობდა ჩვენი აკადემიის ენისა და ისტორიის ინსტიტუტში, 1943—1945 წლებში ჩვენი უნივერსიტეტის პრორექტორია და პუშკინის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგეცაა.

1946 წლიდან კ. ღონღუა ისევ ლენინგრადშია, კვლავ ნ. მარის სახელობის (1950 წლამდე) ენისა და აზროვნების ინსტიტუტის წამყვანი მუ-

შაკი და უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის კავკასიურ ენათა კათედრის უფროსია. (3).

მიღებული განათლების მიხედვით, კ. ღონდუას შეეძლო რუსისტიკაშიც ემუშავა, მაგრამ მან ქართველოლოგია ამჯობინა. ჩვენი მეცნიერის ნაშრომები ზოგადი ენათმეცნიერების, ქართველურ ენათა, ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის საკითხებს ამუქებენ. კონკრეტულად — ა. ა. პოტებნიას, ფ. ბოპის, ჰ. შუხართის, ნ. მარის და სხვათა ლინგვისტიკურ იდეებს და ქართველურ ენათა, ჩვენი ლიტერატურის, ქართულ-რუსულ ლიტერატურათა ურთიერთობის (გამოკვლევა ა. ს. პუშკინზე), მსოფლიოს (ტრისტანი და იზოლდა) და ქართული (აგრეთვე მეგრული და სვანური) ფოლკლორის, პოეტიკისა და სხვა საკითხებს ეხებოან. ეს გამოკვლევები გამოირჩევიან აზრის სიღრმით, დებულებათა სიზუსტითა და სტილის სისხარტით, — ლაპიდარულობით.

ავტორის ღრმა რწმენით, „მეცნიერება მხოლოდ იქაა, სადაც «*есть честность мысли и чистота в работе, ... наука не терпит суеты, в особенности не терпит она саморекламирования, более всего, не терпит шуму и пыли!*» კ. ღონდუას სიტყვები (1940), უპირველეს ყოვლისა, ავტორსავე ახასიათებს, როგორც მეცნიერს; ავტორს ამ პრინციპისათვის არასდროს არ უღალატია.

•

კ. ღონდუას ყოველ ნაშრომზე აქ ვერ შევჩერდებით. რიგი მათგანი შესულია მისი გამოკვლევების კრებულში, რომელიც პროფ. ალ. ლლონტმა შეადგინა.

ჩვენ შევეხებით კ. ღონდუას დამსახურებას მხოლოდ რუსთველოლოგიაში. სათანადო ნაშრომებიც ავტორის ზემოხსენებულ მეცნიერული პრინციპის რეალიზაციაა. პროფ. ვ. ი. აბაევს სრული საფუძველი ჰქონდა, როცა იგი წერდა: «Литературоведческие темы занимают весьма заметное место в научной биографии К. Д. Дондуа. Особое значение имеют работы, посвященные им солнцу грузинской поэзии — Шота Руставели. Сюда относятся — превосходные статьи о Руставели, помещенные в энциклопедическом словаре «Гранат» (36, VII, 1941) и в «Известиях» Академии наук за 1938 г. (№3), а также ряд неболь-

ших статей и заметок, затрагивающих различные стороны жизни и творчества великого грузинского поэта. Сводная работа его о грузинской литературе, помещенная в «Литературной энциклопедии» (т. III, 1930), является незаменимым справочным пособием (1, გვ. 18).

დასახელებულთ გარდა, კ. ღონღუამ გამოაქვეყნა წერილები: «Н. Я. Марр и грузиноведение» (კრებ. «Язык и мышление», VIII, მოსკოვი-ლენინგრადი, 1937, გვ. 49—70). «О Витязе в тигровой шкуре» (გაზ. «Ленинградский университет», 1937 № 43, გვ. 3), «Амирандареджаниани» (კრებ. «Памятники эпохи Руставели», მოსკოვი-ლენინგრადი, 1938, გვ. 91—110), «Метафора красоты в поэма «Витязь в тигровой шкуре» («Язык и мышление», IX, 1940, გვ. 55—64), „ვეფხისტყაოსნის“ ერთი შესავალი სტროფის ლინგვისტური ანალიზისთვის“ (საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, 1943, LV №9, გვ. 222—230), «К юбилею Шота Руставели» (გაზ. «Пролетарская правда», январь 1938), რეცენზია დ. დანდუროვის წიგნზე და იმავე რეცენზიის დამატება—წერილი «Еще раз о книге, посвященной жизни Руставели» (კრებ. «Язык и мышление», IX, 1940 გვ. 162—166, იხ. — კრებ.1).

როდესაც ჩვენ ქვემოთ ხსენებული რეცენზიის მნიშვნელობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს 1940 წლის ეს წერილიც. ორივე ეს დაწერილია დ. დანდუროვის წიგნის—«Шота Руставели» (მოსკოვი, 1937, ტირაჟი—40.000) გამო. უკანასკნელი გამოქვეყნებულია ცნობილ სერიაში «Жизнь замечательных людей». ამიტომ აუცილებლად საჭირო იყო მისი სწორი შეფასება. წიგნის რაობის შესახებ კ. ღონღუას რეცენზიის მხოლოდ სათაური კმარა—«Чудовищная безграмотность» (გაზ. «Известия», 1937 № 298). ამ რეცენზიის მეცნიერული მხარისა და საზოგადოებრივად დიდი ინტერესის გამო, იგი მაშინვე ითარგმნა ქართულად, სათაურით „ს ა შ ი ნ ე ლ ი უ მ ე ც რ ე ბ ა“ (უფრო ზუსტი იქნებოდა „ს ა ო ც ა რ ი უ მ ე ც რ ე ბ ა“) და ქართულ პრესაშიც გამოქვეყნდა („მნათობი“, 1938, № 1, გვ. 193—196).

კ. ღონღუამ ამხილა, რომ დ. დანდუროვმა, შეგნებულად, თუ უეცოობით, ნიჰილიზში გამოიჩინა ქართველი ერის მიმართ, ხალხის დიდი კულტურის, მისი ისტორიის საკითხების შეფასებაში.

დ. დანდუროვმა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს მიუყენა ალეგორიების თეორია. თითქოს-და იგი კრიტიკულად მოიმარჯვა, ნამდვილად კი

უკიდურესად გააყალბა. მან დაამახინჯა მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, ს. ქვარიანის და სხვათა სათანადო პარალელების აზრი. დ. დანდუროვმა ხვარამზის უფლისწული, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ნესტან-დარეჯანის საქმროდა მოწვეული, გიორგი III ძმისწულ ღემნად აღიარა; ფრიდონი თამარ მეფის პირველი ქმარი—იური ბოგოლიუბსკიო, თინათინი და ნესტან-დარეჯანი თვით თამარ მეფეაო და ა. შ.

უკიდურესი ტენდენციურობა გამოსჭვივის დ. დანდუროვის „მსჯელობაში რუსთაველის ეროვნების, მისი სახელის სადაურობის“ და სხვა რიგ საკითხთა ინტერპრეტაციაშიც. „პრიმიტიულობით ხასიათდება დანდუროვის წარმოდგენა ძველი ქართული ენის საკითხებზე, რუსთაველის ეპოქის ქართულ ცხოვრებაზე და საერთოდ ქართულ ფეოდალიზმზე“.

ეს რეცენზია ისე მრავალმხრივი, ღრმამეცნიერული, დროული და დანდუროვის შენათხზის იმდენად დამაჯერებლად გამანადგურებელი იყო, რომ კ. დონდუას რუსთველოლოგიური სხვა რომ აღარაფერი დაეწერა, იგი რუსთველოლოგიის ისტორიაში მაინც მაღლობით მოიხსენიებოდა.

კ. დონდუას რუსთველოლოგიური ძიებანი განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის იმის გამო, რომ ავტორი პოეტის ბიოგრაფიისა და „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებს განიხილავს რუსთაველის ეპოქის ქართული და მეზობელი ხალხების კულტურათა საერთო ფონზე, იმავე ხალხების ისტორიასა და ლიტერატურულ ძეგლებთან კავშირში („ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“, ნიზანის, შავთელის, ჩახრუხადის და სხვათა ემნილებანი); მკვლევარი ამბობს აგრეთვე ეპოქის საერთო ლიტერატურულ გემოვნებასა და სხვა საკითხებზე. მაგალითად, კარგად აქვს კ. დონდუას მოხაზული და დახასიათებული ისტორიული ფონი, რომელზეც რუსთაველის გენია ამობრწყინდა (იხ. ციტ. 1938 წლის გამოკვლევა, გვ. 11—12).

აქვე ლაპარაკია რუსთაველის ბიოგრაფიის, საერთო აზროვნების, ფილოსოფიური შეხედულებების, „ვეფხისტყაოსნის“ იდეის, მხატვრული კონსტრუქციისა და სხვა მხარეებზე. ავტორი მიუთითებს რუსთაველისა და მისი დიდი წინაპრის ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის შედეგის — გ. მერჩულის შეძიქმედებათა საწყისების ქართულ სათავეებზე, იგივე მეცნიერები ქართული ორიგინალური მწერლობის თარგმნით ძეგლებთან ურთიერთობის საკითხსაც ეხება, წარმო-

ადგენს რიგ პარალელს, რომელიც „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის შეიმჩნევა, ლაპარაკობს რუსთაველის მხრივ „ამირანდარეჯანიანის“ ღრმა ცოდნასა და ამის კვალობაზე — გავლენაზეც კი „ვეფხისტყაოსანზე“.

კ. ღონდლუამ განავითარა ი. ორბელის აზრი იმის თაობაზე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფატმანის სახე არც ისე უარყოფითია, როგორც მას ზოგიერთები თვლიდნენ. კ. ღონდლუა წერს: გაუგებრობაა, რომ ფატმანს «обычно считают за отрицательный тип на том только основании, что, не питая любви к мужу, она сохраняет чувство независимости в своих личных делах».

სხვათა შორის, კ. ღონდლუა იძლევა რუსთაველის წყაღ-მეტაფორის („ვეფხისტყაოსნის“ სტროფები — 104, 119, სიტყვები — წყაღი, საწყაღი, უწყალო, წყალობა) ლინგვისტურ საინტერესო ანალიზს.

კ. ღონდლუას დარჩა გამოუქვეყნებელი რუსთაველოლოგიურ-ტექსტოლოგიური და სხვა ხასიათის ნაშრომები. მათი გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო სრულად წარმოგვიდგება ჩვენი მკვლევარის დამსახურება რუსთაველოლოგიაში.

1. კარპეზ დონდუა. რჩეული ნაწერები, აღ. დლონტის რედაქციით, თბ., 1967. 2. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების ეურნ. «Известия», 1938 № 3, გვ. 24; შდრ. აღ. ბარამიძე. შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 148—149; მისივე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 197—198. 3. В. И. Абаев. Памяти Карпеза Дариспановича Дондуа. (К годовщине со дня смерти). — Известия АН СССР, ОЛЯ, 1952, XI. 6:წ. 6, გვ. 560—561. 4. რეც. ი. მუგრელიძე. — ეურნ. „ცისკარი“, 1968 № 8, გვ. 154 — 156. გ. შალაშვილი. — ეურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1968 № 3, გვ. 93 — 4; შ. ძიგული — „ლიტერატ. საქართველო“, 1968 წ. 23 მარტი, გვ. 2; მ. ხერხეულიძე. — ვაზ. „თბილისი“, 1968 წ. 14 მარტი, გვ. 3; რ. შამელაშვილი — ვაზ. „ქუთაისი“, 1968 წ. 1 მარტი.

ივანე ლუპოლი

რუსული და ევროპული ლიტერატურის სპეციალისტი და დიდი საზოგადო მოღვაწე, აკად. ივანე კაპიტონის ძე ლუპოლი (1896—1943) ავტორია შესანიშნავი ნაშრომებისა ისეთ დიდ პოეტებსა და მწერლებზე, როგორც იყვნენ: პუშკინი, გორკი, მაიაკოვსკი, გოეთე, ანატოლ ფრანსი და სხვა; წერდა აგრეთვე ფრანგ ენციკლოპედიკებზე (მონოგრაფია—„დენი დიდრო“), აშუქებდა სპინოზასა და სხვათა ფილოსოფიურ მემკვიდრეობის საკითხებსაც.

•

ეს შესანიშნავი მოქალაქე და დიდი კულტურის მეცნიერი დაინტერესდა რუსთაველით, დაუმეგობრდა ქართველ მეცნიერებს, მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს, მოსწონდა ქართველი ხალხი და დიდად აფასებდა ქართულ კულტურას. იგი იყო სსრკ მწერალთა კავშირის ხაზით რუსთაველის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე 1937 წ. მან ორგანიზაციული საქმეების მოწესრიგებასა და თბილისში ჩატარებული საიუბილეო ზეიმში აქტიური მონაწილეობის გარდა, რამდენიმე წერილი გამაქვეყნა რუსთაველზე (2). მისი ერთი წერილის ნაწილი ამას წინადაც დაიბეჭდა «Литературная газета»-ში (1966 № 11), რომელიც გაზ. „ლიტერატურულმა საქართველომ“ (1966 № 5, გვ. 3) და გაზ. „თბილისმა“ გამომოხვეჭა (1966 № 23).

ი. ლუპოლი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა პოემა „ვეფხისტყაოსანს“. მან მწერალთა კავშირის პლენუმზე 1937 წელს თბილისში განაცხადა, რომ დროა, თავი დავანებოთ რუსთაველის მსოფლმხედველობის ძველ რელიგიურ მიმართულებებში ძებნას, იგი უნდა მოინახოს თვით რუსთაველში, „რუსთაველი თვითონ არის ორიგინალი, დამწყები“.

იგი სასებით საფუძვლიანად წერდა: „უადრესად მდიდარია „ვეფხისტყაოსანი“ იდეების თვალსაზრისით“. „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება პოეტი, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისე აფორისტულია, როგორც დიდი შოთა რუსთაველი“¹. ლუპოლი ამ მხრივ რუსთაველს მსოფლიოს ეპიკური და ჰეროიკული პოეზიის ყველა კლასიკოსს შორის, „დაწყებული ლეგენდარული ჰომეროსით და დამთავრებული მე-17—18 საუკუნეების ეპიკური პოეზიის წარმომადგენლებით“, ერთ-ერთ უპირველეს ადგილს აკუთვნებს. — ამავე დროს, — აღნიშნავს ლუპოლი, — „რუსთაველმა უფრო მეტად გადალახა ნაციონალურ-ეროვნული ზღუდეები, ვიდრე ჰომეროსმა და ფირდოუსმა“.

ი. ლუპოლი რუსთაველს სახეების ოსტატობის მხრივაც უპირატესობას ანიჭებდა მსოფლიო უდიდეს პოეტებთან შედარებისას.

სხვათა შორის, ისიც აღსანიშნავია, რომ აკადემიკოსი ლუპოლი, მისი მეუღლე — ნ ა დ ე ე და ალექსის ასული პ ე შ კ ო ვ ა (მ. გორკის ყოფილი რძალი) და ე კ ა ტ ე რ ი ნ ე პავლეს ასული პ ე შ კ ო ვ ა (მ. გორკის ქვრივი, 88 წლის გარდაიცვალა 1965 წ.), დაკავშირებული იყვნენ ქართველ მწერლებსა, მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებთან. ჩვენ გვინახავს ეს ქალები დიდი რუსი მომღერლის ს ო ბ ი ნ ო ვ ი ს ქვრივთან ერთად, როგორ აღფრთოვანებულნი ლაპარაკობდნენ საქართველოსა და ქართველ ხალხზე; გვახსოვს, როგორც გულთბილად ლებულობდნენ ქართველ სტუმრებს...

უკანასკნელად ივ. ლუპოლი მეუღლითურთ 1938 წელს იყო საქართველოში; აქ ის იმყოფებოდა ი. ჭავჭავაძის სახლში (საგურამო; მაშინ ეს რუსეთის მწერალთა კავშირის დასასვენებელ სახლად ითვლებოდა; იხ. „მნათობი“, 1968, № 2, გვ. 167—168).

პირადად ი. ლუპოლი ძალიან უწყობდა ხელს ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების რუსულ ენაზე თარგმანსა და მათ მოსკოვში გამოქვეყნებას. მას დამსახურება მიუძღვის ჩვენი ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში.

1. И. Луппол. Образы и идеи Шота Руставели. — *კრებული. «Деятели русской культуры о Шота Руставели, тб., 1966. «Заря Востока», 1937 № 299; «Известия», 1937 № 300; «Лит. газета», 1937 № 69, «Заря Востока», 1960. X. 22.*

სოლომონ იორდანიშვილი

შრავალმხრივი ფილოლოგი (ენათმეცნიერი—ლექსიკოლოგი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი — რუსთველოლოგი) და მთარგმნელი სოლომონ გიორგის ძე იორდანიშვილი (1898—1953) დინჯი და ღრმა იყო თავისი მოღვაწეობის ყველა დარგში.

თელავის სახალხო მასწავლებლის ოჯახში დაბადებულმა ყმაწვილმა დაასრულა გორის სასულიერო სასწავლებელი, თბილისის სასულიერო სემინარია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო დარგი (1926).

რუსულ ენიდან ნათარგმნ წერილებს ს. იორდანიშვილი 1918 წლიდან ბეჭდავს ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში“ ს. კაეშნიშვილის ფსევდონიმით; მსახურობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და იქვე სამეცნიერო საბჭოს მდივანობდა. 1933 წლიდან იგი მუშაობდა ცენტრალურ სატერმინოლოგიო კომიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მდივანიც იყო (1935—1936, შდრ. 5); 1933 წლიდან, უკვე დოცენტი, ჩვენს უნივერსიტეტში რუსთაველოლოგიისა და ქართული მწერლობის კურსებს კითხულობდა.

*

როგორც ენათმეცნიერი, ს. იორდანიშვილი „მხურვალე მონაწილეობას იღებდა თანამედროვე ქართული ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის მუშაობაში. მისი გამოკვლევისა და პროექტის მიზნდვით დადგინდა ქართული კომპოზიტების დაწერილობა, რომელიც მიღებულ იქნა სავალდებულო ნორმად სალიტერატურო ენაში“ (ნ. შდრ., მისი „სალიტერატურო ქართულის ნორმები“, I, 1936).

ს. იორდანიშვილისაგან დავალებულია ჩვენი ლექსიკოლოგია; მისი რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ (1949). მანვე ამავე ლექსიკონის 1928 წლის გამოცემაზე ვრცელი რეცენზია მოათავსა ჟურნ. „მნათობში“ (1929 № 11), გამოსცა „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ ორ ტომად გ. ახვლედიანთან ერთად (1935), ალ. ბარამიძესთან ერთად კი გამოაქვეყნა დ. გურამიშვილის „დავითიანი“ და მასვე ლექსიკონი დაურთო (1931 წლის გამოცემა), შეადგინა „გერმანულ-ქართული ლექსიკონი“ (არ გამოცემულა), ელ. ორბელიანის თანავტორობით გამოსცა „ფრანგული ენის სახელმძღვანელო“ სტუდენტთათვის (1925). 1946 წელს ს. იორდანიშვილი მიიწვიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგედ. ამავე ხნიდან იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენაში“, როგორც მისი ერთ-ერთი რედაქტორი და კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (6).

ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლის ხაზით ს. იორდანიშვილმა დაწერა გამოკვლევები, რომელთა უმრავლესობა შესულია ავტორის კრებულში (2).

ს. იორდანიშვილმა თავისი რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოცა ქართველ მოღვაწეთა მოგზაურობანი: რაფიელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“ (თარგმნა რუსულიდან, თბ., 1950), თეიმურაზ ბატონიშვილის (ბაგრატიონის) „მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“ (1944) და სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ (1940).

აგრეთვე სათანადო რედაქციითა და გამოკვლევებით, ს. იორდანიშვილმა გამოაქვეყნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (1938), ამავე წიგნის რუსული თარგმანი (1939 — 1949), „სამსახეობა რაინდისა“, ეზოპეს „იგავნი“, ზემოხსენებული „დავითიანი“, „ფეშანგი. შაჰნავაზიანი“ (გ. ლეონიძესთან ერთად, 1936), „კატალოგი წიგნთსაცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა“ (1948) და სხვა.

ს. იორდანიშვილმა პწკარედულად თარგმნა გერმანული ენიდან „ნიბელუნგები“ და ფრანგულიდან — „სიმღერა როლანდზე“, რომლებიც პოეტებმა გამოიყენეს მხატვრული თარგმანებისათვის. მანვე თარგმნა და წინასიტყვაობით გამოაქვეყნა რუსულ ენაზე „ვისრამიანის“ ქართული რედაქცია (1949, 1960), შექმნა რუსული პწკარედი „ვეფხისტ-

ტყაოსნისა* (3) და უკრაინულ ენაზე დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი.

ამგვარად, ს. იორდანიშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობა ქართულიდან რუსული, უკრაინული, ფრანგული, ინგლისური და იმავებენებიდან და გერმანულიდან ქართული ენის სწავლას და გავრცელებას გაშლილი.

*

თავისი ერუდიციით, ენების საფუძვლიანი ცოდნითა და უშრეტესი ენერჯით, ყველა სხვა დარგზე მეტი ამაგი ს. იორდანიშვილმა ჩვენს ლექსიკოლოგიასა და რუსთველოლოგიას დასდო.

რუსთველოლოგიაში იგი ეწეოდა, როგორც: 1) კვლევით, ისე ძალიან დიდ 2) მთარგმნელობითსა და 3) ორგანიზაციულ საქმიანობას.

უკანასკნელით რომ დავიწყოთ, ს. იორდანიშვილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლის იუბილეს (1937 წ.) გამო შექმნილი ამავე პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მდივანი.

ვისაც სათანადო ოქმები არ უნახავს, ის ვერ წარმოიდგენს აღნიშნული შრომის მოცულობასა და სირთულეს. ამაზე საერთო დაახლოებითი წარმოდგენის შესაქმნელად მივმართოთ კომისიის პირველი თავმჯდომარის — კ. კეკელიძის სათანადო ანგარიშს. კომისიის შემადგენლობაში, — წერს კ. კეკელიძე, — შეყვანილ იქნა გამოუკლებლივ ყოველი რუსთველოლოგი; მუშაობა დაიწყო 1935 წლის აპრილში; «на эту работу употреблен целый год интенсивных, напряжённых (по 3 часа в день, за исключением летних каникул) занятий, к концу апреля 1936 года в основном она была закончена» (5, გვ. 280).

როგორ ძნელი უნდა ყოფილიყო სათანადო ოქმების წერა, ამისათვის სხენებული ანგარიშიდან მოვიგონოთ ის ადგილი, სადაც ლაპარაკია: ტექსტის კრიტიკაში მთავარ სიძნელეს დიდი ხნის განმავლობაში უკვე ჩამოყალიბებული ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულებები

წარმოადგენდა. აქო, — განაგრძობს კ. კეკელიძე, — «трудно мир-
лись и сходились по перекаемым вопросам; среди них не было двух
таких, которые одинаково мыслили бы по основным вопросам
руставелологии» (5, გვ. 283).

ხსენებული მუშაობისა და ოქმების მიხედვით ს. იორდანიშვილი აქ-
ვეყენებს მეცნიერულად ძალიან მნიშვნელოვანსა და ტექნიკურად რთულ
წიგნს — „ვეფხისტყაოსნის ჩანართები და დანართი“ (თბ. 1948). ავტორი წინასიტყვაობაში წერს „ვეფხისტყაოსნის“
ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაზე.

ეს დაუფიქრარი ჩვენი მეგობარი იმდენად მოკრძალებული და ჩუმი
მუშაკი იყო, რომ ზემოაღნიშნულ სიძნელებებზე ხმასაც არ იღებს, —
აღნიშნავს მხოლოდ: კომისიის „ყოველდღიურმა 3—3 საათიანმა მუ-
შაობამ მოგვცა როგორც „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულად დადგენილი
ტექსტი, ისე მასალები წინამდებარე წიგნისათვის, რომელთა სასტამ-
ბო შემზადება სათანადო შენიშვნებით დამევალა მე, როგორც კომისიის
მდივანს“ (იქვე, გვ. III).



მეორე კიდევ უფრო ძნელი და შრომატევადი სამუშაო,
რომელიც ს. იორდანიშვილმა შეასრულა, ესაა „ვეფხისტყაოსნის“
პედაგოგიკური რუსულ ენაზე. ეს მან ჯერ კიდევ მაშინ შეძლო, როდესაც
სათარგმნი პოემის ტექსტში სადავოდ გამხდარი მრავალი სტროფი
მოიპოვებოდა, ბევრი გაუგებარი სტრიქონი დასიტყვაც გვხვდებოდა (და
გვხვდება კიდევ), და ამდენად პოემის ასეთი ადგილების გაგება ქართუ-
ლადაც კი ძნელდებოდა. ს. იორდანიშვილს წინ უსწრებდა სანდო
მხოლოდ ნ. მარის თარგმანები „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის, ეპილო-
გისა და კიდევ რამოდენიმე სტროფისა, სულ — არა უმეტეს 70—80 სტრო-
ფისა, რომლებსაც ის, რაღა თქმა უნდა, იყენებდა (ისევე, როგორც
კ. ბალმონტის რუსულსა და მ. უორდროპის ინგლისურ თარგმანებსაც),
მაგრამ პედაგოგიკური არ არსებობდა. ხსენებული 80-მდე სტროფი კი ძალიან
ცოტაა, თუ გავიხსენებთ, რომ ს. იორდანიშვილის მიერ გაკეთებულ
პედაგოგიკურ 1666 სტროფს, საწერ მანქანაზე გადაბეჭდილ 440-მდე
გვერდს შეიცავს*.

* ჩვენ პედაგოგიკური ამ რედაქციით ვსარგებლობთ. არსებობს მისივე, დედნისაგან რამ-
დენადმე მაინც განსხვავებული, ბეჭდური რედაქცია (იხ. ქვემოთ — 3), სტროფთა
ნუმერაცია ორივესი ერთნაირია.

ამიტომ ამ პწკარედს არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის მთარგმნელები, არამედ ქართული ენის მცოდნენიც კი იყენებდნენ, მაგ., გ. ცაგარელი, კ. ჭიჭინაძე, პ. პეტრენკოსთან ერთად, და შ. ნუცუბიძე.

ამ პწკარედით არაქართველთა მიერ სარგებლობას ის გარემოება აადვილებდა, რომ მასში „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი სტროფი, ყოველი წინადადება ლათინური ტრანსკრიფციით (გასათვალისწინებლად დედნის ელერადობისა) და სიტყვასიტყვითი რუსული თარგმანი იყო მოცემული.

ამავე დროს ეს სიტყვასიტყვითი თარგმანი არ ჰგავდა ბევრ იმ პწკარედს, რომლიდანაც ძნელია აზრის გამოტანა. ს. იორდანიშვილის მიერ შესრულებულ „ვეფხისტყაოსნის“ პწკარედის წინადადებებში აზრიც ნათელი იყო და სიტყვებიც დედნისებრ მხატვრული, ოღონდ სხვა ენისათვის ქართული წინადადების წყობაა მიუღებელი, მის წინადადებებს გამარჯვა და სტროფებს გართმევა სჭირდებოდა.

რადგან პროლოგის 1—31 სტროფები ს. იორდანიშვილამდე ნ. მარის მიერ იყო თარგმნილი, ამიტომ ავიღოთ ისეთი სტროფი, რომელიც პწკარედის სახით პირველად ს. იორდანიშვილის მიერ ითარგმნა.

მაგალითად, როსტევეან მეფის სიტყვები—სტროფი 36—

„მე გარდასულეარ, სიბერე მჭირს, ჳირთა უფრო ძნელია.
დღეს არა, ხვალე მოვედები, სოფელი ასრე მქმნელია;
რალა იგი სინათლე, რასაც ახლავს ბნელია?!
ჩემი ძე დაესვად ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.

36. «Я, пережил свой век, старость тяготеет надо мной, из всех болезней самая тяжёлая,

(Если) не сегодня, (то) завтра я умру, мир так делает (поступает).

Каков тот свет, которому причастна тьма

Мое чадо посодим царём, которое бракует солнце,—

(Мою дочь установим правительницей, которой солнце пренебрежет)».

როგორც ვხედავთ, მეოთხე სტრიქონს ს. იორდანიშვილი არა მხოლოდ პწკარედის, არამედ შინაარსული თარგმანის სახითაც კი იძლევა. ეს უადვილებს საქმეს ამ პწკარედის მხატვრულად გამლექსავს.

მეტი თვალსაჩინოებისათვის, ერთს სტროფს უდედნოდ და მეორეს ისევ დედნით წარმოვადგენთ.

37. «Везири ответили: «О царь, почему говорите о Вашей старости,

Если даже роза засохнет, мы все должны довольствоваться тем,

Что ей прибавляется аромат и красивый цвет,

С ущербной луной как смеет звезда соперничать (объявлять вражду)».

40. „ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა, საროსა მჭობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა, ჭერთ უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა; მას თინათინის შეენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა“.

«Автаңдил был военачальником, сын начальника начальников, Лучше кипариса, рослый, подобный солнцу и луне, Пока безбородый, уподобляемый кристаллу знаменитому. Его убивала красота войск-ресниц (густых ресниц) Тинатины».

რუსთაველის პოემის ს. იორდანიშვილისეული პუკარედის გამოყენებით შესრულებული რომელი თარგმანიც არ უნდა აიღოთ, ყოველი მათგანის სიტყვიერი მარაგის ძირითადი ნაწილი თუ არა, ფრიალ მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც პუკარედისეულია.

სოლ. იორდანიშვილმა ბრწყინვალედ იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ენა, აგრეთვე რუსული ენაც, რომელზეც პუკარედს აკეთებდა; ჰქონდა თარგმნის დიდი პრაქტიკა, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა. ყოველივე ამის გამო შეძლო მან მოეცა მეცნიერული პუკარედი.

ეს პუკარედი, როგორც ითქვა, გადაიბეჭდა საწერი მანქანით, გავრცელდა თბილისშიც, მისი ცალი 1935 წელს (და არა 1933 წელს, როგორც ეს ერთგან წერია) გაეგზავნა მაშინდელ გამომცემლობა „Academia“-ს. იგი აქედანაც გავრცელდა საბჭოთა კავშირში და ბევრისათვის გახდა ხელმისაწვდომი.

ამას გარდა, საიუბილეო 1937 წელს გაზეთმა „Правда“-მ (№ 254) გამოაქვეყნა სოლ. იორდანიშვილის მიერ გადმოცემული „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი; იგი თარგმნილია სხვა ენაზეც.

1938 წელს ჩვენმა მეცნიერმა კიევში გამოაქვეყნა პროზაული თარგმანი პოემისა უკრაინულ ენაზე. ელენე ორბელიანთან ერთად მან თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე. 1938 წელს მოსკოვში გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ უორდროპისეული ინგლისური თარგმანი, — შევსებული და შესწორებული ტექსტი სოლ. იორდანიშვილის მიერ. — ე. ორბელიანთან ერთად — მათივე რედაქციით“ (2, გვ. X).

სოლ. იორდანიშვილის პუკარედით, ან მისი მიხედვით შესრულებული თარგმანის საშუალებით, „ვეფხისტყაოსანი“ ითარგმნა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ საზღვარგარეთის ისეთ მრავალრიცხოვან ხალხების ენებზეც, როგორიც, მაგალითად, ინგლისური, იაპონური, მონგოლური და ზოგიერთი სხვა ენაა.

ესაა სოლ. იორდანიშვილის უდიდესი, წამღვილი ფასდაუდებელი ამაგი რუსთაველისა და.. მაშასადამე, მთლიანად ქართული კულტურის წინაშე. ამით მან ძალიან შეუწყობ ხელი ჩვენისასახელო პოემისა და კულტურის პოპულარიზაციას მსოფლიო მასშტაბით.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილი პოემის ტექსტის გადაშწორების მიერაა წარყვნილი და ქართულადაც ძნელგასაგებია, მაშინ ისიც ნათელია, რომ ამ პწკარედს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაზე მომუშავეთა და მკვლევართათვისაც; ისინი ხშირად მიმართავენ მას იმისათვის, რათა გაითვალისწინონ პოემისა და თუ იმ ადგილის ს. იორდანიშვილისეული გაგება.

ყოველივე ამის გამო 'აღნიშნულ პწკარედს, ისტორიულის გარდა, დღესაც აქვს თავისი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა. იგივეა საფუძველი „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ უფრო სრულყოფილი ახალი რუსული პწკარედის შექმნისა.

მესამე სახის დამსახურება რუსთაველოლოგიის დარგში ჩვენი მეცნიერის მხრივ კვლევადითი ხასიათისაა. ავტორის ასეთი ნაშრომები ორი ტიპისაა:

1. რუსთაველის ბიოგრაფიისა და „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებისადმი მიძღვნილი;
2. „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ, უკრაინულსა და ევროპულ ენებზე არსებულ თარგმანებს ეხება.

დავიწყოთ უკანასკნელით. უმთავრესად იმის გამო, რომ ს. იორდანიშვილი ავტორია „ვეფხისტყაოსნის“ ზემოხსენებული პწკარედისა, თანაავტორია იმავე პოემის ფრანგული თარგმანისა და მ. უორდროპის ინგლისური თარგმანის გაუმჯობესებისა. იგი დაინტერესდა რუსულ და ევროპულ ენებზე არსებული თარგმანებით, ასეთები მან სპეციალური ძიების საგნად გაიხადა და მანვე მოგვცა „მათი შეფასება როგორც დედნთან მიმართების, ისე მხატვრული ღირებულების გამოვლენის თვალსაზრისით. მას განხილული აქვს ფრანგული (ბროსე, მეუნარგია), გერმანული (ლაისტი), ინგლისური (უორდროპი), პოლონური (ლაფ-

ჩინსკი), უნგრული (ვიკარი), რუსული (ბალმონტი) და უკრაინული (ბაჟანი) თარგმანები „ვეფხისტყაოსნისა“ (2, გვ. 164, 179—197).

ს. იორდანიშვილი თარგმანებს არსებითად ეხება, მაგრამ ყველა დანარჩენზე უფრო ვრცლად მან კ. ბალმონტის თარგმანი განიხილა. სათანადო ნაშრომი, რომლითაც ავტორმა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი დაიმსახურა, ალ. ბარამიძემ და ამ სტრიქონების ავტორმა გამოაქვეყნეს (4). ამ წიგნის ანოტაციაში ვწერდით, რომ მასში „განხილულია მხატვრული თარგმნის თეორიული და პრაქტიკული საკითხები მსოფლიო ლიტერატურის შედევრების მაგალითზე; დახასიათებულია XIX—XX საუკუნეების მთარგმნელების მთარგმნელობითი ხერხები („მეთოდები“) და რაც მთავარია, შესწავლილი და დაწვრილებით არის გაანალიზებული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრული რუსული თარგმანი, რომელიც შეასრულა ცნობილმა რუსმა პოეტმა კ. ბალმონტმა“.

ს. იორდანიშვილის ეს ნაშრომი მხატვრული ნაწარმოების თარგმანის საფუძვლიანი შესწავლის მისაბაძი მაგალითია.

მასში შესავლად დაბეჭდილი ნაწილი — „მხატვრული თარგმანის პრინციპებისათვის“ — თითქმის უცვლელად შესულია ავტორის ზემოხსენებულ „ნ ა რ კ ვ ე ვ ე ბ შ ი ც“ (1964).

იმავე „ნარკვევების“ ორივე გამოცემაში (1953, 1964) მოთავსებულია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული რ უ ს თ ვ ე - ლ ო ლ ო გ ი უ რ ი 8 ნ ა შ რ ო მ ი და ამდენად ეს კრებული ძვირფასია რუსთველოლოგთათვის.

აქ ავტორი ერთ-ერთი მკვლევარის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ H 2074 ხელნაწერის უძველესად გამოცხადების თაობაზე დამაჯერებლად ასკვნის: ეს „ხელნაწერი იოსებ თბილელის ხელში გამოვლილი უნდა იყოს და მის სიტოცხლეში გადაწერილი მე-17 ს. მეორე ნახევარში და არა 1590—1600 წლებში“ (გვ. 18).

აქვე ავტორი განიხილავს შოთა კუპარის თუ კუპარის, რუსთაველის თითქოსდა მანიქველობის, იმავე პოეტის მიერ თითქოსდა რომანპოემის იოსებ მშვენიერზე დაწერის საკითხებს, შესაბამის მოსაზრებებს უარყოფს.

ს. იორდანიშვილის კრებულის წერილებში განხილულია აგრეთვე

„ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის გამოცემის წინანდელ რიგ გამოცემებთან ურთიერთობის, პოემის ზოგიერთ სტროფთა ტექსტის დადგენისა და კომენტარების, ამავე პოემის დასურათების ისტორიისა და რიგი სხვა საკითხები.

როგორც ზემოთ ითქვა, მანვე გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი და დანართი (1948), ამითა და სხვა ნაშრომებითაც ამაგი დასლო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების აღწერისა და შესწავლის საქმეს. მაგ., 1940 წელს მას თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრაზე წაუკითხავს ვრცელი მოხსენება—„ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების აღწერა და მოხსენება“, რომელსაც ცხოველი ინტერესი გამოუწვევია სპეციალისტთა შორის“ (2, გვ. VII). არანაკლებ საყურადღებოა მისივე ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი შესწორებაკომენტარებისათვის“ (2, გვ. 84—131). ამთ გარდა, ავტორი სხვა საკითხებსაც შეეხო. მაგ., იგი წერდა „იაკობ გოგებაშვილი და ვეფხისტყაოსანი“ (1940) ამბობს: „ღიდი ქართველი პედაგოგის დაბადებიდან 100 წლის თავზე ჩვენ სიხარულით გვევსება გული იმის გამო, რომ ახალი პერიოდის რუსთველოლოგიამ საესებით დაადასტურა მისი (ი. გოგებაშვილის) ძირითადი შეხედულებები“ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობისა და სხვა საკითხებზეო („ნარკვევები...“, 1953, გვ. 133).

ს. იორდანიშვილი წერდა „აკაკი და ვეფხისტყაოსანი“ სწორ ანალოზს უკეთებს აკაკი წერეთლისა და ი. ჭავჭავაძის სათანადო პოლემიკას. რ. დანიბეგაშვილის „მოგზაურობის“ წინასიტყვაობაში ს. იორდანიშვილი ამბობს, რომ ქართველებს ძველთაგანვე ჰქონდათ ინტერესი ინდოეთისადმი და ამიტომ დახატა იგი რუსთაველმა ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის სამშობლოდ და სხვა.

ყოველივე ამის გამო სოლომონ იორდანიშვილი საესებით დამსახურებულად ითვლება სანდო რუსთველოლოგად, ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარად, კარგ ლექსიკოლოგად და გამოცდილ მთარგმნელად.

1. სოლომონ იორდანიშვილი. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1953. 2. მისივე, ნარკვევები, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს რ ე ლ ა ქ ი ი თ ა და შესავალი წერილით, თბ., 1964 (ძირითადად იკვება, რაუ 1). 3. Шота Руставели. Витязь в тигровой шкуре. Подстрочный перевод с грузинского С. Иорданишвили, თბ., 1964. 4. ს. იორდანიშვილი. „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისმიერი რუსული თარგმანი, თბ., 1964. 5. „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის ანგარიში. — კ. კ ე ე ლ ი ძ ე. ე ტ ი უ ლ ე ბ ი, ტ. VI, 6. ნეკროლოგი ს. იორდანიშვილზე — გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1953 № 34 (846).

საკუთარ სახელთა სპიობელი

ბ

ბაევი ე. 51, 295, 298
 ბაშიძე ირ. 60, 91
 ბაშიძე კ. 173
 ბბდუმესია (ლიტ.) 78
 ბბზიანიძე გ. 116
 ბბრაბიშვილი ანდ. 11, 108
 ბბულაძე ილ. 20, 224
 ბბულაძე იუსტ. 4, 5, 6, 8, 12, 20, 141,
 155, 175, 195, 199—211, 258, 265,
 290
 ბბონცი ნ. 213, 257
 ბბალიშვილი გ. 7, 71, 73—76
 ბბთანდილი (ლიტ.) 54, 65, 67, 98, 103—
 105, 107, 111, 119, 134, 135, 150,
 216, 217, 220, 256, 262, 279, 291,
 306
 ბბონელი გ. 32
 ბბონელი ეჭ. 32
 ბბონელი ი. 32
 ბბაკი იხ. წერეთელი ა.
 ბბლაიძე მ. 209
 ბბილახვარი გ. 193
 ბბირანშვილი შ. 48, 276, 283
 ბბირან დარეჯანის ძე იხ. დარეჯანის ძე
 ბბირან
 ბბდლულაძე ლ. 28, 68, 136, 245
 ბბტიოქელი ტ. 168, 229
 ბბტიშაძე იხ. რომელი იხ.
 ბბტონ I იხ. ბბგრატიონი ან.
 ბბტოვანეს ძე თ. 138
 ბბტიშთიელი იოს. 168
 ბბრიოსტო 28
 ბბრჩილ მეფე 3, 19, 21
 ბბსათიანი ლ. 108, 128, 130

ასატური გ. 283, 287
 ასმათ (ლიტ.) 54, 103, 134, 262
 ასფალგი იულ., (Assfalg J.). 229, 234
 აუტროვი ა. 285
 აღმაშენებელი დ. 79, 105, 195
 ახვლედიანი გ. 302
 ანაზაროვი არ. 87

ბ

ბბგრატიონი ანტ. (კათ.) 55, 78, 79.
 ბბგრატიონი ვახტ. 47, 48, 50, 51
 ბბგრატიონი თ. (Царевич Теймураз)
 3, 19, 20, 30—46, 48—54, 57, 62,
 64—66, 90, 103, 173, 201, 207; 302
 ბბგრატიონი იოანე 7, 23, 24, 26, 27
 ბბგრატიონი თ. იხ. გურიელი თ.
 ბბგრატიონი-დადიანი ნ. 34
 ბბდრიძე შ. 191, 198
 ბბირონი 80, 135
 ბბლმონტ-ბრუნი ნ. 245
 ბბლმონტი კ. (Бальмонт К.) 237, 241—
 245, 268, 272, 204, 308
 ბბეანი მ. 308
 ბბართაშვილი ნ. 89, 124, 140, 246
 ბბართაშვილი ს. (Баратов) 87, 111
 ბბარამიძე ალ. 3, 7, 15, 17, 19, 21—23,
 27, 66—68, 74, 96, 101, 117, 119,
 129, 130, 163, 181, 182, 201, 211,
 224, 234, 243, 282, 292, 298, 302,
 303
 ბბარამიძე არჩ. 49
 ბბართოლი გ. 257
 ბბარნაველი თ. 187
 ბბარონ დე ბაი იხ. დე ბაი

ბარტდინსკი იპ. (Бартдинский Ип.)

56, 58, 69, 121

ბასტამიანცი ს. 286

ბატონიშვილი დავით 32

ბატონიშვილი დემნა იხ. დემნა

ბატონიშვილი თეიმურაზ იხ. ბაგრატიონი თ.

ბაქანიძე ოთ. 84, 85

ბაქრაძე დ. 4, 50, 66, 184

ბაჩანა 128

ბეატრიჩე (ლიტ.) 133

ბეგიჩივი კ. 121

ბელეენი პალმა 246

ბელოზერსკი ვ. 82

ბერიძე ეუყ. 3, 60, 69, 101, 116, 174, 182, 217, 257—263, 292

ბერკოვი პ. 68

ბერძენიშვილი დ. 120

ბერძენიშვილი ნ. 272

ბოარდო 83

ბოდენშტეტი 128

ბოდლერი შ. 241

ბოდუენ დე კურტენე 257

ბოპი ფ. 295

ბრაგინსკი იოს. 282

ბრეგაძე დ. 13

ბრიკი ბ. 291

ბროკაუზი 92, 94, 146, 275

ბროსე ლ. 47, 58

ბროსე მ. (Brosset M.-F.) 3, 4, 7, 20, 32—38, 45—58, 61—72, 76, 77, 83, 124, 129, 138, 157, 159, 165, 188, 296

ბრწყინვალე გ. 105

ბ

გაბაშვილი ტ. 17, 22, 65, 78, 90, 173

გაბრიელი (ლიტ.) 99

გაბუნია ნ. 93

გაგარინი 81

განგრელი თეოდ. 229

განჯელი ნ. 83, 199

გაჩეჩილაძე აშბ. 96

გაწერელია აკ. 77, 81, 291

გაგელია გ. 185

გერასიმოვი მ. 278

გერიტიშვილი დ. 213

გვიომ დე მამო 250

გიორგი ბრწყინვალე იხ. ბრწყინვალე

გიორგი III, 66, 216

გიორგი XI, 189

გიორგი XII 23, 30, 77

გიორგი XIII იხ. გიორგი XII

გოგებაშვილი აკ. 95, 109—113, 123, 184, 309

გოგობერიძე მ. 207, 217, 289

გოეთე 147, 246, 299

გონალიშვილი შ. 158

გორგანელი 201

გორგასალი ვახტანგ 42

გორგაძე ს. 289

გორკი 299, 300

გოცირიძე (ლიტ.) 105

გრანატი 295

გუგუშვილი მ. 19

გულაქი (Гулак Н.), ნ. 82—85, 112, 129, 136,

გურამიშვილი დ. 21, 302

გურგანი (გურგანელი) 279, 300

გურიელი მ. 128

გურიელი პ. 189

გურიელი ქ. 189

გურიელ-ბაგრატიონი თ. 11

დ

დადიანი გრ. 68, 121

დადიანი კკ. 125

დადიანი ი. 191, 192

დადიანი ნ. 125

დადიანი სალ. 125

დათეშიძე რ. 258

დამასკელი ი. 91, 92

დანდუროვი დ. 277, 229, 290, 296, 297

დანიბეგაშვილი რ. 302, 309

დანტე 80, 133, 228
დარეჟანის ძე ამირან (ლიტ.)
25, 56
დარეჟან იხ. ნესტან-დარეჟანი
დე ბაი 190
დე გოლი 193
დემნა (ბატონიშვილი) 67, 119, 297
დოკონოვი მ. 277, 292
ღოსამიძე გ. 242
დიდრო დ. 299
დილარგეთი (ლიტ.) 26
დოდაშვილი რ. 51
დონდუა ე. 18, 24, 27, 265, 267, 277,
282
დონდუა კ. 253, 294—298
დუბროვსკი პ. 28
დუდუჩავა ალ. 245, 292
დუდუჩავა მ. 122, 127

ე.

ებრაელი მიხეკა 190, 191
ეზოპე 302
ენაქოლოფაშვილი, ენაქოლოფოვი ივ.
(Энаколопашвили, Епиколопов)
30, 150
ერეკლე II, 59
ერისთავი გ. 28, 89
ერისთავი დ. 128
ერისთავი ელ. — ერისთავ-თარხან-მო-
ურავი ელ. 191, 193
ერისთავი რ. 128, 140, 246
ეფრონი 94, 146, 275
ერცოვი 120

ვ.

ვაკა-ფშაველა 7, 66, 117—119, 246,
288
ვართავა იპ. 117, 159, 162, 163
ვახტანგ VI, 3, 4, 9—21, 34, 36, 37,
41, 51, 55, 57, 66, 92, 98, 100, 120,
134, 135, 162, 194, 206, 209, 217;
243, 262, 290
ვერლენი 241

ვესელოვსკი ალ. 249
ვიკარი ბ. (Vikar B.) 246—245, 279
ვირგილიუსი 84, 126
ვიროლო შ. 267
ვისი (ლიტ.) 279
ვოლტერი 33
ვორონცოვი მ. 81, 86

ზ.

ზაბოლოვი ნ. 268
ზანდუყელი მ. 265
ზარზმელი სერაპ. 229
ზიჩი მ. 99, 105, 126, 247, 248
ზურაბაშვილი ავ. (Зурабашвили Ав.)
127, 136, 282

თ.

თავაქალაშვილი მ. 189, 234
თავზიშვილი გ. 112, 113
თამარ მეფე 4, 13, 25—29, 39, 55, 56,
66—68, 79, 83, 86, 87, 105, 108, 110,
111, 115, 118, 120, 133, 138, 155,
162, 172, 195, 215, 279, 997
თანიაშვილი ს. 3, 65
თარხან-მოურავი ელ. იხ. ერისთავი ელ.
თარხნიშვილი მ. 229, 234
თაქთაქიშვილი-ურტუშაძე ლ. 175, 237,
239, 240
თაყაიშვილი ექ. 5, 8, 12, 24, 35, 48, 49,
90, 136, 144, 162, 183—198, 204
თბილელი იოს. იხ. სააკაძე ი.
თემურაზ ბაგრატიონი იხ. ბაგრატიონი
თ.
თემურაზ I, 3, 19
თემურაზ II, 19
თინათინი (ლიტ.) 4, 43, 54, 67, 83, 86,
87, 103, 104, 107, 119, 134, 146, 216,
279, 291, 297, 306
თმოგველი ს. 25, 26, 29
თომასი ა. 249

თორელი ართოვანეს ძე იხ. ართოვანეს
ძე თ.
თუმანიანი ო. 285
თუმანიშვილი გ. 132

ი

იაშვილი პ. 242
იბერიელი ანთ. 168
იბერიელი პეტ. 168
იბრენი 246
იერუსალიმელი პ. 168
იერუსალიმელი ტ. 168
იზოლდა (ლიტ.) 295
ილა იხ. ქაუჭავაძე ი.
იმედაშვილი გ. 4, 7, 19, 35, 36, 46, 68,
87, 123, 127, 161, 209, 293
იმედაშვილი კ. 139
იმნაიშვილი ი. 141, 204
ინგოროევა პ. 4, 6, 12, 66, 67, 101, 108,
175, 290, 292
იორდანი ლ. 249
იორდანიშვილი ს. 28, 33, 46, 103, 111,
112, 129, 130, 238, 240, 301—309
იოსელიანი გ. 123—124
იოსელიანი პლ. 3, 27, 77—81, 95, 120,
138
ირაკლი I, 39
ისარლიშვილი რ. 144
იულის კეისარი 104
იუპიტერი (მით.) 80
ივალთოელი არ. 195

კ

კაბადოციელი ნინო 115, 235
კაენი 202
კაეშნიშვილი ნ. 301 იხ. ს. იორდანიშვილი
კაკაბაძე დ. 192
კაკაბაძე ნ. 127
აკაბაძე ს. 4—6, 8, 20, 50, 58, 105,
141, 174, 175, 192, 204, 217, 290
კალდერონი 241
კარბელაშვილი პ. 191
კანდელაკი ბ. 59

კარიკაშვილი დ. 20, 133, 159—163,
176, 260
კეისარი იულის იხ. იულის კეისარი
კეკელიძე კ. 9, 21, 23, 27, 48, 74, 76,
89, 137, 138, 139, 161, 165, 166, 168,
194, 208, 209, 225—234, 290, 291,
303, 304, 309
კეკელიძე სამ. 225
კერესელიძე (ესპერანტისტი) 248
კერეჯელი ე. (Керещелы) 277
კეიპრელი თ. 168
კინსკი ბ. 125, 127
კინსკი იოს. 125
კინწურაშვილი კ. 94
კობახიძე ალ. 277
კობიძე დ. 202, 211
კოლეტი ემ. 235
კოლხიდელი იხ. დადიანი გრ.
კონსტანტინე დიდი (იმპ.), 40
კორინთელი 189
კორიოლანოსი იხ. იულის კეისარი
კოტიტოშვილი კ. 199
კოსტომაროვი ნ. 82
კრაჩკოვსკი ეგ. 257, 266, 267

ლ

ლაბაძე პეტრე 31
ლაისტი არ. 84 (Leist Art.) 112, 127—
—130, 307
ლანგი დ. 194, 236, 239, 240
ლანგლუა ე. 249
ლარაძე პ. 132, 135
ლაფჩინსკი ვ. 28, 129, 307
ლემან-ჰაუპტი გ. 267, 268
ლენინი ვლ. 250, 265
ლეონიძე გ. 166, 292, 293, 302
ლერმონტოვი მ. 135
ლერწამ-დარეჯანი 148, 153, იხ. ნესტან—
დარეჯანი
ლოლაშვილი ივ. 81, 104, 211
ლომთათიძე გ. 198

ლორთქიფანიძე დ. 113
ლუპოლი ი. (Лупол Ив.) 6, 299—300

მ

მაიაკოვსკი 299
მაისურაძე (მაისუროვი) 155
მაშალაძე ს. 23
მარი ნ. (Мари Н.Я.) 4, 5, 8, 17, 20,
37, 48—51, 58, 65—67, 74, 91—95,
104, 105, 112, 117, 133, 138, 141,
144, 156, 157, 159, 161—184, 186,
188, 199, 200—202, 204, 206, 207,
210, 212, 213, 217, 224, 226, 229,
230, 238, 250, 253, 257, 260, 262,
269, 271, 274, 277—279, 294, 295,
304, 305
მაქსიმე აღმასრულებელი 91, 92
მაჩაიძე ივ. 129, 237
მაჩხუბარიძე იხ. მოჩხუბარიძე ა.
მაჭავარიანი თ. 264
მახათაძე მ. 272
მახათაძე ნ. 49, 81, 122
მგალობლიშვილის. 130, 142, 158
მეგრელოძე იოს. 46, 70, 87, 101, 108,
113, 119, 163, 182, 196, 198, 204,
211, 234, 240, 254—256, 263, 268,
272, 283, 287, 291, 298
მეგრელოძე კ. 277
მედნიკოვი 257
მელიქსეთ-ბეგი ლ. 284—287, 291
მენაბდე ლ. 4, 22, 101, 108, 113
მერჩული გ. 297
მესხია შ. 38, 46, 198
მესხი მელექსე 208
მეტრეველი ელ. 73, 74, 76, 91
მეტრეველი რ. 191, 192, 198
მეუნარია იონა 68, 86, 87, 125
მეშჩანინოვი ი. (Мещанинов И.) 6. 255—
—256, 266, 267
მეჭურჭლეთუხუცესი შოთა 173, იხ.
რუსთაველი შ.
მთაწმინდელი ექ. 168
მილტონი 80

მიწგრელოსკი იხ. დადიანი გრ.
მინერვა (მით.) 80
მირიან მეფე 40
მიულერი ფრ. 88
მიტროპოლიტი ტიმოთე 55
მისია ებრაელი იხ. ებრაელი მ.
მიხანკოვა ვ. 277
მოჩხუბარიძე პ. 108
მურადიანი ა. 287
მურავიოვი ა. ნ. 65. 90, 94
მურაიე ე. (Murier J.) 86, 87, 126

ნ

ნადირაძე გ. 200
ნაფი ალ. 276
ნაგროცკი ალ. 84, 136
ნათაძე ნ. 201
ნანეიშვილი ალ. 87
ნაპოლეონი 33
ნარ-დონი იხ. ჯაბადარი ივ.
ნესტან-დარეჯანი, ნესტანი 29, 54, 66,
67, 86, 87, 103, 104, 105, 119, 146,
148, 153, 161, 216, 219, 262, 282,
297
ნოზამი 276, 297
ნიკოლაძე ნ. 95, 114—116, 126, 170, 262
ნილსენი დ. 267
ნორაიძე ელ. 136
ნუტუბიძე შ. 4, 9, 207, 265, 268,
290, 292, 305

ო

ომარ ხაიამ იხ. ხაიამ ო.
ორბელი ბარბ. 274
ორბელი იოს. (Орбели И. А.) 67, 213,
217, 266, 268, 269, 271—283, 292,
298
ორბელი ლ. 274
ორბელი რებ. 274
ორბელი რუს. (Орбели Р.Р.) 44, 57, 74
ორბელაიანი გრ. 89, 100, 140
ორბელაიანი ელ. 302, 306, 302

ორბელიანი ივ. 67
ორბელიანი ს.-ს. 20, 37, 51, 61, 274,
302
ორთელაშვილი (ლიტ.) 146
ორლანდი (ლიტ.) 28
ორლოვსკაია ნ. 58
ოქროშკედლიშვილი ილ. 142

ჰ

პავლაუცი ნ. 84
პაოლინი სტ. 9
პარისი (ლიტ.) 149
პარისი გ. 249
პეტრარკა 88
პეტრენკო პ. 268, 269, 277, 289, 290,
291, 293, 305
პეტრეწი იოანე 35, 105, 172, 289
პეშკოვა ნ. 300
პეშკოვა ექ. 300
პიგულევსკაია ნ. (Пигулевская Н.В.) 267
პოტენია ალ. (Потенія Ал.) 295
პოლტორაკი ივ. 196
პუშკინი ალ. 33, 135, 276, 295, 299

ჟ

ჯანრუა ა. 249
ჯებელიოვი ს. 267, 274
ჯორდანია თ. 50, 195
ჯუოვსკი ვ. 199, 257
ჯღენტი ს. 139, 149

რ

რაზიკაშვილი ლუკა იხ. ვაჟა-ფშაველა
რამაზ მეფე (ლიტ.) 65
რამინი (ლიტ.) 279
რექტორი დავით 30
როლანდი (ლიტ.) 302)
რომაელი იპ. 168
რომენსკი ი. 136
როსტევეან მეფე (ლიტ.) 52, 103, 262
რუდაჭი 199
რუდენკო ბ. 277
რუსთაველი შ. 2, 3, 4, და ა. (შ., რუს-

თველი, რუსთაველის — 209), თითქ-
მის ყოველ გვერდზე
რუხაძე ნ. 127
რუხაძე ტრ. 19, 22, 34, 46, 74, 76

ს

სააკაძე იოს. 16, 78
საბაშვილი-კედელაური ს. ვ.
სალა 202
სალამანი 202
სარაჩიშვილი ალ. 84, 100, 131—135,
217
სარაჩიშვილი დ. 190
სარიდან (ლიტ.) 65
სასუნცი დ. 276
სახოკია თედო 146
სენიძე ალ. 243—245, 264—272, 276
საიათნოვა 287
სელეკიელი ანტ. 168
სენ-მარტენი (Saint-Martin) 47
სიხარულიძე ეს. 157, 158
სმირნოვი ი. 274
სობინოვა 300
სოკრათი (ლიტ.) 103
სოლომონ II 145
სოსლანი დ. 57, 111, 138
სპარსი გულანდუხტი 229
სპინოზა 299
სტალინი იოს. 243, 244
სტალინსკი 13 (Сталинский Е.С.) 120-123
სტივენსონი პ. 236
სტრუვე ვ. 255, 266, 267
სუტნერი არტ. (Sutfner V). 112, 125—
127, 129, 283

ტ

ტაბიელი ივლ. 168
ტარიელი (ლიტ.) 4, 25, 52—54, 65, 67,
98, 103—105, 107, 118, 134, 148,
150, 161, 171, 256, 262
ტარლოვსკაია ვ. 243
ტასი 80, ტასო 80, 84, 126

ტლაშაძე ი. 15

ტოლსტოი ალ. 245

ტორეშელიძე მ. 243

ტრევერი კ. 292

ტრისტანი (ლიტ.) 295

ტურაევი ბ. 257

ტფილელი იხ. სააკაძე ი.

უ

უეაროვა პ. 185

უიტმანი 241

უშიკაშვილი პ. 83, 100, 131

უორდრობი მარჯ. (Wardrop) 235, 240

უორდრობი მარჯ. 175, 190, 235—240,

242, 304, 307

უორდრობი მ. 235

უორდრობი თ. 235—241

ფ

ფალავანდიშვილი ზ. 54, 62, 71—72,
74

ფარსადან (ლიტ.) 65, 66

ფატმანი (ლიტ.) 65, 104, 107, 223, 282,
298

ფაუსტი (ლიტ.) 147

ფალავა კ. 210

ფეშანგი ვ. 21, 302

ფირალიშვილი თ. 129, 130

ფირდოუსი იხ. გურგანი

ფოგტი პ. (Vogt H.) 51

ფრანსი ან. 299

ფრანცისკო-მარია მ. 10

ფრიდონი (ლიტ.) 54, 98, 104, 105, 107,
119, 134, 150, 297

ძ

ძართველიშვილი გ. 86, 100, 137

ძაჭაია ვ. 112, 141

ძეძაძე პ. 56

ძვარანი ს. 4, 66, 67, 119

ძობულაძე ს. 277, 278, 283, 291, 293

ძუმსიშვილი დ. 272

ძურდაძე შ. 99

ლ

ლლონტი ალ. 60, 69, 108, 259, 298

ლლონტი შ. 141, 263

ლოლობერიძე შ. 84

ყ

ყაისი (ლიტ.) 202

ყანჩელი თ. 242

ყანჩელი ს. (ალ.) 242

ყაუხჩიშვილი ს. 263

ყიფშიძე გრ. 144

ყიფშიძე იოს. 213, 273

ყუბანეიშვილი ს. 18, 19, 21, 22, 34, 38,
46, 52, 70, 72, 76, 191, 205

შ

შადური ვ. (Шадурн В.) 30

შაეთელი 15, 25, 29, 78, 79, 104, 108
167, 297

შალაშბერიძე გ. 298

შამელაშვილი რ. 298

შამილი 127

შანიძე ა. 11, 12, 17, 20, 21, 37, 46, 48,

60, 88, 91, 94, 194, 204, 213, 243, 292

შარაშიძე ქრ. 17

შარაძე გ. 46

შეეჩენკო ტ. 82

შელი პ. 135, 241

შერმანდინ 103, 262

შექსპირი 147

შილაკაძე ივ. 287

შილერი 246

შირაზელი ს. 199

შიშმარიოვი ვ. (Шншмарев В.Ф.) 6, 178,
249—254

შტაკელბერგი რ. 280

შუხართი პ. 127, 246, 295

ჩ

ჩარკვიანი გ. 120

ჩახრუხაძე (ჩახრუხის ძე) 5, 15, 26,
29, 57, 78, 79, 104, 108, 169, 297

ჩერქეზიშვილი ვ. 240

ჩიმაკაძე გ. 247

ჩიტაძე შ. 199

ჩიქობავა არნ. 61, 204

ჩიქოვანი მ. 150, 151, 187

ჩოლოყაშვილი ნ. 91

ჩოლოყაშვილი გ. 3

ჩუბინაშვილი კ. 48

ჩუბინაშვილი დ. (Чубинов) 3, 4, 7, 20, 29, 54, 56, 57, 59—71, 76, 83, 88, 92, 100, 119, 120, 124, 141, 165, 262, 296

ჩუბინაშვილი ნ. 59—61, 69, 90, 91, 92

ც

ცაგარელი ალ. (Цагарели Ал.) 3, 33, 60, 69, 74, 88—94, 138, 165, 199

ცაგარელი ანტ. 88

ცაგარელი გ. 265, 271, 305

ცაგარელი აქე. 93

ცაიშვილი სარგ. 20, 21, 96, 191, 194, 204, 293

ცაიშვილი სოლ. 68, 127

ციციშვილი ნ. 3, 20

ცურტაველი იკ. 209

ცხეველი ნ. 123

ძ

ძიძიგური შ. 182, 204, 263, 298, 309

წ

წერეთელი აკ. 3, 7, 69, 84, 95, 96, 101,—109, 119, 128, 140, 141, 156, 161, 162, 169, 184, 187, 236, 246, 309

წერეთელი გ. ვ. 60, 91

წერეთელი გ. (მწ.) 156, 236, 239,

წერეთელი გრ. ილ. 248

წერეთელი ნ. 190, 191

წილაური გ. 247

წულუკიძე ვ. 263

ჭ

ჭავეკვაძე ალ. 89

ჭავეკვაძე გარს. 73

ჭავეკვაძე ილ. 3, 7, 89, 95—101, 105, 108, 114, 115, 119, 128, 131, 140, 141, 184, 217, 235, 237, 246, 255, 262, 300, 309

ჭელიძე ვ. 237

ჭიაბერი 80

ჭიქინაძე თ. 291

ჭიქინაძე ქ. 6, 12, 21, 68, 217, 243, 265, 277, 278, 283, 287—293, 305

ჭონქაძე დ. 88

ჭყონია ილ. 124

ჭუმბურიძე წ. 96

ხ

ხაიამ შიარ 199

ხანთაძე შ. 49, 51, 58

ხანძთელი ვრ. 169

ხახანაშვილი ა. (Хаханов Ал.) 4, 7, 68, 74, 83, 106, 117, 129, 141—158, 170, 280

ხელაშვილი იონა 24

ხვარაზშვილი, ხვარაზშვილი (ლიტ.) 55, 66, 148.

ხ-დაშვილი შ. 207

ხოხელი მ. 25, 26, 29, 56

ხოძყო (Ходзько) ალ. 28—30

ხუნდაძე სილ. 140 — 141

ხუციშვილი ს. 109, 130, 163

ჯ

ჯაბდარი ივ. 95, 114, 115, 170

ჯავახიშვილი ივ. 48, 50, 58, 67, 74, 89, 93, 112, 113, 132, 136, 144, 155, 165, 169, 172, 181, 182, 188, 189, 212—224, 257, 265, 274

ჯავახიშვილი მ. 139, 292

ჯამი აბდ. 156, 179

ჯანაშვილი მ. 4, 66, 100, 137, 138, 139

ჯანაშვილი ს. 269

ჯანელიძე დ. 101, 108

ჯიბლაძე გ. 101, 119, 122, 136

ჯიქია ს. 287

ჭ

ჭაინე 277

ჭამელიძე 147

ჭაფიანი 199

ჭოქეროსი მ. 84, 96, 126, 149, 231, 153, 270, 300

ჭოქენიძე ე. 249

ჭროხნი ფრ. 267, 268

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
ვახტანგ მეექვსე	9
იოანე ბაგრატიონი	23
ალექსანდრე ხოქო	28
თეიმურაზ ბაგრატიონი †	31
მარი ბროსე-†	47
დავით ჩუბინაშვილი	59
ზაქარია ფალავანდიშვილი	71
გიორგი ავალიშვილი	73
პლატონ იოსელიანი	77
ნიკოლოზ გულაყი	82
ეჟულ მურიე	86
ალექსანდრე ცაგარელი	88
ილია ქავჭავაძე †	95
აკაკი წერეთელი †	102
იაკობ გოგებაშვილი †	109
ნიკო ნიკოლაძე	114
ვაჟა-ფშაველა †	117
ევგენი სტალინსკი	120
გიორგი იოსელიანი	123
არტურ სუტენი	125
არტურ ლაისტო-†	128
ალექსანდრე სარაჯიშვილი	131
მოსე ჭანაშვილი	137
სილოვან ხუნდაძე	140
ალექსანდრე ხახანაშვილი	142
დავით კარიკაშვილი	159
ნიკო მარი-†	164
ეკემთიმე თაყაიშვილი †	183
იუსტინე აბულაძე	198

ივანე ჭავჭავაძის ძე	212
კორნელი კეკელიძე *	225
მარჯორი უორდროპი*	235
კონსტანტინე ბალმონტი	241
ბელა ვიკარი	246
ვლადიმერ შიმშაროვი	249
ივანე მეშჩანინოვი	255
ვუკოლ ბერიძე	257
ალექსანდრე სენიძე	264
იოსებ ორბელი	273
ლენ შელიქსეთ-ბეგი	284
კონსტანტინე ჭიჭინაძე	288
კარპეზ დონდუა	294
ივანე ლუპოლი	299
სოლომონ იორდანიშვილი	301
საკუთარ სახელთა საქიებელი	310

Мегрелидзе Иосиф Варфоломеевич

Руствелологи

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, ул. Марджанишвили 5

1970

რედაქტორი ივანე ლოლაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ლეილა ნანიტაშვილი
მხატვარი ვალერიან მდინარაძე
მხატვრული რედაქტორი ომარ მესხი
ტექნიკური რედაქტორი ნათელა ქავთარაძე
გამომშვები შოთა ლეყავა
კორექტორი თამარ მანაბელი

გადაეცა წარმოებას 23/VII-59 წ. ხელმოწერილია დასაბუქლად 8/IV.70 წ.

ქალ. ზომა 60x84¹/₁₆. პირ. ნაბეჭდი თაბახი 18,6.

სააღრ.-საგამომც. თაბახი 15,5.

უე 01647

ტირაჟი 3000

შეც. № 328

ფასი 1 მან. 36 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 1, თბილისი,
ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома Госкомитета Совета
Министров Груз. ССР по печати. Тбилиси, Орджоникидзе № 50.